კარლოს კასტანედა

მოგზაურობა იქსტლანში

მთარგმნელი: მამუკა გურული

რედაქტორი: რუსუდან ზურაბაშვილი



თუ გსურთ, დააფასოთ მთარგმნელის შრომა და წვლილი შეიტანოთ ეზოთერული ლიტერატურის ქართულად თარგმნაში, და შესაბამისად საქართველოში ეზოთერული ცოდნის განვითარებაში, გადმორიცხეთ თქვენთვის სასურველი თანხა ამ რეკვიზიტებზე:

მიმღების ბანკი: „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE04BG 0000 0006 2153 2700
მიმღების დასახელება: მამუკა გურული

მიმღები ბანკი: TBC ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE30 TB71 5424 5061 1000 05
მიმღების დასახელება: მამუკა გურული

(გთხოვთ, გაავრცელოთ ეს წიგნი ზემოთ წითლად მონიშნულ ტექსტთან ერთად...)

ანოტაცია

ის, ვინც მეომრის გზაზე დგება, გზაზე, რომელსაც გული აქვს, ვეღარასოდეს დარჩება უბრალო ობივატელად. დონ ხუანი უხსნის კარლოსს გზის ასპექტებს — მიუწვდომლად ყოფნის ხელოვნებას, პირადი ისტორიის წაშლას, სიკვდილის, როგორც მრჩევლის, კონცეფციას, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებას. ამ წიგნში ჩვენ პირველად შევხვდებით მოკავშირეებს — შემზარავ არაორგანულ არსებებს, რომლებსაც საკმარისი ძალის მქონე მაგი შეუცვლელ დამხმარეებად აქცევს.

შესავალი

შაბათს, 1971 წლის 22 მაისს ჩავედი სონორაში, მექსიკის შტატში, რათა შევხვედროდი ხუან მათუსს, ინდიელ მაგს იაკის ტომიდან, რომელთანაც ურთიერთობა 1961 წლიდან მქონდა. ვფიქრობდი, ეს ვიზიტი არაფრით იქნებოდა განსხვავებული იმ სხვა მრავალი ვიზიტისგან, რომლებიც მისი მოსწავლეობის ათწლიან პერიოდში განვახორციელე. მოვლენები, რომლებიც იმ დღეს და მომდევნო დღეებში მოხდა, ჩემთვის საკვანძო აღმოჩნდა. ამჯერად, ჩემი მოსწავლეობა დასრულდა. ეს არ იყო ჩემი წასვლა, არამედ დასრულება.

მე უკვე წარმოვადგინე ჩემი მოსწავლეობა ორ წინამდებარე წიგნში: „დონ ხუანის სწავლება“ და „ცალკე რეალობა“. ჩემი ძირითადი დაშვება ორივე წიგნში ის იყო, რომ ძირითად მომენტებს მაგიის სწავლაში წარმოადგენდა უჩვეულო რეალობის მდგომარეობა, რომელიც გამოწვეული იყო ფსიქოტროპული მცენარეების მიღებით.

ამ მხრივ დონ ხუანი ექსპერტი იყო და სამ ასეთ მცენარეს იყენებდა: datura inoxia, ცნობილი როგორც ლემა; lephopheca williambi, ცნობილი, როგორც პეიოტი; და ჰალუცინოგენური სოკო psylecybe-ის გვარიდან.

სამყაროს ჩემეული აღქმა ამ სამი ფსიქოტროპული ნივთიერების მეშვეობით ისეთი ჩახლართული და შთამაგონებელი გახდა, იძულებული გავხდი მევარაუდა, რომ ასეთი დაშვებები ერთადერთი გზა იყო იმ ცოდნის მისაღებად, რასაც დონ ხუანი გადმომცემდა. ეს დაშვება მცდარი იყო. დონ ხუანთან ჩემს მუშაობაზე გაუგებრობებისგან თავის ასარიდებლად, მინდა ნათელი მოვფინო შემდეგ მომენტებს.

აქამდე არანაირი მცდელობა არ მქონია, რომ დონ ხუანი კულტურულ ჩარჩოებში ჩამესვა. ის ფაქტი, რომ იგი თავს იაკის ტომის ინდიელად თვლის, არ ნიშნავს, რომ მისი მაგიური ცოდნა ზოგადად იაკის ინდიელთათვისაა ცნობილი ან გამოიყენება მათ მიერ. ყველა საუბარი დონ ხუანთან ესპანურ ენაზე მიმდინარეობდა, და მხოლოდ მის მიერ ამ ენის შესანიშნავი ფლობის წყალობით შევძელი მიმეღო რწმენათა ამ სისტემის სწორი ახსნა. მე შევინარჩუნე ამ სისტემის დასახელება — „მაგია“, და კვლავინდებურად მაგს ვუწოდებ დონ ხუანს, რადგანაც ეს ის კატეგორიაა, რომელსაც თავად იყენებდა.

რამდენადაც შევძელი ჩამეწერა უმეტესი ნაწილი იმ ყველაფრიდან, რასაც ის ლაპარაკობდა, ჩანაწერების დიდი მასალა დამიგროვდა. იმისთვის, რომ ეს ჩანაწერები წაკითხვადი გამეხადა და ამავდროულად დონ ხუანის მოძღვრების დრამატული ერთიანობა შემენარჩუნებინა, უნდა დამერედაქტირებინა ისინი, და ის, რაც წავშალე, ვთვლი, რომ უმნიშვნელოა იმ საკითხებისთვის, რომლებიც მინდა წინ წამოვწიო.

დონ ხუანთან მუშაობის დროს ვზღუდავდი ჩემს ძალისხმევებს მისი, როგორც მაგის ჩარჩოებში ხედვით და მისი ცოდნის მონაწილედ ყოფნით.

ჩემი აზრის გადმოსაცემად, პირველ რიგში უნდა ავხსნა მაგიის ძირითადი მომენტები ისე, როგორც დონ ხუანმა წარმომიდგინა. მან ამიხსნა, რომ მაგისთვის ყოველდღიური ცხოვრების სამყარო არ წარმოადგენს რეალურს, როგორც გვჩვევია გვჯეროდეს. მაგისთვის რეალობა, ანუ ის სამყარო, რომელსაც ყველანი ვიცნობთ, მხოლოდ აღწერილობას წარმოადგენს.

იმისთვის, რომ ეს მომენტი გაემყარებინა, დონ ხუანმა თავისი ძალისხმევების კონცენტრირებით შეძლო მივეყვანე გულწრფელ რწმენამდე, რომ ის სამყარო, რომელიც გონებაში მაქვს, უბრალოდ სამყაროს აღწერილობა იყო; აღწერილობა, რომელსაც დაბადების მომენტიდან მიტენიდნენ თავში. მისი თქმით, ნებისმიერი, ვინც კონტაქტში შედის ბავშვთან, წარმოადგენს მასწავლებელს, რომელიც განუწყვეტლივ აღუწერს მას სამყაროს იმ მომენტამდე, სანამ ბავშვი თავად არ შეძლებს სამყაროს აღქმას აღწერილობის შესაბამისად. დონ ხუანის სიტყვებით, ჩვენ არ გვახსოვს ეს საკვანძო მომენტი იმიტომ, რომ არცერთ ჩვენგანს არ ჰქონია შედარების წერტილი იმისთვის, რომ სხვა რაიმესთვის შეედარებინა იგი. თუმცაღა ამ მომენტის შემდეგ ბავშვი წევრი ხდება. მან იცის სამყაროს აღწერილობა და ჩემი აზრით მისი წევრობა სრულუფლებიანი მაშინ ხდება, როცა მას უჩნდება უნარი, რომ მოახდინოს აღქმის ყველა საჭირო ინტერპრეტაცია, რომელიც ამ აღწერილობას დაადასტურებს და სარწმუნოს გახდის.

ამ შემთხვევაში, დონ ხუანისთვის ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების რეალობა შედგება აღქმის ინტერპრეტაციათა უსასრულო ნაკადისგან, რომელთა კეთებაც ჩვენ, ანუ ინდივიდებმა, რომლებიც განსაკუთრებულ წევრობას ვინაწილებთ, ერთნაირად ვისწავლეთ.

სამყაროს აღქმის ინტერპრეტაციის ნაკლოვანების ეს იდეა, იმ ფაქტით დასტურდება, რომ იგი განუწყვეტლივ მიმდინარეობს და იშვიათად, ან საერთოდ არ დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. ფაქტიურად, სამყაროს ის რეალობა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, იმდენად თავისთავადად იგულისხმება, რომ მაგიის ძირითადი მომენტი, რომ ჩვენი რეალობა მხოლოდ ერთ-ერთს წარმოადგენს მრავალი აღწერილობიდან, ძნელად თუ მიიღება სერიოზულ დასკვნად.

საბედნიეროდ, ჩემი მოსწავლეობის შემთხვევაში, დონ ხუანს საერთოდ არ ანაღვლებდა შემეძლო თუ არა იმის გაგება, რასაც მეუბნებოდა. ამგვარად, როგორც მაგიის მასწავლებელმა, დონ ხუანმა ჩვენი გაცნობის პირველივე დღიდან დაიწყო ჩემთვის სამყაროს აღწერა. მისი კონცეფციებისა და მეთოდების გაგება იმიტომ მიჭირდა, რომ მისი აღწერილობა სრულიად უცხო იყო და არ ემთხვეოდა ჩემს საკუთარ აღწერილობას.

მისი თქმით, იგი მასწავლიდა „ხედვას“, განსხვავებით უბრალოდ „ყურებისგან“, და „სამყაროს გაჩერება“» პირველი ნაბიჯი იყო ხედვისკენ“». მრავალი წლის განმავლობაში მე განვიხილავდი «სამყაროს გაჩერების» იდეას, როგორც იდუმალ მეტაფორას, რომელიც სინამდვილეში არაფერს ნიშნავს. და მხოლოდ არაოფიციალური საუბრის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩემი მოსწავლეობის ბოლო პერიოდში, გავიგე ბოლომდე მისი, როგორც ერთ-ერთი ძირითადი მომენტის მნიშვნელობა დონ ხუანის ცოდნაში.

მე და დონ ხუანი სხვადასხვა საკითხებზე ვსაუბრობდით თავისუფლად და ძალდაუტანებლად. მე ვუყვებოდი ჩემი მეგობრის და მისი პრობლემის შესახებ, რომელიც თავის ცხრა წლის ვაჟთან ჰქონდა. ბავშვზე, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში დედასთან, ახლა კი ჩემს მეგობართან ცხოვრობდა, და პრობლემა იმაში იყო, რომ არ იცოდა, რა მოეხერხებინა მისთვის. ჩემი მეგობრის თქმით, ბავშვი გამოუსადეგარი იყო სკოლისთვის, მას არ ჰყოფნიდა კონცენტრაცია, და არაფერი არ აინტერესებდა, ყველაფერს ეწინააღმდეგებოდა, ნებისმიერ კონტაქტს უჯანყდებოდა და სახლიდან გარბოდა.

„შენს მეგობარს მართლა ჰქონია პრობლემა“, — თქვა დონ ხუანმა სიცილით. მე მინდოდა გამეგრძელებინა თხრობა ყველა იმ «საშინელების» შესახებ, რომელიც ბავშვმა ჩაიდინა, მაგრამ მან გამაწყვეტინა.

„არაა საჭირო ამ საწყალი ბავშვის შესახებ მოყოლა“, — თქვა მან. —„არც შენთვისაა საჭირო და არც ჩემთვის, რომ მისი ქმედებები ჩვენს აზრებში განვიხილოთ“.

მისი მანერა პირდაპირი იყო, ხმა კი მტკიცე, მაგრამ შემდეგ გაეღიმა.

— რა შეუძლია გააკეთოს ჩემმა მეგობარმა? — ვკითხე მე.

— ყველაზე ცუდი, რაც შეუძლია გააკეთოს, ესაა ის, რომ აიძულოს ბავშვს, რომ დაეთანხმოს მას, — თქვა დონ ხუანმა.

— რას გულისხმობ?

— იმას ვგულისხმობ, რომ მამამისმა არ უნდა ცემოს ან შეაშინოს იმ შემთხვევებში, როცა ისე არ იქცევა, როგორც მამას უნდა.

— მაგრამ როგორ ასწავლის რამეს, თუ მასთან მტკიცე არ იქნება?

— შენმა მეგობარმა ვინმე სხვა უნდა იპოვნოს, ვინც ბავშვს მოსცხებდა.

— მაგრამ ის ვერავის მისცემს უფლებას, მისი ბავშვი გალახოს! — ვთქვი მე, მისი წინადადებით გაკვირვებულმა. როგორც ჩანს, დონ ხუანს მოეწონა ჩემი რეაქცია და გაეცინა.

— შენი მეგობარი არაა მეომარი, — თქვა მან. — ის რომ მეომარი იყოს, ეცოდინებოდა, რომ ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება გააკეთო, ესაა ის, რომ ადამიანს პირდაპირ აღუდგე წინ.

— რას აკეთებს მეომარი, დონ ხუან?

— მეომარი სტრატეგიულად მოქმედებს.

— მაინც არ მესმის, რას გულისხმობ.

— იმას ვგულისხმობ, რომ შენი მეგობრი მეომარი რომ იყოს, თავის ბავშვს სამყაროს გაჩერებაში დაეხმარებოდა.

— მაგრამ, როგორ შეძლებდა ამას ჩემი მეგობარი?

— მას პირადი ძალა დასჭირდებოდა. მას დასჭირდებოდა, რომ მაგი ყოფილიყო.

— კი, მაგრამ ის მაგი არაა.

— ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი საშუალებები უნდა გამოიყენოს იმისთვის, რომ ბავშვს სამყაროს იდეის შეცვლაში დაეხმაროს. ეს არაა სამყაროს გაჩერება, მაგრამ ასეთივე ზემოქმედება ექნება.

ვთხოვე, რომ აეხსნა თავისი სიტყვები.

— მე რომ შენი მეგობარი ვიყო, — თქვა დონ ხუანმა, — იმით დავიწყებდი, რომ ვინმეს დავიქირავებდი, ვინც ბავშვს მოსცხებდა ხოლმე. წავიდოდი ქალაქის ჯურღმულებში და დავიქირავებდი ადამიანს, რომელსაც რაც შეიძლება შემზარავი გარეგნობა ექნებოდა.

— პატარა ბავშვის შესაშინებლად?

— არა უბრალოდ შესაშინებლად, სულელო, ეს ბავშვი უნდა გაჩერდეს, მაგრამ ეს არ მოხდება, თუ საკუთარი მამა სცემს.

— თუ ვინმეს სხვა ადამიანების გაჩერება უნდა, ყოველთვის შორს უნდა იყოს იმ წრისგან, რომელიც მათ აწვება. ამგვარად იგი ყოველთვის შეძლებს ზეწოლის მართვას.

იდეა უჩვეულო იყო, მაგრამ რატომღაც ჩემში გამოძახილს ჰპოვებდა. დონ ხუანი მარცხენა ხელით ნიკაპს ისრესდა. მარცხენა ხელი მკერდთან ჰქონდა მიბჯენილი და ხის ყუთს ეყრდნობოდა, რომელიც დაბალი მაგიდის ფუნქციას ასრულებდა. თვალები დახუჭული ჰქონდა, და მისი თვალის კაკლები მოძრაობდნენ. ვგრძნობდი, რომ დახუჭული ქუთუთოებიდან მიმზერდა. ამ აზრმა შემაშინა.

— მომიყევი, კიდევ რა უნდა გაუკეთოს ჩემმა მეგობარმა თავის ბიჭს.

— უთხარი, რომ წავიდეს და ძალიან ყურადღებით შეარჩიოს ნაძირალა, რომელიც საზიზღრად გამოიყურება, — განაგრძო მან. — უთხარი, რომ ახალგაზრდა უნდა იყოს, ისეთი, რომ რაღაც ძალა ჰქონდეს შერჩენილი.

შემდეგ დონ ხუანმა უცნაური სტრატეგია ამიღწერა. მე უნდა მეთქვა ჩემი მეგობრისთვის, რომ დაქირავებული ადამიანი უნდა გაჰყოლოდა და იმ ადგილზე დალოდებოდა, სადაც თავის ბავშვთან ერთად მივიდოდა. პირობითი სიგნალის პასუხად, რომელიც მიცემულ იქნებოდა ბავშვის მხრიდან ნებისმიერი არასწორი ქცევის შემდეგ, ეს ადამიანი უნდა გამომხტარიყო სამალავიდან, დაეჭირა ბავშვი და გვარიანად ეცემა.

— მას შემდეგ, რაც ეს ადამიანი შეაშინებს ბავშვს, შენი მეგობარი ნებისმიერი საშუალებით უნდა დაეხმაროს მას, რომ აღიდგინოს თავდაჯერებულობა. თუ იგი ამ პროცედურას სამ-

ოთხჯერ გაიმეორებს, გარწმუნებ, ბავშვს სრულიად სხვა გრძნობები ექნება ყველაფრის მიმართ. იგი შეიცვლის სამყაროს შესახებ თავის იდეას.

— და რა მოხდება, თუ შეშინება დაასახიჩრებს მას?

— შეშინება არასოდეს არავის არ ასახიჩრებს. სულს ის ასახიჩრებს, როცა ვიღაც გამუდმებით გყავს ზურგზე, ვინც გცემს და გამუდმებით გეუბნება, რა უნდა აკეთო და რა არ უნდა აკეთო.

— როცა ეს ბავშვი უფრო თავშეკავებული გახდება, უნდა უთხრა შენს მეგობარს, რომ კიდევ ერთი, უკანასკნელი რაღაც გაუკეთოს. უნდა მონახოს საშუალება, რომ წვდომა ჰქონდეს მკვდარ ბავშვზე, შესაძლოა საავადმყოფოში, ან ექიმთან. უნდა მიიყვანოს იქ თავისი შვილი და აჩვენოს მკვდარი ბავშვი. უნდა მისცეს საშუალება, რომ ერთხელ შეეხოს გვამს მარცხენა ხელით ნებისმიერ ადგილზე, გარდა მუცლისა. მას შემდეგ, რაც ბავშვი ამას გააკეთებს, იგი განახლებული იქნება. სამყარო აღარასოდეს იქნება მისთვის იგივე.

მე მაშინ მივხვდი, რომ ამ წლების ურთიერთობის მანძილზე დონ ხუანი ჩემთანაც იგივე ტაქტიკას ანხორციელებდა, თუმცა სხვა მასშტაბით. ვკითხე ამის შესახებ. მან მითხრა, რომ გამუდმებით ცდილობდა ესწავლებინა ჩემთვის, თუ როგორ «გამეჩერებინა სამყარო».

— შენ ეს ჯერ კიდევ არ გაგიკეთებია, — თქვა მან ღიმილით. — მგონი, არაფერი არ მოქმედებს, იმიტომ, რომ ძალიან ჯიუტი ხარ. შენ რომ ნაკლებად ჯიუტი იყო, ამ დროისთვის უკვე გააჩერებდი სამყაროს ნებისმიერი ტექნიკის მეშვეობით, რომლებიც გასწავლე.

— რა ტექნიკები, დონ ხუან?

— ყველაფერი, რასაც გეუბნებოდი, სამყაროს გაჩერების ტექნიკა იყო.

ამ საუბრიდან რამდენიმე თვის შემდეგ დონ ხუანმა შეასრულა ის, რაც განზრახული ჰქონდა: ესწავლებინა ჩემთვის «სამყაროს გაჩერება».

ჩემი ცხოვრების ამ მონუმენტალურმა მოვლენამ მაიძულა, რომ დეტალურად გადამეხედა მთელი ჩემი ათწლიანი სამუშაოსთვის. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ პირველადი დასკვნა ფსიქოტროპული მცენარეების როლის შესახებ მცდარი იყო. ისინი არ იყვნენ მაგის მიერ სამყაროს აღწერის არსებითი მხარეები, მაგრამ უნდა დამხმარებოდნენ იმ აღწერის ნაწილთა შედუღაბებაში, რომელთაც სხვაგვარად ვერ გავიგებდი. ჩემი დაჟინებულობა იმაში, რომ შემენარჩუნებინა რეალობის ჩემი სტანდარტული ვერსია, თითქმის ბრმას და ყრუს მხდიდა დონ ხუანის მიზნების მიმართ. ამიტომ, ჩემში მგრძნობელობის არარსებობა იწვევდა მათი გამოყენების აუცილებლობას. გადავხედე რა ჩემს ჩანაწერებს, მივხვდი, რომ ახალი აღწერილობის საფუძველი დონ ხუანმა თავიდანვე მომცა, იმით, რასაც უწოდებდა «ტექნიკას სამყაროს გაჩერებისთვის». ჩემს წინა ნაშრომებში მე გამოვტოვე ჩანაწერების ეს ნაწილი, რადგანაც ისინი არ ეხებოდნენ ფსიქოტროპული მცენარეების გამოყენებას. ახლა კანონიერ საფუძველზე დაყრდნობით აღვადგინე ისინი დონ ხუანის სწავლების მთელ მოცულობაში, და ისინი ამ წიგნის პირველ ჩვიდმეტ თავს შეადგენენ. პირველი სამი თავი წარმოადგენს ჩანაწერებს, რომლებიც მოიცავს სწორედ იმ მოვლენებს, რაც ჩემს მიერ «სამყაროს გაჩერებას» ეხება.

შეჯამების სახით, შემიძლია ვთქვა, რომ იმ დროს, როცა მოსწავლეობას ვიწყებდი, სხვა რეალობა იყო. სხვა სიტყვებით, იყო მაგების მიერ სამყაროს აღწერილობა, რომელსაც მე არ ვიცნობდი. დონ ხუანმა, როგორც მაგმა და მასწავლებელმა, მასწავლა ეს აღწერა. ათწლიანი მოსწავლეობა, რომელიც მე გავიარე, მდგომარეობდა ამ უცნობი რეალობის დადგენაში. და ამ ყველაფერს უფრო და უფრო მეტი ნაწილი ემატებოდა სწავლებაში ჩემს პროგრესთან ერთად.

მოსწავლეობის დასრულება ნიშნავდა, რომ მე ვისწავლე სამყაროს ახალი აღწერა დამაჯერებელი და მკაფიო გზით, და რომ სამყაროს აღქმის ახალი უნარი გამიჩნდა, რომელიც ემთხვეოდა მის ახალ აღწერილობას. სხვა სიტყვებით, მე მივაღწიე წევრობას.

დონ ხუანი ამტკიცებდა, რომ „ხედვის“ უნარის მისაღწევად „სამყაროს გაჩერებაა“ საჭირო. „სამყაროს გაჩერება“ მართლაც საჭირო მომენტი იყო ცნობიერების გარკვეული მდგომარეობების მისაღწევად, რომლებშიც ყოველდღიური ცხოვრების რეალობა იცვლება, რადგანაც ინტერპრეტაციათა ნაკადი, რომელიც ჩვეულებრივ განუწყვეტლად მიედინება, შეჩერებულ იქნა გარკვეულ ვითარებათა გამო, რომლებიც ამ ნაკადისთვის უცხო იყო. ჩემს შემთხვევაში, ვითარებათა ეს რიგი, რომელიც უცხო იყო ჩემი ნორმალური ინტერპრეტაციათა ნაკადისთვის, იყო მაგების მიერ სამყაროს აღწერილობა. დონ ხუანისთვის აუცილებელი პირობა სამყაროს გაჩერებისთვის ის იყო, რომ უნდა ყოფილიყო აბსოლუტური დარწმუნებულობა. სხვა სიტყვებით, უნდა ვისწავლოთ ახალი აღწერა სრული გაგებით, იმისთვის, რომ იგი ძველს ზემოდან დავადოთ და ამგვარად დავამსხვრიოთ დოგმატური დარწმუნებულობა, რომელსაც ყველანი ვიზიარებთ, რომ ჩვენი აღქმების ან სამყაროს ჩვენი რეალობის სარწმუნოობა ეჭვქვეშ ვერ დადგება. „სამყაროს გაჩერების“ შემდეგი ნაბიჯი „ხედვა“ იყო. ამის ქვეშ დონ ხუანი იმას გულისხმობდა, რასაც მე დავარქმევდი «რეაგირებას სამყაროს შესახებ პერცეპტუალურ წარმოდგენებზე, რომლებიც იმ აღწერილობის მიღმა იმყოფებიან, რომელსაც ვისწავლეთ, რომ რეალობა ვუწოდოთ».

დარწმუნებული ვარ, ყველა ეს ნაბიჯი შესაძლოა გაგებულ იქნას მხოლოდ იმ აღწერილობის ტერმინებით, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან. და რადგანაც ეს იყო აღწერილობა, რომელსაც დონ ხუანი თავიდანვე მაძლევდა, უნდა მივცე საშუალება მის სწავლებას, რომ ერთადერთი წყარო იყოს მასში შესასვლელად. ამგვარად, საშუალებას ვაძლევ დონ ხუანის სიტყვებს, რომ თავად ილაპარაკონ თავის თავზე.

პირველი ნაწილი

«სამყაროს გაჩერება»

1. დასტური გარესამყაროდან

— როგორც ვხვდები, თქვენ ძალიან ბევრი რამ იცით მცენარეების შესახებ, სერ. — ვუთხარი მოხუც ინდიელს, რომელიც ჩემ წინ იჯდა. ჩემმა მეგობარმა უბრალოდ

შეგვახვედრა და ოთახი დატოვა, და ჩვენ თავად წარვუდგინეთ ერთმანეთს საკუთარი თავები. მოხუცმა მითხრა, რომ მას ხუან მატუსი ერქვა.

— ეს შენმა მეგობარმა გითხრა? — მკითხა მან.

— დიახ, მან მითხრა.

— მე ვაგროვებ მცენარეებს, ან უფრო ზუსტად, ისინი მაძლევენ საშუალებას, რომ შევაგროვო, — თქვა მან რბილად.

ჩვენ ავტოსადგურის მოსაცდელში ვიმყოფებოდით, არიზონაში. მე ძალიან ოფიციალურ ესპანურ ენაზე ვკითხე, მომცემდა თუ არა საშუალებას, რომ გამომეკითხა. ვუთხარი:

— მომცემს თუ არა ნებას ჯელტმენი «კაბალიერო», რომ რაღაც კითხვები დავუსვა?

«კაბალიერო» — წარმოებული სიტყვისგან «კაბალო» — ცხენი, ნიშნავდა მხედარს, ან დიდგვაროვან ადამიანს ცხენზე. მან ინკვიზიტორულად შემომხედა.

— მე ვარ მხედარი ცხენის გარეშე, — თქვა მან ფართო ღიმილით. შემდეგ დაამატა: — გითხარი, რომ ხუან მატუსი მქვია.

მისი ღიმილი მომეწონა. ვიფიქრე, რომ სავარაუდოდ ისეთი ადამიანი იყო, რომელსაც პირდაპირობა უყვარდა, და გადავწყვიტე თამამად მიმემართა თხოვნით.

ვუთხარი, რომ დაინტერესებული ვიყავი სამკურნალო მცენარეების შეგროვებით და შესწავლით. ვუთხარი, რომ ჩემი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ჰალუცინოგენური კაქტუსის — პეიოტის გამოყენება, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში შევისწავლიდი ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში.

ვფიქრობდი, ჩემი წარდგენა ძალზე სერიოზული იყო. ჩემი სიტყვები ძალზე თავშეკავებული და სრულიად სანდოდ ჟღერდა ჩემთვის. მოხუცმა ნელა დამიქნია თავი, და მისი დუმილით გამხნევებულმა დავამატე, რომ ორივესთვის კარგი იქნებოდა, თუ შევხვდებოდით და პეიოტის შესახებ ვისაუბრებდით.

სწორედ ამ მომენტში მან თავი ასწია და თვალებში შემომხედა. ეს საშინელი მზერა იყო. თუმცა მასში არ იყო არც მუქარა და არც შეშინების სურვილი. ეს იყო მზერა, რომელმაც ჩემში გაატანა. მაშინვე დავმუნჯდი და საუბარს ვეღარ ვაგრძელებდი. ეს ჩვენი შეხვედრის დასასრული იყო. და მაინც, იმედის ნამცეცი დამიტოვა და მითხრა, რომ შესაძლოა ოდესმე შევძლებდი მის სახლში მონახულებას.

ძნელი იქნებოდა დონ ხუანის მზერის ზემოქმედების დადგენა, ეს ყველაფერი ამ მოვლენის უნიკალურობასთან რომ არ დამეკავშირებინა. როდესაც ანთროპოლოგიის შესწავლა დავიწყე, და ამგვარად დონ ხუანს შევხვდი, უკვე ექსპერტი ვიყავი იმაში, რასაც უწოდებენ «იცოდე გამოძრომა». სახლიდან მრავალი წლის წინ წამოვედი, და ჩემი შეფასებით ეს ნიშნავდა, რომ საკუთარ თავზე ზრუნვა შემეძლო. ყოველთვის, როცა უარმყოფდნენ, გზის გაკვალვა მლიქვნელობით შემეძლო, იმით, რომ კომპრომისზე მივდიოდი, ვკამათობდი, ვბრაზობდი ან, თუ არაფერი მშველიდა, ვწუწუნებდი. სხვა სიტყვებით, ყოველთვის იყო

რაღაც ისეთი, რაც, როგორც მე ვიცოდი, შემეძლო გამეკეთებინა მოცემულ ვითარებაში. და არასოდეს ჩემს ცხოვრებაში არცერთ ადამიანს არ შეუჩერებია ჩემი ინერცია ასე იოლად და ამდენად სრულად, როგორც ეს დონ ხუანმა იმ დღეს გააკეთა. საქმე მხოლოდ იმაში არ იყო, რომ გაჩუმება მაიძულეს. იყო დრო, როდესაც სიტყვის თქმაც კი არ შემეძლო ოპონენტისთვის რაღაც თანდაყოლილი პატივისცემის გამო, რომელსაც მისადმი ვგრძნობდი. და მაინც, ამ შემთხვევებში ჩემი სიბრაზე ან დაბნეულობა ჩემს აზრებში ვლინდებოდა. მაგრამ დონ ხუანის მზერამ იმდენად მუნჯი გამხადა, რომ გარკვევით ფიქრიც კი შევწყვიტე.

სრულიად დაინტრიგებული ვიყავი ამ განმგმირავი მზერით და გადავწყვიტე კვლავ შევხვედროდი. ამ პირველი შეხვედრის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში ვემზადებოდი და ვკითხულობდი ამერიკელ ინდიელთა მიერ პეიოტის გამოყენების შესახებ. გავეცანი ყველა მისაწვდომ ნაშრომს, და როცა ვიგრძენი, რომ მზად ვიყავი, არიზონაში დავბრუნდი.

შაბათი. 1960 წლის 17 დეკემბერი.

მისი სახლი ადგილობრივი ინდიელების ხანგრძლივი და ძვირადღირებული გამოკითხვების შემდეგ ვიპოვნე. შუადღე იყო, როცა სახლთან მივედი და მის წინ დავდექი. დავინახე დონ ხუანი, რომელიც ხისგან დამზადებულ რძის ბიდონზე იჯდა. როგორც ჩანს მიცნო და მომესალმა, როცა მანქანიდან გადმოვდიოდი.

რაღაც დროის განმავლობაში ცარიელი სტანდარტული ფრაზები გავცვალეთ, შემდეგ კი პირდაპირ ვაღიარე, რომ პირველი შეხვედრისას ძალიან არაგულწრფელი ვიყავი. ვტრაბახობდი, რომ ბევრი რამ ვიცოდი პეიოტის შესახებ მაშინ, როცა სინამდვილეში არაფერი ვიცოდი მასზე. იგი მიყურებდა. ძალიან კეთილი თვალები ჰქონდა. ვუთხარი, რომ ექვსი თვის განმავლობაში ვკითხულობდი, რომ ამ შეხვედრისთვის მოვმზადებულიყავი, და ამჯერად მართლაც ბევრად მეტი ვიცოდი. მას გაეცინა. როგორც ჩანს, ჩემს განცხადებაში რაღაც სასაცილოდ მოეჩვენა. იცინოდა ჩემზე, და ამის გამო თავს ცოტა არ იყოს შეცბუნებულად და უხერხულად ვგრძნობდი.

როგორც ჩანს, შენიშნა ჩემი უხერხულობა და დამარწმუნა, რომ თუმცა კეთილი ზრახვები მქონდა, სინამდვილეში არანაირი საშუალება არ არსებობდა ამ შეხვედრისთვის მოსამზადებლად. ვიფიქრე, ხომ არ მეკითხა, აქვს თუ არა ამ განცხადებას რაღაც ფარული აზრი, მაგრამ აღარ გავაკეთე ეს. თუმცა, როგორც ჩანდა, განწყობილი იყო ჩემი გრძნობების მიმართ და განაგრძობდა ახსნას, თუ რას გულისხმობდა. მან თქვა, რომ ჩემმა ძალისხმევებმა მოაგონა ზღაპარი ადამიანების შესახებ, რომლებსაც მეფემ ოდესღაც ბრალი დასდო და სიკვდილით დასაჯა. თქვა, რომ ზღაპარში დასჯილი ადამიანები არაფრით არ განსხვავდებოდნენ მათგან, ვინც მათ სჯიდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ისინი რაღაც სიტყვებს განსაკუთრებულად იმეორებდნენ, ისე, როგორც მხოლოდ მათთვის იყო დამახასიათებელი. ამ ნაკლმა, რა თქმა უნდა, გასცა ისინი. მეფემ გუშაგები დააყენა გზებზე, კრიტიკულ წერტილებში, სადაც ჩინოვნიკები ყოველი გამვლელისგან საკვანძო სიტყვის წარმოთქმას ითხოვდნენ. ისინი, ვინც მეფესავით წარმოთქვამდნენ მას, ცოცხლები რჩებოდნენ, მაგრამ მათ, ვისაც ეს არ გამოსდიოდა, დაუყოვნებლივ სიკვდილით სჯიდნენ. ზღაპრის მთავარი არსი იმაში იყო, რომ ერთხელ ახალგაზრდა ადამიანმა გადაწყვიტა მომზადებულიყო, რომ საგუშაგო გადაელახა, და ამისთვის ისწავლა გამოსაცდელი სიტყვის ისე წარმოთქმა, როგორც მეფეს მოეწონებოდა.

დონ ხუანმა ფართე ღიმილით თქვა, რომ ფაქტიურად ახალგაზრდა კაცს ამისთვის ექვსი თვე დასჭირდა, რომ სიტყვის სწორად წარმოთქმა ესწავლა. და მოვიდა დიდი გამოცდის დღე. ახალგაზრდა კაცი ძალიან თავდაჯერებული მიუახლოვდა საგუშაგოს და დაელოდა, სანამ ჩინოვნიკი სიტყვის წარმოთქმას სთხოვდა.

ამ მომენტში დონ ხუანმა ძალიან დრამატულად შეწყვიტა თხრობა და შემომხედა. მისი პაუზა ზუსტად იყო გათვლილი და თითქოს ხაფანგად მომეჩვენა, მაგრამ მე თამაშს განვაგრძნობდი. ზღაპრის თემა ადრეც მქონდა მოსმენილი. იქ საქმე ებრაელებს და გერმანელებს ეხებოდა, და მეთოდს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყო ებრაელი გარკვეული სიტყვის წარმოთქმის მიხედვით გამოგერჩია. მე ამბის ძირითადი ხაზიც ვიცოდი: ახალგაზრდა კაცი უნდა შეეპყროთ იმის გამო, რომ ჩინოვნიკს საკვანძო სიტყვა დაავიწყდა და სხვა სიტყვის წარმოთქმა სთხოვა, რომელიც ძალიან ჰგავდა წინას, მაგრამ მისი სწორად წარმოთქმა ამ კაცს ნასწავლი არ ჰქონდა.

როგორც ჩანს, დონ ხუანი ელოდა, რომ შევეკითხებოდი, თუ რა მოხდა. ასეც მოვიქეცი.

— რა დაემართა მას? — ვკითხე მე, და ვეცადე გულუბრყვილო და ძალიან დაინტერესებული გამომეტყველება მიმეღო.

— ახალგაზრდა კაცი, რომელიც მართლაც ცბიერი იყო, მიხვდა, რომ ჩინოვნიკს დაავიწყდა საკვანძო სიტყვა და მანამ, სანამ იგი სხვა რამის თქმას მოასწრებდა, აღიარა, რომ ექვსი თვის განმავლობაში ემზადებოდა.

მან ხანგრძლივი პაუზა გააკეთა, შემომხედა და თვალები საკუთარი თავის გამცემი ელვარებით უბრწყინავდა. ამჯერად მან კარტები შეცვალა. ახალგაზრდა კაცის აღიარება ახალი ელემენტი იყო, და მე უკვე არ ვიცოდი, რით დამთავრდებოდა ისტორია.

— და რა მოხდა შემდეგ? — ვკითხე მართლა დაინტერესებულმა.

— ახალგაზრდა კაცი რა თქმა უნდა დაუყოვნებლივ დახვრიტეს, — თქვა მან და გადაიხარხარა.

მე ძალიან მომეწონა მეთოდი, რომლითაც მან ჩემი ინტერესი დაიპყრო. კიდევ უფრო მეტად მომეწონა მეთოდი, რომლითაც ზღაპარი ჩემს კონკრეტულ შემთხვევას დააკავშირა. გამოდიოდა, რომ ფაქტიურად ჩემთვის შეადგინა. ძალიან ნატიფად და არტისტულად დამცინოდა. მეც გამეცინა მასთან ერთად. ამის შემდეგ ვუთხარი, რომ მიუხედავად იმისა, რამდენად სულელურად შეიძლება ეს ჟღერდეს, მართლა დაინტერესებული ვარ მცენარეებით.

— მე ძალიან მიყვარს სეირნობა, — თქვა მან. ვიფიქრე, რომ საუბრის თემის შეცვლა უნდოდა, რომ არ ეპასუხა ჩემთვის. არ მინდოდა ჩემს წინააღმდეგ განმეწყო დაჟინებულობით. მკითხა, მინდოდა თუ არა მასთან ერთად უდაბნოში გამესეირნა. ენთუზიაზმით ვუთხარი, რომ სიამოვნებით გავისეირნებდი უდაბნოში.

— ეს პიკნიკი არაა, — მითხრა გამაფრთხილებელი ტონით.

ვუთხარი, რომ ძალიან სერიოზულად მინდოდა მასთან მუშაობა, რომ მჭირდებოდა ინფორმაცია, ნებისმიერი სახის ინფორმაცია სამკურნალო მცენარეების გამოყენებაზე, და რომ გადავუხდიდი მისი დროისა და შრომისთვის.

— შენ ჩემზე იმუშავებ, მე კი ხელფასს გადაგიხდი.

— რამდენს გადამიხდი? — მკითხა მან.

მის ხმაში სიხარბის ნოტი დავიჭირე.

— რამდენსაც საჭიროდ ჩათვლი, — ვუთხარი მე.

— გადამიხადე ჩემი დროისთვის… შენი დროით, — თქვა მან.

ვიფიქრე, რომ იგი ძალიან ცნობისმოყვარე პიროვნება იყო. ვუთხარი, რომ ვერ ვხვდებოდი, რას გულისხმობდა. მან თქვა, რომ მცენარეებზე არაფერია სალაპარაკო, ამიტომ ფულის აღება წარმოუდგენელი იყო მისთვის.

— რას აკეთებ ჯიბეში? — თქვა მან და გრიმასა მიიღო. — შენ რა, შენს სირს ეთამაშები? — იგი ამბობდა ჩემს ფარულ ჩაწერაზე მინიატურულ ბლოკნოტში, რომელიც ქურთუკის უზარმაზარ ჯიბეში მედო.

როცა ვუთხარი, რასაც ვაკეთებდი, გულიანად გაეცინა. ვუთხარი, რომ არ მინდოდა შემეწუხებინა და პირდაპირ მის წინ ჩამეწერა.

— თუ ჩაწერა გინდა, ჩაიწერე, არ შემაწუხებ, — თქვა მან.

უდაბნოში ვსეირნობდით, სანამ სრულიად არ დაბნელდა. არანაირ მცენარეებს არ მაჩვენებდა და მათზე საერთოდ არ საუბრობდა. ცოტა ხნით დასასვენებლად შევჩერდით დიდ ბუჩქებთან.

— მცენარეები ძალიან საინტერესონი არიან, — თქვა მან, ისე რომ არც შემოუხედავს. — ისინი ცოცხლები არიან და გრძნობენ.

ზუსტად იმ მომენტში, როდესაც ეს განცხადება გააკეთა, ძლიერი ქარის ტალღამ შეარხია უდაბნოს ბუჩქები ჩვენ გარშემო. მათ მქუხარე ხმა გამოსცეს.

— გესმის? — მკითხა მან და მარჯვენა ხელი ყურზე მიიდო, თითქოს თავის სმენას მიეშველაო. — ფოთლები და ქარი დამეთანხმნენ.

მე გამეცინა. მეგობარმა, რომელმაც შეგვახვედრა, წინასწარ გამაფრთხილა, რომ ფრთხილად ვყოფილიყავი, რადგან მოხუცი ძალიან ექსცენტრული იყო. მე ვიფიქრე, რომ «ფოთლებთან შეთანხმება» მისი ერთ-ერთი ექსცენტრულობა იყო. რაღაც დროის განმავლობაში კიდევ ვისეირნეთ, მაგრამ ჯერ კიდევ არ მაჩვენებდა არანაირ მცენარეს, და ერთი მათგანიც კი არ მოუწყვეტია. უბრალოდ დადიოდა ბუჩქებს შორის და ოდნავ ეხებოდა მათ. შემდეგ გაჩერდა, ქვაზე ჩამოჯდა და მითხრა, რომ გავჩერებულიყავი და მიმეხედ-მომეხედა. მე კვლავაც საუბარს ვთხოვდი. კიდევ ერთხელ მივანიშნე, რომ ძალიან

მინდოდა მცენარეების შესწავლა, განსაკუთრებით პეიოტის. ვთხოვე, რომ ჩემი ინფორმატორი გამხდარიყო რაღაც გარკვეული ფულადი გასამრჯელოს სანაცვლოდ.

— შენ არ გჭირდება ფულის გადახდა, — მითხრა მან. — შეგიძლია მკითხო, რაც გინდა. ყველაფერს მოგიყვები, რაც ვიცი, შემდეგ კი გეტყვი, რა უყო ამ ყველაფერს.

მკითხა, ვიყავი თუ არა თანახმა მის გეგმაზე. მე აღფრთოვანებული ვიყავი. შემდეგ იდუმალებით მოცული შენიშვნა დაამატა:

— შესაძლოა არაფერია ისეთი, რისი სწავლებაც მცენარეებზე შეიძლება, რადგან მათზე არაფერია სათქმელი.

ან ვერ გავიგე, რა თქვა, ან ვერ გავიგე, რა იგულისხმა.

— რა თქვი? — ვკითხე მე. მან ეს შენიშვნა სამჯერ გაიმეორა, და შემდეგ მთელი მიდამო სამხედრო რეაქტიული თვითმფრინავის წუილმა გააყრუა.

— აი! სამყარო დამეთანხმა, — თქვა მან და მარცხენა ხელისგული ყურთან მიიტანა.

ძალიან სასიამოვნოდ გამოიყურებოდა. მისი სიცილი გადამდები იყო.

— შენ არიზონადან ხარ, დონ ხუან? — ვკითხე მე, ვცდილობდი რა შემენარჩუნებინა საუბარი იმ ფარგლებში, რომ ჩემი ინფორმატორი ყოფილიყო. შემომხედა და დასტურის ნიშნად თავი დამიქნია. მეჩვენებოდა, რომ თვალები დაღლილი ჰქონდა.

— ამ რაიონში დაიბადე?

თავი დამიქნია და კვლავაც არ მიპასუხა. ეს დამადასტურებელ ჟესტს ჰგავდა, მაგრამ ასევე ჰგავდა ჩაფიქრებული ადამიანის თავის ნერვიულ ქნევას.

— შენ თვითონ საიდან ხარ? — მკითხა მან.

— მე სამხრეთ ამერიკიდან ვარ, — ვუპასუხე მე.

— ეს დიდი ადგილია. მთელი ამ ადგილიდან ხარ?

მისი მზერა კვლავაც გამჭოლი იყო, როცა შემომხედა. დავიწყე ჩემი დაბადების ვითარებების აღწერა, მაგრამ გამაჩერა.

— ამ თვალსაზრისით ჩვენ ერთმანეთს ვგავართ, — თქვა მან. — მე ახლა ვცხოვრობ აქ, მაგრამ სინამდვილეში იაკი ვარ, სონორიდან.

— და ეს ყველაფერია! მე თავად...

არ დამამთავრებინა.

— ვიცი, ვიცი, — თქვა მან. — შენ ის ხარ, ვინც ხარ, იქიდან ხარ, საიდანაც ხარ. ისევე როგორც მე ვარ იაკი სონორიდან.

მისი თვალები ძალიან ნათელი იყო, ხოლო სიცილი უცნაურად შემაწუხებელი. ისე მაგრძნობინა თავი, თითქოს რაღაც ტყუილში გამომიჭირაო. დანაშაულის საინტერესო გრძნობა განვიცადე. მქონდა შეგრძნება, რომ მან ისეთი რაღაც იცის, რაც მე არ ვიცი, ან არ მინდა ვთქვა. ჩემი უცნაური გაღიზიანება იზრდებოდა. როგორც ჩანს, შეამჩნია ეს, იმიტომ, რომ მკითხა, ხომ არ მინდოდა ქალაქში, რესტორანში ჭამა.

მისი სახლისკენ უკან მიმავალ გზაზე და შემდეგ ქალაქისკენ, ავტომობილზე ჯდომისას თავი უკეთ ვიგრძენი, მაგრამ ბოლომდე ვერ მოვდუნდი. რაღაცნაირად ვგრძნობდი, რომ რაღაც საფრთხე მემუქრებოდა, მაგრამ მიზეზს ვერ ვპოულობდი. მინდოდა მისთვის რესტორანში ლუდი მეყიდა. მან თქვა, რომ არასოდეს სვამს, ლუდსაც კი. ჩემთვის გამეცინა. არ დავუჯერე. მეგობარი, რომელმაც ერთმანეთს შეგვახვედრა, მეუბნებოდა, რომ მოხუცი დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში თავის ჭკუაზე ვერ იყო. მართლა არ მაინტერესებდა, იტყუებოდა თუ არა დასალევის შესახებ. მომწონდა დონ ხუანი. რაღაც დამამშვიდებელი იყო მის პიროვნებაში.

როგორც ჩანს სახეზე ეჭვი გამომეხატა, რადგანაც შემდეგ ახსნა დამიწყო, რომ ახალგაზრდობაში სვამდა, მაგრამ ერთხელაც უბრალოდ თავი დაანება.

— ადამიანებს არც კი ესმით, რომ ჩვენი ცხოვრებიდან ნებისმიერ დროს შეგვიძლია გადავაგდოთ რაც გვინდა. უბრალოდ ასე. — მან თითები გაატკაცუნა.

— ფიქრობ, რომ ასე ადვილია დალევაზე ან მოწევაზე თავის დანებება? — ვკითხე მე.

— რა თქმა უნდა! — თქვა მან დიდი დარწმუნებით. — მოწევა და დალევა არაფერია, საერთოდ არაფერია, თუ მათთვის თავის დანებება გვინდა.

ამ მომენტში ყავის მადუღარამ, რომელშიც წყალი დუღდა, მჭექარე ხმა გამოსცა.

— გესმის ეს! — წამოიძახა თვალებგაბრწყინებულმა დონ ხუანმა. — მადუღარა მეთანხმება.

შემდეგ პაუზის შემდეგ დაამატა:

— ადამიანს შეუძლია ყველაფრისგან მიიღოს თანხმობა, რაც მის გარშემოა.

ამ კრიტიკულ მომენტში ყავის მადუღარამ ჭეშმარიტად ხორხისმიერი ხმა გამოსცა. მან შეხედა მადუღარას და უთხრა: — გმადლობ, — თავი დაუქნია, შემდეგ კი გადაიხარხარა. მე გავმხიარულდი. მისი ხარხარი ზედმეტად ხმამაღალი იყო, მაგრამ გულწრფელად მომწონდა ეს ყველაფერი.

ამის შემდეგ პირველი რეალური სესია ჩემს «ინფორმატორთან» დასრულდა. მე ვუთხარი, რომ მეგობრები მყავს სანახავი, და მოხარული ვიქნებოდი, კიდევ მომენახულებინა იგი შემდეგი კვირის ბოლოს.

— როდის იქნები სახლში? — ვკითხე მე.

იგი დაჟინებით მაკვირდებოდა.

— როცა მოხვალ, — მიპასუხა მან.

— ზუსტად არ ვიცი, როდის მოვალ.

— მაშინ უბრალოდ მოდი, ნუ იღელვებ მაგაზე.

— სახლში რომ არ დამხვდე?

— სახლში ვიქნები, მითხრა ღიმილით და წავიდა.

მე გავეკიდე და ვკითხე, ხომ არ იქნებოდა წინააღმდეგი, თუ თან ფოტოაპარატი მექნებოდა, რათა მისთვის და მისი სახლისთვის ფოტოები გადამეღო.

— ამაზე საუბარიც ვერ იქნება, — მითხრა მან გრიმასით.

— მაგნიტოფონზე რას იტყვი? ამის წინააღმდეგიც ხარ?

— ვშიშობ, რომ ასეთი შესაძლებლობაც არ იქნება.

თავი გაღიზიანებულად ვიგრძენი. ვთქვი, რომ ვერ ვხედავდი უარის ლოგიკურ მიზეზს.

დონ ხუანმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— დაივიწყე ეს, — თქვა ძლიერად. — და თუ კიდევ გინდა ჩემი ნახვა, არასოდეს გამიმეორო.

მე უკანასკნელად შევეწინააღმდეგე. ვუთხარი, რომ ფოტოსურათები და აუდიო-ჩანაწერები შეუფასებელია ჩემი სამუშაოსთვის. მან მიპასუხა, რომ მხოლოდ ერთი რამაა შეუფასებელი და მას «სული» უწოდა.

— სულის გარეშე ფონს ვერ გახვალ, — თქვა მან. — შენ კი ის არ გაქვს. ამაზე იდარდე, და არა ფოტოსურათებზე.

— რას?..

მან თავისი მოძრაობით შემაჩერა და რამდენიმე ნაბიჯით ისევ მომიახლოვდა.

— აუცილებლად დაბრუნდი, — მითხრა რბილად და დამშვიდობების ნიშნად ხელი დამიქნია.

2. პირადი ისტორიის წაშლა

ხუთშაბათი, 1960 წლის 22 დეკემბერი.

დონ ხუანი იატაკზე იჯდა, თავისი სახლის კართან, ზურგით კედლისკენ. ხის ბიდონი გადააბრუნა და მთხოვა, რომ დავმჯდარიყავი და ისე მეგრძნო თავი, როგორც საკუთარ სახლში. სიგარეტის კოლოფი შევთავაზე, რომელიც თან წავიღე. მითხრა, რომ არ ეწეოდა, მაგრამ საჩუქარი მიიღო. ჩვენ ვსაუბრობდით ღამის სიცივეზე უდაბნოში და სხვა ჩვეულებრივ თემებზე.

მე ვკითხე, ხელს ხომ არ ვუშლიდი მის ჩვეულ განრიგს. მან რაღაც გრიმასით შემომხედა და მითხრა, რომ არანაირი განრიგი არ აქვს და შემიძლია საღამომდე დავრჩე თუ მინდა.

რამდენიმე კითხვარი მოვამზადე გენიალოგიისა და გვაროვნული ურთიერთობების შესახებ, და მინდოდა მისი მეშვეობით შემევსო. ასევე შევადგინე კულტურული ნიშნების გრძელი სია ეთნოგრაფიულ ლიტერატურაზე, რომლებიც, როგორც ვთვლიდი, ამ რაიონის ინდიელებისთვის იყო დამახასიათებელი. მინდოდა მასთან ერთად გამევლო სიები და ამეღნიშნა ყველა საკითხი, რომელიც მისთვის იყო ნაცნობი. დავიწყე გვაროვნული ურთიერთობის კითხვარით:

— რას ეძახდი შენს მამას? — ვკითხე მე.

— მე მას მამას ვეძახდი, — მითხრა ძალიან სერიოზული სახით.

მცირე გაღიზიანება ვიგრძენი, მაგრამ განვაგრძე, რადგან ვიფიქრე, რომ კითხვა ვერ გაიგო.

კითხვარი ვაჩვენე და ავუხსენი, რომ ერთი გრაფა იქ მამის შესახებაა, მეორე კი — დედის შესახებ. მოვიყვანე სხვადასხვა სიტყვების მაგალითები, რომლებიც ინგლისურ და ესპანურ ენებში გამოიყენება იმისთვის, რომ დედას და მამას მივმართოთ. ვიფიქრე, რომ დედით უნდა დამეწყო.

— რას ეძახდი შენს დედას? — ვკითხე მე.

— მე მას დედას ვეძახდი, — მითხრა ძალიან მიამიტი ტონით.

— მე ვგულისხმობ, სხვა რა სიტყვებს იყენებ იმისთვის, რომ შენს დედას და მამას მიმართო? რას ეძახდი მათ? — ვუთხარი, და ვცდილობდი მომთმენი და ზრდილობიანი ვყოფილიყავი. მან თავი მოიქექა და სულელური გამომეტყველებით შემომხედა.

— აჰა, — თქვა მან. — აი, აქ დამიჭირე. მოიცა, მოვიფიქრო.

წუთიერი გაურკვევლობის შემდეგ თითქოს გაიხსენა რაღაც, და ჩასაწერად მოვემზადე.

— ნუ, — თქვა მან, თითქოს სერიოზულად ფიქრობდა. — კიდევ როგორ ვეძახდი? მე მათ ვეძახდი: ეი-ეი, მამა! ეი-ეი, დედა!

მე ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ გამეცინა. მისი გამომეტყველება მართლაც კომიკური იყო, და იმ მომენტში არ ვიცოდი, ძალიან ცბიერი მოხუცი იყო, რომელიც მასულელებდა, თუ მართლა უბრალო და მიამიტი იყო. მთელი მოთმინება მოვიკრიბე და ავუხსენი, რომ ეს ძალიან სერიოზული საკითხია და ჩემი სამუშაოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია ყველა ამ ბლანკის შევსება. ვცდილობდი, რომ გაეგო გენეალოგიისა და პირადი ისტორიის იდეა.

— რას ეძახდენ შენს დედას და მამას? — ვკითხე მე. მან ნათელი და კეთილი თვალებით შემომხედა.

— ნუ კარგავ დროს ამ სისულლეში, — მითხრა მან რბილად, მაგრამ მოულოდნელი ძალით. არ ვიცოდი რა მეთქვა. მეჩვენებოდა, რომ ვიღაც სხვამ წარმოთქვა ეს სიტყვები.

მანამდე ერთი წამით ადრე იგი გაოგნებული სულელი ინდიელი იყო, რომელიც თავს იფხანდა, და მყისიერად შეიცვალა როლი. მე ვიყავი სულელი, ის კი აღუწერელი მზერით მიყურებდა, რომელშიც არ იყო არც გაღიზიანება, არც ზიზღი, არც სიძულვილი, არც მწუხარება. ეს თვალები კეთილი, ნათელი და განმსჭვალავი იყო.

— მე არ მაქვს არანაირი პირადი ისტორია, — თქვა მან ხანგრძლივი პაუზის შემდეგ. — ერთხელ აღმოვაჩინე, რომ აღარ მჭირდება პირადი ისტორია, და ისევე როგორც დალევა, გადავაგდე იგი.

კარგად ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა. უცებ უხერხულად, საფრთხის ქვეშ ვიგრძენი თავი. შევახსენე მისი პირობა, რომ შემეძლო კითხვები დამესვა. მან მიპასუხა, რომ სულაც არაა ამის წინააღმდეგი.

— მე აღარ მაქვს პირადი ისტორია, — თქვა მან და გამომცდელად შემომხედა. — ერთხელ გადავაგდე იგი, როცა მივხვდი, რომ აღარ მჭირდებოდა.

მივაშტერდი, და ვცდილობდი მისი სიტყვების ფარული აზრი გამეგო.

— კი, მაგრამ როგორ შეიძლება საკუთარი პირადი ისტორიის გადაგდება? — ვკითხე კამათის განწყობით.

— თავიდან ამის სურვილი უნდა გქონდეს, — თქვა მან, — შემდეგ კი ჰარმონიულად უნდა იმოქმედო, რომ ნელ-ნელა მოიჭრა იგი.

— მაგრამ რატომ უნდა ჰქონდეს ვინმეს ამის სურვილი? — წამოვიძახე მე.

მე საშინლად ძლიერი მიჯაჭვულობა მქონდა ჩემს პირად ისტორიაზე. ჩემი საგვარეულო ფესვები ძალიან ღრმა იყო. გულწრფელად ვგრძნობდი, რომ მათ გარეშე ჩემს ცხოვრებას არც მიზანი ექნებოდა და არც ხანგრძლივობა.

— იქნებ მითხრა, რას გულისხმობ პირადი ისტორიის გადაგდებაში, — ვუთხარი მე.

— მასთან განშორებას, აი, რას ვგულისხმობ, — მოჭრით მომიგო მან.

მე მაინც დაჟინებით ვამტკიცებდი, რომ არ მესმოდა ეს ყველაფერი.

— აი, შენ, მაგალითად — იაკი ხარ და ვერ შეცვლი ამას.

— ნუთუ მე იაკი ვარ? — მკითხა მან ღიმილით. — საიდან იცი ეს?

— მართალია! ეს ვერ მეცოდინება ზუსტად. ასეა. მაგრამ შენ იცი ეს, და სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა. სწორედ ეს ქმნის პირად ისტორიას. — ვგრძნობდი, რომ კუთხეში მოვიმწყვდიე.

— ის ფაქტი, რომ მე ვიცი, ვარ თუ არა იაკი, არ აქცევს ამას პირად ისტორიად, — შენიშნა მან. — მხოლოდ მაშინ, როცა ვიღაც სხვამაც იცის ეს, იგი ხდება პირადი ისტორია. და გარწმუნებ, რომ ვერასოდეს ვერავინ ვერ გაიგებს ამას დაზუსტებით.

მე როგორღაც ჩავიწერე, რაც თქვა. შემდეგ შევწყვიტე ჩაწერა და შევხედე. არ შემეძლო მასზე წარმოდგენის შექმნა. აზრობრივად გავირბინე ჩემს წარმოდგენებში მის შესახებ. მისი იდუმალი და უპრეცედენტო მზერა პირველივე შეხვედრაზე. აღტაცება, რომლითაც ამტკიცებდა, რომ ყველაფრისგან თანხმობას იღებდა, რაც მის გარშემო იყო. მისი გამაღიზიანებელი იუმორი და მისი ალერტულობა, მისი აშკარად სულელური გამომეტყველება, როცა დედისა და მამის შესახებ ვეკითხებოდი, შემდეგ კი მისი მტკიცებულებების ეს მოულოდნელი ძალა, რომლებმაც მაშინვე შორს მომისროლა.

— შენ არ იცი, ვინ ვარ, ასე არაა? — თქვა მან, თითქოს ჩემს აზრებს კითხულობსო. — შენ ვერასოდეს გაიგებ, ვინ ვარ, ან რას ვაკეთებ, რადგანაც მე არ გამაჩნია პირადი ისტორია.

მკითხა, მყავდა თუ არა მამა. მე ვუთხარი რომ მყავდა. მან მითხრა, რომ მამაჩემი იმის მაგალითი იყო, რის შესახებაც იგი საუბრობდა. მთხოვა, გამეხსენებინა, რას ფიქრობდა ჩემზე მამაჩემი.

— მამაშენმა ყველაფერი იცოდა შენზე, — თქვა მან, — ამიტომ მან ბოლომდე დაგგეგმა. იცოდა, ვინ ხარ, და რას აკეთებ. და არ არსებობს ძალა ამქვეყნად, რომელიც მას შენზე შეხედულების შეცვლას აიძულებს.

დონ ხუანმა თქვა, რომ ყველას, ვინც მიცნობდა, საკუთარი იდეა ჰქონდა ჩემ შესახებ, და მე ამ იდეას ყველაფრით ვკვებავდი, რაც არ უნდა მეკეთებინა.

— ნუთუ ვერ ხედავ? — მკითხა დრამატულად. — შენ იძულებული ხარ, განაახლო შენი პირადი ისტორია, უნდა უთხრა შენს მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს ყველაფერი, რასაც აკეთებ. მეორე მხრივ, თუ პირადი ისტორია არ გაქვს, არანაირი ახსნა არაა საჭირო, არავინ არ ბრაზდება, არავინ არ რჩება გაწბილებული შენი მოქმედებებით. და უფრო მეტიც, არავინ მიგალურსმნავს თავისი აზრებით.

უეცრად იდეა ნათელი გახდა ჩემს გონებაში. ეს თვითონაც თითქმის ვიცოდი, მაგრამ არასოდეს განმიხილავს ეს აზრები. არ გქონდეს პირადი ისტორია — მართლაც მაცდური კონცეფცია იყო, ყოველ შემთხვევაში ინტელექტუალურ დონეზე. თუმცაღა ამან მარტოობის შეგრძნება მომიტანა, რომელიც საშიშად და საზიზღრად მომეჩვენა. მინდოდა მელაპარაკა მასთან ამ ჩემს გრძნობებზე, მაგრამ ყურადღებით ვიყავი. რაღაც შეუსაბამო იყო ამ სიტუაციაში. უხერხულობას ვგრძნობდი იმაში, რომ ფილოსოფიურ კამათში შევდიოდი ბებერ ინდიელთან, რომელსაც ცხადია, არ გააჩნია უნივერსიტეტის სტუდენტის «ინტელექტუალობა». რაღაცნაირად მან შეძლო, რომ შორს წავეყვანე ჩემი პირველადი განზრახვისგან — გამომეკითხა მისი გენეალოგია.

— არ ვიცი, რატომ ვსაუბრობთ ამ ყველაფერზე მაშინ, როცა მხოლოდ რამდენიმე სახელის გაგება მინდოდა ჩემი ბლანკებისთვის, — ვთქვი მე და ამით ვეცადე ჩემთვის სასურველი თემისკენ შემომებრუნებინა საუბარი.

— ეს ძალიან მარტივია, — თქვა მან. — მეთოდი, რომლითაც ამ საუბრამდე მივედით, მდგომარეობს იმაში, რომ მე ვთქვი, რომ ადამიანის წარსულის შესახებ კითხვების დასმა — სრული უაზრობაა.

მტკიცე ტონი ჰქონდა. ვგრძნობდი, რომ არ არსებობდა მისი დაყოლიების საშუალება, ამიტომ ტაქტიკა შევცვალე.

—რა იდეაა ეს, არ გქონდეს პირადი ისტორია, ეს ისაა, რასაც იაკები აკეთებენ? — ვკითხე მე.

— ეს ისაა, რასაც მე ვაკეთებ.

— სად ისწავლე ეს?

— ესმთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვისწავლე.

— ეს მამამ გასწავლა?

— არა, ჩემით ვისწავლე, ახლა კი მინდა ეს საიდუმლო შენ გადმოგცე, რომ დღეს ხელცარიელი არ წახვიდე.

მან ხმას დრამატულად დაუწია. მე გამეცინა მის ტრიუკებზე. იძულებული ვიყავი მეღიარებინა, რომ სულაც არ იყო სულელი. თავში მომივიდა აზრი, რომ თანდაყოლილი ნიჭის მქონე მსახიობის გვერდით ვიმყოფებოდი.

— ჩაიწერე, — თქვა მან მფარველური ტონით. — რატომაც არა. როგორც ჩანს უფრო მოხერხებულად გრძნობ თავს, როცა იწერ.

შევხედე, და როგორც ჩანს ჩემმა თვალებმა გასცა ჩემი დაბნეულობა. ბარძაყებზე ხელები დაირტყა და კმაყოფილებით გადაიხარხარა.

— ყველაზე კარგია, როცა პირად ისტორიას მთლიანად შლი, — თქვა მან და თითქოს დრო მომცა ჩაწერისთვის, — რადგანაც ეს თავისუფალს გვხდის სხვა ადამიანების შემომგარსველი აზრებისგან.

ვერ ვიჯერებდი, რომ მართლა თქვა ეს. ძალიან რთული მომენტი მქონდა. როგორც ჩანს ჩემს სახეზე ამოიკითხა შინაგანი გაურკვევლობა და დაუყოვნებლივ გამოიყენა ეს.

— აი, მაგალითად, შენ — განაგრძო მან. — სწორედ ახლა შენ არ იცი, მოდიხარ თუ მიდიხარ, და ეს იმიტომ, რომ მე წავშალე ჩემი პირადი ისტორია. ნელ-ნელა ბურუსი შევქმენი ჩემ გარშემო და ჩემი ცხოვრების გარშემო. და ახლა არავინ არ იცის დაზუსტებით, ვინ ვარ და რას ვაკეთებ.

— მაგრამ შენ თვითონ იცი ვინ ხარ, ასე არაა? — ჩავერთე მე.

— მე, გულწრფელად გეუბნები... არ ვიცი! — წამოიძახა და ჩემი გაოცებული სახის შემხედვარე ხარხარით იატაკზე გაგორდა.

საკმაოდ დიდხანს იყო ჩუმად, რათა იძულებული ვყოფილიყავი დამეჯერებინა, რომ ახლა იტყოდა: «ვიცი», როგორც ამას ველოდი. მისმა მოულოდნელმა საწინააღმდეგო პასუხმა შემაშინა.

—ესაა პატარა საიდუმლო, რომლის მოცემასაც დღეს ვაპირებდი, — თქვა მან დაბალი ხმით, — არავინ არ იცის ჩემი პირადი ისტორია. არავინ არ იცის, ვინ ვარ და რას ვაკეთებ. მეც კი არ ვიცი.

მან თვალები დაიელმა. მე არ მიყურებდა, არამედ სადღაც ჩემი მარჯვენა მხრის ზემოთ იყურებოდა. ფეხებგადაჯვარედინებული იჯდა, ზურგი გამართული ჰქონდა, და მაინც მოდუნებული ჩანდა. ამ მომენტში თავად რისხვის განსახიერება იყო. მე წარმოვიდგინე იგი ინდიელ ბელადად, «წითელკანიან მეომრად» ჩემი ბავშვობის რომანტიულ ლეგენდებში. ჩემმა რომანტიზმმა სადღაც შორს წამიღო და უკიდურესად მკაფიო გაორების შეგრძნებამ შემიპყრო. შემეძლო გულწრფელად მეთქვა, რომ ძალიან მომწონდა, და ამავე დროს შემეძლო მეთქვა, რომ სასიკვდილოდ მეშინოდა მისი.

ეს უცნაური მზერა დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნა.

— როგორ შემიძლია ვიცოდე ვინ ვარ, როცა ეს ყველაფერი ვარ, — თქვა, და გარემოცვაზე მოძრაობის ჟესტით მიმითითა. შემდეგ შემომხედა და გაეღიმა.

— ნელ-ნელა ბურუსი უნდა შექმნა შენს გარშემო. უნდა წაშალო გარშემო ყველაფერი მანამ, სანამ არაფერი დარჩება თავისთავად ცხადი, სანამ არაფერი აღარ დარჩება ზუსტი და რეალური. შენი პრობლემა ახლა იმაშია, რომ მეტისმეტად რეალური ხარ. შენი ძალისხმევები მეტისმეტად რეალურია. შენი განწყობები მეტისმეტად რეალურია. ნუ მიიღებ მოვლენებს ამდენად თავისთავადად. საკუთარი თავის წაშლა უნდა დაიწყო.

— რისთვის? — ვკითხე გაოგნებულმა.

ჩემთვის ცხადი გახდა, რომ იგი ქცევას განმისაზღვრავდა. მთელი ჩემი ცხოვრება ვუახლოვდებოდი გარდამტეხ მომენტს, როცა ვიღაც ცდილობდა ეთქვა ჩემთვის, თუ რა მეკეთებინა. უბრალოდ აზრი იმის შესახებ, რომ მასწავლიდნენ, რა მეკეთებინა, ჩემში მყისიერად იწვევდა აქტიურ პროტესტს.

— შენ მითხარი, რომ მცენარეების შესწავლა გინდა, — თქვა მან მშვიდად. — გინდა მუქთად მიიღო რაიმე? რას ფიქრობ ამაზე? ჩვენ შევთანხმდით, რომ კითხვებს დამისვამდი, და მეც გეტყოდი იმას, რაც ვიცი. თუ ეს არ მოგწონს, მაშინ აღარაფერი გვაქვს სალაპარაკო.

ეს საშინელი პირდაპირობა პროტესტის გრძნობას იწვევდა ჩემში, მაგრამ გულის სიღრმეში ვაცნობიერებდი, რომ მართალი იყო.

— მოდი, მაშინ ასე ვქნათ, — განაგრძო მან. — თუ მცენარეების შესწავლა გინდა და რადგანაც მათზე მართლა არაფერია მოსაყოლი, მაშინ სხვა რაღაცეებთან ერთად შენი პირადი ისტორია უნდა წაშალო.

— როგორ? — ვკითხე მე.

— მარტივით დაიწყე. მაგალითად, არ მოუყვე არავის, რას აკეთებ სინამდვილეში. შემდეგ უნდა მიატოვო ყველა, ვინც კარგად გიცნობს. ამგვარად ბურუსს შექმნი შენ გარშემო.

— ეს ხომ აბსურდია! — გავაპროტესტე მე. — რატომ არ უნდა მიცნობდნენ ადამიანები? რა არის ამაში ცუდი?

— ცუდი აქ ისაა, რომ თუ ერთხელ გაგიცნეს, მაშინ შენ უკვე რაღაც ისეთი ხდები, რაც თავისთავადია, და ამ მომენტიდან დაწყებული, შენ უკვე ვეღარ გაწყვეტ კავშირს მათ აზრებთან. პირადად მე სრული თავისუფლება მიყვარს — უცნობად ყოფნა. არავინ მიცნობს გაყინული თავდაჯერებით, ისე, როგორც მაგალითად შენ გიცნობენ.

— მაგრამ ეს ხომ ტყუილი იქნებოდა.

— მე საქმე არ მაქვს ტყუილთან ან მართალთან, — თქვა მან მკაცრად. — ტყუილი მაშინაა ტყუილი, როცა პირადი ისტორია გაქვს.

მე შევეპასუხე, რომ არ მომწონდა ადამიანების განზრახ მისტიფიკაცია და მათი შეცდომაში შეყვანა. მისი პასუხი იყო, რომ მე ისედაც ყველა შეცდომაში შემყავდა.

მოხუცი ჩემი ცხოვრების მტკივნეულ ადგილს შეეხო. არ მიკითხავს, რას გულისხმობდა ამაში, ან საიდან გაიგო, რომ გამუდმებით შეცდომაში შემყავდა ხალხი. უბრალოდ რეაგირება მოვახდინე იმით, რომ თავი ახსნა-განმარტებით დავიცავი. ტკივილით ვაღიარე, რომ ჩემი ოჯახი და მეგობრები არასაიმედოდ მთვლიან იმ დროს, როცა სინამდვილეში ცხოვრებაში არასოდეს მითქვამს ტყუილი.

— შენ ყოველთვის იცოდი, როგორ გეთქვა ტყუილი, — თქვა მან. — და ერთადერთი რამ, რაც არ გქონდა, ეს ის იყო, რომ არ იცოდი, რისთვის უნდა გაგეკეთებინა ეს. ახლა უკვე იცი.

მე გავაპროტესტე.

— ნუთუ ვერ ხედავ, რომ მართლა ძალიან დავიღალე იმისგან, რომ ადამიანები არასაიმედოდ მთვლიან, — ვთქვი მე.

— და შენ ხომ მართლა არასაიმედო ხარ, — შენიშნა მან დარწმუნებით.

— ეშმაკმა დალახვროს, ეს ასე არაა! — წამოვიძახე მე.

ჩემმა განწყობამ, ნაცვლად იმისა, რომ სერიოზულობამდე მიეყვანა, ისტერიული სიცილი აიძულა მას. მართლა ვეღარ ვიტანდი ამ მოხუცს ყველა მისი გამოხტომის გამო. საუბედუროდ, მართალი იყო ჩემთან დაკავშირებით. რაღაც დროის შემდეგ დავმშვიდდი, და მან საუბარი განაგრძო.

როცა პირადი ისტორია არ გაქვს, — მიხსნიდა იგი, — მაშინ რაც არ უნდა თქვა, ტყუილად ვერ აღიქმება. შენი გასაჭირი იმაშია, რომ იძულებული ხარ იმპულსურად აუხსნა ყველაფერი ნებისმიერს, და ამავე დროს გინდა შეინარჩუნო სისაღე და სიახლე იმისა, რასაც აკეთებ. და რადგანაც არ შეგიძლია იყო აღტაცებული მას შემდეგ, რაც ყველაფერი აუხსენი რასაც აკეთებდი, შენ იტყუები იმისთვის, რომ გააგრძელო ეს გრძნობები.

მე მართლაც გაოგნებული ვიყავი ჩვენი საუბრის მასშტაბით. ყველა დეტალი ჩავიწერე როგორც შემეძლო. კონცენტრაციას ვახდენდი მის სიტყვებზე, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ მიკერძოებულობაზე ან მის მნიშვნელობაზე მეფიქრა.

— ამ მომენტიდან, — თქვა მან, — უბრალოდ უნდა აჩვენო ადამიანებს ყველაფერი, რასაც საჭიროდ ჩათვლი, მაგრამ ამასთან არასოდეს უნდა უთხრა ზუსტად, თუ როგორ გააკეთე ეს.

— არ შემიძლია საიდუმლოებების შენახვა! — წამოვიძახე მე. — რასაც მეუბნები, უსარგებლოა ჩემთვის.

— მაშინ შეიცვალე! — თქვა მან მოწყვეტით, მრისხანე ელვარებით თვალებში.

იგი გამოიყურებოდა, როგორც უცნაური ველური ცხოველი, და ამავდროულად მისი აზრები და სიტყვები ძალზე დალაგებული იყო. ჩემმა გაღიზიანებამ ადგილი დაუთმო უსიამოვნო დაბნეულობის შეგრძნებას.

— ხედავ, — განაგრძო მან, — ჩვენ მხოლოდ ორი არჩევანი გვაქვს. ან ვღებულობთ ყველაფერს, როგორც რეალურს, დანამდვილებითს, ან არ ვაკეთებთ ამას. თუ პირველს მივყვებით, იმით ვამთავრებთ, რომ სიკვდილამდე ვიღლებით საკუთარი თავისგან და სამყაროსგან. თუ მეორეს მივყვებით და წავშლით პირად ისტორიას, ჩვენ გარშემო ბურუსს შევქმნით, ძალიან საოცარ და მისტიურ მდგომარეობას, რომელშიც არავინ იცის, საიდან გამოხტება კურდღელი, ჩვენ თვითონაც კი არ ვიცით.

მე ვთქვი, რომ პირადი ისტორიის წაშლა მხოლოდ გაზრდის ჩვენი დაუცველობის შეგრძნებას.

— როცა დანამდვილებითი არაფერია, ჩვენ ვრჩებით ალერტულები, ყოველთვის ფეხის წვერებზე, — თქვა მან. — როცა არ იცი, რომელი ბუჩქის უკანაა კურდღელი, უფრო მშვენიერია, ვიდრე ისე მოქცევა, თითქოს ყველაფერი ვიცოდეთ.

დიდი ხნის განმავლობაში ხმა აღარ ამოუღია. შეიძლება საათიც კი გავიდა სრულ მდუმარებაში. არ ვიცოდი რა მეკითხა. როგორც იქნა წამოდგა, და მთხოვა, რომ ყველაზე ახლოს მყოფ ქალაქამდე წამეყვანა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩვენმა საუბარმა დამაცარიელა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სადაცაა ჩამეძინებოდა. გზაში გაჩერება მთხოვა და მითხრა, რომ თუ მოდუნება მომინდებოდა, გზასთან ახლოს, მცირე გორაკის თავზე უნდა ავსულიყავი და თავით აღმოსავლეთისკენ მუცელზე დავწოლილიყავი. ხმაზე ეტყობოდა, რომ ჩქარობდა. არ მინდოდა შეკამათება, ან შესაძლოა უბრალოდ იმდენად დავიღალე, რომ ლაპარაკიც არ შემეძლო. გორაკზე ავედი და ისე გავაკეთე, როგორც მითხრა.

მხოლოდ ორი ან სამი წუთი მეძინა, მაგრამ ეს საკმარისი იყო, რომ ჩემი ენერგია აღდგენილიყო. ქალაქის ცენტრამდე მივედით, სადაც მთხოვა, რომ ჩამომესვა.

— დაბრუნდი, — მითხრა მანმანქანიდან გადასვლისას. — აუცილებლად დაბრუნდი.

3. საკუთარი თავის მნიშვნელოვნების დაკარგვა

მე მქონდა შესაძლებლობა, განმეხილა დონ ხუანთან ჩემი ორი წინა ვიზიტი ჩემს იმ მეგობართან, რომელმაც შეგვახვედრა ერთმანეთს. მისი აზრით დროს ვკარგავდი. ბოლო დეტალებამდე მოვუყევი ჩვენი საუბრები. იგი თვლიდა, რომ ვაჭარბებდი და რომანტიულ ორეოლს ვუქმნიდი ჩერჩეტ ბებერს.

მაგრამ ჩემთვის ძნელი იქნებოდა ასეთი უჩვეულო მოხუცის რომანტიზება. გულწრფელად ვგრძნობდი, რომ ჩემი პიროვნების მიმართ მისი კრიტიკა სერიოზული საფუძველი იყო იმისა, რომ იგი მომწონდა. თუმცაღა უნდა მეღიარებინა, რომ ეს კრიტიკა არასოდეს არ იყო უადგილო და ბოლო ასომდე მართალი იყო.

ჩემი პრობლემის მთავარი ღერძი ამჯერად ის იყო, რომ არ მინდოდა მეღიარებინა ერთი რამ — დონ ხუანს შეეძლო სამყაროს შესახებ ჩემი ყველა რწმენა დაენგრია, და ასევე არ მინდოდა დავთანხმებოდი მეგობარს, რომელიც თვლიდა, რომ «ბებერი ინდიელი უბრალოდ ჩერჩეტია». თავს ვალდებულად ვგრძნობდი, რომ კიდევ ერთხელ მომენახულებინა, სანამ მასზე ჩემს შეხედულებას შევიქმნიდი.

ოთხშაბათი, 1960 წლის 28 დეკემბერი.

როგორც კი მასთან ჩავედი, სასეირნოდ წამიყვანა უდაბნოს ჩაპარალში. არც კი შეხედა პროდუქტებით სავსე ტომარას, რომლებიც მივუტანე. მომეჩვენა, რომ მელოდებოდა.

რამდენიმე საათის განმავლობაში მივდიოდით. იგი არ აგროვებდა, არ მაჩვენებდა არანაირ მცენარეს. თუმცა მასწავლიდა «სიარულის სწორ მეთოდს». მეუბნებოდა, რომ სიარულის დროს ოდნავ უნდა მოვხარო თითები იმისთვის, რომ შევძლო ყურადღების მიქცევა გზისთვის და გარშემომყოფებისთვის. მან განაცხადა, რომ ჩემი სიარულის ჩვეული მანერა საშინელია, და რომ არასოდეს არაფერი არ უნდა ვატარო ხელებით. თუ რაიმე ნივთების ტარება მინდა, ზურგჩანთა ან ზურგის ტომარა უნდა გამოვიყენო. მისი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ხელებს გარკვეულ მდგომარეობაში დავიჭერდი, შევძლებდი, რომ დიდი გამძლეობა მქონოდა და გარემოც უკეთ გამეცნობიერებინა.

კამათის მიზეზს ვერ ვხედავდი, ამიტომ თითები ისე მოვკაკვე, როგორც მითხრა, და გზა განვაგრძე. გარემოს გაცნობიერება ოდნავაც არ შეცვლილა, იგივე ეხებოდა ჩემს გამძლეობასაც. ჩვენი გასეირნება დილით დავიწყეთ და დასასვენებლად შუადღის შემდეგ შევჩერდით. ოფლში ვცურავდი და მინდოდა წყალი დამელია, მაგრამ მან შემაჩერა და მითხრა, რომ ჯობდა მხოლოდ ერთი ყლუპი გადამეყლაპა. პატარა ყვითელ ბუჩქს რამდენიმე ფოთოლი მოაწყვიტა და დაღეჭა. რამდენიმე ფოთოლი მეც მომცა და შენიშნა, რომ ისინი მშვენიერები იყვნენ, და თუ ნელა დავღეჭავდი, წყურვილი გამიქრებოდა. წყურვილი არ გამქრალა, მაგრამ არაკომფორტულადაც აღარ ვგრძნობდი თავს.

მან თითქოს წაიკითხა ჩემი აზრები და ამიხსნა, რომ მე ვერ ვიგრძენი სარგებლობა «სიარულის სწორი მეთოდისგან» ან ფოთლების ღეჭვისგან იმიტომ, რომ ახალგაზრდა და ძლიერი ვარ, ჩემი სხეული კი ვერაფერს ამჩნევს, რადგანაც ცოტა სულელია. მას გაეცინა. მე არ ვიყავი სიცილის განწყობაზე, და როგორც ჩანს ამან კიდევ უფრო გაამხიარულა.

თავისი წინა განცხადება შეასწორა და თქვა, რომ ჩემი სხეული მართლა სულელი კი არაა, მაგრამ მას სძინავს.

ამ მომენტში უზარმაზარმა ყვავმა პირდაპირ ჩვენ თავზე ჩხავილით გადაიფრინა. ამან შემაშინა, და სიცილი დავიწყე. ვფიქრობდი, რომ ვითარება სიცილს მოითხოვდა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად ძლიერად მომქაჩა ხელზე და გაჩუმება მაიძულა. უკიდურესად სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.

— ეს ხუმრობა არ იყო, — თქვა მან მკაცრად, თითქოს მცოდნოდა, რაზე ლაპარაკობდა. ვთხოვე აეხსნა. ვუთხარი, რომ ეს არასწორია, რომ ჩემმა სიცილმა ყვავზე გააბრაზა მაშინ, როცა ადრე ორივენი ვიცინოდით ყავის მადუღარაზე.

— რაც შენ დაინახე, უბრალოდ ყვავი არ იყო! — წამოიძახა მან.

— კი, მაგრამ დავინახე იგი, და ეს ყვავი იყო, — დაჟინებით ვამტკიცებდი მე.

— შენ არაფერი არ დაგინახავს, სულელო, — თქვა მან უხეში ხმით.

ეს უხეშობა უმიზეზო იყო. ვუთხარი, რომ არ მიყვარდა ადამიანების გაბრაზება, და იქნებ უკეთესი იქნება, თუ წავალ, რადგან როგორც ჩანს იგი არ იყო ჩემთან ყოფნის ხასიათზე. დონ ხუანმა თავშეუკავებლად გადაიხარხარა, თითქოს კლოუნი ვყოფილიყავი, რომელიც მის წინ წარმოდგენას მართავდა. ჩემი უკმაყოფილება და გაღიზიანება პროპორციულად იზრდებოდა.

— ძალიან სასტიკი ხარ, — გააკეთა მან კომენტარი. — საკუთარ თავს ძალიან სერიოზულად იღებ.

— ნუთუ შენც იგივეს არ აკეთებ? — ჩავერთე მე, — საკუთარი თავი სერიოზულად არ მიიღე, როცა ჩემზე გაბრაზდი?

მან თქვა, რომ ჩემზე გაბრაზება ყველაზე შორეული რამ იყო, რაც კი შეიძლებოდა მოფიქრებოდა. გამჭოლად შემომხედა.

— ის, რაც ჩვენ დავინახეთ, სამყაროს თანხმობა არ იყო, — თქვა მან. — მფრინავი ან მჩხავანა ყვავი არასოდეს არ ნიშნავს თანხმობას. ეს ნიშანი იყო!

— რისი ნიშანი?

— ძალზე მნიშვნელოვანი მინიშნება შენზე, — თქვა მან იდუმალი ხმით.

ამ მომენტში ქარმა გამხმარი ტოტი დააგდო პირდაპირ ჩვენს ფეხებთან.

— აი, ეს თანხმობა იყო! — წამოიძახა მან, მანათობელი თვალებით შემომხედა და კვლავ გადაიხარხარა.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ განგებ მაღიზიანებდა, ქმნიდა რა უცნაური თამაშის წესებს მით უფრო მეტად, რაც უფრო შორს მივდიოდით. ამიტომ, მას შეეძლო სიცილი, მე კი — არა. ჩემი უკმაყოფილების ნიშნულმა კვლავ ზემოთ აიწია, და ყველაფერი ვუთხარი, რასაც

მასზე ვფიქრობდი. იგი ხარხარებდა და მისი სიცილი კიდევ უფრო მეტ უკმაყოფილებას და გაღიზიანებას იწვევდა ჩემში. ვიფიქრე, რომ განზრახ მაყენებდა სულელურ მდგომარეობაში. მაშინვე გადავწყვიტე, რომ მორჩა, მეყო ეს «საველე სამუშაოები». წამოვდექი და ვუთხარი, რომ უკან, მის სახლთან მინდოდა დაბრუნება, რადგან ლოს-ანჯელესში უნდა წავსულიყავი.

— დაჯექი, — მითხრა მბრძანებლური ტონით. — წყენია ხარ, როგორც ბებერი ლედი. ახლა ვერ წახვალ, იმიტომ, რომ ჯერ არ დაგვიმთავრებია.

ვერ ვიტანდი. ვფიქრობდი, რომ ძალიან არასასიამოვნო ადამიანი იყო. მან რაღაც იდიოტური მექსიკური ხალხური სიმღერა შემოსძახა. ნათელი იყო, რომ ვიღაც პოპულარულ მომღერალს განასახიერებდა. რაღაც მარცვლები გაწელა, რაღაცეები კი შეამოკლა და სიმღერა ნამდვილ ფარსად აქცია. ეს იმდენად კომიკური იყო, რომ მაგრად გამეცინა.

—ხედავ, გეცინება სულელურ სიმღერაზე, — თქვა მან. — მაგრამ იმ ადამიანს, რომელიც ამ სიმღერას მღერის და იმ ადამიანებს, რომლებიც ამის მოსმენაში ფულს იხდიან, არ ეცინებათ. ისინი ამას სერიოზულად თვლიან.

— რას გულისხმობ? — ვკითხე მე. ვფიქრობდი, რომ განზრახ შეარჩია მაგალითი, რათა ეთქვა, რომ ყვავზე იმის გამო ვიცინოდი, რომ სერიოზულად არ აღვიქვამდი, ისევე, როგორც სიმღერას არ აღვიქვამ სერიოზულად. მაგრამ მან კვლავაც გამაცურა. მითხრა, რომ იმ მომღერალს და იმ ადამიანებს ვგავდი, რომლებსაც ეს სიმღერა მოსწონდათ, უნდობი და საშინლად სერიოზული ყოველგვარი უაზრობის მიმართ, რაშიც არცერთი ჯანსაღი გონების მქონე გროშსაც არ გადაიხდის. შემდეგ უკან დაბრუნდა, თითქოს იმისთვის, რომ მეხსიერება განეახლებინა. გაიმეორა ყველაფერი, რაც ადრე ჰქონდა ნათქვამი მცენარეების შესწავლის თემაზე და ხაზი გაუსვა, რომ თუ მართლა მინდა სწავლა, ჩემი ქცევების უმეტესი ნაწილი უნდა გადავაკეთო.

ჩემი უკმაყოფილება იმ დონეზე გაიზარდა, რომ უკვე დიდი ძალისხმევა მჭირდებოდა ჩანაწერების გასაკეთებლადაც კი.

— შენ მეტისმეტად სერიოზულად იღებ საკუთარ თავს, — თქვა მან ნელა. — მეტისმეტად მნიშვნელოვანი ხარ საკუთარი თვალისთვის. ეს უნდა შეიცვალოს! ისე საშინლად მნიშვნელოვანი ხარ, რომ უფლებამოსილად თვლი თავს — ყველაფერზე გაღიზიანდე. ისე საშინლად მნიშვნელოვანი ხარ, რომ შეგიძლია ნება მისცე საკუთარ თავს წახვიდე, თუ მოვლენები ისე არ ეწყობა, როგორც შენ გსურს. ჩემი აზრით, შენ ფიქრობ, რომ ეს ყველაფერი შენს ხასიათს აჩვენებს. ეს სიბრიყვეა! შენ სუსტი და იპოხონდრიული ხარ!

მინდოდა პროტესტი გამომეხატა, მაგრამ ამან მასზე არ იმოქმედა. მიმანიშნა, რომ ცხოვრების განმავლობაში არაფერი არ დამიმთავრებია შეუსაბამო მნიშვნელოვანების გამო, რომელსაც საკუთარ თავს ვუკავშირებდი.

გაოგნებული ვიყავი იმ დარწმუნებულობით, რომლითაც ამ განცხადებებს აკეთებდა. ისინი რა თქმა უნდა მართალი იყო, და ამან მაიძულა მეგრძნო არა მხოლოდ სიბრაზე, არამედ საფრთხეც.

— საკუთარი თავის მნიშვნელოვნება — ეს ისაა, რაც უნდა გადააგდო, სწორედ ისევე, როგორც პირადი ისტორია, — თქვა მან დრამატული ტონით.

მე მართლა არ მსურდა მასთან კამათი. ცხადი იყო, რომ საშინლად არამომგებიან მდგომარეობაში ვიყავი. იგი არ აპირებდა სახლში დაბრუნებას მანამ, სანამ მზად არ იქნებოდა, მე კი გზა არ ვიცოდი. იძლებული ვიყავი, მასთან დავრჩენილიყავი.

მან უცნაური და მოულოდნელი მოძრაობა გააკეთა, თითქოს გარშემო რაღაც ჰაერი შეიყნოსა. მისი თავი ოდნავ მოძრაობდა, ნელა და რიტმულად. მეჩვენებოდა, რომ უჩვეულო ალერტულობის მდგომარეობაში იყო. შემობრუნდა და შემომხედა მზერით, რომელშიც ცნობისმოყვარეობა და გაკვირვება იყო. მისი თვალები ჩემს სხეულს აუყვნენ და დაუყვნენ, თითქოს რაღაც განსაკუთრებულს ეძებენო. შემდეგ მკვეთრად წამოდგა და სწრაფად წავიდა. თითქმის გარბოდა. მე გავყევი. იგი ინარჩუნებდა ძალზე აჩქარებულ ნაბიჯს თითქმის ერთი საათის განმავლობაში. ბოლოს როგორც იქნა კლდის გორაკთან გაჩერდა, და ჩვენ ბუჩქის ჩრდილში ჩამოვჯექით. სირბილმა ბოლომდე დამქანცა, თუმცა ჩემი განწყობა გაუმჯობესდა. ძალიან უცნაური იყო, როგორ შევიცვალე. აღმაფრენას ვგრძნობდი, მაშინ, როცა სანამ სირბილით წამოვიდოდით, ჩვენი კამათის შემდეგ განრისხებული ვიყავი მასზე.

— ეს ძალიან უცნაურია, — ვთქვი მე, — მაგრამ მართლა კარგად ვგრძნობ თავს.

სადღაც შორს ყვავის ჩხავილის ხმა შემომესმა. მან თითი მიიდო მარჯვენა ყურთან და გაიღიმა.

— ეს ნიშანი იყო, — თქვა მან.

მცირე ქვა ძირს დაგორდა და ხრაშუნის ხმა გამოსცა, როდესაც ჩაპარალში ჩავარდა. დონ ხუანს ხმამაღლა გაეცინა და თითი ხმის მხარეს გაიშვირა.

— ეს კი თანხმობა იყო, — თქვა მან. შემდეგ მკითხა, მართლა ვარ თუ არა მზად საუბრისთვის საკუთარი თავის მნიშვნელოვნების შესახებ. მე გამეცინა. ჩემი სიბრაზის გრძნობა იმდენად შორს იყო, რომ არც კი მესმოდა, როგორ გავუბრაზდი მას.

— არ მესმის, რა დამემართა, — ვუთხარი მე. — ჯერ გავბრაზდი, ახლა კი არ ვიცი რატომ აღარ ვბრაზდები.

— სამყარო ჩვენ გარშემო ძალზე იდუმალია, — თქვა მან. — ის ადვილად არ გასცემს თავის საიდუმლოებებს.

მომეწონა მისი იდუმალი განცხადებები. ისინი გამომწვევნი და გაუგებარნი იყვნენ. არ შემეძლო განმესაზღვრა, რაღაც ფარული აზრით იყვნენ სავსე, თუ ეს ყველაფერი უბრალოდ გულახდილი სისულელე იყო.

— თუ ოდესმე დაბრუნდები აქ, უდაბნოში, — თქვა მან, — შორს დაიჭირე თავი იმ ქვიანი გორაკისგან, სადაც დღეს გავჩერდით. როგორც შავ ჭირს, ისე გაექეცი.

— რატომ? რაშია საქმე?

— ახლა ამის ახსნის დრო არ არის. ახლა საკუთარი თავის მნიშვნელოვნების მოშორებით ვართ დაკავებული. მანამ, სანამ გრძნობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან რამეს წარმოადგენ სამყაროში, შენ ვერ შეძლებ გარესამყაროს აღქმას. სათვალურებიან ცხენს ჰგავხარ. მხოლოდ საკუთარ თავს ხედავ და ვერაფერს დანარჩენს.

ერთი წამით მაკვირდებოდა.

— მინდა აქ ჩემს მეგობარს დაველაპარაკო, — თქვა მან და პატარა მცენარეზე მიმითითა. მუხლებზე დადგა, მოფერება დაუწყო მცენარეს და თან ელაპარაკებოდა. თავიდან არ მესმოდა, რას ამბობდა, მაგრამ შემდეგ ენა შეცვალა და ესპანურად დაუწყო საუბარი. რაღაც უაზრობებს ლაპარაკობდა. შემდეგ წამოდგა.

— მნიშვნელობა არ აქვს, რას ეუბნები მცენარეს, — თქვა მან. — შეგიძლია უბრალოდ მოიფიქრო სიტყვები. მთავარი მისდამი სიმპათიის გრძნობაა და მიმართვა, როგორც თანატოლთან.

მან ამიხსნა, რომ ადამიანმა, რომელიც მცენარეებს აგროვებს, ყოველ ჯერზე უნდა მოუბოდიშოს იმისთვის, რომ იღებს მათ, და უნდა დაარწმუნოს, რომ ოდესმე მისი სხეულიც საკვები გახდება მათთვის.

— ასე რომ, საბოლოო ჯამში, ჩვენ და მცენარეები თანასწორნი ვართ, — თქვა მან. — არც ჩვენ და არც ისინი არ ვართ არც მეტად მნიშვნელოვანნი და არც ნაკლებად მნიშვნელოვანნი.

— მოდი გავესაუბროთ პატარა მცენარეს, — თქვა მან. უთხარი, რომ უკვე აღარ გრძნობ საკუთარ მნიშვნელოვნობას.

მე იმდენად შორს წავედი, რომ მცენარეს მუხლებზე დავუდექი. ვერ ვაიძულებდი საკუთარ თავს მასთან ლაპარაკს. სასაცილოდ ვიგრძენი თავი და გამეცინა. თუმცაღა გაბრაზებული არ ვიყავი.

დონ ხუანმა ზურგზე გადამისვა ხელი და თქვა, რომ ყველაფერი რიგზეა, რომ სხვა თუ არაფერი, კარგი განწყობა მაინც შევინარჩუნე.

— დღეიდან ესაუბრე ხოლმე პატარა მცენარეებს, — თქვა მან. — ესაუბრე მანამ, სანამ საკუთარი მნიშვნელოვნების ყოველგვარ გრძნობას არ დაკარგავ. ესაუბრე მანამდე, სანამ სხვების თანდასწრებითაც არ შეძლებ ამის გაკეთებას.

— აი, იმ ბორცვებზე ადი და შენით ივარჯიშე.

ვკითხე, სწორი იქნებოდა თუ არა მცენარეებთან ჩუმად, გონებაში ლაპარაკი. მას გაეცინა და თავზე ხელი გადამისვა.

— არა, — თქვა მან. — ხმამაღალი და მკაფიო ხმით უნდა ელაპარაკო, თუ გინდა, რომ გიპასუხონ.

იმ ადგილზე წავედი, სადაც მიმითითა, თან მეცინებოდა მის ექსცენტრულობაზე. ვეცადე კიდეც, რომ მცენარეებთან მესაუბრა, მაგრამ გრძნობამ, რომ სასაცილო ვიყავი,

ყველაფერი გადაწონა. მას შემდეგ, რაც ჩემი აზრით საკმარისი დრო გავიდა, უკან დავბრუნდი, დონ ხუანთან. დარწმუნებული ვიყავი — იცოდა, რომ მცენარეებთან არ მილაპარაკია. არ მიყურებდა. ნიშანი მომცა, რომ მის გვედრით ჩამოვმჯდარიყავი.

— ყურადღებით დამაკვირდი, — მითხრა მან. — ახლა ჩემს პატარა მეგობარს დაველაპარაკები.

პატარა მცენარის წინ მუხლებზე დადგა. რამდენიმე წუთის განმავლობაში სხეულით მოძრაობდა და ირხეოდა, და ამასთან ერთად ლაპარაკობდა და იცინოდა. ვიფიქრე, რომ ჭკუიდან შეიშალა.

—ამ პატარა მცენარემ მითხრა, მეთქვა შენთვის, რომ იგი საჭმელად ვარგისია, — თქვა მან და ფეხზე წამოდგა. — მან თქვა, რომ ერთ ბღუჯა ამ მცენარეს შეუძლია ჯანმრთელობა შეუნარჩუნოს ადამიანს. ასევე მითხრა, რომ ასეთივე მცენარეების მთელი მდელო, აი, იქ იზრდება. დონ ხუანმა დაახლოებით ოთხასი მეტრის მანძილზე, ბორცვის ფერდობისკენ მიმითითა.

— წავიდეთ, ვნახოთ, — თქვა მან.

მე გამეცინა მის უცნაურობებზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ იპოვნიდა მცენარეებს, იმიტომ, რომ ექსპერტი იყო ადგილობრივი მიდამოების ცოდნაში და იცოდა, სად იზრდებოდნენ სამკურნალო და საჭმელად ვარგისი მცენარეები.

სანამ ამ ადგილამდე მივიდოდით, სასხვათაშორისოდ მითხრა, რომ უნდა შემემჩნია ეს მცენარე, იმიტომ, რომ იგი ერთდროულად იყო საჭმელად ვარგისიც და სამკურნალოც. ნახევრადხუმრობით ვკითხე, მცენარემ ხომ არ უთხრა ამის შესახებ. მან თავი გაიქნია.

— აჰ! — წამოიძახა სიცილით. — შენი სიჭკვიანე უფრო ბრიყვს გხდის, ვიდრე მეგონა. როგორ შეუძლია პატარა მცენარეს ახლა მითხრას ის, რაც მთელი ჩემი ცხოვრება ვიცოდი?

შემდეგ განაგრძო ახსნა, რომ ზედმიწევნით დაწვრილებით იცოდა ამ მცენარის თავისებურებანი, და ამ მცენარემ ახლახანს უთხრა, რომ მითითებულ ადგილას მისი მთელი მდელო იზრდება, და რომ მას არაფერი ექნება საწინააღმდეგო, თუ ამას მე მომიყვება.

როდესაც გორაკის ფერდობს მივადექით, ასეთივე მცენარეების უამრავი ამონაზარდი ვნახე. მინდოდა გამეცინა, მაგრამ მან დრო არ მომცა. უნდოდა, რომ მადლობა გადამეხადა ამ მცენარეებისთვის. მე მტანჯველი გრძნობა მაწუხებდა და ვერ ვაიძულებდი საკუთარ თავს ამის გაკეთებას. მას გაეღიმა და კიდევ ერთი იდუმალი განცხადება გააკეთა, მან იგი სამჯერ ან ოთხჯერ გაიმეორა, თითქოს დროს მაძლევდა, რომ მისი მნიშვნელობა დამეჭირა.

— სამყარო ჩვენ გარშემო — გამოცანაა, — თქვა მან. — და ადამიანები არაფრით არ არიან ნებისმიერ სხვა რამეზე უკეთესები. თუ პატარა მცენარე გულწრფელია ჩვენდამი, მადლობა უნდა გადავუხადოთ მას, თუ არადა, შესაძლოა, არ მოგვცეს წასვლის საშუალება.

ამას რომ მეუბნებოდა, კანკალმა ამიტანა. სასწრაფოდ დავიჩოქე მცენარეების წინ და ხმამაღლა ვუთხარი «მადლობა». მან სიცილი დაიწყო, კონტროლირებადად და მშვიდად იცინოდა. კიდევ მთელი საათი ვიარეთ, შემდეგ კი მის სახლში დავბრუნდით. ერთხელ ჩამოვრჩი, და იგი იძულებული იყო დამლოდებოდა. ჩემი თითები შეამოწმა: მქონდა თუ არა მოკაკვული? მე ამას არ ვაკეთებდი. მან მბრძანებლური ტონით მითხრა, რომ ყოველთვის, როცა მასთან ერთად ვსეირნობ, მისი მანერები უნდა დავიცვა და დავაკოპირო, ან საერთოდ არ უნდა მივიდე.

— არ შემიძლია გელოდო, თითქოს ბავშვი იყო, — თქვა მან საყვედურით სავსე ტონით.

ამ განცხადებამ გაღიზიანებისა და დაბნეულობის სიღრმეებში ჩამაგდო. როგორ შეიძლება, რომ ასეთი მოხუცი ადამიანი ჩემზე გაცილებით კარგად დადიოდეს? საკუთარ თავს ძლიერ ათლეტად ვთვლიდი, არადა მართლა უნდა დამლოდებოდა ხოლმე, რომ დავწეოდი.

თითები მოვკაკვე და, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შევძელი ამეტანა მისი საშინლად ჩქარი ნაბიჯი. უფრო მეტიც, დროდადრო ვგრძნობდი, რომ ჩემი ხელები წინ მიმათრევდნენ. აღმაფრენას ვგრძნობდი. თავს ბედნიერად ვგრძნობდი იმით, რომ უდარდელად მივაბიჯებდი უცნაურ მოხუც ინდიელთან ერთად. საუბარი გავუბი და რამდენჯერმე ვკითხე, მაჩვენებდა თუ არა მცენარე პეიოტს. მან შემომხედა და სიტყვაც არ უთქვამს.

4. სიკვდილი — მრჩეველი

ოთხშაბათი, 1961 წლის 25 იანვარი.

— ოდესმე მასწავლი პეიოტის შესახებ? — ვკითხე მე.

მან არ მიპასუხა, არამედ, როგორც ადრე აკეთებდა ხოლმე, უბრალოდ შემომხედა, თითქოს გიჟი ვყოფილიყავი. უკვე წამოვწევდი ხოლმე ამ თემას შემთხვევით საუბრებში, და ყოველ ჯერზე გრიმასას იღებდა და თავს აქნევდა. ეს არ იყო დასტურის ან უარყოფის ჟესტი, არამედ ეს უფრო იყო სასოწარკვეთილების და უნდობლობის ჟესტი.

იგი მკვეთრად წამოდგა. ჩვენ მიწაზე ვიჯექით, მისი სახლის წინ. თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობის ჟესტით მანიშნა, რომ გავყოლოდი.

ჩვენ უდაბნოს ჩაპარალში წავედით, სამხრეთის მიმართულებით. სანამ მივდიოდით, არაერთხელ გამიმეორა, რომ უნდა გამეცნობიერებინა ჩემი მნიშვნელოვნების გრძნობისა და პირადი ისტორიის უსარგებლობა.

— შენი მეგობრები, — თქვა მან და მკვეთრად შემობრუნდა ჩემსკენ, — ისინი, ვინც დიდი ხნის განმავლობაში გიცნობდნენ, უნდა მიატოვო, თანაც მალე.

ვიფიქრე, რომ გიჟი იყო, და მისი დაჟინებულობა იდიოტიზმია, მაგრამ არაფერი მითქვამს. გამჭოლად მიყურებდა, შემდეგ კი გაეცინა.

ხანგრძლივი სეირნობის შემდეგ, როგორც იქნა გავჩერდით. უკვე დაჯდომას და დასვენებას ვაპირებდი, მაგრამ მითხრა, რომ კიდევ 50 მეტრი გამევლო და მცენარეების მდელოსთან ხმამაღალი და მკაფიო ხმით მესაუბრა. საკუთარ თავში უხერხულობას და წინააღმდეგობას ვგრძნობდი. მისი უცნაური მოთხოვნები იმაზე მეტი იყო, ვიდრე ატანა შემეძლო, და კიდევ ერთხელ ვუთხარი, რომ არ შემიძლია მცენარეებთან ლაპარაკი, რადგანაც სასაცილოდ ვგრძნობ თავს. მისი ერთადერთი შენიშვნა იყო, რომ ჩემი მნიშვნელოვნების გრძნობა უსაზღვრო იყო. როგორც ჩანს უეცრად რაღაც გადაწყვიტა და თქვა, რომ არ უნდა დაველაპარაკო მცენარეებს მანამ, სანამ არ ვიგრძნობ, რომ ჩემთვის ეს იოლი და ბუნებრივია.

— შენ მათი შესწავლა გინდა, მაგრამ ამასთან ერთად არანაირი შრომა არ გინდა, — დამადანაშაულა მან. — რის გაკეთებას ცდილობ?

ჩემი ახსნა იყო, რომ სარწმუნო ინფორმაცია მჭირდებოდა მცენარეების გამოყენებაზე, ამიტომ ვთხოვდი, ჩემი ინფორმატორი ყოფილიყო. ანაზღაურებაც კი შევთავაზე მის დროსა და შრომაში.

— ჯობდა ფული აგეღო, — ვუთხარი მე. — ამით ორივე უკეთესად ვიგრძნობდით თავს. შევძლებდი, რომ ყველაფერზე მეკითხა, რაც მინდოდა, იმიტომ, რომ ჩემზე იმუშავებდი, და ამისთვის გადაგიხდიდი. რას ფიქრობ ამაზე?

მან უარყოფის გამომხატველი სახით შემომხედა და საზიზღარი ხმა გამოსცა პირით, აიძულა რა ქვედა ტუჩი და ენა უზარმაზარი ძალით მოეხდინათ ვიბრირება.

— აი, რას ვფიქრობ ამაზე, — თქვა მან და ისტერიულად გაიცინა ჩემი უკიდურესი გაოცების დანახვაზე, რომელიც, როგორც ჩანს, კარგად აისახა ჩემს სახეზე.

ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ეს ის ადამიანი არაა, ვისაც იოლად გავუმკლავდებოდი. ასაკის მიუხედავად ენერგიული და საოცრად ძლიერი იყო. მანამდე მქონდა იდეა, რომ რადგან ასეთი მოხუცი იყო, შეეძლო იდეალური «ინფორმატორი» გამხდარიყო ჩემთვის. მოხუცები, როგორც ყოველთვის ვთვლიდი, საუკეთესო ინფორმატორები იყვნენ, რადგანაც ძალიან სუსტები არიან, რომ ლაპარაკის გარდა სხვა რამე აკეთონ. მაგრამ დონ ხუანი ნამდვილად არ იყო საწყალი სუბიექტი. ვგრძნობდი, რომ იგი უმართავი და საშიში იყო. მეგობარი, რომელმაც ერთმანეთს შეგვახვედრა, მართალი აღმოჩნდა. იგი ექსცენტრული ბებერი ინდიელი იყო, და თუმცა ვერ ვიტყოდი, დროის უმეტესი ნაწილი ჭკუაზე არააო, როგორც ჩემი მეგობარი მიმტკიცებდა, მაგრამ იგი კიდევ უარესი იყო, გიჟი იყო. კვლავაც საშინელი სინანული და განგაში ვიგრძენი, რომელიც ადრეც განმიცდია. ვფიქრობდი, რომ გადავლახე ეს, და სინამდვილეში, არ მქონია არანაირი სირთულე, დამერწმუნებინა საკუთარი თავი, რომ კვლავაც მომენახულებინა იგი. თუმცა თავში შემომეპარა აზრი, რომ თავადაც ცოტათი გიჟი ვიყავი, როცა გადავწყვიტე, რომ მომწონდა მასთან ყოფნა. მისმა იდეამ იმის შესახებ, რომ ჩემი მნიშვნელოვანობის გრძნობა დაბრკოლებას წარმოადგენდა, მართლაც ძლიერ იმოქმედა ჩემზე. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ინტელექტუალური ვარჯიში იყო ჩემი მხრიდან. იმავე წამს, როგორც კი მის უცნაურ ქცევას შევეჩეხე, განგაში ვიგრძენი და წასვლა მომინდა.

ვუთხარი, რომ იმდენად განვსხვავდებით, რომ ჩვენი ურთიერთობის არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს.

— ერთ-ერთი ჩვენგანი უნდა შეიცვალოს, — თქვა მან, მიწას მიშტერებულმა. — და შენ იცი, ვინც.

მან მექსიკური ხალხური სიმღერის კნავილი დაიწყო, შემდეგ კი თავი ასწია და შემომხედა. თვალები მრისხანე და ელვარე ჰქონდა. მინდოდა გვერდზე გამეხედა, ან თვალები დამეხუჭა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად ვერ შევძელი მისი მზერის გაწყვეტა.

მთხოვა მომეყოლა მისთვის, თუ რა დავინახე მის თვალებში. ვუთხარი, რომ არაფერი არ დამინახავს, მაგრამ დაჟინებით ითხოვდა, რომ სიტყვებით გადმომეცა ის, რაც მისმა თვალებმა მაგრძნობინა და გამახსენა. ვეცადე ამეხსნა, რომ ერთადერთი, რასაც მისი თვალები მახსენებდნენ, ჩემი დაბნეულობა იყო, რომ მისი მზერა უხერხულად მაგრძნობინებს თავს.

იგი უკან არ იხევდა. კვლავაც დაჟინებით მიმზერდა. ეს არ იყო პირდაპირი მუქარის შემცველი და აგრესიული მზერა. ეს უფრო იყო მისტიური, უსიამოვნო, გამჭოლი მზერა. მან მკითხა, ფრინველს ხომ არ მაგონებდა.

— ფრინველს? — წამოვიძახე მე.

ბავშვივით გაეცინა, და თვალები მომაშორა.

— ჰო, — მითხრა რბილად. — ფრინველს, ძალიან უჩვეულო ფრინველს!

მან კვლავ დამიჭირა მზერით და ბრძანება მომცა, რომ გამეხსენებინა. უჩვეულო დარწმუნებით მითხრა, რომ «იცოდა», რომ მე უკვე ადრეც მინახავს მსგავსი მზერა.

ამ მომენტში ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მოხუცი ყველა ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ მიკეთებდა პროვოცირებას ყოველ ჯერზე, როცა პირს აღებდა. კვლავ შევხედე აშკარა წინააღმდეგობით. გაბრაზების ნაცვლად სიცილი დაიწყო. ბარძაყებზე ხელს ირტყამდა და ქანაობდა, თითქოს ველურ ცხენს ხედნისო. შემდეგ კვლავ სერიოზული გახდა და მითხრა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, შემეწყვიტა მასთან ბრძოლა და გამეხსენებინა ის უჩვეულო ფრინველი, რომელზეც მეუბნებოდა.

— შემომხედე თვალებში.

მისი თვალები უჩვეულოდ მრისხანე იყო. ისეთ გრძნობას იწვევდა, რომელიც მართლაც მაგონებდა რაღაცას, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, სახელდობრ რას. წამით შევყოვნდი ამ შეგრძნებაზე და შემდეგ უეცრად მივხვდი. ეს არ იყო მისი თვალების ფორმა, ან მისი თავის ფორმა, არამედ რაღაც ცივი მრისხანება მის გამოხედვაში — აი, რამ მომაგონა შევარდნის თვალების მზერა. სწორედ იმ მომენტში, როცა ამას მივხვდი, მზერით მბურღავდა, და წამით სრული ქაოსი მქონდა აზრებში. ვიფიქრე, რომ დონ ხუანის სილუეტთან ერთად შევარდნის სილუეტსაც ვხედავდი. სურათი ძალზე მყისიერი იყო, და მეც ძლიერ აღელვებული ვიყავი, რომ მისთვის მეტი ყურადღება მიმექცია.

ძალიან აღელვებული ტონით მოვუყევი, რომ შემეძლო დამეფიცა — შევარდნის სილუეტი დავინახე მის სახეზე. მას სიცილის კიდევ ერთი შემოტევა დაემართა. ასეთი მზერა

შევარდნების თვალებში მინახავს. ხშირად ვნადირობდი მათზე, როცა ბავშვი ვიყავი, და ბაბუას აზრით, კარგი მონადირე ვიყავი. მას ლეგკორნის ქათმების ფერმა ჰქონდა, და შევარდნები საფრთხეს წარმოადგენდნენ მისი საქმისთვის. მათზე ნადირობა არა მხოლოდ ნამდვილი, არამედ «სწორი» საქმეც იყო. ამ მომენტამდე არასოდეს გამხსენებია მათი თვალების მრისხანება და ის, რომ ეს მრისხანება მრავალი წლის განმავლობაში თან დამყვებოდა. მაგრამ ეს ისე შორეულ წარსულში იყო, რომ როგორც ვფიქრობდი, გაქრა ჩემი მეხსიერებიდან.

— მე ოდესღაც შევარდნებზე ვნადირობდი.

— ვიცი, — შენიშნა დონ ხუანმა, როგორც თავისთავადი ფაქტი. მის ხმაში ისეთი თავდაჯერებულობა იყო, რომ გამეცინა. ვიფიქრე, რომ ცოტა მოგიჟო სუბიექტია. ჩვევა ჰქონდა ისე ელაპარაკა, თითქოს მართლა იცოდა, რომ შევარდნებზე ვნადირობდი. უკიდურეს არაკეთილგანწყობას ვგრძნობდი მის მიმართ.

— რატომ გაბრაზდი ასე? — მკითხა გულწრფელი ინტერესის ტონით.

არ ვიცოდი, რატომ. მან ძალიან უცნაურად გამომცადა. მთხოვა კვლავ შემეხედა მისთვის და მომეყოლა იმ «ძალიან უჩვეულო ფრინველის» შესახებ, რომელსაც იგი მაგონებდა. ჯიუტობას ვაგრძელებდი და წინააღმდეგობის გულისთვის ვთქვი, რომ აქ არაფერია სალაპარაკო. შემდეგ ვალდებულად ვიგრძენი თავი, მეკითხა, თუ რატომ თქვა, რომ იცის ჩემი შევარდნებზე ნადირობის შესახებ. პასუხის ნაცვლად, მან კვლავ ჩემს ქცევას გაუკეთა კომენტარი. მითხრა, რომ ძალიან ბრაზიანი ვინმე ვარ და ქუდის ჩამოვარდნის შემთხვევაშც კი დუჟი მიჩნდებოდა პირზე. მე გავაპროტესტე, რომ ასე არაა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ძალიან მშვიდი და არაკონფლიქტური ვარ. ვუუთხარი, რომ ჩემი წყობილებიდან გამოყვანა მისი ბრალი იყო და მისი მოულოდნელი სიტყვებისა და ქცევების დამსახურება იყო.

— მაგრამ რატომ ბრაზი? — მკითხა მან.

მე გავაანალიზე ჩემი გრძნობები და რეაქციები. მართლაც, მე არ მქონდა მასზე გაბრაზების მიზეზი. კვლავაც ჩამაჯინდა, რომ თვალებში მეცქირა მისთვის და მომეყოლა «უჩვეულო შევარდნის» შესახებ. მან სიტყვები გადააკეთა. მანამდე ამბობდა «ძალიან უჩვეულო ფრინველს», ახლა კი —«უჩვეულო შევარდენს». სიტყვების ცვლილებამ ჩემს განწყობაშიც გამოიწვია ცვლილება. უეცრად სევდა ვიგრძენი.

მან თვალები მოწკურა და ზედრამატული ხმით განაცხადა, რომ ის «ხედავს» ძალიან უცნაურ შევარდენს. ეს განცხადება სამჯერ გაიმეორა, თითქოს მართლა თავის წინ ხედავდა.

— ნუთუ არ გახსოვს იგი? — მკითხა მან.

მსგავსს ვერაფერს ვიხსენებდი.

— რა აქვს ამ შევარდენს უჩვეულო? — ვკითხე მე.

— ეს შენ უნდა მითხრა, რა აქვს, — შენიშნა მან.

ვამტკიცებდი, რომ ვერანაირად ვერ ვხვდებოდი, რაზე საუბრობდა, ამიტომ ვერაფერს მოვუყვებოდი.

— ნუ მებრძვი, — თქვა მან. — შენს სიზარმაცეს ებრძოლე და გაიხსენე.

სერიოზულად ვცდილობდი წამით მაინც გამეგო მისთვის. აზრად არ მომდიოდა, რომ ზუსტად ასევე შემეძლო გახსენება მეცადა.

— იყო დრო, როცა მრავალი ფრინველი ნახე, — ამბობდა და თითქოს განწყობას მიქმნიდა.

ვუთხარი, რომ როცა ბავშვი ვიყავი და ფერმაში ვცხოვრობდი, ვნადირობდი და ასობით ფრინველი მომიკლავს. მან მითხრა, რომ თუ ეს ასეა, მაშინ არანაირად არ უნდა გამიჭირდეს ყველა უჩვეულო ფრინველის გახსენება, რომლებზეც მინადირია.

შემომხედა. თვალებში კითხვა ჰქონდა, თითქოს ამ წამს უკანასკნელი გასაღები მომცა.

— კი, მაგრამ მე ძალიან ბევრ ფრინველზე ვნადირობდი, — ვთქვი მე. — ამიტომ ვერაფერს ვიხსენებ მათზე.

— ეს ფრინველი განსაკუთრებულია, — თქვა მან ჩურჩულით. — ეს ფრინველი — შევარდენია.

მე კვლავ დავიწყე ფიქრი, თუ საითკენ უმიზნებდა. განგებ მაწვალებს? თუ სერიოზულად ამბობს? ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ მთხოვა, რომ გამეხსენებინა. ვიგრძენი, რომ ამაო იყო მისი თამაშის შეწყვეტის მცდელობა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შემეძლო, მასში მონაწილეობა იყო.

— შენ მეუბნები შევარდენზე, რომელზეც მე ვნადირობდი? — ვკითხე მე.

— კი, — ჩაიჩურჩულა დახუჭული თვალებით.

— ეს ჩემს ბავშვობაში მოხდა?

— კი.

— კი, მაგრამ შენ ამბობდი, რომ პირდაპირ ახლა, შენ წინ ხედავ შევრდენს.

— ვხედავ.

— რის გაკეთებას მაიძულებ?

— გაიძულებ, რომ გაიხსენო.

— ღვთის გულისათვის! რა უნდა გავიხსენო?

— შევარდენი, სწრაფი, როგორც სინათლე, — მითხრა, და თან თვალებში მიყურებდა.

ვიგრძენი, რომ გული გამიჩერდა.

— ახლა შემომხედე, — თქვა მან.

მაგრამ მე არ შევხედე. მისი ხმა მესმოდა, როგორც სუსტი ბგერა, რაღაც საოცარმა მოგონებამ ბოლომდე შემიპყრო.

თეთრი შევარდენი!

ყველაფერი დაიწყო ბაბუაჩემის რისხვით, როცა ის თავის ლეკგორნის ქათმებს ითვლიდა. ისინი უცნაურად ქრებოდნენ. მან პირადად გააკეთა საგუშაგოების ორგანიზება და რამდენიმე დღიანი გამუდმებული დაკვირვების შემდეგ, როგორც იქნა დავინახეთ დიდი თეთრი ფრინველი, რომელიც ბრჭყალებში ახალგაზრდა ლეკგორნის ქათამთან ერთად მიფრინავდა. ფრინველი ძალიან სწრაფი იყო და აშკარად იცოდა თავის გზა. საიდანღაც, ხეებიდან გამოფრინდა, ქათამი აიტაცა და სადღაც ორ ტოტს შორის გაუჩინარდა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ბაბუაჩემმა ძლივს მოასწრო შემჩნევა. მაგრამ მე შევამჩნიე, და მე ვიცოდი, რომ ეს მართლა შევარდენი იყო. ბაბუაჩემმა თქვა, რომ იგი ალბათ ალბინოსი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ დავიწყეთ კომპანია ალბინოსი-შევარდენის წინაღმდეგ და ორჯერ მომეჩვენა, რომ გავარტყი მას. თავისი მსხვერპლიც კი გააგდო ბრჭალებიდან, მაგრამ გაფრინდა. იგი მეტისმეტად სწრაფი იყო ჩემთვის. იგი ასევე მეტისმეტად ჭკვიანიც იყო. მეტჯერ აღარასოდეს დაბრუნებულა ბაბუაჩემის ფერმაში სანადიროდ. დავივიწყებდი, ბაბუას რომ არ წავექეზებინე, რომ მენადირა მასზე. ორი თვის განმავლობაში ვეძებდი ალბინოს შევარდენს მთელს ველზე, სადაც ვცხოვრობდი. შევისწავლე მისი ქცევები და ინტუიტიურად ვპოულობდი მისი ფრენის მარშრუტებს. თუმცაღა მისი სისწრაფე და მოულოდნელობა ყოველთვის ჩიხში მაქცევდა. შემეძლო მეტრაბახა, რომ ხელს ვუშლიდი ნადავლის გატაცებაში, და ეს ხდებოდა ყოველ ჯერზე, როცა ვნახულობდი, მაგრამ მოკვლა ვერანაირად ვერ შევძელი.

მთელი ორი თვის განმავლობაში, სანამ ამ უცნაურ ომში ვიყავი ალბინოსი შევარდნის წინააღმდეგ, მხოლოდ ერთხელ ვიყავი მასთან ახლოს. მთელი დღის განმავლობაში ვეძებდი და დავიღალე. მაღალი ევკალიპტის ხის ქვეშ დასასვენებლად ჩამოვჯექი და ჩამომეძინა. შევარდნის მოულოდნელმა კივილმა გამომაღვიძა. მე თვალები გავახილე, სხვა არანაირი მოძრაობა არ გამიკეთებია, და დავინახე თეთრი ფრინველი, რომელიც ევკალიპტის ყველაზე მაღალ ტოტებზე ჩამომჯდარიყო. ეს სწორედ ის ალბინოსი შევარდენი იყო. ნადირობა დასრულდა. ეს რთული გასროლა უნდა ყოფილიყო. ზურგზე ვიწექი, ფრინველი კი ჩემსკენ ზურგით იჯდა. ქარის უეცარი დაქროლვა გამოვიყენე იმისთვის, რომ ჩემი 22–კალიბრიანი გრძელი იარაღის და დამიზნების ხმა ჩამეხშო. მინდოდა დავლოდებოდი, სანამ ფრინველი შემობრუნდებოდა, ან აფრენას დაიწყებდა, რათა არ ამეცილებინა. მაგრამ ალბინოსი გაუნძრევლად იჯდა. მიზანში უკეთ ამოსაღებად სხვა ადგილისკენ უნდა გადავნაცვლებულიყავი, შევარდენი კი ძალიან სწრაფი იყო, რომ ამის საშუალება მოეცა. ვფიქრობდი, რომ ყველაზე კარგი იქნებოდა, თუ დაველოდებოდი, რასაც ვაკეთებდი კიდეც უსასრულოდ დიდხანს. შესაძლოა ამ ხანგრძლივმა ლოდინმა იმოქმედა ჩემზე, ან შესაძლოა ეს იმ ადგილის მარტოობის გამო იყო, სადაც მე და

ფრინველი ვიმყოფებოდით. უეცრად ზურგზე შემაჟრჟოლა, და როგორც სრულიად უპრეცედენტო საქციელი, ავდექი და წამოვედი. არც კი გამიხედავს უკან — აფრინდა თუ არა ფრინველი.

მე არასოდეს მიმინიჭებია განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ საქციელისთვის, და მაინც, საოცრად უცნაური იყო, რომ არ მოვკალი. ათეულობით შევარდენი მომიკლავს მანამდე. იმ ფერმაში, სადაც გავიზარდე, ფრინველზე ან ნებისმიერ სხვა ცხოველზე ნადირობა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

დონ ხუანი ყურადღებით მისმენდა, სანამ ალბინოსი შევარდნის ისტორიას ვუყვებოდი.

— საიდან გაიგე შევარდნის შესახებ? — ვკითხე ბოლოს.

— მე დავინახე იგი, — მიპასუხა მან.

— სად?

— ზუსტად აქ, შენ წინ.

კამათის განწყობა აღარ მქონდა.

— რას ნიშნავს ეს ყველაფერი? — ვკითხე მე.

მან მითხრა, რომ თეთრი ფრინველი ნიშანი იყო, და არსროლა ერთადერთი სწორი საქციელი – ჩემი მხრიდან.

— შენმა სიკვდილმა პატარა გაფრთხილება მოგცა, — თქვა მან იდუმალი ტონით. — იგი ყოველთვის ჟრჟოლის სახით მოდის.

— რაზე ამბობ? — ვკითხე ნერვიულად.

მან მართლაც არია ჩემი ნერვები თავისი ჯადოქრული საუბრით.

— შენ ბევრი რამ იცი ფრინველების შესახებ, — თქვა მან. ბევრი მათგანი მოკალი. იცი, როგორ ელოდო. საათობით ელოდი მოთმინებით. მე ვიცი ეს. მე ვხედავ ამას.

მისმა სიტყვებმა დიდი მღელვარება გამოიწვია ჩემში. ვიფიქრე, რომ ყველაზე მეტად მისი თავდაჯერებულობა მაღიზიანებდა. არ შემეძლო მისი დოგმატური დარწმუნებულობის ატანა ჩემი საკუთარი ცხოვრების იმ მომენტებთან მიმართებაში, რომლებშიც თავადაც არ ვიყავი დარწმუნებული. ჩემი გრძნობებით განზე გავდექი, და ვერ დავინახე, როგორ დამადგა თავზე, სანამ პირდაპირ ყურში არ ჩამჩურჩულა რაღაც. თავიდან ვერ გავიგე, ამიტომ გამიმეორა.

მან თქვა, რომ ფრთხილად შევბრუნებულიყავი და შემეხედა ლოდისთვის ჩემს მარცხნივ. მითხრა, რომ იქ ჩემი სიკვდილი იმყოფებოდა, რომელიც მიყურებდა, და თუ იმ მომენტში შევბრუნდებოდი, როცა სიგნალს მომცემდა, მაშინ დავინახავდი მას.

ნიშანი თვალებით მომცა. მე შევბრუნდი, და ვფიქრობ, რომ დავინახე, როგორ გაიელვა რაღაც მოძრაობამ ლოდის თავზე. მთელ სხეულში შემაჟრჟოლა. მუცლის კუნთები

თავისდაუნებურად შეიკუმშა, და რყევები, სპაზმები ვიგრძენი. რამდენიმე წამში წონასწორობა აღვიდგინე და საკუთარ თავს ავუხსენი გამკრთალი აჩრდილის ჩვენება, როგორც ოპტიკური ილუზია, გამოწვეული თავის მკვეთრი შეტრიალებით.

— სიკვდილი — ჩვენი მარადიული კომპანიონია, — თქვა დონ ხუანმა სერიოზული ტონით. — იგი ყოველთვის მარცხნივაა ჩვენგან, გაწვდილი ხელის მანძილზე. იგი თვალ-ყურს გადევნებდა მაშინ, როცა შენ თეთრ შევარდენს ადევნებდი თვალ-ყურს. მან ყურში ჩაგჩურჩულა, და შენ ჟრჟოლა იგრძენი ისევე, როგორც დღეს. იგი ყოველთვის გაკვირდებოდა, და ყოველთვის დაგაკვირდება იმ დღემდე, სანამ არ შემოგიტყაპუნებს.

იგი მარცხენა ხელით ოდნავ შეეხო ჩემს მხარს და ამავდროულად ენით ღრმა ტკაცუნა ბგერა გამოსცა. ეფექტი შემაძრწუნებელი იყო. კინაღამ ცუდად გავხდი.

— შენ ის ბავშვი ხარ, რომელიც მსხვერპლს უთვალთვალებდა და მოთმინებით ელოდა, როგორც სიკვდილი ელოდება. კარგად იცი, რომ სიკვდილი ჩვენ მარცხნივაა, ისევე როგორც შენ იყავი თეთრი შევარდნის მარცხნივ.

მისი სიტყვების უცნაურმა ძალამ დაუძლეველი შიშის შეგრძნება მომიტანა. ჩემი ერთადერთი დაცვა იყო მისწრაფება, რომ ყველაფერი ჩამეწერა, რასაც კი ამბობდა.

— როგორ შეიძლება, ვინმემ ასე მნიშვნელოვნად იგრძნოს თავი, როცა ვიცით, რომ სიკვდილი გვითვალთვალებს? — მკითხა მან.

მქონდა შეგრძნება, რომ ჩემგან პასუხი არ იყო საჭირო. ყოველ შემთხვევაში არაფრის თქმა არ შემეძლო. ახალი განწყობა დამეუფლა.

—როცა მშვიდად არ ხარ, მარცხნივ უნდა შებრუნდე და საკუთარ სიკვდილს ჰკითხო რჩევა. წვრილმანების აურაცხელი რაოდენობა მოგეხსნება, თუკი შენი სიკვდილი ნიშანს მოგცემს, ან მის ანარეკლს შეამჩნევ, ან უბრალოდ გრძნობა გაგიჩნდება, რომ შენი კომპანიონი აქაა და გელოდება.

იგი კვლავ წინ გადმოიხარა და ყურში ჩამჩურჩულა, რომ თუ მის ნიშანზე უეცრად შევბრუნდები მარცხნივ, ისევ შევძლებ ლოდზე ჩემი სიკვდილის დანახვას. მისმა თვალებმა თითქმის შეუმჩნეველი ნიშანი მომცა, მაგრამ მე ვერ გავბედე შეხედვა. ვუთხარი, რომ მჯეროდა მისი და აღარ იყო საჭირო ამ საკითხის მეტად გაღრმავება, რადგანაც მეშინოდა. მას კვლავაც ჰქონდა ერთ-ერთი შემოტევა მისთვის დამახასიათებელი ხარხარ-სიცილებიდან.

მან შენიშნა, რომ საკითხს ჩვენი სიკვდილის შესახებ არასოდეს განიხილავენ საკმაოდ ღრმად. მაგრამ მე შევეკამათე, რომ ჩემთვის უაზრობა იქნებოდა სიკვდილზე ფიქრი, რადგანაც ასეთი აზრები უხერხულობას და შიშს მოიტანდნენ.

— ყოველგვარი სისულელით ხარ სავსე! — წამოიძახა მან. — სიკვდილი, ეს ერთადერთი ბრძენი მრჩეველია, რომელიც ჩვენ გვყავს. როცა არ უნდა იგრძნო, როგორც ჩვეულებრივ გრძნობ ხოლმე, რომ ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც საჭიროა, და აი, სადაცაა დაიკარგები, შებრუნდი მარცხნივ, შენი სიკვდილისკენ და ჰკითხე — მართლა ასეა? შენი

სიკვდილი გეტყვის, რომ არ ხარ მართალი, რომ სინამდვილეში არაფერს, გარდა მისი შეხებისა, მნიშვნელობა არ აქვს. შენი სიკვდილი გეტყვის: «მე ჯერ არ შეგხებივარ».

მან თავი დააქნია და, როგორც ჩანს, ჩემს პასუხს ელოდა. მაგრამ მე ის არ მქონდა. ჩემი ფიქრები გადარბენაზე იყვნენ. მან საშინელი დარტყმა მიაყენა ჩემს თავმოყვარეობას. დაწვრილმანება იმ დონემდე, რომ უკმაყოფილო ვყოფილიყავი მისით, საშინელი იყო ჩემი სიკვდილის ფონზე.

ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ბოლომდე გააცნობიერა ჩემი განწყობის ცვლილება. მან მიმართულება თავის სასარგებლოდ შეცვალა. გაიღიმა და მექსიკური მოტივის კნავილი დაიწყო.

— დიახ, — თქვა მან რბილად, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ. — ერთ-ერთი ჩვენგანი უნდა შეიცვალოს, თანაც სწრაფად. ერთ-ერთმა ჩვენგანმა უნდა გაიგოს, რომ სიკვდილი მონადირეა, და იგი ყოველთვის მისგან მარცხნივ იმყოფება. ერთ-ერთმა ჩვენგანმა რჩევა უნდა ჰკითხოს სიკვდილს და მოიშოროს დაწყევლილი მეწვრილმანეობა, დამახასიათებელი ადამიანებისთვის, რომლებიც ისე გადიან თავის ცხოვრებას, თითქოს სიკვდილი არასოდეს შეეხებათ.

საათზე მეტხანს ჩუმად ვიჯექით. შემდეგ კვლავ წავედით. საათობით ვხეტიალობდით უდაბნოს ჩაპარალში. არ მიკითხავს ამის მიზეზი. მნიშვნელობა არ ჰქონდა. რაღაცნაირად კვლავ მაიძულა, რომ ძველი გრძნობა დამეჭირა, რაღაც ისეთი, რაც სრულიად დავივიწყე. მშვიდი სიხარული იმისგან, რომ უბრალოდ მიდიხარ, და ამას არანაირ ინტელექტუალურ მიზანს არ აკავშირებ.

მინდოდა, რომ დამხმარებოდა იმის დანახვაში, რაც ლოდზე დავინახე.

— საშუალება მომეცი, რომ კვლავ დავინახო ის აჩრდილი, — ვუთხარი მე.

— შენს სიკვდილს გულისხმობ, ასე არაა? — მიპასუხა მან ირონიანარევი ხმით. რაღაც დროის განმავლობაში ვერანაირად ვერ ვამბობდი ამას.

— დიახ, — ვთქვი ბოლოსდაბოლოს. — კიდევ ერთხელ მაჩვენე ჩემი სიკვდილი.

— ახლა არა, — თქვა მან. — შენ ძალიან გამთლიანებული ხარ.

— მაპატიე, ვერ გავიგე.

მას გაეცინა, და რაღაც მიზეზის გამო მისი სიცილი აღარ იყო გამაღიზიანებელი, როგორც მანამდე. არ მგონია, რომ შეცვლილიყო ხმის სიმაღლის ან სხვა რაიმე თვალსაზრისით. ახალი ელემენტი ჩემი განწყობა იყო. მომლოდინე სიკვდილის ფონზე ჩემი შიშები და გაღიზიანება სისულელედ ჩანდა.

— მაშინ ნება მომეცი, რომ მცენარეებს დაველაპარაკო, — ვუთხარი მე.

— მეტისმეტად კარგი ხარ ახლა, — თქვა სიცილით. — ერთი უკიდურესობიდან მეორეს ეხეთქები. დამშვიდდი. არაა აუცილებელი მცენარეებთან ლაპარაკი, თუ მათი საიდუმლოებების გაგება არ გინდა. და ამისთვის ყველაზე ურყევი განზრახვები გჭირდება.

ამიტომ, ნუ გაფლანგავ შენს კეთილ სურვილებს. არც შენი სიკვდილის დანახვაა საჭირო. საკმარისია, რომ მის გვერდით ყოფნას გრძნობ.

5. საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება

სამშაბათი, 1961 წლის 11 აპრილი.

დონ ხუანის სახლთან დილით ადრე, კვირა დღეს, 9 აპრილს მივედი.

— დილა მშვიდობის, დონ ხუან, — ვუთხარი მე. — მიხარია შენი ნახვა!

მან შემომხედა და სასიამოვნოდ გაიცინა. ჩემს მანქანასთან მოვიდა, სანამ ვაყენებდი და კარი ღია დაიკავა, სანამ მისთვის მოტანილი საჭმელები გადმომქონდა. სახლთან მივედით და კარის წინ დავსხედით. პირველად ვაცნობიერებდი რეალურად, თუ რას ვაკეთებდი აქ. სამი თვის განმავლობაში წინ მხოლოდ იმ თვალსაზრისით ვიყურებოდი, რომ«საველე სამუშაოებს» უკან დავბრუნებოდი. მეჩვენებოდა, რომ ჩემ შიგნით ჩაყენებული შენელებული მოქმედების ბომბი აფეთქდა და უეცრად გამახსენდა ჩემთვის რაღაც ტრანსცენდენტული. გამახსენდა, რომ ოდესღაც ცხოვრებაში ძალიან მომთმენი და ეფექტური ვიყავი.

სანამ დონ ხუანი რაიმეს თქმას მოასწრებდა, კითხვა დავუსვი, რომელიც მყარად გამჯდარიყო ჩემს გონებაში. სამი თვის განმავლობაში მე თან დამდევდა მოგონება ალბინოს შევარდენზე. როგორ გაიგო ამის შესახებ, თუკი თავად დამავიწყდა იგი. მას გაეცინა, მაგრამ არ მიპასუხა. ვთხოვდი, რომ ეთქვა.

— ეს არაფერი იყო, — თქვა მან თავისი ჩვეული დარწმუნებულობით. — ნებისმიერს შეუძლია თქვას, რომ უცნაური ხარ. შენ დამუნჯებული ხარ, და ესაა სულ.

ვიგრძენი, რომ კვლავ გადავყავდი ლიანდაგებიდან და იმ კუთხეში მამწყვდევდა, საითკენაც სულაც არ მინდოდა წასვლა.

— ნუთუ შესაძლებელია ჩვენი სიკვდილის დანახვა? — ვკითხე მე, და ვცდილობდი თემიდან არ გადამეხვია.

— რა თქმა უნდა, — თქვა მან სიცილით. — იგი აქაა, ჩვენთან.

— საიდან იცი?

— მე მოხუცი ვარ, ასაკთან ერთად ბევრ რამეს გებულობ.

— მე ბევრ მოხუცს ვიცნობ, მაგრამ მათ არასოდეს ცოდნიათ ასეთი რამ. შენ საიდან იცი?

— ასე ვთქვათ, მე ბევრი რამე ვიცი იმიტომ, რომ არ გამაჩნია პირადი ისტორია და არ ვგრძნობ თავს უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე რომელიმე სხვა, და კიდევ იმიტომ, რომ ჩემი სიკვდილიც აქვე ზის.

მარცხენა ხელი გაიწვდინა და თითები ისე გაამოძრავა, თითქოს მართლაც ეხებოდა რაღაცას. გამეცინა. ვიცოდი, საითაც მივყავდი. ბებერი ეშმაკი კვლავ აპირებდა ჩემს დაყრუებას, შესაძლოა ჩემივე საკუთარი მნიშვნელოვანების გრძნობით, მაგრამ ამჯერად ეს არ მაღელვებდა. იმის მოგონებამ, რომ ოდესღაც ბრწყინვალე მოთმინებას ვფლობდი, უცნაური, მშვიდი ეიფორიით აღმავსო, რომელიც დონ ხუანის მიმართ ჩემი ნერვიულობისა და მოუთმენლობის უმეტეს ნაწილს ფანტავდა. ამის ნაცვლად მისი ქმედებების მიმართ გაკვირვებას ვგრძნობდი.

— ვინ ხარ სინამდვილეში? — ვკითხე მე. იგი გაკვირვებული ჩანდა. თვალები უზარმაზარ ზომამდე გააღო და ფრინველივით ჩამოწია და ასწია ქუთუთოები, თითქოს ფირფიტები ყოფილიყვნენ. თვალები კი ამ დროს ფოკუსში დარჩა. ამ მანევრმა შემაშინა და უკან გავიწიე, მას კი ბავშვური უდარდელობით გაეცინა.

— შენთვის დონ ხუან მატუსი ვარ, და მზად ვარ გემსახურო, — თქვა მან გადაჭარბებული თავაზიანობით.

შემდეგ სხვა კითხვები დავუსვი, რომლებიც ენაზე მიტრიალებდა.

— რა გამიკეთე პირველ დღეს, როცა შევხვდით? — იმ მზერას ვგულისხმობდი, რომლითაც დამასაჩუქრა.

— მე? არაფერი, — მიპასუხა უმანკო ტონით.

აღვუწერე, რაც ვიგრძენი მაშინ, როცა შემომხედა, და რა არაბუნებრივი იყო ჩემთვის მისი მზერისგან დამუნჯება. ამაზე იქამდე იცინა, სანამ თვალებიდან ცრემლები არ წამოცვივდა. მე კვლავ ვიგრძენი მის მიმართ მტრული ტალღა. ვფიქრობდი, რომ ასეთი სერიოზული და ჩაფიქრებული ვიყავი, ის კი, თავისი უხეში ჩვევებით ასეთი «ინდიელი» იყო.

მან აშკარად შეამჩნია ჩემი განწყობა და სრულიად მოულოდნელად შეწყვიტა სიცილი. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ვუთხარი, რომ მისი სიცილი მაღიზიანებდა, რადგანაც მე სერიოზულად ვცდილობდი გამეგო, რა დამემართა მაშინ.

— აქ არაფერია გასაგები, — მიპასუხა მშვიდად.

მე გავუმეორე უცნაური მოვლენების ის ჩამონათვალი, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მას შემდეგ, რაც პირველად შევხვდი, დაწყებული იმ ჯადოქრული მზერით, რომლითაც შემომხედა, ალბინოსი შევარდნის გახსენებამდე და ლოდზე აჩრდილის დანახვამდე, რომელზეც თქვა, რომ ეს ჩემი სიკვდილი იყო.

— რატომ მიკეთებ ამ ყველაფერს? — ვკითხე მე. ჩემს კითხვაში არ იყო არანაირი საყვედური. უბრალოდ მაინტერესებდა, რა შუაში ვიყავი, თუნდაც მე.

— შენ მთხოვე მომეყოლა, რაც მცენარეებზე ვიცოდი.

მის ხმაში სარკაზმის ნოტები შევამჩნიე. ისე ლაპარაკობდა, თითქოს დამცინისო.

— კი, მაგრამ რაც აქამდე გითქვამს ჩემთვის, არანაირ კავშირში არაა მცენარეებთან, — გავაპროტესტე მე.

მიპასუხა, რომ ამის გასაგებად დროა საჭირო. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მასთან კამათი უსარგებლოა. გავაცნობიერე იმ იოლი და აბსურდული დასკვნების სრული იდიოტიზმი, რომლებიც მე გავაკეთე. სანამ აქ მოვიდოდი, საკუთარ თავს შევპირდი, რომ არასოდეს დავკარგავდი თავს და არასოდეს ვიგრძნობდი გაღიზიანებას დონ ხუანის მიმართ. თუმცაღა რეალურ სიტუციაში იმავე წამს, როგორც კი დამაბნია, მის მიმართ გაღიზიანების ახალი ტალღა ვიგრძენი. ვგრძნობდი, რომ მასთან ურთიერთობის არანაირი საშუალება არ გამაჩნდა, და ეს მაბრაზებდა.

— შენს სიკვდილზე იფიქრე ახლა, — თქვა მოულოდნელად დონ ხუანმა. იგი შენგან გაწვდილი ხელის მანძილზეა და შეუძლია ნებისმიერ მომენტში შეგეხოს. ამიტომ, ნამდვილად არ გაქვს დრო შტერული აზრებისთვის და წვრილმანებზე გაღიზიანებისთვის. არცერთ ჩვენგანს არ აქვს ამის დრო.

— გინდა გაიგო, რა გაგიკეთე პირველ დღეს, როცა შევხვდით? მე შენ «დაგინახე», და «დავინახე», რას ფიქრობდი, რომ მატყუებდი. შენ არ იტყუბოდი, მაგრამ სინამდვილეში იტყუებოდი.

ვუთხარი, რომ მისმა ახსნამ კიდევ უფრო მეტად დამაბნია. მან თქვა, რომ სწორედ ამაშია იმის მიზეზი, რომ არ სურს საკუთარი ქმედებების ახსნა, და ამ ყველაფრის ახსნა არაა საჭირო. თქვა, რომ ერთადერთი რამ, რაც სათვალავში გადის, ესაა მოქმედება, მოქმედება ფიქრის ნაცვლად. მან თივის ჭილობი მოიღო და წამოწვა. მოხერხებულად მოეწყო, შემდეგ კი მითხრა, რომ კიდევ ერთი რამეა, რაც უნდა შევასრულო, თუ მართლა მინდა მცენარეების შესწავლა.

— იცი, რა იყო არასწორი შენში, როცა «დაგინახე», და რა არის არასწორი ახლა? ესაა ის, რომ შენ არ გიყვარს პასუხისმგებლობის აღება იმაზე, რასაც აკეთებ, — თქვა მან ნელა, თითქოს დროს მაძლევდა მისი სიტყვების გასაგებად. — როცა ამ ყველაფერს მიყვებოდი ავტოსადგურზე, აცნობიერებდი, რომ ეს ყველაფერი ტყუილია. რატომ ცრუობდი?

ავუხსენი, რომ ჩემი ამოცანა იყო «საკვანძო ინფორმატორის» მოძებნა ჩემი სამუშაოსთვის.

მას გაეღიმა და მექსიკური სიმღერის კნავილი დაიწყო.

— როცა ადამიანი რაღაცის გაკეთებას გადაწყვეტს, მან ბოლომდე უნდა იაროს, — თქვა დონ ხუანმა. — მაგრამ მან პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თავის ქმედებაზე. მიუხედავად იმისა, თუ რას აკეთებს, პირველ რიგში უნდა იცოდეს, თუ რატომ აკეთებს ამას, შემდეგ კი თავისი ქმედებები ყოველგვარი ეჭვისა და სინანულის გარეშე განახორციელოს.

ყურადღებით შემომხედა. არ ვიცოდი, რა მეთქვა. ბოლოს და ბოლოს გამოვთქვი ჩემი აზრი, თითქმის როგორც პროტესტი.

— კი, მაგრამ ეს შეუძლებელია, — ვუთხარი მე. მან მკითხა, რატომ, და ვუპასუხე, რომ შესაძლოა იდეალური ყოფილიყო, თუ ყველას ფიქრი მათ ქმედებებს დაემთხვეოდა, თუმცაღა პრაქტიკაში შეუძლებელია ეჭვებისა და სინანულის თავიდან აცილება.

— რა თქმა უნდა შესაძლებელია, — მიპასუხა დარწმუნებით.

— შემომხედე, —თქვა მან. — მე არ მაქვს ეჭვები ან სინანული. რასაც ვაკეთებ, ყველაფერი ჩემი გადაწყვეტილება და ჩემი პასუხისმგებლობაა. უმარტივესი რამ, რასაც ვაკეთებ, მაგალითად, შენი უდაბნოში სასეირნოდ წაყვანა შესაძლოა ძალიან ადვილად იყოს ჩემი სიკვდილი. სიკვდილი თან დამყვება. ამიტომ, დრო არ მაქვს ეჭვებისა და სინანულისთვის. თუ მოვკვდები, იმის შედეგად რომ სასეირნოდ წაგიყვან, ესე იგი,უნდა მოვკვდე. მეორე მხრივ, შენ უკვდავად თვლი თავს. და უკვდავი ადამიანის გადაწყვეტილებები შესაძლოა შეიცვალოს, ან შეიძლება ისინი ეჭვქვეშ დააყენო ან ინანო. დრო მხოლოდ იმისთვის გაქვს, რომ გადაწყვეტილება მიიღო.

მე გულწრფელად უარვყოფდი და ვამბობდი, რომ, ჩემი აზრით, ეს არაა რეალური სამყარო, რადგანაც იგი საეჭვო სახითაა შექმნილი ქმედების იდეალურ ფორმაზე და იმაზე დაყრდნობით, რომ არის კიდევ რაღაც გზა იმისთვის, რომ სადღაც იარო.

მე მოვუყევი ისტორია მამაჩემზე, რომელიც უსასრულოდ მიკითხავდა ლექციებს ჯანსაღი გონების საოცრებებზე ჯანსაღ სხეულში და იმაზე, თუ როგორ უნდა გამოწვრთნან ახალგაზრდებმა თავიანთი სხეული სირთულეებით და ათლეტური შეჯიბრებებით. იგი ახალგაზრდა იყო. როცა 8 წლის ვიყავი, იგი მხოლოდ 27-ის იყო. ზაფხულში, როგორც წესი ქალაქიდან, სადაც სკოლაში ასწავლიდა, ბაბუაჩემის ფერმაში ბრუნდებოდა ხოლმე, სადაც მე ვცხოვრობდი, რათა ჩემთან ერთი თვე მაინც გაეტარებინა. ჩემთვის ეს ჯოჯოხეთური ერთი თვე იყო. მე ვუყვებოდი დონ ხუანს, მაგალითად, მამაჩემის ქცევაზე, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან შეესაბამებოდა ამ სიტუციას.

თითქმის მაშინვე, ფერმაში ჩამოსვლისთანავე, მამაჩემი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მასთან ერთად სასეირნოდ წავსულიყავი, რათა ყველაფერზე გველაპარაკა. და ჩვენი საუბრის დროს გეგმებს ადგენდა იმის შესახებ, თუ როგორ ვივლით საბანაოდ ყოველდღე დილის 6 საათზე. ღამით მაღვიძარას ექვსის ნახევარზე აყენებდა, რათა საკმარისი დრო ჰქონოდა, რადგან ზუსტად ექვსზე წყალში უნდა ვყოფილიყავით. და როდესაც დილით ზარი რეკავდა, წამოხტებოდა ხოლმე საწოლიდან, სათვალეს იკეთებდა და ფანჯარასთან მიდიოდა, რომ გარეთ გაეხედა.

დავიმახსოვრე კიდეც შემდეგი მონოლოგი:

— მ-მ-მ... დღეს ცოტა მოღრუბლულია. მისმინე, ახლა წამოვწვები ხუთი წუთით, ოქეი? მეტი არა, მხოლოდ ხუთი წუთი! უბრალოდ მინდა კუნთები გავმართო და ბოლომდე გავიღვიძო.

და ამის შემდეგ, ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე, ათამდე ან ზოგჯერ შუადღემდეც ეძინა ხოლმე.

ვუყვებოდი დონ ხუანს, რომ მაღიზიანებდა მისი ეს აშკარად ძალად მოფიქრებული გადაწყვეტილებები და მათზე უარის თქმის უუნარობა. ამ რიტუალს ყოველ დილით იმეორებდა, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ შეურაცხვყავი მისი გრძნობები, ვთქვი რა უარი მაღვიძარას დაყენებაზე.

— ეს არ იყო ძალად მოფიქრებული გადაწყვეტილებები, — თქვა დონ ხუანმა და აშკარად მამაჩემის მხარე დაიკავა. — უბრალოდ მან არ იცოდა, როგორ ამდგარიყო საწოლიდან, სულ ესაა.

— ყოველ შემთხვევაში, — ვუთხარი მე. — მე ყოველთვის სინანულით ვუყურებ არარეალურ გადაწყვეტილებებს.

— მაშინ, რომელი გადაწყვეტილება იქნება რეალური? — მკითხა დონ ხუანმა ღიმილით.

— თუ მამაჩემი ეტყოდა საკუთარ თავს, რომ არ შეუძლია დილის ექვს საათზე საბანაოდ წასვლა, მაგრამ შეუძლია დღის სამ საათზე.

— შენი გადაწყვეტილება მის სულს ჭრილობას აყენებს, — თქვა დონ ხუანმა დიდი სერიოზულობის ელფერით.

მომეჩვენა, რომ მის ხმაში სევდის ნოტიც დავიჭირე. რაღაც პერიოდი ჩუმად ვიყავით. ჩემი მომაბეზრებლობა გაქრა. საკუთარ მამაზე ვფიქრობდი.

— ნუთუ ვერ ხედავ, — თქვა დონ ხუანმა, — მას არ უნდოდა დღის სამ საათზე ბანაობა.

მისმა სიტყვებმა წამოხტომა მაიძულა. ვუთხარი, რომ მამაჩემი სუსტი იყო, და ასეთივე იყო იდეალური ქმედებების მისი სამყარო, რომლებიც არასოდეს შეუსრულებია. თითქმის ვყვიროდი.

დონ ხუანს სიტყვაც არ უთქვამს. იგი ნელა, რაღაც რიტმში აქნევდა თავს. საშინელ სევდას ვგრძნობდი. როცა მამაზე ვფიქრობდი, ყოველთვის ასეთი ყოვლისმომცველი გრძნობა მიპყრობდა.

— შენ ფიქრობ, რომ უფრო ძლიერი იყავი, ასე არაა? — მკითხა სასხვათაშორისოდ. ვუთხარი, რომ ასე იყო და მოვუყევი მთელი ემოციური დომხალის შესახებ, რომელიც მამაჩემს ჩემში შემოჰქონდა, მაგრამ მან შემაწყვეტინა.

— გიბრაზდებოდა ხოლმე? — მკითხა მან.

— არა.

— მეწვრილმანე იყო შენთან?

— არა.

— ყველაფერს გიკეთებდა, რაც შეეძლო?

— კი.

— მაშინ რა არის მასში არასწორი?

ისევ დავიწყე ყვირილი, რომ ის სუსტი იყო, მაგრამ მაშინვე მოვთოკე თავი და ხმას დავუწიე. უცნაურად ვგრძნობდი თავს იმის გამო, რომ დონ ხუანი დაკითხვას მიწყობდა.

— რისთვის აკეთებ ამ ყველაფერს? — ვკითხე მე. — ხომ იგულისხმებოდა, რომ მცენარეებზე უნდა გვესაუბა? — უფრო გაღიზიანებულდ და დათრგუნულად ვგრძნობდი თავს, ვიდრე ოდესმე აქამდე. ვუთხარი, რომ ეს ყველაფერი მისი საქმე არ იყო, და ჩემი განსჯის ოდნავი უფლებაც კი არ ჰქონდა. და იგი ცხოველურმა სიცილმა შეიპყრო.

— როცა ბრაზდები, ყოველთვის მართლად გრძნობ თავს? — მკითხა და ფრინველივით დაახამხამა თვალები.

დონ ხუანი მართალი იყო. მქონდა ტენდენცია — თავი გამართლებულად მეგრძნო იმაში, რომ ვბრაზდებოდი.

— მოდი, ნუ ვილაპარაკებთ მამაჩემზე, — ვთქვი მე და კარგ განწყობას ვეჭიდებოდი. — მოდი მცენარეებზე ვილაპარაკოთ.

— არა, მოდი მამაშენზე ვილაპარაკოთ, — დაიჟინა მან. — ეს სწორედ ის ადგილია, საიდანაც უნდა დავიწყოთ დღეს. თუ ფიქრობ, რომ მასზე ამდენად ძლიერი იყავი, რატომ არ მიდიოდი საბანაოდ დილის ექვსზე მის ნაცვლად?

ვუთხარი, რომ არ მჯეროდა, თუ სერიოზულად მეკითხებოდა ამას. ყოველთვის ვთვლიდი, რომ დილის ექვს საათზე ბანაობა — მამაჩემის საქმე იყო და არა –ჩემი.

— ეს შენი საქმე გახდა იმ მომენტიდან, რაც მისი იდეა მიიღე, — მომახალა დონ ხუანმა.

ვუთხარი, რომ არასოდეს მიმიღია იგი, რადგან ყოველთვის ვიცოდი, რომ მამაჩემი არ იყო გულწრფელი საკუთარ თავთან. დონ ხუანი დაინტერესდა, რატომ არ ვუთხარი მაშინვე ჩემი შეხედულება.

— შენ ხომ არ ეუბნებოდი მამაშენს მსგავს რამეებს, — ვუთხარი მე, და ეს იყო ახსნის სუსტი მცდელობა.

— რატომაც არა?

— ჩემს სახლში ასე არ ხდებოდა, სულ ესაა.

— შენ კიდევ უფრო უარესს აკეთებდი საკუთარ სახლში, — განაცხადა მან, როგორც მოსამართლემ თავისი სავარძლიდან. — ერთადერთი, რაც არასოდეს გაგიკეთებია, ესაა საკუთარი სულის პატივიცემა.

მის სიტყვებში ისეთი დამანგრეველი ძალა იყო, რომ ისინი ჩემს გონებაში გამოძახილს ჰპოვებდნენ. მან ჩემი ყველა დაცვა დაანგრია, არ შემეძლო კამათი. ხსნა ჩანაწერების კეთებაში ვიპოვე.

ვეცადე ბოლო, ზუსტი ახსნა-განმარტება წარმომედგინა და ვთქვი, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ისეთივე ჯურის ადამიანები მხვდებოდნენ, როგორიც მამაჩემი იყო, თავიანთ სქემებში მრთავდნენ, და როგორც წესი, ყოველთვის უაზროდ ვკარგავდი დროს.

— შენ წუწუნებ, — მითხრა მან რბილად. — შენ წუწუნებ შენს ცხოვრებაზე იმიტომ, რომ არ იღებ პასუხისმგებლობას საკუთარ გადაწყვეტილებებზე. შენ რომ მიგეღო პასუხისმგებლობა მამაშენის იდეასთან დაკავშირებით, თავად იბანავებდი ექვს საათზე, თუ საჭირო იქნებოდა. ან შორს გაუშვებდი პირველივე ჯერზე, მას შემდეგ, რაც მის ქცევას დაინახავდი. მაგრამ შენ არაფერი თქვი, ამიტომ, ისეთივე სუსტი იყავი, როგორც მამაშენი.

— საკუთარ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის აღება ნიშნავს, რომ ადამიანი მზადაა მოკვდეს მათთვის.

— მოიცა, მოიცა, — ვუთხარი მე, — აქ უკვე ყველაფერს უკუღმა ატრიალებ.

მან დამთავრების საშუალება არ მომცა. ვაპირებდი მეთქვა, რომ საკუთარი მამა ავიღე, როგორც არარეალური მოქმედების მაგალითი, და რომ არცერთი ჯანსაღ ჭკუაზე მყოფი არ მოინდომებს ასეთი იდიოტური რამისთვის სიკვდილს.

— არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა გადაწყვტილებაა ეს, — თქვა მან. — არაფერს არ შეუძლია იყოს მეტად ან ნაკლებად სერიოზული, ვიდრე სხვა რამეა. ნუთუ ვერ ხედავ? იმ სამყაროში, სადაც სიკვდილი მონადირეა, არ არსებობს დიდი ან მცირე გადაწყვეტილებები. არსებობს მხოლოდ ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ჩვენი გარდუვალი სიკვდილის სახის წინაშე ვიღებთ.

ვერაფრის თქმა ვერ შევძელი. თითქმის საათი გავიდა. დონ ხუანი სრულიად უძრავად იწვა თავის ჭილობზე, თუმცა არ ეძინა.

— რატომ მომიყევი ეს ყველაფერი, დონ ხუან? — ვკითხე მე. — რატომ მიკეთებ ამ ყველაფერს?

— შენ მოხვედი ჩემთან, — თქვა მან. — არა, ეს ასე არ იყო, შენ მოგიყვანეს ჩემთან, და მე შენთან შეთანხმება დავდე.

— რას მეუბნები?

— შენ შეგეძლო შენი შეთანხმება გქონოდა მამასთან და გებანავა მასთან ერთად, მაგრამ არ გააკეთე ეს, შესაძლოა იმიტომ, რომ ძალიან ახალგაზრდა იყავი. მე შენზე დიდხანს ვიცხოვრე. ჩემზე არაფერია ჩამოკიდებული. მე არსად არ მეჩქარება, ამიტომ, შემიძლია საჭირო სახით გავაკეთო შეთანხმება შენთან.

სადილობის შემდეგ სასეირნოდ წავედით. იოლად ვიტანდი მისი ნაბიჯების სიჩქარეს და კვლავაც აღტაცებული ვიყავი მისი საოცარი ფიზიკური ამტანობით. იგი ისე ადვილად და ისეთი თავდაჯერებული ნაბიჯებით მიაბიჯებდა, რომ მის გვერდით ბავშვს ვგავდი. აღმოსავლეთის მიმართულებით წავედით. მაშინ შევამჩნიე, რომ არ უყვარდა ლაპარაკი, სანამ დადიოდა. თუ მასთან საუბარს ვიწყებდი, უნდა გაჩერებულიყო იმისთვის, რომ ეპასუხა. რამდენიმე საათში გორაკთან მივედით. იგი ჩამოჯდა და ნიშანი მომცა, რომ მეც მის გვერდით ჩამოვმჯდარიყავი. დამცინავ-დრამატული ტონით განაცხადა, რომ ჩემთვის ზღაპრის მოყოლას აპირებდა.

მან თქვა, რომ ოდესღაც ცხოვრობდა ახალგაზრდა კაცი, წარმომავლობით ინდიელი, და ცხოვრობდა ქალაქში, თეთრ ადამიანებს შორის. მას არ ჰქონდა არც სახლი, არ ჰყავდა არც ნათესავები, არც მეგობრები. ქალაქში ბედნიერების საძებნელად ჩავიდა, მაგრამ მხოლოდ სიღატაკე და ტანჯვა იპოვა. ვირივით მუშაობდა და დროდადრო რამდენიმე ცენტს იღებდა, რომელიც პურის ფულად ძლივს ჰყოფნიდა. მთელი დანარჩენი დრო იძულებული იყო, რომ ემათხოვრა, ან მოეპარა საჭმელი.

დო ხუანმა თქვა, რომ ერთხელ ახალგაზრდა კაცი ბაზარში წავიდა. მოხიბლული წინ და უკან დადიოდა ქუჩაში. ისე შეიპყრო ამ ყველაფერმა, რომ არ უყურებდა, სად მიდიოდა, და იმით დაამთავრა, რომ რაღაც კალათებს წამოედო, წაბორძიკდა და ვიღაც მოხუცს დაეცა.

მოხუცს გოგრისგან დამზადებული ოთხი უზარმაზარი ქოთანი მოჰქონდა და ეს-ესაა დამჯდარიყო, რომ დაესვენა და ცოტა წაეხემსა. დონ ხუანს გაეღიმა და თქვა, რომ მოხუცს ძალიან უცნაურად მოეჩვენა ახალგაზრდა კაცის მასზე დაცემის ფაქტი. არ გაბრაზებულა, მაგრამ გაუკვირდა, რატომ დაეცა მაინცდამაინც ეს ახალგაზრდა თავზე. ახალგარდა, პირიქით, გაბრაზებული იყო და უთხრა, რომ გზიდან მოშორებოდა. მას საერთოდ არ აინტერესებდა მათი შეხვედრის ღრმა მიზეზები. ვერ შეამჩნია, რომ მათი გზები ფაქტიურად გადაიკვეთა.

დონ ხუანმა მიმიკით გამოსახა ადამიანის მოძრაობა, რომელიც ცდილობს რაღაც წარმავალი დაიჭიროს. თქვა, რომ ქოთნები გადაბრუნდა და ქუჩაში მიგორავდა. როცა ახალგაზრდამ ქოთნები დაინახა, იფიქრა, რომ ამ დღის საჭმელი იპოვნა.

იგი დაეხმარა მოხუცს და დაიჟინა, რომ დახმარებოდა მძიმე ქოთნების ტარებაში. მოხუცმა უთხრა, რომ სახლში აპირებდა დაბრუნებას, მთებში, მაგრამ ახალგაზრდამ სთხოვა, რომ თან წაეყვანა, ყოველ შემთხვევაში, გზის რაღაც მონაკვეთი მაინც.

მოხუცი მთებისკენ მიმავალ გზას შეუდგა, და სანამ მიდიოდნენ, ახალგაზრდას ცოტა საჭმელი მისცა იქიდან, რაც ბაზარში იყიდა. ახალგაზრდა კარგად გამოძღა, და როცა ბოლომდე დაკმაყოფილდა, შეამჩნია, როგორ დამძიმდა ქოთნები და უფრო მაგრად ჩაჰკიდა ხელები.

დონ ხუანმა თვალები გაახილა და ეშმაკური გრიმასით გაიღიმა, შემდეგ კი თქვა, რომ ახალგაზრდა კაცმა იკითხა: «რა გაქვს ამ ქოთნებში?» მოხუცმა არ უპასუხა, მაგრამ უთხრა, რომ მისთვის კომპანიონის ან მეგობრის ჩვენებას აპირებდა, რომელიც მის სევდას გააქარვებდა და ცხოვრებისეულ სიბრძნეს ასწავლიდა.

დონ ხუანმა დიდებული ჟესტი გააკეთა ორივე ხელით და თქვა, რომ მოხუცმა ყველაზე მშვენიერი ირემი მოიხმო, რაც კი ახალგაზრდას ოდესმე უნახავს. ირემი ისეთი თვინიერი იყო, რომ მივიდა და მის გარშემო დაიწყო სიარული. მასში ფერები გადადიოდა და ანათებდა. ახალგაზრდა ძალიან მოიხიბლა და მაშინვე მიხვდა, რომ ეს იყო «ირემი-სული». მოხუცმა უთხრა, რომ თუ სურდა ჰყოლოდა ეს მეგობარი და მისი სიბრძნე, ყველაფერი, რაც უნდა გაეკეთებინა, ის იყო, რომ ქოთნები უნდა მიეცა.

დონ ხუანის გრიმასამ ამბიცია გამოხატა. მან თქვა, რომ ახალგაზრდა კაცის მეწვრილმანე სურვილები ასეთი თხოვნის შემდეგ უფრო გაღვივდა. დონ ხუანს თვალები პატარა და ეშაკური გაუხდა, როცა ახალგაზრდა კაცის კითხვა წარმოთქვა: «რა გაქვს ამ ოთხ უზარმაზარ ქოთანში?»

დონ ხუანის სიტყვებით, მოხუცმა ძალზე გულწრფელად უპასუხა, რომ საჭმელი და წყალი მიჰქონდა. მან ზღაპრის მოყოლა შეწყვიტა და რამდენიმე წრე დაარტყა. არ ვიცოდი, რას აკეთებდა, ცხადია, ეს ზღაპრის ნაწილი იყო. ადგილზე ტრიალი, როგორც ჩანს, ახალგაზრდა კაცის ფიქრს ნიშნავდა.

დონ ხუანმა თქვა, რომ რა თქმა უნდა ახალგაზრდამ არცერთი სიტყვა არ დაიჯერა. მან ჩათვალა, რომ თუ მოხუცი, რომელიც აშკარად ჯადოქარი იყო, «ირემ-სულს» იძლეოდა თავისი ქოთნების სანაცვლოდ, ქოთნები სრულიად წარმოუდგენელი ძალაუფლებით უნდა ყოფილიყო სავსე.

დონ ხუანმა კვლავ დამანჭა სახე ეშმაკური გრიმასით და თქვა, რომ ახალგაზრდა კაცმა განაცხადა თავისი სურვილის შესახებ, ჰქონოდა ეს ქოთნები. ამას ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა, რომელიც, როგორც მომეჩვენა, ზღაპრის დასასრულს აღნიშნავდა. დონ ხუანი სიმშვიდეს ინარჩუნებდა, თუმცაღა დარწმუნებული ვიყავი, რომ უნდოდა მეკითხა მის შესახებ, და ასეც გავაკეთე. «რა დაემართა ამ ახალგაზრდა კაცს?»

— თვალები ველური ჰქონდა ყველა ამ საოცარი ნივთის დანახვაზე, რომლებიც...

ამას კიდევ ერთი ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა. მე გამეცინა. ვიფიქრე, რომ ეს ნამდვილი «ინდიელების» ზღაპარი იყო.

დონ ხუანის თვალები ბრწყინავდნენ, როცა მან გამიღიმა. იგი თავად უმანკოება იყო. სიცილი დაიწყო და მკითხა:

— ნუთუ არ გინდა გაიგო, რა იყო ქოთნებში?

— რა თქმა უნდა, მინდა. მეგონა, რომ ეს უკვე ზღაპრის დასასრული იყო.

— ო, არა, — თქვა მან თვალებში გამცემი ელვარებით. — ახალგაზრდამ აიღო თავისი ქოთნები, მოფარებულ ადგილას გაიქცა და გახსნა ისინი.

— რა ნახა იქ? — ვკითხე მე.

დონ ხუანმა შემომხედა, და ვიგრძენი, რომ იგი აცნობიერებდა ჩემს გონებრივ გიმნასტიკას. თავი გააქნია და ჩაიცინა.

— ქოთნები ცარიელი იყო? — ვკითხე მე.

— იქ მხოლოდ საჭმელი და წყალი იყო, — თქვა მან. — და განრისხებულმა ახალგაზრდა კაცმა ქვებზე შემოამტვრია ისინი.

მე ვთქვი, რომ მისი რეაქცია სრულიად ბუნებრივი იყო. ნებისმიერი მის ადგილას იგივეს გააკეთებდა. დონ ხუანმა თქვა, რომ ახალგაზრდა კაცი სულელი იყო, რომელმაც არ იცოდა, რას ეძებდა. მან არ იცოდა, როგორია «ძალაუფლება», ამიტომ არ შეეძლო ეთქვა, იპოვა თუ არა იგი. მან არ მიიღო პასუხისმგებლობა თავის გადაწყვეტილებებზე, ამიტომ განრისხდა თავის შეცდომაზე. იგი რაღაცის მიღებას ელოდა, მაგრამ ამის ნაცვლად ვერაფერი ვერ მიიღო. დონ ხუანმა ივარაუდა, რომ ამ ახალგაზრდა კაცის ადგილას, თუკი ჩემს მიდრეკილებებს ავყვებოდი, მეც სიბრაზით და სინანულით დავამთავრებდი, და დარჩენილ ცხოვრებას საკუთარი თავის სიბრალულში და დანაკარგზე წუხილში გავატარებდი.

შემდეგ მან მოხუცის ქცევა ახსნა. მან ჭკვიანურად დააპურა ახალგაზრდა, რომ მისთვის «დაკმაყოფილებული მუცლის სითამამე» მიეცა. ამგვარად, როცა ახალგაზრდამ ქოთნებში მხოლოდ საჭმელი იპოვნა, რისხვის შემოტევის გამო დაამტვრია ისინი.

— მას რომ გაეცნობიერებინა თავისი გადაწყვეტილება და პასუხისმგებლობა აეღო მასზე, — თქვა დონ ხუანმა, — აიღებდა საჭმელს და კმაყოფილზე მეტიც იქნებოდა. ან შესაძლოა იმასაც მიმხვდარიყო, რომ საჭმელიც ძალაუფლებაა.

6. მონადირედ გახდომა

პარასკევი, 1961 წლის 23 ივნისი.

როგორც კი ჩამოვჯექი, მაშინვე კითხვები დავაყარე დონ ხუანს. მან არ მიპასუხა და მოუთმენლობის ჟესტი მაჩვენა ხელით, რომ დავეშოშმინებინე. როგორც ჩანდა სერიოზულ განწყობაზე იყო.

— ვფიქრობ, საერთოდ არ შეიცვალე იმ დროის განმავლობაში, სანამ მცენარეების შესახებ რაიმეს სწავლას ცდილობდი, — მითხრა მან საყვედურით.

ხმამაღლა დაიწყო პიროვნების ყველა იმ ცვლილების ჩამოთვლა, რომლის რეკომენდაციაც მომცა. ვუთხარი, რომ ეს ყველაფერი სერიოზულად განვიხილე და აღმოვაჩინე, რომ ვერ შევძლებდი მათ შესრულებას, რადგანაც ყოველი მათგანი ჩემს რწმენებს ეწინააღმდეგება. მან შენიშნა, რომ მათი უბრალოდ განხილვა არაა საკმარისი, და რაც მითხრა, გასართობად არ უთქვამს. მე კვლავ ვამტკიცებდი, რომ თუმცა ცოტა რამ გავაკეთე ჩემი ცხოვრების მის იდეებთან შესათავსებლად, მაგრამ მართლა მინდოდა მცენარეების გამოყენების შესწავლა.

ხანგრძლივი უხერხული დუმილის შემდეგ თამამად ვკითხე:

— მასწავლი პეიოტის შესახებ, დონ ხუან?

მან თქვა, რომ მხოლოდ ჩემი განზრახვა საკმარისი არაა და პეიოტის შესახებ (მას «მესკალიტო» უწოდა) რაიმეს გაგება პირველად — ეს სერიოზული საქმეა. როგორც ჩანდა მეტი არაფერი იყო სათქმელი.

მაგრამ საღამოს დასაწყისში მან გამოცდა მომიწყო. ჩემ წინ პრობლემა წამოაყენა და არანაირი გასაღები არ მომცა მის გადასაჭრელად: უნდა მეპოვნა კარგი ადგილი ანუ ლაქა პირდაპირ მისი სახლის კარის წინ ეზოს მონაკვეთში, სადაც, როგორც წესი, ვიჯექით და ვსაუბრობდით ხოლმე. ლაქა, სადაც თავს ყოველთვის ბედნიერად და ენერგიით აღსავსედ ვიგრძნობდი. მთელი ღამის განმავლობაში, სანამ «ლაქას» ვეძებდი და მიწაზე დავგორავდი, ორჯერ შევამჩნიე შეფერილობის ცვლილება მითითებული მონაკვეთის ერთფეროვნად მუქ ჭუჭყიან მინდორზე.

პრობლემამ დამღალა, და დავიძინე იმ ადგილას, სადაც შეფერილობის ცვლილება შევამჩნიე. დილით დონ ხუანმა გამაღვიძა და განაცხადა, რომ ჩემმა გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. მე არა მხოლოდ ვიპოვე სასიკეთო ადგილი, რომელსაც ვეძებდი, არამედ მისი საწინააღმდეგოც კი ვიპოვე — მტრული ანუ უარყოფითი ლაქა და შეფერილობები, რომლებიც დაკავშირებული იყო ერთთანაც და მეორესთანაც.

შაბათი, 1961 წლის 24 ივნისი.

დილით ადრე უდაბნოს ჩაპარალში გავემგზავრეთ. სანამ მივდიოდით, დონ ხუანი მიხსნიდა, რომ «სასიკეთო» და «მტრული» ლაქის მოძებნა ძალიან მნიშვნელოვანი საჭიროებაა ადამიანისთვის, რომელიც ველურ ადგილას იმყოფება. მინდოდა საუბარი პეიოტის თემაზე გადამეტანა, მაგრამ მან უბრალოდ უარი თქვა ამის შესახებ საუბარზე. გამაფრთხილა, რომ არ უნდა მეხსენებინა მანამ, სანამ თვითონ არ წამოწევდა ამ თემას.

დასასვენებლად მაღალი ბუჩქების ჩრდილში ჩამოვჯექით იმ ნაწილში, სადაც ხშირი იყო მცენარეულობა. უდაბნოს ჩაპარალი ჩვენ გარშემო ჯერ არ იყო ბოლომდე გამხმარი. თბილი დღე იყო და ბუზებმა დამტანჯეს მაშინ, როცა დონ ხუანს თითქოს საერთოდ არ აწუხებდნენ. ვიფიქრე, რომ უბრალოდ იგნორირებას უკეთებდა მათ, მაგრამ შემდეგ შევამჩნიე, რომ საერთოდ არ აჯდებოდნენ სახეზე.

— ზოგჯერ აუცილებელია სასიკეთო ადგილის სწრაფად პოვნა გაშლილ ადგილას, — განაგრძო დონ ხუანმა. — ან შესაძლოა აუცილებელი იყოს სწრაფად განსაზღვრო, ხომ არ წარმოადგენს ცუდ ადგილს ის ადგილი, სადაც აპირებ დაჯდომას. ერთხელ, გორაკთან ჩამოვჯექით, და შენ ძალიან გაბრაზებული და აღელვებული იყავი. ეს ადგილი მტრულად იყო შენდამი განწყობილი. ყვავმა გაფრთხილება მოგცა — გახსოვს?

მე გამახსენდა, რომ გამაფრთხილა, მომავალში ამ ადგილს გავრიდებოდი. ასევე გამახსენდა, როგორ გავბრაზდი იმის გამო, რომ სიცილის საშუალებას არ მაძლევდა.

— მე მეგონა, რომ ყვავი, რომელმაც თავზე გადაგვიფრინა, მხოლოდ ჩემთვის იყო ნიშანი, — თქვა მან. — ვერანაირად ვერ ვიეჭვებდი, რომ ყვავები შენ მიმართაც მეგობრულად იქნებოდნენ განწყობილნი.

— რაზე ამბობ?

— ყვავი ნიშანი იყო, — თქვა მან. — შენ რომ გცოდნოდა ყვავების შესახებ, თავს აარიდებდი იმ ადგილს, როგორც შავ ჭირს. მაგრამ ყვავები ყოველთვის იქვე არ არიან, რომ გაფრთხილება მოგცენ, ამიტომ თავად უნდა ისწავლო შესაფერისი ადგილის პოვნა ღამის გასათევად ან დასასვენებლად.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დონ ხუანი მოულოდნელად ჩემსკენ შემობრუნდა და მითხრა, რომ დასასვენებლად ადგილის საპოვნელად თვალები უნდა დამეელმებინა. მან გაგებით შემომხედა და კონფედენციალური ტონით მითხრა, რომ სავარაუდოდ სწორედ ასე გავაკეთე, როცა მის ეზოში ვგორაობდი, და ამით ვიპოვე ორი ლაქა, მათი შეფერილობებით. მაგრძნობინა, რომ განაცვიფრა ჩემმა მიღწევამ.

— მართლა არ ვიცი, რა გავაკეთე, — ვუთხარი მე.

— შენ თვალები დააელმე, — თქვა მან. — სწორედ ესაა ტექნიკა. როგორც ჩანს ეს გააკეთე, თუმცა არ გახსოვს.

შემდეგ დონ ხუანმა აღწერა ტექნიკა, რომლის სრულყოფილად ფლობაც, როგორც მან თქვა, წლების პრაქტიკას მოითხოვს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თანდათანობით აიძულო თვალები, ცალ-ცალკე დაინახონ ერთი და იგივე გამოსახულება. გამოსახულებების არდამთხვევა სამყაროს ორმაგ აღქმას იწვევს. ეს ორმაგი აღქმა, დონ

ხუანის თქმით, შესაძებლობას იძლეოდა, რომ დაგვენახა გარემოცვაში მომხდარი ცვლილებები, რომლებსაც თვალები ჩვეულებრივ ვერ აღიქვამენ.

დონ ხუანმა მიბიძგა, რომ მეცადა. დამარწმუნა, რომ მხედველობისთვის ეს საშიში არაა. როგორც მითხრა, ჯერ იმით უნდა დამეწყო, რომ მოკლე მზერებით შემეხედა, თითქმის თვალის კუთხეებით. დიდ ბუჩქზე მიმითითა და მაჩვენა, როგორ აკეთებდა. ძალზე უცნაური შეგრძნება მქონდა, როცა ვხედავდი, როგორ ესროდნენ დონ ხუანის თვალები საოცრად სწრაფ მზერებს. მისი თვალები იმ მოუსვენარ მხეცებს მაგონებდნენ, რომლებსაც არ შეუძლიათ პირდაპირ ყურება. თითქმის საათი გავიარეთ, და ამ პერიოდში ვცდილობდი არ მომეხდინა მზერის ფოკუსირება არაფერზე. შემდეგ დონ ხუანმა მთხოვა, რომ გამოსახულების დაყოფა დამეწყო, ისე, რომ თითოეულ თვალს ცალ-ცალკე აღექვა იგი. კიდევ ერთი საათის შემდეგ საშინლად ამტკივდა თავი და იძულებული გავხდი გავჩერებულიყავი.

— ფიქრობ, რომ შეძლებ, თავად იპოვო დასასვენებლად შესაფერისი ადგილი? — მკითხა მან. არანაირი წარმოდგენა არ მქონდა იმაზე, თუ რა იგულისხმებოდა «შესაფერისი ადგილის» ქვეშ. მან მოთმინებით ამიხსნა, რომ მოკლე მზერებით ხედვა საშალებას მისცემს თვალებს, რომ უჩვეულო ხედები დაიჭიროს.

— ეგ როგორ? — ვკითხე მე.

— სინამდვილეში ეს ხედები არაა, — თქვა მან. — ეს უფრო შეგრძნებას ჰგავს. თუ ხეს ან ბუჩქს შეხედავ, ან ქვას, სადაც დაჯდომას აპირებ, შენი თვალები საშალებას მოგცემენ იგრძნო, არის თუ არა ეს ადგილი საუკეთესო ადგილი დასასვენებლად.

კვლავ ჩავაჯინდი, აეხსნა, თუ რას ჰგავდა ეს შეგრძნებები. მაგრამ მან ან უბრალოდ ვერ შეძლო ახსნა, ან არ უნდოდა ამის გაკეთება. თქვა, რომ უნდა მევარჯიშა და მეტყოდა, იმოქმედეს თუ არა ჩემმა თვალებმა.

ერთხელ მომეჩვენა, რომ კენჭებისგან არეკლილი შუქი დავინახე. ვერ დავინახავდი ამ შუქს, მასზე რომ მომეხდინა ფოკუსირება, მაგრამ თუ ამ ადგილს სწრაფი მზერებით შევხედავდი, რაღაც სუსტი ანარეკლის დანახვა შემეძლო. ეს ადგილი დონ ხუანს ვაჩვენე. იგი იმყოფებოდა არადაჩრდილულ, ღია ადგილას, ხშირი ბუჩქნარის გარეშე. მას ხმამაღლა გაეცინა და მკითხა, რატომ ავირჩიე სწორედ ეს ადგილი. მე ავუხსენი, რომ ანარეკლი დავინახე.

— არ მაინტერესებს რა დაინახე, — თქვა მან. — შენ შეიძლება სპილოც დაინახო. რა იგრძენი, აი, ესაა მნიშვნელოვანი.

მე სართოდ არაფერი არ მიგრძნია. მან იდუმალი მზერა მესროლა და მითხრა, რომ სიამოვნებით გამიწევდა კომპანიას და ჩემთან ერთად დაჯდებოდა იმ ადგილას, მაგრამ სხვაგან აპირებდა დაჯდომას, სანამ ჩემს არჩევანს გამოვცდიდი.

მე დავჯექი, ის კი ცნობისმოყვარე მზერით მიყურებდა 10-15 მეტრის მანძილიდან. რამდენიმე წუთში ხმამაღლა დაიწყო სიცილი. რაღაცნაირად მისი სიცილი მანერვიულებდა. წყობილებიდან გამოვყავდი. ვიგრძენი, რომ დამცინოდა, ამიტომ გავბრაზდი. საკუთარ თავს ვეკითხებოდი აქ ყოფნის მოტივს. რაღაც ვერ იყო რიგზე ჩემი და დონ ხუანის ურთიერთობაში. ვიგრძენი, რომ უბრალოდ პაიკი ვიყავი მის ბრჭყალებში.

უეცრად დონ ხუანი მეცა და სასწრაფოდ გამათრია 3-4 მეტრის დაშორებით. ადგომაში დამეხმარა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. აქ შევამჩნია, რომ უკიდურესად დაიქანცა. ზურგზე ხელი დამიტყაპუნა და მითხრა, რომ არასწორი ადგილი ავირჩიე, და მას მოუწია, მართლაც სასწრაფოდ გადავერჩინე, რადგანაც დაინახა, რომ ის ადგილი, სადაც ვიჯექი, მზად იყო ჩემი ყველა გრძნობის შესაპყრობად. მე გამეცინა. სურათი, თუ როგორ მომვარდა დონ ხუანი, ძალიან სახალისო იყო. იგი მართლა ყმაწვილივით მორბოდა. მისი ფეხები ისე მოძრაობდნენ, თითქოს ჩემს თავზე კატაპულტირება უნდოდათ. ჯერ ვუყურებდი, როგორ იცინოდა ჩემზე, შემდეგ კი ხელით მიმათრევდა.

რაღაც დროის შემდეგ მაიძულა, რომ გამეგრძელებინა შესაფერისი ადგილის ძებნა. ჩვენ გზა განვაგრძეთ, მაგრამ ვერც ვამჩნევდი და ვერც «ვგრძნობდი» ვერაფერს. შესაძლოა, უფრო მოდუნებული რომ ვყოფილიყავი, შემემჩნია ან მეგრძნო რამე, თუმცა მასზე უკვე აღარ ვბრაზობდი. ბოლოს, როგორც იქნა, მიმანიშნა რაღაც ქვებზე და იქ ჩამოვსხედით.

— იმედი ნუ გაგიცრუვდება, — თქვა დონ ხუანმა. — დიდი დროა საჭირო იმისთვის, რომ თვალები კარგად გაავარჯიშო.

მე არაფერი არ მითქვამს. არ ვაპირებდი იმედგაცრუებას იმის გამო, რაც არც თუ ისე კარგად მესმოდა. თუმცაღა, იძულებული ვიყავი მეღიარებინა, რომ უკვე სამჯერ, მას შემდეგ, რაც დონ ხუანი გავიცანი, ძალიან ვბრაზდებოდი და ავადმყოფურ მდგომარეობამდე მივდიოდი იმ ადგილებზე ჯდომისას, რომლებსაც იგი ცუდ ადგილებს უწოდებდა.

— საქმე იმაშია, რომ თვალებით უნდა იგრძნო, — თქვა მან. — ახლა შენი პრობლემა ისაა, რომ არ იცი, რა უნდა იგრძნო. მაგრამ ეს პრაქტიკასთან ერთად მოვა.

— იქნებ მითხრა, დონ ხუან, რა უნდა ვიგრძნო?

— ეს შეუძლებელია.

— რატომ?

— ვერავინ გეტყვის, რას იგრძნობ. ეს არც სითბოა და არც სინათლე, არც ნათება და არც შეფერილობა. ეს კიდევ რაღაც სხვაა.

— შეგიძლია აღმიწერო?

— არა. მე შემიძლია მხოლოდ ტექნიკა მოგცე. როგორც კი ისწავლი გამოსახულების გაყოფას და ყველაფრის ორად დანახვას, ყურადღების ფოკუსირება ამ ორ გამოსახულებას შორის ადგილზე უნდა მოახდინო. ნებისმიერი ცვლილება, რაც ყურადღებას იპყრობს, სწორედ ამ ადგილში მოხდება.

— რა სახისაა ეს ცვლილებები?

— მაგას არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია შეგრძნება, რომელსაც მიიღებ. ყველა ადამიანი განსხვავებულია. დღეს შენ ანარეკლი დაინახე, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგანაც გრძნობა არ იყო. მე ვერ მოგიყვები, როგორ უნდა იგრძნო, შენ თვითონ უნდა ისწავლო ეს.

რაღაც დროის განმავლობაში მდუმარედ ვიჯექით და ვისვენებდით. დონ ხუანმა სახე ქუდით დაიფარა და უძრავად დარჩა, თითქოს ძინავსო. მე ჩანაწერების კეთება დავიწყე, სანამ უეცარი მოძრაობა არ გააკეთა, რომელმაც წამოხტომა მაიძულა. იგი სწრაფადვე დაჯდა, გრიმასით შემომხედა და თქვა:

— შენ ნადირობისკენ გაქვს მიდრეკილება. ამიტომ ნადირობა უნდა ისწავლო. შენ მეტად აღარ ილაპარაკებ მცენარეებზე.

წამით თავისი ყბა წინ გამოწია, შემდეგ კი ცბიერად დაამატა:

— ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, რომ ოდესმე მოგვიწიოს ამის გაკეთება, ასე არაა? — და გაეცინა.

დღის დარჩენილი ნაწილი სხვადასხვა მიმართულებით ხეტიალში გავატარეთ. იგი ძალიან დეტალურად მიყვებოდა ჩხრიალა გველების შესახებ. როგორ ბუდობენ, როგორ მოძრაობენ, მათი სეზონური ქცევები, მათი ჩვევები. შემდეგ იგი განაგრძობდა თვითოეული ამ პუნქტის დამუშავებას და ბოლოს დიდი გველიც დაიჭირა და მოკლა. თავი მოაჭრა, შიგნეულობა გამოუსუფთავა, გაატყავა და ხორცი შეწვა. მის მოძრაობებში ისეთი გრაციოზულობა და მოხერხებულობა იყო, რომ დიდი სიამოვნება იყო უბრალოდ მის გვერდით ყოფნაც კი. ვუსმენდი და მოხიბლული ვადევნებდი თვალყურს. ყურადღების კონცენტრაცია იმდენად სრული მქონდა, რომ მთელი დანარჩენი სამყარო პრაქტიკულად გაქრა.

გველის ჭამა ჩვეული საქმეების სამყაროში უხეში დაბრუნება იყო. გულისრევა ვიგრძენი, როგორც კი გველის ხორცის ღეჭვა დავიწყე. ეს ცრუ ზიზღი იყო, რადგანაც ხორცი მშვენიერი აღმოჩნდა. მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ჩემი კუჭი დამოუკიდებელი ერთეული იყო. ლუკმა ძლივს გადავყლაპე. მეგონა, დონ ხუანს გულის შეტევა დაემართებოდა, ისე იცინოდა.

ამის შემდეგ ზარმაცული დასვენებისთვის კლდეების ჩრდილში ჩამოვჯექით. მე ჩემს ჩანაწერებზე დავიწყე მუშაობა, და მათმა მოცულობამ მაიძულა მივმხვდარიყავი, რომ მან საოცრად დიდი ინფორმაცია მომცა ჩხრიალა გველების შესახებ.

— შენი მონადირული სული დაგიბრუნდა, — თქვა დონ ხუანმა სერიოზული სახით. — ახლა უკვე გამოჭერილი ხარ.

— უკაცრავად?

მინდოდა დამეზუსტებინა, რას გულისხმობდა გამოჭერაში, მაგრამ ის მხოლოდ იცინოდა.

— როგორ ვარ გამოჭერილი?

— მონადირეები ყოველთვის ინადირებენ, — თქვა მან. — მე თვითონაც მონადირე ვარ.

— გინდა თქვა, იმისთვის ნადირობ, რომ იცოცხლო.

— იმისთვის ვნადირობ, რომ ვიცოცხლო. მე შემიძლია ყველგან ვიცოცხლო დედამიწაზე.

მან ხელით მთელი გარშემოწერილობა მაჩვენა.

— იყო მონადირე ნიშნავს, რომ ბევრი რამ იცი. ეს ნიშნავს, რომ სამყაროს დანახვა სხვადასხვაგვარად შეგიძლია. იმისთვის, რომ მონადირე იყო, სრულ წონასწორობაში უნდა იყო ყველაფერ დანარჩენთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნადირობა ყოველდღიურ უაზრო საქმიანობად იქცევა. მაგალითად, დღეს გველი დავიჭირეთ. მე იძულებული ვიყავი, რომ ბოდიში მომეხადა მისთვის იმის გამო, რომ მისი სიცოცხლე ასე მოულოდნელად და ასე საბოლოოდ შევწყვიტე. მე ის გავაკეთე, რაც გავაკეთე და ვიცი, რომ ჩემი სიცოცხლეც ერთხელ ასევე შეწყდება იგივე სახით — მოულოდნელად და საბოლოოდ. ასე რომ ჩვენ და გველები ერთ საფეხურზე ვართ. ერთმა მათგანმა დღეს გამოგვკვება.

— არასოდეს მესმოდა ეს წონასწორობა, როცა ვნადირობდი, — ვუთხარი მე.

— არაა მართალი, შენ უბრალოდ არ კლავდი ცხოველებს. შენ და შენი ოჯახი ნადავლს ჭამდით.

მისი განცხადება იმ ადამიანის დარწმუნებულობას ატარებდა, რომელიც იქ იყო. რა თქმა უნდა, მართალი გახლდათ. იყო დრო, როცა შემთხვევით მსხვერპლის ხორცით მთელ ჩემს ოჯახს ვამარაგებდი.

ყოყმანის შემდეგ ვკითხე:

— საიდან გაიგე ეს?

— გარკვეული საკითხები მე უბრალოდ ვიცი, — თქვა მან. — თუმცა ვერ გეტყვი, საიდან.

მოვუყევი, რომ ჩემი დეიდები და ბიძები ძალიან სერიოზულად უწოდებდნენ ყველა ფრინველს, რომლებიც მიმყავდა —«ხოხბებს».

დონ ხუანმა თქვა, რომ ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, როგორ უწოდებენ ისინი «პატარა ხოხობს», და კომიკური მიმიკით დაამატა, როგორ დაღეჭავდნენ მას. მისი ყბის უჩვეულო მოძრაობამ განწყობა შემიქმნა, რომ იგი მართლაც ღეჭავდა ფრინველს ძვლებიანად და ბუმბულიანად.

— მე მართლა ვფიქრობ, რომ მიდრეკილება გაქვს ნადირობისკენ, — თქვა მან, და თან მიყურებდა. — ჩვენ კი იმ ბოლოდან არ დავიწყეთ. იქნებ მოინდომო შენი ცხოვრების წესის შეცვლა იმისთვის, რომ მონადირე გახდე.

მან შემახსენა, რომ ძალიან მცირე ძალისხმევით აღმოვაჩინე, რომ სამყაროში ჩემთვის კარგი და ცუდი ადგილები არსებობდა. ასევე დაამატა, რომ მათთვის დამახასიათებელი სპეციფიური შეფერილობებიც შევამჩნიე.

— ეს ნიშნავს, რომ ნადირობისადმი მიდრეკილება გაქვს, — ხმამაღლა განაცხადა მან. — ყველას არ შეუძლია იპოვოს თავისი ადგილები და მათი შეფერილობები ერთდროულად.

— მონადირედ ყოფნა ძალიან ლამაზად და რომანტიულად ჟღერს, მაგრამ ჩემთვის ეს აბსურდია, რადგანაც არ მაინტერესებს ნადირობა, როგორც რაიმე განსაკუთრებული.

— შენ არ გჭირდება იმაზე ზრუნვა, რომ ინადირო, ან ნადირობა გიყვარდეს, — მიპასუხა მან. — შენ ბუნებრივი მიდრეკილება გაქვს. ვფიქრობ, რომ ყველაზე საუკეთესო მონადირეებს არასოდეს ჰყვარებიათ ნადირობა. ისინი ამას კარგად აკეთებენ. სულ ესაა.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ დონ ხუანს შეეძლო ნებისმიერი კამათი თავის სასარგებლოდ წაეყვანა, და ამავე დროს ამტკიცებდა, რომ საერთოდ არ უყვარდა ლაპარაკი.

—ეს იგივეა, რომ მონადირეების შესახებ გიყვებოდე, — თქვა მან. — სრულიად არაა აუცილებელი, რომ ლაპარაკი მიყვარდეს. უბრალოდ მიდრეკილება მაქვს ამისკენ, და ეს კარგად გამომდის. სულ ესაა.

მისი გონების სისხარტე მართლაც უჩვეულო იყო.

— მონადირეები უკიდურესად მტკიცე ინდივიდები უნდა იყვნენ, — განაგრძო მან. — მონადირე ძალიან ცოტას უტოვებს შემთხვევას.

მე მთელი დროის განმავლობაში ვცდილობდი დამერწმუნებინე, რომ სხვანაირად უნდა გეცხოვრა. აქამდე ვერ მივაღწიე წარმატებას. შენ არაფერი გქონდა ხელჩასაჭიდი. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. მე დაგიბრუნე მონადირის სული. შესაძლოა მისი მეშვეობით შეიცვალო.

მე ვაპროტესტებდი, რომ არ მინდოდა მონადირედ ყოფნა. შევახსენე, რომ თავიდანვე მინდოდა — უბრალოდ მოეყოლა სამკურნალო მცენარეების შესახებ, მაგრამ მან მაიძულა იმდენად შორს წავსულიყავი პირვანდელი მიზნისგან, რომ უკვე ვეღარ ვიხსენებ მკაფიოდ, მართლა მინდოდა თუ არა მცენარეების შესწავლა.

— კარგი, — თქვა მან. — მართლაც კარგი. თუკი არ გაქვს მკაფიო სურათი, თუ რა გინდა, მაშინ შეგიძლია უფრო მორჩილი გახდე.

—მოდი, ასე ვთქვათ. შენი მიზნებისთვის, სინამდვილეში, მნიშვნელობა არ აქვს, მცენარეებს შეისწავლი თუ ნადირობას. თვითონ მითხარი ეს. შენ გაინტერესებს ყველაფერი, რაც ვინმეს შეუძლია გითხრას, ასე არაა?

ვუთხარი, რომ ნამდვილად ასე იყო, და ვცდილობდი ანთროპოლოგიის თემატიკა აღმეწერა, რათა ინფორმატორად გამომდგომოდა.

დონ ხუანს ჩაეცინა, აშკარად აცნობიერებდა თავის კონტროლს სიტუაციაზე.

— მე მონადირე ვარ, — თქვა მან, თითქოს ჩემს აზრებს კითხულობსო. — და ძალიან ცოტას ვუტოვებ შემთხვევითობას. შესაძლოა, უნდა აგიხსნა, რომ ვისწავლე მონდირედ ყოფნა. ყოველთვის ასე არ ვცხოვრობდი, როგორც ახლა ვცხოვრობ. ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ წერტილში მე უნდა შევცვლილიყავი. ახლა მე გაჩვენებ მიმართულებას. მე მიმყავხარ. ვიცი რასაც ვამბობ. ვიღაცამ მასწავლა ეს ყველაფერი, თავად არ მომიგონია.

— გინდა თქვა, რომ მასწავლებელი გყავდა, დონ ხუან?

— მოდი ასე ვთქვათ, რომ ვიღაცამ ნადირობა ისე მასწავლა, როგორც ახლა მე მინდა გასწავლო, — თქვა და სწრაფად შეცვალა თემა.

— ვფიქრობ, ოდესღაც ნადირობა ერთ-ერთი უდიადესი მოქმედება იყო, რომლის შესრულებაც ადამიანს შეეძლო. ყველა მონადირე ძლევამოსილი ადამიანი იყო. და სინამდვილეში, მონადირე იძულებული იყო, რომ ძლევამოსილი ყოფილიყო, იმისთვის, რომ ასეთი ცხოვრების წნეხისთვის გაეძლო.

უეცრად ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო. იქნებ იმ დროზე საუბრობდა, რომელიც დაპყრობას უძღოდა წინ?

— როდის იყო ის დრო, რომელზეც შენ ამბობ?

— ძალიან ძველად.

— როდის? რას ნიშნავს ძალიან ძველად?

— ეს ნიშნავს ძალიან ძველად, ან შესაძლოა ეს ნიშნავს ახლა, დღეს. ამას არ აქვს მნიშვნელობა. ერთხელ ადამიანებმა იცოდნენ, რომ მონადირეები საუკეთესონი არიან ადამიანებს შორის. ახლა ყველამ არ იცის ეს. მაგრამ არის ადამიანების საკმრისი რაოდენობა, რომლებმაც იციან. მე ეს ვიცი. ერთხელ შენც გეცოდინება. ხვდები, რას ვგულისხმობ?

— იაკი ინდიელები ფიქრობენ ასე მონადირეებზე? სწორედ ამის გაგება მინდა.

— არა მხოლოდ.

— პიმას ინდიელები?

ყველა არა, მაგრამ ზოგიერთი.

მე დავასახელე სხვადასხვა ჯგუფები, და მინდოდა მიმეყვანა იგი განცხადებამდე, რომ ნადირობა წარმოადგენს განსაკუთრებული ადამიანების წეს-ჩვეულებასა და პრაქტიკას. მაგრამ იგი თავს არიდებდა პირდაპირ პასუხს, ამიტომ თემა შევცვალე.

— რატომ აკეთებ ჩემთვის ამ ყველაფერს, დონ ხუან? — ვკითხე მე. მან ქუდი მოიხადა და თავი მოიქექა გათამაშებული დაბნეულობით.

— მე შენთან შეთანხმება მაქვს, — თქვა რბილად. — სხვა ადამიანებსაც ასეთივე შეთანხმება აქვთ შენთან. ოდესმე თავად შენც გექნება ასეთი შეთანხმება სხვებთან. ასე ვთქვათ, ახლა ჩემი ჯერია. ერთხელ აღმოვაჩინე, რომ თუ ღირსეულ მონადირედ გახდომა მინდოდა, ჩემი ცხოვრების წესი უნდა შემეცვალა. ჩვეულებრივ, მე ხშირად ვწუწუნებდი. საფუძვლიანი მიზეზები მქონდა, რომ დაჩაგრულად მეგრძნო თავი. მე ინდიელი ვარ, ინდიელებს კი ისევე ეპყრობიან, როგორც ძაღლებს. ვერაფერს ვიზამდი, რომ ასეთი ვითარება შემეცვალა. ამიტომ ყველაფერი, რაც დამრჩენოდა, ჩემი სევდა იყო. მაგრამ შემდეგ ფორტუნა ჩემკენ შემობრუნდა, და ერთმა ადამიანმა ნადირობა მასწავლა. და მივხვდი, რომ მანამდე როგორც ვცხოვრობდი, არ ღირდა ცხოვრებად... ამიტომ შევიცვალე.

— მაგრამ მე ბედნიერი ვარ ჩემი ცხოვრებით, დონ ხუან. რატომ უნდა შევცვალო იგი?

მან მექსიკური სიმღერა წაიღიღინა, ძალიან რბილად, შემდეგ კი მისი მოტივის კნავილი დაიწყო. თავი სიმღერის რიტმს მიყვებოდა და ზემოთ-ქვემოთ ქანაობდა.

— შენ ფიქრობ, რომ მე და შენ თანასწორნი ვართ? — მკითხა მკვეთრი ხმით.

მისმა კითხვამ დამაბნია. ყურებში უცნაური შუილი ვიგრძენი, თითქოს მართლა წამოეყვიროს თავისი სიტყვები, რაც სინამდვილეში არ გაუკეთებია. თუმცაღა მის ხმაში იყო ლითონის ჟღერადობა, რომელიც ჩემს ყურებში გაისმა.

მარცხენა ხელის ნეკა თითით მარცხენა ყურში ვიქექებოდი. გამუდმებით მექავებოდა ყურები, და მე გამუდმებით და ნერვიულად ვიზელდი მათ თითებით. ეს მოქმედება მთლიანად ჩემი ხელების კანკალისმაგვარი მოძრაობებით ხდებოდა.

დონ ხუანი ჩემს მოძრაობებს აშკარა ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს.

— ნუ... თანასწორნი ვართ? — მკითხა მან.

— რა თქმა უნდა, თანასწორნი ვართ, — მივუგე მე.

სინამდვილეში, მე შემწყნარებლობას ვიჩენდი. მისადმი დიდ სითბოს ვგრძნობდი, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო უბრალოდ არ ვიცოდი, რა მომეხერხებინა მისთვის. და მაინც, ჩემი ტვინის რომელიღაც კუნჭულში ჩადებული მქონდა, თუმცა არასოდეს ვაჟღერებდი ამას, რწმენა იმისა, რომ ვიყავი რა უნივერსიტეტის სტუდენტი, ცივილიზებული დასავლური სამყაროს ადამიანი, უფრო მაღლა ვიდექი, ვიდრე ინდიელი.

— არა, — თქვა მან მშვიდად. — ჩვენ არ ვართ თანასწორნი.

— კი, მაგრამ რატომ. ჩვენ მართლა თანასწორნი ვართ, — გავაპროტესტე მე.

— არა, — თქვა მან რბილი ხმით, — ჩვენ არ ვართ თანასწორნი. მე მონადირე და მეომარი ვარ, შენ კი — პარაზიტი.

ყბა ჩამომივარდა. ვერ ვიჯერებდი, რომ დონ ხუანმა მართლა თქვა ეს. ჩანაწერების წიგნაკი ხელიდან გამივარდა და გააფთრებული მივაშტერდი.

მან მშვიდი თვალებით შემომხედა. მე თვალები გავწიე, შემდეგ კი კვლავ განაგრძო ლაპარაკი. თავის სიტყვებს ნათლად და მკაფიოდ გამოხატავდა. ისინი რბილად, მაგრამ სასიკვდილოდ ჟღერდნენ. მან თქვა, რომ მე ვიღაც სხვის ხარჯზე ვპარაზიტობ. თქვა, რომ მე არ ვიბრძვი ჩემს საკუთარ ბრძოლებში, არამედ ვიღაც უცნობი ადამიანების ომში ვიბრძვი, რომ მე არ მინდა მცენარეების, ნადირობის ან სხვა რამის შესწავლა, და, რომ ზუსტი ქმედებების, გრძნობებისა და გადაწყვეტილებების მისი სამყარო უსასრულოდ უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ის მოდუნებული იდიოტიზმი, რომელსაც «ჩემს ცხოვრებას» ვეძახდი.

როცა დაამთავრა, მე დამუნჯებული ვიჯექი. იგი აგრესიულობის და უკმაყოფილების გარეშე საუბრობდა. მაგრამ ისეთი ძალით და ამავდროულად ისეთი სიმშვიდით, რომ უკვე აღარც ვბრაზდებოდი.

ჩუმად ვისხედით. გაღიზიანებას ვგრძნობდი და შესაფერისს ვერაფერს ვამბობდი. ველოდებოდი, სანამ მდუმარებას დაარღვევდა. საათები გადიოდა. თანდათანობით დონ ხუანი უძრავი ხდებოდა, სანამ მისმა სხეულმა უცნაური, თითქმის საზარელი გაშეშებულობა არ მიიღო. მისი სილუეტი დაბნელებასთან ერთად ძნელად გარჩევადი ხდებოდა. და ბოლოს, როცა ყველაფერი ჩვენ გარშემო წყვდიადმა მოიცვა, იგი ქვების სიბნელეს

შეერწყა. მისი უძრაობის მდგომარეობა ისეთი სრული იყო, მომეჩვენა, რომ აღარ არსებობდა. შუაღამე დადგა, როცა ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ მას შეუძლია და დარჩება კიდეც უძრავად ამ სიბნელეში, ამ კლდეებში, შესაძლოა სამუდამოდაც, თუ მას ასე დასჭირდებოდა. ზუსტი მოქმედებების, გრძნობებისა და გადაწყვეტილებების მისი სამყარო მართლაც ჩემსაზე მაღლა იდგა.

ჩუმად შევეხე მის ხელს და ცრემლები წამომცვივდა.

7. მიუწვდომლობა

ხუთშაბათი, 1961 წლის 29 ივნისი.

დონ ხუანს კვლავაც, ისევე როგორც თითქმის მთელი კვირის განმავლობაში, მოხიბლული ვყავდი ყოველგვარი განსაკუთრებული დეტალებით ნადირის მოქცევის წესების შესახებ. თავიდან მიხსნიდა, შემდეგ კი შეიმუშავა მონადირის ტაქტიკათა მთელი რიგი, დაფუძნებული იმაზე, რასაც უწოდებდა «გნოლის მოსახვევებს». მე იმდენად ღრმად შევედი მის ახსნა-განმარტებებში, რომ მთელი დღე გავიდა, მე კი ვერ შევნიშნე, როგორ გადიოდა დრო. ლანჩის ჭამაც დამავიწყდა. დონ ხუანმა ხუმრობით შენიშნა, რომ ეს სრულიად უჩვეულოა ჩემთვის — ჭამის გამოტოვება.

დღის ბოლოსთვის მან ხუთი გნოლი დაიჭირა ფრიად ეშმაკური ხაფანგით, რომლის აწყობაც მასწავლა.

— ორი გვეყოფა, — თქვა მან და სამი გაუშვა.

შემდეგ გნოლების შეწვა მასწავლა. როცა ჭამას მოვრჩით, ძალიან ზანტად წავედით კლდიანი მხარის მიმართულებით. გორაკის ფერდობთან ჩამოვსხედით, და ხუმრობით ვთქვი, რომ მთელი ეს საქმე ჩემთვის რომ დაევალებინა, ხუთივე გნოლს შევწვავდი, და ჩემი მწვადი მისაზე ნაკლები არ იქნებოდა.

— ეჭვიც არ მეპარება, — თქვა მან. — მაგრამ ეს ყველაფერი რომ გაგეკეთებინა, შესაძლოა საღ-სალამათებს ვერ დაგვეტოვებინა ეს ადგილი.

— რას გულისხმობ? — ვკითხე მე. — რა შეგვიშლიდა ხელს?

— ბუჩქები, გნოლები, ყველაფერი ჩაერეოდა.

— ვერასოდეს ვხვდები, რა დროს ლაპარაკობ სერიოზულად, — ვუთხარი მე.

მან გაღიზიანებული მოუთმენლობის ნიშანი მომცა და ტუჩებით ჰაერი შეისრუტა.

— შენ მცდარი წარმოდგენა გაქვს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს სერიოზულად ლაპარაკი, — თქვა მან. — მე ბევრს ვიცინი, იმიტომ, რომ მიყვარს სიცილი. და მაინც, რასაც ვამბობ, სასიკვდილოდ სერიოზულია, მაშინაც კი, თუ ეს არ გესმის. რატომ ფიქრობ, რომ სამყარო მხოლოდ ისეთია, როგორადაც შენ თვლი? ვინ მოგცა ამის თქმის უფლება?

— მაგრამ არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ სამყარო სხვანაირია, — მივუგე მე.

ბნელდებოდა. ვფიქრობდი, რომ უკვე სახლშ დაბრუნების დრო იყო, მაგრამ ის, როგორც ჩანს, არ ჩქარობდა. ცივი ქარი იყო. უეცრად მითხრა, რომ უნდა ავმდგარიყავით, გორაკის თავზე უნდა ავსულიყავით და დავმდგარიყავით იმ ადგილას, სადაც ბუჩქები არ იზრდებოდა.

— ნუ გეშინია, — თქვა მან. — მე შენი მეგობარი ვარ, და ვიზრუნებ იმაზე, რომ ცუდი არაფერი დაგემართოს.

— რას გულისხმობ? — ვკითხე აღელვებულმა.

დონ ხუანს ჰქონდა საოცრად არასასიამოვნო თვისება — გადავეყვანე მშვიდი მდგომარეობიდან შეშინებულში.

— სამყარო ძალზე უჩვეულოა დღის ამ მონაკვეთში, — თქვა მან. — აი, რას ვგულისხმობ. რაც არ უნდა დაინახო, არ შეგეშინდეს.

— რას დავინახავ?

— ჯერ არ ვიცი, თქვა მან, და თან შორს, სამხრეთის მხარეს იყურებოდა.

როგორც ჩანს არ ღელავდა. მეც იგივე მიმართულებით ვიყურებოდი. უეცრად მარცხენა ხელით ბნელი ბუჩქნარისკენ მიმითითა.

— ეს იქაა, — თქვა მან, თითქოს რაღაცას ელოდა და ეს რაღაც უეცრად გამოჩნდა.

— რა არის იქ? — ვკითხე მე.

— აი, ის იქაა, — გაიმეორა მან. — შეხედე! შეხედე!

მე ვერაფერს ვხედავდი, მხოლოდ ბუჩქებს.

— ახლა ის აქაა, — თქვა მან ნაჩქარევად. — ის აქაა.

ქარის მოულოდნელმა დაქროლვამ სახეში დამარტყა ამ მომენტში და თვალები ამეწვა. იმ მხარეს ვიყურებოდი, საითაც მიმითითა. იქ აბსოლუტურად არაფერი არ იყო, ყველაფერი ჩვეულებრივი იყო.

— მე ვერაფერს ვხედავ, — ვუთხარი მე.

— შენ ახლახან შეიგრძენი ეს, — თქვა მან. — ზუსტად ახლა. ის თვალებში მოგხვდა და ხედვაში ხელი შეგიშალა.

— რაზე მეუბნები?

— მე განზრახ ამოგიყვანე გორაკის თავზე, — თქვა მან. — ჩვენ აქ ძალიან შესამჩნევები ვართ, და რაღაც გვიახლოვდება.

— რა? ქარი?

— უბრალოდ ქარი არა, — თქვა მან მკვეთრად. — შესაძლოა შენ ქარად მოგეჩვენოს, იმიტომ, რომ ქარის გარდა არაფერი იცი.

თვალები დავძაბე და უდაბნოს ბუჩქებს ვუმზერდი. დონ ხუანი ჩუმად იდგა ჩემ გვერდით, შემდეგ კი უახლოეს ჩაპარალში წავიდა და ბუჩქებზე დიდი ტოტების მომტვრევა დაიწყო. მან რვა ტოტი მოაგროვა და ერთ გროვად შეკრა. მიმითითა, რომ იგივე გამეკეთებინა და ბოდიში მომეხადა მცენარეებისთვის იმის გამო, რომ ვასახიჩრებდი მათ.

როცა ტოტების ორი ასეთი გროვა მოვაგროვეთ, მითხრა, რომ იღლიებში ამომეჩრა ისინი, გორაკის მწვერვალზე ამერბინა და ზურგზე დავწოლილიყავი ორ დიდ ქვას შორის. უდიდესი სისწრაფით ჩემი ტოტები ისე განალაგა, რომ მათ მთელი ჩემი სხეული დაფარეს. შემდეგ თვითონაც ასე დაიფარა ტოტებით და ფოთლები და მიჩურჩულა, რომ თვალყური უნდა მედევნებინა, როგორ შეწყვეტდა ე.წ. ქარი ქროლვას მას შემდეგ, რაც შეუმჩნეველნი გავხდით.

ჩემდა გასაკვირად, ამ მომენტში ქარი მართლა ჩადგა, როგორც დონ ხუანმა იწინასწარმეტყველა. ეს ისე თანდათანობით მოხდა, რომ გამოვტოვებდი ცვლილებას, გაცნობიერებულად რომ არ დავლოდებოდი მას. რაღაც დროის განმავლობაში ქარი ჩემი სახის ზემოთ, ფოთლებში ზუზუნებდა, შემდეგ კი თანდათანობით ყველაფერი ჩაწყნარდა.

დონ ხუანს გადავუჩურჩულე, რომ ქარი ჩადგა, და მან საპასუხოდ გადმომიჩურჩულა, რომ არანაირი მკვეთრი მოძრაობა არ უნდა გავაკეთო, რადგანაც ის, რასაც ქარს ვუწოდებდი, სულაც არაა ქარი, არამედ ისაა, რასაც თავისი საკუთარი ნება გააჩნია და მართლაც შეუძლია ჩვენი შემჩნევა.

ნევროზულობისგან გამეცინა. დონ ხუანმა მოგუდული ხმით ყურადღება გამამახვილებინა ჩვენ გარშემო სიჩუმეზე და მიჩურჩულა, რომ ადგომას აპირებდა და მისთვის უნდა მიმებაძა, და ტოტები ჩემგან მარცხნივ უნდა დამელაგებინა. ერთდროულად ავდექით. დონ ხუანი რაღაც დროის განმავლობაში შორს იყურებოდა, სამხრეთის მიმართულებით, შემდეგ კი მკვეთრად შემობრუნდა, სახით დასავლეთისკენ.

— მაძებარი, მართლა მაძებარი, — ჩაიბურტყუნა მან და ხელი სამხრეთ-დასავლეთისკენ გაიშვირა. — შეხედე, შეხედე!

მე მთელი ინტენსივობით ვიყურებოდი, რაც კი შემეძლო. მინდოდა დამენახა, რასაც მეუბნებოდა, მაგრამ საერთოდ ვერაფერს ვხედავდი. ან უფრო ვერ ვხედავდი ვერაფერ ისეთს, რაც ადრე არ მინახავს. იქ მხოლოდ ბუჩქები იყო, რომლებსაც მსუბუქი ქარი აშრიალებდა.

— ის აქაა, — თქვა დონ ხუანმა. ამ მომენტში პირდაპირ სახეში ვიგრძენი ქარის დარტყმა. მომეჩვენა, რომ ქარმა მართლა იმის მერე დაიწყო ქროლვა, რაც წამოვდექით. ვერ ვიჯერებდი ამას. ამ ყველაფერს რაღაც ლოგიკური ახსნა უნდა ჰქონოდა.

დონ ხუანმა მსუბუქად ჩაიცინა და მითხრა, რომ არ დამეღალა ჩემი ტვინი, რაიმე გონივრული მიზეზის ძიებაში.

— მოდი, კიდევ შევაგროვოთ ტოტები, — თქვა მან. — ვერ ვიტან ამის კეთებას პატარა მცენარეებზე, მაგრამ უნდა შეგაჩეროთ.

მან ასწია ტოტები, რომლებიც მანამდე გამოვიყენეთ და ქვა და მიწა დააყარა მათ. შემდეგ იგივე მოძრაობები გაიმეორა, რაც მანამდე გავაკეთეთ და ყოველმა ჩვენგანმა რვა ახალი ტოტი მოტეხა. ამასობაში ქარი უწყვეტად ქროდა. ვგრძნობდი, როგორ მიჩეჩავდა თმას. დონ ხუანმა მითხრა, რომ მას შემდეგ, რაც ტოტებს დამაფარებდა, ოდნავაც კი არ უნდა ამომეღო ხმა და არ უნდა გავნძრეულიყავი. მან ძალიან სწრაფად განალაგა ტოტები ჩემს სხეულზე, შემდეგ კი დაწვა და თვითონაც ასევე გადაიფარა.

ასეთ მდგომარეობაში ოცი წუთის განმავლობაში ვიყავით და ამ დროის განმავლობაში უცნაური მოვლენა მოხდა. ქარი კვლავაც შეიცვალა მკვეთრი და უწყვეტი ქროლვიდან ძლივს შესამჩნევ ვიბრაციამდე.

სუნთქვა შევიკავე და დონ ხუანის სიგნალს ველოდი. რაღაც მომენტში მან მსუბუქად მოიხსნა ტოტები. მეც იგივე გავაკეთე და წამოვდექით. გორაკის მწვერვალი სრულიად მშვიდი იყო. მხოლოდ ძლივს შესამჩნევი ფოთლების მოძრაობა თუ შეიმჩნეოდა. დონ ხუანის თვალები დაჟინებით უცქერდნენ ბუჩქებს სამხრეთის მიმართულებით.

— ისევ იქაა! წამოიძახა ხმამაღლა.

მე უნებურად შევხტი და კინაღამ წონასწორობა დავკარგე, მან კი ხმამაღლა მიბრძანა, რომ შემეხედა.

— რა უნდა დავინახო? — ვკითხე სასოწარკვეთილმა.

მან თქვა, რომ ეს ქარი, ან რაც არ უნდა ყოფილიყო, ღრუბელს ან ქარბორბალას ჰგავდა, რომელიც ბუჩქებს ზემოთ რაღაც მანძილზე იმყოფება და იმ გორაკის მწვერვალისკენ მოიწევდა, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით. მოშორებით ბუჩქების მოძრაობა შევნიშნე.

— აი, მოდის, — მითხრა დონ ხუანმა. — შეხედე, როგორ გვეძებს.

ზუსტად ამ დროს ძლიერმა ქარმა კვლავ სახეში დამიბერა, როგორც მანამდე. მაგრამ ამჯერად ჩემი რეაქცია სხვა იყო. შეშინებული ვიყავი, და ვერ ვხედავდი იმას, რასაც დონ ხუანი მეუბნებოდა, მაგრამ ვხედავდი ფრიად იდუმალ ტალღას, რომელიც ბუჩქებს აქანავებდა. არ მინდოდა, ჩემს შიშს დავმორჩილებოდი და განზრახ ვიგონებდი ყოველგვარ შესაფერის ახსნას. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ ამ რაიონში გამუდმებული ჰაერის ნაკადები იყო, და დონ ხუანმა, იცნობდა რა სრულყოფილად მთელ ამ მიდამოებს, არა მხოლოდ იცოდა მათ შესახებ, არამედ გონებრივადაც შეეძლო გაეთვალა მათი გამოჩენა. ყველაფერი, რაც დარჩენოდა, ის იყო, რომ დაწოლილიყო, ეთვალა და დალოდებოდა, სანამ ქარი ჩადგებოდა. და როგორც კი ადგებოდა, კვლავ ელოდა მის გამოჩენას.

დონ ხუანის ხმამ ჩემს გონებრივ მსჯელობას მომწყვიტა. მითხრა, რომ წასვლის დრო იყო. მე შევეწინააღმდეგე. დარჩენა მინდოდა, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ქარი ჩადგებოდა.

— მე არაფერი დამინახავს, დონ ხუან, — ვუთხარი მე.

— და მაინც, რაღაც უჩვეულო შეამჩნიე.

— იქნებ კიდევ ერთხელ მითხრა, რა უნდა შემემჩნია?

— მე უკვე გითხარი, — თქვა მან. — რაღაც, რაც ტოტებში იმალება და ქარბუქს ჰგავს, ღრუბელს, ბურუსს, სახეს, რომელიც გამუდმებით ტრიალებს.

დონ ხუანმა თავისი ხელებით გააკეთა ჟესტი, რათა ეჩვენებინა ჰორიზონტალური და ვერტიკალური მოძრაობა.

— იგი გარკვეული მიმართულებით მოძრაობს, — განაგრძო მან. — იგი ან გადატრიალდება, ან ბრუნავს. მონადირემ ყველაფერი უნდა იცოდეს იმისთვის, რომ სწორად იმოძრაოს.

მინდოდა დამეცინა, მაგრამ, როგორც ჩანდა, ისე შეუპოვრად იცავდა თავის აზრს, რომ ვერ გავბედე. წამით შემომხედა, და თვალები მოვარიდე.

— გჯეროდეს, რომ სამყარო შენ გარშემო მხოლოდ ისეთია, როგორც შენ ფიქრობ, სიბრიყვეა, — თქვა მან. — სამყარო — ეს იდუმალი ადგილია, განსაკუთრებით მწუხრის ჟამს.

მან ნიკაპის მოძრაობით მიმანიშნა ქარის მხარეს.

— ამას შეუძლია გამოგვყვეს, — თქვა მან. — შეუძლია დაგვღალოს, და ისიც კი შეუძლია, რომ მოგვკლას.

— ამ ქარს?

— დღის ამ მონაკვეთში, მწუხრისას, არ არის ქარი. ამ დროს მხოლოდ ძალაა.

ჩვენ გორაკის მწვერვალზე მთელი საათის განმავლობაში ვიჯექით. მთელი ეს დრო ქარი ძლიერ და განუწყვეტლივ უბერავდა.

პარასკევი, 1961 წლის 30 ივნისი.

დღის მეორე ნახევარში, ჭამის შემდეგ, მე და დონ ხუანი ეზოში გამოვედით, მისი სახლის კარის წინ. მე ჩემს «ლაქაზე» დავჯექი და ჩემს ჩანაწერებზე დავიწყე მუშაობა. იგი ზურგზე წამოწვა და ხელები მუცელზე დაიწყო. მთელი დღე სახლშ ვიყავით «ქარის» გამო. დონ ხუანმა ამიხსნა, რომ ქარი განზრახ შევაწუხეთ და ასეთი სისულელე ჯობია აღარ გავაკეთოთ. ძილიც კი ტოტებგადაფარებულს მომიწია.

ქარის უეცარმა დაქროლვამ დონ ხუანი აიძულა, რომ ერთი უჩვეულოდ სწრაფი ნახტომით წამომხტარიყო.

— ჯანდაბა, — თქვა მან. — ქარი შენ გეძებს.

— ამაზე ვერ წამომაგებ, დონ ხუან, — ვუთხარი სიცილით, — მართლა ვერ მომატყუებ.

ეს სიჯიუტე არ იყო. უბრალოდ შეუძლებლად ვთვლიდი იმის დაჯერებას, რომ ქარს თავისი საკუთარი ნება გააჩნია და მეძებს, ან მართლა გვამჩნევდა და გორაკის თავზე გვესხმოდა თავს. ვუთხარი, რომ «თავისი ნების მქონე ქარის» იდეა საკმაოდ პრიმიტიული სამყაროს იდეა იყო.

— მაშ, რა არის ქარი? — მკითხა გამომწვევი ტონით.

მოთმინებით ავუხსენი, რომ ცხელი და ცივი ჰაერის მასები სხვადასხვა წნევას ქმნიან და წნევა აიძულებს ჰაერის მასებს, რომ ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად იმოძრაონ. საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა მეტეოროლოგიის საფუძვლების ასახსნელად.

—შენ თვლი, რომ ყველაფერი, რისი თქმაც შეიძლება ქარის შესახებ, მხოლოდ ცხელი და ცივი ჰაერის მასებია? — მკითხა გაკვირვებული ტონით.

— ვშიშობ, რომ ასეა, — ვუთხარი მე, და თან ჩუმად ვტკბებოდი ჩემი ტრიუმფით.

დონ ხუანი გაოგნებული ჩანდა. მაგრამ შემდეგ შემომხედა და ხმამაღლა დაიწყო ხარხარი.

— შენი შეხედულებები ყოველთვის საბოლოო შეხედულებებია, — თქვა მან სარკაზმის ელფერით. — ისინი ყოველთვის შენი ბოლო სიტყვებია, ასე არაა? მაგრამ მონადირისთვის შენი სიტყვები სრული სისულელეა. არანაირი განსხვავება არაა წნევა ორი იქნება, სამი თუ ათი. შენ რომ ველურ ბუნებაში გეცხოვრა, გეცოდინებოდა, რომ მწუხრის ჟამს ქარი ძალად იქცევა. მონადირე, რომელიც ღირს თავის ნებად, იცის ეს და შესაბამისად მოქმედებს.

— როგორ მოქმედებს?

— იგი იყენებს მწუხრს და ქარში დამალულ ძალას.

— როგორ?

— თუ მას ეს აწყობს, მონადირე ემალება ძალას და უძრავად ელოდება, სანამ მწუხრი არ ჩაივლის. და ძალა თავისი ძალით იფარავს მას.

დონ ხუანმა ნიშანი მაჩვენა, თითქოს რაღაცას შემოგარსავდა თავისი ხელებით.

— ეს დაცვა ჰგავს...

მან პაუზა გააკეთა და შესაფერის სიტყვას ეძებდა, მე ვივარაუდე —«ჭუპრი».

— სწორია, — თქვა მან. — ძალის დაცვა ისე შემოგგარსავს, თითქოს ჭუპრში იყო. მონადირეს შეუძლია გაშლილ ადგილას დარჩეს და ვერანაირი პუმა, ან კოიოტი, ან ვერანაირი ხმა ვერ შეაწუხებს მას. მთის ლომი შეიძლება მონადირეს პირდაპირ ცხვირთან მიუახლოვდეს და დაყნოსოს, და თუ მონადირე უძრავად დარჩება, მთის ლომი წავა. შემიძლია ამის გარანტია მოგცე.

თუკი მეორე მხრივ, მონადირეს სურს, რომ შეამჩნიონ, ყველაფერი, რაც უნდა გააკეტოს, ისაა, რომ დადგეს გორაკის მწვერვალზე მწუხრის ჟამს. ძალა თან გაჰყვება მას და მთელი ღამე განაგრძობს მის ძებნას. ამიტომ, თუ მონადირეს სურს, რომ მთელი ღამე იმოგზაუროს ან ფხიზლად დარჩეს, მისაწვდომი უნდა გახდეს ქარისთვის.

ამაში მდგომარეობს დიადი მონადირეების საიდუმლო. იყო მისაწვდომი ან მიუწვდომელი გზის საჭირო მოსახვევში.

მე მსუბუქი დაბნეულობა ვიგრძენი და გამეორება ვთხოვე. დონ ხუანმა ძალიან მოთმინებით ამიხსნა, რომ მან გამოიყენა მწუხრის დრო და ქარი იმისთვის, რომ მიენიშნებინა

გადასვლების დიდ მნიშვნელობაზე — დამალვის საჭიროებიდან მისაწვდომობის საჭიროებაზე.

შენ უნდა ისწავლო, რომ გაცნობიერებულად გახდე მისაწვდომი ან მიუწვდომელი, — თქვა მან. — ახლა ისე ცხოვრობ, რომ გამუდმებით მისაწვდომი ხარ.

მე გავაპროტესტე. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ჩემი ცხოვრება უფრო და უფრო იდუმალი ხდებოდა. მან თქვა, რომ მე ვერ გავიგე ის, რასაც მეუბნებოდა, და რომ მიუწვდომლად ყოფნა არ ნიშნავს დამალვას ან იდუმალებას, არამდე ნიშნავს იმას, რომ მიუღწეველი ხარ.

— მოდი, ამას სხვანაირად ვიტყვი, — განაგრძო მან მოთმინებით. — არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, იმალები თუ არა, თუკი ყველამ იცის, რომ იმალები.

შენი პრობლემები, ზუსტად ახლა, სწორედ აქედან გამომდინარეობს. როცა იმალები, ყველამ იცის, რომ იმალები, ხოლო როცა არ იმალები, მისაწვდომი ხარ და ნებისმიერს შეუძლია რაიმე გაგიყაროს.

რაღაც საფრთხე ვიგრძენი და თავის დაცვა მოვინდომე.

— ნუ ღელავ, — თქვა მშრალად დონ ხუანმა, — ამაში არაა საჭიროება. ჩვენ — სულელები ვართ, ყველანი ჩვენ, და შენ არ შეგიძლია სხვა იყო. ერთხელ, ჩემს ცხოვრებაში მეც ისევე, როგორც შენ, მისაწვდომი გავხადე თავი და ამას ისევ და ისევ ვაკეთებდი, სანამ ჩემში არაფერი დარჩა, გარდა ტირილისა. და ამ ყველაფერს სწორედ ისევე ვაკეთებდი, როგორც შენ.

დონ ხუანმა წამით ხელები მომხვია, შემდეგ კი ღრმად ჩაისუნთქა.

—თუმცა მე შენზე ახალგაზრდა ვიყავი, — განაგრძო მან. მაგრამ ერთხელაც ყელში ამომივიდა და შევიცვალე. ასე ვთქვათ, რომ ერთხელ, როცა მონადირე ვხდებოდი, ვისწავლე იმის საიდუმლო, თუ როგორ ვყოფილიყავი მისაწვდომი ან მიუწვდომელი.

ვუთხარი, რომ რასაც მეუბნებოდა, ყველაფერი ჩემს მიღმა გადიოდა. მართლა ვერ ვხვდებოდი, რას გულისხმობდა «მისაწვდომად ყოფნაში». მან გამოიყანა ესპანური იდიომატური გამოთქმა «პონერსე ალ ალკანს» და «პონერსე ენ ელ მედიო დელ სამინო», «დააყენო საკუთარი თავი მისაწვდომობის ფარგლებში» და «დააყენო საკუთარი თავი გზატკეცილის შუაში». გახვიდე გზატკეცილის შუა ნაწილიდან, სადაც მანქანები დადიან. შენ სულ იქ ხარ, ამიტომ, აზრი არ აქვს დამალვას. შენ მთლიანად იქ ხარ, ამიტომ, მხოლოდ წარმოიდგენ, რომ დაიმალე. გზის შუაში ყოფნა ნიშნავს, რომ ყოველი გამვლელი აკვირდება, როგორ მიდიხარ და მოდიხარ.

მისი მეტაფორა საინტერესო იყო, მაგრამ მაინც ბუნდოვანი.

—შენ სულ გამოცანებით მელაპარაკები, — ვუთხარი მე.

წამით გამჭოლად შემომხედა, შემდეგ კი მელოდიის კნავილი დაიწყო. ზურგი გავმართე და მზადყოფნაში ვიყავი. უკვე ვიცოდი, რომ როცა დონ ხუანი მექსიკურ მელოდიას კნაოდა, რაღაცით ჩემ გაყრუებას აპირებდა.

— ეი, — თქვა მან და თან გაღიმებული მიყურებდა, — როგორაა შენი ქერა მეგობარი გოგო? ის გოგო, რომელიც ოდესღაც მართლაც მოგწონდა?

როგორც ჩანს, ისე შევხედე, როგორც ჩიხში მომწყვდეულმა იდიოტმა. მან სიამოვნებით გადაიხარხარა. არ ვიცოდი, რა მეთქვა.

— შენ მომიყევი მის შესახებ, — მითხრა გამამხნევებლად.

მაგრამ მე არ მახსოვდა, რომ ოდესმე ვინმეს შესახებ მომეყოლა მისთვის, მითუმეტეს ქერას შესახებ.

— არასოდეს მსგავსი რამ არ მითქვამს შენთვის, — ვუთხარი მე.

— რა თქმა უნდა მითხარი, — თქვა მან, თითქოს კამათზე უარს ამბობსო.

შეწინააღმდეგება მინდოდა, მაგრამ შემაჩერა და მითხრა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, საიდან გაიგო მის შესახებ, და რომ მნიშვნელოვანი მხოლოდ ის მომენტია, რომ მე ის მომეწონა.

მტრული განწყობა ვიგრძენი მის მიმართ იმის გამო, რომ ჩემს სულში შემოძრომას ლამობდა.

— ნუ ჯიუტობ, — თქვა დონ ხუანმა მშრალად. — დრო მოვიდა, რომ გაწყვიტო შენი მნიშვნელოვნობის გრძნობა.

— ოდესღაც შენ გყავდა ქალი, ძალიან ძვირფასი ქალი, და ერთხელაც დაკარგე იგი.

ვცდილობდი გამეხსენებინა, როდის ვუთხარი მას ეს ყველაფერი, და მივედი დასკვნამდე, რომ ასეთი შესაძლებლობა არასოდეს არ ყოფილა. და მაინც, შემეძლო. ყოველთვის, როცა ჩემთან ერთად მანქანით მოდიოდა, განუწყვეტლივ ვსაუბრობდით ხოლმე. ყველაფერი არ მახსოვს, რაზეც ველაპარაკებოდი, რადგანაც არ შემეძლო თან მანქანა მეტარებინა და თან ჩამეწერა. რაღაცნაირად უფრო მშვიდად ვიგრძენი თავი, როცა ასეთ დასკვნამდე მივედი. ვუთხარი, რომ მართალი იყო. მართლაც იყო ძალიან მნიშვნელოვანი ქერა გოგო ჩემს ცხოვრებაში.

— რატომ არაა შენთან ერთად? — მკითხა მან.

—წავიდა.

— რატომ?

— ბევრი მიზეზი იყო.

— არც ისე ბევრი. მხოლოდ ერთი. შენ ზედმეტად მისაწვდომი გახდი.

ძალიან მინდოდა გამეგო, რას გულისხმობდა. მან კვლავაც სუსტ ადგილას ჩამავლო. როგორც ჩანდა, ხვდებოდა თავისი სიტყვების ეფექტს, ტუჩები ბანტივით მოპრუწა და გამცემი ღიმილი დამალა.

— ყველამ იცოდა თქვენ შესახებ, — თქვა მან ურყევი დარწმუნებულობით.

— ნუთუ ეს არასწორი იყო?

— ეს სასიკვდილოდ არასწორი იყო. იგი მშვენიერი ადამიანი იყო.

მე გულწრფელი განცდა მქონდა, რომ მისი ეს გამოცნობები უსიამოვნო იყო ჩემთვის, რომ იგი ყოველთვის ისეთი დარწმუნებულობით აკეთებს თავის განცხადებებს, თითქოს თავად ყოფილიყოს იქ და თავად ენახოს ყველაფერი.

— მაგრამ ეს სიმართლეა, — თქვა მან განმაიარაღებელი უმანკოებით. — მე «დავინახე» ეს ყველაფერი. ის შესანიშნავი პიროვნება იყო.

ვიცოდი, რომ მასთან კამათი უაზრობა იყო, მაგრამ ვბრაზობდი იმის გამო, რომ ჩემი ცხოვრების მტკივნეულ ადგილს შეეხო, და ვთქვი, რომ გოგო, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობდით, სულაც არ იყო ისეთი შესანიშნავი ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, და რომ, ჩემი აზრით, ის სუსტი უფრო იყო.

— ისევე, როგორც შენ, — თქვა მან მშვიდად. — მაგრამ ეს არაა მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი აქ ისაა, რომ შენ ყველგან ეძებდი მას. ეს მას განსაკუთრებულ პიროვნებად აქცევს შენს სამყაროში. ხოლო განსაკუთრებული პიროვნებებისთვის მხოლოდ მშვენიერი სიტყვები უნდა გვქონდეს.

გაღიზიანებული ვიყავი. უზარმაზარმა სევდამ მომიცვა.

— რას მიშვრები, დონ ხუან? — ვკითხე მე. — შენ ყოველთვის წარმატებას აღწევ, როცა ცდილობ, რომ დამანაღვლიანო, რატომ?

— შენ ახლა ინდულგირებას აკეთებ და სენტიმენტალიზმში გადადიხარ, — დამადანაშაულა მან.

— და მაინც, რაშია საქმე, დონ ხუან?

— იყო მიუწვდომელი, აი რაში, — განაცხადა მან. — შენში ამ პიროვნების შესახებ მოგონება მხოლოდ იმისთვის გამოვიწვიე, რათა დამენახვებინა შენთვის ის, რაც ქარის მეშვეობით ვერ დაგანახე.

— შენ ის იმიტომ დაკარგე, რომ მისაწვდომი იყავი. შენ ყოველთვის მისაწვდომი იყავი მისთვის და შენი ცხოვრება ერთი გაწერილი განრიგი იყო.

— არა, — ვუთხარი მე. — არ ხარ მართალი. ჩემი ცხოვრება არასოდეს არ ყოფილა განრიგით გაწერილი.

—იყო გაწერილი და ახლაც გაწერილია, — თქვა მან დოგმატურად. — ეს არაა ჩვეულებრივი განრიგი, ამიტომ გიჩნდება შთაბეჭდილება, რომ ასე არაა, და რომ ეს განრიგი არაა, მაგრამ გარწმუნებ, ეს ასეა.

ჰიპოქონდრიისკენ წასვლა და სევდიან ფიქრებში ჩაძირვა მინდოდა. მაგრამ რაღაცნაირად მისი თვალები მაღელვებდნენ. მეჩვენებოდა, რომ გამუდმებით მიბიძგებდნენ.

— მონადირის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მიუწვდომელი იყო, — თქვა მან. — ქერას შემთხვევაში ეს ის იქნებოდა, რომ შენ მონადირე უნდა გამხდარიყავი და

ფრთხილად შეხვედროდი მას, არა ისე, როგორც აკეთებდი ამას. შენ დღიდან დღემდე რჩებოდი მასთან, სანამ გრძნობათაგან მხოლოდ მოწყენილობა არ დარჩა, ასე არაა?

მე არ ვპასუხობდი. ვგრძნობდი, რომ პასუხი არ იყო საჭირო. ის მართალი იყო.

— იყო მიუწვდომელი ნიშნავს, რომ შენს გარემომცველ სამყაროს ფრთხილად ეხები. არ ჭამ ხუთ გნოლს, არამედ მხოლოდ ერთს. არ ასახიჩრებ მცენარეებს მხოლოდ იმისთვის, რომ საცეცხლური გააკეთო. გახსნილი არ ხარ ქარის ძალის მიმართ, თუ ეს გამართლებული არაა. შენ არ იყენებ ადამიანებს და არ ძალადობ მათზე, სანამ არარაობად არ შეიკუმშებიან, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებიც გიყვარს.

— მე არასოდეს არავინ არ გამომიყენებია, — ვთქვი გულწრფელად.

მაგრამ დონ ხუანი ამტკიცებდა, რომ ვაკეთებდი ამას, ამიტომ, ახლა შემიძლია ჯიუტად ვამტკიცო, რომ დავიღალე ადამიანებისგან და მომბეზრდნენ ისინი.

— იყო მიუწვდომელი ესაა, როცა განზრახ არიდებ თავს იმას, რომ დაქანცო საკუთარი თავი და სხვები, — განაგრძო მან. — ეს ნიშნავს, რომ შენ არ ხარ მშიერი და არც სასოწარკვეთილებაში ხარ, როგორც ის გლახაკი, რომელიც გრძნობს, რომ უკვე ვეღარასოდეს შეჭამს და ამიტომ მთელ საჭმელს ნთქავს, რაც კი შეუძლია, ხუთ გნოლს ერთად.

დონ ხუანი აშკარად წელსქვემოთ მირტყამდა. მე გამეცინა, და როგორც ჩანს ამან სიამოვნება მიანიჭა. ოდნავ შეეხო ჩემს ზურგს.

— მონადირემ იცის, რომ ისევ და ისევ გამოიჭერს ნადავლს თავის მახეში, ამიტომ არ ღელავს. მღელვარება ნიშნავს მისაწვდომად ყოფნას, ანგარიშმიუცემლად მისაწვდომად. როგორც კი მღელვარება გეწყება, სასოწარკვეთილი ეჭიდები რაღაცას. და როგორც კი რაღაცას ჩაეჭიდე, შენ უკვე ვალდებული ხარ, რომ დაიღალო ან ჩაძირო ის, რასაც ან ვისაც ეჭიდები.

ვუთხარი, რომ ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულიად შეუძლებელია მიუწვდომლად ყოფნა. ვამტკიცებდი, რომ ფუნქციონირებისთვის ყველასთვის მისაწვდომი უნდა ვყოფილიყავი, ვისაც ჩემთან ჰქონდა საქმე.

— მე უკვე გითხარი, რომ იყო მიუწვდომელი, არ ნიშნავს იმალებოდე ან იდუმალი იყო, — თქვა მან მშვიდად. — ზუსტად ასევე ეს არ ნიშნავს, რომ არ შეგიძლია საქმე გქონდეს ადამიანებთან. მონადირე თავის სამყაროს ფრთხილად და ნაზად იყენებს, მიუხედავად იმისა, იქნება ეს საგნების სამყარო, მცენარეების, ცხოველების, ადამიანების თუ ძალის. მონადირე ინტიმურად ეპყრობა თავის სამყაროს, და მაინც მიუწვდომელია ამავე სამყაროსთვის.

— ეს წინააღმდეგობრივია, — ვუთხარი მე. — ის ვერ იქნება მიუწვდომელი, თუ იქაა, თავის სამყაროში, საათიდან საათამდე, დღიდან დღემდე.

— შენ ვერ გაიგე, — თქვა მოთმინებით დონ ხუანმა. — იგი მიუწვდომელია იმიტომ, რომ არ წურავს თავის სამყაროს თავისი ფორმიდან. ოდნავ ეხება, იმდენ ხანს რჩება იქ, რამდენიც ჭირდება და შემდეგ სწრაფად მიდის, ისე რომ კვალს არ ტოვებს.

8. ცხოვრების განრიგის ნგრევა

კვირა, 1961 წლის 16 ივლისი.

მთელი დილა მღრღნელებზე დაკვირვებაში გავატარეთ, რომლებიც მსუქან ციყვებს ჰგავდნენ. დონ ხუანი მათ წყლის ვირთხებს ეძახდა. თქვა, რომ ისინი ძალიან სწრაფები არიან, როცა საფრთხეს გაურბიან. მაგრამ მას შემდეგ, რაც თავს დააღწევენ მტაცებელს, საშინელი ჩვევა აქვთ – გაჩერდნენ, ან ქვაზეც კი აძვრნენ. უკანა ფეხებზე დგებიან, აქეთ-იქით იყურებიან და თავს ისუფთავებენ.

— მათ ძალიან კარგი თვალები აქვთ, — თქვა დონ ხუანმა. — მხოლოდ იმ დროს უნდა იმოძრაო, როცა ისინი გარბიან, ამიტომ უნდა ისწავლო წინასწარ განჭვრეტა, სად და როდის გაჩედებიან ისინი ისე, რომ იმავე დროს შეძლო გაჩერება.

მათზე დაკვირვებაში ვიყავი ჩაფლული, და მქონდა ის, რასაც მონადირეები საველე დღეს უწოდებენ. ბოლოს და ბოლოს შევძელი, რომ თითქმის ყოველ ჯერზე გამომეცნო მათი მოძრაობა. შემდეგ დონ ხუანმა მაჩვენა, როგორ გამეკეთებინა ხაფანგები მათ დასაჭერად. მან განმიმარტა, რომ მონადირეს დრო სჭირდება მათი კვების წესზე და ბუდობის ადგილებზე დასაკვირვებლად, რათა განსაზღვროს, თუ სად განალაგოს ხაფანგები. შემდეგ ღამით უნდა განალაგოს ხაფანგები და მეორე დღეს ისე შეაშინოს ისინი, რომ თავისით გაიქცნენ ხაფანგებისკენ.

ჩვენ სხვადასხვანაირი ჯოხები მოვაგროვეთ და ხაფანგების კეთება დავიწყეთ. უკვე თითქმის მოვრჩი ჩემი საქმის გაკეთებას და აღგზნებული ვფიქრობდი, იმუშავებდა თუ არა.

ამ დროს, მოულოდნელად დონ ხუანი გაჩერდა და თავის მარცხენა მაჯას შეხედა, თითქოს საათს უყურებსო, რომელიც არასოდეს ჰქონია, და თქვა, რომ მისი ქრონომეტრის თანახმად უკვე ლანჩის დრო იყო. მე დიდი ჯოხი მეკავა, და ვცდილობდი რგოლად მომეღუნა იგი. ავტომატურად დავდე სხვა სამონადირეო აღჭურვილობასთან ერთად.

დონ ხუანმა ცნობისმოყვარე გამომეტყველებით შემომხედა. შემდეგ ფაბრიკის სირენის ხმა გამოსცა, რომელიც სასადილოდ უხმობდა. გამეცინა. მივუახლოვდი და შევამჩნიე, რომ მიყურებდა. თავი აქეთ-იქით გააქნია.

— წყეულიმც ვიყო, — თქვა მან.

— რა ხდება? — ვკითხე მე.

მან კვლავ გამოსცა ფაბრიკის სირენის გრძელი ხმა.

— ლანჩი დამთავრდა, — თქვა მან. — წადი უკან, სამუშაოდ.

წამით შეცბუნება ვიგრძენი, შემდეგ კი ვიფიქრე, რომ ხუმრობდა, ალბათ იმიტომ, რომ სინამდვილეში არც არაფერი გვქონდა საჭმელი. კვლავ ავიღე ჯოხი და მისი მოღუნვა ვცადე. დონ ხუანმა კვლავაც გააჟღერა თავისი „სირენა“.

— სახლში წასვლის დროა. — მან თავის წარმოსახვით საათს შეხედა, შემდეგ მე შემომხედა და თვალი ჩამიკრა.

— უკვე ხუთი საათია, — თქვა მან იმ ადამიანის ტონით, რომელიც საიდუმლოს გასცემს. ვიფიქრე, რომ უეცრად მოყირჭდა ნადირობა და ყველაფრისთვის თავის მინებება გადაწყვიტა. ყველაფერი მიწაზე დავალაგე და წასასვლელად მოვემზადე. არ ვუყურებდი მას. ვთვლიდი, რომ ისიც აგროვებდა თავის ნივთებს. როცა მზად ვიყავი, დავინახე, რომ ფეხებგადაჯვარედინებული ჩემგან რამდენიმე ფუტში იჯდა.

— მე მზად ვარ, — ვუთხარი მე. — შეგვიძლია ნებისმიერ დროს წავიდეთ.

იგი წამოდგა და კლდეზე ავიდა. ასე იდგა იქ, დაახლოებით ორ მეტრზე მიწიდან და მე მიყურებდა. ხელები პირთან მიიტანა და ძალიან გრძელი და გამჭოლავი ხმა გამოსცა. ეს იყო ერთგვარი გაძლიერებული ფაბრიკის სირენა. ერთ ადგილზე ტრიალებდა და ამ ხმას გამოსცემდა.

— რას აკეთებ, დონ ხუან? — ვკითხე მე.

მითხრა, რომ მთელ მსოფლიოს აძლევდა სახლში წასვლის სიგნალს.

სრულიად გაოგნებული ვიყავი. ვერ გამეგო, ხუმრობდა თუ არა. ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს და ვცდილობდი მისი ქმედება დამეკავშირებინა რაიმესთან, რაც მანამდე უთქვამს. მთელი ეს დილა თითქმის არ გვისაუბრია, და ვერ ვიხსენებდი ვერაფერს მნიშვნელოვანს.

დონ ხუანი ჯერ კიდევ კლდეზე იდგა. შემომხედა, გაიღიმა და კვლავ თვალი ჩამიკრა. უეცრად ავფორიაქდი. დონ ხუანმა კვლავ მიიტანა ხელები პირთან და კიდევ ერთი სირენისმაგვარი ხმა გამოსცა.

მან თქვა, რომ უკვე დილის რვა საათია და კვლავ უნდა ავაწყო ჩემი ხელსაწყოები, რადგანაც წინ მთელი დღე გვაქვს.

ამ დროისთვის სრულიად დაბნეული ვიყავი. რაღაც წუთების განმავლობაში ჩემი შიში სცენიდან გაქცევის გადაულახავ სურვილამდე გაიზარდა. ვფიქრობდი, რომ დონ ხუანი ჭკუიდან შეიშალა. გაქცევისთვისაც კი ვიყავი მზად, როცა კლდიდან ჩამოვიდა და ღიმილით მომიახლოვდა.

ფიქრობ, რომ ჭკუიდან შევიშალე, არა? — მკითხა მან.

ვუთხარი, რომ გონების დაკარგვამდე შემაშინა თავისი მოულოდნელი ქცევით. მან მითხრა, რომ ჩვენ მუდმივები ვართ. ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. ღრმად ვიყავი ჩაფლული აზრებში იმის შესახებ, რომ მისი ქცევები სრულიად გიჟური ჩანდა. მან ამიხსნა, რომ განზრახ ეცადა ჩემს გონების დაკარგვამდე შეშინებას თავისი მოულოდნელი ქცევის სიმძიმით, რადგანაც თავადაც მზადაა კედელზე აძვრეს ჩემი მოულოდნელი ქცევის სიმძიმის გამო. თქვა, რომ ჩემი დღის განრიგი იმდენადვე გიჟურია, როგორც მისი სირენის ხმა.

მე შოკირებული ვიყავი და დავიწყე მტკიცება, რომ სინამდვილეში არანაირი განრიგი არ გამაჩნია. ვუთხარი, რომ ჩემი ცხოვრება ფაქტიურად დომხალია, ჯანსაღი განრიგის არარსებობის გამო.

დონ ხუანს ჩაეცინა და ჟესტით მანიშნა, მის გვერდით დავმჯდარიყავი. მთელი სიტუაცია კვლავაც ჯადოსნურად შეიცვალა. ჩემი შიში აორთქლდა, როგორც კი მან საუბარი დაიწყო.

—რას გულისხმობ ჩემს განრიგში? — ვკითხე მე.

— ყველაფერი, რასაც აკეთებ, განრიგია.

— კი, მაგრამ ყველა ასე არ ვართ?

— ყველანი არა. მე არაფერს ვაკეთებ განრიგიდან გამომდინარე.

— რითაა ეს ყველაფერი გამოწვეული, დონ ხუან? რა გავაკეთე, ან რა ვთქვი, რომ მეიძულებინე ისე გემოქმედა, რაც გააკეთე?

— შენ ლანჩზე ღელავდი.

— კი, მაგრამ შენთვის არაფერი მითქვამს, საიდან იცი, რომ ლანჩზე ვღელავდი?

— შენ ყოველდღე, დაახლოებით შუადღეზე, საღამოს ექვსზე და დაახლოებით დილის რვაზე, საჭმელზე ღელავ, — თქვა მან საშინელი გრიმასით. — ამ დროს შენ საჭმელზე ღელავ, მაშინაც კი, თუ მშიერი არ ხარ.

— მხოლოდ სირენას სიგნალი მჭირდებოდა იმისთვის, რომ დამენახვებინა შენი მოწესრიგებული სული. შენი სული გაწვრთნილია, რომ სიგნალზე იმუშაოს.

მან თვალებში კითხვით შემომხედა. არ შემეძლო თავის დაცვა.

— ახლა შენ გინდა, რომ ნადირობა მოწესრიგებულ განრიგად აქციო, — თქვა მან. — უკვე ნაბიჯი გადადგი ნადირობაში და შენი ნაბიჯები განსაზღვრე. განსაზღვრულ დროს ლაპარაკობ, განსაზღვრულ დროს ჭამ და განსაზღვრულ დროს იძინებ.

არაფერი მქონდა სათქმელი. დონ ხუანის მიერ ჩემი კვებითი ჩვევები აღწერა ხასიათის ის შტრიხი იყო, რომელსაც ცხოვრებაში ყველაფერში ვიყენებდი. და მაინც, ძლიერ ვგრძნობდი, რომ ჩემი ცხოვრება უფრო ნაკლებად იყო მოწესრიგებული, ვიდრე ჩემი მეგობრებისა და ნაცნობების უმეტესობის ცხოვრება.

— შენ ძალიან ბევრი იცი ნადირობის შესახებ, — განაგრძო დონ ხუანმა. — შენთვის ადვილი გასაგები იქნება, რომ კარგმა მონადირემ ყველაზე მეტად ერთი რამ იცის — მან იცის თავისი მსხვერპლის განრიგი. სწორედ ეს აქცევს მას კარგ მონადირედ.

ახლა მინდა, რომ ბოლო და ყველაზე რთული ნაწილი გასწავლო. შესაძლოა წლები გავიდეს, სანამ შეძლებ თქვა, რომ გაიგე ეს და მონადირე ხარ.

დონ ხუანი გაჩუმდა, თითქოს დროს მაძლევდა. ქუდი მოიხადა და გამოსახა, როგორ იქექებიან საკუთარ თავზე მღრღნელები, რომლებსაც ვაკვირდებოდით. ეს ძალიან სასაცილოდ მომეჩვენა. იგი თავისი მრგვალი თავით ძალიან ჰგავდა ერთ-ერთ ამ მღრღნელს.

—მონადირედ ყოფნა არ ნიშნავს უბრალოდ ნადავლის დაჭერას, — განაგრძობდა იგი. — კარგი მონადირე ნადავლს იჭერს არა იმიტომ, რომ ხაფანგებს აგებს, ან იმიტომ, რომ თავისი მსხვერპლის განრიგი იცის, არამედ იმიტომ, რომ მას თავად არ გააჩნია განრიგი. ამაშია მისი უპირატესობა. იგი სრულიად არ ჰგავს იმ ცხოველებს, რომლებზეც ნადირობს, მყარი განრიგით და წინასწარგანჭვრეტადი ქმედებებით დამონებულებს. იგი თავისუფალია, დენადია, წინასწარგანუჭვრეტელია.

დონ ხუანის ნათქვამი ჩემთვის საკამათო არარაციონალურ იდეალიზაციად ჟღერდა. ვერ წარმომედგინა ცხოვრება განრიგის გარეშე. მინდოდა გულწრფელი ვყოფილიყავი მასთან და არა უბრალოდ დავთანხმებოდი ან არ დავთანხმებოდი. ვგრძნობდი, რომ რასაც ის გულისხმობდა, იმის შესრულება შეუძლებელი იყო ჩემთვისაც და ნებისმიერი სხვისთვისაც.

— მე საქმე არა მაქვს იმასთან, შენ რას გრძნობ, — თქვა მან. — იმისთვის, რომ მონადირე გახდე, უნდა დაანგრიო შენი ცხოვრების განრიგი. შენ კარგ შედეგებს მიაღწიე ნადირობაში. სწრაფად ისწავლე, და ახლა შეგიძლია დაინახო, რომ ისეთივე ხარ, როგორიც შენი მსხვერპლია — იოლად, წინასწარ განჭვრეტადი.

ვთხოვე, დაეზუსტებინა და კონკრეტული მაგალითები მოეცა.

— მე ვლაპარაკობ ნადირობაზე, — თქვა მან მშვიდად. — ამიტომ მე ვლაპარაკობ იმაზე, თუ რას აკეთებენ ცხოველები. იმ ადგილებზე, სადაც ისინი ჭამენ, მათი ძილის ადგილებსა და მანერებზე, იმაზე, თუ სად ბუდობენ და სად დადიან. სწორედ ამ განრიგზე მიგითითებ, რომ საკუთარ თავში გააცნობიერო იგი.

— შენ აკვირდებოდი ცხოველთა ქცევებს უდაბნოში. ისინი განსაზღვრულ ადგილებში ჭამენ ან სვამენ. ისინი განსაკუთრებულ ადგილებში ბუდობენ. განსაკუთრებულ კვალს ტოვებენ. ფაქტიურად ყველაფერს, რასაც აკეთებენ, კარგი მონადირე წინასწარ ხედავს.

როგორც უკვე გითხარი, ჩემს თვალებში ისევე იქცევი, როგორც მსხვერპლი. ერთხელ ჩემს ცხოვრებაში ერთმა ადამიანმა სწორედ იგივეზე მიმითითა, ამიტომ შენ მარტო არ ხარ ეგეთი. ყველანი ისევე ვიქცევით, როგორც ის მსხვერპლი, რომელსაც მივდევთ. ბუნებრივია, ეს სხვა ვიღაცის ან სხვა რაღაცის მსხვერპლად გვაქცევს. აქედან გამომდინარე, იმ მონადირის მიზანი, რომელმაც ეს ყველაფერი იცის, მდგომარეობს იმაში, რომ თავად აღარ იყოს მსხვერპლი. ხვდები, რას ვგულისხმობ?

მე კვლავ გამოვთქვი ჩემი აზრი, რომ ეს ყველაფერი მიუღწეველია.

— ამას დრო სჭირდება, — თქვა დონ ხუანმა. შეგიძლია იმით დაიწყო, რომ არ ჭამო ლანჩი ყოველ მეორე დღეს 12 საათზე.

შემომხედა და კეთილგანწყობით გამიღიმა. მისი გამომეტყველება ძალიან სასაცილო იყო და გამამხირულა.

— თუმცა არიან ცხოველები, რომელთა გამოჭერა შეუძლებელია, — განაგრძო მან. — არიან მაგალითად ირმების გარკვეული ტიპები, რომლებსაც იღბლიანი მონადირე, უბრალოდ გამართლების გამო ცხოვრებაში ერთხელ შეხვდება.

დონ ხუანმა დრამატული პაუზა გააკეთა და გამჭოლად შემომხედა. როგორც ჩანდა, კითხვას ელოდა, მაგრამ მე კითხვები არ მქონდა.

— როგორ ფიქრობ, რა აქცევს მათ ასეთ უნიკალურებად და რატომაა ასე რთული მათი პოვნა? — მკითხა მან.

მე მხრები ავიჩეჩე, რადგანაც არ ვიცოდი რა მეპასუხა.

— მათ არ გააჩნიათ განრიგი, — თქვა მან, თითქოს დიდ საიდუმლოს ახადა ფარდაო. — აი, რა აქცევს მათ მაგიურებად.

— ირემს ღამით უნდა ეძინოს, — ვთქვი მე. — ნუთუ ეს არაა განრიგი?

— რა თქმა უნდა, თუკი ირემს ყოველ ღამე განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ ადგილას ძინავს, მაგრამ ეს ჯადოსნური არსებები ასე არ იქცევიან. ოდესმე, შესაძლოა თავად შეძლო ამის შემოწმება. შესაძლოა შენი ბედი გახდეს რომელიმე ასეთზე სიცოცხლის ბოლომდე ნადირობა.

— რას გულისხმობ?

— შენ გიყვარს ნადირობა. შესაძლოა, ოდესმე მსოფლიოს რაღაც ადილას შენი ბილიკი გადაიკვეთოს ჯადოსნურ არსებასთან, და შეძლებ, რომ გაეკიდო მას.

მაგიური არსება — ესაა ის, რაც სულს იპყრობს. მე საკმარისად გამიმართლა, რომ ჩემი ბილიკი ერთ-ერთ მათგანთან გადაიკვეთა. ჩვენი შეხვედრა მას შემდეგ შედგა, რაც პრაქტიკულად შევისწავლე ბევრი რამ ნადირობის შესახებ. ერთხელ უღრან ტყეში ვიყავი, ცენტრალურ მექსიკაში, როცა უეცრად წყნარი სტვენა გავიგე. იგი ჩემთვის უცნობი იყო. ცხოვრებაში არასოდეს გამეგონა მსგავსი ხმა. ვერ ვარკვევდი ადგილს, საიდანაც ხმა მოდიოდა. მეჩვენებოდა, რომ ერთდროულად რამდენიმე ადგილიდან მოდიოდა... ვიფიქრე, რომ შესაძლოა რომელიღაც უცნობი ცხოველების ჯოგით ვარ გარშემორტყმული.

კიდევ ერთხელ მომესმა ეს წარმტაცი ხმა. მეჩვენებოდა, რომ ყველა მხრიდან მოდიოდა. მაშინ მივხვდი, რომ გამიმართლა. ვიცოდი, რომ ეს ჯადოსნური არსება ირემი იყო. ვიცოდი, რომ ჯადოსნური ირემი აცნობიერებს ჩვეულებრივი ადამიანებისა და მონადირეების განრიგს.

ძალიან იოლი გამოსაცნობია, რა გააკეთებდა ჩვეულებრივი ადამიანი მსგავს სიტუაციაში. პირველ რიგში, მისი შიში დაუყოვნებლივ მსხვერპლად აქცევს მას. როგორც კი იგი მსხვერპლი გახდება, მოქმედების მხოლოდ ორი გზა რჩება. ან გაიქცევა, ან ადგილზე დარჩება. თუ შეიარაღებული არაა, ჩვეულებრივ ღია ადგილას გაიქცევა, რომ თავს უშველოს. თუ შეიარაღებულია, მოამზადებს თავის იარაღას და, ან ადგილზე გაშეშდება, ან მიწაზე დაწვება.

მეორე მხრივ, მონადირე არასოდეს წავა ველურ ადგილას ისე, რომ წინასწარ თავშესაფარი წერტილები არ მონიშნოს. ამიტომ, იგი დაუყოვნებლივ შეაფარებს თავს. მას შეუძლია დააგდოს თავისი პონჩო მიწაზე, ან ხეზე ჩამოკიდოს, როგორც ყურადღების ასარიდებელი საშუალება, შემდეგ კი დაიმალება და დაელოდება, სანამ მსხვერპლი თავის მომდევნო ნაბიჯს არ გადადგამს.

ამიტომ, ჯადოსნური ირმის თანდასწრებით, არც ერთივით მოვიქეცი და არც მეორესავით. სასწრაფოდ თავზე დავდექი და წყნარად დავიწყე ღმუილი. ფაქტიურად ვტიროდი ცხარე ცრემლებით, ვქვითინებდი იმდენი ხნის განმავლობაში, რომ მალე გონებასაც

დავკარგავდი. უეცრად რბილი სუნთქვა ვიგრძენი. ვიღაც ყნოსავდა ჩემს თმებს მარჯვენა ყურის ზემოთ. ვცადე, რომ თავი მომეტრიალებინა და შემეხედა, რა იყო ეს, მაგრამ წავიქეცი, და როცა წამოვჯექი, დავინახე არსება, რომლის ფერები ერთმანეთში იღვრებოდა. იგი მე მიყურებდა. მე ვუთხარი ირემს, რომ არაფერს ვავნებდი, და ირემი დამელაპარაკა.

დონ ხუანი შეჩერდა და შემომხედა. უნებურად გავიღიმე. აზრი მოლაპარაკე ირმის შესახებ იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ არ შემეძლო მისი მშვიდად მიღება.

— იგი დამელაპარაკა, — თქვა დონ ხუანმა გრიმასით.

— ირემი დაგელაპარაკა?

— დამელაპარაკა.

დონ ხუანი ადგა და სამონადირო აღჭურვილობის თავისი გროვა აიღო.

— ის რა, მართლა დაგელაპარაკა? — ვკითხე გაოგნებულმა.

დონ ხუანმა გადაიხარხარა.

— რა თქვა? — ვკითხე ნახევრადხუმრობით.

ვფიქრობდი, რომ მასულელებდა. წამით გაჩუმდა, თითქოს იხსენებდა, შემდეგ კი თვალები გაუბრწყინდა და მითხრა, რაც უთხრა ირემმა.

— ჯადოსნურმა ირემმა მითხრა: «ჰელლო, მეგობარო!», — განაგრძობდა დონ ხუანი. — და მე ვუპასუხე: «ჰელლო!» შემდეგ მკითხა: «რატომ ტირიხარ?» და მე ვუპასუხე: «იმიტომ, რომ მოწყენილი ვარ». მაშინ ჯადოსნური არსება ჩემს ყურთან დაიხარა და ისევე მკაფიოდ მითხრა, როგორც ახლა შენ გეუბნები: «არ მოიწყინო».

დონ ხუანმა თვალებში შემომხედა. მათში გამცემი სხივი გამოკრთოდა. ხმამაღლა დაიწყო სიცილი.

მე ვუთხარი, რომ მისი დიალოგი ირემთან იგივე იყო, რაც დუმილი.

— კი, მაგრამ რა გინდა? — მკითხა მან, თან ჯერ კიდევ იცინოდა. — მე ხომ ინდიელი ვარ.

მისი იუმორის გრძნობა იმდენად არამიწიერი იყო, რომ ვერაფერი ვიღონე გარდა იმისა, რომ თავადაც მასთან ერთად მეცინა.

— შენ არ გჯერა, რომ ჯადოსნური ირემი ლაპარაკობდა, ასე არაა?

— მაპატიე, მაგრამ არ შემიძლია დავიჯერო, რომ მსგავსი რამეები ხდება, — ვუთხარი მე.

— არ გადანაშაულებ, — თქვა მან გამამხნევებლად. — ეს ერთ-ერთი ყველაზე ჩახლართული რამეა.

9. უკანასკნელი ბრძოლა დედამიწაზე

ორშაბათი, 1961 წლის 24 ივნისი.

დაახლოებით შუადღისკენ, მას შემდეგ, რაც რამდენიმე საათი ვიხეტიალეთ უდაბნოში, დონ ხუანმა დასასვენებლად ჩრდილქვეშ შეარჩია ადგილი. როგორც კი ჩამოვსხედით, ლაპარაკი დაიწყო. თქვა, რომ მე უკვე ბევრი რამ გავიგე ნადირობის შესახებ, მაგრამ ჯერ ვერ შევიცვალე იმდენად, რამდენადაც მას სურდა.

— არ არის საკმარისი იმის ცოდნა, თუ როგორ გააკეთო და განალაგო ხაფანგები, — თქვა მან. — მონადირემ მონადირესავით უნდა იცხოვროს იმისთვის, რომ ცხოვრებისგან მაქსიმუმი აიღოს. საუბედუროდ, ცლილებები რთულია და ძალიან იშვიათად და ნელა ხდება. ზოგჯერ წლები მიდის იმაზე, რომ ადამიანი ცვლილების საჭიროების აუცილებლობაში დარწმუნდეს. მე ამისთვის წლები დამჭირდა, მაგრამ შესაძლოა, არ მქონდა ნადირობისადმი მიდრეკილება. ვფიქრობ, რომ ჩემთვის ყველაზე რთული იყო, რომ მართლა მომენდომებინა შეცვლა.

მე დავარწმუნე, რომ მესმოდა მისი. სინამდვილეში, მას შემდეგ, რაც ჩემთვის ნადირობის სწავლება დაიწყო, მეც დავიწყე ჩემი მოქმედებების გადახედვა. შესაძლოა, ყველაზე დრამატული აღმოჩენა ის იყო, რომ დონ ხუანის ცხოვრების წესი მომწონდა. მომწონდა დონ ხუანი, როგორც პიროვნება. იყო რაღაც სოლიდური მის ქცევაში. მისი მოქმედებები არანაირ ეჭვს არ ტოვებდა მის ოსტატობასთან მიმართებაში და ამავე დროს იგი არასოდეს იყენებდა საკუთარ უპირატესობას იმისთვის, რომ ჩემგან რაღაც მოეთხოვა. მისი ინტერესი ჩემი ცხოვრების წესის შეცვლისადმი, როგორც მე ვგრძნობდი, იღვრებოდა უმეტესწილად უპიროვნო შთაგონებებში ან უფრო მეტად ჩემი წარუმატებლობების ავტორიტეტულ კომენტარებში. მან მაიძულა, რომ ძალიან ნათლად გამეცნობიერებინა ჩემი წარუმატებლობები, და მაინც, ვერანაირად ვერ ვხვდებოდი, როგორ შეეძლო მისი ცხოვრების წესს, რაიმე შეეცვალა ჩემში. გულწრფელად მჯეროდა, რომ იმ ფაქტის შუქზე, რაც მინდოდა, რომ ჩემი ცხოვრებისთვის გამეკეთებინა, მისი ცხოვრების წესი მხოლოდ სევდას და სირთულეებს მომიტანდა. აქედან იყო მთელი ჩემი პასიურობა. თუმცაღა, ვისწავლე მისი ოსტატობის პატივისცემა, რომელიც ყოველთვის სილამაზისა და სიზუსტის ტერმინებით გამოიხატებოდა.

— მე გადავწყვიტე შევცვალო ჩემი ტაქტიკა, — თქვა მან.

განმარტება ვთხოვე. მისი განცხადება ბუნდოვანი იყო, და დარწმუნებული არ ვიყავი იმაში, რომ ეს რაღაცნაირად მე მეხებოდა.

— კარგი მონადირე თავის გზებს იმდენად ხშირად ცვლის, როგორც ჭირდება, — მიპასუხა მან. — შენ ეს თავადაც იცი.

— რა ჩაიფიქრე დონ ხუან?

— მონადირემ არა მხოლოდ თავისი მსხვერპლის ჩვევები უნდა იცოდეს, ასევე უნდა იცოდეს, რომ დედამიწაზე არიან ძალები, რომლებიც მართავენ ადამიანებსაც, ცხოველებსაც და ყოველივე ცოცხალს.

იგი გაჩუმდა. მე დაველოდე, მაგრამ როგორც ჩანდა დაასრულა ფრაზა.

— რა ძალებია, რომლებზეც საუბრობ? — ვკითხე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ.

— ძალები, რომლებიც ჩვენს სიცოცხლეს და სიკვდილს მართავენ.

დონ ხუანი გაჩუმდა, და როგორც ჩანდა მისთვის რთული იყო გადაწყვეტა, თუ რა ეთქვა. ხელებს ისრესდა, თავს აქნევდა და ლოყებს ბერავდა. ორჯერ მომცა ნიშანი, რომ გავჩუმებულიყავი, როცა თავისი იდუმალი განცხადების ახსნა ვთხოვე.

— შენ ვერ შეძლებ ადვილად გაჩერებას, — თქვა მან, როგორც იქნა. — ვიცი, რომ ჯიუტი ხარ, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა. რაც უფრო ჯიუტი ხარ, მით უკეთესი იქნება, როცა ბოლოსდაბოლოს შეძლებ საკუთარი თავის შეცვლას.

— ვცდილობ, როგორც შემიძლია, — ვთქვი მე.

— არა, არ გეთანხმები. შენ არ ცდილობ ისე, როგორც შეგიძლია. ეს იმიტომ თქვი, რომ უბრალოდ კარგად ჟღერს შენთვის. სინამდვილეში ყველაფერზე ასე ამბობდი, რასაც აკეთებდი. რამე ინდა იღონო, რომ ეს გამოასწორო.

ჩვეულებისამებრ ვიგრძენი ვალდებულება, რომ თავი დამეცვა. დონ ხუანი როგორც ყოველთვის ჩემს ყველაზე სუსტ ადგილებს უმიზნებდა. გამახსენდა, რომ ყოველ ჯერზე, როცა მისი კრიტიკისგან თავის დაცვას ვაპირებდი, ყოველთვის იმით მთავრდებოდა, რომ სულელად ვგრძნობდი თავს. ამიტომ შუაში გავწვყიტე ჩემი გრძელი განმარტებითი მონოლოგი.

დონ ხუანმა ცნობისმოყვარეობით ამხედ-დამხედა და ჩაიცინა. ძალიან კეთილი ტონით მითხრა, რომ ხშირად უთქვამს იმის შესახებ, რომ ჩვენ ყველანი სულელები ვართ, და არც მე ვარ გამონაკლისი.

— შენ ყოველთის ვალდებულად გრძნობ თავს, რომ ახსნა შენი მოქმედებები, თითქოს ერთადერთი ადამიანი იყო დედამიწაზე, რომელიც არასწორად იქცევა, — თქვა მან. — ეს საკუთარი მნიშვნელოვნების ძველი გრძნობაა. შენ ისმეტისმეტად ბევრი გაქვს. ასევე ბევრი გაქვს პირადი ისტორია. მეორე მხრივ, არ იღებ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობას. არ იყენებ შენს სიკვდილს, როგორც მრჩეველს და, რაც მთავარია, შენ მეტისმეტად მისაწვდომი ხარ. სხვა სიტყვებით, შენი ცხოვრება ისეთივე დომხალია, როგორიც მანამდე იყო, სანამ გაგიცნობდი.

მე კვლავაც ვიგრძენი შელახული თავმოყვარეობის გულწრფელი გრძნობა და მინდოდა შევკამათებოდი, რომ ასე არაა. მანიშნა, რომ დავმშვიდებულიყავი.

— უნდა აიღო პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ამ მოჯადოებულ სამყაროში იმყოფები. ჩვენ მოჯადოებულ სამყაროში ვართ, იცი?

დასტურის ნიშნად თავი დავუქნიე.

— ჩვენ ერთი და იგივეზე არ ვსაუბრობთ, — თქვა დონ ხუანმა. — შენთვის სამყარო მოჯადოებულია, რადგან თუ არ ხარ მისგან დაღლილი, მასთან თანხმობაში იმყოფები. ჩემთვის სამყარო მოჯადოებულია იმიტომ, რომ იგი საოცარია, საშიშია, ჯადოსნურია და აღუწერელია. მე მინდოდა, რომ დამერწმუნებინა საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობაში, პასუხისმგებლობის აქ, ამ საოცარ სამყაროში, ამ საოცარ უდაბნოში, ამ საოცარ დროში ყოფნის გამო. მინდოდა დამერწმუნებინე, რომ უნდა ისწავლო სათვალავში ჩასაგდები ქმედებების გაკეთება, რადგანაც აქ მხოლოდ მოკლე დროით იქნები. ფაქტიურად მეტისმეტად მოკლე დროით იმისთვის, რომ ამ სამყაროს ყველა საოცრება ნახო.

მე ვამტკიცებდი, რომ სამყაროსგან დაღლა, მასთან უთანხმოება ზოგადსაკაცობრიო მდგომარეობაა.

— მაშინ შეცვალე იგი, — მიპასუხა მშრალად. — თუ ამ გამოწვევას არ უპასუხებ, იგივეა, რომ უკვე მკვდარი ხარ.

მან მითხრა, რომ დამესახელებინა ჩემი ცხოვრების თემა ან მომენტი, რომელიც ჩემს ყველა აზრს იპყრობდა. მე ვუთხარი: «ხელოვნება». ყოველთვის მინდოდა არტისტი ვყოფილიყავი და მრავალი წლის განმავლობაში ვცდილობდი ამას. ჯერ კიდევ შემომრჩა მტკივნეული მოგონება ამ წარუმატებლობაზე.

— შენ არასოდეს აგიღია პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ამ აღუწერელ სამყაროში იმყოფები, — თქვა მან განაჩენის ტონით. — ამიტომაც არასოდეს ყოფილხარ არტისტი და შესაძლოა ვერასოდეს გახდე მონადირე.

— კი, მაგრამ ეს ყველაზე მეტია, რაც მე შემიძლია, დონ ხუან.

— არა, შენ არ იცი ყველაზე მეტი, რაც შეგიძლია.

— ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია.

— კვლავ ცდები. შეგიძლია უკეთ გააკეთო. არის ერთი მარტივი რამ, რომელიც შენში არასწორია. შენ ფიქრობ, რომ ბევრი დრო გაქვს.

იგი შეჩერდა და შემომხედა, თითქოს ჩემს რეაქციას ელოდებოდა.

— შენ ფიქრობ, რომ ბევრი დრო გაქვს, — გაიმეორა მან.

— ბევრი დრო რისთვის, დონ ხუან?

— შენ ფიქრობ, რომ შენი ცხოვრება მარადიულად გაგრძელდება.

— არა, ასე არ ვფიქრობ.

— მაშინ, თუ არ ფიქრობ, რომ შენი ცხოვრება მარადიულად გაგრძელდება, რას ელოდები? რატომ ყოყმანობ იმაში, რომ შეიცვალო?

— და არ მოგსვლია ოდესმე აზრად, დონ ხუან, რომ შეიძლება არ მინდოდეს შეცვლა?

— კი, მომსვლია აზრად. მეც არ მინდოდა შეცვლა, ისევე როგორც შენ. მაგრამ მე არ მომწონდა ჩემი ცხოვრება. მისგან ისევე დავიღალე, როგორც შენ. ახლა ის უკვე აღარ მყოფნის.

დარწმუნებით ვამტკიცებდი, რომ მისი დაჟინება იმაზე, რომ ჩემი ცხოვრების წესი შეეცვალა, შემაშინებელი და საკამათო იყო. ვთქვი, რომ მართლაც ვეთანხმებოდი მას გარკვეულ დონეზე, მაგრამ თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი ყოველთვის სიტუაციის პატრონია, მთელ ამ სიტუაციას აუტანელს ხდის ჩემთვის.

— სულელო, შენ არ გაქვს დრო ამ თამაშისთვის, — თქვა მან მკაცრი ტონით. — რასაც ახლა აკეთებ, შესაძლოა შენი ბოლო მოქმედება გახდეს დედამიწაზე. სრულიად შესაძლებელია, რომ იგი შენი ბოლო ბრძოლა იყოს. არ არსებობს ძალა, რომელიც გარანტიას მოგცემდა, რომ კიდევ ერთ წუთს იცოცხლებ.

— მე ვიცი ეს, — ვთქვი შეკავებული ბრაზით.

— არა, შენ არ იცი ეს, — თქვა მან. — რომ იცოდე, მონადირე იქნებოდი.

მე ვამტიცებდი, რომ ვაცნობიერებდი სიკვდილის არსებობას, მაგრამ ამაზე უსარგებლოა ლაპარაკი ან ფიქრი, რადგანაც ვერაფერს გავაკეთებ, რომ თავიდან ავიცილო იგი. დონ ხუანს გაეცინა და თქვა, რომ იმ კომედიანტს ვგავდი, რომელიც მექანიკურად მისდევდა მისთვის დაწერილ როლს.

— ეს რომ შენი უკანასკნელი ბრძოლა იყოს დედამიწაზე, გეტყოდი, რომ იდიოტი ხარ, — თქვა მან მშვიდად. — დედამიწაზე შენს ბოლო ქმედებას სულელურ აზრებში ხარჯავ.

წუთით გავჩუმდით. ჩემი აზრები ქაოტურად დარბოდნენ. რა თქმა უნდა, ის მართალი იყო.

— შენ დრო არ გაქვს ჩემო მეგობარო, დრო არ გაქვს. ჩვენ არცერთს არ გვაქვს დრო, — თქვა მან.

— გეთანხმები, დონ ხუან, მაგრამ...

— უბრალოდ კი არ დამეთანხმო, — შემაწყვეტინა მან. — იმის ნაცვლდ, რომ ასე იოლად დამეთანხმო, ამის შესაბამისად უნდა იმოქმედო. მიიღე გამოწვევა, შეიცვალე.

— სულ ესაა?

— სწორია. ცვლილება, რომელზეც მე ვსაუბრობ, არასოდეს ხდება თანდათანობით. იგი უეცრად ხდება. შენ კი, არ ამზადებ თავს ასეთი უეცარი, ცვლილების მომტანიმოქმედებისთვის.

ვთვლიდი, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო რაღაცეებს ამბობდა და ავუხსენი, რომ ცვლილებისთვის თუ მოვემზადებოდი, ცხადია, თანდათანობით შევიცვლებოდი.

— შენ საერთოდ არ შეცვლილხარ, — თქვა მან. — აი, რატომ გჯერა, რომ ცოტ-ცოტათი იცვლები. და შესაძლოა, თავად გაოცდე ოდესმე, როცა უეცრად შეიცვლები, წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ვიცი, რომ ეს ასეა, ამიტომ არ ვკარგავ დაინტერესებას იმაში, რისი თქმაც მინდოდა. — წამიერი პაუზის შემდეგ დონ ხუანმა თავისი აზრი განაგრძო.

— შესაძლოა სხვაგვარად უნდა მეთქვა, — თქვა მან. — ჩემი რეკომენდაციის მიზანია, შეამჩნიო, რომ ჩვენ ვერანაირად ვერ ვიქნებით დარწმუნებულნი ჩვენი ცხოვრების მარადიულობაში. ახლახან ვთქვი, რომ ცვლილება მოულოდნელად და უეცრად ხდება. და სწორედ ასევე მოდის სიკვდილიც. როგორ ფიქრობ, რა შეგვიძლია ამას მოვუხერხოთ?

გადავწყვიტე, რომ რიტორიკულ კითხვას სვამდა, მაგრამ წარბებით ნიშანი მომცა და პასუხისკენ მიბიძგა.

— ვიცხოვროთ ისე ბედნიერად, როგორც კი შეგვიძლია, — ვთქვი მე.

— მართალია, მაგრამ იცნობ ვინმეს, ვინც ბედნიერად ცხოვრობს?

ჩემი პირველი განზრახვა იყო მეთქვა «დიახ». მეჩვენებოდა, რომ მაგალითის სახით შემეძლო მომეყვანა ადამიანთა მთელი რიგი, რომლებსაც ვიცნობდი. მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის გამართლების ცარიელი მცდელობა იქნებოდა.

— არა, — ვუთხარი მე, — მე მართლა არ ვიცი.

— მე ვიცი, — თქვა დონ ხუანმა. — არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ძალიან ფრთხილნი არიან თავისი ქმედებების ბუნებასთან მიმართებაში. მათი ბედნიერება მდგომარეობს იმაში, რომ იმოქმედონ იმის სრული ცოდნით, რომ დრო არ აქვთ, ამიტომ მათ ქმედებებს განსაკუთრებული ძალა აქვს. მათ ქმედებებში გრძნობაა...

როგორც მომეჩვენა, დონ ხუანმა საჭირო სიტყვა დაკარგა. საფეთქლები დაიზილა და გაიღიმა. შემდეგ უეცრად წამოდგა, თითქოს ჩვენი საუბარი დასრულებული ყოფილიყოს. მე შევაჩერე, რომ დაემთავრებინა სათქმელი. იგი ჩამოჯდა.

— მოქმედებები ძალაა, — თქვა მან. — განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანი მოქმედებს, იცის რა, რომ ეს ქმედებები მისი უკანასკნელი ბრძოლაა. განსაკუთრებული ყოვლისმომცველი ბედნიერებაა, როცა მოქმედებ იმის სრული გაცნობიერებით, რომ ეს მოქმედება შესაძლოა შენი ყველაზე ბოლო მოქმედება იყოს დედამიწაზე. გირჩევ, რომ გადახედო შენს ცხოვრებას და ამ ჭრილში განიხილო შენი ქმედებები.

მე არ დავეთანხმე. ჩემთვის ბედნიერება იმაში მდგომარეობდა, რომ არსებობს ჩემი ქმედებების უწყვეტი თანმიმდევრობა და მე შემიძლია მათი გაკეთება სურვილისამებრ, ვაკეთო ის, რასაც მოცემულ მომენტში ვაკეთებ, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ეს მომწონს. ვუთხარი, რომ ჩემი არდათანხმება უბრალოდ ბანალურობა არ იყო და იგი იქიდან გამომდინარეობდა, რომ ამ სამყაროსაც და მეც გარკვეული ხანგრძლივობა გვაქვს.

როგორც ჩანს დონ ხუანი გაამხიარულა ჩემმა მცდელობამ, ჩემი ფიქრებისთვის მნიშვნელობა მიმეცა. იგი იცინოდა, თავს აქნევდა, თმას იქექავდა და ბოლოს, როცა «გარკვეულ ხანგრძლივობაზე» ვსაუბრობდი, თავისი ქუდი მიწაზე დააგდო და ზედ დადგა.

მე იმით დავასრულე, რომ მის კლოუნადაზე გამეცინა.

— შენ არ გაქვს დრო, ჩემო მეგობარო, — თქვა მან. — ამაშია ადამიანური არსებების უბედურება. არცერთ ჩვენგანს არ აქვს საკმარისი დრო. და შენს ხანგრძლივობას არ აქვს აზრი ამ საშინელ ჯადოსნურ სამყაროში.

— შენი ხანგრძლივობა მხოლოდ მშიშარას გხდის, — თქვა მან. — შენს ქმედებებს ვერ ექნება ის სული, ის ძალა, მოქმედებების ის ყოვლისმომცველი ძალა, რომელსაც ის ადამიანი ასრულებს, ვინც იცის, რომ მას თავისი უკანასკნელი ბრძოლა აქვს დედამიწაზე. სხვა სიტყვებით, შენი საქმიანობა არ გხდის ბედნიერს ან ძლევამოსილს.

ვაღიარე, რომ მეშინოდა სიკვდილზე ფიქრის, და დავადანაშაულე იგი იმაში, რომ ჩემში დიდ მღელვარებას იწვევდა თავისი გამუდმებული საუბრით სიკვდილზე.

— მაგრამ ყველანი მოვკვდებით, — თქვა მან.

მან შორეული ბორცვებისკენ მიმითითა.

— იქ არის რაღაც, რაც უეჭველად მელოდება, და მეც უეჭველად შევუერთდები მას, მაგრამ იქნებ შენ სხვანაირი ხარ, და სიკვდილი საერთოდ არ გელოდება?

მას გაეცინა სასოწარკვეთილების ჩემს ჟესტზე.

— მე არ მინდა ამაზე ფიქრი, დონ ხუან.

— რატომ?

— ეს უაზრობაა. თუ ის მელოდება, რატომ უნდა ვიღელვო ამაზე?

— მე არ მითქვამს, რომ უნდა იღელვო.

— აბა, რა უნდა ვაკეთო?

— გამოიყენე იგი, მოახდინე ყურადღების ფოკუსირება შენსა და შენს სიკვდილს შორის კავშირზე. სინანულის, სევდის, დარდის გარეშე. მოახდინე ყურადღების ფოკუსირება იმ ფაქტზე, რომ დრო არ გაქვს, და დაე, შენი ქმედებები შესაბამისი იყოს. დაე, ყოველი შენი ქმედება შენი უკანასკნელი ბრძოლა იყოს დედამიწაზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნება კანონიერი ძალა შენს ქმედებებს. ამ შემთხვევაში, რამდენიც არ უნდა იცოცხლო, შენი ქმედებები არ იქნება მშიშარა ადამიანის ქმედებები.

— ნუთუ ასეთი საშინელებაა მშიშარა ადამიანად ყოფნა?

— არა. ეს ასე არაა, თუ უკვდავი ხარ. მაგრამ თუ სიკვდილს აპირებ, მაშინ დრო არ გაქვს იმისთვის, რომ მშიშარა იყო უბრალოდ იმიტომ, რომ შენი შიში გაიძულებს ისეთ რამეს მოეჭიდო, რაც მხოლოდ შენს ფიქრებში არებობს. ეს გაძინებს მაშინ, როცა გარშემო ყველაფერს სძინავს. მაგრამ შემდეგ საშინელი და ჯადოსნური სამყარო გააღებს შენთვის ხახას, ისევე როგორც ყოველი ჩვენგანისთვის. და მაშინ მიხვდები, რომ შენი გამოცდილი გზები სულაც არაა გამოცდილი. მშიშარად ყოფნა საშუალებას არ გვაძლევს, რომ განვიხილოთ და გამოვიყენოთ ჩვენი ბედი, როგორც ადამიანების ბედი.

— მაგრამ არაბუნებრივია საკუთარ სიკვდილზე გამუმებული ფიქრით ცხოვრება, დონ ხუან.

— ჩვენი სიკვდილი გველოდება, და სწორედ ეს მოქმედება, რომელსაც ახლა ვახორციელებთ, სრულიად შესაძლებელია, რომ ჩვენი უკანასკნელი ბრძოლა იყოს დედამიწაზე, — მიპასუხა მან უემოციო ხმით. — მე მას ბრძოლას ვუწოდებ იმიტომ, რომ ეს შერკინებაა, ორთაბრძოლაა. ადამიანთა უმეტესობა მოქმედებიდან მოქმედებამდე

ყოველგვარი ბრძოლის და ყოველგვარი აზრის გარეშე გადადის. მონადირე, პირიქით, ზომავს ყოველ ქმედებას. და რადგანაც თავისი სიკვდილის ღრმა ცოდნა გააჩნია, აწონ-დაწონის შემდეგ აკეთებს ქმედებებს, თითქოს მისი ყოველი ქმედება უკანასკნელი ბრძოლა იყოს. მხოლოდ სულელი ვერ შეამჩნევს მონადირის უპირატესობას ყველა დანარჩენ ადამიანთან შედარებით. მონადირე თავის უკანასკნელ ბრძოლას საკადრის პატივს სცემს, და ეს ბუნებრივია, რადგანაც მისი უკანასკნელი ქმედება დედამიწაზე მისი საუკეთესო ქმედება უნდა იყოს. ეს სასიამოვნოა. ეს მას შიშისგან ათავისუფლებს.

—მართალი ხარ, — დავეთანხმე მე. — უბრალოდ ამის გაგება რთულია.

— მრავალი წელი დაგჭირდება იმისთვის, რომ დაარწმუნო საკუთარი თავი, შემდეგ კიდევ მრავალი წელი იმისთვის, რომ შესაბამისად იმოქმედო. მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ საკმარისი დრო დაგრჩა.

— მეშინია, როცა ასე ლპარაკობ, — ვუთხარი მე.

დონ ხუანმა სერიოზული გამომეტყველებით შემომხედა.

—მე უკვე გითხარი, რომ ეს სამყარო მოჯადოებულია, — თქვა მან. — ძალები, რომლებიც ადამიანებს მართავენ, წინასწარგანუსაზღვრელნი, საშინელნი, და ამავე დროს შესანიშნავნი არიან. აქ ბევრი რამაა საინტერესო და სანახავი.

მან ლაპარაკი შეწყვიტა და კვლავ შემომხედა. როგორც ჩანს, რაღაცის თქმას აპირებდა ჩემთვის, მაგრამ გადაიფიქრა და და გამიღიმა.

— ნუთუ არის რაიმე, რაც ჩვენ გვმართავს? — ვკითხე მე.

— რა თქმა უნდა, არიან ძალები, რომლებიც გვმართავენ.

— შეგიძლია აღმიწერო?

— არა, არ შემიძლია, მხოლოდ ის შემიძლია, რომ ძალები, სულები, ქარები ან რაიმე ამდაგვარი ვუწოდო მათ.

მინდოდა გამეგრძელებინა მისი დაკითხვა, მაგრამ სანამ რაიმეს კითხვას მოვახერხებდი, იგი წამოდგა. გაოგნებული ვუყურებდი. ერთი მოძრაობით წამოდგა, მისი სხეული უბრალოდ გაინძრა, ის კი უკვე ფეხზე იყო.

ჯერ კიდევ იმაზე ვფიქრობდი, რა საოცარი მოხერხებულობაა საჭირო იმისთვის, რომ ასეთი სიჩქარით იმოძრაო, როცა მან ბრძანების მშრალი ტონით მითხრა, რომ მომეძებნა კურდღელი, მომეკლა და მზის ჩასვლამდე შემეწვა. ცას შეხედა და მითხრა, რომ საკმარისი დრო მქონდა.

მე ავტომატურად შევუდექი საქმეს, ისე, როგორც უკვე მრავალჯერ გამიკეთებია. დონ ხუანი ჩემ გვერდით დადიოდა და ჩემს მოძრაობებს თვალყურს ადევნებდა. მე ძალიან მშვიდი ვიყავი, ფრთხილად ვმოძრაობდი, და არანაირი სირთულე არ აღმოჩნდა ჩემთვის კურდღლის დაჭერა.

— ახლა მოკალი ის, — თქვა მშრალად დონ ხუანმა.

მე ხაფანგისკენ გავიწიე, რომ კურდღელი ამეყვანა. ყურებში მოვკიდე ხელი და გარეთ გამოვათრიე, და ამ დროს საშინელმა გრძნობამ შემიპყრო. პირველად, მას შემდეგ, რაც დონ ხუანი ნადირობას მასწავლიდა, დავფიქრდი იმაზე, რომ მას არასოდეს უსწავლებია ჩემთვის, თუ როგორ მომეკლა ნადავლი. იმ ხნის განმავლობაში, რაც უდაბნოში დავდიოდით, თავად მან მხოლოდ ერთი კურდღელი, ორი გნოლი და ერთი ჩხრიალა გველი მოკლა.

მე უკან დავაგდე კურდღელი და დონ ხუანს შევხედე.

— არ შემიძლია მისი მოკვლა, — ვუთხარი მე.

— რატომ?

— ეს არასოდეს გამიკეთებია.

— კი, მაგრამ შენ ასობით ფრინველი და სხვა ცხოველი მოგიკლავს.

— იარაღით, და არა შიშველი ხელებით.

— და რა მნიშვნელობა აქვს? კურდღლის დრო ამოწურულია.

დონ ხუანის ტონმა შოკში ჩამაგდო. იგი ისეთი ავტორიტეტული იყო, ისეთი მცოდნე, — არანაირ ეჭვს არ ტოვებდა იმასთან დაკავშირებით, რომ კურდღლის დრო მართლაც ამოიწურა.

— მოკალი! — მიბრძანა მან სასტიკი მზერით.

— არ შემიძლია.

მან დამიყვირა, რომ კურდღელი უნდა მომკვდარიყო. თქვა, რომ მისი ხეტიალი მშვენიერ უდაბნოში დასასრულს მიუახლოვდა, ჩემს ჯიუტობას აზრი არ ჰქონდა, რადგანაც ძალამ, ანუ სულმა, რომელიც კურდღლებს მართავს, სწორედ ეს მოიყვანა ჩემს ხაფანგთან სწორედ მზის ჩასვლის წინ.

გრძნობათა მთელმა რიგმა მომიცვა, თითქოს ყველა ეს გრძნობა მე მელოდებოდა. უკიდურესი სიცხადით ვიგრძენი კურდღლის ტრაგედია, რომელიც იძულებული იყო ჩემს ხაფანგში მოხვედრილიყო. რაღაც წამებში ჩემმა გონებამ ჩემი საკუთარი ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში გადაინაცვლა. ბევრჯერ თავად ვყოფილვარ კურდღელი.

შევხედე მას, და მანაც შემომხედა. კურდღელი გალიის უკანა კედელს მიაწვა. თითქმის გადმოტრიალდა, ძალიან მშვიდი და უძრავი იყო. ჩვენ უცნაური მზერები გავცვალეთ და ამ მზერაში, რომელიც მე აღვიქვი, როგორც ჩუმი სასოწარკვეთილება, დავინახე სრული იდენტიფიკაცია ჩემს საკუთარ განგებასთან.

— ჯანდაბა, — ვთქვი ხმამაღლა. — მე არასოდეს არ მინდა მოკვლა. ეს კურდღელი თავისუფალი იქნება.

ძლიერმა ემოციამ მაიძულა, რომ ავკანკალებულიყავი. ჩემი ხელები თრთოდნენ, როცა ვცდილობდი კურდღელი ყურებით დამეჭირა. იგი სწრაფად მოძრაობდა და ამიტომ ავაცილე. კიდევ ვცადე და კიდევ ამიცდა ხელი. სასოწარკვეთილებამ შემიპყრო.

გულისრევა ვიგრძენი და სწრაფად ვკარი ხელი გალიას, რათა დამენგრია იგი და კურდღელი გამომეშვა. მოულოდნელად გალია მაგარი აღმოჩნდა და არ გატყდა ისე, როგორც ველოდი. ჩემი სასოწარკვეთილება მოუთმენლობის აუტანელ გრძნობამდე გაიზარდა. მთელი ძალის გამოყენებით დავკარი გალიის კიდეს მარჯვენა ფეხი. ჯოხები მაღალი ხმით დაიმტვრა. კურდღელი გარეთ გამოვათრიე. ამ დროს შვება ვიგრძენი, რომელიც შემდეგ მომენტში ნამსხვრევებად დაიფშვნა. კურდღელი დუნედ იდო ჩემს ხელზე. იგი მკვდარი იყო.

არ ვიცოდი, რა მექნა. ვდილობდი გამეაზრებინა, რატომ მოკვდა. დონ ხუანისკენ შევბრუნდი. იგი მიყურებდა. საზარელმა გრძნობამ დამიარა მთელ სხეულში. რაღაც ქვებთან ჩამოვჯექი. საშინლად მტკიოდა თავი. დო ხუანმა თავზე ხელი დამადო და ყურში ჩამჩურჩულა, რომ სანამ მწუხრი დამთავრდებოდა, უნდა გამეტყავებინა და შემეწვა კურდღელი.

გული მერეოდა. იგი ძალიან მოთმინებით მელაპარაკებოდა, თითქოს ბავშვს ელაპარაკებაო. მითხრა, რომ იმ ძალებმა, რომლებიც ადამიანებს და ცხოველებს ხელმძღვანელობენ, სწორედ ეს კურდღელი მომიყვანეს, სწორედ ისევე, როგორც მე მიმიყვანენ ჩემს საკუთარ სიკვდილთან. თქვა, რომ კურდღლის სიკვდილი საჩუქარი იყო ჩემდამი, ისევე, როგორც ჩემი სიკვდილი იქნება საჩუქარი ვინმესადმი ან რამესადმი.

თავბრუ მეხვეოდა. ამ დღის მარტივმა მოვლენებმა სრულიად გამანადგურა. ვცდილობდი მეფიქრა, რომ ეს უბრალოდ კურდღელია. და მაინც, ვერანაირად ვერ ვიშორებდი იმ გაიგივებას, რომელიც მასთან მაკავშირებდა.

დონ ხუანმა თქვა, რომ ცოტა მაინც უნდა შემეჭამა მისი ხორცი, თუნდაც ერთი ნაჭერი, იმისთვის, რომ ჩემი მონაპოვარისთვის ფასი მიმეცა.

— არ შემიძლია ამის გაკეთება, — გავაპროტესტე პასიურად.

— ჩვენ ნაგავი ვართ ამ ძალების ხელში, — მომახალა მან. — ამიტომ, შეწყვიტე საკუთარი მნიშვნელოვნობის შეგრძნება და გამოიყენე საჩუქარი საჭიროებისამებრ.

კურდღელი ავიყვანე. ის თბილი იყო. დონ ხუანი დაიხარა და ყურში ჩამჩურჩულა:

— შენი ხაფანგი მისი უკანასკნელი ბრძოლა იყო დედამიწაზე. გეუბნებოდი, რომ მეტი დრო აღარ ჰქონდა დარჩენილი ამ მშვენიერ უდაბნოში სახტუნაოდ.

10. გახდე ძალისადმი მისაწვდომი

ხუთშაბათი, 1961 წლის 17 აგვისტო.

როგორც კი მანქანიდან გადმოვძვერი, დავიწუწუნე დონ ხუანთან, რომ ცუდად ვგრძნობდი თავს.

— დაჯექი, დაჯექი, — მითხრა მან რბილად და თითქმის ხელით წამიყვანა თავისი კარის ზღურბლამდე. გამიღიმა და ზურგზე ხელი დამიტყაპუნა.

მანამდე ორი კვირით ადრე, 4 აგვისტოს, დონ ხუანმა, როგორც იგი ამბობდა, ტაქტიკა შეცვალა ჩემთან და პეიოტის რამდენიმე ნაჭრის შეჭმის უფლება მომცა. ჩემი უკანასკნელი ჰალუცინატორული გამოცდილებისას ძაღლს ვეთამაშებოდი, რომელიც იმ სახლში ცხოვრობდა, სადაც პეიოტური სესია მიმდინარეობდა. დონ ხუანმა ჩემი ძაღლთან ურთიერთობა ახსნა, როგორც სრულიად განსაკუთრებული მოვლენა. იგი ამტკიცებდა, რომ ძალის მომენტში, იმის მსგავსში, როცა მაშინ ვცხოვრობდი, ჩვეული მოქმედებების სამყარო აღარ არსებობს, და ვერაფერი ვერ აღიქმება უეჭველად. რომ ძაღლი არ იყო ძაღლი, არამედ მესკალიტოს გამოვლინება იყო, იმ ძალის ან სულის გამოვლინება, რომელიც პეიოტში იყო.

ამ გამოცდილების შემდეგი ეფექტი დაღლილობა და მელანქოლია იყო, ასევე, ცალსახად ცოცხალი სიზმრები და კოშმარები.

— სად არის შენი საწერი მოწყობილობები? — მკითხა დონ ხუანმა, როცა ზღურბლზე ჩამოვჯექი.

ჩემი ჩანაწერების წიგნაკი მანქანაში დავტოვე. დონ ხუანი მანქანასთან დაბრუნდა, ფრთხილად ამოიღო ჩემი პორტფელი და გვერდით დამიდო. მკითხა, ვატარებდი თუ არა ჩემს პორტფელს, როცა დავდიოდი. ვუპასუხე, რომ ვატარებდი.

— ეს სიგიჟეა, — თქვა მან. — მე გითხარი, რომ არაფერი ატარო ხელებით, როცა დადიხარ. ზურგჩანთა იქონიე.

გამეცინა. აზრი იმის შესახებ, რომ ჩემი ჩანაწერები ზურგჩანთით მეტარებინა, სასაცილო იყო. ვითხარი, რომ ჩვეულებრივ კოსტუმს ვატარებ, და ზურგჩანთა კოსტუმზე ფრიად უჩვეულო სანახავი იქნება.

— ზურგჩანთის ზემოდან ჩაიცვი შენი კოსტუმი, — თქვა მან. — ჯობია ხალხმა იფიქროს, რომ კუზიანი ხარ, ვიდრე შენი სხეული დაიზიანო ამ ყველაფრის თრევით.

მან მითხრა, რომ ამომეღო ჩანაწერების წიგნაკი და ჩაწერა დამეწყო. მომეჩვენა, რომ გაცნობიერებულად ცდილობდა ჩემს დამშვიდებას.

მე კვლავ დავიწუწუნე, რომ ფიზიკურ დისკომფორტს და უბედურების უცნაურ შეგრძნებებს განვიცდიდი. დონ ხუანს გაეცინა და თქვა:

— შენ სწავლას იწყებ.

შემდეგ ძალიან ხანგრძლივი საუბარი გვქონდა. მან მითხრა, რომ მესკალიტომ იმით, რომ მასთან თამაშის საშუალება მომცა, მიანიშნა ჩემზე, როგორც «რჩეულ» ადამიანზე. და, რომ თუმცა გაოგნებული იყო ამ ნიშნით, რადგანაც მე არ ვიყავი ინდიელი, მიუხედავად ამისა, აპირებდა, რომ რაღაც საიდუმლო ცოდნა გადმოეცა ჩემთვის. თქვა, რომ მას თავად ჰყავდა «კეთილისმყოფელი», რომელმაც ასწავლა, თუ როგორ გამხდარიყო «ცოდნის ადამიანი».

ვიგრძენი, რომ რაღაც საშინელი უნდა მომხდარიყო. განცხადება, რომ მე მისთვის რჩეული ადამიანი ვიყავი, პლუს მისი ცხოვრების სრულიად უცხო მანერა და ის დამანგრეველი ეფექტი, რაც პეიოტმა ჩემზე მოახდინა, ქმნიდნენ აუტანელი წინააღმდეგობის და ყოყმანის

გრძნობას. თუმცაღა დონ ხუანმა ყურადღება არ მიაქცია ჩემს გრძნობებს და მირჩია, მხოლოდ იმ სასწაულზე მეფიქრა, რომ მესკალიტომ ჩემთან თამაში გადაწყვიტა.

— სხვაზე არაფერზე იფიქრო, — თქვა მან. — დანარჩენი ყველაფერი თავისით მოვა.

იგი წამოდგა და ნაზად მომეფერა თავზე, შემდეგ კი ძალიან ხმადაბლა წარმოთქვა;

— მე ვაპირებ, რომ გასწავლო, თუ როგორ გახდე მეომარი. სწორედ ისევე, როგორც ნადირობას გასწავლიდი. მაგრამ უნდა გაგაფრთხილო, რომ ნადირობის შესწავლამ ვერ გაგხადა მონადირე, სწორედ ისევე, როგორც მეომრობის შესწავლა ვერ გაგხდის მეომარს.

დაბნეულობას და ფიზიკურ დისკომფორტს ვგრძნობდი, რომელსაც თან ახლდა მოუთმენლობა. შევჩივლე, რომ ძალიან ცოცხალ სიზმრებს და ღამის კოშმარებს ვხედავდი. ცოტა ხნით დაფიქრდა, შემდეგ კი კვლავ დაჯდა.

— ეს მოჯადოებული სიზმრებია, — ვთქვი მე.

— შენ ყოველთვის მოჯადოებული სიზმრები გქონდა, — მომიგო მან.

— გეუბნები, ამჯერად მართლა უფრო ჯდოსნურია, ვიდრე ოდესმე მინახავს აქამდე.

— ნუ იღელვებ ამაზე, ეს უბრალოდ სიზმრებია. სწორედ ისევე, როგორც ნებისმიერი ჩვეულებრივი მძინარეს სიზმრებს, მათ ძალა არ გააჩნიათ. ამიტომ, აზრი არ აქვს მათზე ლაპარაკს.

— მე ისინი მადარდებენ, დონ ხუან. ნუთუ არ არსებობს რაიმე საშუალება მათ შესაჩერებლად?

— არაფერი. ნება მიეცი, რომ გაიარონ, — თქვა მან. — ახლა დრო მოვიდა რომ მისაწვდომი გახდე ძალისადმი, და იმით დაიწყებ, რომ ს ი ზ მ ა რ ხ ი ლ ვ ე ბ ს ჩაეჭიდები.

მისი ხმის ტონმა, როცა წარმოთქვა «სიზმარხილვები», მაიძულა მეფიქრა, რომ ამ სიტყვას რაღაც განსაკუთრებული მანერით იყენებდა. ვფიქრობდი, თუ რა კითხვა უნდა დამესვა მისთვის, როცა უეცრად საუბარი დაიწყო.

— მე არასოდეს მომიყოლია სიზმარხილვის შესახებ, რადგან აქამდე მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ ნადირობა მესწავლებინა შენთვის, — თქვა მან. — მონადირეს საქმე არა აქვს ძალასთან, მანიპულაციებთან, ამიტომ მისი სიზმრები უბრალოდ სიზმრებია. მათ შეუძლიათ ღრმად შეგეხონ, მაგრამ მხოლოდ სიზმრებად რჩებიან, და არა – სიზმარხილვებად.

მეორე მხრივ, მეომარი ძალას ეძებს, და ერთ-ერთი ფართო გზა ძალისკენ — ეს სიზმარხილვაა. შეიძება ითქვას, რომ განსხვავება მონადირესა და მეომარს შორის იმაში მდგომარეობს, რომ მეომარი ძალის გზაზე დგას მაშინ, როცა მონადირემ ძალაზე არაფერი, ან თითქმის არაფერი არ იცის.

გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს მეომარი და ვინ მონადირე — ჩვენ არ გვეკუთვნის. ეს გადაწყვეტილება იმ ძალთა საუფლოშია, რომლებიც ადამიანებს მართავენ. აი, რატომ იყო შენი თამაში მესკალიტოსთან ასეთი მნიშვნელოვანი ნიშანი. ამ ძალებმა მოგიყვანეს ჩემამდე. მათ მოგიყვანეს იმ ავტოსადგურზე, გახსოვს? ვიღაც

კლოუნმა მოგიყვანა ჩემთან. შესანიშნავი ნიშანია — კლოუნი, რომელიც შენზე მიმანიშნებდა. ამიტომაც გასწავლიდი, როგორ ყოფილიყავი მონადირე. შემდეგ კი კიდევ ერთი შესანიშნავი ნიშანი — თავად მესკალიტო, რომელიც შენ გეთამაშებოდა. გესმის, რას ვამბობ?

მისი ჯადოქრული ლოგიკა მთრგუნავდა. მისი სიტყვები წარმოადგენდნენ ჩემს თავს, როგორც რაღაც საშინელისა და ამოუცნობისადმი დაქვემდებარებულს. რაღაც ისეთისადმი, რის მიღწევაც არ მიცდია და რისი არსებობაც ყველაზე ველურ ფანტაზიებშიც კი ვერ წარმომედგინა.

— როგორ ფიქრობ, რა უნდა გავაკეთო?

— მისაწვდომი უნდა გახდე ძალისთვის. უნდა ჩაეჭიდო შენს სიზმრებს, — მიპასუხა მან. — შენ მათ სიზმრებს უწოდებ, რადგანაც ძალა არ გაქვს. მეომარი, რომელიც ძალას ეძებს, არ უწოდებს მათ სიზმრებს. იგი მათ რეალურებს უწოდებს.

— გინდა თქვა, რომ იგი თავის სიზმრებს, როგორც რეალობას ისე აღიქვამს?

—იგი არ აღიქვამს არაფერს როგორც სხვა რამეს. რასაც სიზმრებს ეძახი, მეომრისთვის რეალობას წარმოადგენს. უნდა გაიგო, რომ მეომარი სულელი არაა. მეომარი — ეს არაა მონადირე, რომელიც ძალაზე ნადირობს. იგი არაა მთვრალი, ან უჭკუო, მას არც დრო აქვს და არც განწყობა, რომ საკუთარი თავი მოატყუოს, ან არასწორი ნაბიჯი გადადგას. ამისთვის ფსონები ძალიან მაღალია. ფსონი მისი განსაზღვრული მოწესრიგებული ცხოვრებაა, რომელზეც ბევრი დრო დახარჯა, რომ სრულყოფილებამდე მიეყვანა. იგი არ აპირებს ამ ყველაფრის გადაგდებას იმით, რომ რაიმე არასწორი გათვლა გააკეთოს და ერთი რაღაც სხვა რამედ აღიქვას.

სიზმარხილვა — რეალობაა მეომრისთვის, რადგანაც მასში გაცნობიერებულად მოქმედება შეუძლია. შეუძლია აირჩიოს, ან უარი თქვას. შეუძლია აირჩიოს სხვადასხვა მომენტებს შორის, რომლებსაც ძალისკენ მიჰყავთ იგი, და შემდეგ გამოიყენოს ისინი მაშინ, როცა ჩვეულებრივ სიზმარში გაცნობიერებული მოქმედება არ ძალუძს.

— ამ შემთხვევაში, შენ გინდა თქვა, დონ ხუან, რომ სიზმარხილვები რეალურია?

— რა თქმა უნდა, რეალურია.

— ისევე რეალური, როგორც ის, რასაც ახლა ვაკეთებთ?

— თუ ერთის მეორესთან შედარება გინდა, მაშინ ისინი უფრო რეალურია. სიზმარხილვებში შენ ძალა გაგაჩნია. შეგიძლია შეცვალო მოვლენები, შეგიძლია იპოვო ურიცხვი დაფარული ფაქტი. შეგიძლია აკონტროლო ყველაფერი, რაც გსურს.

დონ ხუანის განცხადება გარკვეულ დონეზე ჩემში გამოძახილს ჰპოვებდა. იოლად შემეძლო გამეგო მისი სიყვარული იმ იდეისადმი, რომ სიზმარში ყველაფრის კეთება შეიძლება. მაგრამ არ შემეძლო ამის სერიოზულად მიღება. ნახტომი მეტისმეტად დიდი იყო.

წამით ერთმანეთს ვუყურებდით. მისი განცხადებები გიჟური იყო, და მაინც, იმის მიხედვით, რაც მასზე ვიცოდი, იგი ყველაზე საღად მოაზროვნე ადამიანი იყო, ვინც კი ოდესმე შემხვედრია.

ვუთხარი, რომ არ შემეძლო დამეჯერებინა, რომ თავის სიზმრებს რეალობად თვლიდა. მას ჩაეცინა, თითქოს იცოდა ჩემი ურყევი პოზიციის ზომები. შემდეგ წამოდგა და სიტყვაც არ უთქვამს, ისე შევიდა სახლში. დიდხანს ვიჯექი გაშტერებული, სანამ არ დამიძახა სახლის უკანა ნაწილში. რაღაც ფაფა მოამზადა და ჭიქა გამომიწოდა.

იმ დროის შესახებ ვკითხე, როცა ადამიანი ფხიზლობს. მინდოდა გამეგო, ხომ არ უწოდებდა ამას რაიმე განსაკუთრებულს, მაგრამ მან ან ვერ გაიგო, ან პასუხის გაცემა არ მოინდომა.

— რას ეძახი ამას, აი, რასაც ახლა ვაკეთებთ? — ვკითხე მე. ვგულისხმობდი, რომ რასაც იმ დროს ვაკეთებდით, სიზმრის საპირისპირო რეალობა იყო.

— მე ამას საჭმელს ვეძახი, — თქვა მან. თან სიცილს ძლივს იკავებდა.

— მე ამას რეალობას ვეძახი, რადგანაც საჭმელი მართლა არსებობს.

— სიზმარხილვაც არსებობს, — მიპასუხა მან სიცილით. — სწორედ ასევე ნადირობა, სიარული, სიცილი.

არ მინდოდა კამათი, მაგრამ მის იდეას მაინც ვერ ვიღებდი. როგორც ჩანს კმაყოფილი იყო ჩემი სასოწარკვეთილებით.

როგორც კი ჭამას მოვრჩით, მან განაცხადა, რომ სასეირნოდ უნდა წავსულიყავით. მაგრამ ისე აღარ ვიხეტიალებდით უდაბნოში, როგორც ამას მანამდე ვაკეთებდით ხოლმე.

— ამჯერად სხვანაირად, — თქვა მან. — დღეიდან ძალის ადგილებზე ვივლით. უნდა ისწავლო, რომ მისაწვდომი გახდე ძალისადმი.

მე კვლავ გამოვხატე ჩემი გაკვირვება. ვუთხარი, რომ არასაკმარისად კვალიფიცირებული ვიყავი ამ საქმისთვის.

—განაგრძე, შენს სულელურ შიშს ამართლებ, — თქვა მან დაბალი ხმით, თან ზურგზე ხელს მისვამდა და კეთილგანწყობით იღიმებოდა. — მე შენს მონადირისეულ სულს ვეპარები. შენ გიყვარს ჩემთან ერთად ამ მშვენიერ უდაბნოში ხეტიალი. ძალზე გვიანია თამაშიდან გასვლა.

იგი უდაბნოს ჩაპარალისკენ წავიდა. თავით მანიშნა, რომ გავყოლოდი. შემეძლო მანქანაში ჩავმჯდარიყავი და წავსულიყავი, მაგრამ მომწონდა მასთან ერთად უდაბნოში ხეტიალი, მომწონდა ის შეგრძნება, რომელსაც მხოლოდ მის კომპანიაში ვგრძნობდი, რომ ეს მართლაც შემაშინებელი, ჯადოსნური და მაინც მშვენიერი სამყაროა. როგორც თვითონ თქვა, კაუჭით ვიყავი გამოჭერილი.

დონ ხუანმა აღმოსავლეთის მხარეს მყოფ გორაკებთან წამიყვანა. ეს ხანგრძლივი გასეირნება იყო. ცხელი დღე იდგა. თუმცა სიცხეს, რომელიც ჩვეულებრივ აუტანელი იყო ხოლმე ჩემთვის, ამ დღეს ვერ ვამჩნევდი.

დიდი მანძილი გავიარეთ და კანიონში შევედით. დონ ხუანი შეჩერდა და რაღაც ქვების ჩრდილში დაჯდა. ზურგჩანთიდან რამდენიმე ორცხობილა ამოვიღე, მაგრამ მან მითხრა, რომ ამის დრო არ იყო. თქვა, რომ განსაზღვრულ ადგილას უნდა ვმჯდარიყავი; მიმითითა განცალკევებულ, თითქმის მრგვალ ლოდზე ჩვენგან სამი-ოთხი მეტრის მანძილზე და მის თავზე აძრომაში დამეხმარა. ვიფიქრე, რომ თვითონაც აპირებდა იქ დაჯდომას, მაგრამ ამის ნაცვლად მხოლოდ მისი სიმაღლის ნახევარზე ამოვიდა იმისთვის, რომ ჩემთვის გამომშრალი ხორცის ნაჭერი მოეწოდებინა. შემდეგ ძალიან სერიოზული გამომეტყველებით მითხრა, რომ ამ ხორცს ძალა ჰქონდა, იგი ძალიან ნელა უნდა დამეღეჭა და არანაირ სხვა საჭმელთან არ უნდა შემერია. შემდეგ უკან წავიდა, ჩრდილში დაჯდა და ქვას მიეყრდნო. მოდუნებული ჩანდა, თითქმის მძინარე. ასეთ მდგომარეობაში იქამდე დარჩა, სანამ ჭამას არ მოვრჩი. შემდეგ იგი გასწორდა და თავი მარჯვნივ დახარა. თითქოს რაღაცას ყურადღებით უსმენდა. ორ-სამჯერ შემომხედა, გასწორდა და გარემოს თვალიერება დაიწყო თვალებით ისე, როგორც ამას მონადირე აკეთებს. მე ავტომატურად გავშეშდი და თვალებს მხოლოდ იმისთვის ვამოძრავებდი, რომ მისი მოძრაობებისთვის მედევნებინა თვალყური. ძალიან ფრთხილად გადავიდა ქვების უკან, თითქოს ელოდა, რომ იმ ადგილიდან ნადავლი გამოვიდოდა. ამ დროს მივხვდით, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით უზარმაზარი ლოდებით გარშემორტყმულ მშრალ წყლის კანიონში.

მოულოდნელად დონ ხუანი ქვებიდან გამოვიდა და გამიღიმა. გაიზმორა, დაამთქნარა და ჩემს ლოდს მოუახლოვდა.

— რა მოხდა? — ვკითხე ჩურჩულით.

მან თითქმის ყვირილით მიპასუხა, რომ გარშემო სანერვიულო არაფერია. იმავე წამს მუცელში ძვრა ვიგრძენი. მისი პასუხი სიტუაციასთან შეუსაბამო იყო და ვერ წარმომედგინა, რომ იყვირებდა, თუ ამისთვის სპეციალური მიზეზი არ იქნებოდა.

ლოდიდან ჩამოძრომა დავიწყე, მაგრამ დაიღრიალა, რომ ადგილზე დავრჩენილიყავი.

— რას აკეთებ? — ვკითხე მე.

იგი ჩამოჯდა იმ ლოდთან, სადაც მე ვიჯექი, შემდეგ კი ძალიან ხმამაღლა მითხრა, რომ უბრალოდ დაათვალიერა იქაურობა, რადგანაც მოეჩვენა, რომ რაღაცის ხმა მოესმა.

ვკითხე, ხომ არ მოესმა მსხვილი ცხოველის ხმა. ხელი ყურთან მიიდო და დაიღრიალა, რომ არ ესმოდა ჩემი და უნდა მეყვირა ჩემი სიტყვები. ძალიან დიდ უხერხულობას ვგრძნობდი იმაში, რომ მეყვირა, მაგრამ მან ხმამაღლა მიბრძანა ლაპარაკი. დავიყვირე, რომ მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა. და მან საპასუხოდ დამიყვირა, რომ გარშემო არაფერი იყო. ყვირილით მკითხა, ხომ არ ვხედავდი რამე უცნაურს ლოდის მწვერვალიდან. მე ვუთხარი, რომ არა, და მან მთხოვა, რომ აღმეწერა ჩვენგან სამხრეთით მდებარე ადგილი.

რაღაც პერიოდის განმავლობაში ასე ვუყვიროდით ერთმანეთს, შემდეგ კი მანიშნა, რომ ქვემოთ ჩავსულიყავი. მას შევუერთდი, და ყურში ჩამჩურჩულა, რომ ყვირილი იმისთვის იყო საჭირო, რომ ჩვენი იქ ყოფნა ცნობილი გამხდარიყო, რადგანაც მისაწვდომი უნდა გამეხადა თავი იმ ძალისადმი, რომელიც სწორედ ამ წყლის ხვრელში იმყოფებოდა.

მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ წყლის ხვრელი ვერსად დავინახე. მან მიმითითა, რომ ჩვენ სწორედ მასზე ვიდექით.

— აქ წყალია, — თქვა მან ჩურჩულით. — და ასევე ძალაცაა. აქ სულია, რომელიც უნდა გამოვიტყუოთ. შესაძლოა მოიხიბლოს შენით.

მინდოდა მეტი გამეგო ამ სულის შესახებ, მაგრამ დონ ხუანმა სრული დუმილი ამჯობინა. მიბრძანა, რომ სრულიად გაუნძრევლად ვმდგარიყავი, სიტყვაც არ მეთქვა და მცირე მოძრაობაც კი არ გამეკეთებინა, რომ ჩვენი იქ ყოფნა არ გამეცა.

ალბათ, მისთვის იოლი იყო უძრავად დგომა რამდენიმე საათის განმავლობაში. მაგრამ ჩემთვის ეს ნამდვილი ტანჯვა გახლდათ. ფეხები დამიბუჟდა, ზურგი მტკიოდა და კისერსა და მხრებში მამტვრევდა. მთელი ჩემი სხეული გაიყინა და უგრძნობი გახდა. საშინელ უხერხულობას ვგრძნობდი, და ბოლოს, როგორც იქნა, დონ ხუანი წამოდგა. უბრალოდ წამოხტა ფეხზე და ხელი გამომიწოდა, რომ ადგომაში დამხმარებოდა.

როცა ფეხების გამართვა ვცადე, გავაცნობიერე, თუ რა იოლად წამოხტა დონ ხუანი რამდენიმესაათიანი უძრაობის შემდეგ. ჩემს კუნთებს საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, რომ სიარულისთვის საჭირო ელასტიურობა აღედგინა.

დონ ხუანი უკან, სახლისკენ დაბრუნდა. ძალიან ნელა მიდიოდა. სამი ნაბიჯის მანძილი განმისაზღვრა, ამ მანძილის დაშორებით უკან უნდა გავყოლოდი და დავკვირვებოდი გარემოს. იგი ზიგზაგებით მიდიოდა ჩვენი ჩვეული გზის გასწვრივ. როცა ბოლოს და ბოლოს სახლამდე მივაღწიეთ, უკვე მოსაღამოვდა.

მინდოდა გამომეკითხა დღის მოვლენების შესახებ. მან მითხრა, რომ ახსნა არ იყო აუცილებელი. რაღაც დროით თავი უნდა შემეკავებინა კითხვებისგან, სანამ ძალის ადგილზე ვიმყოფებოდით. საშინლად მინდოდა გამეგო, რაზე საუბრობდა, და ვცდილობდი ჩურჩულით დამესვა კითხვები, მაგრამ მან ცივი და სასტიკი მზერით შემახსენა, რომ სერიოზულად მითხრა სათქმელი.

რამდენიმე საათის განმავლობაში მის ვერანდაზე ვისხედით. მე ჩემს ჩანაწერებზე ვმუშაობდი, დროდადრო გამომშრალი ხორცის ნაჭერს მაძლევდა. ბოლოს ძალიან დაბნელდა იმისთვის, რომ მეწერა. ვეცადე მოვლენების ახალ განვითარებაზე მეფიქრა, მაგრამ ჩემი რაღაც ნაწილი თავად შეეწინააღმდეგა ამას, და ჩამეძინა.

შაბათი, 1961 წლის 19 აგვისტო.

გუშინ საღამოს მე და დონ ხუანი ქალაქში წავედით და რესტორანში ვისაუზმეთ. მან მირჩია, რომ ჩემი კვებითი ჩვევები ძალიან მკვეთრად არ შემეცვალა.

— შენი სხეული ჯერ არ შეჩვევია ძალის ხორცს, — თქვა მან. — ავად გახდები, თუ შენს საჭმელს არ შეჭამ.

თვითონ სიამოვნებით შეექცეოდა. როცა ამაზე ვიხუმრე, მან უბრალოდ თქვა:

— ჩემს სხეულს ყველაფერი უყვარს.

დაახლოებით შუადღისკენ კვლავ წყლის კანიონში წავედით. იმით დავიწყეთ, რომ შესამჩნევი გავხდით სულისთვის, ჯერ ხმაურიანი საუბრით, შემდეგ კი ძალადობრივი სიჩუმით, რომელიც საათობით გაგრძელდა.

როცა ეს ადგილი დავტოვეთ, სახლისკენ წასვლის ნაცვლად დონ ხუანი მთების მიმართულებით წავიდა. ფერდობს მივადექით და მაღალი გორაკის მწვერვალზე ავედით. იქ დონ ხუანმა ადგილი აარჩია ღია დაუჩრდილავ მონაკვეთზე. მითხრა, რომ დაბნელებას უნდა დავლოდებოდით, და რაც შეიძლება ბუნებრივად უნდა მოვქცეულიყავი, რაც გულისხმობს იმ კითხვების დასმასაც, რომლებიც მაინტერესებდა.

— ვიცი, რომ სული აქ დაძრწის, — თქვა მან ძალიან დაბალი ხმით.

— სად?

— აი, იქ, ბუჩქებში.

— რა ტიპისაა ეს სული?

მან გამომცდელი გამომეტყველებით შემომხედა და შენიშნა:

— და სულ რამდენი ტიპი არსებობს?

ორივემ გადავიხარხარეთ. კითხვებს საკუთარი ნევროზულობის გამო ვსვამდი.

— ის მწუხრის ჟამს დაბრუნდება, — თქვა მან. — ჩვენ მხოლოდ ლოდინი დაგვრჩენია.

დავდუმდი. კითხვები გამითავდა.

— ეს ის დროა, როცა უნდა ვისაუბროთ, — თქვა მან. ადამიანის ხმა იზიდავს სულებს. ერთი ჩვენ გარშემო დაძრწის. საკუთარ თავს მისაწვდომს ვხდით მისთვის, ამიტომ განაგრძე საუბარი.

მე სიცარიელის იდიოტურ გრძნობას განვიცდიდი. ვერ ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა. მას გაეცინა და ზურგზე ხელი დამიტყაპუნა.

— მართლა კაი ვინმე ხარ, — თქვა მან. — როცა ლაპარაკია საჭირო, ენას ყლაპავ. მიდი გაამოძრავე ენა.

მან ტუჩების მოძრაობით რაღაც საოცარი ჟესტი გააკეთა, პირის სწრაფად გაღების და დახურვის მეშვეობით.

— არსებობს საკითხთა რიგი, რაზეც ამ დროიდან შეგვიძლია მხოლოდ ძალის ადგილებზე ვილაპარაკოთ, — განაგრძო მან. — აქ იმიტომ მოგიყვანე, რომ ეს შენი პირველი გამოცდაა. აქ ძალის ადგილია და აქ მხოლოდ ძალაზე შეგვიძლია საუბარი.

— მე მართლა არ ვიცი, რა არის ძალა, — ვუთხარი მე.

— ძალა, ეს რაღაც ისეთია, რასთანაც მეომარს აქვს საქმე, — თქვა მან. — თავიდან ეს შეუძლებელი საქმეა, იმდენად, რომ მასზე ფიქრიც ძნელია. სწორედ ეს გემართება ახლა. შემდეგ ძალა სერიოზული საქმე ხდება. შეიძლება საერთოდ არ გქონდეს იგი, ან შეიძლება საერთოდ არ გესმოდეს, რომ იგი არსებობს, მაგრამ მაინც იცოდე, რომ რაღაც ასეთი

არის. რაღაც ასეთი, რაც ადრე შეუმჩნეველი იყო. შემდეგ ძალა ავლენს თავს, როგორც რაღაც არაკონტროლირებადი, რომელიც თავისით მოდის. მე არ შემიძლია გითხრა, როგორ მოდის, ან რა არის ის სინამდვილეში. იგი არაფერია, და ამავდროულად იგი სასწაულებს ახდენს პირდაპირ შენ თვალწინ. და ბოლოს, ძალა — ეს რაღაცაა თავად საკუთარი თავის შიგნით. რაღაც ისეთი, რაც შენს ქმედებებს აკონტროლებს და ამავდროულად შენს ბრძანებებს ემორჩილება.

პაუზა ჩამოვარდა. დონ ხუანმა მკითხა, გავიგე თუ არა. თავი სასაცილოდ ვიგრძენი, როცა ვამბობდი, რომ გავიგე. როგორც ჩანს, შეამჩნია ჩემი უხერხულობა და ჩაეცინა.

— მე ვაპირებ, რომ პირდაპირ აქ გასწავლო პირველი ნაბიჯი ძალისკენ, — თქვა მან, თითქოს წერილს მკარნახობსო. — მინდა გასწავლო, როგორ დაალაგო სიზმარხილვები.

შემომხედა და კვლავ მკითხა, მესმოდა თუ არა, რაზეც საუბრობდა. მე არ მესმოდა. საერთოდაც, ძლივს ვინარჩუნებდი ყურადღებას მის სიტყვებზე. მან ამიხსნა, რომ სიზმარხილვების დალაგება ნიშნავს გაცნობიერებულ და პრაგმატულ კონტროლს სიზმრის საერთო სიტუაციაზე, რომელიც შეესაბამება იმ კონტროლს, რაც ნებისმიერი არჩევანის დროს გაქვს უდაბნოში, როგორიცაა, მაგალითად გორაკის მწვერვალზე ასვლა ან კანიონის ჩრდილში დარჩენა.

— იმით უნდა დაიწყო, რომ რაღაც ძალიან მარტივი გააკეთო, — თქვა მან. — დღეს შენს სიზმარში ხელებზე უნდა დაიხედო.

მე ხმამაღლ გამეცინა. მისი ტონი ისეთი დარწმუნებითი იყო, თითქოს რაღაც სრულიდ ჩვეულებრივზე მელაპარაკებოდა.

— რა გაცინებს? — მკითხა გაკვირვებით.

— როგორ დავხედავ ჩემს ხელებს სიზმარში?

— ძალიან მარტივად, მოახდინე მათზე შენი თვალების ფოკუსირება, აი ასე, — მან თავი წინ დახარა და პირდაღებული თავის ხელებს მიაშტერდა. მისი ჟესტი ისეთი კომიკური იყო, რომ გამეცინა.

— სერიოზულად, როგორ გინდა, რომ ეს გავაკეთო? — ვკითხე მე.

— ისე, როგორც გითხარი, — შემაწყვეტინა მან. — რა თქმა უნდა, ეშმაკმა დალახვროს, შეგიძლია ყველაფერს უყურო, რაც მოგინდება; შენს ფეხებს, შენს მუცელს, შენს სირს, — სულ ერთია. მე გითხარი «შენი ხელები» იმიტომ, რომ ჩემთვის ყველაზე ადვილია მათზე დახედვა. ამას ხუმრობად ნუ ჩათვლი. სიზმარხილვა ისეთივე სერიოზულია, როგორც «ხედვა» ან სიკვდილი, ან ნებისმიერი სხვა რამ ამ საშიშ, ჯადოსნურ სამყაროში.

იფიქრე ამაზე, როგორც რაღაც გასართობზე. წარმოიდგინე ყველა ის წარმოუდგენელი რამ, რის შესრულებასაც შეძლებ. ადამიანს, რომელიც ძალაზე ნადირობს, თითქმის არ გააჩნია საზღვრები თავის სიზმარხილვებში.

ვთხოვე, რომ რაღაც გასაღებები მოეცა.

— აქ არანაირი გასაღები არაა საჭირო, უბრალოდ ხელებს უყურე.

— კი, მაგრამ აქ რაღაც მეტი უნდა იყოს, ვიდრე მომიყევი, — დავიჟინე მე.

მან თავი გაიქნია და თვალები დაიელმა. მოკლე მზერებით მიყურებდა.

—ყოველი ჩვენგანი განსხვავებულია, — თქვა მან ბოლოს. — რასაც შენ გასაღებებს ეძახი, მხოლოდ ის იქნებოდა, რასაც მე თვითონ ვაკეთებდი, როცა ვსწავლობდი. მაგრამ ჩვენ არ ვართ ერთნაირები. ჩვენ მიახლოებითაც კი არ ვართ ერთნაირები.

— შესაძლოა შენი ნათქვამიდან რაღაც დამხმარებოდა.

— შენთვის უფრო ადვილი იქნება, თუ ხელებზე დახედვით დაიწყებ, — იგი როგორც ჩანს თავის აზრებს ალაგებდა და თავს ზემოთ-ქვემოთ აქანავებდა.

— ყოველთვის, როცა რაიმეს უყურებ სიზმარში, იგი თავის ფორმას იცვლის, — თქვა მან ხანგრძლივი დუმილის შემდეგ. — სიზმარხილვის დალაგების ხრიკი იმაში არაა, რომ უბრალოდ შეხედო ნივთებს, არამედ იმაში, რომ მათი გამოსახულება შეინარჩუნო. სიზმარხილვები რეალურია, როცა მიაღწევ იმას, რომ ყველაფერი ფოკუსში მოიყვანო. მაშინ აღარ იქნება სხვაობა იმაში, თუ რას აკეთებ, როცა გძინავს, და რას აკეთებ, როცა არ გძინავს. მიხვდი რას ვგულისხმობ?

ვაღიარე, რომ თუმცა გავიგე, რასაც ამბობდა, მაგრამ არ შემეძლო მისი იდეის დაჭერა. მაგალითი მოვიყვანე, რომ ცივილიზებულ სამყაროში არის უამრავი ადამიანი, რომლებსაც სხვადასხვა ილუზიები გააჩნიათ და არ შეუძლიათ გაარჩიონ ის, რაც რეალურ სამყაროში ხდება, იმისგან, რაც მათ ფანტაზიებშია. ვთქვი, რომ ასეთი ადამიანები უეჭველად ფსიქიურად არიან ავად, და ჩემი შებოჭილობის გრძნობა ყოველ ჯერზე იზრდება, როცა ის მირჩევს, რომ გიჟი ადამიანივით მოვიქცე.

ჩემი ხანგრძლივი განმარტებების შემდეგ დონ ხუანმა სასოწარკვეთილების კომიკური ჟესტი გააკეთა — ხელისგულები ლოყებთან მიიტანა და ღრმად ამოიოხრა.

— თავი დაანებე შენს ცივილიზებულ სამყაროს, — თქვა მან. — დაე, ისე იყოს, როგორც არის! არავინ გთხოვს გიჟივით მოქცევას. უკვე გითხარი, რომ მეომარი სრულყოფილი უნდა იყოს იმისთვის, რომ საქმე ჰქონდეს იმ ძალებთან, რომლებზეც ნადირობს. როგორ შეგიძლია ივარაუდო, რომ მეომარი ერთ საგანს მეორისგან ვერ განასხვავებს?

მეორე მხრივ, ჩემო მეგობარო, შენ, რომელმაც იცი, რა არის რეალური სამყარო, ფეხს წამოკრავ და დაიღუპები ძალიან მალე, თუ დამოკიდებული იქნები შენი გარჩევის უნარზე, თუ რა არის რეალური და რა არარეალური.

როგორც ჩანს, მე ვერ გამოვხატე ის, რისი თქმაც მინდოდა. ყოველ ჯერზე, როცა ვაპროტესტებდი, უბრალოდ გამოვხატავდი სიტყვებით აუტანელ გაურკვევლობას იმის გამო, რომ საშინელ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი.

— მე არ ვაპირებ შენ გადაქცევას ავადმყოფ, გიჟ ადამიანად, განაგრძობდა დონ ხუანი. — ამის გაკეთება თავადაც შეგიძლია ჩემი დახმარების გარეშე. მაგრამ იმ ძალებმა, რომლებსაც მივყავართ, ჩემამდე მოგიყვანეს, და მივიღე გადაწყვეტილება, რომ გასწავლო, როგორ შევცვალო შენი ცხოვრების სულელური სტილი, როგორ იცხოვრო ძლიერი და სუფთა ცხოვრებით. შემდეგ ძალებმა კვლავ მოგიყვანეს ჩემთან და მითხრეს, რომ უნდა ისწავლო მეომრის უზადო ცხოვრებით ცხოვრება. როგორც ჩანს, არ შეგიძლია

ასე ცხოვრება. მაგრამ ვის შეუძლია თქვას დანამდვილებით? ჩვენც ისეთივე იდუმალები და საშიშები ვართ, როორც ეს აღუწერელი სამყარო. ამიტომ, ვის შეუძლია თქვას უეჭველად, რა შეგიძლია?

დონ ხუანის ხმას სევდის ელფერი დაჰკრავდა. მინდოდა ბოდიში მომეხადა, მაგრამ კვლავ განაგრძო;

— შენ არ გჭირდება, რომ მაინცდამაინც ხელებს უყურო, — თქვა მან. — როგორც უკვე ვთქვი, აირჩიე ყველაფერი, რაც გინდა. მაგრამ აირჩიე ერთი საგანი წინასწარ და იპოვე იგი შენს სიზმრებში. მე გითხარი «შენი ხელები» იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის შენთან იქნებიან.

როცა ისინი ფორმის შეცვლას დაიწყებენ, მზერა უნდა მოწყვიტო და რაღაც სხვა აირჩიო, შემდეგ კი კვლავ შენს ხელებს დახედო. დიდი დროა საჭირო ამ პრაქტიკის სრულყოფისთვის.

ისე ჩავიძირე წერაში, რომ ვერც კი შევამჩნიე როგორ დაბნელდა. მზე უკვე მიეფარა ჰორიზონტს. ცა ღრუბლიანი და მოქუფრული იყო. დონ ხუანი წამოდგა და რამდენიმე შემპარავი მზერა ისროლა სამხრეთის მიმართულებით.

— წავიდეთ, — თქვა მან. — სამხრეთისკენ უნდა ვიაროთ მანამდე, სანამ წყლის ხვრელის სული თავს არ გამოავლენს.

ალბათ ნახევარი საათი მივდიოდით. ლანდშაფტი მკვეთრად შეიცვალა, და ჩვენ გავედით დიდ მრგვალ გორაკებთან დამწვარი ჩაპარალის ადგილას. ერთი გორაკი მელოტ თავს ჰგავდა. ჩვენ მისკენ წავედით. ვფიქრობდი, რომ დონ ხუანი ფერდობზე ასვლას აპირებდა, მაგრამ ამის ნაცვლად გაჩერდა და ძალიან ყურადღებიან პოზაში დადგა. მისი სხეული დაიძაბა, როგორც მონოლითური საგანი, და წამით შეიძრა. შემდეგ კვლავ მოდუნდა და ასე იდგა. ვერ ვხვდებოდი, როგორ რჩებოდა მისი სხეული გასწორებული, როცა ყველა კუნთი ასეთი მოდუნებული ჰქონდა.

ამ მომენტში ძალიან ძლიერმა ქარმა დამარტყა სახეში. დონ ხუანის სხეული ქარის მიმართულებით, დასავლეთისკენ შებრუნდა. მას არ გამოუყენებია თავისი კუნთები იმისთვის, რომ შებრუნებულიყო. ან ყოველ შემთხვევაში არ იყენებდა მათ ისე, როგორც მე გამოვიყენებდი მიხვრა-მოხვრისთვის. მომეჩვენა, რომ დონ ხუანის სხეული გარედან იქნა შებრუნებული. თითქოს ვიღაც სხვამ შეატრიალა ახალი მიმართულებით. დაჟინებით ვუყურებდი. მან თვალის კუთხით შემომხედა. სახეზე მტკიცე განზრახვა, მიზანმიმართულება ეწერა. მთელი მისი არსება ყურადღებით იყო, და მე გაკვირვებული შევცქეროდი მას. არასოდეს ვყოფილვარ არცერთ სიტუაციაში, რომელიც ასეთ უცნაურ კონცენტრაციას მოითხოვდა. უეცრად მისი სხეული შეიძრა, თითქოს ცივი წყლის ჭავლი დაასხესო. კიდევ ერთხელ შეიძრა, შემდეგ კი წავიდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. მე გავყევი. აღმოსავლეთისკენ, შიშველი გორაკების მიმართულებით წავედით, სანამ მათ შორის არ აღმოვჩნდით. იქ გაჩერდა და სახით დასავლეთისკენ შეტრიალდა.

იქიდან, სადაც ჩვენ ვიდექით, გორაკის მწვერვალი უკვე აღარ იყო ისეთი მომრგვალებული და გლუვი, როგორც ეს შორიდან მომეჩვენა. იქ იყო გამოქვაბული, ან ხვრელი მწვერვალთან. დაჟინებით ვუცქერდი მას, რადგანაც დონ ხუანიც იგივეს აკეთებდა. ქარის

კიდევ ერთმა ძლიერმა დაქროლვამ ჟრჟოლა გამოიწვია ჩემს ზურგში. დონ ხუანი სამხრეთისკენ შეტრიალდა და ადგილმდებარეობა თავისი მზერით მოათვალიერა.

— იქ, — თქვა მან ჩურჩულით და მიწაზე არსებულ საგანზე მიმითითა.

თვალები დავძაბე, რომ დამენახა. მიწაზე, ჩემგან ხუთი-ექვსი მეტრის მანძილზე რაღაც იდო. ღია-ყავისფერი იყო და სანამ ვუყურებდი, შეინძრა. მთელი ყურადღების ფოკუსირება მასზე მოვახდინე. საგანი თითქმის მრგვალი იყო და მკვდარს ჰგავდა. სინამდვილეში იგი მკვდარ ძაღლს ჰგავდა.

— რა არის ეს? — გადავუჩურჩულე დონ ხუანს.

— არ ვიცი, — გადმომიჩურჩულა საპასუხოდ, თან საგანს უყურებდა. — და რად გეჩვენება?

ვუთხარი, რომ ძაღლს ჰგავდა.

— მეტისმეტად დიდია ძაღლისთვის, — თქვა მან.

ამ მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯი გავაკეთე, მაგრამ დონ ხუანმა რბილდ შემაჩერა. კვლავ დავაკვირდი. ეს ცალსახად რაღაც ცხოველი იყო. ან მკვდარი, ან მძინარე. თითქმის შემეძლო მისი თავის გარჩევა. ყურები მგელისას მიუგავდა. ამ დროისთვის უკვე დარწმუნებული ვიყავი, ეს მკვდარი ცხოველი იყო. ვიფიქრე, რომ ეს შესაძლოა ყავისფერი ხბო იყო. დონ ხუანს ვუთხარი ეს. მან მიპასუხა, რომ იგი მეტიმეტად კომპაქტურია იმისთვის, რომ ხბო იყოს, თანაც მახვილი ყურები ჰქონდა. ცხოველი კვლავ შეხტა, და მაშინ შევამჩნიე, რომ ცოცხალი იყო. და ისიც შევამჩნიე, რომ სუნთქავდა. თუმცაღა მისი სუნთქვა არ იყო რიტმული. ჩასუნთქვები, რომლებსაც იგი აკეთებდა, უფრო არარეგულარულ შეხტომებს ჰგვდა. ამ დროს მოულოდნელი აზრი მომივიდა.

— თუ ეს ცხოველია, იგი კვდება, — გადავუჩურჩულე დონ ხუანს.

— მართალი ხარ, — მითხრა პასუხად. — მაგრამ რა ცხოველია?

არ შემეძლო მისი დამახასიათებელი ნიშნების გარჩევა. დონ ხუანმა რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი გადადგა მისი მიმართულებით. მე მას გავყევი. ამ დროისთვის უკვე სრულიად ბნელოდა, და მოგვიწია, რომ კიდევ ორი ნაბიჯი გადაგვედგა იმისთვის, რომ ცხოველი დაგვენახა.

— ფრთხილად, —მიჩურჩულა დონ ხუანმა. — თუ ეს მომაკვდავი ცხოველია, მას შეუძლია უკნასკნელი ძალები მოიკრიბოს და შემოგვახტეს.

ცხოველი, ვინც არ უნდა ყოფილიყო, სულს ღაფავდა. მისი სუნთქვა არარეგულარული იყო. მისი სხეული სპაზმური შეკუმშვების შედეგად ხტოდა ხოლმე, მაგრამ მაინც არ იცვლიდა თავის მდგომარეობას. თუმცაღა, გარკვეულ მომენტში საშინელმა კრუნჩხვებმა მიწიდან წამოსწია ცხოველი. ამ დროს არაადამიანური ყვირილი გავიგე და ცხოველმა ფეხები წინ გაჭიმა. მისი ბრჭყალები შემაშინებელზე მეტი იყო. მათ შემხედვარეს თავბრუ დამეხვა. ცხოველი გვერდზე გადაბრუნდა, ფეხები გაიშვირა და შემდეგ ზურგზე გადაბრუნდა. საშინელი კვნესა მომესმა, შემდეგ კი დონ ხუანის ყვირილი გაისმა:

— გაიქეცი, საკუთარი სიცოცხლის გულისთვის!

და სწორედ ეს გავაკეთე. საოცარი სისწრაფით და მოხერხებულობით გორაკის მწვერვალისკენ გავიქეცი. როცა მწვერვალისკენ ნახევარ გზაზე ვიყავი, უკან შემოვიხედე და დავინახე, რომ დონ ხუანი იმავე ადგილას იდგა. მანიშნა, რომ დავბრუნებულიყავი. უკან ჩამოვირბინე.

— რა მოხდა? — ვკითხე მე, სრულიად გათანგულმა.

— ვფიქრობ, ცხოველი მოკვდა, — თქვა მან.

ფრთხილად მივუხლოვდით ცხოველს. იგი ზურგზე იწვა გაჭიმული. როცა უფრო ახლოს მივედი, კინაღამ შიშისგან ვიყვირე. მივხვდი, რომ ბოლომდე მკვდარი არ იყო. მისი სხეული ჯერ კიდევ თრთოდა. ფეხები, რომლებიც ჰაერში ჰქონდა აშვერილი, ინძრეოდნენ, ცხოველი აშკარად უკანასკნელ აგონიაში იმყოფებოდა. კიდევ ერთმა კრუნჩხვამ სხეული გადაატრილა და მისი თავის დანახვა შევძელი. შეძრული დონ ხუანისკენ შემოვბრუნდი. სხეულით თუ ვიმსჯელებდით, ცხოველი აშკარად ძუძუმწოვარი იყო, მაგრამ მას ნისკარტი ჰქონდა, როგორც ფრინველს.

სრულიად შეძრული ვუყურებდი. ჩემი საღი აზრი უარს ამბობდა ამის დაჯერებაზე. დაყრუებული ვიყავი. სიტყვასაც კი ვერ ვამბობდი. მთელი ჩემი არსებობის მანძილზე არაფერ მსგავსს არ შევსწრებივარ. რაღაც მიუღებელი იყო ჩემ თვალწინ. მინდოდა, რომ დონ ხუანს აეხსნა, თუ რა უჩვეულო ცხოველი იყო ეს, მაგრამ სიტყვასაც ვერ ვამბობდი. იგი მიყურებდა. მეც შევხედე, შემდეგ ცხოველს შევხედე, და შემდეგ რაღაცამ ჩემში დაალაგა სამყარო და მაშინვე მივხვდი, რა ცხოველი იყო. მივედი და ავწიე. ეს იყო ბუჩქის დიდი ტოტი. იგი დამწვარიყო, და, როგორც ჩანს, ქარმა ყოველგვარი ნამწვავი და ნაგავი მიაყარა მას, რომლებიც ტოტებში გაიჭედნენ და მსხვილი ცხოველის ფორმა შესძინეს. დამწვარი ნაგვის ფერი ყავისფერს ელფერს აძლევდა მის გარშემო მწვანე მცენარეებთან კონტრასტში.

ჩემს იდიოტიზმზე გამეცინა და აგზნებულმა ავუხსენი დონ ხუანს, რომ ქარი, რომელიც ამ ტოტს გამჭოლად უბერავდა, ცხოველს ამსგავსებდა მას. ვფიქრობდი, რომ კმაყოფილი იქნებოდა გამოცანის ჩემეული გადაწყვეტით, მაგრამ იგი შებრუნდა და გორაკის მწვერვალისკენ წავიდა. მე თან გავყევი. გამოქვაბულის მსგავს ჩაღრმავებაში შევიდა. ეს იყო არა ხვრელი, არამედ ღრმა ამოღრუტნული ადგილი ქვიშაში. დონ ხუანმა რამდენიმე მცირე ტოტი აიღო და ჩაღრმავების ფსკერზე დაგროვილი ნაგვის ამოსახვეტად გამოიყენა.

— აქედან რწყილები უნდა მოვაშოროთ, — თქვა მან. ნიშანი მომცა, რომ დავმჯდარიყავი. მთელი ღამე იქ უნდა გაგვეტარებინა.

მე ტოტის შესახებ დავიწყე საუბარი, მაგრამ მან გაჩუმება მაიძულა.

— რაც შენ გააკეთე, ეს არაა გამარჯვება, — თქვა მან. — შენ მშვენიერი ძალა დაკარგე, ძალა, რომელიც სიცოცხლეს შთაბერავდა გამხმარ ტოტს.

მან თქვა, რომ ჩემთვის რეალური გამარჯვება იქნებოდა, თუ დავნებდებოდი და ძალას მივყვებოდი, სანამ სამყარო არსებობას არ შეწყვეტდა. იგი არ იყო ჩემზე გაბრაზებული. რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და დროა საჭირო იმისთვის, რომ ძალის მართვა ვისწავლო. მხარზე ხელი დამიტყაპუნა და გაიხუმრა, რომ სულ რაღაც ერთი დღით ადრე ადამიანი ვიყავი, რომელმაც იცოდა, რა არის რეალური და რა არა.

გაღიზიანება ვიგრძენი. ბოდიშის მოხდა დავიწყე ჩემი ტენდენციის გამო — ყოველთვის დარწმუნებული ვყოფილიყავი ჩემს ქმედებებში და ჩემი ცხოვრების წესში.

— ამას არ აქვს მნიშვნელობა, — თქვა მან. ეს ტოტი რეალური ცხოველი იყო, და იგი ისეთი ცოცხალი იყო იმ მომენტში, როცა ძალა შეეხო მას. რადგანაც ის, რაც მას ცოცხალს ხდიდა, ძალა იყო. ფოკუსი იმაში მდგომარეობდა, რომ როგორც სიზმარხილვაში, შეგენარჩუნებინა მისი სახე. გესმის, რას ვამბობ?

მინდოდა კიდევ რაღაც მეკითხა, მაგრამ გაჩუმება მიბრძანა და თქვა, რომ სრულიად ჩუმად უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მთელი ღამე უნდა მეფხიზლა და მხოლოდ ის ილაპარაკებდა რაღაც დროის განმავლობაში.

მან თქვა, რომ სული, რომელიც ცნობდა მის ხმას, შესაძლოა წამოგებოდა მის ხმას და მარტო დავეტოვებინეთ. თქვა, რომ ძალისადმი მისაწვდომობის იდეას სერიოზული ობერტონები გააჩნია. იგი გამანადგურებელი ძალა იყო, რომელსაც ადვილად შეეძლო ადამიანი სიკვდილამდე მიეყვანა, ამიტომ მასთან მოპყრობა დიდი სიფრთხილითაა საჭირო. ძალისადმი მისაწვდომი რომ გახდე, სისტემატიურობა, მაგრამ ამავე დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო.

ამაში შედიოდა ისიც, რომ აქ ყოფნა ცხადი გაეხადათ გათამაშებული ხმამაღალი საუბრით და სხვა სახის ხმაურიანი აქტივობით, შემდეგ კი გამართლებული იქნებოდა ხანგრძლივი და სრული დუმილის დაცვა. კონტროლირებადი განმუხტვა და კონტროლირებადი დუმილი მეომრის ნიშნები იყო. მისი სიტყვებით, იმისთვის, რომ უფრო ხანგრძილვად შემენარჩუნებინა ცოცხალი მონსტრის სახე ისე, რომ თავი არ დამეკარგა და აგზნებისა და შიშისგან ჭკუიდან არ შევშლილიყავი, მე უნდა მესწრაფა, რომ «სამყარო გამეჩერებინა». ამ მდგომარეობაში ერთმანეთთანაა შერწყმული შიში, ძალა და სიკვდილი. მან თქვა, რომ ასეთი მდგომარეობის განმეორება საკმაოდ რთული იქნება.

ყურში ჩავჩურჩულე:

— რას გულისხმობ სამყაროს გაჩერებაში?

მან მრისხანე მზერა მესროლა, სანამ მიპასუხებდა, რომ ეს იყო ტექნიკა მათთვის, ვინც ძალაზე ნადირობას აპრაქტიკებდა. ტექნიკა, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია, იმ სამყაროს, რომელსაც ვიცნობთ, ვაიძულოთ, რომ დაინგრეს.

11. მეომრის განწყობა

დონ ხუანის სახლში ხუთშაბათს, 1961 წლის 31 აგვისტოს მივედი, და მანამ, სანამ მისალმებას მოვასწრებდი, ჩემი მანქანის ფანჯარაში შემოჰყო თავი და ღიმილით მითხრა:

— ჩვენ საკმაოდ დიდი მანძილი უნდა გავიაროთ ძალის ადგილამდე, ახლა კი თითქმის შუადღეა.

მანქანის კარი გააღო, გვერდით დამიჯდა წინა სავარძელში და მიმითითა, რომ სამხრეთის მიმართულებით დაახლოებით 70 მილი მევლო. შემდეგ აღმოსავლეთისკენ, გრუნტის გზაზე გადავუხვიეთ და მანამ ვიარეთ, სანამ მთების ფერდობს არ მივადექით. მანქანა გზასთან დავტოვე, მოფარებულ ადგილას, რომელიც დონ ხუანმა აარჩია მანქანის თვალთახედვის არედან დასამალად. აქედან პირდაპირ ქვემოთ დავეშვით, დაბალი გორაკების მწვერვალებისკენ.

როცა დაბნელდა, დონ ხუანმა ადგილი შეარჩია დასაძინებლად. სრულ დუმილს მოითხოვდა.

მეორე დღეს წავიხემსეთ და მოგზაურობა განვაგრძეთ აღმოსავლეთის მიმართულებით. მცენარეულობა უკვე აღარ იყო უდაბნოს ბუჩქნარი. ეს იყო მთის ბუჩქებისა და ხეების უხვი სიმწვანე.

დაახლოებით შუადღისკენ გიგანტური არაერთგვაროვანი კლდის თავზე ავედით, რომელიც კედელს ჰგავდა. დონ ხუანი ჩამოჯდა და მეც მომცა ნიშანი, რომ დავმჯდარიყავი.

— ეს ძალის ადგილია, — თქვა მან წამიერი პაუზის შემდეგ. — ესაა ადგილი, სადაც ძალიან დიდი ხნის წინ მეომრები დამარხეს.

ამ მომენტში ყვავმა გადაგვიფრინა ჩხავილით. დონ ხუანი დაჟინებით ადევნებდა თვალს მის ფრენას. მე კლდეს ვათვალიერებდი და იმაზე ვფიქრობდი, თუ სად შეიძლებოდა აქ დამარხული ყოფილიყვნენ მეომრები, როცა მან მხარზე ხელი დამიტყაპუნა.

— აქ არა, სულელო, — თქვა მან ღიმილით. — იქ, ქვემოთ.

მან მიმითითა მინდორზე პირდაპირ ჩვენ ქვეშ აღმოსავლეთისკენ და ამიხსნა, რომ მინდორი რომელზეც იგი საუბრობდა, გარშემორტყმულია ბუნებრივი კლდის კედლებით. იმ ადგილიდან, სადაც ვიჯექი, დავინახე დიამეტრით დაახლოებით ორასმეტრიანი მონაკვეთი, რომელიც წრეს ჰგავდა. მის ზედაპირს ხშირი ბუჩქები ფარავდნენ და ლოდებს ნიღბავდნენ. ვერ შევამჩნევდი მის სრულყოფილ წრის ფორმას, დონ ხუანს რომ არ მიეთითებინა.

მან თქვა, რომ არსებობდა მრავალი ასეთი ადგილი, რომელიც გაფანტული იყო ინდიელების ძველ სამყაროში. ისინი ყოველთვის ძალის ადგილები კი არ იყვნენ, როგორც ზოგიერთი მთა ან გორაკი, სადაც სულები ცხოვრობდნენ, არამედ წარმოადგენდნენ გასხივოსნების ადგილებს, სადაც ადამიანს შეუძლია ისწავლოს, თუ სად შეიძლება პრობლემების გადაწყვეტის პოვნა.

— ჩვენ აქ მთელი ღამე უნდა გავატაროთ?

— ასე ვფიქრობდი, მაგრამ პატარა ყვავმა მითხრა, რომ ეს არ გავაკეთო.

მინდოდა მეტი გამეგო ყვავებზე, მაგრამ მან მანიშნა, რომ გავჩუმებულიყავი.

— შეხედე ლოდების იმ წრეს, — თქვა მან. — დააფიქსირე იგი შენს მეხსიერებაში და შემდეგ, ოდესმე, ყვავი სხვა ასეთ ადგილას მიგიყვანს. რაც უფრო სრულყოფილია მისი წრიულობა, მით უფრო მეტია მისი ძალა.

— და მეომართა ძვლები ისევ აქაა დამარხული?

დონ ხუანმა გაოცების სასაცილო ჟესტი გააკეთა, შემდეგ კი ფართოდ გაიღიმა.

— ეს არაა სასაფლაო, — თქვა მან. — აქ არავინ არაა დამარხული. მე ვთქვი, რომ მეომრები ოდესღაც აქ იყვნენ დამარხულნი. მე ვგულისხმობდი, რომ ისინი აქ მოდიოდნენ, რათა თავი დაემარხათ აქ ერთი ღამით, ორი დღით ან იმ პერიოდით, რამდენიც დასჭირდებოდათ. არ მიგულისხმია, რომ აქ მკვდარი ადამიანების ძვლებია ჩამარხული. მე საქმე არა მაქვს სასაფლაოებთან. მათში არაა ძალა. თუმცაღა მეომრის ძვლებში იგი არის. მაგრამ მათ არ მარხავენ სასაფლაოებზე. კიდევ უფრო მეტი ცოდნის ძალაა ადამიანის ძვლებში, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია მათი პოვნა.

— ვინ არის ცოდნის ადამიანი, დონ ხუან?

— ნებისმიერს შეუძლია გახდეს ცოდნის ადამიანი. როგორც უკვე გითხარი, მეომარი უზადო მონადირეა, რომელიც ძალაზე ნადირობს. თუ ის წარმატებას მიაღწევს თავის ნადირობაში, შეუძლია ცოდნის ადამიანი გახდეს.

— რას...

მან კითხვა თავის მოძრაობით გამაწყვეტინა. ადგა და ნიშანი მომცა, რომ თან გავყოლოდი და კლდის აღმოსავლეთ ციცაბო მხრიდან დაშვება დაიწყო. თითქმის შეუმჩნეველ ბილიკს წრიული ადგილისკენ მივყავდით. ნელა მივდიოდით სახიფათო ბილიკზე, და როდესაც ფსკერს მივაღწიეთ, დონ ხუანმა გაჩერების გარეშე წამიყვანა უდაბნოს ხშირი ჩაპარალის გავლით წრის შუაგულში. იქ მან მსხვილი გამხმარი ტოტების მეშვეობით ადგილი გაასუფთავა ორივესთვის. ადგილი, სადაც ჩამოვჯექით, ასევე სრულიად წრიული იყო.

— მინდა, რომ აქ დაგმარხო მთელი ღამით, მაგრამ ახლა ვიცი, რომ ამის დრო არაა. შენ ძალა არ გაქვს. მინდა, რომ მხოლოდ მცირე ხნით დაგმარხო.

მე ძალიან ავნერვიულდი იმის გაფიქრებაზე, რომ უნდა დავემარხე, და ვკითხე, თუ როგორ აპირებდა ამის გაკეთებას. მან ბავშვივით ჩაიხითხითა და გამხმარი ტოტების შეგროვება დაიწყო. საშუალება არ მომცა, რომ დავხმარებოდი. მითხრა, რომ ვმჯდარიყავი და დავლოდებოდი.

შეგროვილი ტოტები გასუფთავებული წრის შუაგულში დაყარა. შემდეგ მაიძულა, რომ თავით აღმოსავლეთისკენ დავწოლილიყავი, თავქვეშ ჩემი პიჯაკი დამიდო და ჩემი სხეულის გარშემო რაღაც გალიისმაგვარი მოაწყო. დაახლოებით 90 სანტიმეტრის სიგრძის ჯოხებს რბილ მიწაში არჭობდა. ის ტოტები, რომლებიც ბოლოში ორკაპად სრულდებოდნენ, საყრდენის როლს ასრულებდნენ გრძელი ჯოხებისთვის, რომლებიც გალიის საფუძველს წარმოადგენდნენ და მას ღია საფლავის სახეს აძლევდნენ. მან დახურა ყუთისმაგვარი გალია, მოათავსა რა მცირე ტოტები და ფოთლები გრძელი ჯოხების ზემოთ და მხრებს ქვემოთ მთელი სხეული დამიფარა. მხოლოდ თავი დამიტოვა, ბალიშად თავქვეშ ამოდებული პიჯაკით.

შემდეგ გამხმარი ხის მსხვილი ნაჭერი აიღო, მიწის ამოსათხრელ საშუალებად გამოიყენა იგი და გალია მიწით დაფარა. გალია იმდენად მყარი იყო და ფოთლები ისე კარგად ელაგა, რომ შიგნით მიწის ნამცეციც კი არ ჩამოვარდნილა. თავისუფლად შემეძლო ფეხების მოძრაობა და ფაქტიურად შემეძლო გამოვმძვრალიყავი ან შევმძვრალიყავი.

დონ ხუანმა თქვა, რომ ჩვეულებრივ მეომარი გალიას აგებს, შემდეგ კი ძვრება მასში და შიგნიდან ქოლავს.

— და ცხოველები? — ვკითხე მე. ხომ შეუძლიათ მიწა ამოთხარონ, გალიაში შემოაღწიონ და ადამიანი დააზიანონ?

— არა, ეს არაა საზრუნავი მეომრისთვის. ეს შენთვისაა საზრუნავი, რადგანაც ძალა არ გაქვს. მეორე მხრივ, მეომარი, რომელიც თავისი ურყევი მიზანსწრაფულობით ხელმძღვანელობს, ყველაფერს აიცილებს თავიდან. ვერც ვირთხა, ვერც გველი, ვერც მთის ლომი ვერ შეაწუხებენ მას.

— რისთვის იმარხავენ თავს, დონ ხუან?

— გასხივოსნებისთვის და ძალისთვის.

მე ვგრძნობდი ძალიან სასიამოვნო სიმშვიდისა და დაკმაყოფილების შეგრძნებას. სამყარო ამ მომენტში მშვიდად მეჩვენებოდა. სიმშვიდე ერთდროულდ ძალიან დიდიც იყო და შვების მომგვრელიც. მე არ ვიყავი მიჩვეული მსგავს სიჩუმეს, ვეცადე დამელაპარაკა, მაგრამ მან შემაწყვეტინა. რაღაც დროის შემდეგ ადგილის სიმშვიდემ ჩემს განწყობაზე იმოქმედა. საკუთარ ცხოვრებაზე და საკუთარ პირად ისტორიაზე დავიწყე ფიქრი და სევდისა და სინდისის ქენჯნის ნაცნობი შეგრძნება განვიცადე. ვუთხარი მას, რომ აქ ყოფნას არ ვიმსახურებდი, რომ მისი სამყარო ძლიერი და სამართლიანია, მე კი სუსტი ვარ, და ჩემი სული დამახინჯებულ იქნა ცხოვრებისეული ვითარებების გამო.

მას გაეცინა და დამემუქრა, რომ თავსაც მიწით დამიფარავდა, თუ ასე ლაპარაკს გავაგრძელებდი. თქვა, რომ მე ადამიანი ვარ, და ისევე როგორც ყველა ადამიანი, ვიმსახურებ იმას, რაც ადამიანის ბედშია: სიხარული, ტკივილი, სევდა და ბრძოლა. და რომ ქმედებების ბუნება მნიშვნელოვანი არაა, თუ ადამიანი მეომარივით მოქმედებს.

მან ხმას დაუწია და თითქმის ჩურჩულით მითხრა, რომ თუკი მართლა ვგრძნობდი, რომ ჩემი სული დამახინჯებულია, უბრალოდ უნდა დამეფიქსირებინა, ამეწყო იგი, სრულყოფილი გამეხადა, რადგანაც მთელ ჩვენს ცხოვრებაში არანაირი სხვა ამოცანა არ დგას, რომელიც უფრო ღირებული იქნებოდა. არ დააფიქსირო სული, ნიშნავს ეძებდე სიკვდილს, ეს კი იგივეა, რომ არაფერი არ ეძებო, რადგანაც სიკვდილი ყველაფრის მიუხედავად აპირებს ჩვენ შეპყრობას.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ღრმა დამაჯერებლობის ტონით განაცხადა:

— მეომრის სულის სრულყოფილების ძიება — ერთადერთი ამოცანაა, რომლისთვისაც ადამიანური ცხოვრება ღირს.

ეს სიტყვები კატალიზატორივით მოქმედებდნენ. ჩემი წარსული ქმედებების ტვირთს ვგრძნობდი, როგორც სიმძიმეს, რომელიც უკან მომყვებოდა. ვაღიარე, რომ ჩემთვის არანაირი იმედი არ არსებობს. ტირილით ვყვებოდი ჩემს ცხოვრებაზე. ვთქვი, რომ უკვე იმდენი ხანია უაზროდ დავბორიალობ, რომ უკვე უგრძნობელი გავხდი ტკივილისა და სევდის მიმართ, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როცა ჩემს მარტოობას და ჩემს უსარგებლობას ვაცნობიერებ.

მან არაფერი მითხრა. იღლიებში ხელი მომკიდა და გალიიდან გამომიყვანა. როცა ხელი გამიშვა, დავჯექი. ისიც ჩამოჯდა. ჩვენ შორის უხერხული დუმილი ჩამოწვა. ვფიქრობდი, რომ აზრზე მოსასვლელად დროს მაძლევდა. ჩანაწერების წიგნაკი ამოვიღე და ნერვიულობის გამო ჩაწერა დავიწყე. ვგრძნობდი...

— შენ თავს გრძნობ, როგორც ფოთოლი, ქარის ნებას მინდობილი, ასე არაა? — მითხრა მან და შემომხედა.

სწორედ ასე ვგრძნობდი თავს. იგი თითქოს შერწყმული იყო ჩემთან. თქვა, რომ ჩემი განწყობა სიმღერას აგონებდა და დაბალი ხმით დაიწყო ღიღინი. მისი ხმა ძალიან სასიამოვნო იყო, და სიმღერის სიტყვებმა გამიტაცა:

მე ისე შორს ვარ ცისაგან, სადაც დავიბადე. უსასრულო ნოსტალგიამ ჩაძირა ჩემი ფიქრები. ახლა, როცა ასეთი მარტოსული და სევდიანი ვარ, როგორც ფოთოლი ქარში, მინდა ზოგჯერ ვიტირო, ზოგჯერ კი ვიცინო სევდისგან /კე ლეხოს ესტოი დელ სიელო დონდე ე ნასიდო. იმენსა ნოსტალჰია ინვადე მი სენსამიენტო. აორა კესტოი ტამ სოლო ი ტრისტე კუალ ოხა ალ ვიენტო, სისიერა ჯორარ, კისიერა რეირ დე სენტიმენტო/.

დიდი ხანი ხმა არ ამოგვიღია. როგორ იქნა დაარღვია დუმილი.

— მას შემდეგ, რაც დაიბადე, ასე თუ ისე, მაგრამ მაინც ვიღაც რაღაცას აკეთებდა შენთვის, — თქვა მან.

— მართალია, — მივუგე მე.

— და ისინი შენი ნების საწინააღმდეგოდ აკეთებდნენ რაღაცას შენთვის.

— მართალია.

— ახლა კი უმწეო ხარ, როგორც ფოთოლი ქარში.

— მართალია. ყველაფერი სწორედ ასეა.

ვუთხარი, რომ ჩემი ცხოვრების მდგომარეობები დროდადრო მფიტავდა. იგი ყურადღებით მისმენდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, უბრალოდ მეთანხმებოდა თუ გულწრფელად იყო დაინტერესებული მანამ, სანამ არ არ შევამჩნიე, რომ ღიმილის დაფარვას ცდილობდა.

— როგორც არ უნდა მოგწონდეს საკუთარი თავისადმი სიბრალულის გრძნობა, უნდა შეცვალო ეს, — თქვა მან რბილი ხმით. — ეს არ შეეფერება მეომრის ცხოვრებას.

მან გაიცინა და კიდევ ერთხელ წაიღიღინა სიმღერა, მაგრამ ზოგიერთი სიტყვის ინტონაცია შეცვალა. შედეგად მტირალა კუპლეტი გამოვიდა. მან მითხრა, რომ მიზეზი იმისა, თუ რატომ მომეწონა სიმღერა, ის იყო, რომ ჩემს ცხოვრებაში არაფერი მიკეთებია ყველაფერში ნაკლოვანებების ძიებისა და ტირილის გარდა. არ შემეძლო შევკამათებოდი. იგი მართალი იყო. თუმცაღა ვთვლიდი — საკმარისად მქონდა მიზეზები, რომლებიც გაამართლებდნენ ჩემს შეგრძნებას, რომ ქარში მოფარფატე ფოთოლივით ვარ.

— ყველაზე რთული რამ სამყაროში — მეომრის განწყობის მიღებაა, — თქვა მან. — არანაირი სარგებელი არაა იმაში, რომ სევდიანი იყო, იწუწუნო ან თავი გამართლებულად იგრძნო იმით, რასაც აკეთებ, და გჯეროდეს, რომ ვიღაც ყოველთვის აკეთებს რაღაცას

ჩვენთვის. არავინ არავის არაფერს არ უკეთებს, მითუმეტეს მეომარს. შენ ჩემთან იმიტომ ხარ, რომ გინდა აქ ყოფნა. სრული პასუხისმგებლობა უნდა აიღო შენს ქმედებებზე, აქ და ახლა. ის აზრი, რომ ქარის ნებაზე ხარ დამოკიდებული, მიუღებელი უნდა იყოს.

იგი წამოდგა და გალიის დაშლას შეუდგა. იგი მიწას უკან აბრუნებდა იქ, საიდანაც აიღო და გულდასმით დაალაგა ჯოხები ჩაპარალში. შემდეგ სუფთა ადგილს ნაგავი მოაყარა და ისე დატოვა, თითქოს ამ ადგილს არასოდეს არავინ შეხებოდეს.

მე შენიშვნა გავაკეთე მის ფარულობასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ კარგი მეომარი შეიტყობდა ჩვენი აქყოფნის შესახებ მიუხედავად იმისა, როგორ ფრთხილადაც არ უნდა ვყოფილიყავით, რადგანაც ადამიანის კვალის ბოლომდე წაშლა შეუძლებელია.

იგი ფეხებგადაჯვარედინებული დაჯდა და მითხრა, რომ დავმჯდარიყავი სახით იმ ადგილისკენ, სადაც დამმარხა, და დავრჩენილიყავი ასეთ მდგომარეობაში, ვიდრე ჩემი სევდა არ განქარვდებოდა.

— მეომარი იმისთვის იმარხავს თავს, რომ ძალა იპოვნოს, და არა იმისთვის, რომ საკუთარი თავისადმი სიბრალულის გამო იტიროს.

ვეცადე ამეხსნა, მაგრამ მან თავის მოუთმენელი მოძრაობით შემაჩერა. მითხრა, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოვეყვანე გალიიდან, რადგანაც ჩემი მდგომარეობა აუტანელი იყო, და მას შეეშინდა, რომ ადგილი ისარგებლებდა ჩემი სხეულის სირბილით და ზიანს მომაყენებდა.

— საკუთარი თავისადმი სიბრალული ვერ ეთავსება ძალას, — თქვა მან. — მეომრის განწყობა მოგვიწოდებს საკუთარი თავის კონტროლისკენ და ამავდროულად განჯაჭვულობისკენ.

— ეს როგორ შეიძლება? — ვკითხე მე. — როგორ შეუძლია მას აკონტროლოს საკუთარი თავი და იყოს განჯაჭვული ერთდროულად?

— ეს რთული ტექნიკაა, — თქვა მან.

როგორც ჩანს ფიქრობდა, განეგრძო თუ არა ლაპარაკი. ორჯერ, თითქოს აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ საკუთარ თავს აჩერებდა და იღიმებოდა.

— შენ ჯერ კიდევ არ გადაგილახავს შენი სევდა, — თქვა მან. — ჯერ კიდევ სუსტად გრძნობ თავს, ამიტომ შეუძლებელია ახლა მეომრის განწყობაზე საუბარი.

თითქმის საათი სრულ დუმილში გავატარეთ. შემდეგ უეცრად მკითხა, თუ რა წარმატებები მქონდა სიზმარხილვის ტექნიკის შესწავლაში. მე მას ძალიან გულმოდგინედ ვაპრაქტიკებდი და მონუმენტალური ძალისხმევების შემდეგ მივაღწიე რაღაც დონეზე საკუთარი სიზმრების კონტროლის უნარს. დონ ხუანი ძალიან მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ ეს სავარჯიშოები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც გართობა. ჩემს ცხოვრებაში პირველად მელოდა რაღაც წინ, როცა დასაძინებლად ვწვებოდი.

მე მას დეტალურად მოვუყევი ჩემი წარმატებების შესახებ. საკმაოდ იოლი აღმოჩნდა საკუთარი ხელების გამოსახულების შენარჩუნება მას შემდეგ, რაც ვისწავლე, რომ საკუთარი თავისთვის მებრძანებინა მათზე დახედვა. ჩემი ჩვენებები, თუმცა არა

ყოველთვის საკუთარი ხელების, როგორც ჩანს, დიდხანს გრძელდებოდა, სანამ ბოლოს და ბოლოს მათზე კონტროლს არ დავკარგავდი და ჩვეულებრივ, წინასწარგანუსაზღვრელ სიზმრებში არ ჩავიძირებოდი. მე საერთოდ არ მქონდა ნების ძალა იმაზე, თუ როდის ვუბრძანებდი საკუთარ თავს ხელებზე დახედვას ან სიზმრის სხვა მომენტების დანახვას. ეს უბრალოდ ხდებოდა, და მორჩა. რაღაც მომენტში ვიხსენებდი, რომ ხელებზე უნდა დამეხედა, შემდეგ კი გარემოცვაზე. თუმცაღა იყო ღამეები, როცა საერთოდ ვერ ვიხსენებდი, რომ რაიმე გამეკეთებინოს.

როგორც ჩანს კმაყოფილი იყო ჩემით და უნდოდა გაეგო, რა თემის სიზმარხილვებს ვხედავდი. სხვა ვერაფერი კონკრეტული ვერ გავიხსენე და მოვუყევი კოშმარული სიზმარი, რომელიც წინა ღამით ვნახე.

— ნუ იქნები ასეთი დაინტერესებული, — თქვა მან მშრალად.

მოვუყევი, რომ სიზმრების ყველა დეტალს ვიწერდი. მას შემდეგ, რაც ხელებზე დახედვის პრაქტიკა დავიწყე, ჩემი სიზმრები ძალზე შთამბეჭდავი გახდა და მათი გახსენების უნარი იმ დონემდე გაიზარდა, რომ უწვრილმანესი დეტალებიც კი მახსენდებოდა. მან მითხრა, რომ მათზე დაკვირვება დროის ტყუილად ხარჯვა იყო, რადგანაც დეტალები და მათი სიცხადე არანაირად არ იყო მნიშვნელოვანი.

— ჩვეული სიზმრები ძალიან ცოცხლები ხდებიან, როგორც კი სიზმარხილვის დალაგებას იწყებ, — თქვა მან. — ეს სიცოცხლე და სიცხადე საშინელი ბარიერია, და შენთან საქმე უფრო ცუდადაა, ვიდრე საერთოდ ვინმესთან, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია. შენ ყველაზე უარესი მანია გაქვს. იწერ ყველაფერს, რაც კი შეგიძლია.

მთელი გულწრფელობით ვთვლიდი, რომ ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც საჭიროა. სიზმრის უწვრილმანეს დეტალებს ვიწერდი და ჩემთვის რაღაც დონეზე ცხადი ხდებოდა ის მოვლენა, რაც ჩემ წინ სიზმარში მიმდინარეობდა.

— შეეშვი ამას, — თქვა მან ბრძანების ტონით. — ეს არაფერში არ დაგეხმარება. მხოლოდ იმას აკეთებ, რომ სიზმარხილვის მიზანს სცდები, რომელიც კონტროლსა და ძალაში მდგომარეობს.

იგი წამოწვა, თვალებზე ქუდი დაიფარა და განაგრძო ისე, რომ არ მიყურებდა:

— მინდა შეგახსენო მთელი ის ტექნიკა, რომელიც უნდა აპრაქტიკო, — თქვა მან. — უპირველეს ყოვლისა, როგორც ამოსავალი წერტილი, მზერის ფოკუსირება ხელებზე უნდა მოახდინო. შემდეგ მზერა სხვა საგნებზე გადაიტანო და მოკლე მზერებით შეხედო მათ. მოახდინე მზერის ფოკუსირება, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის საგანზე. გახსოვდეს, რომ თუ მხოლოდ მოკლე მზერას ესვრი, გამოსახულება არ გაიდღაბნება. შემდეგ კვლავ ხელებს დაუბრუნდი.

ყოველ ჯერზე, როცა ხელებს უყურებ, შენ ანახლებ ძალას, რომელიც სიზმარხილვისთვისაა საჭირო. ამიტომ თავიდან მეტისმეტად ბევრ საგანს არ შეხედო. ერთ ჯერზე ოთხი საგანი საკმარისია. მოგვიანებით შეძლებ მათი რაოდენობის გაზრდას, სანამ არ მოიცავ ყველაფერს, რასაც მოისურვებ. მაგრამ როგორც კი გამოსახულებები გადღაბნას დაიწყებენ და იგრძნობ, რომ კონტროლს კარგავ — საკუთარ ხელებს დაუბრუნდი.

როცა იგრძნობ, რომ შეგიძლია საგნებს განუსაზღვრელად დიდი ხანგრძლივობით უყურო, მზად იქნები იმისთვის, რომ ახალ ტექნიკას შეუდგე. ამ ტექნიკას ახლა გასწავლი, მაგრამ ველოდები, რომ მხოლოდ მას შემდეგ გამოიყენებ, როცა მზად იქნები.

იგი თითქმის თხუთმეტი წუთი ჩუმად იყო. როგორც იქნა ჩამოჯდა და შემომხედა.

— შემდეგი ნაბიჯი სიზმარხილვის დალაგებაში იმაში მდგომარეობს, რომ მოგზაურობა ისწავლო, — თქვა მან. — ზუსტად ისევე, როგორც ხელებზე დახედვა ისწავლე, უნდა აიძულო თავს, რომ იმოძრაო, სხვადასხვა ადგილებში გადაადგილდე. ჯერ ის ადგილი უნდა დააფიქსირო, სადაც გინდა მოხვედრა. აირჩიე კარგად ნაცნობი ადგილი. შესაძლოა სკოლა, ან პარკი, ან შენი მეგობრის სახლი. შემდეგ აიძულე საკუთარ თავს, რომ იქ გაემგზავრო.

ეს ტექნიკა ძალიან რთულია. ორი ამოცანა უნდა შეასრულო. უნდა აიძულო საკუთარ თავს გარკვეულ ადგილში გადაადგილება და შემდეგ, როდესაც ამ ტექნიკაში სრულყოფილებას მიაღწევ, უნდა ისწავლო საკუთარი მოგზაურობების ზუსტი დროის კონტროლირება.

მისი დავალებების ჩაწერისას ვგრძნობდი, რომ მე მართლაც ვიწერდი გიჟურ ინსტრუქციებს ქანცის გაწყვეტამდე იმისთვის, რომ მივყოლოდი მათ. გაღიზიანება ვიგრძენი.

— რას მიშვები დონ ხუან? — ვკითხე მე, და ამ ჯერზე მართლა იმას ვგულისხმობდი, რასაც ვამბობდი.

იგი გაკვირვებული ჩანდა. წამით მიყურა, შემდეგ კი გაიღიმა.

— ზუსტად ეს კითხვა უკვე ბევრჯერ დაგისვამს ჩემთვის. მე არაფერს არ გიშვები. შენ ხდი საკუთარ თავს ძალისადმი მისაწვდომად, შენ ნადირობ, მე კი უბრალოდ მიმყავხარ.

თავი გვერდზე გადახარა და ისე შემომხედა, თითქოს მსწავლობდა. ერთი ხელი ნიკაპზე მომკიდა, მეორე კი თავზე დამადო, შემდეგ კი წინ და უკან ამოძრავებდა ჩემს თავს. კისრის კუნთები ძალიან დაჭიმული მქონდა და თავის მოძრაობამ დაძაბულობა მომიხსნა. დონ ხუანმა მაღლა ცაში აიხედა, თითქოს რაღაცას ათვალიერებდა.

— წასვლის დროა, — თქვა მშრალად და წამოდგა. აღმოსავლეთის მიმართულებით ვიარეთ მანამ, სანამ დაბალი ხეების ხეივნამდე არ მივედით ორ დიდ გორაკს შორის ხეობაში. თითქმის საღამოს ხუთი საათი იყო. მან თქვა, რომ სავარაუდოდ ღამე აქ უნდა გაგვეტარებინა. ხეებზე მიმითითა და თქვა, რომ სადღაც აქვე წყალი უნდა ყოფილიყო.

სხეული დაძაბა და ცხოველივით შეიყნოსა ჰაერი. ვხედავდი, თუ როგორ იკუმშებოდნენ მისი მუცლის კუნთები ძალიან სწრაფი და მოკლე ბიძგებით, როცა ცხვირით ჰაერს მოკლე მოძრაობებით ჩაისუნთქავდა და ამოისუნთქავდა ხოლმე. მიბრძანა, რომ იგივე გამეკეთებინა და თავად მეპოვა, სად იყო წყალი. გულმოდგინედ ვცადე მისთვის მიმებაძა. 5-6–წუთიანი სწრაფი სუნთქვის შემდეგ თავბრუ დამეხვა, მაგრამ ნესტოები უჩვეულოდ გამეხსნა, და მართლა შევიგრძენი მდინარის ტირიფის სუნი. თუმცა არ შემეძლო მეთქვა, საიდან მოდიოდა იგი.

დონ ხუანმა მითხრა, რომ რამდენიმე წუთით დამესვენა, შემდეგ კი კვლავ ჩამერთო ყნოსვა. მეორე რაუნდი უფრო ინტენსიური იყო. მე მართლა შემეძლო მდინარის ტირიფის სუნის დანახვა, რომელიც მარჯვნიდან მოდიოდა. ამ მიმართულებით წავედით და

დაახლოებით მეოთხედი მილის მანძილზე აღმოვაჩინეთ ჭაობიანი ადგილი დამდგარი წყლით. გარს შემოვუარეთ და შედარებით მაღალ და ბრტყელ მოედანზე ავედით. ამ მოედანზე და მის გარშემო ჩაპარალი ძალზე ხშირი იყო.

— ეს ადგილი ყარს მთის ლომებით და სხვა უფრო პატარა კატებით, — თქვა დონ ხუანმა სასხვათაშორისოდ, თითქოს ეს სრულიად ჩვეულებრივი დაკვირვება ყოფილიყოს. მასთან მივირბინე და მან გადაიხარხარა.

— ჩვეულებრივ, მე საერთოდ არ მოვდივარ აქ, — თქვა მან. — მაგრამ ყვავმა ამ მიმართულებით მიმანიშნა. ამაში რაღაც საინტერესო უნდა იყოს.

— ჩვენ მართლა გვჭირდება აქ ყოფნა, დონ ხუან?

— ჰო, აქ ვიქნებით, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ავარიდებდი ამ ადგილს...

ძალიან ავნერვიულდი. მიბრძანა, რომ ყურადღებით მომესმინა, რასაც მეტყოდა.

— ერთადერთი რამ, რის გაკეთებაც ასეთ ადგილზე შეიძლება, — თქვა მან, — ესაა მთის ლომებზე ნადირობა. ამიტომ ვაპირებ, რომ გასწავლო ამის კეთება.

არსებობს წყლის ვირთხებისთვის ხაფანგის კონსტრუირების განსაკუთრებული მეთოდი. ისინი სატყუარას როლს ასრულებენ. გალიის გვერდები ვარდებიან და ძალიან ბასრი ეკლები გამოიწევიან ორივე მხრიდან. როცა გალია მზადყოფნაშია, ეკლები დამალულია, და ისინი ვერაფერს დააზიანებენ მანამ, სანამ რაიმე არ დაეცემა გალიას. ამ შემთხვევაში გვერდითი კედლები ეშვებიან, ხოლო ეკლები ერჭობიან იმას, რაც გალიას დაეცა.

ვერ ვხვდებოდი რას გულისხმობდა, მაგრამ მან მიწაზე დიაგრამა დახატა და მაჩვენა, რომ თუ გალიის გვერდით ჯოხებს ჩარჩოს მატყუარა ცარიელ ადგილებზე დავამაგრებდით, გალია ორივე მხრიდან დაიშლებოდა, თუკი ზემოდან დაეცემოდა რამე.

ეკლების როლს მყარი ხის წამახვილებული ჯოხები ასრულებდნენ, რომლებიც ჩარჩოს გარშემო კარგად მაგრდებოდნენ.

დონ ხუანმა თქვა, რომ ჩვეულებრივ ქვების მძიმე ტვირთი გალიის ზემოთ, ჯოხებზე მაგრდება, რომლებიც გალიას უერთდებოდნენ და მის ზემოთ რაღაც მანძილზე ეკიდნენ. როცა წყლის ვირთხებით მიტყუებული მთის ლომი ხაფანგთან მიდიოდა, ჩვეულებრივ იგი მის დანგრევას ლამობდა და თათებს მთელი ძალით ურტყამდა. ამ დროს ეკლები თათებში ერჭობიან და კატა შეშინებული ხტება, რის გამოც თავზე ქვების კასკადი ეყრება.

— ოდესმე შესაძლოა დაგჭირდეს მთის ლომის დაჭერა, — თქვა მან. — მათ განსაკუთრებული ძალები აქვთ. ძალიან ფრთხილები არიან და მათი დაჭერის ერთადერთი საშუალება ესაა , მათი მოტყუება ტკივილითა და მდინარის ტირიფების სუნით.

საოცარი სისწრაფით და მოხერხებულობით მან ხაფანგი ააწყო და ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ სამი მსუქანი ციყვისმაგვარი მღრღნელი დაიჭირა. მიბრძანა, რომ ტირიფის ფოთლები დამეკრიფა ჭაობის ნაპირას და მისით ტანსაცმელი დამეზილა. თავადაც იგივე გააკეთა. შემდეგ სწრაფად შეკრა წნელებისგან ორი უბრალო ბადე, ჭაობიდან მწვანე მცენარეების და ტალახის დიდი გროვა მოაგროვა და უკან, მოედანზე მოიტანა, სადაც დაიმალა. ამ დროს მღრღნელებმა ძალიან ხმამაღლა დაიწყეს წივილი.

დონ ხუანი თავისი საფარიდან დამელაპარაკა და მითხრა, რომ სხვა ბადის გამოყენებით ბევრი ლამი, ჭუჭყი და მცენარე შემეგროვებინა და ხაფანგის გვერდით ხეების დაბალ ტოტებზე ავსულიყავი.

დონ ხუანმა თქვა, რომ არ უნდოდა კატის ან მღრღნელების დაზიანება, ამიტომ აპირებდა ტალახი გადაესხა ლომისთვის, როგორც კი ხაფანგთან გამოჩნდებოდა. მითხრა, რომ ფხიზლად ვყოფილიყავი და ჯოხი დამერტყა კატისთვის, მას შემდეგ, რაც ამას გააკეთებდა, რათა გაგვეგდო იგი. მირჩია, რომ განსაკუთრებული სიფრთხილე დამეცვა, რომ ხიდან არ ჩამოვვარდნილიყავი. ისე მშვიდად უნდა ვმჯდარიყავი, რომ ტოტებს შევრწყმოდი.

ვერ ვხედავდი იმ ადგილს, სადაც დონ ხუანი იყო. მღრღნელების წივილი განსაკუთრებულად ხმამაღალი გახდა, და ბოლოს ისე დაბნელდა, რომ ძლივს ვარჩევდი რელიეფის საერთო კონტურებს. უეცრად ახლოს რბილი ნაბიჯების ხმა და მოყრუებული კატის კრუტუნი შემომესმა. შემდეგ ძალიან რბილი ღრიალი, და მღრღნელებმა, რომლებიც ციყვებს ჰგავდნენ, წრიპინი შეწყვიტეს. ზუსტად ამ დროს დავინახე ცხოველის შავი მასა ზუსტად იმ ხის ქვეშ, რომელზეც მე ვიჯექი. სანამ გავარკვევდი, იყო თუ არა ეს მთის ლომი, იგი ხაფანგს დაახტა. მაგრამ ჯერ კიდევ მანამ, სანამ მას მიაღწევდა, რაღაცამ დაარტყა მას და დაბზრიალება აიძულა. მე ჯოხი ვესროლე, როგორც დონ ხუანმა მირჩია. ავაცილე, მაგრამ მისმა დაცემამ დიდი ხმაური გამოიწვია. იმავე წამს დონ ხუანმა გამოსცა განგმირავი ყმუილების მთელი სერია, რომლებმაც ჩემს ზურგში ჟრჟოლა გამოიწვია. კატა უჩვეულო სისწრაფით ახტა მოედანზე და მაშინვე გაუჩინარდა.

დონ ხუანი განაგრძობდა განმგმირავი ხმების გამოცემას კიდევ რაღაც დროის განმავლობაში, შემდეგ კი მითხრა, რომ ხიდან ჩამოვსულიყავი, ციყვებიანი გალია ამეღო, მოედანზე ავმძვრალიყავი და მასთან მივსულიყავი, რაც შეიძლება მალე.

დროის საოცრად მოკლე პერიოდში უკვე დონ ხუანის გვერდით ვიყავი. მან მიბრძანა, რომ მისი ყმუილის იმიტაცია მომეხდინა, რაც შეიძლება კარგად იმისთვის, რომ ლომი ახლოს არ მოსულიყო, სანამ გალიას არ დაშლიდა და მღრღნელებს არ გამოუშვებდა.

მე ყმუილი დავიწყე, მაგრამ იგივე ეფექტი ვერ მოვახდინე. აგზნებულობის გამო ჩემი ხმა უხეში იყო.

მან მითხრა, რომ ნამდვილი გრძნობით უნდა მეყვირა და ამავდროულად განჯაჭვული უნდა ვყოფილიყავი საკუთარი თავისგან, რადგანაც ლომი ჯერ კიდევ ახლოს იყო. უეცრად მართლაც აღვიქვი მთელი სიტუაცია. ლომი ხომ რეალური იყო. შესანიშნავი გამაყრუებელი ყმუილების მთელი სერია გამოვეცი.

დონ ხუანი სიცილით გადაბჟირდა. ყმუილის საშუალება მომცა, შემდეგ კი მითხრა, რომ ამ ადგილიდან, რაც შეიძლება ჩუმად უნდა წავსულიყავით, რადგანაც ლომი სულელი არაა და ალბათ უკვე ბრუნდებოდა იქ, სადაც ვიყავით.

— იგი, ალბათ, თან გამოგვყვება. — მიუხედავად იმისა, როგორ ფრთხილადაც არ უნდა ვიყოთ, ისეთივე ფართო კვალს დავტოვებთ, როგორც პანამერიკული გზატკეცილი.

მე დონ ხუანთან ახლოს მივაბიჯებდი. დროდადრო ჩერდებოდა და აყურადებდა. ერთხელ სიბნელეში გაიქცა და მეც გავედევნე, თან თვალებზე ხელი ავიფარე, რათა ტოტებისგან თვალები დამეცვა. როგორც იქნა მივაღწიეთ მთავარ კლდეს, რომელთანაც ადრე ვიყავით.

დონ ხუანმა თქვა, რომ თუ მწვერვალზე ასვლას მოვახერხებდით და მანამდე ლომი ვერ ჩამოგვათრევდა, მაშინ უსაფრთხოდ ვიქნებოდით. იგი პირველი აძვრა და გზას მაჩვენებდა. სიბნელეში ავბობღდით. არ ვიცი როგორ, მაგრამ სრულიად თავდაჯერებული ნაბიჯებით მივყვებოდი. როცა უკვე მწვერვალს მივაღწიეთ, ცხოველის განსაკუთრებული კივილი შემომესმა. იგი ცოტათი ძროხის ბღავილს ჰგავდა, მაგრამ უფრო გრძელი და უხეში იყო.

— ზემოთ, ზემოთ! — დაიყვირა დონ ხუანმა. როცა კლდის ბრტყელ მწვერვალს მიაღწია, მე უკვე ვიჯექი და სულს ვითქვამდი.

იგი მიწაზე დაემხო. წამით ვიფიქრე, რომ ეს იმ დაძაბულობის გამო იყო, რომელიც ძალიან დიდი აღმოჩნდა მისთვის, მაგრამ თურმე იგი ჩემს სწრაფ ცოცვაზე იცინოდა.

ჩვენ სრულ სიჩუმეში ვიჯექით ორი საათის განმავლობაში, შემდეგ კი უკან, ჩემს მანქანასთან დავბრუნდით.

კვირა, 1961 წლის 3 სექტემბერი.

როცა გავიღვიძე, დონ ხუანი სახლში არ იყო. ჩემს ჩანაწერებზე ვმუშაობდი, და დრო არ მქონდა იმისთვის, რომ ცოტა შეშა მომეგროვებინა ჩაპარალიდან, სანამ ის დაბრუნდებოდა. მას გაეცინა იმაზე, რასაც შუადღეზე ჩემი კვების განრიგს უწოდებდა. მაგრამ თავადაც მოუჯდა ჩემს სენდვიჩებს.

ვუთხარი, რომ მთის ლომის ამბავმა დამაფიქრა. როცა უკან ვიყურებოდი, ეს ყველაფერი არარეალურად მეჩვენებოდა, თითქოს ვიღაცამ ეს ყველაფერი ჩემთვის მოაწყო. მოვლენების თანმიმდევრობა ისეთი სწრაფი იყო, რომ მართლაც არ მქონდა დრო შეშინებისთვის. საკმარისი დრო მქონდა იმისთვის, რომ მემოქმედა, მაგრამ არასაკმარისი იმისთვის, რომ ვითარებებზე მეფიქრა. სანამ ჩემს ჩანაწერებს ვაკეთებდი, კითხვა დამებადა: მართლა დავინახე თუ არა მთის ლომი?

— ეს მთის ლომი იყო, — თქვა დონ ხუანმა მბრძანებლური ტონით.

— ეს რა, მართლა ნამდვილი ცხოველი იყო სისხლით და ხორცით?

— რა თქმა უნდა.

ვუთხარი, რომ ჩემი ეჭვები ყველა ამ მოვლენის სიმსუბუქის გამო გაჩნდა. ყველაფერი ისე იყო, თითქოს ლომი შორიახლოს გველოდებოდა და გაწვრთნილი იყო, სწორედ ისე ემოქმედა, როგორც დონ ხუანმა დაგეგმა.

მას არ შეეხო ჩემი სკეპტიკური შენიშვნების კასკადი. ეცინებოდა ჩემზე.

— სასაცილო კაცი ხარ, — თქვა მან. — შენ დაინახე და გაიგონე ამ კატის ხმა. იგი ზუსტად იმ ხის ქვეშ იყო, სადაც შენ იყავი. მან შენი სუნი ვერ იგრძნო მდინარის ტირიფების გამო, ისინი ყველა სხვა სუნს ახშობენ, თვით კატებისთვისაც კი, და მუხლებზე მათი მთელი ბღუჯა გქონდა.

მე ვუთხარი, რომ ეჭვი არ მეპარებოდა მასში, უბრალოდ ყველაფერი, რაც იმ ღამით მოხდა, სრულიად არადამახასიათებელი იყო ყოველდღიური ცხოვრებისთვის. რაღაც პერიოდი, სანამ ჩემს ჩანაწერებს ვაკეთებდი, ისეთი გრძნობაც კი მქონდა, რომ დონ ხუანმა

თავად გაითამაშა ლომის როლი. თუმცაღა ამ იდეის გადაგდება მომიწია, რადგანაც მართლა დავინახე სიბნელეში ოთხფეხა ცხოველის მოხაზულობა, რომელიც გალიას დაახტა და შემდეგ პლატფორმაზე ახტა.

— რატომ ატეხე ასეთი ხმაური? — მკითხა მან. — ეს უბრალოდ დიდი კატა იყო. იქ მთებში ასეთი კატა ათასობით იქნება. დიდი ამბავი. შენ როგორც ყოველთვის იმაზე ახდენ ყურადღების ფოკუსირებას, რაზეც საჭირო არაა. არანაირი სხვაობა არაა იმაში, ლომი იყო ეს თუ ჩემი შარვალი. შენი გრძნობები ამ მომენტში — აი, რა ითვლება.

ცხოვრებაში არასოდეს მინახავს დიდი ველური კატა ნადირობის დროს. როცა ამაზე გავიფიქრე, ვერ გადავაბიჯე იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთი მათგანი ჩემგან სულ რაღაც რამდენიმე ფუტში იყო.

დონ ხუანი მოთმინებით მისმენდა, სანამ ყველაფერი არ მოვუყევი, რაც მოხდა.

— რატომ გაქვს ასეთი შიში დიდი კატის მიმართ? — მკითხა მან ინკვიზიტორის გამომეტყველებით. — შენ ახლოს იყავი ცხოველების უმეტესობასთან, რომლებიც ამ მიდამოში ცხოვრობენ, და არასოდეს შეგშინებია მათი ამ დონეზე. გიყვარს კატები?

— არა, არ მიყვარს.

— მაშინ დაივიწყე იგი. ყოველ შემთხვევაში, გაკვეთილი იმაში არ მდგომარეობდა, თუ როგორ ინადირო ლომებზე.

— აბა რაში მდგომარეობდა?

— პატარა ყვავმა სწორედ ამ ადგილზე მიმანიშნა, და ამ ადგილზე «დავინახე» შესაძლებლობა გამეგებინებინა შენთვის, როგორ მოქმედებენ, როცა მეომრის განწყობაში იმყოფებიან.

ყველაფერი, რაც წარსულ ღამეს გააკეთე, სწორი განწყობით იყო გაკეთებული. შენ აკონტროლებდი შენს თავს და ამავდროულად, განჯაჭვული იყავი, როდესაც ხიდან გადმოხტი გალიის ასაღებად და ჩემთან მოირბინე. შენ არ იყავი შიშით პარალიზებული. და შემდეგ კლდის მწვერვალზე, როცა უკან ლომმა დაიღრიალა, ძალიან კარგად მოძრაობდი. დარწმუნებული ვარ, რომ არ დაიჯერებდი იმას, რაც გააკეთე, თუ იმ კლდეს დღისით შეხედავდი. საკმარისად იყავი განჯაჭვული და საკუთარ თავსაც საკმარისად აკონტროლებდი. უკან არ დაიხიე და შარვალში არ ჩაისვარე, და თანაც იმ კედელზე სრულ სიბნელეში აძვერი. შეგეძლო ფეხი დაგცდენოდა და მომკვდარიყავი; იმისთვის, რომ იმ კედელზე აძვრე, საჭიროა მოეჭიდო საკუთარ თავს და განეჯაჭვო საკუთარ თავს ერთდროულად. სწორედ ამას ვუწოდებ მეომრის განწყობას.

მე ვუთხარი, რომ რაც არ უნდა გამეკეთებინა წარსულ ღამეს, ყველაფერი ეს ჩემი შიშის პროდუქტი იყო და არა განწყობის, კონტროლისა და განჯაჭვულობის შედეგი.

— მე ეს ვიცი, — თქვა მან ღიმილით. — და მინდოდა მეჩვენებინა შენთვის, რომ შეგიძლია გამოხვიდე შენი ჩარჩოებიდან, თუ შესაბამის განწყობაში იმყოფები. შიშმა მეომრის განწყობამდე მიგიყვანა, მაგრამ ახლა, როცა ეს იცი, ნებისმიერი რამ შეიძლება გახდეს მასში შესვლის საშუალება.

მინდოდა მეკამათა მასთან, მაგრამ ჩემი აზრები არ იყო საკმარისად მკაფიო. აუხსნელ გაღიზიანებას ვგრძნობდი.

— მოსახერხებელია ყოველთვის ამ განწყობით მოქმედება, — განაგრძო მან. — იგი ყოველგვარ სისულელეს გაგატარებს და განწმენდილს დაგტოვებს. ეს დიდი გრძნობა იყო, როცა კლდის მწვერვალს მიაღწიე, ასე არაა?

ვუთხარი, რომ გავიგე, რასაც მეუბნებოდა, თუმცაღა ვგრძნობდი, სისულელე იქნებოდა მისი სწავლების ყოველდღიურ ცხოვრებასთან მისადაგება.

— მეომრის განწყობა საჭირო ყოველი ცალკეული მოქმედების დროსაა, — თქვა მან. — წინააღმდეგ შემთხვევაში, დაბნეული და მოუხეშავი ხდები. ცხოვრებაში არ არსებობს ძალა, რომელშიც ეს განწყობა არ იქნებოდა. შეხედე საკუთარ თავს. ყველაფერი შენს განაწყენებას და გამწარებას იწვევს. კვნესი და წუწუნებ, და გრძნობ, რომ ყველა თავის დაკრულზე გაცეკვებს. შენ — ფოთოლი ხარ, ქარის ნებას მიცემული. შენს ცხოვრებაში არაა ძალა. რა საზიზღარი შეგრძნება უნდა იყოს ეს!

მეორე მხრივ, მეომარი, მონადირეა. იგი ყველაფერს წინასწარ ითვლის. ეს კონტროლია. მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი გათვლები დასრულდება, იგი მოქმედებს. იგი განზე დგება. ეს განჯაჭვულობაა. მეომარი არაა ქარის ნებას მიცემული ფოთოლი. არავის შეუძლია, რომ ხელი ჰკრას მას. არავის შეუძლია აიძულოს მოქმედება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან იმის წინააღმდეგ, რასაც საჭიროდ თვლის. მეომარი გადარჩენისთვისაა განწყობილი. და იგი გადარჩება ყველა შესაძლოდან საუკეთესო საშუალებით.

მე მომწონდა მისი აზრები, თუმცა ვფიქრობდი, რომ ისინი ძალიან არარეალისტური იყო. იმ რთული სამყაროსთვის, რომელშიც მე ვცხოვრობდი, ისინი ძალიან მარტივად გამოიყურებოდნენ.

მან გაიცინა ჩემს პროტესტზე, მე კი დაჟინებით ვიმეორებდი, რომ მეომრის განწყობა, სავარაუდოდ, ვერ დამეხმარებოდა წყენის იმ გრძნობის ან ნამდვილი ზიანისგან თავის არიდებაში, რომელსაც გარშემომყოფი ადამიანები მომაყენებდნენ. როგორც, მაგალითად, იმ ჰიპოთეტურ შემთხვევაში, როცა თავს გესხმის სასტიკი და აგრესიული ადამიანი, რომელსაც თავისი მდგომარეობით ძალაუფლება გააჩნია.

მან გადაიხარხარა და დამეთანხმა, რომ ჩემი მაგალითი დასაშვებია.

— მეომარს შეიძლება ფიზიკური ზიანი მიაყენონ, მაგრამ ის ვერ იქნება განაწყენებული, — თქვა მან. — მეომრისთვის არაფერია საწყენი გარშემომყოფი ადამიანების ქცევაში, მანამ, სანამ თვითონ მოქმედებს სწორი განწყობით.

წინა ღამით ლომი არ გამხდარა შენი წყენის მიზეზი. იმ ფაქტს, რომ იგი მოგვდევდა, არ გაუბრაზებიხარ. არ გამიგია, რომ გელანძღოს იგი, ან გეთქვას, რომ უფლება არ აქვს გამოგვედევნოს. და ყველაფერი იმით, რაც მასზე იცი, მას შეუძლია იყოს სასტიკი და აგრესიული ლომი. მაგრამ ეს არც გაგიფიქრია, როცა მას გაურბოდი. ერთადერთი რამ შენს გონებაში გადარჩენის სურვილი იყო. და ეს ძალიან კარგად გააკეთე.

მარტო რომ ყოფილიყავი, ლომს დაეჭირე და სასიკვდილოდ დაესახიჩრებინე, არც კი მოგივიდოდა თავში მასზე საყვედური ან თავის შეურაცხყოფილად გრძნობა მისი მოქმედებების გამო.

მეომრის განწყობა არც ისე ადვილად გადადის შენს ან ვინმე სხვის სამყაროში. იგი იმისთვის გჭირდება, რომ მთელი ყბედობის მიღმა გახვიდე.

ჩემი მსჯელობების მსვლელობა ავუხსენი. ლომი და გარშემომყოფი ადამიანები ერთ სიბრტყეში ვერ იქნებოდნენ, რადგანაც მე ვიცოდი ადამიანების ფარული ზრახვები მაშინ, როცა მსგავსი არაფერი ვიცოდი ლომთან დაკავშირებით. რაც მაბრაზებდა გარშემომყოფი ადამიანების ქცევებში, ის იყო, რომ ისინი ბოროტულად მოქმედებდნენ ისე, რომ აცნობიერებდნენ ამას.

— ვიცი, ვიცი, — თქვა დონ ხუანმა მოთმინებით. — მეომრის განწყობამდე მიღწევა მარტივი საქმე არაა. ეს რევოლუციაა. ლომისა და წყლის ვირთხების და გარშემომყოფები ადამიანების, ერთ სიბრტყეში განხილვა მეომრული სულის შესანიშნავი ქცევაა. ამისთვის ძალაა საჭირო.

12. ძალის ორთაბრძოლა

ხუთშაბათი, 1961 წლის 28 დეკემბერი.

ჩვენი მოგზაურობა დილით, ძალიან ადრე დავიწყეთ. სამხრეთისკენ ვიარეთ, შემდეგ კი აღმოსავლეთის მხარეს, მთებისკენ. დონ ხუანმა გოგრის კასრები წამოიღო წყლითა და საჭმლით. ჩემს მანქანაში შევჭამეთ, სანამ სალაშქროდ წავიდოდით.

— ჩემთან ახლოს იარე, — თქვა მან. — ეს შენთვის უცნობი რაიონია და აქ არაა საჭირო გარისკვა. შენ ძალის საძიებლად მიდიხარ და რასაც აკეთებ, ყველაფერი ითვლება. ქარს ადევნე თვალყური, განსაკუთრებით დღის ბოლოსკენ. დააკვირდი, როდის იცვლის მიმართულებას ისე, რომ მე ყოველთვის გფარავდე მისგან.

— რა უნდა გავაკეთოთ ამ მთებში, დონ ხუან?

— შენ ძალაზე ნადირობ.

— მე მაინტერესებს, კონკრეტულად რა უნდა ვაკეთოთ?

— როცა საქმე ძალაზე ნადირობას ეხება, ვერ იქნება ვერანაირი წინასწარი გეგმა. ძალაზე ნადირობა და ნადავლზე ნადირობა — ერთი და იგივეა. მეომარი ნადირობს და მისაწვდომი ხდება ძალისთვის, ამიტომ ყოველთვის მზადყოფნის მდგომარეობაში უნდა იყოს.

შენ იცი ქარის შესახებ, და ახლა უკვე დამოუკიდებლად შეგიძლია ქარში არსებულ ძალაზე ნადირობა. მაგრამ არსებობს სხვა რაღაცეები, რაც ჯერ არ იცი, რომლებიც ისევე როგორც ქარი, ძალის ცენტრებს წარმოადგენენ გარკვეულ დროს და გარკვეულ ადგილებში.

ძალა — ძალიან საინტერესო რამეა, — თქვა მან. — შეუძლებელია ავიღოთ იგი და ვთქვათ, რომ ის მართლა არის. ესაა გრძნობა, რომელიც გარკვეული ადგილების შესახებ გააჩნიათ. ძალა პირადია. იგი ვიღაც ერთს ეკუთვნის. ჩემს კეთილისმყოფელს, მაგალითად, შეეძლო ადამიანი სასიკვდილოდ ავადმყოფი გაეხადა უბრალოდ იმით, რომ

შეხედავდა. თუმცაღა იგი არ აავადმყოფებდა ადამიანებს ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა ამაში მისი პირადი ძალა მონაწილეობდა.

— როგორ ირჩევდა იმას, თუ ვინ უნდა გაეხადა ავადმყოფი?

— მე ეს არ ვიცი. თვითონაც არ იცოდა. ძალასთან ყოველთვის ასეა. იგი გმართავს, და ამავდროულად გემორჩილება.

ძალაზე მონადირე იჭერს მას, შემდეგ კი აგროვებს, როგორც პირად მონაპოვარს. ამგვარად პირადი ძალა იზრდება და შეგვიძლია ვნახოთ შემთხვევები, როცა მეომარს იმდენად ბევრი პირადი ძალა აქვს, რომ ცოდნის ადამიანი ხდება.

— როგორ დავაგროვო პირადი ძალა, დონ ხუან?

— კიდევ ერთხელ, ეს სხვა გრძნობაა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ პიროვნების რომელ ტიპს ფლობს მეომარი. ჩემი კეთილისმყოფელი უხეშ ბუნებას ფლობდა. სწორედ ამ გრძნობის მეშვეობით აგროვებდა ძალას. ყველაფერი, რასაც აკეთებდა ძლიერი და სწორხაზოვანი იყო. იგი ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც რაღაც, რაც რაღაცებში იჭრება და არღვევს მათ. და ყველაფერი, რაც ემართებოდა, სწორედ ასეთი მანერით ხდებოდა.

ვუთხარი, რომ ვერ ვხვდებოდი, როგორ გროვდებოდა ძალა გრძნობების მეშვეობით.

— არ არსებობს ამის ახსნის არანაირი საშუალება, — თქვა მან ხანგრძლივი პაუზის შემდეგ. — თავად უნდა გააკეთო ეს.

მან საჭმლიანი კასრები აიღო და ზურგზე მიიბა. გამომშრალი ხორცის რვა ნაჭრის ასხმული გამომიწოდა და მითხრა, რომ ყელზე ჩამომეკიდებინა.

— ამ საჭმელს ძალა აქვს, — თქვა მან.

— რა აძლევს მას ძალას, დონ ხუან?

— ეს იმ ცხოველის ხორცია, რომელსაც ძალა ჰქონდა. ირმის, უნიკალური ირმის. ჩემმა პირადმა ძალამ მოიყვანა იგი ჩემამდე. ეს ხორცი კვირები ან თვეები გვეყოფა, თუ საჭირო იქნება. დროდადრო ნელა ღეჭე პატარა ნაჭრები. საფუძვლიანად დაღეჭე და ისე გადაყლაპე. დაე, ძალა ნელა ჩაიძიროს შენს სხეულში.

ჩვენ წავედით. თითქმის დილის თერთმეტი იყო, როცა დონ ხუანმა კვლავ შემახსენა პროცედურა, რომელიც უნდა დამეცვა.

— თვალყური ადევნე ქარს, — თქვა მან. — ნება არ მისცე, რომ ნაბიჯი აგირიოს ან დაგღალოს. ღეჭე ძალის ხორცი და დაემალე ქარს ჩემი სხეულის უკან. ქარი მე ვერ მომაყენებს ზიანს. ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს.

მან ბილიკამდე მიგვიყვანა, რომელიც პირდაპირ, მაღალი მთებისკენ მიდიოდა. ღრუბლიანი დღე იყო და, როგორც ჩანდა, იწვიმებდა. დაბალ საავდრო ღრუბლებს ვხედავდი და ბურუსს მაღალ მთებში, რომელიც იმ ადგილისკენ ეშვებოდა, სადაც ვიმყოფებოდით.

სრულ დუმილში ვიარეთ დღის სამ საათამდე. გამომშრალი ხორცის ღეჭვა მართლაც მაძლევდა ძალას. ხოლო ქარის მიმართულების უეცარი ცვლილებებისთვის თვალყურის დევნება იმდენად მისტიური საქმე იყო, რომ თითქოს მთელი ჩემი სხეული მანამდე გრძნობდა ცვლილებებს, სანამ ისინი მართლა მოხდებოდნენ. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ შემეძლო ქარის ტალღების განსაზღვრა, როგორც ერთგვარი ზეწოლა გულმკერდის ზედა ნაწილზე, ბრონქებზე. ყოველ ჯერზე, ქარის დაბერვამდე, გაღიზიანებას ვგრძნობდი გულმკერდსა და ყელში.

რაღაც მომენტში დონ ხუანი შეჩერდა და გაიხედ-გამოიხედა. როგორც ჩანდა ორიენტირდებოდა, შემდეგ კი მარჯვნისკენ გაუხვია. შევამჩნიე, რომ ისიც ღეჭავდა გამომშრალ ხორცს. თავს ძალიან საღად ვგრძნობდი და საერთოდ არ ვიყავი დაღლილი. ქარის ცვლილებების გაცნობიერების დავალებამ იმდენად შემიპყრო, რომ დროს ვეღარ ვგრძნობდი. უზარმაზარ მთას მივუახლოვდით და მის თანაბარ მხარეს მცირე პლატოს ავუყევით. საკმაოდ მაღლა ავედით, თითქმის მწვერვალთან.

დონ ხუანი პლატოს ბოლოში დიდ კლდეზე ავიდა და მეც დამეხმარა აცოცებაში. კლდე ისე იყო განლაგებული, რომ გუმბათს ჰგავდა ციცაბო კედლების თავზე. ნელა შემოვუარეთ გარშემო. ბოლოს იძულებული ვიყავი, რომ საჯდომით გადავადგილებულიყავი კლდეზე ისე, რომ ზედაპირს ხელისგულებით და ტერფებით ვეყრდნობოდი. ოფლი ღვარად მდიოდა, და რამდენჯერმე ხელისგულების შემშრალება მომიწია.

საწინააღმდეგო მხარეს ფართო და არცთუ ისე ღრმა გამოქვაბულს ვხედავდი მთის მწვერვალთან ახლოს. იგი კლდეში გამოკვეთილ დარბაზს ჰგავდა. ეს იყო ქვიშიანი ადგილი, რომელიც ქარმა ერთგვარ აივნად აქცია ორი კოლონით.

დონ ხუანმა თქვა, რომ იქ უნდა მოვთავსებულიყავით, და ეს ძალიან უსაფრთხო ადგილი იყო, რადგან არ იყო იმდენად ღრმა, რომ ლომის, ან სხვა მტაცებლის ბუნაგი ყოფილიყო. ძალიან ღია იყო იმისთვის, რომ იქ ვირთხები ყოფილიყვნენ და ძალიან ქარიანი იყო მწერებისთვის. გაიცინა და თქვა, რომ ეს იდეალური ადგილია ადამიანებისთვის, რადგანაც ვერცერთი სხვა ცხოველი ვერ აიტანს მას.

მთის თხასავით გადაფრინდა ამ ადგილისკენ. აღფრთოვანებული ვიყავი მისი საოცარი ენერგიულობით. ნელ-ნელა ჩამოვბობღდი კლდიდან უკანალით, შემდეგ მთაზე არბენა ვცადე იმისთვის, რომ კიდესთვის მიმეღწია. ბოლო რამდენიმე მეტრმა სრულიად დამქანცა. ხუმრობით ვკითხე დონ ხუანს, რამდენი წლის იყო სინამდვილეში. ჩემი ვარაუდით, იმისთვის, რომ კიდემდე ისე მიგეღწია, როგორც ამას დონ ხუანი აკეთებდა, ძალიან ძლიერი და ახალგაზრდა უნდა ყოფილიყავი.

— იმდენად ახალგაზრდა ვარ, რამდენადაც მსურს, — თქვა მან. — კიდევ ერთხელ – ეს პირადი ძალის ამბავია. თუკი დააგროვებ ძალას შენს სხეულში, იგი საოცარ ამოცანებს შეასრულებს. მეორე მხრივ, თუკი ხარჯავ ძალას, სულ ცოტა ხნის შემდეგ მსუქანი მოხუცი ადამიანი გახდები.

აივანი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იყო მიმართული. აივნისმაგვარი წარმონაქმნის ღია მხარე სამხრეთისკენ იყურებოდა. მე დასავლეთის მხარეს, ბოლოში გავედი, ხედი მშვენიერი იყო. გარს წვიმა გვერტყა. იგი ფარდას ჰგავდა გამჭვირვალე მასალისგან.

დონ ხუანმა თქვა, რომ საკმარისი დრო გვქონდა თავშესაფრის მოწყობისთვის. ქვების მოგროვება მიბრძანა, ისეთების, რომლებსაც აივანზე ავიტანდი, ამ დროს კი თვითონ ტოტებს აგროვებდა სახურავისთვის.

ერთი საათის შემდეგ ოცდაათი სანტიმეტრის სისქის კედელი ააშენა აღმოსავლეთ მხარეს. იგი დაახლოებით სამოც სანტიმეტრამდე იყო სიგრძით და ერთი მეტრი სიმაღლით. მან ერთმანეთზე გადააწნა და შეკრა ტოტები და სახურავი გააკეთა, საყრდენად კი ორი გრძელი, ბოლოში გაყოფილი ჯოხი გამოიყენა. კიდევ ერთი ასეთი ჯოხი სახურავთან იყო მიმაგრებული და კედლის საწინააღმდეგო მხარით ამაგრებდა მას. მთელი მოწყობილობა დიდ მაგიდას ჰგავდა სამი ფეხით.

დონ ხუანი მის ქვეშ დაჯდა, აივნის კიდეში და ფეხები გადაიჯვარედინა. მითხრა, რომ მის მარჯვნივ დავმჯდარიყავი. რაღაც პერიოდი ჩუმად ვიყავით.

დონ ხუანმა დუმილი დაარღვია. ჩურჩულით თქვა, რომ ისე უნდა გვემოქმედა, თითქოს არაფერი უჩვეულო არ ხდებოდა. ვკითხე, თუ რა უნდა გამეკეთებინა კონკრეტულად. მითხრა, რომ ჩემი ჩანაწერები უნდა მეკეთებინა, ზუსტად ისე, თითქოს ჩემს საწერ მაგიდასთან ვმჯდარიყავი, და არანაირ ამქვეყნიურ საზრუნავზე არ უნდა მეფიქრა, გარდა წერისა. გარკვეულ მომენტში იგი მიბიძგებდა, და მე იმ მხარეს გავიხედავდი, სადაც თვალებით მიმანიშნებდა. წინასწარ გამაფრთხილა, რომ იმის მიუხედავად, თუ რას დავინახავდი, ერთი სიტყვაც კი არ უნდა წარმომეთქვა. მხოლოდ მას შეეძლო თავისუფლად ლაპარაკი, რადგანაც მას ამ მთების ყველა ძალა იცნობს.

მის ინსტრუქციას მივყევი და საათზე მეტი ვწერდი. ამ საქმიანობაში თავით ჩავეფალი. უეცრად მსუბუქი კაკუნი ვიგრძენი ხელზე და დავინახე, რომ დონ ხუანი თავისა და თვალების მოძრაობით ნისლის ღრუბლისკენ მიმანიშნებდა, ჩვენგან დაახლოებით 400 მეტრში, რომელიც მთის მწვერვალიდან ეშვებოდა. დონ ხუანმა ოდნავ გასაგონი ხმით ჩამჩურჩულა:

—გადააადგილე შენი თვალები წინ და უკან ნისლის ღრუბელზე, — თქვა მან, — მაგრამ პირდაპირ არ უყურო მას. თვალები ახამხამე და არ მოახდინო ფოკუსირება ნისლზე. როცა ღრუბელზე მწვანე ლაქას დაინახავ, თვალებით მიმანიშნე მისკენ.

თვალები მოვატარე მარცხნიდან მარჯვნივ ნისლის ღრუბელზე, რომელიც ნელ-ნელა ჩვენკენ ეშვებოდა. ალბათ ნახევარი საათი გავიდა. ბნელდებოდა. ნისლი ძალიან ნელა მოძრაობდა. უეცრად, რაღაც მომენტში გამიჩნდა გრძნობა, რომ მარჯვნიდან სუსტი ნათება შევნიშნე. თავიდან მომეჩვენა, რომ მწვანე ბუჩქის ლაქას ვხედავდი ნისლს მიღმა. როცა პირდაპირ ვუყურებდი მას, ვერაფერს ვერ ვამჩნევდი, მაგრამ როცა ფოკუსირების გარეშე ვუმზერდი, შემეძლო შემემჩნია არამკაფიო, მომწვანო ადგილი. დონ ხუანს ვაჩვენე იგი. მან თვალები დაიელმა და ისე შეხედა.

— მოახდინე მზერის ფოკუსირება ამ ლაქაზე, — ჩამჩურჩულა მან. — თვალის დაუხამხამებლად უყურე, სანამ არ დაინახავ.

მინდოდა მეკითხა, მაინც რა უნდა დამენახა, მაგრამ მან შემომხედა, თითქოს გამახსენა, რომ არ უნდა მელაპარაკა.

მე კვლავ შევხედე. ნისლის ღრუბელი, რომელიც ზემოდან დაეშვა, გვაწვებოდა, თითქოს მყარი ნივთიერება ყოფილიყოს. იგი შეთხელებული იყო სწორედ იმ ადგილას, სადაც მწვანე ლაქა შევამჩნიე. როცა თვალები დამეღალა და დავაელმე, ჯერ ნისლის ნაკუწი დავინახე, ნისლის ღრუბლის ზემოდან დადებული, შემდეგ კი ნისლის თხელი ზონარი, რომელიც ამ ორ ნაჭერს აერთებდა. იგი გამოიყურებოდა როგორც ნატიფი, უსაყრდენო მოწყობილობა, როგორც ხიდი, რომელიც აერთებდა ჩემ წინ მდებარე მთას და ნისლის ღრუბელს.წამით ვიფიქრე, რომ შემეძლო დამენახა გამჭვირვალე ნისლი, რომელიც მთის მწვერვალიდან მოდიოდა და ხიდს გადიოდა, ისე რომ არ არღვევდა მას. მეჩვენებოდა, რომ ხიდი მართლაც მყარი იყო. რაღაც მომენტში მირაჟი იმდენად სავსე გახდა, რომ მართლა ვარჩევდი სიშავეს ამ ხიდის ქვეშ, განსხვავებით ქვიშის ნათელი შეფერილობისგან მის ორივე მხარეზე.

გაოგნებული ვუყურებდი ხიდს, შემდეგ კი ან მე თვითონ ავედი მის დონემდე, ან ხიდი ჩამოვიდა ჩემამდე. უეცრად პირდაპირ ჩემ წინ სწორი ბილიკი დავინახე. იგი უსასრულოდ გრძელი და მყარი ბილიკი იყო, ვიწრო და მოაჯირის გარეშე, მაგრამ საკმარისად ფართო იმისთვის, რომ მასზე გავლა ყოფილიყო შესაძლებელი.

დონ ხუანმა ხელზე ხელი მომკიდა და ენერგიულად შემანჯღრია. ვიგრძენი, რომ ჩემი თავი ზემოთ-ქვემოთ ყანყალებდა, შემდეგ კი შევამჩნიე, რომ თვალები ძლიერ დამისივდა. სრულიდ გაუცნობიერებლად მოვისრისე ისინი. დონ ხუანი განაგრძობდა ჩემ ნჯღრევას მანამ, სანამ თვალები კვლავ არ გავახილე. თავისი კასრიდან ცოტა წყალი დაისხა ხელისგულზე და სახეზე შემომაფრქვია. შეგრძნება ძალიან არასასიამოვნო იყო. წყალი იმდენად ცივი იყო, რომ მის წვეთებს ტკივილად აღვიქვამდი. ამ დროს შევამჩნიე, რომ ჩემი სხეული ძალიან თბილი იყო. თითქოს ციებ-ცხელება მქონდა. დონ ხუანმა საჩქაროდ გამომიწოდა წყალი, რომ დამელია, შემდეგ კი ყურებზე და კისერზე მომაპკურა იგი.

უცებ ძალიან ხმამაღალი, ხანგრძლივი და რაღაც არაამქვეყნიური ფრინველის კივილი გავიგონე. დონ ხუანი წამით ყურადღებით უსმენდა, შემდეგ კი კედელს ფეხი ჰკრა და სახურავი დაანგრია. ბუჩქებში მოისროლა იგი და ქვებიც ერთიმეორეს მიყოლებით სხვადასხვა მხარეს გადაყარა. შემდეგ ყურში ჩამჩურჩულა:

— წყალი დალიე და გამომშრალი ხორცი ღეჭე. აქ ვერ დავრჩებით. ეს კივილი ფრინველის არ იყო.

კიდედან ქვემოთ დავეშვით და აღმოსავლეთის მიმართულებით გავწიეთ. ძალიან მალე ისე დაბნელდა, რომ ჩემ თვალწინ სრული უკუნი ჩამოწვა. ნისლი გაუღწეველი ბარიერივით გახდა. არასოდეს მიფიქრია, რომ ნისლი ღამით შესაძლოა ასეთი სქელი იყოს. ვერ ვხვდებოდი, როგორ მიდიოდა დონ ხუანი. მის ხელზე მეკიდა ხელი და ისე მივყვებოდი, თითქოს ბრმა ვიყავი.

რაღაცნაირად ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ უფსკრულის კიდეზე მივაბიჯებდი. ჩემი ფეხები უარს ამბობდნენ სიარულზე. ჩემი საღი აზრი დონ ხუანს ენდობოდა, და გონებით სიარული მინდოდა, მაგრამ ჩემს სხეულს ეს არ სურდა. ამიტომ დონ ხუანს ჩემი წათრევა უწევდა სრულ სიბნელეში.

როგორც ჩანს, იგი სრულყოფილად იცნობდა ამ მიდამოს. რაღაც ადგილზე შეჩერდა და ჩამომსვა. ვერ ვბედავდი მისი ხელის გაშვებას. ჩემი სხეული ყოველგვარი ეჭვის გარეშე გრძნობდა, რომ გუმბათისებურ მთაზე ვიჯექი და ოდნავაც თუ გადავიხრებოდი მარჯვნივ,

უფსკრულში გადავიჩეხებოდი. აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ მთის ციცაბო ფერდის თავზე ვიჯექი, რადგანაც ჩემი სხეული არაცნობიერად მარჯვნისკენ იხრებოდა. ვფიქრობდი, ამას იმისთვის აკეთებდა, რომ ვერტიკალური მდგომარეობა შეენარჩუნებინა, ამიტომ ვეცადე გადახრის კომპენსაცია მომეხდინა და მარცხნისკენ ვიხრებოდი, დონ ხუანისკენ, რაც შეიძლება მეტად.

უეცრად დონ ხუანი გაიწია ჩემგან და მისი სხეულის საყრდენის გარეშე მიწაზე დავეცი. მიწასთან შეხებამ ჩემი წონასწორობის გრძნობა აღადგინა. ბრტყელ ადგილზე ვიწექი. ხელების ცეცებით ვაცნობიერებდი იმას, რაც ჩემ გარშემო იყო, და გამხმარ ტოტებსა და ფოთლებს შევიგრძნობდი.

ამ დროს უეცრად გაიელვა, მთელი გარემო გაანათა და ქუხილის მძლავრი ხმა გაისმა. დავინახე, რომ დონ ხუანი ჩემგან მარცხნივ იდგა. დავინახე უზარმაზარი ხეები და გამოქვაბული რამდენიმე ფუტში მათ მიღმა.

დონ ხუანმა გამოქვაბულში შესვლა მიბრძანა. შევედი და მშვიდად მივეყრდენი კლდეს. ვიგრძენი, რომ დონ ხუანი დაიხარა და ჩამჩურჩულა, რომ სრული მდუმარება შემენარჩუნებინა.

ელვამ კიდევ სამჯერ გაანათა ზედიზედ. დავინახე, რომ დონ ხუანი ჩემგან მარცხნივ ფეხებგადაჯვარედინებული იჯდა. გამოქვაბული შეღრმავებული წარმონაქმნი იყო. საკმარისად დიდი იმისთვის, რომ მასში ორი-სამი ადამიანი მოთავსებულიყო. ვგრძნობდი, რომ ჩემი მხრიდან საკმაოდ ჭკვიანური იყო, რომ ოთხით შევძვერი მასში, რადგანაც მთელი სიმაღლით რომ შევსულიყავი, თავს კლდეზე გავიტეხავდი. ელვის გაბრწყინებამ ჩემში დაჰბადა აზრი იმაზე, თუ რამდენად სქელი იყო ნისლის ღრუბელი. უზარმაზარი ხეების ღეროები შევნიშნე, როგორც შავი სილუეტები ნისლის მოთეთრო-მონაცრისფრო მასის ფონზე.

დონ ხუანმა ჩამჩურჩულა, რომ ნისლი და ჭექა-ქუხილი შეთანხმებულნი იყვნენ ერთმანეთთან, და მე უკიდურესად ფხიზელი უნდა ვყოფილიყავი, რადგანაც ძალასთან შერკინებაში ვიყავი ჩართული. ამ მომენტში ელვის ბრწყინვალე გამონათებამ ჯადოსნურად გააშუქა მთელი მიდამო. ნისლი თითქოს თეთრი ფილტრი იყო, რომელიც ელექტრული განმუხტვის სინათლეს ყინავდა და ერთგვაროვანად ფანტავდა მას. ნისლი ხეებს შორის განფენილ სქელ ჭაობისებურ სუბსტანციას წააგავდა. მაგრამ პირდაპირ ჩემ წინ, მიწის დონეზე, ნისლი იშვიათდებოდა. მკაფიოდ ვარჩევდი მიდამოს მოხაზულობას. ეს ძირითადად ტყეში იყო. დიდი ხეები გვერტყნენ გარშემო. ისინი ისეთი მაღლები იყვნენ, შემეძლო დამეფიცა, რომ სეკვოიას ტყეში ვიყავით, მანამდე რომ არ მცოდნოდა, სად ვიყავით.

შემდეგ იყო გაელვებების მთელი კასკადი, რომელიც რამდენიმე წუთი გრძელდებოდა. ყოველი გაელვება იმ მოხაზულობებს, რომლებიც მანამდე შევამჩნიე, უფრო მკაფიოს ხდიდა. პირდაპირ ჩემ წინ კარგადშესამჩნევ გზას ვხედავდი. მასზე არანაირი მცენარეულობა არ იყო. მეჩვენებოდა, რომ იგი მთავრდებოდა ხეებისაგან ცარიელ ადგილზე.

გაელვებები იმდენი იყო, რომ ვერ ვადევნებდი თვალყურს, საიდან მოდიოდნენ. თუმცაღა მთელი მიდამო ისე კარგად ნათდებოდა, რომ თავი უფრო მსუბუქად ვიგრძენი. ჩემი შიშები და არათავდაჯერებულობა გაქრა, როგორც კი საკმარისი სინათლე გამოჩნდა სიბნელის

მძიმე ფარდის ასაწევად. ამიტომ, როცა გაელვებებს შორის ხანგრძლივი პაუზები იყო, უკვე აღარ ვიყავი დეზორიენტირებული ჩემ გარშემო სიშავით.

დონ ხუანმა მიჩურჩულა, რომ უკვე საკმაოდ დავაკვირდი და ყურადღების კონცენტრირება ქუხილის ხმაზე უნდა მომეხდინა. ჩემდა გასაოცრად მივხვდი, რომ სრულიად არ ვაქცევდი ყურადღებას ქუხილს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ იგი მართლაც გრანდიოზული იყო. დონ ხუანმა დაამატა, რომ თვალყური უნდა მედევნებინა ხმისთვის და იმ მიმართულებით მეცქირა, საიდანაც იგი მოდიოდა.

ჭექა-ქუხილის გრძელი კასკადი აღარ განმეორებულა. იყო მხოლოდ ინტენსიური სინათლისა და ბგერის იშვიათი გაელვებები. როგორც მეჩვენებოდა, ბგერა ყოველთვის ჩემგან მარჯვნიდან მოდიოდა. ნისლი ზემოთ ადიოდა, და მე სრულ სიბნელეს მიჩვეული, უკვე ვარჩევდი მცენარეულობის მასას. ჭექა-ქუხილი გრძელდებოდა და უეცრად მთელი მარჯვენა მხარე გაიხსნა და ცის დანახვა შევძელი.

ელექტრული შტორმი, თითქოს მარჯვნისკენ მოძრაობდა. კიდევ ერთხელ გაიელვა, და უკიდურეს მარჯვენა მხარეს შორეული მთები დავინახე. სინათლემ, რომელიც შორეთს ანათებდა, მთების მასიური ჯგუფის სილუეტები გამოავლინა. მათ მწვერვალებზე ხეებს ვხედავდი. ისინი თხელ, შავ აპლიკაციად მეჩვენებოდა, რომელიც დადებული იყო დამაბრმავებლად თეთრ ცაზე. ღრუბლებიც კი დავინახე მთების თავზე.

ჩვენ გარშემო ნისლი სრულიად გაიფანტა. გამუდმებული ქარი ქროდა, და ჩემგან მარცხნივ ხეებზე ფოთლების შრიალის ხმა მესმოდა. ელექტრული შტორმი მეტისმეტად შორს იყო იმისთვის, რომ ხეები გაენათებინა, მაგრამ მათი შავი მასები მაინც გაირჩეოდა. თუმცაღა ელვის სინათლემ შესაძლებლობა მომცა დამედგინა, რომ ჩემგან მარჯვნივ შორეული მთები იყო, მარცხნივ კი – ტყე. თითქოს ბნელ ველს გავცქეროდი, რომლის დანახვაც საერთოდ არ შემეძლო. ადგილი, რომელზეც ელექტრულმა შტორმმა გადაიარა, ველის საწინააღმდეგო მხარეს იმყოფებოდა.

შემდეგ წვიმა დაიწყო. კლდეს მივებჯინე, რაც შეიძლება შიგნით. ჩემი ქუდი კარგად მიცავდა. ვიჯექი და მუხლები მკერდთან მქონდა მიბჯენილი, და მხოლოდ ტერფები მისველდებოდა წვიმის ქვეშ. წვიმა დიდხანს მოდიოდა. იგი საკმაოდ თბილი იყო. ამას ფეხებით ვგრძნობდი, შემდეგ კი ჩამეძინა.

ფრინველთა ხმებმა გამაღვიძა. მივიხედ-მოვიხედე. დონ ხუანს ვეძებდი. იქ არ იყო. ჩვეულებრივ, ფიქრს დავიწყებდი იმაზე, მარტო ხომ არ დამტოვა ამ ადგილას, მაგრამ იმან, რაც გარშემო დავინახე, თითქმის ჩემი პარალიზება მოახდინა. წამოვდექი. ფეხები სრულიად სველი მქონდა. ჩემს ქუდზე ჯერ კიდევ დაგროვილი იყო წყალი, რომელიც ტანზე გადმომეღვარა.

სულაც არ ვიყავი გამოქვაბულში, არამედ რაღაც ხშირი ბუჩქის ქვეშ. ისეთი განცვიფრების მომენტი მქონდა, რომელსაც საერთოდ ვერაფერს შევადარებდი. ორ მცირე გორაკს შორის, ბუჩქებით დაფარული ველის შუაში ვიდექი. ჩემ მარცხნივ არანაირი ხეები არ იყო, მარჯვნივ კი– არანაირი ველი. პირდაპირ ჩემ წინ, იქ, სადაც გზას ვხედავდი, გიგანტური ბუჩქი იზრდებოდა.

უარს ვაცხადებდი იმის დაჯერებაზე, რასაც ვხედავდი. რეალობის ჩემი ორი ვერსიის შეუთავსებლობა მაიძულებდა, რომ რაიმე სახის ახსნას მოვჭიდებოდი. თავში მომივიდა,

რომ სრულიად შესაძლებელი იყო, ისე მაგრად მეძინა, რომ დონ ხუანს შეეძლო ზურგით რომელიმე სხვა ადგილას გდავეყვანე.

დავათვალიერე ის ადგილი, სადაც მეძინა. მიწა მშრალი იყო, ზუსტად ისევე, როგორც გვერდით, მეზობელ ადგილას, სადაც დონ ხუანს ეძინა. რამდენჯერმე დავუძახე მას, შემდეგ კიდევ, განგაშის შემოტევის გამო, იმხელაზე ვიღრიალე მისი სახელი, როგორც შემეძლო. რომელიღაც ბუჩქებიდან გამოვიდა. მაშინვე მივხვდი, რომ იცოდა, რაც ხდებოდა. მისი ღიმილი ისეთი გამცემი იყო, რომ მე თვითონაც გამეღიმა. არ მინდოდა დროის დაკარგვა მასთან თამაშში. მაშინვე მოვუყევი, რაც დამემართა. გულდასმით ავუხსენი ჩემი ღამის ჰალუცინაციების ყოველი დეტალი. იგი მისმენდა და არ მაწყვეტინებდა. თუმცა არ შეეძლო სერიოზული სახის შენარჩუნება, და რამდენჯერმე სიცილს იწყებდა, მაგრამ მაშინვე აღიდგენდა ხოლმე სერიოზულ გამომეტყველებას. სამჯერ თუ ოთხჯერ ვთხოვე კომენტარის გაკეთება. იგი თავს აქნევდა ისე, თითქოს ეს ყველაფერი გაუგებარი იყო მისთვის.

როცა მოყოლა დავამთავრე, შემომხედა და მითხრა:

— საშინლად გამოიყურები, იქნებ ჯობია, ბუჩქებში გახვიდე?

თან სიცილით დაამატა, რომ ჯობდა ტანსაცმელი გამეხადა და გამეფინა, რომ გამშრალიყო. მზე კაშკაშებდა. ღრუბლები თითქმის არ იყო. ნათელი და ქარიანი დღე იყო.

დონ ხუანი წავიდა, წასვლამდე კი მითხრა, რომ რაღაც მცენარეების საძებნელად მიდიოდა, მე კი მანამდე აზრზე უნდა მოვსულიყავი, რამე მეჭამა და არ დამეძახა მისთვის, სანამ მშვიდი და ძლიერი არ გავხდებოდი.

ჩემი ტანსაცმელი მართლაც სველი იყო. მზეზე დავჯექი გასაშრობად. ვგრძნობდი, რომ ჩემთვის მოდუნების ერთადერთი საშუალება ჩანაწერების კეთება იყო. თან ვჭამდი, სანამ ჩანაწერებზე ვმუშაობდი.

ორიოდე საათის შემდეგ უფრო მოდუნებული ვიყავი და დონ ხუანს დავუძახე. მან სადღაც შორიახლოს მდებარე გორაკის მწვერვალიდან მიპასუხა. მითხრა, რომ კასრები ამეღო და მასთან ავსულიყავი. როცა მივაღწიე ამ ადგილს, დავინახე, რომ გლუვ კლდეზე იჯდა.

არ ვიცოდი, რით დამეწყო, იმდენი რამის კითხვა მინდოდა. ის, როგორც ჩანდა, ხედავდა ჩემს განწყობას და სრული კმაყოფილებით იცინოდა.

— როგორ გრძნობ თავს? — მკითხა გულგრილი ტონით.

არაფრის თქმა არ მინდოდა. ჯერ კიდევ დამძიმებული ვიყავი. დონ ხუანმა ბრტყელი ლოდისკენ მიმითითა და მთხოვა, დავმჯდარიყავი. მან თქვა, რომ ეს ქვა ძალის ობიექტია და თავს განახლებულად ვიგრძნობდი, თუკი ამ ქვაზე გარკვეული ხნით ვიჯდებოდი.

— დაჯექი! — მიბრძანა მან მშრალად.

იგი არ იღიმებოდა. გამჭოლი მზერა ჰქონდა, და მე ავტომატურად დავჯექი. მან თქვა, რომ მე ფრთხილად არ ვიყავი ძალასთან, ვმოქმედებდი რა ცუდი განწყობით, და ამისთვის ბოლო უნდა მომეღო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალა ორივეს წინააღმდეგ შემობრუნდებოდა, და ვერასოდეს გავაღწევდით ცოცხლები ამ უდაბური ადგილიდან. წამიერი პაუზის შემდეგ თითქოს სასხვათაშორისოდ მკითხა:

— როგორ მიდის შენი სიზმარხილვები?

— ავუხსენი, თუ რა ძნელი იყო საკუთარი თავისთვის ხელებზე დახედვის ბრძანების მიცემა. თავიდან ეს შედარებით იოლი იყო, ალბათ, კონცეფციის სიახლის გამო. საერთოდ არანაირი სირთულე არ მქონდა იმის გახსენებაში, რომ ხელებზე უნდა დამეხედა. მაგრამ აღტაცებამ ჩაიარა და ზოგიერთ ღამეს საერთოდ ვეღარ ვაკეთებდი ამას.

— თავსახვევი უნდა გაიკეთო, როცა დასაძინებლად მიდიხარ, — თქვა მან. — თავსახვევის ტარება — ცბიერი მანევრია. მე ვერ მოგცემ ასეთ თავსახვევს, რადგანაც შენ თვითონ უნდა გააკეთო იგი ლენტისგან. მაგრამ ვერ გააკეთებ ამას მანამდე, სანამ სიზმარხილვის დროს არ ნახავ მას. ხვდები, რას ვგულისხმობ? თავსახვევი დამზადებულ უნდა იქნას განსაკუთრებული ხილვის თანახმად, და მას უნდა ჰქონდეს სიგრძივი ლენტი, რომელიც მჭიდროდ ეკვრის თხემს. ან შეიძლება იგი მჭიდროდ ჩამოფხატულ ქუდსაც ჰგავდეს. სიზმარხილვები უფრო მარტივია, როცა თავზე ძალის ობიექტს ატარებ. შეგიძლია საკუთარი ქუდი ატარო, ან თავსაბურავი ჩამოიცვა, როგორც „ფრაერმა“ და ასე დაიძინო. მაგრამ ეს საგნები მხოლოდ ინტენსიურ სიზმრებს გამოიწვევს და არა სიზმარხილვებს.

იგი წამით გაჩუმდა, შემდეგ კი სიტყვათა სწრაფი ნაკადით მიყვებოდა, რომ თავსახვევის ჩვენებები მოდის არა მხოლოდ სიზმარხილვაში, არამედ სიფხიზლის მდგომარეობაშიც, როგორც ღრმა და ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენების შედეგი. ისეთების, როგორიცაა მაგალითად ფრინველის ფრენაზე, წყლის, ღრუბლების მოძრაობაზე დაკვირვება და ა.შ.

— ძალაზე მონადირე ყველაფერს ადევნებს თვალყურს, — განაგრძობდა იგი. — და ყველაფერი რაღაც საიდუმლოს ეუბნება მას.

— კი, მაგრამ როგორ შეიძლება დარწმუნებული იყო, რომ საგნები საიდუმლოს გადმოგცემენ?

მე ვფიქრობდი, რომ მას განსაკუთრებული ფორმულა ჰქონდა, რომელიც სწორი „ინტერპრეტაციების“ გაკეთების საშუალებას აძლევდა.

—ერთადერთი საშუალება, რომ დარწმუნებული იყო, ესაა ყველა იმ ინსტრუქციის მიყოლა, რომელიც მოგეცი იმ პირველი დღიდან, როცა ჩემთან მოხვედი. იმისთვის, რომ ძალა გქონდეს, ძალით უნდა იცხოვრო.

მან კეთილგანწყობით გამიღიმა. მეჩვენებოდა, რომ დაკარგა თავისი მრისხანება. ოდნავ ხელიც კი გამკრა და მითხრა:

— ჭამე შენი ძალის საჭმელი.

გამომშრალი ხორცის ღეჭვა დავიწყე, და ამ მომენტში თავში აზრად მომივიდა, რომ შესაძლოა გამომშრალი ხორცი რაიმე ფსიქოტროპულ სუბსტანციას შეიცავდა, და ჰალუცინაციებიც აქედან მოდიოდა. წამით თითქმის შვება ვიგრძენი. თუკი მან რაღაც ჩადო ხორცში, მაშინ ჩემი მირაჟები სრულიად გასაგები ხდებოდა. ვთხოვე ეთქვა ჩემთვის, ხომ არ იყო „ძალის ხორცში“ რაიმე?

მას გაეცინა, მაგრამ პირდაპირ არ მიპასუხა. ვარწმუნებდი, რომ არ ვბრაზობდი და უკმაყოფილებასაც კი არ ვგრძნობდი, მაგრამ უნდა ვიცოდე ეს იმისთვის, რომ წარსული

ღამის მოვლენები საკუთარ თავს ავუხსნა. ვეკითხებოდი, ვარწმუნებდი, და ბოლოს და ბოლოს ვთხოვდი, რომ სიმართლე ეთქვა ჩემთვის.

—შენ მართლა ხინჯიანი ხარ, — თქვა მან თავის ქნევით და უნდობლობის ჟესტით. — გამცემი ტენდენცია გაქვს. მოითხოვ, რომ საკუთარი თავის დაკმაყოფილებისთვის ყველაფერი ახსნა. ხორცში არაფერია გარდა ძალისა. ეს ძალა მასში არც მე და არც ვინმე სხვა ადამიანს არ ჩაუდია, არამედ თავად ძალამ ჩადო. ეს ირმის ხორცია, და ეს ირემი ძღვენი იყო ჩემდამი, ზუსტად ისევე, როგორც ცოტა ხნის წინ სრულიად კონკრეტული კურდღელი იყო შენდამი ძღვენი. არც მე და არც შენ არაფერი არ ჩაგვიდია კურდღელში. მე არ მითხოვია შენთვის კურდღლის ხორცის გამოშრობა, რადგანაც ეს მოქმედება უფრო მეტ ძალას მოითხოვს, ვიდრე შენ გაქვს. თუმცა გეუბნებოდი, რომ გეჭამა ეს ხორცი. შენი საკუთარი სიბრიყვის გამო ცოტა ჭამე.

ის, რაც წარსულ ღამეს შეგემთხვა, არ იყო ხუმრობა ან ონავრობა. ეს იყო ძალასთან შეხვედრა. ნისლი, სიბნელე, ჭექა-ქუხილი და წვიმა ძალის დიადი შერკინების ნაწილები იყვნენ. შენ გაგიმართლა, როგორც სულელს. მეომარი ყველაფერს მისცემდა, რომ ასეთი შერკინება ჰქონოდა.

მე გავაპროტესტე, რომ ეს ყველაფერი ვერ იქნებოდა ძალის შერკინება, რადგანაც ეს რეალურად არ მომხდარა.

— და რა არის რეალური? — მკითხა დონ ხუანმა ძალზე მშვიდად.

— აი, ეს, რასაც ვუყურებთ, რეალურია, — ვუთხარი და გარემოზე მივუთითე.

— კი, მაგრამ ასეთივე რეალური იყო ის ხიდიც, რომელიც გასულ ღამეს ნახე, ასევე ტყეც და ყველაფერი დანარჩენიც.

— მაგრამ, თუ ისინი რეალურნი იყვნენ, სად არიან ახლა?

— ისინი აქ არიან. შენ რომ საკმარისი ძალა გქონდეს, უკან მოუხმობდი მათ. პირდაპირ ახლა არ შეგიძლია ამის გაკეთება, რადგანაც ძალიან სასარგებლოდ თვლი იმას, რომ გააგრძელო ეჭვიანობა და ყველაფერზე მოჭიდება. ეს ასე არაა, ჩემო მეგობარო, ეს ასე არაა. არსებობენ სამყაროები სამყაროების შიგნით, პირდაპირ აქ, ჩვენ წინ. წარსულ ღამეს, ხელი რომ არ მეტაცა შენთვის, ხიდზე გახვიდოდი, რომც არ გდომოდა ეს. და მანამდე კიდევ ქარისგან უნდა დამეცავი, რომელიც გეძებდა.

— რა მოხდებოდა, თუ არ დამიცავდი?

— რადგანაც შენ არასაკმარისი ძალა გაქვს, ქარი ბილიკის დაკარგვას გაიძულებდა, და შესაძლოა მოეკალი კიდეც — უფსკრულში გადაეჩეხე. მაგრამ ნისლი ნამდვილად იყო. ორი რამ შეიძლებოდა დაგმართოდა ნისლში. ან გახვიდოდი ხიდით მეორე მხარეს, ან ჩამოვარდებოდი და მოკვდებოდი. დასასრული ძალაზე იქნებოდა დამოკიდებული. თუმცაღა ერთი რამ ცხადი იყო. რომ არ დამეცავი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მოგიწევდა ამ ხიდზე გავლა. ასეთია ძალის ბუნება. როგორც უკვე ადრე გითხარი, იგი გხელმძღვანელობს და ამავდროულად გემორჩილება. მაგალითად, წინა ღამეს, ძალა გაიძულებდა, რომ ხიდზე გაგევლო. მე შეგაჩერე, რადგან ვიცოდი, რომ არ გქონდა ძალის გამოყენების საშუალება, ძალის გარეშე კი ხიდი დაინგრეოდა.

— თავად შენ თუ ხედავდი ხიდს, დონ ხუან?

— არა, მე უბრალოდ ძალას „ვხედავდი“. მას შეუძლია ნებისმიერი რამ იყოს. ამჯერად შენთვის ეს ძალა ხიდი იყო. არ ვიცი რატომ მაინცდამაინც ხიდი. ჩვენ ყველაზე იდუმალებით მოცული არსებები ვართ.

— და შენ როდესმე გინახავს ხიდი ნისლში, დონ ხუან?

—არასოდეს. მაგრამ ეს იმიტომ, რომ შენ არ გგავარ. მე სხვა რაღაცეები მინახავს. ჩემი ძალის ორთაბრძოლები ძალიან განსხვავდებიან შენისგან.

— რა გინახავს დონ ხუან? შეგიძლია მომიყვე?

—მე ვნახე ჩემი მტრები პირველი ძალის ორთაბრძოლისას ნისლში. შენ არ გყავს მტრები. შენ არ გძულს ადამიანები. იმ დროს მე მძულდა. მე ვინდულგირებდი ადამიანების სიძულვილით. სიძულვილისგან გავთავისუფლდი, მაგრამ ამავდროულად მან თითქმის გამანადგურა.

შენი ძალის ორთაბრძოლა კი, მეორე მხრივ, ნატიფი იყო. მან გშთანთქა. შენ ახლაც შთანთქავ საკუთარ თავს საკუთარი უაზრო ფიქრებითა და ეჭვებით. ეს ინდულგირების შენი მეთოდია.

შენ მეგობრულ ურთიერთობაში იყავი ნისლთან. მან საოცარი ხიდი მოგცა, და ეს ხიდი იმ დროიდან დაწყებული იქ იქნება, ნისლში. იგი კვლავ და კვლავ გადაიხსნება შენ წინ მანამ, სანამ ოდესმე მასზე არ გაივლი.

ძალიან გირჩევ, რომ დღეიდან დაწყებული, მარტომ არ იარო ნისლიან მიდამოებში მანამ, სანამ არ გეცოდინება, რას აკეთებ. ძალა ძალზე ჯადოქრული რამაა. იმისთვის, რომ მართო ძალა, ჯერ უნდა გქონდეს იგი. თუმცაღა შესაძლოა, ნელ-ნელა დააგროვო, სანამ საკმარისი არ გახდება იმისთვის, რომ ძალის ორთაბრძოლას გაუძლო.

— რა არის ძალის ორთაბრძოლა?

—ის, რაც გასულ ღამეს შეგემთხვა, ძალის ორთაბრძოლის დასაწყისი იყო. სცენები, რომელთა მოწმეც იყავი, ძალის საფუძველს წარმოადგენდნენ. ოდესმე ისინი შენთვის აზრს შეიძენენ. ეს სცენები უკიდურესად მნიშვნელოვანია.

— შეგიძლია თავად მომიყვე მათი აზრი, დონ ხუან?

— არა. ეს სცენები — შენი პირადი მონაპოვარია. მაგრამ ის, რაც გასულ ღამეს მოხდა, მხოლოდ დასაწყისი იყო. ნამდვილი ბრძოლა მაშინ მოხდება, როცა ხიდს გადაკვეთ. რა იქნება მეორე მხარეს, მხოლოდ შენ გეცოდინება. და მხოლოდ შენ გეცოდინება, რა არის იმ გზის ბოლოში, რომელსაც ტყისკენ მიჰყავდი. მაგრამ ეს ყველაფერი ისეთი რამეა, რაც შეიძლება შეგემთხვეს ან არ შეგემთხვეს. იმისთვის, რომ ამ უცნობ გზებზე იმოგზაურო, საკმარისად უნდა გქონდეს საკუთარი ძალა.

— რა მოხდება, თუკი საკმარისი ძალა არ გექნება?

— სიკვდილი ყოველთვის მოლოდინშია, და როდესაც მეომრის ძალა ქრება, სიკვდილი უბრალოდ ეხება მას. ამიტომ ამოუცნობისკენ გამგზავრება ყოველგვარი ძალის გარეშე — სიბრიყვეა. ასე მხოლოდ სიკვდილს იპოვნი.

სინამდვილეში, მე არ ვუსმენდი. ვაგრძელებდი იმ იდეით გართობას, რომ შესაძლოა, გამომშრალი ხორცი ყოფილიყო ჰალუცინაციების გამომწვევი მიზეზი. მაკმაყოფილებს ამ აზრით ინდულგირება.

— ნუ დაიღლი თავს ამ ყველაფრის ახსნის მცდელობით, — თქვა მან, თითქოს ჩემს აზრებს კითხულობდა. — სამყარო გამოცანაა. რასაც უყურებ, ჯერ კიდევ არაა ყველაფერი რაც აქაა. სამყაროში გაცილებით მეტია ყველაფერი. ფაქტიურად უსასრულობამდე. ამიტომ, როცა ცდილობ საკუთარ თავს აუხსნა ეს ყველაფერი, სინამდვილეში ამით ცდილობ ნაცნობი გახადო სამყარო. შენც და მეც პირდაპირ აქ ვართ, სამყაროში, რომელსაც რეალურს უწოდებ, აქ ვიმყოფებით უბრალოდ იმიტომ, რომ ორივემ ვიცით ეს. შენ არ იცნობ ძალის სამყაროს, ამიტომ არ შეგიძლია მისი ჩართვა ნაცნობ სცენაში.

— შენ იცი, რომ მე მართლა არ შემიძლია შენი თვალსაზრისის გასაჩივრება, მაგრამ ამავდროულად ჩემი გონება უარს ამბობს მის მიღებაზე.

მას გაეცინა და ოდნევ შეეხო ჩემს თავს.

— შენ მართლაც უგუნური ხარ, — თქვა მან. — მაგრამ ყველაფერი რიგზეა. ვიცი რა ძნელია მეომარივით ცხოვრება. შენ რომ მიჰყოლოდი ჩემს ინსტრუქციებს და შეგესრულებინა ყველაფერი, რაც გასწავლე, ახლა უკვე საკმარისი ძალა გექნებოდა ხიდის გადასალახად. საკმარისი ძალა — სამყაროს გასაჩერებლად.

— კი, მაგრამ რატომ უნდა მინდოდეს ძალა, დონ ხუან?

—ახლა შენ არ შეგიძლია მიზეზების პოვნა, თუმცა თუკი საკმარის ძალას დააგროვებ, თავად ძალა იპოვის შენში კარგ მიზეზს. უცნაურად ჟღერს, ასე არაა?

— შენ თვითონ რად გინდა ძალა, დონ ხუან?

— მე შენ გგავარ. მეც არ მინდოდა. არ შემეძლო მიზეზის პოვნა, რისთვის უნდა მქონოდა. იგივე ეჭვები მქონდა, რაც შენ გაქვს, და არასოდეს მივყვებოდი იმ ინსტრუქციებს, რასაც მაძლევდნენ, ან არასოდეს ვფიქრობდი, რომ მივყვებოდი მათ. და მაინც, მიუხედავად ჩემი სიბრიყვისა, საკმარისი ძალა დავაგროვე, და ერთხელაც ჩემმა პირადმა ძალამ აიძულა სამყარო, რომ გაჩერებულიყო.

— მაგრამ რატომ უნდა უნდოდეს ვინმეს სამყაროს გაჩერება?

— არავის არ უნდა, ამაშია საქმე. ეს უბრალოდ ხდება. და როდესაც უკვე იცი, რას ნიშნავს სამყაროს გაჩერება, მაშინ გესმის, რომ ამისთვის არის მიზეზები. მეომრის ერთ-ერთი ხელოვნებაა, აიძულოს სამყაროს, რომ დაინგრეს განსაკუთრებული მიზეზით, შემდეგ კი კვლავ აღადგინოს იგი იმისთვის, რომ ცხოვრება განაგრძოს.

ვუთხარი, რომ ყველაზე კარგი იქნებოდა, თუ სამყაროს დანგრევის განსაკუთრებული მიზეზის მაგალითს მომიყვანდა. რაღაც დრო იგი ჩუმად იყო. თითქოს ფიქრობდა, რა ეთქვა.

— მე არ შემიძლია ამის თქმა, — თქვა მან. — ძალიან დიდი ძალაა საჭირო იმისთვის, რომ ეს იცოდე. ოდესმე მეომარივით იცხოვრებ, მიუხედავად საკუთარი თავისა. მაშინ, სავარაუდოდ, დააგროვებ საკმარის პირად ძალას, რომ თავად გასცე ამ კითხვას პასუხი.

მე თითქმის ყველაფერი გასწავლე, რაც მეომარმა უნდა იცოდეს იმისთვის, რომ თავად დააგროვოს ძალა. თუმცა ვიცი, რომ შენ ვერ შეძლებ ამის გაკეთებას, და მომთმენი უნდა ვიყო შენდამი. ზუსტად ვიცი, რომ იმისთვის, რომ საკუთარი თავი იყო ძალის სამყაროში, ბრძოლის მთელი ცხოვრებაა საჭირო.

დონ ხუანმა ცას და მთებს შეხედა. მზე უკვე დასავლეთისკენ ჩადიოდა, და მთებზე სწრაფად იკრიბებოდნენ საავდრო ღრუბლები. არ ვიცოდი, რომელი საათი იყო. დამავიწყდა საათის მომართვა. ვკითხე დონ ხუანს, ხომ არ იცოდა, რომელი საათი იყო, და მას სიცილის ისეთი შემოტევა დაემართა, რომ ქვიდან ბუჩქში გადავარდა.

იგი წამოდგა, გაიზმორა და დაამთქნარა.

— ჯერ ადრეა, — თქვა მან. — უნდა დაველოდოთ, სანამ ნისლი მთის მწვერვალზე არ შეიყრება, შემდეგ კი ამ ქვაზე უნდა დადგე და მადლობა გადაუხადო ნისლს. დაე, მოვიდეს და გადაგეხვიოს. აქვე ვიქნები, რომ დაგეხმარო, თუ საჭირო იქნება.

ნისლში მარტო დგომის პერსპექტივამ რაღაცნაირად შემაშინა. თავს იდიოტურად ვგრძნობდი იმის გამო, რომ ასეთი არარაციონალური სახით ვრეაგირებდი.

—შენ არ შეგიძლია ამ მთებიდან წასვლა მისთვის მადლობის გამოხატვის გარეშე, — თქვა მან მტკიცე ტონით. — მეომარი არასოდეს აქცევს ზურგს ძალას იმის გარეშე, რომ საკადრისი გადაუხადოს მიღებული დახმარებისთვის.

იგი ზურგზე წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და სახე ქუდით დაიფარა.

— როგორ უნდა დაველოდო ნისლს, რა უნდა გავაკეთო? — ვკითხე მე.

— წერე, — თქვა მან ქუდის ქვემოდან. — მაგრამ თვალები არ დახუჭო და ზურგით არ შებრუნდე.

ვცადე მეწერა, მაგრამ კონცენტრირება ვერ შევძელი. ავდექი და აქეთ-იქით სიარული დავიწყე. დონ ხუანმა შემომხედა და გაღიზიანების ელფერით მომმართა.

— დაჯექი! — მიბრძანა მან.

შემდეგ თქვა, რომ ძალის ორთაბრძოლა ჯერ არ დასრულებულა და უნდა მესწავლებინა ჩემი სულისთვის, რომ არ ვყოფილიყავი პასიური. არაფერს იქიდან, რასაც ვაკეთებდი, არ უნდა გაეცა ჩემი გრძნობები, თუ არ მინდოდა, რომ ამ მთებში დავრჩენილიყავი.

იგი წამოჯდა და ხელი გაიქნია სიჩქარის გამომეტყველებით. თქვა, რომ ისე უნდა მემოქმედა, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად ყოფილიყოს, რადგანაც ძალის ადგილებს, ისევე როგორც იმ ადგილს, სადაც ვიმყოფებოდით, გააჩნიათ ადამიანების გამოფიტვის პოტენციური შესაძლებლობა, თუკი ისინი ღელავენ, ამიტომ ადამიანს შეუძლია უცნაური და მავნებელი ჯაჭვები გააბას ამ ადგილთან.

— ეს ჯაჭვები აბამენ ადამიანს ძალის ადგილთან ზოგჯერ მთელი ცხოვრების განმავლობაშიც კი, — თქვა მან. — ეს კი შენი ადგილი არაა. შენ თვითონ არ გიპოვნია იგი, ამიტომ მოიჭირე ქამარი და ნუ ჩაგძვრება შარვალი.

მისმა გაფრთხილებამ შელოცვასავით იმოქმედა ჩემზე. რამდენიმე საათის განმავლობაში შეუსვენებლად ვმუშაობდი.

დონ ხუანი უკან გაემართა დასაძინებლად და ხმა არ ამოუღია მანამდე, სანამ ნისლი დაახლოებით ორას მეტრზე არ მოგვიახლოვდა. იგი წამოდგა და გარშემო მიდამო მოათვალიერა. მე უკან მოვიხედე ისე, რომ ზურგი არ მომიტრიალებია. ნისლმა უკვე შთანთქა დაბლობი და ჩემგან მარჯვნივ მთიდან ეშვებოდა. ჩემგან მარცხნივ ლანდშაფტი სუფთა იყო. თუმცა ქარმა მარჯვნიდან დაიწყო ქროლვა და ნისლს დაბლობისკენ ერეკებოდა, თითქოს ჩვენი ალყაში მოქცევა უნდაო. დონ ხუანმა ჩამჩურჩულა, რომ აუღელვებლდ უნდა ვმდგარიყავი იქ, სადაც ვიდექი, თვალები არ უნდა დამეხუჭა და არ უნდა შემოვბრუნებულიყავი მანამ, სანამ ბოლომდე გარშემორტყმული არ ვიქნებოდი ნისლით. მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი დაშვება. თვითონ კლდეებს მიეფარა ჩემგან რამდენიმე ფუტში.

ამ მთების სიჩუმე რაღაც დიდებული იყო და იმავე დროს შიშისმომგვრელი. რბილი ქარი, რომელსაც ნისლი მოჰქონდა, შეგრძნებას მაძლევდა, რომ ნისლი ყურებში მიწუოდა. ნისლის დიდი ღრუბლები თეთრი ნივთიერების სქელი წარმონაქმნებივით ეშვებოდნენ მთიდან და თითქოს პირდაპირ ჩემკენ მოდიოდნენ. ნისლის სუნს ვგრძნობდი. ეს იყო ნესტისა და სისაღის საინტერესო ნაზავი. შემდეგ ნისლმა ბოლომდე მშთანთქა.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ნისლი ჩემი თვალების ქუთუთოებზე მოქმედებდა. ისინი დამძიმდნენ, და თვალების დახუჭვა მომინდა. მციოდა, ყელი გამისივდა. დახველება მინდოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი. ნიკაპი ავწიე და ყელი დავიგრძელე, რათა არ დამეხველებინა. და როცა მზერა ზემოთკენ აღვაპყარი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მართლა შემეძლო ნისლოვანი წარმონაქმნის სისქის დანახვა. თითქოს ჩემს თვალებს შეეძლოთ მისი სისქის შეფასება მათში გავლით, და აღარ შემეძლო შევწინააღმდეგებოდი დაძინების სურვილს. ვგრძნობდი, რომ წამიც და მიწაზე დავეცემოდი. ამ მომენტში დონ ხუანი მომვარდა, ხელი ჩამკიდა და შემანჯღრია. ნჯღრევა საკმარისი იყო იმისთვის, რომ გამოვფხიზლებულიყავი.

მან ყურში ჩამჩურჩულა, რომ ქვემოთკენ სირბილით უნდა დავშვებულიყავი ისე სწრაფად, როგორც შემეძლო. თქვა, რომ უკან გამომყვებოდა, რათა მორიდებოდა იმ ქვებს, რომლებსაც ჩემს გზაზე დავაგორებდი. თქვა, რომ მიმართულების მიმცემი მე ვიყავი, რადგანაც ეს ჩემი ძალის ბრძოლა იყო, და რომ საღი გონება უნდა მქონოდა და განჯაჭვული ვყოფილიყავი, რათა ორივენი მშვიდობიანად გავსულიყავით იმ ადგილიდან.

— ასეა, — თქვა მან ხმამაღლა. — თუ მეომრის განწყობა არ გექნება, ნისლს ვერასოდეს დავტოვებთ.

წამით ვყოყმანობდი. დარწმუნებული არ ვიყავი, შევძლებდი თუ არა გზის გაგნებას ამ მთებიდან.

— გაიქეცი, კურდღელო, გაიქეცი! — დაიყვირა დონ ხუანმა და ოდნავ ხელი მკრა ციცაბო დაღმართისკენ.

13. მეომრის უკანასკნელი ნავთსაყუდელი

კვირა, 1962 წლის 28 იანვარი.

დაახლოებით დილის 10 საათზე დონ ხუანი სახლში შევიდა. იგი განთიადისას მიდიოდა. მე მივესალმე მას. მას გაეღიმა და მოსალმების ნიშნად სახუმარო მანერით ჩამომართვა ხელი.

— ჩვენ მცირე მოგზაურობა გველის, — თქვა მან. — შენ უნდა წაგვიყვანო ფრიად განსაკუთრებულ ადგილას ძალის საძიებლად.

მან გადასაკიდი ჩანთის ჯიბეებში საჭმლით სავსე ორი გოგრის კასრი ჩადო, წვრილი თოკით მოუკრა თავი და მომაწოდა.

მშვიდად გავიარეთ ჩრდილოეთის მიმართულებით დაახლოებით 400 მილი, შემდეგ კი შევუხვიეთ გზატკეცილიდან და გრუნტის გზით დასავლეთისკენ გავემართეთ. მეჩვენებოდა, რომ მრავალი საათის განმავლობაში ჩემი ავტომობილი მარტო იყო ამ გზაზე. სანამ მივდიოდით, შევამჩნიე, რომ საქარე მინაში ვეღარ ვიყურებოდი. ვეცადე გარემო დამეთვალიერებინა, მაგრამ ძალიან ბნელოდა, საქარე მინა კი დასვრილი იყო გასრესილი მწერებით და მტვრით.

დონ ხუანს ვუთხარი, რომ უნდა გავჩერებულიყავი და საქარე მინა გამეწმინდა. მან მიბრძანა, რომ გზა განმეგრძო მაშინაც კი, ფანჯრიდან თავგადაყოფილს, საათში ორი მილის სიჩქარით, დამჭირვებოდა სიარული. მითხრა, რომ ვერ გავჩერდებოდით, სანამ დანიშნულების ადგილს არ მივაღწევდით.

გარკვეულ ადგილას მან მიბრძანა, რომ მარჯვნივ შემეხვია. ისე ბნელოდა და ისეთი მტვერი იყო, რომ ფარებიც ძლივს მშველიდნენ. მუხლების კანკალით გადავედი გზიდან. რბილი თხრილების მეშინოდა, მაგრამ ნიადაგი საიმედო აღმოჩნდა.

თითქმის ორასი კილომეტრი გავიარე ყველაზე დაბალ სიჩქარეზე, კარი ღია მქონდა, რომ გახედვა შემძლებოდა. როგორც იქნა დონ ხუანმა გაჩერება მიბრძანა. თქვა, რომ დიდი კლდის უკან გავჩერებულიყავი, რომელიც მანქანას მხედველობის არიდან დამალავდა. მანქანიდან გადმოვედი და ფარებზე ორიენტირებით გარშემო ყველაფერი მოვათვლიერე, რადგანაც წარმოდგენა არ მქონდა, სად ვიმყოფებოდით, მაგრამ დონ ხუანმა ფარები ჩააქრო. მან ხმამაღლა განაცხადა, რომ დროს ვერ დავკარგავდით და ავტომობილი უნდა დამეკეტა, რადგანაც გზას უნდა გავდგომოდით.

თავისი კასრებიანი ჩანთა მომაწოდა. ისე ბნელოდა, რომ წავბორძიკდი და კინაღამ დამივარდა. დონ ხუანმა რბილი და მბრძანებლური ხმით მიმითითა, რომ დავმჯდარიყავი, სანამ ჩემი თვალები სიბნელეს არ მიეჩვეოდნენ. მაგრამ თვალებზე პრობლემები არ მქონია. როგორც კი მანქანიდან გადმოვედი, უკვე საკმაოდ კარგად შემეძლო დანახვა. საქმე ჩემს განსაკუთრებულ ნევროზულობაში იყო. რომელიც მაიძულებდა ისე მემოქმედა, როგორც სრულიად დაბნეულ ადამიანს. მინდოდა ყველაფერი სიტყვებით გამომეხატა.

— სად მივდივარ? — ვკითხე მე.

— ჩვენ სრულ სიბნელეში უნდა გავისეირნოთ ერთ განსაკუთრებულ ადგილამდე.

— რისთვის?

— იმისთვის, რომ ზუსტად განვსაზღვროთ, შეგიძლია თუ არა ძალაზე ნადირობა.

მე ვკითხე, იყო თუ არა ის, რასაც იგი მთავაზობდა, გამოცდა, და თუ ჩავიჭრებოდი ამ გამოცდაში, განაგრძობდა თუ არა თავისი ცოდნის შესახებ მოყოლას და ჩემთან საუბარს.

იგი მისმენდა და არ მაწყვეტინებდა. ბოლოს თქვა, რომ რასაც ვაკეთებდით, გამოცდა არ იყო, მაგრამ ნიშანს ველოდებოდით, და თუ ნიშანი არ იქნებოდა, ეს იქნებოდა ნიშანი, რომ მე ვერ მივაღწიე წარმატებას ძალაზე ნადირობაში. და ამ შემთხვევაში მომავალში თავისუფალი ვიქნებოდი ყოველგვარი ვალდებულებებისგან. თავიუფალი ვიქნებოდი - ვყოფილიყავი ისეთი სულელი, როგორიც მომინდებოდა. თქვა, რომ მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა მომხდარიყო, იგი ჩემი მეგობარი იყო და ყოველთვის ისაუბრებდა ჩემთან.

რაღაცნაირად ვიცოდი, რომ ჩავიჭრებოდი.

— ნიშანი არ გამოჩნდება, — ვთქვი ხუმრობით. — ვიცი, რომ მცირე ძალა მაქვს.

მას გაეცინა და ზურგზე ხელი დამიტყაპუნა.

— ნუ დარდობ, — თქვა მან. — ნიშანი გამოჩნდება. მე ვიცი ეს, შენზე მეტი ძალა მაქვს.

თავისი სიტყვები სასაცილოდ მოეჩვენა. მუხლებზე ხელები დაირტყა და გადაიხარხარა.

დონ ხუანმა გადასაკიდი ჩანთა ზურგზე თოკით მიმამაგრა და მითხრა, რომ მისგან ერთი ნაბიჯით უკან უნდა მევლო და შეძლებისდაგვარად დამედგა ტერფები მის ნაფეხურებზე. მან ძალიან დრამატული ტონით წაიჩურჩულა:

— ესაა ძალაზე ლაშქრობა, ასე რომ ყველაფერი ითვლება.

თქვა, რომ თუ მის ნაკვალევს გავყვებოდი, ის ძალა, რომელსაც სიარულის დროს ფანტავდა, მე გადმომეცემოდა.

საათს შევხედე. საღამოს თერთმეტი საათი იყო. მან მაიძულა რომ ჯარისკაცივით გავმართულიყავი წელში, შემდეგ მარჯვენა ფეხი წინ გადამადგმევინა და ისე დამაყენა, თითქოს ეს-ესაა გადავდგი ნაბიჯი. ჩემ წინ ასეთივე პოზაში დადგა, შემდეგ კი წავიდა და თან გაიმეორა დარიგება, რომ რაც შეიძლება კარგად უნდა მევლო მის ნაფეხურებზე. მკაფიოდ მითხრა, რომ არაფერზე არ უნდა მეზრუნა და მხოლოდ იმაზე უნდა მეფიქრა, რომ ზუსტად მის ნაფეხურებზე დამებიჯებინა. არ უნდა მეცქირა არც წინ და არც გვერდებზე, არამედ მხოლოდ მიწაზე.

მშვიდი ნაბიჯებით გაემართა. საერთოდ არ გამჭირვებია, რომ მის კვალს გავყოლოდი. საკმაოდ მყარ გრუნტს მივუყვებოდით. 60 მეტრის მანძილზე ზუსტად ვადგამდი ტერფებს მის ნაფეხურებს. შემდეგ წამით გვერდზე გავიხედე და იმავე მომენტში შევეჯახე.

მას გაეცინა და დამარწმუნა, რომ სრულიად არ დამიზიანებია მისი ქუსლი, როცა ჩემი დიდი ჩექმებით დავაბიჯე მას, მაგრამ თუკი ასე განვაგრძობდი დაჯახებას, დილისთვის

რომელიღაც ჩვენგანი ხეიბარი იქნებოდა. სიცილით თქვა, რომ არ აპირებდა დასახიჩრებას ჩემი სისულელისა და კონცენტრაციის უუნარობის გამო, და თუ კიდევ ერთხელ დავაბიჯებდი, ფეხშიშველს მომიწევდა სიარული.

— მე არ შემიძლია ჩექმების გარეშე სიარული, — ვთქვი ხმამაღალი ხრინწიანი ხმით.

დონ ხუანი სიცილისგან ორად მოიკეცა, და ჩვენ ლოდინი მოგვიწია, სანამ სიცილს მორჩებოდა. მან კვლავ დამარწმუნა, რომ მართლა იმას გულისხმობდა, რაც თქვა.

— ჩვენ ვმოგზაურობთ, რომ ძალას შევეხოთ, ამიტომ ყველაფერი სრულყოფილი უნდა იყოს.

უდაბნოში ფეხსაცმელის გარეშე სიარულის პერსპექტივამ უზომოდ შემაშინა. დონ ხუანმა იხუმრა, რომ ჩემი ოჯახი ალბათ ფერმერების ის ტიპი უნდა ყოფილიყო, რომლებიც დაძინების დროსაც კი არ იხდიან თავიანთ ჩექმებს. რა თქმა უნდა, მართალი იყო. მე არასოდეს დავდიოდი ფეხშიშველი, და უდაბნოში ასე სიარული თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა ჩემთვის.

— ეს უდაბნო ძალას ასხივებს, — ჩამჩურჩულა ყურში დონ ხუანმა. — შიშის დრო არაა.

ჩვენ გზა განვაგრძეთ. დონ ხუანს ნელი ნაბიჯი ეჭირა, რაღაც დროის შემდეგ შევამჩნიე, რომ მყარი გრუნტიდან გადავედით და რბილ ქვიშაზე მივაბიჯებდით. დონ ხუანის ფეხები მასში იძირებოდნენ და ღრმა კვალს ტოვებდნენ.

რამდენიმე საათი მივდიოდით. ბოლოს დონ ხუანი შეჩერდა. უეცრად არ გაჩერებულა, არამედ გამაფრთხილა წინასწარ, რომ ჩერდებოდა, რათა არ დავჯახებოდი. ნიადაგი კვლავ მყარი იყო და მეჩვენებოდა, რომ ფერდობს მაღლა მივუყვებოდით.

დონ ხუანმა მითხრა, რომ თუ ბუჩქებში მინდოდა გავლა, უნდა გამეკეთებინა ეს, რადგანაც ამის შემდეგ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე აღარ გავჩერდებოდით. საათს შევხედე. ღამის პირველი იყო.

10-15–წუთიანი შესვენების შემდეგ დონ ხუანმა კვლავ დამაყენა საჭირო პოზიციაში და გზას შევუდექით. ის მართალი იყო. ეს გზის ყველაზე საშინელი მონაკვეთი აღმოჩნდა. არასოდეს გამიკეთებია მანამდე ისეთი რამ, რაც ასეთ კონცენტრაციას მოითხოვდა. დონ ხუანის ნაბიჯი ისეთი სწრაფი იყო, და დაძაბულობა იმისგან, რომ მის ყოველ ნაბიჯს ვადევნებდი თვალყურს იმ დონემდე გაიზარდა, რომ რაღაც მომენტში უკვე ვეღარ ვგრძნობდი, რომ მივდიოდი, უკვე ვეღარ ვგრძნობდი საკუთარ ფეხებს.

მეჩვენებოდა, რომ ჰაერში მივაბიჯებდი, და რაღაც ძალას მივყავდი წინ. ჩემი კონცენტრაცია იმდენად სრული იყო, რომ ვერ შევამჩნიე განათების თანდათანობითი ცვლილება. უეცრად გავაცნობიერე, რომ შემეძლო ჩემ წინ დონ ხუანის დანახვა. შემეძლო მისი ნაფეხურების დანახვა ნაცვლად იმისა, რომ წინასწარ გამომეცნო ისინი, როგორც ამას მთელი ღამის განმავლობაში ვაკეთებდი.

რაღაც მომენტში იგი უეცრად გვერდზე გადახტა, ჩემმა ინარციამ კი კიდევ ორმოცი მეტრი მატარა. როცა სიჩქარე დავაგდე, ფეხები დამისუსტდა და ამიკანკალდა, და ბოლოს მიწაზე დავვარდი.

დონ ხუანს შევხედე. იგი მშვიდად მიყურებდა. საერთოდ არ ჩანდა დაღლილი, მე კი ვქოშინებდი და ცივი ოფლი ღვარად მდიოდა.

დონ ხუანმა მწოლიარე მდგომარეობაში მაგორავა. ხელით მიმათრევდა. მითხრა, რომ თუ ძალების აღდგენა მინდოდა, თავით აღმოსავლეთისკენ უნდა დავწოლილიყავი. ნელ-ნელა მოვადუნე ჩემი ავადმყოფი სხეული. როგორც იქნა, მეყო ენერგია იმისთვის, რომ ავმდგარიყავი. მინდოდა საათი მენახა, მაგრამ მან ხელი შემიშალა იმით, რომ ხელი დამადო მაჯაზე. ძალიან რბილად შემაბრუნა სახით აღმოსავლეთისკენ და მითხრა, რომ არაფერში არ მჭირდება ეს დაწყევლილი ქრონომეტრი, რომ ჩვენ მაგიურ დროში ვიმყოფებოდით და ზუსტად უნდა გაგვეგო, შემეძლო თუ არა ძალაზე ნადირობა.

მივიხედ-მოვიხედე. ძალიან დიდი და მაღალი გორის მწვერვალზე ვიმყოფებოდით. მინდოდა რაღაც კიდისმაგვარის მიმართულებით წავსულიყავი და დამეთვალიერებინა, სად ვიყავით, მაგრამ დონ ხუანი წამოხტა და კვლავ მიწაზე დამაწვინა. მიბრძანა, რომ ადგილიდან არ დავძრულიყავი მანამ, სანამ მზე რაღაც სიმაღლეზე არ ამოვიდოდა მთათა შავი მწვერვალებიდან.

მან აღმოსავლეთისკენ მიმითითა და ჩემი ყურადღება ჰორიზონტის თავზე მძიმე ღრუბლების გროვას მიაპყრო. თქვა, რომ კარგი ნიშანი იქნებოდა, თუკი ქარი გაფანტავდა ღრუბლებს იმ დროისთვის, როცა მზის პირველი სხივები გაანათებდნენ ჩემს სხეულს გორის მწვერვალზე. თქვა, რომ მშვიდად ვმდგარიყავი, მარჯვენა ფეხი წინ გადამედგა, თითქოს მივდიოდი და ჰორიზონტისთვის მზერის ფოკუსირების გარეშე შემეხედა.

ფეხები ძალიან მქონდა დაჭიმული და კოჭები მტკიოდა. ეს ძალიან მოუხერხებელი პოზა იყო, და ფეხის კუნთებიც მეტისმეტად დაღლილი მქონდა. ვუძლებდი რამდენ ხანსაც შემეძლო. უკვე თითქმის ვეცემოდი. ჩემი ფეხები უნებლიედ კანკალებდნენ, და დონ ხუანმა ნება მომცა დავმჯდარიყავი.

ღრუბლების გროვა ადგილიდან არ დაძრულა, და ჩვენ არ გვინახავს ჰორიზონტზე ამომავალი მზე. დონ ხუანის ერთადერთი კომენტარი იყო: „ძალიან ცუდია“.

არ მინდოდა მაშინვე მეკითხა, რა გართულებები მოჰყვებოდა ჩემს წარუმატებლობას, მაგრამ ვიცნობდი რა დონ ხუანს, დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი თავისი ნიშნების მითითებებს მიჰყვებოდა, ამ დილით კი ნიშნები არ ყოფილა. ტკივილმა კოჭებში გამიარა, და კარგი განწყობა დამიბრუნდა. ადგილზე დავიწყე სირბილი, რათა კუნთები მომედუნებინა. დონ ხუანმა რბილად მითხრა, რომ გავქცეულიყავი მეზობელი გორაკისკენ, მომეკრიფა ცოტა ფოთლები განსაკუთრებული ბუჩქიდან და ფეხები დამეზილა, რომ კუნთის ტკივილისგან განვთავისუფლებულიყავი.

იმ ადგილიდან, სადაც ვიდექი, შემეძლო ძალზე მკაფიოდ დამენახა დიდი და წვნიანი მწვანე ბუჩქი. ადრეც მქონდა გამოყენებული ეს მცენარე, მაგრამ არასოდეს მიგრძვნია, რომ დამხმარებოდნენ, მაგრამ დონ ხუანმა დაიჟინა, რომ მართლა მეგობრული მცენარეების ზემოქმედება იმდენად შეუმჩნეველია, რომ ძლივს ამჩნევ. მაგრამ მათ ყოველთვის სასურველი შედეგი მოაქვთ.

გორიდან დავეშვი და მეზობელი გორისკენ გავიქეცი. როცა მწვერვალზე ვიყავი, შევამჩნიე, რომ დაძაბულობა თითქმის აუტანელი გახდა ჩემთვის. რაღაც დრო დამჭირდა, რომ სუნთქვა დამეწყნარებინა, და მუცელშიც მოუსვენრობა მქონდა. ჩავიმუხლე მანამ, სანამ არ

მოვდუნდი. შემდეგ ავდექი და ფოთლების დასაკრეფად გავემართე, მაგრამ ბუჩქს ვერ ვპოულობდი. მივიხედ-მოვიხედე. დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორ ადგილას ვიდექი, მაგრამ ამ გორის მთელ მწვერვალზე არაფერი იყო ისეთი, რაც ოდნავ მაინც მომაგონებდა საჭირო მცენარეს. არადა ეს ზუსტად ის ადგილი უნდა ყოფილიყო, რომელიც დავინახე. ნებისმიერი სხვა ადგილი ვერ მოხვდებოდა მხედველობის არეში იმ ადგილიდან, სადაც დონ ხუანი იდგა.

უარი ვთქვი ძიებაზე და უკან დავბრუნდი. დონ ხუანმა კეთილგანწყობით გამიღიმა, როცა ჩემი შეცდომა ავუხსენი.

—რატომ უწოდებ ამას შეცდომას? — მკითხა მან.

— კი, მაგრამ იქ ბუჩქი აშკარად არაა, — მივუგე მე.

— მაგრამ შენ ის დაინახე, ასე არაა?

— მომეჩვენა, რომ დავინახე.

— ახლა რას ხედავ იმ ადგილზე?

— არაფერს.

იმ ადგილზე, სადაც, როგორც მეგონა მცენარე დავინახე, საერთოდ არანაირი მცენარეულობა არ იყო. ვეცადე ეს ყველაფერი ამეხსნა, როგორც მხედველობითი აშლილობა, ერთგვარი მირაჟი. მართლაც დაღლილი ვიყავი, და დაღლილობის გამო ადვილად შემეძლო დამეჯერებინა, რომ ვხედავდი რაღაც ისეთს, რისი დანახვაც მინდოდა, მაგრამ სინამდვილეში იქ არაფერი იყო.

დონ ხუანმა რბილად გაიცინა და წამით შემომხედა.

— მე ვერანაირ შეცდომას ვერ ვხედავ, — თქვა მან. — მცენარე იქაა, გორკის თავზე.

ახლა ჩემი ჯერი მოვიდა, რომ გამეცინა. მთელი რაიონი ძალიან გულდასმით დავათვალიერე. არსად არ ყოფილა მსგავსი მცენარეები და რაც მანამდე დავინახე, მხოლოდ ჰალუცინაცია იყო იმ ყველაფრის მიხედვით, რაც ვიცოდი.

დონ ხუანმა ძალზე მშვიდად დაიწყო გორიდან დაშვება და მანიშნა, რომ გავყოლოდი. ერთად ავედით მეორე გორაზე და იქ გავჩერდით, სადაც ჩემი აზრით მცენარე დავინახე.

მეცინებოდა და სრულიად დარწმუნებულს, რომ მართალი ვიყავი. დონ ხუანიც ასევე იცინოდა.

— გორის მეორე მხარეს გადადი და მცენარეს იქ იპოვნი.

ვუთხარი, რომ მეორე მხარე ჩემი მხედველობის არეში არ იყო. რომ შესაძლოა იქ იყოს კიდეც მცენარე, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს.

დონ ხუანმა თავის მოძრაობით მანიშნა, რომ გავყოლოდი. გორის მწვერვალს შემოუარა ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ გადაევლო მასზე, და დრამატულად გაჩერდა მწვანე ბუჩქის წინ, ისე, რომ არც უყურებდა მას. შემობრუნდა და შემომხედა. ეს ძალიან გამჭოლი მზერა იყო.

— ამ მიდამოში ასობით ასეთი ბუჩქი იქნება, — ვუთხარი მე.

დონ ხუანი მოთმინებით დაეშვა ჩემთან ერთად გორის საწინააღმდეგო მხრიდან. ყველგან ვეძებდით ასეთივე ბუჩქს, მაგრამ იგი არსად არ ჩანდა. თითქმის მეოთხედი მილი გავიარეთ, სანამ მეორე ასეთ მცენარეს შევეჩეხებოდით. წამით ვიდექით იქ, შემდეგ კი მან კიდევ ერთ ექსკურსიაზე წამიყვანა მცენარის საძიებლად საწინააღმდეგო მიმართულებით. მთელი მიდამო მოვქექეთ და კიდევ ორი ბუჩქი ვიპოვეთ მთელი მილის მანძილზე. ისინი ერთად იზრდებოდნენ და გამოირჩეოდნენ, როგორც ინტენსიური სიმწვანის ლაქა, უფრო წვნიანი, ვიდრე გარშემომყოფი ბუჩქები.

დონ ხუანმა სერიოზული გამომეტყველებით შემომხედა. არ ვიცოდი, რა მეფიქრა ამაზე.

— ეს ძალიან უცნაური ნიშანია, — თქვა მან.

ჩვენ ფართო წრე გავაკეთეთ და გორის მწვერვალზე ისე დავბრუნდით, რომ ახალი მიმართულებიდან მივსულიყავით მასთან. იგი თითქოს განგებ მიდიოდა სხვა გზით, რათა დაემტკიცებინა ჩემთვის, რომ ამ მიდამოში იშვიათად გვხვდებოდა ეს მცენარე. გზაზე არცერთი მათგანი არ შეგვხვედრია. როცა მწვერვალს მივაღწიეთ, დავჯექით და სრულ მდუმარებას მივეცით თავი. დონ ხუანმა თავისი კასრები გახსნა.

— ჭამის შემდეგ უკეთ იგრძნობ თავს, — მითხრა მან.

ვერ მალავდა თავის კმაყოფილებას. გაცისკროვნებულად გაიღიმა და თავზე ხელით მომეფერა. თავს დეზორიენტირებულად ვგრძნობდი. მოვლენათა ახალი განვითარება მაღელვებდა, მაგრამ მეტისმეტად მშიერი და დაღლილი ვიყავი, რომ მართლა მეფიქრა ამაზე.

ჭამის შემდეგ ძალიან მომერია ძილი. დონ ხუანმა მითხრა, რომ გამომეყენებინა ფოკუსირების გარეშე ხედვის ტექნიკა იმისთვის, რომ ძილისთვის შესაფერისი ადგილი მეპოვნა იმ მწვერვალზე, სადაც ბუჩქი დავინახე.

შევარჩიე ასეთი ადგილი. მან ნაგავი მიყარ-მოყარა იქიდან და ჩემი სხეულის ზომის წრე გააკეთა მისით. ძალიან ფრთხილად მოგლიჯა რამდენიმე ტოტი ბუჩქებიდან და მათი საშუალებით წრის შიგნით ადგილი მოწმინდა. ფაქტიურად მიწას არც შეხებია ტოტებით. იგი მხოლოდ მოხვეტის მოძრაობებს აკეთებდა. შემდეგ ყველა ქვა მოაშორა მიწის ზედაპირიდან წრის შიგნით და ცენტრში დაალაგა ისინი, გულმოდგინედ დახარისხების შემდეგ, თანაბარი რაოდენობის ორ ჯგუფად.

— რას უშვრები ამ ქვებს? — ვკითხე მე.

— ეს ქვები არაა, — თქვა მან. — ეს სიმებია. ისინი შენს ადგილს დაკიდებულად შეინარჩუნებენ.

მან პატარა კენჭები აიღო და წრის გარშემო დაალაგა. თანაბარი ინტერვალებით ალაგებდა და ჯოხის მეშეობით ყოველი ქვა მჭიდროდ ჩაამაგრა მიწაში. ნება არ მომცა, რომ წრეში შევსულიყავი, და მითხრა, რომ მის გარშემო მევლო და თვალ-ყური მედევნებინა იმისთვის, რასაც აკეთებდა. მან თვრამეტი ცალი ქვა გადათვალა საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.

— ახლა გორის ძირთან გაიქეცი და დამელოდე, — თქვა მან. მე კი კიდესთან მივალ და შევხედავ, დგახარ თუ არა შესაფერის ადგილას.

— რის გაკეთებას აპირებ?

— ვაპირებ, რომ ყოველი ეს სიმი გადმოგიგდო, — თქვა მან და უფრო მსხვილ ქვებზე მიმითითა. — შენ კი მიწაში უნდა მოათავსო ისინი იმ ადგილას, სადაც გეტყვი, ზუსტად ისევე, როგორც მე გავაკეთე ეს.

უსასრულო ყურადღება უნდა გამოიჩინო. როცა ძალასთან გაქვს საქმე, სრულყოფილი უნდა იყო. შეცდომები აქ სასიკვდილოა. ამ ქვებიდან ყოველი სიმს წარმოადგენს. სიმს, რომელსაც ჩვენი მოკვლა შეუძლია, თუკი დაუმაგრებლად მივატოვებთ, ამიტომ უბრალოდ არ შეგიძლია არანაირი შეცდომის დაშვება. შენი დაჟინებული მზერა იმ ადგილზე უნდა შეაჩერო, სადაც სიმს ვისვრი. თუკი ოდნავ მაინც გაგექცევა ყურადღება, სიმი უბრალო ქვად იქცევა, და შენ ვეღარ გამოარჩევ მას ჩვეულებრივი ქვებისგან, რომლებიც გარშემო ყრია.

შევთავაზე, რომ უფრო ადვილი იქნებოდა, თუკი სათითაოდ გადავათრევდი „სიმებს“ გორის მისადგომთან. დონ ხუანს გაეცინა და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— ესენი სიმებია, — ამტკიცებდა იგი. — ამიტომ ჩემ მიერ უნდა იყოს ნასროლი და შენ მიერ – აღებული.

ამ ამოცანის შესრულებას რამდენიმე საათი დასჭირდა. ამასთან, კონცენტრაციის ხარისხი, რომელიც ამ ყველაფერს სჭირდებოდა, მტანჯველი იყო. დონ ხუანი ყოველ ჯერზე მახსენებდა, რომ ყურადღებით ვყოფილიყავი და ჩემი მზერის ფოკუსირება მომეხდინა. მართალი იყო, ამას რომ აკეთებდა. საჭირო ქვის აღება, მას შემდეგ, რაც იგი დაგორდებოდა და გზად სხვა ქვებსაც წამოიყოლიებდა, ჭკუიდან შემშლელი საქმე იყო. როცა ბოლომდე დავასრულე წრე და გორაზე ავედი, მეგონა, რომ სადაცაა მკვდარი დავეცემოდი. დონ ხუანმა რაღაც პატარა ტოტები აიღო და მათით წრე გააწყო. რამდენიმე ფოთოლი მომაწოდა და მითხრა, რომ შარვლის ქვეშ, მუცლის კანზე დამედო. მითხრა, რომ ისინი გამათბობდნენ და ზეწარი არ დამჭირდებოდა ძილის დროს. წრის შიგნიდან გავგორდი. ტოტები საწოლს საკმაოდ რბილს ხდიდა, და მომენტალურად ჩამეძინა.

დღის მეორე ნახევარი იყო, როცა გამეღვიძა. ქარი ქროდა და საავდროდ მოღრუბლულიყო, მაგრამ დასავლეთისკენ მოქუფრული ღუბლები თეთრდებოდნენ და თხელდებოდნენ, და მათ შორის დროდადრო მზეც გამოანათებდა ხოლმე.

ძილმა განმაახლა. გამოცოცხლებას და ბედნიერებას ვგრძნობდი. ქარი არ მაწუხებდა. საერთოდ არ მციოდა. თავი წამოვწიე და მივიხედ-მოვიხედე. მანამდე არ შემიმჩნევია, მაგრამ გორა საკმაოდ მაღალი იყო. ხედი, რომელიც დასავლეთისკენ იშლებოდა, შთამბეჭდავი იყო. მოჩანდა დაბალი გორების ფართო პანორამა, მათ უკან კი – უდაბნო. ჩრდილოეთისკენ და დასავლეთისკენ მუქი-ყავისფერი მთები აღმართულიყო, სამხრეთით კი — უსასრულო რაოდენობის გორაკები და დაბლობები, მათ მიღმა – ლურჯი მთები.

ჩამოვჯექი. დონ ხუანი არსად ჩანდა. შიშის უეცარი შემოტევა ვიგრძენი. ვიფიქრე, რომ შესაძლოა მარტო დამტოვა, მე კი არ ვიცი გზა უკან, ჩემი მანქანისკენ. ისევ დავწექი ჩემს ადგილზე და რაც არ უნდა უცნაური იყოს, შფოთვა გაქრა. კვლავ ვიგრძენი სიმშვიდე და ძალიან კარგი განწყობა. ჩემთვის ეს სრულიად ახალი შეგრძნება იყო. მეჩვენებოდა, რომ

ჩემი აზრები გამორთული იყო. ბედნიერი ვიყავი. თავს ჯანმრთელად ვგრძნობდი. ძალზე მშვიდი სიფხიზლე მავსებდა. დასავლეთიდან მსუბუქი ქარი ქროდა და მთელს ჩემს სხეულში გადიოდა ისე, რომ არ მაცივებდა. სახეზე და ყურების გარშემო ვგრძნობდი მას, როგორც თბილი წყლის ნაზ ტალღას, რომელიც მაბანავებდა, შემდეგ უკან იხევდა და კვლავ მაბანავებდა. ეს ძალიან უცნაური მდგომარეობა იყო და არანაირი პარალელი არ გააჩნდა ჩემს დატვირთულ და მოუწყობელ ცხოვრებასთან. ტირილი დავიწყე, არა სევდის ან საკუთარი თავისადმი სიბრალულის, არამედ რაღაც აუხსნელი სიხარულის გამო.

მინდოდა სამუდამოდ დავრჩენილიყავი ამ ადგილას, და შემეძლო ამის გაკეთება, დონ ხუანი რომ არ მოსულიყო.

— შენ საკმარისად დაისვენე, — თქვა მან და ადგილიდან წამომაგდო.

მან ძალიან მშვიდად გამასეირნა გორაკის შემოგარენში. ნელა და მდუმარედ მივდიოდით. როგორც ჩანს, იგი დაინტერესებული იყო იმაში, რომ ჩვენ გარშემო ლანდშაფტი დამეთვალიერებინა. თვალებისა და ნიკაპის მოძრაობით მიმითითა ღრუბლებისკენ და მთებისკენ.

დღის მეორე ნახევარში პეიზაჟი შესანიშნავი იყო. იგი ჩემში შიშისა და სასოწარკვეთილების გრძნობას აღვიძებდა და ბავშვობის სცენებს მაგონებდა.

ჩვენ გორაკის ყველაზე მაღალ წერტილზე, წაწვეტებული კლდის მწვერვალზე ავედით, მოხერხებულად ჩამოვჯექით, და ზურგით ქვებს მიყრდნობილები სამხრეთისკენ ვიყურებოდით. ხმელეთის უსასრულო განგრძობადობა სამხრეთისკენ ჭეშმარიტად დიდებული იყო.

— დააფიქსირე ეს ყველაფერი შენს მეხსიერებაში, — ყურში ჩამჩურჩულა დონ ხუანმა, — ეს ადგილი შენია. ამ დილით შენ „ხედავდი“, და ეს ნიშანი იყო. ეს ადგილი „ხედვის“ მეშვეობით იპოვნე. ნიშანი მოულოდნელი იყო, მაგრამ ის იყო. შენ ინადირებ ძალაზე, მიუხედავად იმისა, გინდა ეს, თუ არ გინდა. ეს არაა ადამიანური გადაწყვეტილება. იგი არც შენია და არც ჩემი.

ახლა, თუ სწორად ვიტყვით, ამ გორაკის მწვერვალი შენი ადგილია, შენი საყვარელი ადგილი. ყველაფერი, რაც შენ გარშემო იმყოფება, შენს ზრუნვას ექვემდებარება. გარშემო ყველაფერს უნდა მიხედო, და თავის მხრივ, ყველაფერი შენ მოგხედავს.

მე ხუმრობით ვკითხე, მართლა ყველაფერი ჩემი იყო თუ არა. მან ძალიან სერიოზული ტონით მიპასუხა — „კი“. გამეცინა და ვუთხარი, რომ რასაც ვაკეთებდით, მახსენებდა იმ ისტორიას, თუ როგორ დაიპყრეს ესპანელებმა ახალი სამყარო და მიწას თავიანთი მეფის სახელით იყოფდნენ. ჩვეულებრივ, ისინი მთის მწვერვალზე ადიოდნენ და თავისად აცხადებდნენ მთელ მიწას, რომლის დანახვაც შეეძლოთ რომელიმე მიმართულებით.

— ეს კარგი აზრია, — თქვა მან. — მე ვაპირებ, რომ მთელი მიწა მოგცე, რომელიც შეგიძლია დაინახო არა ერთი მიმართულებით, არამედ ყველგან, შენ გარშემო.

იგი წამოდგა და ხელი მოატარა მთელ წრეზე, რათა ეჩვენებინა.

— მთელი ეს მიწა — შენია, — თქვა მან.

მე ხმამაღლა გამეცინა. მას გაეღიმა და მკითხა:

— რატომაც არა? რატომ არ შემიძლია მთელი ამ მიწის შენთვის გადმოცემა?

— შენ არ ფლობ ამ მიწას, — ვუთხარი მე.

— მაშ, ესპანელებიც არ ფლობდნენ მას, მაგრამ იყოფდნენ და სხვებს გადასცემდნენ. ამიტომ, მე რატომ არ შემიძლია იგივე მეთოდით შენ გადმოგცე მფლობელობაში?

დაჟინებით ვუმზერდი და ვცდილობდი აღმომეჩინა, თუ რა იმალებოდა სინამდვილეში მისი ღიმილის მიღმა. მას სიცილის შემოტევა დაეწყო, და კინაღამ გადავარდა კლდიდან.

— მთელი ეს მიწა, რასაც ხედავ, შენია, — განაგრძო მან, თან ჯერ ისევ იღიმებოდა. — არა მოხმარებისთვის, არამედ იმისთვის, რომ დაიმახსოვრო. თუმცაღა ამ გორაკის მწვერვალი შენია, რომ სიცოცხლის ბოლომდე ისარგებლო მისით. მე ის მოგეცი იმიტომ, რომ თავად იპოვნე იგი. ის შენია. მიიღე.

მე ვიცინოდი, მაგრამ დონ ხუანი ძალიან სერიოზული ჩანდა. თუ გამოვრიცხავდით მის ვნებიან ღიმილს, მეჩვენებოდა, რომ მართლაც სჯეროდა, რომ შეეძლო ჩემთვის ამ გორის მწვერვალის გადმოცემა.

— რატომაც არა? — მკითხა მან, თითქოს ჩემს აზრებს კითხულობდა.

— მე ვიღებ მას, — ვუპასუხე ნახევრად ხუმრობით.

მისი ღიმილი გაქრა. შემომხედა და თვალები დააელმა.

— ყოველი ქვა და ყოველი ბუჩქი ამ გორაკზე, განსაკუთრებით მის მწვერვალზე, შენი მზრუნველობის ქვეშ იმყოფება, — თქვა მან. — ყოველი ჭიაყელა, რომელიც აქ ცხოვრობს, შენი მეგობარია. შენ შეგიძლია გამოიყენო ისინი, და მათ შეუძლიათ შენ გამოგიყენონ.

რამდენიმე წუთით ჩუმად ვიყავით. უჩვეულოდ ცოტა აზრი მომდიოდა. ბუნდოვნად ვგრძნობდი, რომ მისი განწყობის უეცარი ცვლილება გაფრთხილება იყო ჩემთვის, მაგრამ არ ვიყავი შეშინებული და აღელვებული. უბრალოდ აღარ მინდოდა საუბარი. სიტყვები რაღაცნაირად არაზუსტად მეჩვენებოდნენ, და მათი მნიშვნელობის დაკონკრეტება ძნელი იყო. არასოდეს მქონია ასეთი შეგრძნება საუბართან მიმართებაში, და როცა დავაფიქსირე ჩემი უჩვეულო განწყობა, მაშინვე ნაჩქარევად დავიწყე ლაპარაკი.

—კი, მაგრამ რა ვუყო ამ გორას, დონ ხუან?

— დააფიქსირე მისი ყოველი შტრიხი შენს მეხსიერებაში. ესაა ადგილი, სადაც მოხვალ ხოლმე სიზმარხილვებში. ესაა ადგილი, სადაც ძალებს შეხვდები, სადაც ოდესმე საიდუმლოებები გაგეხსნება. შენ ძალაზე ნადირობ, და ეს შენი ადგილია. ადგილი, სადაც შენს რესურსებს შეინახავ.

ახლა ამას არ აქვს შენთვის მნიშვნელობა, ამიტომ, დაე, რაღაც დროით ეს უაზრობად დარჩეს.

ჩვენ კლდიდან დავეშვით და მან მცირე თასისმაგვარ ჩაღრმავებასთან მიმიყვანა მწვერვალის დასავლეთ მხარეს. იქ დავჯექით და წავიხემსეთ.

უეჭველად, იყო რაღაც აუწერლად სასიამოვნო ჩემთვის ამ გორაკის მწვერვალზე. ჭამა, ისევე როგორც დასვენება, უცნობ და მთლიანად შთანთქმელ შეგრძნებებს მაძლევდნენ.

ჩამავალი მზის შუქი ლამაზ, თითქმის თაფლისფერ ელფერს იძლეოდა, და თითქოს გარშემო ყველაფერი ოქროსფრად იყო შეღებილი. მე ბოლომდე მივეცი თავი პეიზაჟით ტკბობას. ფიქრიც კი არ მინდოდა.

დონ ხუანი თითქმის ჩურჩულით დამელაპარაკა. მითხრა, რომ გარშემო ყოველი დეტალისთვის მედევნებინა თვალ-ყური, მიუხედავად იმისა, როგორ პატარად და ტრივიალურადაც არ უნდა მომჩვენებოდა იგი. განსაკუთრებით იმ ლანდშაფტის შტრიხებისთვის, რომელიც დასავლეთის მიმართულებით იშლებოდა. მან თქვა, რომ მზისთვის შემეხედა, მზერის ფოკუსირების გარეშე მანამდე, სანამ იგი ჰორიზონტიდან არ გაქრებოდა.

სინათლის უკანასკნელი წუთები, ზუსტად მანამდე, სანამ მზე დაბალი ღრუბლების ზეწრის მიღმა დაიმალებოდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით — დიდებულნი იყვნენ. მზემ თითქოს გადაწვა მიწა და დიდ კოცონად აქცია იგი. სახეზეც კი ვიგრძენი წითელი ელფერი.

— ადექი! — დამიყვირა დონ ხუანმა და ხელით ზემოთ ამწია. შემდეგ გადახტა ჩემგან და მბრძანებლური და სასწრაფო ტონით მითხრა, რომ მერბინა იმ ადგილზე, სადაც ვიდექი.

სანამ ერთ ადგილზე დავრბოდი, დავიწყე სითბოს შეგრძნება, რომელიც ჩემს სხეულს ავსებდა. ეს იყო რაღაც თაფლისმაგვარი სითბო. სასაზე და თვალის ბუდეების ზედა მხარეს ვგრძნობდი მას. მეჩვენებოდა, რომ ჩემი თავის ზედა ნაწილი ცივი ცეცხლით იწვოდა და თაფლისფერ სინათლეს ასხივებდა.

რაღაც ჩემ შიგნით მაიძულებდა, რომ უფრო სწრაფად მერბინა, როცა მზემ გაქრობა დაიწყო. რაღაც მომენტში მართლა ვიგრძენი, რომ ისეთი მსუბუქი გავხდი, რომ გაფრენა შემეძლო. დონ ხუანმა ძალიან მტკიცედ მომიჭირა ხელი მარჯვენა მაჯაზე. მისი ხელის ზეწოლით გამოწვეულმა შეგრძნებამ სიფხიზლისა და შეკრულობის გრძნობა დამიბრუნა. მიწაზე გავგორდი, და ისიც გვერდით მომიჯდა. რამდენიმეწუთიანი შესვენების შემდეგ მშვიდად წამოდგა, მხარზე ხელი დამიტყაპუნა და მანიშნა, რომ გავყოლოდი.

ჩვენ კვლავ მახვილი კლდის მწვერვალზე ავედით, სადაც მანამდე ვიჯექით. კლდე ცივი ქარისგან გვიცავდა. დონ ხუანმა დუმილი დაარღვია.

— ეს მშვენიერი ნიშანი იყო, — თქვა მან. — რა უცნაურია! ეს დღის ბოლოს მოხდა. ჩვენ ისეთი განსხვავებულები ვართ. შენ უფრო ღამის არსება ხარ. მე დილის ახალგაზრდა ბრწყინვალებას ვამჯობინებ, ან უფრო სწორად დილის მზის ბრწყინვალებას, რომელიც მეძებს, მაგრამ შენგან იგი იმალება. მეორე მხრივ, ჩამავალმა მზემ დაგბანა. მისმა ალმა მოგიცვა და არ დაგწვა. რა უცნაურია!

— რატომაა უცნაური?

— არასოდეს მინახავს, რომ ასე მომხდარიყოს. ნიშანი, როცა მას ადგილი აქვს, ყოველთვის ახალგაზრდა მზის საუფლოში ხდება.

— რატომაა ეს ასე, დონ ხუან?

— ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არაა, — მომიჭრა მან. — ცოდნა — ეს ძალაა. დიდი დროა საჭირო იმდენი ძალის დასაგროვებლად, რომ თუნდაც გელაპარაკო მასზე.

კვლავ ვეცადე, რომ აეხსნა, მაგრამ მან მკვეთრად შეცვალა თემა. მკითხა ჩემი პროგრესის შესახებ „სიზმარხილვებში“.

მე დავიწყე სიზმრების ნახვა სხვადასხვა ადგილებზე, როგორიცაა, მაგალითად, უნივერსიტეტი ან რამდენიმე მეგობრის სახლი.

— ამ ადგილებში დღისით იყავი თუ ღამით? — მკითხა მან.

ჩემი სიზმრები დღის დროს შეესაბამებოდნენ. ანუ იმ დროს, როცა ამ ადგილების მონახულებას ვიყავი მიჩვეული: უნივერსიტეტში დღის პერიოდში, ხოლო მეგობრების სახლში — საღამოობით.

მან შემომთავაზა, რომ მეცადა სიზმარხილვის შესრულება დღის მოკლე ძილის დროს, და მენახა, შემეძლო თუ არა მართლა მომეხდინა არჩეული ადგილის ვიზუალიზაცია, როგორც იმ დროს, როცა „სიზმარხილვები“ მქონდა. თუ „სიზმარხილვები“ ღამით ხდებოდა, მაშინ ადგილის ჩემი ხედვა ღამის დროს უნდა მიკუთვნებოდა. მან მითხრა, რომ რასაც „სიზმარხილვის“ დროს განიცდი, დღის იმ პერიოდს უნდა შეესაბამებოდეს, როცა „სიზმარხილვას“ ადგილი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენებები იქნება არა „სიზმარხილვები“, არამედ ჩვეულებრივი სიზმრები.

— იმისთვის, რომ საკუთარ თავს დაეხმარო, უნდა აირჩიო განსაკუთრებული საგანი, რომელიც იმ ადგილს განეკუთვნება, სადაც გინდა გამგზავრება, და მასზე უნდა მოახდინო ყურადღების ფოკუსირება, — განაგრძო მან. — აქ, ამ მწვერვალზე, მაგალითად, შენ გაქვს განსაკუთრებული ბუჩქი, რომელსაც შეგიძლია დააკვირდე, სანამ მეხსიერებაში ადგილი გაქვს მისთვის. შეგიძლია აქ სიზმარხილვის დროს დაბრუნდე, უბრალოდ იმით, რომ გაიხსენო ეს ბუჩქი ან ეს კლდე, სადაც ვზივართ, ან ნებისმიერი სხვა საგანი აქ. სიზმარხილვის დროს მოგზაურობა უფრო ადვილია, თუ ყურადღების ფოკუსირებას ძალის ადგილზე მოახდენ, ისეთზე, როგორიც ეს ადგილია. მაგრამ თუ აქ არ გინდა მოსვლა, შეგიძლია ნებისმიერი სხვა ადგილი აირჩიო. შესაძლოა უნივერსიტეტი, სადაც შენ დადიხარ, ძალის ადგილს წარმოადგენს შენთვის. გამოიყენე იგი. მოახდინე ყურადღების კონცენტრირება ნებისმიერ საგანზე იქ და შემდეგ იპოვე იგი სიზმარხილვაში.

ამ განსაკუთრებული საგნიდან, რომელსაც გაიხსენებ, შენს ხელებს უნდა დაუბრუნდე, შემდეგ სხვა საგანს და ა.შ.

მაგრამ ახლა შენი ყურადღების ფოკუსირება ყველაფერზე უნდა მოახდინო, რაც ამ გორაზე იმყოფება, რადგანაც ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია შენს ცხოვრებაში.

მან შემომხედა, თითქოს თავისი სიტყვების ეფექტს ამოწმებდა.

— ესაა ადგილი, სადაც მოკვდები, — თქვა მან რბილი ხმით.

მე ნერვიულად შევიშმუშნე და მდგომარეობა შევიცვალე, და მას გაეღიმა.

— მე შენთან ერთად მოვალ ხოლმე ამ მწვერვალზე კვლავ და კვლავ, — თქვა მან. — შემდეგ კი თავად უნდა მოხვიდე აქ, სანამ მისით არ გაიჟღინთები. მანამ, სანამ მწვერვალი

ბოლომდე არ აგავსებს. გეცოდინება ის დრო, როცა მწვერვალი აგავსებს. მაშინ ამ გორაკის მწვერვალი შენი უკანასკნელი ცეკვის ადგილი გახდება.

— რას გულისხმობ ჩემს უკანასკნელ ცეკვაში, დონ ხუან?

— ეს შენი უკანასკნელი ნავთსაყუდელი ადგილია, — თქვა მან. — შენ აქ მოკვდები, მიუხედავად იმისა, სად იქნები. ყოველ მეომარს აქვს ადგილი, რათა მოკვდეს. ადგილი, რომელიც გაჟღენთილია დაუვიწყარი მოგონებებით, სადაც მძლავრმა მოგონებებმა თავისი კვალი დაუტოვეს. ადგილი, სადაც იგი სასწაულების მოწმე იყო, სადაც საიდუმლოებები გაეხსნა, ადგილი, სადაც იგი თავის პირად ძალას ინახავდა.

მეომარს აქვს ვალდებულება, დაუბრუნდეს იმ ადგილს ყოველთვის, როცა ძალას შეეხება, რათა აქ შეინახოს იგი. იგი ან ფეხით მიდის იქ, ან სიზმარხილვის მეშვეობით.

და ერთხელაც, როცა მისი დრო დედამიწაზე ამოიწურება, და ის იგრძნობს, რომ სიკვდილმა მარცხენა მხარზე ხელი დაადო, მისი სული, რომელიც ყოველთვის მზადაა, თავისი წინასწარგანწყობის ადგილას მიდის, და იქ მეომარი თავისი სიკვდილისთვის ცეკვავს.

ყოველ მეომარს აქვს ძალის სპეციალური პოზა, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ავითარებს. ეს ერთგვარი ცეკვაა. მოძრაობა, რომელსაც თავისი პირადი ძალის გავლენით ასრულებს.

თუ მომაკვდავ მეომარს შეზღუდული ძალა აქვს, მაშინ მისი ცეკვა ხანმოკლეა, თუ მისი ძალა გრანდიოზულია, მისი ცეკვა დიდებულია. მაგრამ მიუხედავად იმისა, მცირეა მისი ძალა თუ დიდი, სიკვდილი უნდა გაჩერდეს და მოწმე იყოს მისი უკანასკნელი ნავთსაყუდელისა მიწაზე. სიკვდილს არ შეუძლია მეომრის დაძლევა, სანამ იგი თავის ცეკვას არ დაასრულებს.

დონ ხუანის სიტყვებზე ტანში გამცრა. სიჩუმე, მწუხრი, დიდებული პეიზაჟი, თითქოს ყველაფერი მოთავსებული იყო აქ, როგორც მეომრის ბოლო ძალის ცეკვის ილუსტრაცია.

—იქნებ მასწავლო ეს ცეკვა, თუმცა მეომარი არ ვარ? — ვკითხე მე.

— ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც ძალაზე ნადირობს, უნდა იცოდეს ეს ცეკვა, — თქვა მან. — თუმცაღა მე არ შემიძლია, რომ ახლა გასწავლო იგი. მალე ღირსეული მოწინააღმდეგე გეყოლება, და მაშინ ძალის პირველ მოძრაობებს გაჩვენებ. შემდეგ თავად უნდა დაამატო სხვა მოძრაობები მთელი ცხოვრების განმავლობაში. ყოველი ახალი მოძრაობა მიღწეულ უნდა იქნას ძალის ორთაბრძოლაში, ამიტომ, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, პოზა, მეომრის ფორმა, მისი ცხოვრების ისტორიას წარმოადგენს, ცეკვას, რომელიც მისი პირადი ძალის ზრდასთან ერთად იზრდება.

— და სიკვდილი მართლა გაჩერდება იმისთვის, რომ მეომრის უკანასკნელ ცეკვას შეხედოს?

— მეომარი მხოლოდ ადამიანია, თვინიერი ადამიანი. მას არ შეუძლია თავისი სიკვდილის გეგმების შეცვლა, მაგრამ მის დაუმარცხებელ სულს, რომელმაც ძალა დააგროვა საოცარი სირთულეების შემდეგ, მართლაც შეუძლია რაღაც დროით სიკვდილის შეჩერება. საკმარისად ხანგრძლივი დროით, რომ შეძლოს უკანასკნელად გაახაროს საკუთარი თავი

თავისი ძალის გამოყენებით. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ის შეთანხმებაა, რომელიც სიკვდილს დაუმარცხებელი სულის ადამიანებთან აკავშირებს.

საოცარმა ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და უბრალოდ იმისთვის ვსაუბრობდი, რომ დამეკმაყოფილებინა იგი. ვკითხე, იცნობდა თუ არა მეომრებს, რომლებიც მოკვდნენ, და რა სახის გავლენა მოახდინა მათმა ბოლო ცეკვამ მათ სიკვდილზე.

— თავიდან ამოიგდე ეს, — თქვა მან მშრალად. — სიკვდილი — ეს მონუმენტალური საქმეა. ეს უფრო მეტია, ვიდრე ფეხების გაფართხალება და გაშეშება.

— მეც ვიცეკვებ სიკვდილამდე, დონ ხუან?

— აუცილებლად. შენ ნადირობ პირად ძალაზე მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ ცხოვრობ, როგორც მეომარი. დღეს მზემ თავისი ნიშანი მოგცა. საუკეთესო, რასაც შენი ცხოვრების სამუშაოში გააკეთებ, დღის ბოლოს იქნება გაკეთებული. აშკარაა, რომ არ გიყვარს ადრეული სინათლის ახალგაზრდა ბრწყინვალება. დილის მოგზაურობ არ გიხმობს. შენს ჩაის ჭიქას ჩამავალი მზე წარმოადგენს, მოხუცი, მოყვითალო და დნობადი. შენ არ გიყვარს სიცხე. შენ სითბო გიყვარს.

ამიტომ შენი სიკვდილის წინაშე აქ, ამ გორაკის მწვერვალზე იცეკვებ, მწუხრის ჟამს, და შენს ბოლო ცეკვაში მოყვები შენს ბრძოლებზე, იმ ორთაბრძოლებზე, რომლებშიც გაიმარჯვე, და იმათზეც, რომლებშიც დამარცხდი. მოყვები შენს პირად ძალასთან შეხვედრით გამოწვეულ სიხარულსა და გაოგნებაზე. ეს ცეკვა მოყვება საიდუმლოებებსა და სასწაულებზე, რომლებიც დააგროვე. შენი სიკვდილი კი აქ იჯდება და თვალყურს გადევნებს.

ჩამავალი მზე მოგეფინება ისე, რომ არ დაგწვავს, როგორც ეს დღეს მოხდა. ქარი რბილი იქნება და ეს მწვერვალი იზანზარებს. როცა შენი ცეკვის დასასრულს მიუახლოვდები, მზეს შეხედავ, რადგანაც ამის შემდეგ ვერასოდეს იხილავ მას ვერც სიფხიზლეში და ვერც სიზმარხილვებში. შემდეგ კი შენი სიკვდილი სამხრეთისკენ, მარადისობისკენ მიგითითებს.

14. ძალის სირბილი

შაბათი, 1962 წლის 8 აპრილი.

— სიკვდილი ეს პიროვნებაა, დონ ხუან? — ვკითხე მე, როგორც კი ვერანდაზე ჩამოვჯექი.

დონ ხუანის მზერაში განცვიფრების ელფერი გამოსჭვიოდა. მას ხელში პროდუქტებით სავსე ტომარა ეკავა, რომელიც მე მივუტანე. ფრთხილად დადო იატაკზე და ჩემ წინ დაჯდა. თავი მხნედ ვიგრძენი და ავუხსენი ჩემი კითხვა, პიროვნებაა სიკვდილი, თუ რაღაც პიროვნების მაგვარია, როცა მეომრის ცეკვას უყურებს.

— რა მნიშვნელობა აქვს შენთვის? — მკითხა დონ ხუანმა.

ვუთხარი, რომ ეს სურათი ძალიან შთამბეჭდავი იყო ჩემთვის, და მომინდა გამეგო, რა სახით მივიდა მასთან. საიდან გაიგო, რომ ეს ასეა.

— ყველაფერი ძალიან მარტივია, — თქვა მან. —ცოდნის ადამიანმა იცის, რომ სიკვდილი უკანასკნელი მოწმეა, რადგანაც იგი ხედავს.

— გინდა თქვა, რომ თავად გინახავს მეომრის უკანასკნელი ცეკვა?

— არა, შეუძლებელია იყო ამის მოწმე. ეს მხოლოდ სიკვდილს შეუძლია. მაგრამ მე ვხედავდი, როგორ მადევნებდა თვალყურს ჩემი საკუთარი სიკვდილი, და მე ვცეკვავდი მისთვის, თითქოს ვკვდებოდი. ჩემი ცეკვის ბოლოს სიკვდილმა არ მიმითითა არცერთი მიმართულებით, და ჩემი წინასწარი მდებარეობის ადგილი არ ზანზარებდა ჩემთან გამომშვიდობების ნიშნად. ასე რომ, ჩემი დრო დედამიწაზე ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული, და არ მოვკვდი. როცა ამ ყველაფერს ადგილი ჰქონდა, შეზღუდული ძალა მქონდა, და ვერ ვხვდებოდი ჩემი საკუთარი სიკვდილის გეგმებს, ამიტომ ვთვლიდი, რომ ვკვდებოდი.

— ჰგავდა თუ არა შენი სიკვდილი პიროვნებას?

— სასაცილო ვინმე ხარ. ფიქრობ, რომ კითხვების დასმით შეგიძლია ამის გაგება? არა მგონია, რომ გაიგო, მაგრამ ვინ ვარ მე, რომ ვილაპარაკო?

სიკვდილი არ ჰგავს პიროვნებას, ეს უფრო თანმყოფობას ჰგავს. მაგრამ ასევე შეიძლება ითქვას, რომ ეს არაფერია, და ამავდროულდ ყველაფერი. ისიც მართალი იქნება და ესეც. სიკვდილი ყველაფერია — რაც გინდა.

მე კარგად ვარ ადამიანებთან, ამიტომ ჩემთვის სიკვდილი პიროვნებაა. ასევე მიდრეკილი ვარ მისტიკისკენ, ამიტომ ჩემთვის სიკვდილს ცარიელი თვალები აქვს. მე შემიძლია მათ მიღმა დავინახო. ისინი ფანჯრებს ჰგვანან, მაგრამ ამავდროულდ მოძრაობენ, როგორც თვალები. ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ სიკვდილი თავისი ცარიელი თვალებით უყურებს, სანამ მეომარი თავის უკანასკნელ ცეკვას ასრულებს მიწაზე.

— მაგრამ ეს მხოლოდ შენთვისაა ასე, დონ ხუან? თუ ყოველი მეომრისთვის ასევეა?

— ეს ზუსტად ასევეა ყველა მეომრისთვის, რომელსაც ძალის ცეკვა გააჩნია, და ამავე დროს ეს ასე არაა. სიკვდილი თვალყურს ადევნებს მეომრის უკნასკნელ ცეკვას, მაგრამ ის, თუ როგორ ხედავს მეომარი თავის სიკვდილს, მისი პირადი საქმეა. იგი შეიძლება ნებისმიერი რამ იყოს. ფრინველი, სინათლე, პიროვნება, ბუჩქი ან უცნობი თანმყოფობა.

დონ ხუანის მიერ დახატული სიკვდილის სურათებმა ამაღელვეს. სათანადო სიტყვებს ვერ ვპოულობდი, რომ ჩემი კითხვები დამესვა, და გავჩუმდი. იგი ღიმილით მიყურებდა და მარწმუნებდა, რომ ლაპარაკი განმეგრძო.

ვკითხე, არის თუ რა ის, თუ როგორ ხედავს მეომარი თავის სიკვდილს, დამოკიდებული პირობებზე, რომელშიც იგი გაიზარდა. მაგალითად მოვიყვანე იუმას და იაკის ტომის ინდიელები. ჩემი საკუთარი აზრი ის იყო, რომ კულტურა განსაზღვრავდა მანერას, რომლითაც სიკვდილს ხედავდნენ.

— არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, სად გაიზარდა ადამიანი, — თქვა მან. — იმის განმსაზღვრელი, თუ როგორ აკეთებს ადამიანი რაიმეს, პირადი ძალაა. ადამიანი მხოლოდ თავისი პირადი ძალის ჯამს წარმოადგენს. და ეს ძალა განსაზღვრავს, როგორ ცხოვრობს იგი, და როგორ მოკვდება.

— რა არის პირადი ძალა?

— პირადი ძალა — ესაა გრძნობა, — თქვა მან. — რაღაც წარმტებისმაგვარი. ან შეგვიძლია ამას განწყობა დავარქვათ. პირადი ძალა ეს რაღაც ისეთია, რასაც მოიპოვებ მიუხედავად შენი წარმოშობისა. უკვე გითხარი, რომ მეომარი ძალაზე მონადირეა, და რომ გასწავლი, როგორ ინადირო მასზე და შეინახო იგი. სირთულე შენთან იგივეა, რაც ყველა ჩვენგანთან. ეს სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ დაგარწმუნო. შენ უნდა გჯეროდეს, რომ პირადი ძალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, და რომ მისი შენახვა შესაძლებელია, მაგრამ აქამდე შენ არ ყოფილხარ ამაში დარწმუნებული.

მე ვუთხარი, რომ მან დაამტკიცა თავისი თვალსაზრისი, და რომ მე იმდენად ვარ დარწმუნებული, რამდენადაც საერთოდ შემიძლია, დარწმუნებული ვიყო. მას გაეცინა.

— ეს ის დარწმუნების ტიპი არაა, რაზეც მე ვსაუბრობ, — თქვა მან.

მან ორი-სამჯერ სიცილით შემომიტყაპუნა მხარზე.

— ჩემი გაცინება საჭირო არაა, ხომ იცი.

თავი ვალდებულად ვიგრძენი, დამერწმუნებინა, რომ სერიოზულდ ვლპარაკობდი.

— ეჭვიც არ მეპარება ამაში, — თქვა მან. — მაგრამ იყო დარწმუნებული, ნიშნავს, რომ თავად შეგიძლია მოქმედება. შენგან ჯერ კიდევ უზარმაზარი ძალისხმევა იქნება საჭირო იმისთვის, რომ ეს გააკეთო. ბევრად მეტი ჯერ კიდევ გასაკეთებელი გაქვს. შენ ჯერ მხოლოდ დაიწყე.

წამით იგი მშვიდად იყო. მისმა სახემ გაყინული გამომეტყველება მიიღო.

— სასაცილოა, ხანდახან როგორ მაგონებ ჩემ თავს, — განაგრძო მან. — მეც არ მინდოდა მეომრის გზის არჩევა. ვთვლიდი, რომ ეს ყველაფერი არაფრის მომცემი იყო, და რადგანაც ყველანი ასე თუ ისე მოვკვდებით, რა მნიშვნელობა აქვს — იქნები თუ არა მეომარი. მე ვცდებოდი. მაგრამ ამას თავად უნდა მივმხვდარიყავი. როგორც კი გაიგებ, რომ ცდები და აქ სხვაობა მთელი სამყაროა, მხოლოდ მაშინ შეძლებ თქვა, რომ დარწმუნებული ხარ. და მაშინ შეძლებ, რომ დამოუკიდებლად იარო. და დამოუკიდებლად იმასაც კი შეძლებ, რომ ცოდნის ადამიანი გახდე.

ვთხოვე, რომ განემარტა, რას გულისხმობდა „ცოდნის ადამიანში“.

— ცოდნის ადამიანი — ეს ისაა, ვინც სწორად გაიარა სწავლის სირთულეები, — თქვა მან. — ადამიანი, რომელიც აჩქარების და ზოზინის გარეშე წავიდა იმდენად შორს, რამდენადაც შეეძლო, პირადი ძალის საიდუმლოებების გახსნაში.

მან მოკლედ ახსნა ეს კონცეფცია, შემდეგ კი შეცვალა საუბრის თემა და თქვა, რომ მე მხოლოდ იმაზე უნდა ვიზრუნო, თუ როგორ შევინარჩუნო პირადი ძალა.

— მაგრამ ეს სრულიად გაუგებარია, — გავაპროტესტე მე. — მე მართლა არ შემიძლია წარმოვიდგინო, საით მიგყავს ეს ყველაფერი.

— ძალაზე ნადირობა — საინტერესო მოვლენაა, — თქვა მან. — თავდაპირველად იგი იდეა უნდა იყოს, შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დადგინდეს, შემდეგ კი — ბრახ! — იგი ხდება.

— როგორ ხდება?

დონ ხუანი წამოდგა. მან ხელები გაიწვდინა და ზურგი კატასავით გამოზნიქა. მისმა ძვლებმა ჩვეულებისამებრ მსხვრევადი ხმების სერია გამოსცეს.

— წავედით, — თქვა მან. — წინ ხანგრძლივი მოგზაურობა გველის.

— მაგრამ ჯერ იმდენი რამე მინდა გკითხო, — ვუთხარი მე.

— ჩვენ ძალის ადგილზე მივდივართ, — თქვა მან სახლში შესვლისას. — რატომ არ ინახავ შენს კითხვებს იქ მისვლამდე? იქაც მოგვეცემა საუბრის საშუალება.

ვფიქრობდი, რომ წავიდოდით, ამიტომ წამოვდექი და მანქანასთან მივედი, მაგრამ დონ ხუანმა სახლიდან დამიძახა და მითხრა, რომ ჩემი კასრებიანი ბადე ამეღო. იგი სახლის უკან მელოდა, უდაბნოს ჩაპარალის კიდესთან.

— უნდა ვიჩქაროთ, — თქვა მან.

სიერა მადრეს მთების დაბალ ფერდობებს დაახლოებით დღის სამი საათისთვის მივადექით. თბილი დღე იყო, მაგრამ დღის მეორე ნახევარში ქარი უფრო ცივი გახდა. დონ ხუანი ქვაზე ჩამოჯდა და მანიშნა, რომ მეც იგივე გამეკეთებინა.

— ამჯერად რას ვაპირებთ, დონ ხუან?

— ძალიან კარგად იცი, რომ აქ ძალაზე სანადიროდ ვართ მოსულები.

— ეს ვიცი. მაგრამ კონკრეტულად რის გაკეთებას ვაპირებთ აქ?

— შენ იცი, რომ მე პატარა იდეაც კი არ მაქვს.

— გინდა თქვა, რომ არასოდეს მიჰყვები რაიმე განსაზღვრულ გეგმას?

— ძალაზე ნადირობა — ეს ძალიან სერიოზული საქმეა, — თქვა მან. — არ არსებობს მისი წინასწარ დაგეგმვის არანაირი საშუალება. სწორედ ესაა მასში საინტერესო. მიუხედავად ამისა, მეომარი მოქმედებს ისე, თითქოს მას გეგმა ჰქონდეს, რადგანაც თავის პირად ძალას ენდობა. მან ზუსტად იცის, რომ იგი, რაც შეიძლება საუკეთესო გზით მოქმედებას აიძულებს.

ვუთხარი, რომ მისი სიტყვები რაღაც კუთხით ურთიერთგამომრიცხავი იყო. თუ მეომარს უკვე გააჩნია პირადი ძალა, მაშინ რატომ უნდა ინადიროს მასზე?

დონ ხუანმა წარბები ასწია და აშკარა ზიზღის ჟესტი გამოსახა.

— შენ ხარ ადამიანი, რომელიც ძალაზე ნადირობს, — თქვა მან. — მე კი მეომარი ვარ, რომელსაც იგი უკვე გააჩნია. შენ მკითხე, მქონდა თუ არა გეგმა. და მე გითხარი, რომ საკუთარ პირად ძალას ვენდობი იმაში, რომ მან მიხელმძღვანელოს, და რომ არ მჭირდება გეგმა.

ორივენი გავჩუმდით, შემდეგ კი გზა განვაგრძეთ. ფერდობები ძალიან ციცაბო იყო და მათზე ასვლა ფრიად რთული და დამღლელი აღმოჩნდა ჩემთვის. მეორე მხრივ, მეჩვენებოდა, რომ დონ ხუანის ამტანობას საზღვარი არ ჰქონდა. იგი არ მირბოდა და არ

ჩქარობდა, მისი სიარული სტაბილური და დაუღალავი იყო. შევამჩნიე, რომ ოფლიც კი არ გამოსვლია, მას შემდეგაც კი, რაც უზარმაზარ, თითქმის ვერტიკალურ აღმართზე ავიდა. როცა მწვერვალს მივაღწიე, დონ ხუანი უკვე იქ იყო და მელოდებოდა. როცა მის გვერდით ჩამოვჯექი, ვიგრძენი, რომ ჩემი გული მზად იყო გაგლეჯილიყო და საგულედან ამომხტარიყო. ზურგზე წამოვწექი და ოფლი ღვარად წამომივიდა წარბებზე.

დონ ხუანმა გადაიხარხარა და რაღაც პერიოდი აქეთ-იქით დამათრევდა. ამ მოძრაობამ სუნთქვის აღდგენის საშუალება მომცა. ვუთხარი, რომ უბრალოდ შეშინებული ვარ მისი ფიზიკური ენერგიის გამო.

— მე გამუდმებით ვცდილობდი, რომ შენი ყურადღება მიმეპყრო ამისკენ, — თქვა მან.

— შენ სრულიად არ ხარ მოხუცებული, დონ ხუან!

— რა თქმა უნდა, არა, და მინდოდა შეგემჩნია ეს.

— როგორ აკეთებ ამას?

— მე არაფერს არ ვაკეთებ. ჩემი სხეული შესანიშნავად გრძნობს თავს, სულ ესაა. კარგად ვუვლი საკუთარ თავს და არანაირი მიზეზი არ მაქვს, რომ დაღლილად ან ავადმყოფად ვიგრძნო თავი. საიდუმლო სულაც არაა იმაში, თუ რას უშვრები საკუთარ თავს, არამედ უფრო იმაში, თუ რას არ უშვრები.

მე განმარტებას ველოდი. როგორც ჩანს, იგი ხვდებოდა, რომ ვერ ვგებულობდი. მცოდნედ გაიღიმა და წამოდგა.

— ეს ძალის ადგილია, — თქვა მან. — ვიპოვოთ ადგილი ამ მწვერვალზე დასაბანაკებლად.

მე გავაპროტესტე. მინდოდა, რომ აეხსნა, თუ რა არ უნდა გამეკეთებინა ჩემი სხეულისთვის. მან ბრძანების ჟესტი გააკეთა.

— შეწყვიტე ლაყბობა, — თქვა რბილად. — ამჯერად უბრალოდ იმოქმედე მრავალფეროვნებისთვის. დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი დრო დაგჭირდება დასვენებისთვის ხელსაყრელი ადგილის მოსაძებნად. შესაძლოა, ამაზე მთელი ღამე დაგეხარჯოს. ასევე არ აქვს მნიშვნელობა, იპოვნი თუ არა ამ ადგილს. მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ შენ შეეცდები მის პოვნას.

მე ჩემი ბლოკნოტი გადავდე და წამოვდექი. დონ ხუანმა შემახსენა, როგორც უამრავჯერ შეუხსენებია მაშინ, როცა დასასვენებელი ადგილი უნდა მეპოვნა, რომ უნდა მეყურებინა რაიმე კონკრეტულ ადგილზე მზერის ფოკუსირების გარეშე, თვალების დაელმებით მანამ, სანამ საგნები არ გაიდღაბნებოდა.

მე ნახევრადდახუჭული თვალებით დავიწყე ძებნა. დონ ხუანი რამდენიმე ფუტით უკან და მარჯვნივ მომყვებოდა. თავიდან გორის მწვერვალის მთელი პერიფერია გადავქექე. ჩემი მიზანი იყო სპირალურად მიმეღწია მწვერვალისთვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთი წრე დავამთავრე, დონ ხუანმა შემაჩერა. თქვა, რომ მე საშუალებას ვაძლევდი ჩემი დღის განრიგისადმი მიდრეკილებას, რომ გაემარჯვა ჩემზე. სარკაზმით დაამატა, რომ ალბათ ასე, ამ მეთოდით, სისტემატიურად მთელ ამ რაიონს მოვიცავდი, მაგრამ ვერ შევძლებდი

საჭირო ადგილის შეგრძნებას. დაამატა, რომ თვითონ იცის ამ ადგილის მდებარეობა, ამიტომ მე არანაირი იმპროვიზაციის შანსი აღარ მრჩებოდა.

— რა უნდა გავაკეთო ამის ნაცვლად? — ვკითხე მე.

დონ ხუანმა მაიძულა, დავმჯდარიყავი. შემდეგ რამდენიმე სხვადასხვა ბუჩქიდან თითო ფოთოლი მოგლიჯა და მე გამომიწოდა. მიბრძანა, რომ ზურგზე დავწოლილიყავი, ქამარი შემეხსნა და ფოთლები მუცლის კანზე დამელაგებინა. იგი აკვირდებოდა ჩემს მოქმედებებს და მიმითითა, რომ ორივე ხელით მჭიდროდ მიმებჯინა ფოთლები სხეულზე. შემდეგ თვალები დამახუჭინა და გამაფრთხილა, რომ თუ სრულყოფილი შედეგები მინდოდა, არც ფოთლები უნდა გამეშვა ხელიდან, არც თვალები გამეხილა და არც წამოჯდომა მეცადა იმ დროს, როცა იგი ჩემს სხეულს ძალის მდგომარეობაში მოიყვანდა.

მან მარჯვენა იღლიის ქვეშ მომკიდა ხელი და შემატრიალა. გადაულახავი სურვილი მქონდა, რომ ნახევრადდახუჭული ქუთუთოებიდან გამეჭყიტა, მაგრამ დონ ხუანმა თვალებზე ხელისგული დამადო. მან მიბრძანა, რომ ყურადღების კონცენტრაცია მხოლოდ სითბოს იმ შეგრძნებაზე მომეხდინა, რომელიც ფოთლებიდან მოდიოდა.

წამით გაუნძრევლად ვიწექი, შემდეგ კი ფოთლებიდან მომავალი უცნაური სითბო ვიგრძენი. თავიდან იგი ხელისგულებით შევიგრძენი, შემდეგ სითბო ჩემს მუცელზე გავრცელდა და ბოლოს, მან მთელი ჩემი სხეული აავსო. რამდენიმე წუთში ფეხები სიცხისგან მიხურდა, და ეს მახსენებდა იმ დროს, როცა ტემპერატურა მქონდა ხოლმე.

დონ ხუანს ვუთხარი ამ უსიამოვნო გრძნობის შესახებ და ფეხსაცმლის გახდის სურვილის შესახებ. მან მითხრა, რომ დამეხმარებოდა წამოდგომაში და თვალები არ უნდა გამეხილა მანამ, სანამ არ მეტყოდა, ასევე მუცელზე უნდა მიმებჯინა ფოთლები მანამ, სანამ შესაფერის ადგილს არ ვიპოვიდი.

როცა ფეხზე ვიდექი, ყურში ჩამჩურჩულა, რომ თვალები უნდა გამეხილა და ყოველგვარი გეგმის გარეშე მევლო, საშუალება მიმეცა ფოთლების ძალისთვის, რომ წავეყვანე.

მე უმიზნოდ სიარული დავიწყე. სხეულის სიცხე შემაწუხებელი იყო. მეჩვენებოდა, რომ ჩემი ტემპერატურა კიდევ უფრო მაღლა იწევდა და ვცდილობდი ამეხსნა, როგორ გამოიწვია ეს დონ ხუანმა.

იგი ჩემ უკან მოდიოდა. უეცრად ისეთი კვნესა ამოუშვა, რომ თითქმის ჩემი პარალიზება მოახდინა. შემდეგ სიცილით ამიხსნა, რომ უეცარი ხმები არასასურველ სულებს აფრთხობენ. თვალები დავაელმე და თითქმის ნახევარი საათი წინ და უკან დავდიოდი. ამ დროის განმავლობაში უსიამოვნო სიცხე სხეულში სასიამოვნო სითბოდ იქცა. სიმსუბუქის შეგრძნებით მივაბიჯებდი გორის მწვერვალზე. სულაც არ ვგრძნობდი იმედგაცრუებას. რაღაცნაირად ველოდი, რომ რაიმე ვიზუალურ მოვლენას შევნიშნავდი, მაგრამ ჩემი მხედველობის პერიფერიაზე არანაირი ცვლილება არ შეიმჩნეოდა: არც უჩვეულო შეფერილობა, არც ნათება, არც შავი მასები.

ბოლოსდაბოლოს დავიღალე თვალების დაელმებისგან და გავახილე ისინი. ქვიშაქვის პატარა მოედნის წინ ვიდექი, რომელიც ერთ-ერთი ქვიანი წარმონაქმნი იყო გორის მწვერვალზე. ყველაფერი დანარჩენი უბრალოდ მიწა იყო ფართოდ გაშლილი ბუჩქებით.

რაღაც დროის განმავლობაში ასე ვიდექი ქვიშაქვის მოედნის წინ, რაღაც მიზეზის გამო იგი მშვენივრად მეჩვენებოდა, შემდეგ კი უბრალოდ დავჯექი მასზე.

— კარგია, კარგი, — თქვა დონ ხუანმა და ზურგზე ხელი დამიტყაპუნა.

შემდეგ თქვა, რომ ფრთხილად ამომეღო ფოთლები ტანსაცმლიდან და ქვაზე დამელაგებინა.

როგორც კი ფოთლები მოვიხსენი, მაშინვე გაცივება დავიწყე. პულსი მოვისინჯე. მეჩვენებოდა, რომ იგი ნორმალური იყო. დონ ხუანს გაეცინა და „დოქტორ კარლოსი“ მიწოდა, შემდეგ კი მკითხა, ხომ არ შემეძლო მისი პულსიც მომესინჯა. თქვა, რომ რაც შევიგრძენი, ფოთლების ძალა იყო, ამ ძალამ განმწმინდა და საშუალება მომცა, რომ ჩემი ამოცანა შემესრულებინა.

მე ძალიან გულწრფელად ვარწმუნებდი, რომ არაფერი განსაკუთრებული არ გამიკეთებია და ამ ადგილზე იმიტომ დავჯექი, რომ დავიღალე, და იმიტომ, რომ ქვიშაქვის შეფერილობა მეძახდა.

დონ ხუანს არაფერი უთქვამს. იგი ჩემგან რამდენიმე ფუტში იდგა. უეცრად საოცარი ენერგიით უკან გადახტა, გაიქცა, რაღაც ბუჩქებს გადაახტა და კლდოვანი ქანის რაღაც ამოშვერილ ბორცვზე შეხტა.

— რაშია საქმე? — ვკითხე შეშინებულმა.

— თვალყური ადევნე მიმართულებას, საითაც ქარი შენს ფოთლებს წაიღებს, — თქვა მან. — სწრაფად გადაითვალე ისინი. ქარი ახლოვდება. ფოთლების ნახევარი აიღე და ისევ მუცელზე დაიდე.

მე ოცი ფოთოლი დავთვალე. ათი პერანგის ქვეშ შევიჩურთე, შემდეგ კი ქარის ძლიერმა დაქროლვამ დანარჩენი ფოთლები დასავლეთის მიმართულებით გადაყარა. როცა გაფრენილ ფოთლებს ვაკვირდებოდი, უცნაური შეგრძნება მქონდა, რომ რეალურმა არსებამ განზრახ გადაყარა ისინი მწვანე მცენარეულობის ამორფულ მასაში.

დონ ხუანი უკან დაბრუნდა იმ ადგილას, სადაც მე ვიმყოფებოდი, და ჩემ გვერდით, სახით სამხრეთისკენ ჩამოჯდა. დიდი ხნის განმავლობაში ხმას არ ვიღებდით. არ ვიცოდი, რა მეთქვა. გატანჯული ვიყავი. თვალების დახუჭვა მინდოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი. როგორც ჩანს, დონ ხუანმა შეამჩნია ჩემი მდგომარეობა და მითხრა, რომ ყველაფერი რიგზეა, და შემიძლია დავიძინო. თქვა, რომ ხელები მუცელზე დამეწყო ფოთლებს ზემოდან და მეცადა შემეგრძნო, რომ ჩამოკიდებული ვიწექი „სიმების“ იმ საწოლზე, რომელიც მაშინ გამიკეთა „ჩემი ძალის ადგილზე“. თვალები დავხუჭე და მაშინვე ამავსეს მოგონებებმა სიმშვიდესა და შეგრძნებათა სისავსეზე, რომლებიც იმ მწვერვალზე ძილის დროს განვიცადე. მინდოდა გამეგო, მართლა ჩამოკიდებულად ვგრძნობდი თუ არა თავს, მაგრამ ჩამეძინა.

ზუსტად მზის ჩასვლის წინ გამეღვიძა. ძილმა სისაღე და სიფხიზლე მომცა. დონ ხუანსაც ეძინა. მან ჩემთან ერთად გაახილა თვალები. ქარი იყო, მაგრამ სიცივეს ვერ ვგრძნობდი. ფოთლები ჩემს მუცელზე ღუმელივით მოქმედებდნენ.

შემოგარენი დავათვალიერე. ადგილი, რომელიც დასასვენებლად შევარჩიე, პატარა პოსტამენტს ჰგავდა. აქ მართლაც შეიძლებოდა ჯდომა, როგორც გრძელ ვერანდაზე. უკან

საკმარისი ქვა იყო, რომ საზურგედ გამომეყენებინა. ასევე დავინახე, რომ დონ ხუანმა ჩემი ბლოკნოტი მომიტანა და თავქვეშ დამიდო.

— შენ სწორი ადგილი იპოვნე, — თქვა მან ღიმილით. — და ეს ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გითხარი. ძალამ აქ შენი მხრიდან ყოველგვარი გეგმის გარეშე მოგიყვანა.

— ეს რა ფოთლები მომეცი? — ვკითხე მე.

სითბო, რომელიც ფოთლებიდან მოდიოდა და ასეთ კომფორტულ მდგომარეობაში მამყოფებდა ზეწარის ან თბილი ტანსაცმლის გარეშე, ეს იყო მოვლენა, რომელმაც მართლაც შთანთქა ჩემი ფიქრები.

— ეს უბრალოდ ფოთლები იყო, — თქვა დონ ხუანმა.

— გინდა მითხრა, რომ შემიძლია ნებისმიერი ბუჩქიდან მოვწყვიტო ფოთლები და ისინი იგივე ეფექტს მოახდენენ ჩემზე?

— არა. მე არ მითქვამს, რომ თავად შეგიძლია ამის გაკეთება. შენ არ გაქვს პირადი ძალა. მე ვამბობ, რომ ნებისმიერი ფოთოლი დაგეხმარება იმ პირობით, რომ ადამიანს, რომელიც მათ გაძლევს, ძალა გააჩნია. დღეს შენ ძალა დაგეხმარა და არა – ფოთლები.

— შენი ძალა, დონ ხუან?

— ვფიქრობ, შეგიძლია თქვა, რომ ეს ჩემი ძალა იყო, მაგრამ ეს არ იქნება ბოლომდე ზუსტი. ძალა არავის არ ეკუთვნის. ზოგიერთ ჩვენგანს შეუძლია მისი აღება, შემდეგ კი ის შეიძლება პირდაპირ გადაეცეს სხვას. დაგროვილი ძალის გასაღები იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია მხოლოდ იმისთვის იყოს გამოყენებული, რომ კიდევ ვინმე სხვას დაეხმაროს ძალის დაგროვებაში.

მე ვკითხე, ნიშნავდა თუ არა ეს, რომ მისი ძალა მხოლოდ სხვებისადმი დახმარებით არის შეზღუდული. დონ ხუანმა მოთმინებით ამიხსნა, რომ მას შეუძლია გამოიყენოს თავისი პირადი ძალა მაშინ, როცა მოუნდება და იმაზე, რაზეც მოუნდება. მაგრამ როცა საქმე მიდის იქამდე, რომ უშუალოდ სხვა პირს გადასცეს იგი, მაშინ ამის გაკეთება შეუძლებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირი მას საკუთარი პირადი ძალის საძიებლად იყენებს.

— ყველაფერი, რასაც ადამიანი აკეთებს, დაკავშირებულია მის პირად ძალასთან, — განაგრძო დონ ხუანმა. — ამიტომ მისთვის, ვისაც იგი არ გააჩნია, ძლიერი ადამიანის საქმეები დაუჯერებლად ჩანს. ძალაა საჭირო იმისთვისაც კი, რომ გაიგო, თუ რა არის ძალა. აი, რის ახსნას ვცდილობდი მთელი ამ ხნის განმავლობაში. მაგრამ ვიცი, რომ არ გესმის, და არა იმიტომ, რომ არ გინდა გაგება, არამედ იმიტომ, რომ ძალიან ცოტა პირადი ძალა გაქვს.

— რა უნდა გავაკეთო, დონ ხუან?

— არაფერი. უბრალოდ განაგრძე ის, რასაც ახლა აკეთებ. ძალა იპოვნის გზას.

იგი წამოდგა, საკუთარი თავის გარშემო დატრიალდა და უყურებდა ყველაფერს, რაც მის გარშემო იყო. მისი სხეული მისი თვალების მოძრაობასთან ერთად მოძრაობდა. იგი ტოვებდა დასაქოქი სათამაშოს შთაბეჭდილებას, რომელიც ერთი ზუსტი და განუყოფელი მოძრაობით ტრიალებდა.

პირდაღებული ვუყურებდი მას. მან დაინახა ჩემი გაკვირვება და გაეღიმა.

— დღეს შენ დღის სიბნელეში ინადირებ ძალაზე, — თქვა მან და ჩამოჯდა.

— მაპატიე, ვერ გავიგე.

— ამ ღამით იმ უცნობი გორებისკენ წახვალ. სიბნელეში ისინი არ არიან გორები.

— აბა რა არიან?

— ისინი რაღაც სხვა არიან. რაღაც შენთვის წარმოუდგენელი, რადგანაც არასოდეს ყოფილხარ მათი არსებობის მოწმე.

— რისი თქმა გინდა, დონ ხუან? ყოველთვის მაშინებ შენი საიდუმლოებით მოცული საუბრით.

მას გაეცინა და ოდნავ მომარტყა ხელი წვივზე.

— სამყარო ეს გამოცანაა, — თქვა მან. — და იგი სულაც არაა ისეთი, როგორადაც შენ ხატავ.

იგი ცოტა ხნით დაფიქრდა. თავს ზემოთ-ქვემოთ რიტმულად აქანავებდა. შემდეგ გაიღიმა და დაამატა: „რა გაეწყობა, იგი ამავდროულად ისეთიცაა, როგორსაც შენ ხატავ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა მთელი სამყარო. არის კიდევ ძალიან ბევრი. ყოველთვის პოულობდი ამას და შესაძლოა ამ ღამესაც დაამატო კიდევ ერთი პატარა ნაწილი“. მისმა ტონმა ჟრჟოლა გამოიწვია ჩემს სხეულში. „რის გაკეთებას გეგმავ?“ — ვკითხე მე.

— მე არაფერს არ ვგეგმავ. ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია იმავე ძალის მიერ, რომელმაც ამ ადგილის პოვნის საშუალება მოგცა.

დონ ხუანი წამოდგა და სადღაც შორს რაღაცისკენ მიმითითა. ვიფიქრე, რომ სურდა ავმდგარიყავი და შემეხედა. ვეცადე ფეხზე წამოვმხტარიყავი, მაგრამ სანამ ბოლომდე ავდგებოდი, დონ ხუანმა დიდი ძალით ისევ ქვემოთ დამაგდო.

— მე არ მითქვამს, რომ ამდგარიყავი, — თქვა მან მკვეთრი ხმით. შემდეგ შეარბილა თავისი ტონი და დაამატა. —დღეს რთული ღამე გექნება, და მთელი შენი პირადი ძალა დაგჭირდება, რომელიც შეგიძლია მოიკრიბო. დარჩი იქ, სადაც ხარ და მოუფრთხილდი თავს.

მან ახსნა, რომ არაფერზე არ მიმითითა, უბრალოდ ზოგიერთი რაღაცის ადგილმდებარეობაში დარწმუნდა. დამარწმუნა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მშვიდად უნდა ვმჯდარიყავი და რაღაცით დავკავებულიყავი, რადგანაც უამრავი დრო მქონდა ჩანაწერებისთვის, სანამ ბოლომდე დაბნელდებოდა. მისი ღიმილი ძალიან გამომხატველი და სასიამოვნო იყო.

— მაგრამ რის გაკეთებას ვაპირებთ, დონ ხუან?

მან თავი აქეთ-იქით გააქნია უნდობლობის გაზვიადებული ჟესტით.

— წერე, — მიბრძანა მან და ჩემკენ ზურგით შემობრუნდა. სხვა საქმე არ მქონდა. ჩემს ჩანაწერებზე დავიწყე მუშაობა, სანამ ძალიან არ დაბნელდა იმისთვის, რომ მეწერა.

მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ვწერდი, დონ ხუანი ერთი და იმავე პოზას ინარჩუნებდა. იგი თითქოს რაღაცას აკვირდებოდა შორს, დასავლეთის მიმართულებით. მაგრამ როგორც კი დავასრულე, ჩემკენ შემობრუნდა და ხუმრობით მითხრა, რომ ჩემთვის პირის დახშობის ერთადერთი საშუალება ესაა, მომცეს რაიმე საჭმელი, წერა მაიძულოს, ან დასაძინებლად დამაწვინოს.

მან რაღაც მცირე შეხვეული ამოიღიო ზურგჩანთიდან და ცერემონიულად გახსნა იგი. იქ გამომშრალი ხორცის ნაჭრები იყო. ერთი ნაჭერი მე მომცა, მეორე კი თვითონ აიღო და ღეჭვა დაიწყო. მითხრა, რომ ეს იყო ძალის შემცველი ხორცი და იგი ამჟამად ორივეს გვჭირდებოდა. მე ძალიან მშიერი ვიყავი იმისთვის, რათა მეფიქრა, რომ ხორცი შესაძლოა ფსიქოტროპულ ნივთიერებას შეიცავდეს. სრულ მდუმარებაში ვჭამდით, სანამ მთელი ხორცი არ შევჭამეთ, და ამ დროისთვის სრულიად დაბნელდა.

დონ ხუანი წამოდგა და ხელებითა და ზურგით კარგად გაიჭიმა. მეც იგივეს გაკეთება შემომთავაზა.

— მთელი სხეულის გამართვა ძილის, ჯდომის ან სიარულის შემდეგ — კარგი პრაქტიკაა, — თქვა მან.

მის რჩევას დავუჯერე და ზოგიერთი ფოთოლი, რომელიც პერანგის ქვეშ მქონდა, შარვლის თათებიდან ჩამოვარდა. ვფიქრობდი, უნდა ამეღო თუ არა ისინი, მაგრამ მან მითხრა, რომ დამევიწყებინა ფოთლები, რადგანაც ისინი აღარ მჭირდებოდა და უნდა მიმეცა მათთვის ისე დაცვენის საშუალება, როგორც ცვიოდნენ.

შემდეგ დონ ხუანი ძალიან ახლოს მოვიდა ჩემთან და მარჯვენა ყურში ჩამჩურჩულა, რომ ძალიან ახლოს უნდა გავყოლოდი მას და მიმებაძა ყველაფრისთვის, რასაც გააკეთებდა. თქვა, რომ საფრთხე არ გვემუქრებოდა იმ ადგილას, სადაც ვიდექით, რადგანაც ასე ვთქვათ ღამის კიდესთან ვიყავით.

— ეს ღამე არაა, — ჩამჩურჩულა მან. — ღამე იქაა.

მან ჩვენ გარშემო სიბნელეზე მიმითითა. შემდეგ ჩემი ტვირთის ჩასადები ბადე შეამოწმა და შეხედა, კარგად იყო თუ არა დამაგრებული კასრები და ჩემი ბლოკნოტი და რბილი ხმით მითხრა, რომ ყველაფერი სრულ წესრიგში იყო არა იმიტომ, რომ სჯეროდა, რომ ცოცხალი გადარჩებოდა იმ საქმეში, რომლის გაკეთებასაც აპირებდა, არამედ იმიტომ, რომ ეს მისი უზადო ქცევის ნაწილია.

იმის ნაცვლად, რომ შვების შეგრძნება მოეცა ჩემთვის, მისმა განმარტებებმა სრულად დამარწმუნა, რომ ჩემი ბედისწერა მიახლოვდებოდა. ტირილი მინდოდა.

დარწმუნებული ვარ, დონ ხუანი ბოლომდე აცნობიერებდა თავისი სიტყვების ეფექტს.

— ენდე შენს პირად ძალას, — მითხრა ყურში. — ესაა ყველაფერი, რაც ადამიანს გააჩნია ამ ჯადოსნურ სამყაროში.

მან ოდნავ მკრა ხელი და ჩვენ წავედით. ჩემ წინ მიდიოდა, დაახლოებით ორი ნაბიჯით. მე უკან მივყვებოდი და თვალები მიწისკენ მქონდა მიპყრობილი. რაღაცის გამო ვერ ვახერხებდი გარშემო ყურებას. და ის, რომ მიწაზე ვაკეთებდი მზერის ფოკუსირებას, უცნაური სიმშვიდის შეგრძნებას მაძლევდა. ეს თითქმის მაჰიპნოზებდა.

ცოტა ხნის შემდეგ დონ ხუანი შეჩერდა. ჩურჩულით მითხრა, რომ სრული სიბნელე ახლოსაა და ჩემ წინ აპირებდა სიარულს, უფრო სწორად მანამდე აპირებდა, ახლა კი აპირებდა, რომ თავისი ადგილი ჩემთვის დაეთმო და განსაკუთრებული პატარა ბუს კივილს მიჰბაძა. გამახსენა, რომ მეც ვიცოდი მისი იმიტაცია, თავიდან ხრინწიანი, შემდეგ კი ისეთივე ჟღერადი, როგორიც ნამდვილი ბუს კივილია. გამაფრთხილა, რომ ძალიან მკაცრად გამერჩია სხვა ბუების კივილი, რომლებშიც ეს შტრიხი არაა.

იმ დროისთვის, როცა დონ ხუანმა ყველა ინსტრუქცია მომცა, მე პრაქტიკულად პანიკამ მომიცვა. ხელზე ჩავეჭიდე და არ ვუშვებდი. ორი-სამი წუთი დამჭირდა, რომ საკმარისად დავმშვიდებულიყავი იმისთვის, რომ რაღაც წარმომეთქვა. ჩემი მუცელი ნერვიულმა კანკალმა შეძრა, და გასაგებად ლაპარაკიც კი არ შემეძლო.

მშვიდი და რბილი ხმით მან მთხოვა, რომ თავი ხელში ამეყვანა, რადგანაც სიბნელე ისეთივე იყო, როგორიც ქარი — გამოუცნობი არსება, რომელსაც შეუძლია გამაბრიყვოს, თუ ფრთხილად არ ვიქნები. და მე სრულიად მშვიდად უნდა ვიყო, რომ მასთან დავიჭირო საქმე.

— საკუთარ თავს უნდა განეჯაჭვო იმისთვის, რომ შენი პირადი ძალა ღამის ძალას შეერწყას, — მითხრა მან ყურში.

შემდეგ თქვა, რომ ჩემ წინ წასვლას აპირებდა და ამ დროს კიდევ ერთხელ დამეტაკა არარაციონალური შიშის მორიგი შეტევა.

— ეს სიგიჟეა, — გავაპროტესტე მე.

დონ ხუანი არ გაბრაზებულა და მოთმინება არ დაუკარგავს. მან მშვიდად გაიცინა და ყურში მითხრა რაღაც ისეთი, რაც ბოლომდე ვერ გავარჩიე.

— რა მითხარი? — ვკითხე ხმამაღლა.

დონ ხუანმა პირზე ხელი მომადო და მიჩურჩულა, რომ მეომარი მოქმედებს ისე, თითქოს იცოდეს, რას აკეთებს, მაშინ, როცა სინამდვილეში მან არაფერი არ იცის. მან ერთი და იგივე განცხადება სამჯერ ან ოთხჯერ გაიმეორა, თითქოს უნდოდა, რომ დამემეხსოვრებინა იგი. მან მითხრა:

— მეომარი დაუმარცხებელია, თუკი იგი თავის პირად ძალას ენდობა მიუხედავად იმისა, პატარაა იგი თუ უზარმაზარი.

ცოტა ხანს დამაცადა და შემდეგ მკითხა, მოვედი თუ არა აზრზე. თავი დავუქნიე და იგი სწრაფად და სრულიად უხმაუროდ გაქრა ხედვის არიდან. ვეცადე, რომ გარშემო რამე გამერჩია. მეჩვენებოდა, რომ ხშირი მცენარეულობის გარემოცვაში ვიყავი. მხოლოდ ბუჩქების, ან შესაძლოა პატარა ხეების ბნელ მასას ვარჩევდი. ყურადღების კონცენტრირება ბგერებზე მოვახდინე, მაგრამ არაფერი განსაკუთრებული არ ისმოდა. ქარის ზუზუნი ყველა დანარჩენ ხმას ახშობდა გარდა სულელი ბუების ცალკეული გამჭოლი კივილისა და სხვა ჩიტების სტვენისა.

რაღაც პერიოდი უდიდესი ყურადღების მდგომარეობაში ვიდექი. და შემდეგ მოისმა პატარა ბუს ხრინწიანი და ხანგრძლივი კივილი. ეჭვიც არ მქონდა, რომ ეს დონ ხუანი იყო. ხმა ჩემს

უკნიდან ისმოდა. შევბრუნდი და მისი მიმართულებით წავედი. ნელა ვმოძრაობდი, რადგანაც ღრმა სიბნელით ვიყავი მოცული.

ალბათ ათი წუთი ვიარე. უეცრად ჩემ წინ რაღაც ბნელი მასა გამოხტა. მე შევხტი და დუნდულებით დავეცი. ყურებში მიწუოდა. შიში იმხელა იყო, რომ სუნთქვა შემეკრა. პირის გაღება მომიხდა იმისთვის, რომ ჩამესუნთქა.

— ადექი, — თქვა რბილად დონ ხუანმა. — მე არ ვაპირებდი შენ შეშინებას. უბრალოდ შენ შესახვედრად წამოვედი.

მან თქვა, რომ მაკვირდებოდა, და როცა სიბნელეში ვმოძრაობდი, ბებერ, კოჭლ ლედის ვგავდი, რომელიც ბინძურ გუბეებში ცდილობს გავლას. ეს სურათი სასაცილოდ მოეჩვენა და ხმამაღლა გადაიხარხარა.

შემდეგ იგი შეუდგა სიბნელეში განსაკუთრებული სიარულის მეთოდის დემონსტრირებას. მეთოდის, რომელსაც „ძალის სირბილი“ უწოდა. ჩემ წინ დადგა და მაიძულა, რომ ხელები მის ზურგზე და მუხლებზე გამეტარებინა, რათა წარმოდგენა მქონოდა მისი სხეულის მდგომარეობაზე. დონ ხუანის კორპუსი ოდნავ წინ იყო გადახრილი, მაგრამ ზურგი გამართული ჰქონდა. მუხლებიც ოდნავ ჰქონდა მოხრილი.

მან ნელა გაიარა ჩემ წინ ისე, რომ დამეფიქსირებინა, რომ მუხლებს ყოველ ჯერზე თითქმის მკერდამდე სწევდა, შემდეგ კი მართლა გაქრა მხედველობის არიდან და კვლავ დაბრუნდა. არ მესმოდა, როგორ დარბოდა სრულ სიბნელეში.

— ძალის სირბილი იმისთვის არსებობს, რომ ღამე შეძლო სირბილი, — ჩამჩურჩულა ყურში.

მითხრა, რომ თავად მეცადა. ვუპასუხე, რომ არ ვიყავი დარწმუნებული, რომ სადმე არ ჩავვარდებოდი, ან კლდეს არ დავეტაკებოდი და ფეხებს არ დავიმტვრევდი. დონ ხუანმა სრულიად მშვიდად მითხრა, რომ „ძალის სირბილი“ სრულიად უსაფრთხოა.

მივანიშნე, რომ ერთადერთი, რის გამოც მესმოდა მისი ქცევა, ეს იყო ვარაუდი, რომ იგი ამ გორებს სრულყოფილად იცნობდა და ამიტომ შეუძლია უსაფრთხოდ სირბილი.

დონ ხუანმა ხელებით დამიჭირა თავი და ძლიერად მიჩურჩულა:

— ეს ღამეა! და ეს ძალაა!

შემდეგ ხელები გაუშვა ჩემს თავს და რბილი ხმით დაამატა, რომ ღამით სამყარო სრულიად სხვაგვარია და სიბნელეში სირბილის მის უნარს არაფერი აქვს საერთო ამ გორებთან ნაცნობობასთან. მისი თქმით, ამის გასაღები იმაში იყო, რომ შენი საკუთარი პირადი ძალა თავისუფლად გამოედინება და ღამის ძალას ერწყმის, და მაშინვე, როგორც კი ეს ძალა იმარჯვებს, უკვე აღარანაირი შანსი არ რჩება უკან დახევისთვის. მან განსაკუთრებული სერიოზულობის ტონით დაამატა, რომ თუკი ეჭვი მეპარებოდა ამაში, მაშინ წამით უნდა წარმომედგინა მომხდარი. მისი ასაკის ადამიანისთვის ამ მთებში ამ დროს სიარული თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა, ღამის ძალას რომ არ ეტარებინა იგი.

— უყურე, — თქვა მან, სწრაფად გაიქცა სიბნელეში და შემდეგ უკან დაბრუნდა.

მისი სხეულის მოძრაობა ისეთი უჩვეულო იყო, რომ ვერ ვიჯერებდი თვალით დანახულს. თითქოს ერთ ადგილს ტკეპნიდა. მანერა, რომლითაც ფეხებს ზემოთ სწევდა, მაგონებდა სპრინტერს, რომელიც წინასწარ გამახურებელ ვარჯიშს აკეთებდა.

შემდეგ მიბრძანა, რომ გავყოლოდი. ეს ძალიან ძნელად და შებოჭილად გავაკეთე. უკიდურესი მონდომებით ვცდილობდი დამენახა, სად ვაბიჯებდი, მაგრამ მანძილის განსაზღვრა შეუძლებელი იყო. დონ ხუანი დაბრუნდა და ჩემ გვერდით დაიწყო სირბილი. მიჩურჩულა, რომ უნდა განვჯაჭვულიყავი საკუთარი თავისგან და თავი მიმეცა ღამის ძალისთვის, და მივნდობილიყავი იმ მცირე პირად ძალას, რომელიც გამაჩნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერასოდეს შევძლებდი თავისუფლად მოძრაობას. რომ სიბნელე მხოლოდ იმიტომ მბოჭავდა, რომ ჩემს მხედველობას ვეყრდნობოდი ყველაფერში, რასაც ვაკეთებდი, და არ ვიცოდი, რომ სხვა მეთოდით გადაადგილების საშუალება — ეს იყო მიმეცა უფლება ძალისთვის, რომ წავეყვანე.

რამდენჯერმე ვცადე ყოველგვარი წარმატების გარეშე. უბრალოდ არ შემეძლო საკუთარი თავისგან განჯაჭვა. ფეხების დაზიანების შიში დაუმარცხებელი იყო. დონ ხუანმა მიბრძანა, რომ ერთ ადგილზე მემოძრავა და მეცადა შემეგრძნო, თითქოს მართლა ვიყენებდი „ძალის სირბილს“. შემდეგ თქვა, რომ ჩემ წინ აპირებდა გაქცევას და მის ბუსმაგვარ კივილს უნდა დავლოდებოდი. სიბნელეს მანამდე შეერწყა, სანამ რაიმეს თქმას მოვასწრებდი. დროდადრო თვალებს ვხუჭავდი და ერთი და იმავე ადგილას დავრბოდი მოხრილი კორპუსითა და მუხლებით თითქმის მთელი ერთი საათის განმავლობაში. ნელ-ნელა ჩემმა დაძაბულობამ შესუსტება დაიწყო, სანამ ბოლოს და ბოლოს თავი საკმაოდ კომფორტულად არ ვიგრძენი. ამ დროს დონ ხუანის ყვირილი მომესმა.

ათი-თორმეტი მეტრი გავირბინე იმ მიმართულებით, საიდანაც ყვირილი მოდიოდა, და ვცდილობდი „განვჯაჭვულიყავი საკუთარი თავისგან“, როგორც ეს დონ ხუანმა მითხრა. მაგრამ იმან, რომ ბუჩქს დავეჯახე, დაუყოვნებლივ დააბრუნა ჩემი სიფრთხილის გრძნობა.

დონ ხუანი მელოდა და როცა მივედი პოზა გამისწორა. დაიჟინა, რომ პირველ რიგში თითები მიმებჯინა ხელისგულებისთვის ისე, რომ დიდი და საჩვენებელი თითები გამომეშვირა ორივე ხელზე. შემდეგ მითხრა, რომ მისი აზრით, მე უბრალოდ ვინდულგირებდი ჩემი შეუგუებლობის გრძნობით, რადგანაც ვიცოდი ის ფაქტი, რომ ყოველთვის შემეძლო კარგად ვხედავდე მიუხედავად ღამის სიბნელისა, თუ არაფერზე არ შევაჩერებდი მზერას, არამედ მოვახდენდი ჩემ წინ მიწის სკანირებას. „ძალის სირბილი“ მაშინდელ დასასვენებელი ადგილის ძიებას ჰგავდა. ერთიც და მეორეც განჯაჭვულობას და რწმენას მოითხოვდა. „ძალის სირბილი“ მოითხოვდა, რომ თვალები მიმართული ყოფილიყო ჩემ წინ არსებულ მიწაზე, რადგანაც გვერდზე წამიერი გახედვაც კი მოძრაობის ნაკადის ცვლილებას იძლევა. მან ამიხსნა, რომ კორპუსის წინ დახრა საჭირო იყო იმისთვის, რომ თვალები დამეხარა, ხოლო მუხლების აწევა მკერდამდე – იმისთვის, რომ ნაბიჯები ძალზე მოკლე და უსაფრთხო ყოფილიყო. მან გამაფრთხილა, რომ თავიდან ხშირად წავბორძიკდებოდი, მაგრამ დამარწმუნა, რომ პრაქტიკასთან ერთად ისევე სწრაფად და უსაფრთხოდ ვირბენდი, როგორც დღისით.

რამდენიმე საათის განმავლობაში ვცდილობდი მისი მოძრაობის მიბაძვას და იმ განწყობაში შესვლას, რომელიც მირჩია. თვითონ მოთმინებით დარბოდა ერთ ადგილზე ჩემ წინ, ხან გაიქცეოდა მცირე მანძილზე, ხან დაბრუნდებოდა ისე, რომ დამენახა, როგორ მოძრაობდა. ზოგჯერ ხელსაც მკრავდა ხოლმე და რამდენიმე მეტრის გარბენას

მაიძულებდა. შემდეგ გაიქცა და ბუს კივილის სერიით მომიხმო, რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო მოულოდნელი თავდაჯერებულობით ვმოძრაობდი. რამდენადაც ვიცოდი, არაფერი გამიკეთებია იმისთვის, რომ ეს გრძნობა გამეღვიძებინა ჩემში. მაგრამ თითქოს ჩემმა სხეულმა იცოდა სხვადასხვა რაღაცეები ისე, რომ არ ფიქრობდა მათზე. მაგალითად, სინამდვილეში არ შემეძლო ნაპრალების დანახვა ჩემს გზაზე, მაგრამ ჩემი სხეული ყოველთვის ახერხებდა, რომ ყოველთვის კიდეებზე დაებიჯებინა და არასოდეს ღრმულებში. გარდა რამდენიმე წარუმატებელი გამონაკლისისა, როცა წონასწორობას ვკარგავდი დაბნეულობის გამო. კონცენტრაცია ჩემ წინ არსებული მიწის სკანირებისთვის სრულყოფილი უნდა ყოფილიყო. როგორც დონ ხუანმა გამაფრთხილა, ოდნავ გვერდზე ან ზედმეტად შორს გახედვა სირბილის ცვლილებას იწვევდა.

ხანგრძლივი ძიების შემდეგ დონ ხუანს მივაგენი. იგი რაღაც ბნელ მოხაზულობებთან ახლოს იჯდა. როცა მივუახლოვდი, მითხრა, რომ კარგი შედეგები მქონდა, მაგრამ უკვე დასრულების დრო იყო, რადგან დარწმუნებულია, რომ საკმაოდ დიდი ხანი იყენებდა თავის სტვენას და შესაძლოა უკვე სხვებსაც მიებაძათ მისთვის.

მე დავეთანხმე, რომ გაჩერების დრო იყო. გატანჯული ვიყავი ჩემი მცდელობებისგან. ვიგრძენი რა შვება, ვკითხე, ვის შეეძლო მიებაძა მისი კივილისთვის.

— ძალები, მოკავშირეები,სულები, ვინ იცის, — თქვა მან ჩურჩულით.

ამიხსნა, რომ „ღამის არსებები“, როგორც წესი, ძალიან მელოდიურ ხმებს გამოსცემენ, მაგრამ არამომგებიან მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, გამოსცემდნენ რა ხრინწიანი ხმით ადამიანის ყვირილის ან ჩიტის სტვენის ხმას. მან გამაფრთხილა, რომ ყოველთვის გავჩერებულიყავი, თუ ასეთ ხმას გავიგებდი და დამემახსოვრებინა ყველაფერი, რაც მითხრა, რადგანაც ოდესმე სხვა დროს შესაძლოა ზუსტად განსაზღვრა დამჭირვებოდა. გამამხნევებელი ტონით დაამატა, რომ უკვე კარგი წარმოდგენა მაქვს „ძალის სირბილზე“ და იმისთვის, რომ სრულყოფილად ამეთვისებინა იგი, მხოლოდ მცირე ბიძგი მჭირდება, რომელსაც სხვა დროს მივიღებ, როცა კვლავ ვიმოგზაურებთ ღამით. მხარზე ხელი დამიტყაპუნა და განაცხადა, რომ ჩემ დატოვებას აპირებდა.

— მოდი, მოვშორდეთ აქაურობას, — თქვა მან და გაიქცა.

— მოიცადე, მოიცადე, — დავიყვირე შეშინებულმა, — მოდი ნაბიჯით წავიდეთ.

დონ ხუანი შეჩერდა და ქუდი მოიხადა.

— ეშმაკმა დალახვროს, — თქვა მან გაკვირვებული ტონით, — მე და შენ რთულ მდგომარეობაში ვართ. შენ იცი, რომ მე არ შემიძლია სიბნელეში სიარული. მე მხოლოდ სირბილი შემიძლია. ფეხებს დავიმტვრევ, ნაბიჯით თუ ვივლი.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ იღიმებოდა, როცა ამას ამბობდა, თუმცა არ შემეძლო მისი სახის დანახვა. შემდეგ დაამატა, რომ ძალიან მოხუცი იყო იმისთვის, რომ ნაბიჯით ევლო, და ის ცოტა „ძალის სირბილში“, რაც ამ ღამით ვისწავლე, უნდა გაიწელოს, თუკი ამის შესაძებლობა არსებობს.

— თუ „ძალის სირბილს“ არ გამოვიყენებთ, ბალახივით გაგვთელავენ, — ყურში ჩამჩურჩულა დონ ხუანმა.

— ვინ?

— ღამეში არის რაღაცეები, რაც ადამიანებზე მოქმედებს, — მიჩურჩულა მან ისეთი ტონით, რომ მთელ სხეულში ჟრჟოლამ დამიარა.

მან მითხრა, რომ მნიშვნელოვანი არაა, დავეწევი თუ არა, რადგანაც განმეორებად სიგნალებს მომცემდა, ერთ ჯერზე ოთხ ბუს კივილს, რომ შემძლებოდა უკან გავყოლოდი.

შევთავაზე, რომ განთიადამდე დავრჩენილიყავით ამ გორებში, და შემდეგ დაგვეტოვებინა ისინი. ძალიან დრამატული ტონითაღნიშნა, რომ აქ დარჩენა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. და მაშინაც კი, თუ ცოცხლები გავაღწევდით, ღამე პირად ძალას იმ დონემდე გამოგვწოვდა, რომ დღის პირველივე საფრთხის მსხვერპლნი გავხდებოდით.

— მოდი, აღარ დავკარგოთ დრო, — თქვა ხმაში აჩქარებით. — მოვშორდეთ აქაურობას.

მან კვლავ დამარწმუნა, რომ რაც შეიძლება ნელა იმოძრავებდა. მისი ბოლო დარიგება იყო, რომ არ უნდა მეცადა რაიმე ბგერის გამოცემა, ამოოხვრაც კი, რაც არ უნდა მომხდარიყო. ძირითადი მიმართულება მაჩვენა, რომლითაც ვაპირებდით სიარულს, და შესამჩნევად ნელი ნაბიჯით გაიქცა. უკან გავყევი, მაგრამ როგორ ნელაც არ უნდა ემოძრავა, ვერ ვეწეოდი, და მალე თვალთახედვის არიდან გაქრა.

მარტოდ დარჩენილმა გავაცნობიერე, რომ უკვე შევეჩვიე საკმაოდ სწრაფად მოძრაობას, ისე, რომ ვერც კი შევამჩნიე ეს, და ამან შემძრა. ვცდილობდი შემენარჩუნებინა ასეთი ნაბიჯი იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც შემეძლო და შემდეგ დონ ხუანის ძახილი გავიგე ჩემგან ოდნავ მარჯვნივ. ოთხჯერ ზედიზედ დაუსტვინა.

ძალიან მოკლე შუალედის შემდეგ კვლავ მომესმა მისი კივილი, ამჯერად უფრო მარჯვნივ. იმისთვის, რომ გავყოლოდი, 45 გრადუსით უნდა შევტრიალებულიყავი. ახალი მიმართულებით დავიწყე მოძრაობა და ველოდი, რომ დარჩენილი სამი კივილი სიგნალიდან უფრო კარგი ორიენტაციის საშუალებას მომცემდა.

ახალი სტვენა გავიგე, რომელმაც დონ ხუანზე თითქმის იმ მიმართულებით მიმანიშნა, საიდანაც დავიძარით. შევჩერდი და ყური დავუგდე. მცირე მანძილზე მომესმა ძალიან მკვეთრი ხმა, რაღაც იმდაგვარი, თითქოს ორი კლდე ერთმანეთს დაეჯახაო. დაძაბული ვუსმენდი და დავაფიქსირე რბილი ბგერების სერია, თითქოს ორი კლდე ოდნავ უკაკუნებდა ერთმანეთს. ბუს კიდევ ერთი კივილი გაისმა, და მაშინ მივხვდი, თუ რას გულისხმობდა დონ ხუანი. იყო რაღაც მართლაც მელოდიური ამ კივილში. იგი გაცილებით უფრო გრძელი იყო და უფრო მჟღერიც, ვიდრე ნამდვილი ბუს კივილი.

შიშის უცნაური გრძნობა დამეუფლა. მუცელი შემეკუმშა, თითქოს რაღაც ქვემოთკენ მაწვებოდა ჩემი სხეულის შუა ნაწილიდან. შემოვბრუნდი და ნახევრად სირბილით გავემართე საწინააღმდეგო მიმართულებით.

მოშორებით ბუს სუსტი კივილი შემომესმა. მას მალევე მოჰყვა კიდევ სამი კივილი. ეს დონ ხუანი იყო. მისი მიმართულებით გავიქეცი. ვიგრძენი, რომ ალბათ უკვე მეოთხედი მილით იყო ჩემგან დაშორებული, და თუ ასევე გააგრძელებდა სირბილს, უეჭველად მარტო დავრჩებოდი ამ გორებში. არ მესმოდა, რატომ დასჭირდა დონ ხუანს წინ გაქცევა, თუკი შეეძლო ჩემ გარშემო ერბინა, რაკი ამ სიჩქარის შენარჩუნება სჭირდებოდა.

ამ დროს შევამჩნიე, რომ ჩემგან მარცხნივ რაღაც მოძრაობდა. თითქმის შემეძლო მისი დანახვა, ჩემი მხედველობის ველის უკიდურესი პერიფერიით. უკვე პანიკაში ჩავარდნას ვაპირებდი, მაგრამ გონებაში გამომაფხიზლებელი აზრი მომივიდა. სიბნელეში ნამდვილად ვერ დავინახავდი ვერაფერს. მინდოდა გამეხედა იმ მიმართულებით, მაგრამ ჩემი ინერციის დაკარგვის შემეშინდა.

ბუს კიდევ ერთმა კივილმა ფიქრებიდან გამომიყვანა. იგი მარცხნიდან მოდიოდა. გავყევი მას, რადგანაც იგი უეჭველად ყველაზე მელოდიური და ნაზი კივილი იყო, რომელიც კი ოდესმე მომისმენია. თუმცაღა მას არ შევუშინებივარ. იყო რაღაც ძალიან მიმზიდველი და სევდიანიც კი მასში.

შემდეგ ძალიან სწრაფად ბნელმა მასამ გადაკვეთა ჩემი გზა მარცხნიდან მარჯვნივ. მისი მოძრაობის მოულოდნელობამ მაიძულა, რომ წინ გამეხედა, და დავკარგე რა წონასწორობა, ხმაურით ჩავვარდი ბუჩქებში. გვერდზე დავეცი და მელოდიური კივილი მარცხენა მხარეს, რამდენიმე ნაბიჯში შემომესმა. წამოვდექი, მაგრამ სანამ წინ მოძრაობას დავიწყებდი, სხვა კივილი მოისმა, უფრო მომთხოვნი და შემპყრობელი, ვიდრე პირველი. თითქოს რაღაცას უნდოდა, ავმდგარიყავი და მესმინა. ბუს კივილი ისეთი ხანგრძლივი და ნაზი იყო, რომ მან ჩემი შიშები შეასუსტა. მართლა გავჩერდებოდი, ზუსტად იმ მომენტში დონ ხუანის ოთხი ხრინწიანი კივილი რომ არ გამეგო. წამოვხტი და ამ მიმართულებით გავეშურე.

ორიოდე წამის შემდეგ კვლავ შევამჩნიე რაღაც გაკრთომა თუ ტალღა მარცხნივ სიბნელეში. იმის თქმაც კი არ შეიძლებოდა, რომ ეს ჩვენება იყო, უფრო გრძნობა, თუმცა თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ თვალებით აღვიქვამდი მას. ჩემზე სწრაფად მოძრაობდა და კვლავ გადაკვეთა ჩემი გზა მარცხნიდან მარჯვნივ, და ამით მაიძულა წონასწორობა დამეკარგა. ამჯერად არ დავეცი, და რაც არ უნდა უცნაური იყოს, იმან, რომ არ დავეცი, ჩემში გაღიზიანების ტალღა გამოიწვია. უეცრად გავბრაზდი, და ჩემი გრძნობების შეუსაბამობამ ნამდვილ პანიკაში ჩამაგდო. ვეცადე ამეჩქარებინა ნაბიჯი. მინდოდა თავად მეკივლა ბუსავით, რომ დონ ხუანისთვის მიმენიშნებინა, სად ვიმყოფებოდი, მაგრამ ვერ გავბედე მისი ინსტრუქციის დარღვევა.

ამ დროს რაღაც საშინელმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ჩემგან მარცხნივ მართლაც იყო რაღაც ცხოველისმაგვარი და იგი თითქმის მეხებოდა. უნებურად მარჯვნისკენ გადავხტი. შიშმა სუნთქვა შემიჩერა. იმდენად ვიყავი შეპყრობილი შიშით, რომ თავში არანაირი აზრი არ მქონდა, როცა სიბნელეში მთელი მონდომებით გავრბოდი. ჩემი შიში თითქოს სხეულებრივი შეგრძნება იყო, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო აზრებთან. ასეთი მდგომარეობა ძალზე უჩვეულოდ მომეჩვენა. ცხოვრების მანძილზე ჩემი შიშები ყოველთვის გონებრივ მატრიცას აწვებოდა და ღრმავდებოდა საზოგადოებრივი სიტუაციებით ან ადამიანების მიერ, რომლებიც განსაზღვრული სახით იქცეოდნენ ჩემ მიმართ. თუმცაღა, ამჯერად ჩემი შიში მართლაც სიახლე იყო. იგი სამყაროს უცნობი ნაწილისგან მოდიოდა და ჩემსავე უცნობ ნაწილს დაარტყა.

ბუს კივილი ძალიან ახლოს, მარცხნივ მომესმა. ვერ ვიჭერდი მის დეტალებს, მაგრამ მომეჩვენა, რომ ეს დონ ხუანის კივილი იყო, ამიტომ უფრო ავჩქარდი. მესამე კივილი ძალიან ახლოდან მოისმა, ვარჩევდი ქვების, ან შესაძლოა ხეების ბნელ მასას. ბუს კიდევ ერთი კივილი მომესმა და ვიფიქრე, რომ ალბათ დონ ხუანი მელოდებოდა, რადგანაც საფრთხის მიღმა ვიმყოფებოდით. ბნელი მონაკვეთის თითქმის კიდეზე ვიდექი, როცა

მეხუთე კივილმა ადგილზე გაშეშება მაიძულა. ვეცადე სიბნელეს დავკვირვებოდი, მაგრამ უეცარმა შრიალისმაგვარმა ხმამ ჩემგან მარცხნივ მაიძულა, რომ დამენახა შავი საგანი, უფრო შავი, ვიდრე სხვა ყველაფერი ირგვლივ, რომელიც თითქოს მიგორავდა, ან მისრიალებდა ჩემ გვერდზე. მე გადავხტი. ტკაცუნისმაგვარი ხმა გავიგე, შემდეგ კი ძალიან დიდი შავი მასა გამოიკვეთა ბნელი ადგილიდან. იგი კვადრატული იყო, კარის მსგავსი, დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლის.

მისი გამოჩენის მოულოდნელობისგან წამით ჩემი შიში ყოველგვარ მასშტაბს გასცდა, მაგრამ კიდევ ერთი წამის შემდეგ საშიშად მშვიდი ვიყავი და ბნელ მასას ვუცქერდი.

ჩემი რეაქცია კიდევ ერთი სიახლე იყო. ჩემი რაღაც ნაწილი მიბიძგებდა ამ ადგილისკენ უგუნური დაჟინებით იმ დროს, როცა ჩემი სხვა ნაწილი ეწინააღმდეგებოდა ამას. ერთი მხრივ, მინდოდა ყველაფერში ზუსტად დავრწმუნებულიყავი, მეორე მხრივ კი, მინდოდა ისტერიულად გავქცეულიყავი იქიდან. ძლივს გავიგე დონ ხუანის ბუს კივილები. ისინი თითქოს შორიახლოდან ისმოდნენ, და თითქოს შეშინებულნი ჩანდნენ. ისინი უფრო ხანგრძლივი და უფრო ხრინწიანი იყო, თითქოს ჩემი მიმართულებით სირბილისას გამოსცემდაო.

უეცრად საკუთარ თავზე კონტროლი მოვიპოვე, შემობრუნება შევძელი და რაღაც პერიოდი ზუსტად ისე გავრბოდი, როგორც ეს დონ ხუანს უნდოდა ჩემგან.

— დონ ხუან, — დავიყვირე მე, როცა ვიპოვე იგი.

მან ხელი პირზე მომაფარა და მანიშნა, რომ გავყოლოდი. ერთად გავრბოდით კომფორტული ნაბიჯებით იქამდე, სანამ ქვიშაქვის ფილას არ მივადექით, სადაც ადრე უკვე ვიყავით.

აბსოლუტურ მდუმარებაში ფილაზე ჩამოვჯექით და თითქმის ერთი საათი ვიჯექით მზის ამოსვლამდე. შემდეგ საჭმელი ვჭამეთ. დონ ხუანმა თქვა, რომ ამ ქვაზე დაახლოებით შუადღემდე უნდა დავრჩენილიყავით და საერთოდ არ უნდა დაგვეძინა, არამედ გველაპარაკა ისე, თითქოს არაფერი უცნაური არ მომხდარა.

მან მთხოვა დეტალურად გადმომეცა ყველაფერი, რაც შემემთხვა იმ მომენტიდან, რაც დამტოვა. როცა თხრობას მოვრჩი, რაღაც პერიოდი ჩუმად იყო. მომეჩვენა, რომ ძალიან ღრმად ჩაფიქრდა.

— ეს არც ისე კარგი ჩანს, — თქვა მან ბოლოს და ბოლოს. — ის, რაც ამ ღამით შეგემთხვა, ძალიან სერიოზული იყო. ისეთი სერიოზული, რომ უკვე აღარ შეგიძლია ღამით მარტო ხეტიალი. დღეიდან ღამის არსებები აღარ მოგასვენებენ.

— რა შემემთხვა ამ ღამით, დონ ხუან?

შენ შეეჩეხე არსებებს, რომლებიც ადამიანებივით მოქმედებენ. მათზე არაფერი იცი, იმიტომ, რომ არასოდეს შეხვედრილხარ. ვფიქრობ, ყველაზე სწორი იქნება, რომ მათ მთების არსებები დავარქვათ. სინამდვილეში, ისინი არ ეკუთვნიან ღამეს. მე მათ ღამის არსებებს ვუწოდებ იმიტომ, რომ მათი აღქმა სიბნელეში უფრო ადვილია. ისინი აქ, მუდამ ჩვენ გარშემო არიან. მაგრამ დღისით მათი აღქმა ძნელია, უბრალოდ იმიტომ, რომ სამყარო ნაცნობია ჩვენთვის. ხოლო იმას, რაც ნაცნობია, პრეცედენტები გააჩნია.

სიბნელეში პირიქით, ყველაფერი ერთნაირად უცნობია და ძალიან ცოტა რამეს გააჩნია პრეცედენტი. ამიტომაც ღამით უფრო მგრძნობიარენი ვართ ამ არსებების მიმართ.

— მაგრამ ისინი რეალურები არიან, დონ ხუან?

— რა თქმა უნდა! იმდენად რეალურნი, რომ როგორც წესი კლავენ ხოლმე ადამიანებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ველურ ადგილებში დაიკარგა და პირადი ძალა არ გააჩნია.

— თუკი იცოდი, რომ ასე საშიშები იყვნენ, რატომ მიმატოვე მარტო?

— არსებობს სწავლის მხოლოდ ერთი მეთოდი. და ეს მეთოდია თავად შეხვიდე საქმეში. ძალაზე მხოლოდ ლაპარაკს აზრი არ აქვს, თუ გინდა გაიგო, რა არის ძალა, და თუ გინდა, რომ დააგროვო იგი, თავად უნდა შეიგრძნო ყველაფერი.

ცოდნის გზა ძალიან რთული და გრძელია. ალბათ შეამჩნიე, რომ აქამდე არ მიმიტოვებიხარ მარტო, უკანასკნელ ღამემდე. ამისთვის არასაკმარისი ძალა გაქვს. ახლა უკვე საკმარისად გაქვს იგი, რომ კარგი ორთაბრძოლა დაიმსახურო, მაგრამ არასაკმარისი იმისთვის, რომ მარტო დარჩე სიბნელეში.

— რა მოხდება, თუკი დავრჩები?

— მოკვდები. ღამის არსებები ხოჭოსავით გაგსრესენ.

— ნიშნავს თუ არა ეს, რომ მარტო ვერ გავატარებ ღამეს?

— შენ შეგიძლია მარტო იყო შენს საწოლში, მაგრამ არა მთებში.

— და რაც შეეხება დაბლობებს?

— ეს მხოლოდ ველურ ადგილებს ეხება, სადაც ახლომახლო ადამიანები არ არიან. განსაკუთრებით ველურ ადგილებს მაღალ მთებში. რადგანაც ღამის არსებები კლდეებში და ნაპრალებში ბინადრობენ, დღეიდან აღარ შეგიძლია მთებში სიარული, თუ საკმარის ძალას არ დააგროვებ.

— კი, მაგრამ როგორ უნდა დავაგროვო პირადი ძალა?

— ისე უნდა იცხოვრო, როგორც გირჩიე. ნელ-ნელა ყველა შენი სადინარი უნდა ამოქოლო. ამაზე ფიქრი არ გჭირდება, იმიტომ, რომ ძალა ყოველთვის პოულობს გზას. აი, მაგალითად მე. არ ვიცოდი, რომ ძალას ვაგროვებდი, როცა პირველად ვისწავლე მეომრის წესით ცხოვრება. ისევე როგორც შენ, მეც ვფიქრობდი, რომ არაფერს განსაკუთრებულს არ ვაკეთებდი. მაგრამ ეს ასე არ იყო. ძალის განსაკუთრებულობა ისაა, რომ იგი შეუმჩნეველია, როცა მას აგროვებ.

ვთხოვე აეხსნა, როგორ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩემთვის სიბნელეში მარტოდ დარჩენა სახიფათო იყო.

— ღამის არსებები შენგან მარცხნივ მოძრაობდნენ. ისინი ცდილობდნენ შენს სიკვდილს შერწყმოდნენ. განსაკუთრებით ის კარი, რომელიც დაინახე. ეს ხვრელი იყო, იცი? და იგი შეგიწოვდა, სანამ იძულებული არ იქნებოდი, რომ მასში შესულიყავი, და ეს შენი აღსასრული იქნებოდა.

შეძლებისდაგვარად ფრთხილად შევნიშნე, რომ ძალიან უცნაურად მეჩვენებოდა ის ფაქტი, რომ ყველაფერი მაშინ მემართება, როცა იგი სადღაც შორიახლოსაა, და ეს ყველაფერი იმას ჰგავს, თითქოს მან თავად შექმნა და მოაწყო ასე მოვლენები. იმ შემთხვევაში, როცა ღამით ვიყავი მარტო ველურ ბუნებაში, ყველაფერი ყოველთვის ნორმალური და ჩვეულებრივი იყო. არასოდეს მქონია არც აჩრდილებთან შეხვედრა და არც უცნაური ბგერები გამიგია. და მართლაც, არასოდეს არაფერი არ მაშინებდა.

დონ ხუანმა რბილად გაიცინა. მისი სიტყვებით, ეს ყველაფერი იმის დასტური იყო, რომ მას საკმარისი პირადი ძალა აქვს იმისთვის, რომ დამხმარედ მილიარდი სხვადასხვა რამ გამოიძახოს.

უცებ გამიელვა აზრმა იმის შესახებ, რომ მან მართლა მოიწვია დამხმარედ რამდენიმე ადამიანი. როგორც ჩანს, მან ჩემი აზრები წაიკითხა და ხმამაღლა გადაიხარხარა.

— ნუ დაიმძიმებ თავს ახსნებით, — თქვა მან. — რაც გითხარი, იმას აზრი არა აქვს შენთვის უბრალოდ იმიტომ, რომ ჯერ არასაკმარისი პირადი ძალა გაქვს. თუმცაღა ახლა იგი მეტი გაქვს, ვიდრე მაშინ, როცა იწყებდი. ამიტომაც შეგემთხვა სხვადასხვა მოვლენები. უკვე გქონდა მძლავრი შეხვედრა ბურუსთან და ჭექა-ქუხილთან. მნიშვნელობა არ აქვს, რომ ვერ გაიგე მაშინ რაც მოხდა. მთავარი ისაა, რომ ხსოვნა მოიპოვე ამის შესახებ. ხიდი და ყველაფერი დანარჩენი, რაც იმ ღამით ნახე, განმეორდება ოდესმე, როცა საკმარისი პირადი ძალა გექნება.

— რა მიზნით განმეორდება ეს ყველაფერი, დონ ხუან?

— არ ვიცი. მე შენ არ ვარ. მხოლოდ შენ შეგიძლია უპასუხო ამას. ჩვენ ყველანი განვსხვავდებით. აი, რატომ უნდა დამეტოვებინე ღამით მარტო, თუმცა ვიცოდი, რომ ეს სასიკვდილოდ საშიში იყო. თავად უნდა გამოგეცადა საკუთარი თავი ამ არსებების წინააღმდეგ. მიზეზი, რის გამოც ბუს კივილი შევარჩიე, იმაში მდგომარეობდა, რომ ბუები ამ არსებების მაცნეები არიან, ბუს ხმის იმიტაციით ეს არსებები გარეთ გამოგყავს. ისინი სახიფათონი გახდნენ შენთვის არა იმიტომ, რომ თავისი ბუნებით ბოროტნი არიან, არამედ იმიტომ, რომ შენ არ იყავი დაუმარცხებელი. არის შენში რაღაც იაფფასიანი. არ ვიცი რა არის ეს. უბრალოდ გეცინება ჩემზე. ყოველთვის ყველაფერზე გეცინებოდა, რაც ავტომატურად ყველაზე და ყველაფერზე მაღლა გაყენებდა. მაგრამ თავადაც იცი, რომ ეს ასე ვერ იქნება. შენ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ხარ, და შენი ცხოვრება მეტისმეტად მოკლეა იმისთვის, რომ ამ ჯადოსნური სამყაროს ყველა საოცრება და ყველა საშინელება მოიცვა. ამიტომ შენი დაცინვა — იაფფასიანია. იგი პაწაწინა ზომებამდე გამცირებს.

მინდოდა შევწინააღმდეგებოდი. დონ ხუანმა გამომიჭირა, როგორც ეს უამრავჯერ გაუკეთებია მანამდე. რაღაც მომენტში გავბრაზდი. მაგრამ ისევე, როგორც ადრე, წერამ ისე გამიტაცა, რომ შევძელი არ ავყოლოდი ემოციებს.

— მე ვფიქრობდი, რომ ამის საწინააღმდეგო წამალი მაქვს, — განაგრძო დონ ხუანმა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ. — შენც კი შეგიძლია დამეთანხმო, თუკი გაიხსენებ, რას აკეთებდი გასულ ღამეს. შენ ისევე სწრაფად გაიქეცი, როგორც ნებისმიერი სხვა მაგი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც შენი მოწინააღმდეგე აუტანელი გახდა. ჩვენ ორივემ ვიცით ეს, და ვფიქრობ, უკვე ვიპოვე შენთვის ღირსეული მოწინააღმდეგე.

— რას აპირებ, დონ ხუან?

— მან არ მიპასუხა. წამოდგა და მთელი სხეულით გაიზმორა. თითქოს ყოველი კუნთით იწელებოდა. მეც იგივეს გაკეთება მიბრძანა.

— დღის განმავლობაში ბევრჯერ უნდა გაჭიმო შენი სხეული, — თქვა მან. რაც მეტჯერ, მით უკეთესი. მაგრამ მხოლოდ მუშაობის ან დასვენების ხანგრძლივი პერიოდების შემდეგ.

— რომელი მოწინააღმდეგის პოვნას აპირებ ჩემთვის? — ვკითხე მე.

— საუბედუროდ, მხოლოდ ჩვენ გარშემო მყოფი ადამიანები წარმოადგენენ ღირებულ მოწინააღმდეგეებს. ყველა დანარჩენ არსებას არ გააჩნია საკუთარი სურვილი და საჭიროა, შეხვდე მათ და გამოიტყუო. ჩვენ გარშემო მყოფ ადამიანებს პირიქით, ბოროტი მეხსიერება აქვთ.

— ჩვენ საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ, — თქვა დონ ხუანმა მკვეთრი ტონით და ჩემკენ შემობრუნდა. — სანამ წავალთ, კიდევ ერთი რამ უნდა გააკეთო, ყველაზე მთავარი. ვაპირებ, რომ პირდაპირ ახლა გითხრა რაღაც და დავამშვიდო შენი გონება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იმყოფები აქ. მიზეზი, რის გამოც აგრძელებ ჩემთან შეხვედრებს, ძალიან მარტივია. ყოველ ჯერზე, როცა მხედავ, შენი სხეული გარკვეულ რაღაცეებს სწავლობს შენი სურვილის საწინააღმდეგოდაც კი. და ახლა, როგორც იქნა, შენი სხეული უკვე საჭიროებს იმას, რომ დაბრუნდეს ხოლმე ჩემთან და სწავლა განაგრძოს. ასე ვთქვათ, შენმა სხეულმა იცის, რომ მოკვდება, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ფიქრობ ამაზე. ამიტომ შენს სხეულს ვუყვებოდი, რომ მეც მოვკვდები. მაგრამ სანამ მოვკვდები, მინდა ვაჩვენო მას ისეთი რაღაცეები, რასაც შენ ვერ მისცემ შენს სხეულს. მაგალითად, შენს სხეულს სჭირდება შიში, მას უყვარს იგი. შენს სხეულს სჭირდება სიბნელე და ქარი. შენმა სხეულმა უკვე იცის ძალის სირბილი და მოუთმენლად ელოდება შესაძლებლობას, რომ გამოიყენოს იგი. შენს სხეულს სჭირდება პირადი ძალა და მოუთმენლად ელის იმ დროს, როცა იგი ექნება. ამიტომ ასე ვთქვათ, რომ შენი სხეული ბრუნდება ხოლმე ჩემთან შესახვედრად, რადგანაც მე მისი მეგობარი ვარ.

დონ ხუანი დიდი ხნის განმავლობაში ჩუმად იყო. თითქოს თავის ფიქრებს ებრძვისო.

— უკვე გეუბნებოდი, რომ ძლიერი სხეულის საიდუმლო იმაში კი არაა, თუ რას აკეთებ მისთვის, არამედ იმაში, თუ რას არ აკეთებ, — თქვა მან. — ახლა შენთვის უკვე დადგა დრო, რომ არ აკეთო ის, რასაც ყოველთვის აკეთებ ხოლმე. დაჯექი აქ, სანამ არ წავალთ და არ აკეთო.

— ვერ გავიგე, დონ ხუან.

მან ხელი მოჰკიდა ჩემს ჩანაწერებს და მომაცილა. ფრთხილად დაალაგა ბლოკნოტის გვერდები, რეზინის ლენტით შეკრა ისინი, შემდეგ კი შორს, ჩაპარალში მოისროლა ჩემი ბლოკნოტი.

შოკირებული ვიყავი და გაპროტესტება დავიწყე, მაგრამ მან ხელი პირზე ამაფარა. დიდი ბუჩქისკენ მიმითითა და მითხრა, რომ ყურადღების კონცენტრირება მომეხდინა არა ფოთლებზე, არამედ ფოთლების ჩრდილზე. მითხრა, რომ სიბნელეში სირბილი აუცილებელი არაა შიშით იყოს გამოწვეული, შესაძლებელია, იგი ასევე ბუნებრივი რეაქცია იყოს ჯანმრთელი სხეულისა, რომელმაც იცის, როგორ „არ აკეთოს“. იგი კვლავ და კვლავ მიმეორებდა ჩურჩულით მარჯვენა ყურში, რომ „არკეთება“ იმისა, რისი კეთებაც ვიცოდი,

ძალის გასაღებია. ხეზე დაკვირვების შემთხვევაში ის, რაც ვიცოდი, როგორ მეკეთებინა, იყო ფოთლებზე მზერის დაუყოვნებლივ ფოკუსირება. ფოთლების ჩრდილები ან ფოთლებს შორის შუალედები არასოდეს არ მაღელვებდნენ. მისი ბოლო დარიგება იყო, რომ მომეხდინა მზერის ფოკუსირება ერთადერთი ტოტის ფოთლების ჩრდილებზე, შემდეგ კი თანდათანობით გამეფართოებინა მოცულობა მთელ ხემდე. თვალები არ უნდა დამებრუნებინა უკან, ფოთლებზე, რადგანაც პირველი გაცნობიერებული ნაბიჯი პირადი ძალის დაგროვებისკენ ეს იყო ის, რომ „არკეთების“ საშუალება მიმეცა სხეულისთვის.

ისე ჩავიძირე ფოთლების ჩრდილებში, შესაძლოა დაღლილობის ან ნერვული აგზნების გამო, რომ იმ დროისთვის, როცა დონ ხუანი წამოდგა, უკვე შემეძლო აღმექვა ჩრდილთა ბნელი მასების ჯგუფი ისევე ეფექტურად, როგორც ნორმალურ პირობებში ვახდენდი ფოთლების დაჯგუფებას. საერთო ეფექტი საოცარი იყო. დონ ხუანს ვუთხარი, რომ კიდევ მინდოდა დარჩენა. მას გაეცინა და ქუდზე დამიტყაპუნა ხელი.

— ხომ გითხარი, — თქვა მან, — სხეულს მოსწონს მსგავსი რაღაცეები.

შემდეგ მითხრა, რომ საშუალება უნდა მიმეცა დაგროვილი ენერგიისთვის, რომ წავეყვანე ბუჩქების გავლით ჩემი ბლოკნოტისკენ. ოდნავ მიბიძგა ჩაპარალისკენ. რაღაც პერიოდი უმიზნოდ დავდიოდი და შემდეგ როგორც იქნა შევეჩეხე მას. ვიფიქრე, რომ, როგორც ჩანს, გაუცნობიერებლად დავიმახსოვრე მიმართულება, საითაც დონ ხუანმა მოისროლა იგი. მან ახსნა ეს მოვლენა და თქვა, რომ მე პირდაპირ ბლოკნოტისკენ წავედი იმიტომ, რომ ჩემი სხეული დიდი ხნის განმავლობაში იჟღინთებოდა „არკეთებით“.

15. არკეთება

ოთხშაბათი, 1962 წლის 11 აპრილი.

სახლში დაბრუნების შემდეგ დონ ხუანმა მირჩია, რომ ჩანაწერების კეთება განმეგრძო, თითქოს არაფერი შემმთხვეოდეს, და რომ არ მეფიქრა და არ მეხსენებინა არცერთი მომხდარი მოვლენა.

შუადღის დასვენების შემდეგ განაცხადა, რომ ეს ადგილი რამდენიმე დღით უნდა დაგვეტოვებინა, რადგან სასურველი იყო რაღაც მანძილი ყოფილიყო ჩვენსა და „იმ არსებებს“ შორის. თქვა, რომ მათ ღრმა ზეგავლენა მოახდინეს ჩემზე, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ შემიმჩნევია მათი გავლენის ეფექტი, რადგანაც ჩემი სხეული არასაკმარისად მგრძნობიარე იყო. თუმცაღა მცირე ხნის შემდეგ სერიოზულად გავხდებოდი ავად, თუ „ჩემი ძალის ადგილზე“ არ წავიდოდი, რათა ძალები აღმედგინა და მოვმაგრებულიყავი.

განთიადის წინ წავედით. გეზი ჩრდილოეთისკენ ავიღეთ და დამქანცველი მგზავრობისა და სწრაფი სიარულის შემდეგ იმ გორაკის მწვერვალს დღის მეორე ნახევარში მივაღწიეთ.

დონ ხუანმა, როგორც ადრე აკეთებდა ხოლმე ამას, ადგილი, სადაც ადრე უკვე მეძინა, ტოტებითა და ფოთლებით დაფარა. შემდეგ ფოთლების ბღუჯა მომცა, რომ მუცელზე

დამედო და მითხრა, რომ დავწოლილიყავი და დამესვენა. თავისთვის სხვა ადგილი მოიმზადა ჩემგან ცოტათი მარცხნივ, დაახლოებით მეტრნახევარში ჩემგან და თავადაც წამოწვა.

რამდენიმე წუთში ყველა მიმართულებით გავრცელებადი სითბო და შესანიშნავი განწყობა დამეუფლა. ეს იყო ფიზიკური კომფორტულობის შეგრძნება. ისეთი შეგრძნება, თითქოს ჰაერში ვიყავი გამოკიდებული. შემეძლო ბოლომდე დავთანხმებოდი დონ ხუანს, რომ „სიმების საწოლი“ ჰაერში მალივლივებდა. მოვუყევი ჩემი საოცარი შეგრძნებების შესახებ. დონ ხუანმა თავდაჯერებული ტონით განაცხადა, რომ სწორედ ამ მიზნით გააკეთა „საწოლი“.

— ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს შესაძლებელი იყო!— წამოვიძახე მე.

დონ ხუანმა ჩემი განცხადება პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და დამტუქსა. თქვა, რომ დაიღალა იმისგან, რომ უკიდურესად მნიშვნელოვანი არსებასავით ვმოქმედებდი, რომელსაც კვლავ და კვლავ უნდა უმტკიცო, რომ სამყარო ამოუცნობი და ჯადოსნურია.

ვეცადე ამეხსნა, რომ ჩემს რიტორიკულ განცხადებას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მისი თქმით, ეს რომ ასე ყოფილიყო, სხვა სიტყვებს შევარჩევდი. მეჩვენებოდა, რომ ძალიან გაღიზიანებული იყო ჩემ გამო. სანახევროდ ჩამოვჯექი და ბოდიშების მოხდა დავიწყე. მაგრამ მას გაეცინა საუბრის საკუთარ მანერის მიბაძვით, რიტორიკულ–მაღალფარდოვანი განცხადებების მთელი რიგი შემომთავაზა, რომლებიც შემეძლო გამომეყენებინა. ბოლოს და ბოლოს გამეცინა მის მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი ალტერნატივის აბსურდულობაზე.

მას გაეცინა და რბილი ტონით შემახსენა, რომ საკუთარ თავს უნდა განვჯაჭვოდი და ლივლივის შეგრძნებას უნდა მივცემოდი.

სიმშვიდისა და სისავსის შეგრძნებამ, რომელსაც ამ მოჯადოებულ ადგილას ვგრძნობდი, რაღაც ძალიან ღრმა ემოციები გააღვიძა ჩემში. საკუთარი ცხოვრების შესახებ დავიწყე საუბარი. ვაღიარე, რომ არასოდეს ვცემდი პატივს ვინმეს, და არ მიყვარდა არავინ, საკუთარი თავიც კი, და რომ ყოველთვის თანდაყოლილად ბოროტად ვგრძნობდი თავს, ამიტომ ჩემს დამოკიდებულებას სხვებისადმი ყოველთვის ახლდა გარკვეული თავხედობის ელფერი.

— მართალია, — თქვა დონ ხუანმა. — შენ საერთოდ არ გიყვარს საკუთარი თავი.

ჩაიხითხითა და თქვა, თუ რას ხედავდა იმ დროს, როცა მე ვლაპარაკობდი. მისი რეკომენდაცია იყო, რომ არ უნდა მენანა არაფერი, რაც გავაკეთე, რადგანაც ვინმეს მოქმედებების განსაზღვრა, როგორც ცუდის, ულამაზოს ან ბოროტულის, ნიშნავდა საკუთარ თავზე არაფრით განპირობებული მნიშვნელოვნების მიღებას.

მე ნერვიულად გავინძერი, და ფოთლების საწოლმა შრიალის ხმა გამოსცა. დონ ხუანმა თქვა, რომ თუ დასვენება მინდოდა, არ უნდა გამეღიზიანებინა ჩემი ფოთლები და უნდა მიმებაძა მისთვის, ანუ უნდა ვწოლილიყავი და არანაირი მოძრაობა არ შემესრულებინა. თქვა, რომ ხედვებისას ჩემს ერთ-ერთ განწყობას შეეჩეხა. რაღაც პერიოდი იგი ყოყმანობდა, თითქოს შესაფერის სიტყვას ეძებდა, შემდეგ კი თქვა, რომ ის განწყობა, რომელზეც იგი საუბრობდა, გონების იმ ჩარჩოს წარმოადგენდა, რომელშიც გამუდმებით

ვხტებოდი ხოლმე. მან ეს ახსნა, როგორც ერთგვარი დამჭერი კარი, რომელიც უეცრად იხსნება და მყლაპავს.

ვთხოვე, უფრო ზუსტად აეხსნა. მან მითხრა, რომ შეუძლებელია იყო კონკრეტული, როცა „ხედვაზე“ საუბრობ. სანამ კიდევ რაიმეს თქმას შევძლებდი, მიბრძანა, რომ მოვდუნებულიყავი, მაგრამ არ დამძინებოდა, და ყურადღებით ვყოფილიყავი სადამდეც შევძლებდი. თქვა, რომ სიმებისგან გაკეთებული საწოლი შექმნილია იმისთვის, რომ საშუალება მისცეს მეომარს, მივიდეს სიმშვიდისა და კარგი განწყობის გარკვეულ მდგომარეობამდე.

დონ ხუანმა დრამატული ტონით განაცხადა, რომ კარგი განწყობა არის ის მდგომარეობა, რომელსაც უნდა გაუფრთხილდე და სათუთად შეინახო. მდგომარეობა, რომელიც ჯერ უნდა გაიცნო იმისთვის, რომ ეძებო იგი.

— შენ არ იცი, რა არის კარგი განწყობა, რადგანაც არასოდეს განგიცდია იგი, — თქვა მან.

მე არ დავეთანხმე, მაგრამ იგი აგრძელებდა მტკიცებას, რომ კარგი განწყობა მიღწევაა, რომელსაც გაცნობიერებულად ეძებენ. თქვა, რომ ერთადერთი რამ, რისი ძებნაც მე შემეძლო, — ეს იყო დეზორიენტაციის, ცუდი განწყობისა და დაბნეულობის შეგრძნება.

მან დამცინავად გადაიხარხარა. მისი თქმით, იმისთვის, რომ შემესრულებინა ამოცანა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ საკუთარი თავი საწყალი გამეხადა, იძულებული ვიყავი ინტენსიურად მემუშავა ამაზე, და დიდი აბსურდი ის იყო, რომ ვერ მივხვდი ზუსტად ასეთივე მუშაობის საჭიროებას საკუთარი თავის გასამთლიანებლად და გასაძლიერებლად.

— ფანდი იმაშია, რაზეც ადამიანი აკეთებს აქცენტს. — თქვა მან. — ჩვენ ან საწყალს ვხდით საკუთარ თავს ან ძლიერს. ჩატარებული სამუშაოს რაოდენობა ერთი და იგივეა.

თვალები დავხუჭე და კვლავ მოვდუნდი, როცა ვიგრძენი, რომ ვლივლივებდი. რაღაც პერიოდი მართლაც მეჩვენებოდა, რომ სივრცეში ვმოძრაობდი ფოთოლივით; მიუხედავად იმისა, რომ ეს უსასრულოდ სასიამოვნო იყო, შეგრძნებამ რაღაცნაირად ის დრო გამახსენა, როცა ავად ვიყავი ხოლმე, როცა თავბრუ მეხვეოდა და ტრიალის შეგრძნებას განვიცდიდი. ვიფიქრე, რომ რაღაც ცუდი ვჭამე.

მესმოდა, რომ დონ ხუანი რაღაცას მელაპარაკებოდა, მაგრამ არანაირ ძალისხმევას არ მივმართავდი, რომ ყური დამეგდო. ვცდილობდი, გონებით გადამეთვალიერებინა ყველაფერი, რაც იმ დღეს შევჭამე, მაგრამ ვერ შევძელი ამით დაინტერესება. მეჩვენებოდა, რომ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა.

— თვალყური ადევნე, როგორ იცვლება მზის სინათლე, — თქვა მან.

მისი ხმა მკაფიო იყო. ვიფიქრე, რომ იგი მდინრარე თბილ წყალს ჰგავდა.

დასავლეთისკენ ცა სრულიად თავისუფალი იყო ღრუბლებისგან, და მზის სინათლე საოცარი იყო. შესაძლოა, იმ ფაქტმა, რომ დონ ხუანმა ასე განმაწყო, საღამოს მზის მოყვითალო ელფერი ჭეშმარიტად დიადი გახადა.

—დაე, ამ სინათლემ გაგბანოს, — თქვა დონ ხუანმა. — დღეს სანამ მზე ჩავა, სრულიად მშვიდი და ძალებაღდგენილი უნდა იყო, რადგანაც ხვალ ან ზეგ „არკეთება“ უნდა ისწავლო.

— რის არკეთება უნდა ვისწავლო? — ვკითხე მე.

— ახლა ნუ იფიქრებ ამაზე, — თქვა მან. — დაიცადე, სანამ იმ მთებში არ აღმოვჩნდებით.

მან მიმითითა რაღაც შორეულ, ბნელ, ავისმომასწავებელ მწვერვალებზე ჩრდილოეთის მიმართულებით.

ხუთშაბათი, 1962 წლის 12 აპრილი.

დღის მეორე ნახევარში მთებთან ახლოს მყოფ მთიან უდაბნოს მივაღწიეთ. მუქი ყავისფერი გორები შორიდან თითქმის მტრულად გამოიყურებოდნენ. მზე ძალზე დაბლა ჩასულიყო ჰორიზონტს ქვემოთ და გამყარებული ლავის დასავლეთ ზედაპირს ანათებდა.

თვალს ვერ ვწყვეტდი. ეს მწვერვალები მართლაც მაჰიპნოზებდნენ. დღის ბოლოს მთების ქვედა ფერდობები გამოჩნდა. მთის უდაბნოში ძალიან ცოტა იყო მცენარეულობა. მხოლოდ კაქტუსებს ვხედავდი და რაღაც მაღალ ბალახს, რომელიც ბუჩქებად იზრდებოდა.

დონ ხუანი დასასვენებლად შეჩერდა. ჩამოჯდა, ფრთხილად მიაყუდა საჭმლით სავსე კასრები კლდეს და თქვა, რომ ამ ადგილზე ღამეს გავათევდით. მან საკმაოდ მაღალი ადგილი შეარჩია. სადაც ვიდექი, იმ ადგილიდან საკმაოდ ფართე გარშემოწერილობას ვხედავდი.

ღრუბლიანი დღე იყო და მწუხრმა მალე მოიცვა იქაურობა. მე გართული ვიყავი იმაზე დაკვირვებით, თუ რა სწრაფად იცვლიდნენ შეფერილობას ვარდისფერი ღრუბლები ერთგვაროვან მუქ ყავისფერ შეფერილობად.

დონ ხუანი წამოდგა და ბუჩქებისკენ წავიდა. იმ დროისთვის, როცა დაბრუნდა, მთების სილუეტი შავ მასად გადაიქცა. ჩემ გვერდით ჩამოჯდა და ჩემი ყურადღება იმისკენ მიაპყრო, რაც თითქოს ბუნებრივი წარმონაქმნი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთის გორებისკენ. ეს იყო ადგილი, რომლის შეფერილობაც გარემოსგან განსხვავებით უფრო ნათელი იყო. იმ დროს, როცა მთები მწუხრის ჟამს ერთფეროვან მუქყავისფრად მოჩანდნენ, ადგილი, რომელზეც მან მიმითითა, მართლაც მოყვითალო იყო. ვერ ვხვდებოდი, რა შეიძლებოდა ეს ყოფილიყო. დიდხანს ვუყურებდი. მეჩვენებოდა, რომ იგი მოძრაობდა და პულსირებდა. როცა თვალები დავაელმე, მართლაც დაიწყო რხევა, თითქოს ქარი არხევდა.

— დაჟინებით უყურე, — მიბრძანა დონ ხუანმა.

რაღაც მომენტში, როცა მე უკვე საკმაო ხანი ვინარჩუნებდი დაჟინებულ მზერას, ვიგრძენი, რომ მთელი მთების მასივი ჩემკენ იძვროდა. ამ გრძნობას თან ახლდა უჩვეულო აგზნება ჩემი მუცლის ქვედა ნაწილში. უხერხულობა ისეთი მწვავე იყო, რომ წამოვდექი.

— დაჯექი! — დამიყვირა დონ ხუანმა, მაგრამ მე უკვე ფეხზე ვიდექი. ჩემი ახალი მდგომარეობიდან მოყვითალო წარმონაქმნი უფრო ქვემოთ, მთების ძირებთან აღმოჩნდა. მე კვლავ დავჯექი თვალმოუშორებლად და წარმონაქმნმა უფრო მაღალ ადგილას

გადაინაცვლა. წამით ვუყურებდი მას, შემდეგ კი უეცრად ყველაფერი სწორ პერსპექტივაში აღვადგინე. მივხვდი, რომ ის, რასაც ვუყურებდი, მთებში კი არ იმყოფებოდა, არამედ მოყვითალო-მომწვანო მატერიის ნაფლეთი იყო, რომელიც პირდაპირ ჩემ წინ კაქტუსზე ეკიდა.

ხმამაღლა გამეცინა და ავუხსენი დონ ხუანს, რომ მწუხრმა ოპტიკური ილუზია შექმნა. იგი წამოდგა, ბუჩქთან მივიდა, ჩამოხსნა ეს ნაფლეთი, დაკეცა და ჩანთაში ჩაიდო.

— რატომ აკეთებ ამას? — ვკიტხე მე.

— იმიტომ, რომ ამ ნაფლეთს ძალა აქვს, — თქვა მან მშვიდად. — რაღაც პერიოდი კარგად მიგდიოდა მასთან და ძნელია თქმა, რა მოხდებოდა, თუ არ ადგებოდი.

პარასკევი, 1962 წლის 13 აპრილი.

განთიადისას მთებისკენ გავეშურეთ. ისინი ძალიან შორს იყვნენ. შუადღისთვის ერთ-ერთ კანიონში შევედით. მცირე გუბეებში წყალი დამდგარიყო. დასასვენებლად კლდის ჩრდილში ჩამოვჯექით. მთები გარედან მონუმენტალური ლავის ნაკადით იყო დაფარული. ათასწლეულების განმავლობაში გამყარებული ლავა მუქყავისფერ ქვად იყო ქცეული. ალაგ-ალაგ თითო-ოროლა ბალახი თუ იზრდებოდა ქვებს შორის ნაპრალებში.

როცა ზემოთ, კანიონის თითქმის დაკიდებულ კედლებს შევხედე, მუცლის ქვემოთ უსიამოვნო შეგრძნება განვიცადე. კედლები სიმაღლით ასიოდე მეტრის იყო და მიქმნიდა შეგრძნებას, რომ ჩემ ზემოთ იკეტებოდნენ. მზე თითქმის თავს ზემოთ იმყოფებოდა და ოდნავ იხრებოდა სამხრეთ-დასავლეთისკენ.

— აქ დადექი, — თქვა დონ ხუანმა და ჩემი სხეული ისე შემოაბრუნა, რომ მზის მიმართულებით მეცქირა.

მიბრძანა, რომ დაჟინებით მემზირა ჩემს თავზე აღმართული მთის კედლისთვის. ხედი განსაცვიფრებელი იყო. ლავის ნაკადის დიადი სილამაზე ჩემს წარმოსახვას იპყრობდა. ფიქრი დავიწყე იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თავად ამოფრქვევა. რამდენჯერმე კანიონის კედლებს ზემოდან ქვემომდე შევხედე. ქვის კედლის ფერთა პალიტრის სიმდიდრეში ჩავიძირე. აქ იყო ყველა შესაძლო ელფერი. პირდაპირ ზემოთ ავიხედე და შევამჩნიე, რომ მზის შუქი ფრიად თვალწარმტაც ანარეკლს წარმოქმნიდა, როდესაც გამყარებული ლავის მბრწყინავ ზედაპირს ეხებოდა.

მთების იმ ნაწილს ვუყურებდი, სადაც მზის სინათლე ირეკლებოდა. მზის მოძრაობასთან ერთად მისი ინტენსივობა მცირდებოდა და ბოლოს სრულიად გაქრა.

კანიონის მიღმა გავიხედე და კიდევ ერთი ადგილი ვიპოვნე მზის შუქის ასეთივე თვალწარმტაცი ანარეკლებით. დონ ხუანს ვუთხარი იმის შესახებ, რაც ხდებოდა, და შემდეგ სინათლის კიდევ ერთი ადგილი შევამჩნიე. შემდეგ კიდევ ერთი სხვა ადგილას. და კიდევ, სანამ მთელი კანიონი სინათლის დიდი ლაქებით არ დაიფარა.

თავბრუ დამეხვა. თვალებიც რომ დამეხუჭა, მაინც ვხედავდი მბრწყინავ შუქს. თავზე ხელები შემოვიჭირე და ვცდილობდი გადმოკიდებული კლდის ქვეშ შევმძვრალიყავი,

მაგრამ დონ ხუანმა მაგრად მომკიდა ხელში ხელი და მბრძანებლური ტონით მითხრა, რომ მთის კედლისთვის მეცქირა და მეცადა, რომ მძიმე სიბნელის ლაქები დამენახა სინათლის ველებს შორის.

არ მინდოდა ყურება, რადგანაც ნათება ჩემს თვალებს აწუხებდა. ვთქვი, რომ რაც მემართებოდა, იმას ჰგავდა, თითქოს მზიან ქუჩას ვუყურებდი ფანჯრიდან, შემდეგ კი ყველგან ფანჯრის რამას ვხედავდი, როგორც შავ სილუეტს.

დონ ხუანმა თავი აქეთ-იქეთ გაიქნია და სიცილი დაიწყო. ხელი გამიშვა და კვლავ კლდის ქვეშ ჩამოვჯექით. ჩემს შთაბეჭდილებებს ვხარშავდი, როდესაც დონ ხუანმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ დრამატული ტონით წარმოთქვა:

— აქ იმისთვის მოგიყვანე, რომ ერთი რამ გასწავლო, — თქვა მან და გაჩერდა. — შენ არკეთება უნდა ისწავლო. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამაზე, რადგანაც სხვანაირად არ შეგიძლია დაწყება. ვფიქრობდი, რომ შენ შეგეძლო შეჭიდებოდი არკეთებას იმის გარეშე, რომ მე არ მელაპარაკა ამაზე. მე ვცდებოდი.

— არ მესმის, რაზე საუბრობ, დონ ხუან?

— ამას არ აქვს მნიშვნელობა, — თქვა მან. — მინდოდა მომეყოლა იმის შესახებ, რაც ძალიან მარტივია, მაგრამ ძალიან რთულია შესასრულებლად. მინდოდა, რომ არკეთების შესახებ მომეყოლა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ არ არსებობს ამაზე საუბრის არანაირი საშუალება, რადგანაც ამას სხეული აკეთებს.

რამდენიმე მზერა მესროლა და შემდეგ მითხრა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიმექცია იმისთვის, რასაც მეუბნებოდა.

ბლოკნოტი დავხურე, მაგრამ ჩემდა გასაოცრად მან მომთხოვა, რომ წერა განმეგრძო.

— არკეთება იმდენად რთული და იმდენად ძლევამოსილია, რომ შენ არ უნდა ისაუბრო მასზე, — თქვა მან. — მანამ, სანამ სამყაროს არ გააჩერებ. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია ამაზე თავისუფლად საუბარი, თუ ეს სწორედ ისაა, რისი გაკეთებაც გსურს.

დონ ხუანმა გაიხედა და დიდ კლდეზე მიმითითა.

— ეს კლდე კლდეს წარმოადგენს კეთების გამო, — თქვა მან.

ერთმანეთს შევხედეთ, და მან გაიღიმა. ახსნას ველოდი, მაგრამ იგი დუმდა. ბოლოს და ბოლოს იძულებული ვიყავი მეთქვა, რომ არ მესმოდა, რას გულისხმობდა.

— ეს კეთებაა! — წამოიძახა მან.

— მაპატიე?

— ესეც კეთებაა.

— რაზე ლაპარაკობ, დონ ხუან?

— კეთება არის ის, რაც კლდეს კლდედ აქცევს, ბუჩქს კი ბუჩქად. კეთება არის ის, რაც შენ შენად გაქცევს, მე კი – მედ.

ვუთხარი, რომ მისი განმარტებები ვერაფერს ვერ ხსნიდა. მას გაეცინა და საფეთქლები მოიფხანა.

—ამაზე ლაპარაკი ყოველთვის პრობლემაა. იგი ყოველთვის ყველაფერსხლართავს. თუ არკეთებაზე იწყებ ლაპარაკს, ყოველთვის ამთავრებ იმით, რომ რაღაც სხვაზე ლპარაკობ. ჯობია, უბრალოდ იმოქმედო.

ავიღოთ, მაგალითად, ეს კლდე. მისი ცქერა — კეთებაა, მაგრამ მისი ხედვა — არკეთება.

მინდოდა მეღიარებინა, რომ მის სიტყვებს ჩემთვის აზრი არ ჰქონდა.

— ო, რა თქმა უნდა აქვთ! წამოიძახა მან. მაგრამ შენ დარწმუნებული ხარ, რომ მათ არ აქვთ აზრი, რადგანაც ეს შენი კეთებაა. სწორედ ამ სახით მოქმედებ ჩემთან მიმართებაში და სამყაროსთან მიმართებაში.

მან კვლავ კლდეზე მიმითითა.

— ეს კლდე ყველაფერ იმის გამო წარმოადგენს კლდეს, რაც მასზე იცი, — თქვა მან. — და ის, რაც შეგიძლია მას გაუკეთო. ამას ვეძახი კეთებას. მაგალითად, ცოდნის ადამიანმა იცის, რომ კლდე მხოლოდ კეთების გამო წარმოადგენს კლდეს. ამიტომ, თუკი მას უნდა, რომ კლდე არ იყოს კლდე, ყველფერი, რაც მას ამისთვის ჭირდება — ესაა არკეთება. მიხვდი, რას ვგულისხმობ?

საერთოდ არ მესმოდა მისი. გაეცინა და და კიდევ სცადა ახსნა.

— სამყარო წარმოადგენს სამყაროს იმიტომ, რომ შენ იცი ის კეთება, რაც მას ასეთად ხდის, — თქვა მან. — შენ რომ არ იცოდე მისი კეთება, სამყარო სხვანაირი იქნებოდა.

მან ინტერესით შემათვალიერა. წერა შევწყვიტე. მინდოდა, უბრალოდ მესმინა მისთვის. იგი განაგრძობდა ახსნას, რომ ამ ერთგვარი კეთების გარეშე გარშემო არაფერი ნაცნობი არ დარჩებოდა.

იგი დაიხარა, პატარა კენჭი მარცხენა ხელის ორი თითით ასწია და ჩემ თვალწინ დაიჭირა. ეს კენჭია, იმიტომ, რომ შენ იცი იმისთვის საჭირო კეთება, რომ იგი კენჭად აქციო, — თქვა მან.

რაზე ამბობ? — ვკითხე მე გულწრფელი განცვიფრებით. დონ ხუანს გაეღიმა. მეჩვენებოდა, რომ გამცემი კმაყოფილების დაფარვას ცდილობდა.

— არ ვიცი, რატომ ხარ ასე შეცბუნებული, — თქვა მან. —სიტყვები, ეს შენი წინასწარგანწყობაა, შენ მეშვიდე ცაზე უნდა იყო.

მან იდუმალი მზერა მესროლა და ორ-სამჯერ წარბები ასწია. შემდეგ კვლავ მიმითითა პატარა კენჭზე, რომელიც ჩემ თვალწინ ეჭირა.

— მე ვამბობ, რომ შენ აქცევ მას კენჭად იმიტომ, რომ იცი ის კეთება, რაც ამისთვისაა საჭირო. და იმისთვის, რომ სამყარო გააჩერო, კეთება უნდა გააჩერო.

იგი თითქოს ხვდებოდა, რომ მე მაინც ვერაფერი გავიგე, და თავის ქნევით იღიმებოდა. შემდეგ პატარა ჯოხი აიღო და კენჭის არათანაბარ გვერდებზე მიმითითა.

— ამ პატარა კენჭის შემთხვევაში, — განაგრძობდა იგი, — პირველი, რასაც მას კეთება უშვრება, ესაა ის, რომ ამ ზომებამდე კუმშავს. ამიტომ, თუ მეომარს სამყაროს გაჩერება სურს, სწორი ქმედება იქნება, თუ იგი არკეთებით გაადიდებს კენჭს ან ნებისმიერ სხვა ნივთს.

იგი წამოდგა, კენჭი ლოდზე დადო და მთხოვა, რომ უფრო ახლოს მივსულიყავი და კარგად დავკვირვებოდი. მითხრა, რომ დამეთვალიერებინა ღრმულები და ხვრელები კენჭზე და შემემჩნია უწვრილმანესი დეტალებიც კი. თქვა, რომ თუკი შევძლებდი დეტალებზე შეჩერებას, ფორები და ჩაღრმავებები გაქრებოდნენ, და მე მივხვდებოდი, რას ნიშნავს არკეთება.

— ეს დაწყევლილი კენჭი დღეს ჭკუიდან გადაგიყვანს, — თქვა მან.

როგორც ჩანს სახეზე დაბნეულობა დამეტყო. მან შემომხედა და გადაიხარხარა. შემდეგ თავი მომაჩვენა, რომ გაბრზებულია კენჭზე და ორ-სამჯერ ქუდი დაარტყა მას.

მე ვთხოვდი, რომ აეხსნა, თუ რას გულისხმობდა. ვარწმუნებდი, რომ თუკი ეცდებოდა, ნებისმიერ რამეს ახსნიდა. მან შემომხედა და თავი გააქნია, თითქოს მდგომარეობა უიმედო ყოფილიყოს.

— რა თქმა უნდა, მე შემიძლია ყველაფრის ახსნა, — თქვა მან სიცილით. — მაგრამ შენ თუ შეძლებ გაგებას?

მისმა სიტყვებმ გამაცოფა.

— კეთება გაიძულებს, რომ გამოარჩიო კენჭი დიდი ზომის ლოდისგან. თუ გინდა, რომ არკეთება ისწავლო, ასე ვთქვათ, ერთმანეთს უნდა შეარწყა ისინი.

მან მიმითითა პატარა ჩრდილზე, რომელსაც კენჭი ქმნიდა ლოდზე, და თქვა, რომ ეს ჩრდილი კი არა, წებოა, რომლითაც ისინი ერთმანეთს ერწყმიან. შემდეგ შებრუნდა და წავიდა, მანამდე კი თქვა, რომ მოგვიანებით მოვიდოდა ჩემ მოსანახულებლად.

დიდი ხნის განმავლობაში ვუყურებდი კენჭს. არ შემეძლო ყურადღების შეჩერება უწვრილმანეს დეტალებზე და ჩაღრმავებებზე, მაგრამ მცირე ჩრდილი, რომელსაც კენჭი ქმნიდა, ძალიან ინტენსიური გახდა. დონ ხუანი მართალი იყო. იგი წებოს ჰგავდა, მოძრაობდა და ადგილს ინაცვლებდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ კენჭიდან იღვრებოდა.

როცა დონ ხუანი დაბრუნდა, ყველაფერი მოვუყევი, რასაც დავაკვირდი და რაც დავინახე ჩრდილში.

— არაა ცუდი დასაწყისი, — თქვა მან. — ჩრდილის მეშვეობით მეომარს შეუძლია ბევრი რამ თქვას.

შემდეგ თქვა, რომ უნდა ამეღო კენჭი და სადმე დამემარხა.

— რატომ? — ვკითხე მე.

— შენ დიდხანს აკვირდებოდი მას. ახლა მასში უკვე არის რაღაც შენი. მეომარი ყოველთვის ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს კეთების ძალაზე და არკეთებად გარდაქმნას

იგი. კენჭის მიტოვება კეთება იქნებოდა, რადგანაც ეს უბრალოდ პატარა ქვაა. არკეთება იქნება, თუ ისე მოეპყრობი კენჭს, თითქოს იგი სულაც არ იყოს უბრალო ქვა. ამ შემთხვევაში კენჭი შენით გაიჟღინთებოდა დროის დიდი პერიოდის მანძილზე და ახლა ეს შენ ხარ, და არ შეგიძლია მისი უბრალოდ მიტოვება, არამედ უნდა დამარხო იგი. შენ რომ პირადი ძალა გქონოდა, მაშინ არკეთება იქნებოდა, თუ ამ კენჭს ძალის ობიექტად გადააქცევდი.

— ახლა არ შემიძლია ამის გაკეთება?

— ამისთვის შენი ცხოვრება არასაკმარისად მჭიდროა. რომ ხედავდე, გეცოდინებოდა, რომ შენმა დაჟინებულმა ყურადღებამ ეს კენჭი რაღაც ფრიად ულამაზოდ აქცია, ამიტომ ყველაზე უკეთესი, რაც შეგიძლია გააკეთო, ესაა ის, რომ ამოთხარო ორმო, ჩაფლო იგი და საშუალება მისცე მიწას, რომ მისი სიმძიმე შეიწოვოს.

— და ეს ყველაფერი სიმართლეა?

— შენს პასუხზე ჰოს ან არას თქმა კეთება იქნება, მაგრამ რადგანაც არკეთებას სწავლობ, უნდა გითხრა, რომ ფაქტიურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, არის თუ არა ეს ყველაფერი სიმართლე. სწორედ აქ აქვს მეომარს უპირატესობის წერტილი საშუალო ადამიანთან. საშუალო ადამიანს აინტერესებს, სწორია თუ არა ეს ყველაფერი, მეომარს კი - არ აინტერესებს. საშუალო ადამიანი განსაკუთრებულად ეპყრობა იმ საგნებს, რომლებსაც იცნობს როგორც მართალს, და სრულიად განსხვავებულად იმ საგნებს, რომლებსაც ცრუდ აღიქვამს. თუ რაიმეზე ნათქვამია, რომ ის მართალია, იგი მოქმედებს და სჯერა იმის, რასაც აკეთებს. მაგრამ თუ რაღაცაზე ითქვა, რომ იგი ცრუა, იგი არ ცდილობს მოქმედებას, ან არ სჯერა იმის, რასაც აკეთებს. მეორე მხრივ, მეომარი ორივე შემთხვევაში მოქმედებს. თუ რაიმე ცნობილია, როგორც ჭეშმარიტი, იგი იმოქმედებს იმისთვის, რომ კეთება აკეთოს, თუ რაიმეზე ცნობილია, როგორც არაჭეშმარიტი, იგი მაინც იმოქმედებს იმისთვის, რომ არკეთება აკეთოს. გესმის, რას ვამბობ?

— არა, საერთოდ არ მესმის, რას ვამბობ, — ვუთხარი მე.

დონ ხუანის სიტყვებმა გაურკვევლობაში ჩამაგდო. ვერ ვხვდებოდი, რას ლაპარაკობდა. ვუთხარი, რომ ეს ყველაფერი უაზრობაა, და მას გაეცინა ჩემზე, და მითხრა, რომ მე იმაშიც კი არ მქონდა უზადო სული, რისი კეთებაც ყველაზე მეტად მიყვარდა — ლაპარაკში. იგი აქილიკებდა ლაპარაკის ჩემს უნარს და მცდარად და არაადექვატურად თვლიდა მას.

— თუ გინდა, რომ მთლიანად ენა იყო, იყავი მეომარი ენა, — თქვა მან და სიცილისგან გადაბჟირდა.

თავს გაკიცხულად ვგრძნობდი. ყურებში მიწუოდა. თავში უსიამოვნო სიცხეს ვგრძნობდი. სახე წითელი მქონდა და მართლაც გაღიზიანებული ვიყავი.

წამოვდექი, ჩაპარალში გავედი და კენჭი დავმარხე.

— ცოტათი გაღიზიანებდი, — თქვა დონ ხუანმა, როცა დავბრუნდი და ჩამოვჯექი. — მაგრამ ამავდროულად ვიცი, რომ თუ არ ლაპარაკობ, მაშინ არ გესმის. ლაპარაკი შენთვის კეთებას წარმოადგენს. მაგრამ აქ ლაპარაკი არაა შესაფერისი. თუ გინდა იცოდე, რას ვგულისხმობ არკეთებაში, მარტივი სავარჯიშო უნდა გააკეთო. რადგანაც ჩვენ არკეთებაზე

ვსაუბრობთ, არ აქვს არანაირი მნიშვნელობა, ახლა გააკეთებ ამ სავარჯიშოს თუ ათი წლის შემდეგ.

მან დაწოლა მაიძულა, ჩემი მარჯვენა ხელი აიღო და იდაყვში მოხარა. შემდეგ ჩემი ხელისგული იქამდე მოატრიალა, სანამ წინისკენ არ მიმართა. ჩემი თითები ისე მოკაკვა, რომ ხელის პოზა გამოიყურებოდა, თითქოს კარის სახელურზე მეკიდა ხელი. შემდეგ ჩემი ხელის წინ და უკან მოძრაობა დაიწყო წრიული მოძრაობებით, რომლებიც ბორბალზე მიმაგრებული პედალის მოძრაობას მაგონებდა.

დონ ხუანმა თქვა, რომ მეომარი ასრულებს ამ მოძრაობას ყოველ ჯერზე, როცა რაღაცის თავისი სხეულიდან გამოგდება სურს, რაღაც ავადმყოფობის, ან დაუპატიჟებელი შეგრძნებისმაგვარის. იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ მიწოლოდა და დაექაჩა წარმოსახვითი საწინააღმდეგო ძალა, სანამ არ შეიგრძნობდა მძიმე ობიექტს, სოლიდურ სხეულს, რომელიც ხელის თავისუფალ მოძრაობას შეეწინააღმდეგებოდა.

ვარჯიშის შემთხვევაში არკეთება მდგომარეობდა მის განმეორებაში იქამდე, სანამ ხელით არ შევიგრძნობდი მძიმე სხეულს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შეუძლებელია ასეთი შეგრძნების შესაძლებლობის დაჯერება.

მე დავიწყე ხელის მოძრაობა და რაღაც დროის შემდეგ ხელი ყინულივით ცივი გამიხდა. ხელის გარშემო რაღაც ხახუნისმაგვარი ვიგრძენი. მეჩვენებოდა, რომ ხელს რაღაც მძიმე თხევად მატერიაში ვამოძრავებდი.

დონ ხუანმა უეცარი მოძრაობა გააკეთა, ხელი მტაცა ხელზე და სავარჯიშო შემაწყვეტინა. მთელი სხეული მიკანკალებდა, თითქოს უხილავი ძალისგან იყო შეძრული. მან დამათვალიერა, როცა ჩამოვჯექი, შემდეგ გარს შემომიარა, სანამ თავის ადგილას დაჯდებოდა.

— შენ საკმარისად გააკეთე, — თქვა მან. — ამ სავარჯიშოს გაკეთებას სხვა დროსაც შეძლებ, როცა მეტი პირადი ძალა გექნება.

— რამე არასწორად გავაკეთე?

— არა. არკეთება მხოლოდ ძლიერი მეომრებისთვისაა, შენ კი არა გაქვს საკმარისი ძალაამისთვის. ახლა მხოლოდ რაღაც შემაშინებელ საგნებს დაიჭერ ხელით. ამიტომ ცოტ-ცოტა აკეთე ეს სავარჯიშო, სანამ შენი ხელი გაციებას არ შეწყვეტს. როცა შენი ხელი თბილად დარჩება, მაშინ მართლაც შეიგრძნობ სამყაროს ხაზებს.

იგი შეჩერდა. თითქოს დრო მომცა, რომ კითხვა დამესვა ხაზების შესახებ. მაგრამ სანამ ამას გავაკეთებდი, ამიხსნა, რომ არსებობს ხაზების უსასრულო რაოდენობა, რომლებიც საგნებთან გვაერთებს. მან თქვა, რომ არკეთების ის სავარჯიშო, რომელიც ახლახანს აღწერა, ნებისმიერს დაეხმარება იმ ხაზების შეგრძნებაში, რომლებიც მოძრავი ხელიდან გამოდიან. ხაზების, რომლის მოთავსებაც ნებისმიერ ადგილას შეიძლება. დონ ხუანმა თქვა, რომ ეს მხოლოდ სავარჯიშო იყო, რადგან ხაზები, რომლებიც ხელის მიერ იქმნებიან, არასაკმარისად მდგრადნი იყვნენ იმისთვის, რომ რეალური ღირებულება ჰქონოდათ პრაქტიკულ სიტუაციაში.

— ცოდნის ადამიანი თავისი სხეულის სხვა ნაწილებს იყენებს იმისთვის, რომ მდგრადი ხაზები შექმნას, — თქვა მან.

— რომელ ნაწილებს, დონ ხუან?

— ყველაზე მდგრადი ნაწილები, რომელთა წარმოქმნასაც ახდენს ცოდნის ადამიანი, მისი სხეულის შუა ნაწილიდან გამოდიან. მაგრამ მას ასევე შეუძლია თვალებით წარმოქმნას ისინი.

— და ესენი რეალური ხაზებია?

— რა თქმა უნდა.

— შესაძლებელია მათი დანახვა და შეხება?

— ასე ვთქვათ,შეგიძლია შეიგრძნო ისინი. ყველაზე რთული, რაც მეომრის გზაზეა, ეს იმის გაგებაა, რომ სამყარო წარმოადგენს შეგრძნებას. როცა არკეთებას აკეთებ, გრძნობ სამყაროს, და გრძნობ ხაზების მეშვეობით.

იგი შეჩერდა და ცნობისმოყვარედ შემომხედა. წარბები ასწია, თვალები ფართოდ გაახილა, შემდეგ კი თვალები დაახამხამა. ეფექტი ისეთი იყო, თითქოს ფრინველმა დაახამხამა თვალები. თითქმის მყისიერად თავი არაკომფორტულად ვიგრძენი და გულისრევის გრძნობა გამიჩნდა. მეჩვენებოდა, რომ ვიღაცა მუცელზე დამაწვა.

— ხედავ, რას ვგულისხმობ? — მკითხა დონ ხუანმა და თვალები ამარიდა.

მე ვუთხარი, რომ გულისრევის შეგრძნება მქონდა, და მან შენიშნა, რომ თავისთავად იცოდა ეს, და თავისი თვალების მეშვეობით მეხმარებოდა სამყაროს ხაზები შეგრძნებაში. ვერ ვიღებდი მის განცხადებას იმის შესახებ, რომ თავად მაგრძნობინა ეს ყველაფერი. მაშინვე ეჭვი გამოვხატე. საეჭვოა, რომ მიმეღო იდეა, თითქოს მან გამოიწვია ჩემში გულისრევის შეგრძნება, რადგანაც არანაირი ფიზიკური მეთოდით მას ჩემზე არ უმოქმედია.

— არკეთება ძალიან მარტივია, და ამავე დროს ძალიან რთული. საქმე აქ გაგებაში კი არა, ამის დაუფლებაშია. ხედვა, რა თქმა უნდა, ადამიანის საბოლოო მიღწევაა. და ხედვა მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა მან სამყარო გააჩერა, არკეთების ტექნიკის გამოყენებით.

მე უნებლიედ გამეღიმა. ვერ მივხვდი რას გულისხმობდა.

— როცა ვიღაც რაღაცას უკეთებს ადამიანებს, — თქვა მან წყნარად, — მხოლოდ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ამ ყველაფრის გაკეთების საშუალება მათ სხეულებს მისცეს. სწორედ ამას გიკეთებდი აქამდე, ვაძლევდი რა საშუალებას შენს სხეულს - სცოდნოდა. ვის რა საქმე აქვს იმასთან, ხვდები თუ არა ამას.

— კი, მაგრამ ეს ხომ უსამართლობაა, დონ ხუან. მე მინდა, რომ ყველაფერი მესმოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი აქ ჩამოსვლა დროის ფლანგვა იქნება.

მან იმ ადგილთან მიმიყვანა, სადაც ადამიანის სიმაღლის ორი პიკი იდგა ერთმანეთის პარალელურად, ოთხი ან ხუთი ფუტის მოშორებით. დონ ხუანი მათგან ოც მეტრში შეჩერდა და დასავლეთს უყურებდა. მონიშნა ადგილი, სადაც მე უნდა ვმდგარიყავი და თქვა, რომ პიკების ჩრდილებისთვის მეცქირა. თქვა, რომ უნდა დავკვირვებოდი მათ და თვალები ზუსტად ისევე დამეელმებინა, როგორც ყოველთვის, როცა დასასვენებელ ადგილს ვეძებდი ხოლმე. მან განმარტა თავისი დარიგებები და მითხრა, რომ როცა დასასვენებელ ადგილს

ეძებ, მზერის ფოკუსირების გარეშე უნდა იყურებოდე, და ჩრდილებს უნდა დააკვირდე. უნდა დააელმო თვალები და ამავდროულად ფოკუსში შეინარჩუნო გამოსახულება. აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ საშუალება მიმეცა ერთი ჩრდილისთვის, რომ მეორეს დადებოდა, თვალების დაელმებით. მან ამიხსნა, რომ ამ პროცესის წყალობით შესაძლებელია განსაზღვრული შეგრძნების მიღება, რომელიც ჩრდილიდან გამოდის. ლაპარაკი დავიწყე მისი მითითებების გაუგებრობაზე, მაგრამ დამარწმუნა, რომ არ არსებობს არანაირი საშუალება იმის აღსაწერად, რასაც იგი გულისხმობდა.

სავარჯიშოს შესრულების ჩემი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. მანამ ვიძაბებოდი, სანამ თავი არ ამტკივდა. დონ ხუანი საერთოდ არ ღელავდა ჩემი წარუმატებლობის გამო. იგი გუმბათისმაგვარ მწვერვალზე ავიდა, ზემოდან დამიყვირა, რომ კლდის ორ, მცირე, გრძელ და ვიწრო ნატეხს დავკვირვებოდი. ხელით მაჩვენა საჭირო ქვების ზომა.

ორი ასეთი ნატეხი ვიპოვე და მას გადავეცი. დონ ხუანმა თვითოეული ეს ქვა ნაპრალში ჩადო, ერთმანეთისგან ოცდაათი სანტიმეტრის დაშორებით. მათ ზემოთ, სახით დასავლეთისკენ დამაყენა და მიბრძანა, რომ იგივე სავარჯიშო მათ ჩრდილებზე შემესრულებინა.

ამ ჯერზე სულ სხვა საქმე იყო. თითქმის მაშინვე შევძელი თვალების დაელმება და მათი ინდივიდუალური ჩრდილების აღქმა, თითქოს ისინი ერთმანეთში ყოფილიყვნენ შერწყმული. შევამჩნიე, რომ ყურების პროცესი გამოსახულებების დაახლოების გარეშე იძლეოდა მხოლოდ ერთ ჩრდილს, რომელსაც არაჩვეულებრივი სიღრმე და გამჭვირვალობა ჰქონდა. გაოგნებული მივაშტერდი მას. ქვის ყოველი ჩაღრმავება იმ ადგილზე, რომელსაც ჩემი თვალები უმზერდნენ, მკაფიოდ გარჩევადი იყო. და ის ჩრდილი, რომელიც ამ ჩაღრმავებებს ეფინა, აღუწერელი გამჭვირვალობის ფირს წააგავდა.

არ მინდოდა თვალების დახამხამება, რადგანაც იმ გამოსახულების დაკარგვის მეშინოდა, რომელსაც ასეთი სიფრთხილით ვინარჩუნებდი. ბოლოს თვალები ამტკივდა, და იძულებული ვიყავი დამეხამხამებინა, მაგრამ თვალთახედვის არიდან არ დამიკარგავს არცერთი დეტალი. სინამდვილეში, ის, რომ ჩემი თვალები ცრემლებით იყო დანამული, უფრო მკაფიოს ხდიდა მათ. შევამჩნიე, რომ თითქოს განუზომელი სიმაღლეებიდან ვუცქერდი სამყაროს, რომელიც აქამდე არასოდეს მენახა. ზუსტად ასევე შევამჩნიე, რომ შემეძლო დამეთვალიერებინა გარშემომყოფი ჩრდილები ჩემი ვიზუალური აღქმის ფოკუსის დაკარგვის გარეშე. შემდეგ რაღაც წამით დავკარგე შეგრძნება, რომ ქვას ვუცქერდი. ვიგრძენი, რომ უფრო ფართე სამყაროში ვიძირებოდი, ვიდრე ოდესმე შემეძლო შეგრძნება. ეს უჩვეულო აღქმა წამით გაგრძელდა, შემდეგ კი ყველაფერი გამოირთო. თვალები ავტომატურად ავწიე და დავინახე დონ ხუანი, რომელიც პირდაპირ ქვების თავზე, სახით ჩემკენ იდგა. იგი მზის შუქს თავისი სხეულით მიფარავდა.

მე ავუღწერე უჩვეულო შეგრძნება, რომელიც მქონდა, და მან ამიხსნა, რომ იძულებული იყო შეეწყვიტა იგი, რადგანაც დაინახა, რომ ცოტაც და დავიკარგებოდი მასში. დაამატა, რომ ჩვენთვის ყველასთვის ესაა ბუნებრივი ტენდენციაა - ინდულგირება, როცა მსგავსი შეგრძნებები ჩნდება. და მასში ინდულგირებისას, მე თითქმის ვაქციე არკეთება ჩემს ჩვეულ კეთებად. თქვა, რომ უნდა შემენარჩუნებინა გამოსახულება ისე, რომ არ მივცემოდი მას, რადგანაც რაღაც კუთხით, კეთება წარმოადგენს დაქვემდებარების ერთ-ერთ ფორმას.

მე უკმაყოფილოდ განვაცხადე, რომ წინასწარ უნდა ეთქვა იმის შესახებ, თუ რისი მოლოდინი უნდა მქონოდა და რა უნდა მეკეთებინა, მაგრამ მან თქვა, რომ არანაირად არ შეეძლო ცოდნოდა, მივაღწევდი თუ არა წარმატებას ჩრდილების შერწყმაში.

იძულებული ვიყავი მეღიარებინა, რომ ამ არკეთებასთან დაკავშირებით უფრო მეტ გაურკვევლობაში ვიყავი, ვიდრე ოდესმე, დონ ხუანის კომენტარი კი ის იყო, რომ უნდა დავკმაყოფილებულიყავი იმით, რაც გავაკეთე, რადგანაც ერთხელ მაინც სწორად ვიმოქმედე, და სამყაროს შემცირებით, მე გავაფართოე იგი, და რომ თუმცა ძალზე შორს ვიყავი იმისგან, რომ სამყაროს ხაზები მეგრძნო, მიუხედავად ამისა, სწორად გამოვიყენე ქვების ჩრდილი, როგორც კარი არკეთებისკენ.

განცხადებამ იმის შესახებ, რომ სამყაროს შემცირებით გავადიდე იგი, უსაზღვროდ დამაინტრიგა. ფორებიანი ქვის დეტალები იმ ვიწრო ადგილას, სადაც ჩემი მზერა იყო მიმართული, ზუსტად ისეთივე ცოცხალი იყო და ისე ზუსტად მოხაზული, რომ ამ მომრგვალებული დაბოლოების მწვერვალი ჩემთვის უსასრულო სამყაროდ იქცა; და ამავდროულად, ეს მართლაც ქვის შემცირებული მოძრაობა გახლდათ. როცა დონ ხუანი მზის შუქს გადაეფარა და მე ჩვეულებრივი ხედვა დამიბრუნდა, ზუსტი დეტალები გადღაბნილი გახდა, პატარა ხვრელები ფორებიან ქვაზე უფრო გაიზარდა, მშრალი ლავის ყავისფერი შეფერილობა თეთრად იქცა, და გარშემო ყველაფერმა დაკარგა მბრწყინავი გამჭვირვალობა, რომელიც ქვას რეალურ სამყაროდ აქცევდა.

შემდეგ დონ ხუანმა აიღო ეს ორი ქვა, ფრთხილად ჩადო ისინი ღრმა ნაპრალში და ფეხებგადაჯვარედინებული, სახით დასავლეთისკენ დაჯდა იმ ადგილზე, სადაც მანამდე დააწყო ქვები. მანიშნა, რომ მის მარცხნივ დავმჯდარიყავი.

დიდი ხნის განმავლობაში არ ვლაპარაკობდით. შემდეგ ასევე მდუმარებაში მივირთვით საჭმელი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მზე ჩავიდა, იგი უეცრად შემობრუნდა და მკითხა, როგორი იყო ჩემი წინსვლები სიზმარხილვებში.

ვუთხარი, რომ თავიდან ეს ადვილი იყო, მაგრამ ამჟამად საერთოდ შევწყვიტე სიზმრებში ჩემი ხელების დანახვა.

— როცა პირველად დაიწყე სიზმარხილვის პრაქტიკა, ჩემი პირადი ძალა გამოიყენე. ახლა ცარიელი ხარ, მაგრამ უნდა განაგრძო ძალისხმევები, სანამ საკმარისად არ გექნება საკუთარი პირადი ძალა. იცი, სიზმარხილვა ესაა არკეთება სიზმრებში. და არკეთებაში შენი პროგრესის შესაბამისად, სიზმარხილვებშიც წინ წაიწევ. ფანდი იმაში მდგომარეობს, რომ არ შეწყვიტო შენი ხელების ძიება მაშინაც კი, თუკი არ გჯერა, რომ რასაც აკეთებ რაიმე აზრი აქვს. ფაქტიურად, როგორც ადრე უკვე გითხარი, მეომარს არ სჭირდება რწმენა. რადგანაც მანამ, სანამ რწმენის გარეშე მოქმედებს, ის არკეთებას აკეთებს.

წამით ერთმანეთს შევხედეთ.

— მეტი არაფერი მაქვს შენთვის სათქმელი სიზმარხილვების შესახებ, — განაგრძობდა იგი. ყველაფერი, რაც შემიძლია გითხრა, უბრალოდ არკეთება იქნებოდა. მაგრამ თუკი პირდაპირ შეეხები არკეთებას, თავად გეცოდინება, რა აკეთო სიზმრებში. თუმცაღა, ამჯერად საკუთარი ხელების პოვნაა მნიშვნელოვანი, და დარწმუნებული ვარ, შეძლებ ამას.

— არ ვიცი დონ ხუან, საკუთარი თავის არ მჯერა.

— აქ საქმე იმაში არაა, რომ ვინმესი გჯეროდეს. ეს ყველაფერი მეომრის ბრძოლის ნაწილია, და შენ განაგრძობ ბრძოლას, თუ შენი საკუთარი ძალის გამო არა, შესაძლოა ღირებული მოწინააღმდეგის ზეწოლის გამო, ან რომელიმე მოკავშირეს მეშვეობით, იმის მსგავსის, რომელიც ახლა დაგყვება თან.

უნებურად ჩემი მარჯვენა ხელი შეკრთა. დონ ხუანმა მითხრა, რომ ჩემმა სხეულმა ბევრად მეტი იცის, ვიდრე მგონია, რადგანაც ის ძალა, რომელიც მოგვყვება, ჩემგან მარჯვნივაა. წყნარი ხმით მითხრა, რომ დღეს, უკვე ორჯერ, მოკავშირე იმდენად მომიახლოვდა, რომ მას ჩარევა და მისი შეჩერება დასჭირდა.

— დღის საათებში ჩრდილები წარმოადგენენ კარიბჭეს არკეთებისკენ, — თქვა მან. — მაგრამ ღამით, რადგანაც სიბნელეში კეთება ძალიან ცოტა რჩება, ყველაფერი ჩრდილს წარმოადგენს, მოკავშირეების ჩათვლით. უკვე გელაპარაკე ამაზე, როცა ძალის სირბილს გასწავლიდი.

ხმამაღლა გამეცინა, და საკუთარმა სიცილმა შემაშინა.

— ყველაფერი, რასაც აქამდე გასწავლიდი, არკეთების ასპექტი იყო, თუმცაღა არ შემიძლია იმაზე უფრო მეტი გითხრა, რაც დღეს გითხარი. თვითონვე უნდა მისცე საშუალება საკუთარ სხეულს, რომ გახსნას არკეთების შეგრძნება და ძალა.

ნერვიული ხველების შეტევა დამეწყო.

— სისულელეა შენი მხრიდან აძაგო სამყაროს გამოცანები მხოლოდ იმის გამო, რომ ძაგების კეთება იცი, — თქვა მან სერიოზული სახით.

მე დავარწმუნე, რომ არავინ და არაფერი არ მიძაგებია, და იმაზე უფრო ნერვული და არაკომპეტენტური ვარ, ვიდრე მას ჰგონია.

— ყოველთვის ასე ვიყავი, — ვუთხარი მე. — და მაინც, მინდა, რომ შევიცვალო, მაგრამ არ ვიცი, როგორ. მე ისეთი არაადეკვატური ვარ...

— უკვე ვიცი, რომ გახრწნილად თვლი საკუთარ თავს, — თქვა მან. — ეს შენი კეთებაა. ახლა, იმისთვის, რომ ამ კეთებაზე იმოქმედო, მინდა სხვა კეთების რეკომენდაცია მოგცე. დღეიდან, რვა დღის განმავლობაში, მინდა, რომ საკუთარ თავს მოატყუო. იმის ნაცვლად, რომ საკუთარ თავს სიმართლე უთხრა, რომ საზიზღარი ხარ, ბოლომდე გახრწნილი, არაადეკვატური, საკუთარ თავს ეტყვი, რომ ამის სრულიად საპირისპირო ხარ, და ამ დროს გეცოდინება, რომ იტყუები და სინამდვილეში სრულიად უიმედო ხარ.

— კი, მაგრამ რა აზრი აქვს ასეთ ტყუილს, დონ ხუან?

— მას შეუძლია სხვა კეთებაზე მიგამაგროს, და მაშინ შეძლებ მიხვდე, რომ ერთიც და მეორე კეთებაც ცრუ და არარეალურია, და ნებისმიერზე მოჭიდება დროის კარგვაა, რადგანაც ერთადერთი რეალური რამ ესაა არსება შენში, რომელიც მოკვდება. ამ არსებამდე მიღწევა წარმოადგენს საკუთარი თავის არკეთებას.

16. ძალის ბეჭედი

შაბათი, 1962 წლის 14 აპრილი.

დონ ხუანმა ჩვენი კასრების წონა შეამოწმა და დაასკვნა, რომ უკვე დავხარჯეთ ჩვენი განძი და სახლში დაბრუნების დრო იყო. ფრთხილად შევნიშნე, რომ მინიმუმ ორი დღე დაგვჭირდებოდა სახლამდე მისაღწევად. მან თქვა, რომ არ აპირებდა უკან, სონორაში დაბრუნებას, არამედ მიმდებარე ქალაქში მიდიოდა, სადაც რაღაც საქმე ჰქონდა.

ვიფიქრე, რომ წყლის კანიონით დავეშვებოდით, მაგრამ დონ ხუანი ჩრდილო-დასავლეთისკენ გაემართა, ლავის მთების მაღალ პლატოზე. დაახლოებით ერთსაათიანი სიარულის შემდეგ მან მიმიყვანა ღრმა უღელტეხილთან, რომელიც იმ წერტილში მთავრდებოდა, სადაც ორი მწვერვალი თითქმის ერთიანდებოდა. აქ იყო უცნაური ფერდობი, რომელიც ჩაღუნულ ხიდს ჰგავდა ორ მწვერვალს შორის. დონ ხუანმა ამ ფერდობზე მდებარე ერთ ადგილზე მიმანიშნა.

— დაჟინებით უყურე, — თქვა მან. — მზე თითქმის თავს ზემოთაა.

მან ამიხსნა, რომ შუადღის მზის შუქს შეუძლია არკეთებაში დამეხმაროს. შემდეგ მთელი რიგი მითითებები მომცა. უნდა გამეხსნა ყველა მჭიდრო ადგილი ტანსაცმელზე, ფეხებგადაჯვარედინებული დავმჯდარიყავი და დაჟინებით დავკვირვებოდი იმ ადგილს, რომელზეც მიმითითა. ცაზე ძალიან ცოტა ღრუბელი იყო, და არცერთი არ იყო დასავლეთით. ცხელოდა, და მზის სინათლე გამაგრებულ ლავაზე იღვრებოდა. ძალზე ყურადღებით ვაკვირდებოდი მითითებულ ადგილს.

ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ ვიკითხე, კერძოდ, რა უნდა დამენახა იქ. მან ხელის სწრაფი მოძრაობით მანიშნა, რომ გავჩუმებულიყავი.

დავიღალე და ძილი მინდოდა. თვალები ნახევრად მივლულე. მტკიოდა ისინი, ამიტომ მოვისრისე. მაგრამ ხელებს მოუხერხებლად ვამოძრავებდი და ოფლმა, რომელიც თვალებში მომხვდა, გააღიზიანა ისინი. ლავის მწვერვალებს შევხედე, და უეცრად მთელი მთა აინთო.

დონ ხუანს ვუთხარი, რომ თუ თვალებს დავაელმებდი, შემეძლო დამენახა მთების მთელი ჯაჭვი, როგორც სინათლის ძაფების რთული გადახლართული სისტემა.

მან მიბრძანა, რომ რაც შეიძლება ნაკლები მესუნთქა, რომ სინათლის ბოჭკოების ხედი შემენარჩუნებინა და არ დავკვირვებოდი მათ დაჟინებით, არამედ სასხვათაშორისოდ მეცქირა წერტილზე მარჯვნივ, ჰორიზონტზე, ფერდობის თავზე. მის მითითებებს მივყევი და შევძელი უსასრულო შორეთის, სინათლის ქსელით დაფარული სურათის შენარჩუნება.

დონ ხუანმა ძალზე რბილი ხმით თქვა, რომ უნდა გამომეყო ბნელი ადგილები სინათლის ბოჭკოების შიგნით, და ბნელი ლაქის პოვნისთანავე უნდა გამეხილა თვალები და განმესაზღვრა, სად იმყოფებოდა ეს ლაქა ფერდობის ზედაპირზე.

ვერანაირ ბნელ ლაქას ვერ ვგრძნობდი. რამდენჯერმე ხან მოვჭუტე თვალები, ხან კვლავ გავახილე. დონ ხუანი მომიახლოვდა და მარჯვნისკენ მიმითითა, შემდეგ კი პირდაპირ ჩემ წინ ადგილზე. ვეცადე, რომ სხეულის მდგომარეობა შემეცვალა. ვიფიქრე, რომ თუ პერსპექტივას შევცვლიდი, შევძლებდი იმ ბნელი ადგილის დანახვას, რომელზეც იგი მიმითითებდა. მაგრამ დონ ხუანმა ხელით შემანჯღრია და მკაცრი ტონით მითხრა, რომ მოთმინებით და მშვიდად ვმჯდარიყავი.

მე კვლავ მოვჭუტე თვალები და სინათლის ძაფებისგან მოქსოვილი ქსელი დავინახე. წამით ვუცქერდი მათ, შემდეგ კი თვალები უფრო ფართოდ გავახილე. ამ მომენტში სუსტი გრუხუნი ვიგრძენი. ეს შემეძლო ამეხსნა რეაქტიული თვითმფრინავის შორეული ხმით. და შემდეგ, ფართოდ გახელილი თვალებით მე დავინახე მთელი მთიანი რაიონი ჩემ წინ, როგორც სინათლის პატარა წერტილების უზარმაზარი ველი. მეჩვენებოდა, რომ რაღაც მოკლე მომენტში მეტალის ზედაპირები გამაგრებულ ლავაში ერთდროულად ირეკლავდნენ მზის სინათლეს. შემდეგ მზის სინათლე ღრუბლებმა დაფარა და უეცრად გაქრა, გორები კი მოქუფრულ, მუქი ყავისფერი კლდეების მასად იქცნენ. მაშინვე ქარიც ამოვარდა და აცივდა.

მინდოდა შევბრუნებულიყავი და შემეხედა, მოეფარა თუ არა მზე ღრუბელს, მაგრამ დონ ხუანმა თავი დამიჭირა და განძრევის საშუალება არ მომცა. მითხრა, რომ თუ შემოვბრუნდებოდი, შევძლებდი დამენახა გორების არსება - მოკავშირე, რომელიც თან დაგვყვებოდა. მითხრა, რომ არ მქონდა საკმარისი ძალა ასეთი სანახაობის გასაძლებად, შემდეგ კი გათვლილი ტონით დაამატა, რომ ის გრუხუნი, რომელიც მომესმა, განსაკუთრებული მეთოდი იყო, რომლითაც მოკავშირე თავის იქ ყოფნას ამჟღავნებდა.

შემდეგ წამოდგა და განაცხადა, რომ ზემოთ, ფერდობზე უნდა ავსულიყავით.

— სად მივდივართ? — ვკითხე მე.

მან მიმითითა ადგილზე, რომელიც გამოყო, როგორც სიბნელის ლაქა. ამიხსნა, რომ არკეთებამ საშუალება მისცა გამოეყო ეს ადგილი, როგორც ძალის შესაძლო ცენტრი, ან ისეთი ადგილი, სადაც ძალის ნივთების ნახვა შეიძლება.

კლდეებზე ძალიან რთული ძრომიალის შემდეგ ამ ადგილს მივაღწიეთ. წამით უმოძრაოდ იდგა ჩემგან რამდენიმე ფუტის დაშორებით. ვეცადე ახლოს მივსულიყავი, მაგრამ ხელით მანიშნა, რომ გავჩერებულიყავი. თითქოს ორიენტირდებოდა. მისი თავი ისე მოძრაობდა, თითქოს თვალებით ზემოდან ქვემოთ ასკანერებდა მთებს. შემდეგ თავდაჯერებული ნაბიჯებით კიდესთან მივიდა. ჩამოჯდა და ხელით დაიწყო კლდიდან ნაგვის გადაყრა. თითით გრუნტიდან ამოზრდილი მცირე ქვის გარშემო მიწა ამოჩიჩქნა, გაასუფთავა, და შემდეგ მიბრძანა, რომ ამომეთხარა იგი.

როცა ქვა გავათავისუფლე, მიბრძანა, რომ მაშინვე ჯიბეში ჩამედო იგი, რადგანაც ეს ძალის ობიექტი იყო და მე მეკუთვნოდა. თქვა, რომ შესანახად მაძლევდა, უნდა გამესუფთავებინა და მოვფრთხილებოდი მას.

ამის შემდეგ, მაშინვე წყლის კანიონში დავეშვით და ორი საათის შემდეგ უკვე უდაბნოში, ლავის მთების ძირთან ვიყავით. დონ ხუანი დაახლოებით სამი მეტრით წინ მიდიოდა, ძალიან სწრაფი ნაბიჯით. სამხრეთისკენ თითქმის მზის ჩასვლამდე მივდიოდით.

ღრუბლების მძიმე გროვა დასავლეთით მზის დანახვის საშუალებას არ გვაძლევდა, მაგრამ ჩვენ ვაგრძელებდით, სანამ იგი, ჩვენი ვარაუდით, ჰორიზონტს არ გადასცდა.

ამის შემდეგ დონ ხუანმა მიმართულება შეცვალა და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ წავიდა. გორაკზე ავედით, და როცა მწვერვალს მივაღწიეთ, ოთხი ადამიანი შევამჩნიე, სამხრეთის მხრიდან ჩვენი მიმართულებით მომავალი.

დონ ხუანს შევხედე. ჩვენს ექსკურსიებში არასოდეს შევხვედრივართ ადამიანებს, და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა მსგავს შემთხვევებში. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არ აქცევდა ამას ყურადღებას. სიარულს აგრძელებდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ადამიანები ისე მოდიოდნენ, თითქოს არსად ეჩქარებოდათ. მშვიდად მოვიდნენ იმ ადგილამდე, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით. როცა მოგვიახლოვდნენ, შევამჩნიე, რომ ეს ოთხი ახალგაზრდა ინდიელი იყო. მომეჩვენა, რომ იცნეს დონ ხუანი. იგი მათ ესპანურად ელაპარაკებოდა. ისინი ძალიან რბილად ლაპარაკობდნენ და დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. მე მხოლოდ ერთი მათგანი დამელაპარაკა. ჩურჩულით ვკითხე დონ ხუანს, შემეძლო თუ არა მეც მესაუბრა მათთან, და მან დასტურის ნიშნად თავი დამიქნია.

მას შემდეგ, რაც საუბარში ავიყოლიე, ისინი ძალზე მეგობრულნი და კომუნიკაბელურნი გახდნენ, განსაკუთრებით ის, ვინც პირველი დამელაპარაკა. მათ მითხრეს, რომ აქ კვარცის კრისტალის საძებნელად იყვნენ, რომელსაც ძალა გააჩნდა. თქვეს, რომ უკვე რამდენიმე დღეა დახეტიალობენ ლავის მთების გარშემო, მაგრამ ჯერ არ გაუმართლათ.

დონ ხუანმა მიიხედ-მოიხედა და ქვიან ადგილზე მიუთითა, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მოშორებით.

— ეს კარგი ადგილია ცოტა ხნით დასასვენებლად, — თქვა მან.

ამ ქვებისკენ წავიდა და ყველანი გავყევით. ადგილი, რომელიც აირჩია, მოტიტვლებული იყო. ბუჩქების გარეშე. ქვებზე ჩამოვჯექით. დონ ხუანმა თქვა, რომ ჩაპარალში დაბრუნებას და კოცონისთვის მშრალი ტოტების მოგროვებას აპირებდა. მინდოდა დავხმარებოდი, მაგრამ მან მიჩურჩულა, რომ ეს განსაკუთრებული კოცონი უნდა ყოფილიყო ამ მამაცი ახალგაზრდებისთვის, და ჩემი დახმარება არ სჭირდებოდა.

ახალგაზრდები ჩემ გარშემო ვიწრო წრედ დასხდნენ. ერთ-ერთი მათგანი ჩემკენ ზურგით დაჯდა. მცირე გაღიზიანება ვიგრძენი.

როცა დონ ხუანი ტოტების გროვით ხელში დაბრუნდა, მან შენიშნა მათი სიფრთხილე და მითხრა, რომ ყმაწვილები მაგის მოსწავლეები არიან და სწორია წრის შეკვრა, რომლის ცენტრშიც ორი ადამიანი ერთმანეთისკენ ზურგით ზის, ძალის ობიექტებზე სანადირო ექსპედიციების დროს.

ერთ-ერთმა ახალგაზრდამ მკითხა, მქონდა თუ არა ოდესმე ნაპოვნი კრისტალები. ვუთხარი, რომ დონ ხუანს არასოდეს წავუყვანივარ მათ საძებნელად.

დონ ხუანმა აირჩია ადგილი დიდი ლოდის გვერდით და კოცონის გაჩაღებას შეუდგა. არცერთი არ დაძრულა ადგილიდან, რომ დახმარებოდა, მაგრამ ყველა ყურადღებით ადევნებდა თვალყურს. როცა ყველა ტოტი იწვოდა, დონ ხუანი ლოდისკენ ზურგით დაჯდა. კოცონი მისგან მარჯვნივ იყო.

ახალგაზრდებმა, როგორც ჩანს, იცოდნენ, რაც ხდებოდა, მაგრამ მე ოდნავ წარმოდგენაც არ მქონდა, თუ რა უნდა გამეკეთებინა, როცა საქმე მაგის მოსწავლეებთან მქონდა.

თვალყურს ვადევნებდი ახალგაზრდებს. ისინი იჯდნენ და დონ ხუანს უყურებდნენ. ნახევარწრე ჰქონდათ შეკრული. შევამჩნიე, რომ დონ ხუანი პირდაპირ მე მიყურებდა, და ორი ახალგაზრდა ჩემგან მარცხნივ დაჯდა, ორი კი — მარჯვნივ.

დონ ხუანმა მოუყვა მათ, რომ მე ლავის მთებში იმისთვის ვიყავი, რომ არკეთება მესწავლა, და რომ მოკავშირე მოგვყვებოდა. ვიფიქრე, რომ ეს ძალიან დრამატული დასაწყისი იყო, და მართალი ვიყავი. ყმაწვილებმა პოზები შეიცვალეს ყველა ისე დაჯდა, რომ მარცხენა ფეხი ქვეშ მოიქცია. ვერ შევამჩნიე, როგორ ისხდნენ მანამდე. ვფიქრობდი, რომ ისევე იჯდნენ, როგორც მე — ფეხებგადაჯვარედინებულნი. დონ ხუანზე შემთხვევითმა მზერამ მაჩვენა, რომ ისიც მარცხენა ფეხქვეშ ამოდებული იჯდა. ძლივსშესამჩნევი ჟესტი გააკეთა ნიკაპით და მიმითითა იმ პოზაზე, რომელშიც მე ვიჯექი. ფრთხილად ამოვიდე მარცხენა ფეხი.

ერთხელ დონ ხუანმა უკვე მომიყვა, რომ ეს წარმოადგენს მაგის პოზას იმ შემთხვევებში, როცა ვითარებები გაურკვეველია. თუმცაღა ეს პოზა ჩემთვის ყოველთვის დამღლელი იყო. ვგრძნობდი, რომ საშინელი ტანჯვა იქნებოდა გამუდმებით ასე ჯდომა და საუბარი. დონ ხუანი, როგორც ჩანს, სრულიად აცნობიერებდა ჩემს მდგომარეობას და მოკლედ აუხსნა ახალგაზრდებს, რომ კვარცის კრისტალების პოვნა შეიძლება ამ რაიონის განსაზღვრულ ადგილებში, და როგორც კი მათ იპოვნიან, მოუწევთ, რომ ეს ადგილი გარკვეული ტექნიკის მეშვეობით დატოვონ. მაშინ კრისტალი თავად ადამიანი ხდება, მისი ძალა კი ჩვენი გაგების საზღვრებს მიღმა გადის.

მან თქვა, რომ, როგორც წესი, კრისტალებს ასხმულას სახით პოულობენ, და ადამიანმა, რომელმაც იგი იპოვა, უნდა აარჩიოს ყველაზე გრძელი და ლამაზი კრისტალების მწკრივი და გამოაცალკევოს ისინი. ადამიანი, რომელიც კრისტალებს პოულობს, პასუხისმგებელია იმაზე, რომ დაამუშავოს ისინი და სრულიად შეუსაბამოს თავისი მარჯვენა ხელის თითების ფორმებსა და ზომებს.

შემდეგ გვითხრა, რომ კვარცის კრისტალებს იარაღად იყენებენ მაგიაში. ჩვეულებრივ იგი მკვლელობის იარაღად გამოიყენება, და ისინი აღწევენ მტრის სხეულში, შემდეგ კი მფლობელის ხელს უბრუნდებიან, თითქოს არასოდეს დაეტოვებინოთ იგი. შემდეგ მოგვიყვა იმ სულის ძიების შესახებ, რომელ იც ჩვეულებრივ კრისტალს იარაღად აქცევდა, და განაცხადა, რომ ყველაზე პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ესაა სასიკეთო ადგილის პოვნა სულის მისატყუებლად. ეს ადგილი გორის მწვერვალზე უნდა იყოს, და უნდა მოიძებნოს მიწისკენ მიბრუნებული ხელის ხელთან მოძრაობით, თითქოს ხელები უყურებენ მიწასო, მანამ, სანამ ხელისგული რაღაც სითბოს არ შეიგრძნობს. ამ ადგილზე კოცონი უნდა გაჩაღდეს. დონ ხუანმა აგვიხსნა, რომ მოკავშირეებს ცეცხლის ალი იზიდავს, და თავს ავლენენ გარკვეული ბგერების სერიის მეშვეობით. ადამიანმა, რომელიც მოკავშირეებს ეძებს, უნდა იაროს ამ ბგერების მიმართულებით მანამ, სანამ მოკავშირე არ გამოჩნდება, შემდეგ კი ებრძოლოს მას და დაანარცხოს მიწაზე, რათა გაიმარჯვოს მასზე. სწორედ ამ დროს შეგვიძლია ვაიძულოთ მოკავშირეს, შეეხოს კრისტალს და თავისი ძალით დამუხტოს იგი.

მან გაგვაფრთხილა, რომ ამ ლავის მთებში არის სხვა მრავალი ძალა, რომელიც არ ჰგავს მოკავშირეს, ისინი არ წარმოქმნიან ხმებს, არამედ ჩნდებიან, როგორც მბჟუტავი ჩრდილები, და მათ საერთოდ არ აქვთ არანაირი ძალაუფლება.

დონ ხუანმა დაამატა, რომ ბრწყინვალედ შეფერილ ფრთას ან რომელიმე კარგად გაპრიალებულ კვარცის კრისტალს შეუძლია მოიზიდოს მოკავშირე, მაგრამ ფართო გაგებით, ნებისმიერი ობიექტი ერთნაირად ეფექტური იქნება, რადგანაც მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს არა ამ ობიექტების პოვნა, არამედ იმ ძალის პოვნა, რომელიც მათ ძალით დამუხტავს.

— რა აზრი აქვს კარგად გაპრიალებული კრისტალების ქონას, თუ ვერ იპოვით სულს, რომელიც ძალას იძლევა? — თქვა მან. — მეორე მხრივ, თუ თქვენ არ გაქვთ კრისტალები, მაგრამ იპოვეთ სული, შეგიძლიათ ცხვირში შეაჩეჩოთ ნებისმიერი რამ, რათა შეეხოს. შეგიძლიათ თქვენი ჭუჭუები შეაჩეჩოთ, თუ სხვას ვერაფერს იპოვით.

ახალგაზრდებს გაეცინათ. ყველაზე თამამი, ის, რომელიც პირველად დამელაპარაკა, ყველაზე ხმამაღლა იცინოდა.

შევამჩნიე, რომ დონ ხუანმა ფეხები გადააჯვარედინა და მოდუნებული დაჯდა. დანარჩენებმაც იგივე გააკეთეს. ვეცადე მეც უფრო მოდუნებულ პოზაში დავმჯდარიყავი, მაგრამ ფეხში ან რაღაც ნერვის ან რომელიღაც კუნთის დაჭიმულობის გამო მომიწია, ავმდგარიყავი და რამდენიმე წუთით ერთი ადგილი მეტკეპნა.

დონ ხუანმა ხუმრობანარევი შენიშვნა გააკეთა. თქვა, რომ დიდი ხანია არ მქონია მუხლის მოდრეკის პრაქტიკა, რადგან მთელი საუკუნეა არ ვყოფილვარ აღსარებაზე, ალბათ მას შემდეგ, რაც მას გადავეყარე.

ამან გამოცოცხლება გამოიწვია ახალგაზრდებს შორის. ერთმანეთს უყურებდნენ და იცინოდნენ. ზოგიერთმა სახე დაიფარა და ნერვიულად ჩაიხითხითა.

— ბიჭებო, ვაპირებ, რაღაც გაჩვენოთ, თქვა დონ ხუანმა, როცა მათ სიცილი შეწყვიტეს.

ვიფიქრე, რომ იგი რაღაც ძალის ობიექტების ჩვენებას აპირებდა, რომლებიც ჩანთაში ჰქონდა. უეცრად ყველა ახალგაზრდა ოდნავ წინ წამოიწია, თითქოს წამოდგომას აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ მარცხენა ფეხი ამოიდეს საჯდომის ქვეშ და კვლავ იმ მისტიურ პოზაში დაჯდნენ, რომელიც ასეთი რთული იყო ჩემი მუხლებისთვის.

მეც შეძლებისდაგვარად ფრთხილად დავჯექი ამ პოზაში. აღმოვაჩინე, რომ თუ მარცხენა ტერფზე არ ვზივარ, ანუ თუ მუხლმოდრეკილი ვზივარ, მაშინ მუხლები ისე ძლიერ არ მტკივა.

დონ ხუანი წამოდგა და დიდი ლოდის უკან წავიდა, სანამ თვალს არ მიეფარა. როგორც ჩანს, მანამ, სანამ წამოდგებოდა, ტოტები შეყარა ცეცხლში, სანამ ფეხს ვისწორებდი, რადგანაც ახალმა ტოტებმა ტკაცუნი დაიწყეს და ცეცხლის ალის გრძელი ენები გამოისროლეს. ეფექტი ერთმნიშვნელოვნად დრამატული იყო. ცეცხლის ალი ორჯერ გაიზარდა. უეცრად დონ ხუანი გამოვიდა ლოდიდან და იმ ადგილას გაჩერდა, სადაც მანამდე იჯდა. მოულოდნელობისგან გავოცდი. დონ ხუანმა სასაცილო შავი ქუდი დაიფარა. მას გამოშვერილები ჰქონდა ყურებთან, ზემოთ კი მრგვალი იყო. მაშინვე მეკობრის ქუდს

მივამგვანე. ტანზე ერთადერთი მბრწყინავი ლითონის ღილით შეკრული გრძელი, შავი პალტო ეცვა და ხის ფეხი ჰქონდა.

გულში გამეცინა. თავის პირატულ კოსტუმში დონ ხუანი მართლა სასაცილოდ გამოიყურებოდა. ფიქრი დავიწყე იმაზე, თუ საიდან იშოვა ასეთი კოსტუმი ამ უდაბნოში და მივედი იმ დასკვნამდე, რომ მას თვალის ასახვევი და მხარზე თუთიყუში აკლდა, რათა ტიპიური მეკობრე ყოფილიყო.

დონ ხუანმა ჯგუფის ყველა წევრს შეხედა, თვალები მარჯვნიდან მარცხნივ მოატარა. შემდეგ ჩვენ ზემოთ აიხედა და ასე, სიბნელეში, დაგვიწყო ყურება. წამით ამ პოზაში გაჩერდა, შემდეგ კი ლოდს შემოუარა და გაქრა.

ვერ შევამჩნიე, როგორ მიდიოდა. ალბათ, მუხლში ჰქონდა ფეხი მოხრილი, რათა განესახიერებინა ადამიანი ხის ფეხით. როცა უხვევდა, რომ ლოდს მოფარებოდა, უნდა შემემჩნია მისი მოხრილი ფეხი, მაგრამ ისეთი დაინტრიგებული ვიყავი მისი მოქმედებებით, რომ ყურადღება არ მიმიქცევია დეტალებისთვის.

ცეცხლის ალმა ზუსტად იმ მომენტში დაკარგა თავისი ძალა, როცა დონ ხუანი ლოდს მიეფარა. გავიფიქრე, რომ ბრწყინვალედ გათვალა დრო. ალბათ გამოთვალა, რა დრო დასჭირდებოდა იმ ტოტების დაწვას, რომლებიც კოცონს შეუნთო, და თავისი გამოსვლა ამ დროს შეუფარდა.

ცეცხლის ინტენსივობის შეცვლამ ჯგუფზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახალგაზრდებს ნერვიულმა თრთოლვამ გადაუარა. როცა ცეცხლი ზომაში შემცირდა, ყველა უწინდებურ, მარცხენაფეხმოკეცილ მდგომარეობას დაუბრუნდა.

ველოდი, რომ დონ ხუანი მაშინვე გამოვიდოდა და დაჯდებოდა, როგორც მანამდე, მაგრამ იგი არ ჩანდა. მოუთმენლად ველოდი. ახალგაზრდები უემოციო სახით იჯდნენ. ვერ ვხვდებოდი, რის მიღწევას ცდილობდა დონ ხუანი ამ გათამაშებით. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ერთ-ერთ მათგანს მივუბრუნდი და დაბალი ხმით ვკითხე, ჰქონდა თუ არა რაიმე მნიშვნელობა რომელიმე ატრიბუტს მაინც იმ ნივთებიდან, რომლებიც დონ ხუანმა ჩაიცვა - სასაცილო პალტო, ქუდი და ის ფაქტი, რომ ხის ფეხზე იდგა,

ახალგაზრდამ სასაცილოდ გაოგნებული სახით შემომხედა. ჩანდა, რომ შეცბუნებული იყო. ჩემი კითხვა გავუმეორე, და ყმაწვილმა, რომელიც მის გვერდით იჯდა, ასევე შემომხედა და ყურადღებით მოისმინა ჩემი კითხვა. მათ ერთმანეთს შეხედეს აშკარად უკიდურესი განცვიფრებით. ვუთხარი, რომ ჩემთვის ეს ქუდი, ხის ფეხი და პალტო მეკობრედ აქცევდნენ მას.

ამასობაში ოთხივე ახალგაზრდა ახლოს მომიჯდა. ისინი ჩუმად ხითხითებდნენ და ნერვიულად ცქმუტავდნენ. როგორც ჩანს, სიტყვებს ვერ პოულობდნენ. როგორც იქნა, ყველაზე თამამი მათ შორის დამელაპარაკა. მან თქვა, რომ დონ ხუანს არ ეხურა ქუდი, არ ეცვა შავი პალტო და, ალბათ, მითუმეტეს არც ხის ფეხზე იდგა. და რომ მას თავზე ჩალმა ან შალი ჰქონდა შემოხვეული, და ერთი ფერის ბერული ტუნიკა ემოსა, რომელიც მიწამდე სწვდებოდა.

— არა! — წამოიძახა მეორე ყმაწვილმა. — მას არ ეხურა ჩალმა.

— სწორია, თქვეს სხვებმა.

ახალგაზრდამ, რომელმაც პირველმა დამელაპარაკა, სრული უნდობლობის გამომეტყველებით შემომხედა. ვუთხარი, რომ ძალიან გულდასმით და მშვიდად უნდა გავრკვეულიყავით მომხდარში, და დარწმუნებული ვიყავი, რომ დონ ხუანს უნდოდა, რომ ასე მოვქცეულიყავით, ამიტომაც დაგვტოვა მარტონი.

ახალგაზრდამ, რომელიც ჩემგან მარჯვნივ იჯდა, თქვა, რომ დონ ხუანი ძონძებში იყო, მას გაცვეთილი პონჩო ემოსა, რაღაც ინდიელების მოსასხამი და უკიდურესად ნახმარი სომბრერო. ხელში ეჭირა სხვადასხვა ნივთებით სავსე კალათა, მაგრამ ზუსტად ვერ ამბობდა, რა ნივთები იყო ეს. თქვა, რომ სინამდვილეში დონ ხუანი შემოსილი იყო არა როგორც მათხოვარი, არამედ უფრო როგორც ადამიანი, რომელიც ბრუნდებოდა უსასრულოდ ხანგრძლივი მოგზაურობიდან, დახუნძლული სხვადასხვა უცნაური ნივთებით.

ახალგაზრდამ, რომელმაც დონ ხუანი შავი ჩალმით დაინახა, თქვა, რომ ხელში მას არაფერი ეჭირა, მაგრამ თმა გრძელი და აბურდული ჰქონდა, თითქოს ველური ყოფილიყოს, რომელმაც ახლახანს ბერი მოკლა და მისი ტანსაცმელი ჩაიცვა, მაგრამ ვერ შეძლო თავისი სიველურის დამალვა.

ახალგაზრდამ ჩემ მარცხნივ რბილად გაიცინა და კომენტარი გააკეთა, რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო. თქვა, რომ დონ ხუანი შემოსილი იყო, როგორც მნიშვნელოვანი პერსონა, თითქოს ახლახან ჩამოვიდა ცხენიდან. ხელზე ეკეთა მხედრისთვის განკუთვნილი ტყავის ხელთათმანები, დიდი დეზები, მათრახი, რომელსაც მარცხენა ხელისგულზე ირტყამდა, პატარა ქუდი და 45–კალიბრიანი ორი პისტოლეტი. თქვა, რომ დონ ხუანი წარმატებული რანჩოს მფლობელის პირდაპირი ილუსტრაცია იყო.

ახალგაზრდამ უკიდურეს მარცხენა მხარეს მორცხვად გაიცინა, მაგრამ არ უცდია მოეყოლა ის, რაც დაინახა. ვთხოვდი, რომ მოეყოლა, მაგრამ, როგორც ჩანს, დანარჩენებს არ აინტერესებდათ. ეს ყმაწვილი ძალზე მორცხვი ჩანდა იმისთვის, რომ ელაპარაკა.

ცეცხლი უკვე ქრებოდა, როცა დონ ხუანი ლოდის უკანა მხრიდან გამოვიდა.

—თავიანთ საქმესთან დატოვე ეს ახალგაზრდები, — მითხრა მან. — დაემშვიდობე.

არ შეუხედავს მათთვის, ისე გავიდა გვერდზე და საშუალება მომცა, რომ დავმშვიდობებოდი.

ახალგაზრდები რიგრიგობით გადამეხვივნენ. კოცონი აღარ იწვოდა, მაგრამ ნაკვერჩხლები საკმარის განათებას იძლეოდნენ. დონ ხუანი შავ აჩრდილს ჰგავდა რამდენიმე ფუტის მოშორებით, ახალგაზრდები კი მკაფიოდ მოხაზული გაყინული სილუეტების წრეს ქმნიდნენ. ისინი შავ ქანდაკებებს მაგონებდნენ სიბნელის ფონზე.

ზუსტად ამ მომენტში მთელი ეს მოვლენა ჩემზე აისახა. ზურგში ჟრჟოლამ დამიარა. დონ ხუანს დავეწიე. მან ძალიან სერიოზული ტონით მითხრა, რომ არ შევბრუნებულიყავი და აღარ შემეხედა ახალგაზრდებისთვის, რადგანაც ამ მომენტში ისინი აჩრდილის წრეს წარმოადგენდნენ.

მუცლით რაღაც ძალას ვგრძნობდი, რომელიც გარედან მოდიოდა. თითქოს რაღაც ხელი შემეხო. უნებურად წამოვიყვირე. დონ ხუანმა თქვა, რომ ამ რაიონში ძალიან ბევრი ძალაა, ამიტომ გამიადვილდებოდა „ძალის სირბილის“ გამოყენება.

რამდენიმე საათი მივრბოდით. ხუთჯერ დავეცი. დონ ხუანი ხმამაღლა ითვლიდა ყოველ ჯერზე, როცა წონასწორობას ვკარგავდი. შემდეგ შეჩერდა.

— დაჯექი, ქვებს მიეყრდენი და მუცელი ხელებით დაიფარე, — მიჩურჩულა მან ყურში.

კვირა, 1962 წლის 15 აპრილი.

როგორც კი სინათლე საკმარისი გახდა, დილით კვლავ გზას გავუდექით. დონ ხუანმა იმ ადგილამდე მიმიყვანა, სადაც ავტომობილი დავტოვეთ. მშიერი ვიყავი, მაგრამ სხვა თვალსაზრისით თავს მხნედ ვგრძნობდი და არ ვიყავი დაღლილი.

რამდენიმე გალეტი შევჭამეთ და მინერალური წყალი დავაყოლეთ, რომელიც ავტომობილში მქონდა. მინდოდა კითხვები დამესვა, რომლებითაც გადავსებული ვიყავი, მაგრამ მან თითი ტუჩებთან მიიდო. შუადღისთვის მოსაზღვრე ქალაქში ვიყავით, სადაც ჩემ დატოვებას აპირებდა. სასადილოდ რესტორანში შევედით. ფანჯრის გვერდით, მაგიდასთან დავსხედით და საჭმელი შევუკვეთეთ.

დონ ხუანი მოდუნებული ჩანდა. თვალები გამცემად უელავდა. თავი გამხნევებულად ვიგრძენი და კითხვების ნიაღვარი მივაყარე. ყველაზე მეტად მინდოდა გამეგო მისი ტანსაცმლის გამოცვლის შესახებ.

— მე ჩემი არკეთების პაწაწინა ნაწილი გაჩვენე, — თქვა მან, და თითქოს თვალები გაუნათდა.

— კი, მაგრამ არცერთ ჩვენგანს არ უნახავს ერთი და იგივე კოსტუმი შენზე, — ვუთხარი მე. — როგორ შეძელი ეს?

— ძალიან მარტივად, — მიპასუხა მან. ეს უბრალოდ გამოცვლა იყო, რადგანაც ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, რაღაც ზომით გამოცვლაა. რასაც ვაკეთებთ, როგორც უკვე გითხარი, კეთების სფეროს ეხება. ცოდნის ადამიანს შეუძლია ნებისმიერი სხვა ადამიანის კეთებას მიეჯაჭვოს და ჯადოსნური ნივთებით გაჩნდება. მაგრამ ისინი სინამდვილეში სულაც არაა ჯადოსნური. ისინი ჯადოსნურია მხოლოდ მათთვის, ვინც კეთებაში ჩაეფლო.

იმ ოთხ ყმაწვილსაც და შენც ჯერ კიდევ არ გაქვთ გაცნობიერებული არკეთება, ამიტომ, ადვილი იყო თქვენი ყველას გასულელება.

— კი, მაგრამ როგორ გაგვასულელე?

— შენთვის ამას არ ექნება აზრი. ვერანაირად ვერ გაიგებ ამას.

— გთხოვ, დონ ხუან, გამომცადე.

— ასე ვთქვათ, რომ როდესაც ყოველი ჩვენგანი იბადება, მას თან მოაქვს ძალის პატარა ბეჭედი. ეს ბეჭედი თითქმის მაშინვე მოხმარებაში შედის. ამიტომ, ყოველი ჩვენგანი თითქმის დაბადებისთანავე კაუჭზეა, და ჩვენი ძალის ბეჭდები უერთდება ნებისმიერ სხვათა ძალის ბეჭდებს. სხვა სიტყვებით, ჩვენი ძალის ბეჭდები მიმაგრებულნი არიან სამყაროს კეთებაზე იმისთვის, რომ სამყარო აკეთონ.

— მაგალითი მომეცი, რომ მივხვდე, — ვუთხარი მე.

— მაგალითად, ჩვენი ძალის ბეჭდები, შენი და ჩემი, ზუსტად ახლა მიმაგრებულნი არიან ამ ოთახში კეთებაზე. ჩვენ ვქმნით ამ ოთახს. ჩვენი ძალის ბეჭდები ამ მომენტში ამ ოთახს ანიჭებენ არსებობას.

— მოიცა, მოიცა, — ვუთხარი მე. — ეს ოთახი აქ თავისთვისაა. მე არ ვქმნი მას, მე არანაირი საქმე არ მაქვს მასთან.

როგორც ჩანდა, დონ ხუანს არ აინტერესებდა ჩემი უარყოფა და პროტესტები. იგი ძალიან მშვიდად მარწმუნებდა, რომ ოთახი, რომელშიც ვიმყოფებოდით, შექმნილია და უცვლელადაა შენარჩუნებული იმ ძალის ბეჭედთა ძალით, რომლებიც ჩვენ გაგვაჩნია.

— ხედავ, — განაგრძო მან. — ყოველმა ჩვენგანმა იცის ოთახის კეთება, რადგანაც ასე თუ ისე ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილი ოთახებში გვაქვს გატარებული. მეორე მხრივ, ცოდნის ადამიანი, სხვა ძალის ბეჭედს ავითარებს. მე დავარქმევ მას არკეთების ბეჭედს, რადგანაც იგი დაკავშირებულია არკეთებასთან. ამიტომ ამ ბეჭდის მეშეობით, მას შეუძლია სხვა სამყარო შექმნას.

ახალგაზრდა ოფიციანტმა საჭმელი მოგვიტანა, და, როგორც ჩანს, რაღაც ეჭვი ჰქონდა ჩვენზე. დონ ხუანმა თქვა, რომ მაშინვე უნდა გადამეხადა, რათა მეჩვენებინა, რომ ფული მყოფნიდა.

— არ ვადანაშაულებ იმაში, რომ არ გენდობა, თქვა მან და გადაიხარხარა. — ისეთი სახე გაქვს, თითქოს ჯოჯოხეთიდან მოხვედი.

გადავუხადე ოფიციანტ ქალს და საკომისიოც მივეცი, და როდესაც დაგვტოვა, დონ ხუანს შევხედე და ვეცადე შეწყვეტილი საუბრის ძაფი აღმედგინა. იგი თვითონვე დამეხმარა.

— შენი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ შენ ჯერ კიდევ არ გაგივითარებია ძალის მეორე ბეჭედი, და შენმა სხეულმა არ იცის არკეთება, — თქვა მან.

ვერ გავიგე, რა იგულისხმა. გონება პროზაული აზრებით მქონდა დაკავებული. მხოლოდ იმის გაგება მინდოდა, ჩაიცვა მეკობრის კოსტუმი თუ არ ჩაიცვა.

დონ ხუანმა არ მიპასუხა, და ამის ნაცვლად ხმამაღლა გადაიხარხარა. კვლავ ვთხოვე ახსნა.

— კი, მაგრამ ახლახანს ხომ აგიხსენი?

— გულისხმობ, რომ არანაირი ტანსაცმელი არ ჩაგიცვამს? — ვკითხე მე.

— ყველაფერი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ჩემი ძალის ბეჭედი შენს საკუთარ კეთებას მივამაგრე, — თქვა მან. დანარჩენი ყველაფერი შენ თვითონ გააკეთე, ისევე, როგორც სხვებმა.

— ეს დაუჯერებელია! — წამოვიძახე მე.

— ჩვენ ყველას გვასწავლეს, რომ დავეთანხმოთ კეთებას, — თქვა მან რბილად. ოდნავი წარმოდგენაც კი არ გაქვს იმ ძალაზე, რაც ასეთ თანხმობას მოაქვს. მაგრამ საბედნიეროდ არკეთებაც ასეთივე ძლევამოსილი და საოცარია, როგორც ის ძალა.

მუცელში უმართავი სპაზმები ვიგრძენი. ჩემს საკუთარ გამოცდილებასა და მის განმარტებას შორის გადაულახავი უფსკრული იყო. როგორც უკანასკნელი დაცვა, როგორც ჩვეულებრივ ვაკეთებდი ხოლმე, ეჭვისა და უნდობლობის ელფერით წამოვაყენე კითხვა: „იქნებ დონ ხუანი შეკრული იყო იმ ახალგაზრდებთან და თავადვე მოაწყო ეს ყველაფერი?“

თემა შევცვალე და იმ ოთხი მოსწავლის შესახებ ვკითხე.

— შენ მითხარი, რომ ისინი აჩრდილები იყვნენ? — ვკითხე მე.

— მართალია.

— ისინი მოკავშირეები იყვნენ?

— არა, ისინი იმ ადამიანის მოსწავლეები იყვნენ, რომელსაც ვიცნობ.

— რატომ უწოდე მათ აჩრდილები?

— იმიტომ, რომ იმ მომენტში მათ არკეთების ძალა შეეხო. და რადგანაც შენსავით ბრიყვები არ არიან, მათ გადაინაცვლეს რაღაც სრულიად განსხვავებულში იმისგან, რაც შენ იცი. ამიტომ არ მინდოდა, რომ მათთვის შეგეხედა, რადგან ეს მხოლოდ ზიანს მოგაყენებდა.

მეტი კითხვა არ მქონდა. მშიერიც აღარ ვიყავი. დონ ხუანი ორივე ლოყით ღეჭავდა და, როგორც ჩანს, შესანიშნავ განწყობაზე იყო. თუმცაღა მე მიგდებულად ვგრძნობდი თავს. უეცრად უზარმაზარი დაღლილობის გრძნობა დამეუფლა. მივხვდი, რომ დონ ხუანის გზა ძალზე რთული იყო ჩემთვის. შევამჩნიე, რომ მონაცემები არ მქონდა, რომ მაგი ვყოფილიყავი.

— შესაძლოა, მესკალიტოსთან სხვა შეხვედრა დაგეხმაროს, — თქვა მან.

მე დავარწმუნე, რომ ამაზე ყველაზე ნაკლებად ვფიქრობდი და არც კი მინდოდა ამ შესაძლებლობის განხილვა.

— ძლიერი ძვრები უნდა დაგემართოს იმისთვის, რომ საშუალება მისცე შენს სხეულს სარგებელი მიიღოს იმისგან, რაც ისწავლე, — თქვა მან.

ჩემი შეხედულება ვუთხარი, რომ რადგანაც არ ვიყავი ინდიელი, მართლაც არ მქონდა მონაცემები, რათა მაგის უჩვეულო ცხოვრებით მეცხოვრა.

— შესაძლოა, რომ შემძლებოდა ყველა სირთულესთან გამკლავება, უფრო წარმატებულად წამეწია წინ შენს სამყაროში, — ვუთხარი მე. — ან მიყრუებულ ადგილას რომ წავსულიყავი შენთან ერთად. მაგრამ ის ფაქტი, რომ ერთი ფეხით ერთ სამყაროში ვდგავარ, ხოლო მეორეთი – სხვაში, უსარგებლოს მხდის ორივე მათგანში.

იგი დიდხანს მიცქერდა.

— ეს შენი სამყაროა, — თქვა მან, და მიმითითა საქმიან ქუჩაზე ფანჯრის მიღმა. — შენ ამ სამყაროს ადამიანი ხარ. და სწორედ აქ, ამ სამყაროშია შენი მონაპოვარი. არ არსებობს ჩვენი სამყაროს კეთებისგან გაქცევის საშუალება. ამიტომ მეომარი აკეთებს იმას, რომ თავის სამყაროს თავისი ნადირობის მონაპოვრად აქცევს. როგორც მონადირემ, მეომარმა იცის, რომ სამყარო შექმნილია იმისთვის, რომ ისარგებლოს მისით, ამიტომ იგი მის ყოველ ნაგლეჯს იყენებს. მეომარი მეკობრეს ჰგავს, რომელსაც არ აქვს აკრძალვა იმაზე, რომ აიღოს და გამოიყენოს ყველაფერი, რაც სურს. მხოლოდ ეგაა, რომ მეომარი არასოდეს ზრუნავს ასეთ რამეებზე და არ გრძნობს თავს ნაწყენად იმისთვის, რომ მასაც იყენებენ და იღებენ.

17. ღირებული მოწინააღმდეგე

სამშაბათი, 1962 წლის 11 დეკემბერი.

ჩემი ხაფანგები სრულყოფილები იყვნენ. ისინი სწორად იყვნენ დაყენებულნი. მე ვხედავდი კურდღლებს, ციყვებს და სხვა მღრღნელებს, გნოლებს და ჩიტებს, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში ვერაფერი ვერ დავიჭირე.

როცა დილით სახლიდან გამოვდიოდით, დონ ხუანმა მითხრა, რომ „ძალის ძღვენს“ უნდა დავლოდებოდი, განსაკუთრებულ ცხოველს, რომელიც შესაძლოა ჩემს ხაფანგთაგან რომელიმეში აღმოჩენილიყო, და მთელი მისი ხორცი უნდა გამომეშრო „ძალის მქონე საკვებად“.

როგორც ჩანს, იგი ფიქრის ხასიათზე იყო. ერთი შენიშვნა ან წინადადებაც კი არ მოუცია. დღის ბოლოსთვის, როგორც იქნა, განაცხადა:

— ვიღაც ჩაერია შენს ნადირობაში, — თქვა მან.

— ვინ? — ვკითხე მე, გულწრფელად გაკვირვებულმა.

მან შემომხედა, გაიღიმა და თავი გაიქნია უნდობლობის ჟესტად.

— შენ ისე მოქმედებ, თითქოს არ იცოდე, ვინაა, — თქვა მან, — როცა სინამდვილეში მთელი დღის განმავლობაში იცოდი, ვინაა იგი.

მინდოდა გამეპროტესტებინა, მაგრამ ამაში აზრს ვერ ვხედავდი. ვიცოდი, რომ იგი აპირებდა ეთქვა: „ლა კატალინა“, და თუ ეს ის ცოდნა იყო, რომელზეც ლაპარაკობდა, იგი მართალი იყო. ვიცოდი, ვინ იყო იგი.

— ახლა ან სახლში წავალთ, — ივარაუდა მან, — ან დაველოდებით დაბნელებას და მწუხრის ჟამს გამოვიყენებთ მის დასაჭერად.

როგორც ჩანდა, ჩემს გადაწყვეტილებას ელოდა. მე წასვლა მინდოდა. უკვე დავიწყე ნივთების შეგროვება, მაგრამ სანამ ჩემი სურვილის გამოთქმას მოვასწრებდი, მან პირდაპირი ბრძანებით შემაჩერა.

— დაჯექი, — თქვა მან. — პირდაპირ ახლა წასვლა უფრო მარტივი და უფრო ჯანსაღი გადაწყვეტილება იქნებოდა, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, და ვფიქრობ, რომ უნდა დავრჩეთ. ეს წარმოდგენა სწორედ შენთვისაა.

— რას გულისხმობ?

ვიღაც შენს საქმეებში ერევა, ამიტომ ეს ყველაფერი შენი წარმოდგენა ხდება. მე ვიცი, ვინაა ეს, და შენც იცი.

— მაშინებ, — ვუთხარი მე.

— მე არა, მიპასუხა სიცილით, — ის ქალი გაშინებს, რომელიც აქვე ახლოს იმყოფება.

იგი შეჩერდა, თითქოს თავისი სიტყვების ეფექტს ელოდა. იძულებული ვიყავი მეღიარებინა, რომ შეშინებული ვიყავი.

ერთ თვეზე მეტი ხნის წინ საშინელი შეხვედრა მქონდა ჯადოქართან, სახელად „ლა კატალინა“. ჩემი სიცოცხლით გავრისკე და შევხვდი მას, რადგანაც დონ ხუანმა დამარწმუნა, რომ იგი თავს ესხმოდა და მას არ შეეძლო მისი თავდასხმების მოგერიება. მას შემდეგ, რაც მასთან კონტაქტში შევედი, დონ ხუანმა გამანდო, რომ სინამდვილეში იგი არასოდეს წარმოადგენდა მისთვის საფრთხეს, და ეს ყველაფერი ფანდი იყო, არა სასტიკი ონავრობის მიზნით, არამედ იმისთვის, რომ იძულებული გავმხდარიყავი მემოქმედა. საშინლად განრისხებული ვიყავი მასზე, იმდენად არაეთიკურად მეჩვენებოდა მისი მეთოდი.

მას შემდეგ, რაც ჩემი განრისხებული გამოსვლა მოისმინა, დონ ხუანმა მექსიკური მელოდიების ღიღინი დაიწყო. იგი ცნობილი მომღერლების იმიტაციას ახდენდა, და მისი მიბაძვა იმდენად კომიკური იყო, შედეგად იმით დავამთავრე, რომ ბავშვივით ვიცინოდი. იგი დიდი ხნის განმავლობაში მართობდა. არასოდეს მიფიქრია, რომ მას იდიოტური სიმღერების ამხელა რეპერტუარი ჰქონდა.

— ნება მომეცი, რაღაც გითხრა, — როგორც იქნა, მითხრა მან მაშინ. — თუ არ გაგვასულელებენ, ვერასოდეს ვისწავლით. მსგავსი რამ მომივიდა მეც, და იგივე მოუვათ სხვებსაც. კეთილისმყოფელის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ კიდემდე მიგვიყვანოს. კეთილისმყოფელს შეუძლია მხოლოდ გზა მიგვითითოს და ფანდი გამოიყენოს. მე შენთან ადრე გამოვიყენე ფანდი. გახსოვს, როგორ განვაახლე შენი მონადირული სული? ჰა? შენ თვითონ მიყვებოდი, რომ ნადირობამ გაიძულა მცენარეების დავიწყება. ბევრი რამის გასაკეთებლად იყავი მზად იმისთვის, რომ მონადირე გამხდარიყავი. ისეთი რამეების, რასაც მცენარეების შესახებ რაღაცის გასაგებად არ გააკეთებდი. ახლა ბევრად მეტი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ გადარჩე.

მან შემომხედა და გადაიხარხარა.

— კი, მაგრამ ეს ყველაფერი სიგიჟეა, — ვუთხარი მე. — ჩვენ ხომ გონიერი არსებები ვართ.

— შენ — გონიერი ხარ, — მიპასუხა მან. — მე –არა.

— რა თქმა უნდა, შენც ხარ, — ვამტკიცებდი მე. — შენ ერთ-ერთი ყველზე გონიერი ადამიანი ხარ, რომელსაც შევხვედრივარ.

— კარგი! — წამოიძახა მან. მოდი, არ ვიკამათოთ. მე გონიერი ვარ, და მერე ამით რა?

მე ჩავრთე იგი კამათში იმის თაობაზე, იყო თუ არა აუცილებელი ორი გონიერი არსებისთვის, რომ ასე უგუნურად ემოქმედა, როგორც ჩვენ ვმოქმედებდით ამ ქალბატონ ჯადოქართან მიმართებაში.

— შენ გონიერი ხარ, კარგი, — თქვა მან მრისხანედ. — ეს კი ნიშნავს, რომ გჯერა იმის, რომ ბევრი რამ იცი სამყაროს შესახებ. მაგრამ მართლა ასეა ეს? მართლა იცი? შენ მხოლოდ ადამიანთა მოქმედებები ნახე. შენი გამოცდილება შემოფარგლულია მხოლოდ იმით, თუ რას აკეთებენ ადამიანები შენთან ან სხვებთან მიმართებაში. შენ არაფერი არ იცი ამ ჯადოსნური გამოუცნობი სამყაროს შესახებ.

ნიშანი მომცა, რომ გავყოლოდი ჩემი ავტომობილისკენ, და იქვე ახლოს, პატარა მექსიკურ ქალაქში წავედით.

არ მიკითხავს იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას ვაპირებდით. მითხრა, რომ ავტომობილი რესტორნის გვერდით დამეყენებინა, შემდეგ კი ავტოსადგური და უნივერმაღი მოვიარეთ. დონ ხუანი მარჯვნივ მიდიოდა და მიმიძღოდა. უეცრად გავაცნობიერე, რომ კიდევ ვიღაც მოდიოდა ჩემგან მარცხნივ. მაგრამ მანამ, სანამ შებრუნებას მოვასწრებდი, რათა შემეხედა, დონ ხუანმა სწრაფი უეცარი მოძრაობა გააკეთა. იგი წინ დაიხარა, თითქოს მიწიდან რაღაცის აღებას აპირებდა, შემდეგ კი როცა კინაღამ მასზე გადავყირავდი, მაჯაზე ხელი მტაცა. მან ჩემი ავტომობილისკენ წამათრია და ხელს იმისთვისაც კი არ მიშვებდა, რომ კარი დამეკეტა.

— ნელა წადი და უნივერმაღის წინ გაჩერდი, — თქვა მან.

როცა ავტომობილი გავაჩერე, დონ ხუანმა თავის ქნევით მანიშნა, რომ შემეხედა: „ლა კატალინა“ იმ ადგილას იდგა, სადაც დონ ხუანმა ხელი მტაცა. უნებურად უკან გავიწიე. ქალმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ავტომობილის მიმართულებით და ჩვენგან სამი მეტრის მოშორებით გაჩერდა. ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ. ამ მომენტში ვერაფერ ავისმომასწავებელს ვერ ვხედავდი მასში. გავიღიმე და ხელი დავუქნიე. მან ჩაიხითხითა, როგორც პატარა მორცხვმა გოგონამ და პირზე ხელი მიიფარა. რაღაცნაირად სიამოვნება ვიგრძენი. დონ ხუანისკენ შემოვბრუნდი, რომ მის გარეგნულ სახეზე და ქცევაზე კომენტარი გამეკეთებინა, მაგრამ მან კინაღამ სასიკვდილოდ შემაშინა თავისი ყვირილით:

— ამ ქალს ზურგი არ აჩვენო, ეშმაკმა დალახვროს!

მე სწრაფად შევბრუნდი, რომ ქალისთვის შემეხედა. მან კიდევ ორი ნაბიჯი გადმოდგა და კარებიდან მეტრანახევრის მანძილზე იდგა. იღიმებოდა. კბილები დიდი, თეთრი და ძალიან სუფთა ჰქონდა. თუმცაღა მის ღიმილში იყო რაღაც ჯადოქრული. ღიმილი არ იყო მეგობრული. ეს მორგებული ნიღაბი იყო. მხოლოდ მისი პირი იღიმებოდა. თვალები შავი და ცივი ჰქონდა, და ისინი დაჟინებით მიმზერდნენ.

სხეულში კანკალმა დამიარა. დონ ხუანმა სიცილი დაიწყო რიტმული ხველებით. წამიერი ლოდინის შემდეგ ქალმა ნელ-ნელა უკან დაიხია და ბრბოს შეერია.

ჩვენ წავედით და დონ ხუანმა დამიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თუ არ ავწევდი ჩემი სიცოცხლის დონეს და არ ვისწავლიდი, იგი ფეხს დამაბიჯებდა, როგორც უმწეო ხოჭოს.

— ეს არის ის ღირებული ოპონენტი, რომელიც შენთვის ვიპოვნე, როგორც უკვე გითხარი, — თქვა მან.

დონ ხუანმა თქვა, რომ ნიშანს უნდა დავლოდებოდით, სანამ გვეცოდინებოდა, რა მოგვეხერხებინა ქალისთვის, რომელიც ჩემს ნადირობაში ერეოდა.

თუ დავინახავთ ან გავიგონებთ ყვავის ხმას, ზუსტად გვეცოდინება, რის გაკეთება შეგვიძლია. და ასევე გვეცოდინება, სად დაველოდოთ, — დაამატა მან. შემდეგ ნელა შეტრიალდა, წრე გააკეთა და გარშემო სივრცე მოათვალიერა.

— ეს არაა ლოდინისთვის კარგი ადგილი, — თქვა მან ჩურჩულით.

აღმოსავლეთისკენ წავედით. უკვე საკმაოდ ბნელოდა. უეცრად მაღალი ბუჩქებიდან ორი ყვავი გამოფრინდა და გორაკს მიღმა გაუჩინარდა. დონ ხუანმა თქვა, რომ სწორედ ეს ბორცვი იყო ის ადგილი, რომელიც გვჭირდებოდა.

როგორც კი მივედით, მან გარს შემოუარა გორაკს და ის ადგილი აირჩია, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ღია იყო, გორაკის მისადგომთან. შემდეგ 5-6 ფუტის დიამეტრის წრიული ლაქა გამხმარი ტოტებისგან, ფოთლებისგან და სხვა ნაგვისგან გაათავისუფლა. ვეცადე, რომ დავხმარებოდი, მაგრამ მან ხელის მძლავრი მოძრაობით უარი მითხრა. ტუჩებთან თითი მიიდო და მანიშნა, რომ ჩუმად ვყოფილიყავი. როცა დავასრულეთ, წრის ცენტრისკენ მიბიძგა და მაიძულა, რომ სახით სამხრეთისკენ შევტრიალებულიყავი, თან მიჩურჩულა, რომ მისი მოძრაობებისთვის უნდა მიმებაძა. რაღაც ცეკვისმაგვარი დაიწყო. მარჯვენა ფეხს რიტმულად ურტყამდა მიწას. მოძრაობა შედგებოდა შვიდი თანაბარზომიერი დარტყმისგან, რომელსაც სამი სწრაფი დარტყმა ცვლიდა.

ვეცადე ავყოლოდი მის რიტმს, და რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ მეტ-ნაკლებად სწორად ვიმეორებდი მის მოძრაობებს.

— რისთვისაა ეს? ჩავჩურჩულე ყურში.

მან ასევე ჩურჩულით მიპასუხა, რომ კურდღელივით ვატყაპუნებდი ფეხებს, და ადრე თუ გვიან ეს ხმა მადევრის ყურადღებას მიიპყრობს და იგი გამოჩნდება, რომ შეხედოს, თუ რა ხდება.

როგორც კი რიტმის კოპირება მოვახდინე, დონ ხუანმა თვითონ შეწყვიტა მოძრაობა და მიბრძანა, რომ განმეგრძო, თან თავისი ხელის მოძრაობით მაძლევდა რიტმს.

დროდადრო ვაყურადებდი, თავს ოდნავ მარჯვნივ ვხრიდი და ვცდილობდი ჩაპარალიდან მომავალი ბგერები დამეჭირა. ერთხელ მან ნიშანი მომცა, რომ გავჩერებულიყავი, და უკიდურესად ალერტულ პოზაში გაშეშდა. თითქოს ნახტომისთვის ემზადებოდა და მზად იყო შერკინებოდა უცნობ და უჩინარ მოწინააღმდეგეს.

შემდეგ მანიშნა, რომ ფეხის ბაკუნი განმეგრძო და რაღაც დროის შემდეგ კვლავ გამაჩერა. ყოველ ჯერზე, როცა ვჩერდებოდი, ისეთი კონცენტრაციით აყურადებდა, რომ მეგონა, მისი სხეულის ყველა ბოჭკო დაძაბულობისგან გასკდებოდა.

უეცრად ჩემსკენ გადმოხტა და ყურში ჩამჩურჩულა, რომ მწუხრი თავის სრულ ძალაში იყო შესული.

მივიხედ-მოვიხედე. ჩაპარალი ბნელი მასა იყო ისევე, როგორც გორები და კლდეები, ცა კი — მუქი ლურჯი, და უკვე ვეღარ ვხედავდი ღრუბლებს. მთელი სამყარო ბნელი სილუეტების ერთგვაროვან მასად მეჩვენებოდა, რომლებსაც რაიმე ხილული საზღვრები არ გააჩნდათ.

შორიდან რაღაც ცხოველის სულისგანმგმირავი კივილი მომესმა, კოიოტის, ან შესაძლოა ღამის ფრინველის. იგი ისე უეცრად გაისმა, რომ ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ დონ ხუანის სხეული ოდნავ შეირხა. მის ვიბრაციებს ვგრძნობდი, რადგანაც ჩემ გვერდით იდგა.

— განაგრძე ფეხის ბაკუნი და მზად იყავი, — მიჩურჩულა მან. — ის აქაა.

მე გიჟივით ვაბაკუნებდი, მაგრამ დონ ხუანმა ფეხზე ფეხი დამაბიჯა და სასოწარკვეთილი ნიშანი მომცა, რომ მოვდუნებულიყავი და რიტმულად განმეგრძო.

— არ შეაშინო, — მიჩურჩულა ყურში. — დამშვიდდი და ნუ დაკარგავ ბურთულებს.

მან კვლავ მომცა ხელის მოძრაობით რიტმი და მალე ისევ მომესმა ისეთივე კივილი. ამჯერად ეს ჰგავდა ფრინველის კივილს, რომელიც გორის თავზე დაფრინავდა.

დონ ხუანმა კიდევ მაიძულა, რომ ფეხით მებაკუნა, და ზუსტად მაშინ, როცა გავჩერდი, მარცხნიდან განსაკუთრებული შრიალისმაგვარი ხმა მომესმა. ასეთი ხმა შეეძლო გამოეცა მსხვილ ცხოველს, რომელიც გამხმარ ბუჩქებში მოძრაობდა. აზრი დამებადა, რომ ეს შეიძლებოდა დათვი ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ გავიაზრე, რომ უდაბნოში არ არიან დათვები. დონ ხუანს ჩავჭიდე ხელი. მან გამიღიმა და ტუჩებთან თითი მიიდო გაჩუმების ნიშნად. მე სიბნელეს ვიყავი მიშტერებული, ჩემგან მარცხნივ. მან მანიშნა, რომ ასე არ მოვქცეულიყავი. რამდენჯერმე პირდაპირ ჩემს თავს ზემოთ მიმითითა, შემდეგ კი მაიძულა, ისე შევტრიალებულიყავი, რომ სახით გორაკის ბნელი მასისკენ აღმოვჩენილიყავი. თითით დონ ხუანი გორაკის გარკვეული წერტილისკენ მიმანიშნებდა. ვცდილობდი ამ ადგილზე შემეჩერებინა მზერა, და უეცრად, როგორც ღამის კოშმარში, ჩემკენ შავი აჩრდილი გადმოხტა. მე ვიღრიალე და მიწაზე ზურგით დავეცი. წამით ბნელი სილუეტი შავ-ლურჯ ცაზე იყო გადაფარებული, შემდეგ მან ჩაიარა და ჩვენ უკან ბუჩქებში დაეშვა. ხმა გავიგე, როგორ დაეცა ბუჩქებში რაღაც მძიმე სხეული, შემდეგ კი არაამქვეყნიური ყვირილი გაისმა.

დონ ხუანი წამოდგომაში დამეხმარა და სიბნელეში იმ ადგილამდე მიმყვა, სადაც ჩემი ხაფანგები დავაყენე. მიბრძანა, რომ შემეგროვებინა ისინი და ნაწილებად დამეშალა, შემდეგ კი ეს ნაწილები ყველა მიმართულებით მოისროლა. ეს ყველაფერი უსიტყვოდ გააკეთა. სახლისკენ მიმავალ გზაზე ხმა არ ამოგვიღია.

— რა გინდა, რომ მითხრა? — მკითხა დონ ხუანმა მას შემდეგ, რაც არაერთხელ ვთხოვე, რომ აეხსნა რამდენიმე საათის წინ მომხდარი მოვლენები.

— რა იყო ეს? — ვკითხე მე.

— ძალიან კარგად იცი, რაც იყო, — თქვა მან. — ნუ გადღაბნი ამას შენი „რა-იყო-ეს“-ით. ვინ იყო ეს? — აი, რა არის მნიშვნელოვანი.

მე შევიმუშავე ახსნა, რომელიც თითქოს მაწყობდა. ფიგურა, რომელსაც ვხედავდი, ძალიან წააგავდა საჰაერო გველს, რომელიც ვიღაცამ გაუშვა გორაკიდან მაშინ, როცა ვიღაც სხვამ იგი ჩვენ უკან მიწაზე გამოათრია. აქედან იყო სილუეტის ეფექტი. აქედან იყო ბნელი სილუეტი, რომელმაც ჰაერში 30-40 მეტრი გაიარა.

მან ყურადღებით მოისმინა ჩემი განმარტება, შემდეგ კი იქამდე იცინოდა, ვიდრე ცრემლები არ წამოუვიდა.

— შეწყვიტე ბოდიალი, — თქვა მან. — პირდაპირ მიპასუხე კითხვაზე. ნუთუ ეს ქალი არ იყო?

უნდა მეღიარებინა, რომ როდესაც დავეცი და ზემოთ ვიყურებოდი, ქალის სილუეტი დავინახე გრძელ ქვედაბოლოში, რომელიც ძალიან ნელი მოძრაობით გადამახტა. შემდეგ თითქოს რაღაცამ მოქაჩა სილუეტი, ამიტომ მან დიდი სიჩქარით გადამიფრინა და ბუჩქებში ჩავარდა. სინამდვილეში სწორედ ამ მოძრაობამ მომცა საჰაერო გველის იდეა.

დონ ხუანმა უარი თქვა პრეცედენტის შემდგომ განხილვაზე. მეორე დღეს იგი რაღაც მისტიური დავალების შესასრულებლად წავიდა, მე კი იაკ ინდიელთა ტომის მეგობარი ინდიელების მოსანახულებლად წავედი სხვა სოფელში.

ოთხშაბათი, 1962 წლის 12 დეკემბერი.

როგორც კი იაკების დასახლებამდე მივაღწიე, მაღაზიის მფლობელმა მექსიკელმა მითხრა, რომ მუსიკალური მოწყობილობა და ოცი ფირფიტა იქირავა ქალაქ ობრიჰონში „ფიესტისთვის“, რომლის მოწყობასაც მომდევნო საღამოს აპირებდა გვადალუპელი ღვთისმშობლის საპატივცემულოდ. მან უკვე ყველას უთხრა, რომ ყველა აუცილებელი სამზადისი ხულიოს, მოხეტიალე გამყიდველის წყალობით მოაგვარა, რომელიც იაკების დასახლებაში თვეში ორჯერ ჩადიოდა, რათა ინდიელ იაკებზე კრედიტით გაყიდული იაფფასიანი ნაწარმის საფასური მოეგროვებინა.ხულიომ მოწყობილობა დღის დასაწყისში მოიტანა და დინამოს შეუერთა, რომელიც ელექტრო-ენერგიით მაღაზიას ამარაგებდა. დარწმუნდა, რომ მუშაობდა, შემდეგ კი ხმას ბოლომდე აუწია, შეახსენა მაღაზიის მფლობელს, რომ არცერთ ღილაკს არ შეხებოდა და ოცი ფირფიტის გადარჩევა დაიწყო.

— მე ვიცი, რამდენი ნაკაწრია თვითოეულ მათგანზე, — უთხრა ხულიომ მაღაზიის მფლობელს.

— ეს ჩემს ქალიშვილს უთხარი, — უპასუხა მაღაზიის მფლობელმა.

— შენ აგებ პასუხს, და არა შენი ქალიშვილი.

— ეს ერთი და იგივეა, იმიტომ რომ ის შეცვლის ფირფიტებს.

ხულიომ დაიჟინა, რომ მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ შეეხებოდა მოწყობილობას, თუ მაღაზიის მფლობელი ყოველი დაზიანებული ფირფიტისთვის გადაიხდიდა. მაღაზიის მფლობელმა ხულიოს კამათი დაუწყო. ხულიოს სახე წამოუწითლდა. დროდადრო იგი ტრიალდებოდა ხოლმე იაკ ინდიელთა დიდი ჯგუფისკენ, რომლებიც მაღაზიის წინ შეკრებილიყვნენ, და სასოწარკვეთილების ან განცვიფრების ნიშნებს აკეთებდა ხელების მოძრაობითა და გრიმასებით. ცხადი იყო, რომ ავანსს ითხოვდა. ეს სხვა, ხანგრძლივი კამათის მიზეზი აღმოჩნდა იმის თაობაზე, თუ რა უნდა ჩაითვალოს დაზიანებულ ფირფიტად. ხულიომ ავტორიტეტულად განაცხადა, რომ ნებისმიერი გატეხილი ფირფიტა სრულიად უნდა იქნას ანაზღაურებული, თითქოს იგი ახალი ყოფილიყოს. მაღაზიის მფლობელი კიდევ უფრო მეტად განრისხდა და თავისი

შნური-დამაგრძელებლის გამოგლეჯა დაიწყო. როგორც ჩანს, მოწყობილობის გამორთვა და საღამოს ჩაშლა უნდოდა. მან გააგებინა მაღაზიის წინ შეკრებილ კლიენტებს, რომ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რათა ხულიოს მოლაპარაკებოდა. წამით ისე ჩანდა, თითქოს ჯერ არდაწყებული საღამო ჩაიშალა.

ბლასმა, მოხუცმა ინდიელმა, რომლის სახლშიც მე გავჩერდი, რამდენიმე მოქუფრული შენიშვნა გააკეთა მოქუფრული ხმით იაკების სავალალო მდგომარეობაზე, რომ მათ თავიანთი ყველაზე ღირსშესანიშნავი რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნაც კი არ შეუძლიათ, წმინდა გვადალუპელი ღვთისმშობლის დღე.

მინდოდა ჩავრეულიყავი და დახმარება შემეთავაზებინა, მაგრამ ბლასმა შემაჩერა. თქვა, რომ თუ მე გადავიხდიდი ავანსს, მაღაზიის მფლობელი ყველა ფირფიტას დაამტვრევდა.

— ის ყველაზე უარესია, — თქვა მან. — დაე, თვითონ გადაიხადოს ავანსი. სისხლს გვწოვს, რატომ არ უნდა გადაიხადოს?

ხანგრძლივი კამათის შემდეგ, რომელშიც, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ყოველი იქ დამსწრე ხულიოს მხარეს იყო, მაღაზიის მფლობელმა მიაღწია პირობებს, რომლებიც მისაღები აღმოჩნდა. იგი არ იხდიდა არც ავანსს და არც ბეს, მაგრამ საკუთარ თავზე იღებდა პასუხისმგებლობას ფირფიტებზე და მუსიკალურ მოწყობილობაზე. ხულიოს მოტოციკლმა მტვრის კვალი დატოვა, როცა იგი დასახლების მოშორებული სახლებისკენ წავიდა. ბლასმა თქვა, რომ ხულიო ცდილობდა თავის კლიენტებამდე მანამდე მიესწრო, სანამ ისინი მაღაზიაში მოვიდოდნენ და მთელ თავის ფულს დასალევში დახარჯავდნენ. როცა მან ეს დაასრულა, ინდიელების ჯგუფი მაღაზიიდან გამოვიდა. ბლასმა შეხედა მათ და ისევე დაიწყო სიცილი, როგორც ყველა დანარჩენმა. მან მითხრა, რომ ეს ინდიელები ხულიოს კლიენტები იყვნენ, მაღაზიის უკან იმალებოდნენ და ელოდებოდნენ, როდის წავიდოდა.

საღამოს ზეიმი ადრე დაიწყო. მაღაზიის მფლობელის ქალიშვილმა ფირფიტა დისკზე დადო და ადაპტორი შეაერთა. გაისმა საშინელი ხმამაღალი ხმა, შემდეგ კი საყვირისა და გიტარის ხმები.

საღამოს ძირითად ნაწილს ფირფიტების ბოლო ხმაზე მოსმენა წარმოადგენდა. აქ იყო ოთხი ახალგაზრდა მექსიკელი, რომლებიც მაღაზიის მფლობელის ორ ქალიშვილთან და სამ სხვა ახალგაზრდა მექსიკელ გოგოსთან ცეკვავდნენ. იაკები არ ცეკვავდნენ. ისინი აშკარა სიამოვნებით ადევნებდნენ თვალყურს მოცეკვავეების ყოველ მოძრაობას. როგორც ჩანს, უბრალოდ დაკვირვებით და იაფფასიანი ტეკილას სმით კმაყოფილდებოდნენ. მე შევუკვეთე სასმელი ყველასთვის, ვისაც ვიცნობდი. მინდოდა თავიდან ამეცილებინა არაკეთილგანწყობის ნებისმიერი გამოხატულება. დავდიოდი მრავალრიცხოვან ინდიელებს შორის, ვესაუბრებოდი მათ, შემდეგ კი დალევას ვთავაზობდი. ჩემი ქცევის სტილი მანამდე მოქმედებდა, სანამ არ მიხვდნენ, რომ მე თვითონ საერთოდ არ ვსვამდი. ამან, როგორც ჩანს, გაღიზიანება გამოიწვია ერთდროულად ყველაში. თითქოს კოლექტიურად აღმოაჩინეს, რომ ამ საზოგადოებას არ ვეკუთვნოდი. ინდიელები ძალზე მოიქუფრნენ და ირიბ მზერას მესროდნენ.

მექსიკელები, რომლებიც ისეთივე ნასვამები იყვნენ, როგორც ინდიელები, ამავე დროს მიხვდნენ, რომ არ ვცეკვავდი. და როგორც ჩანს ამან ისინი კიდევ უფრო გაანაწყენა. ერთ-ერთმა მათგანმა ხელი ჩამკიდა და ძალით წამათრია მუსიკალურ მოწყობილობასთან

ახლოს, მეორემ ტეკილა დამისხა, უნდოდა, რომ ერთ ყლუპად დამელია და დამემტკიცებინა, რომ „მაჩო“ ვარ.

მინდოდა გავმკლავებოდი მათ და იდიოტივით ვიცინოდი, თითქოს მართლა მომწონდა სიტუაცია. ვუთხარი, რომ ჯერ ვიცეკვებდი და შემდეგ დავლევდი. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ სიმღერის სახელი დაიძახა. გოგონამ, რომელიც მუსიკალურ მოწყობილობაზე აგებდა პასუხს, ფირფიტების გროვაში დაიწყო ქექვა. როგორც ჩანს, ნასვამი იყო, თუმცა ქალთაგან ღიად არავინ არ სვამდა, და უჭირდა ფირფიტის დისკზე დადება. ახალგაზრდამ თქვა, რომ ფირფიტა, რომელიც მან შეარჩია, ტვისტი არ იყო. გოგონამ კვლავ დაიწყო ფირფიტებში ქექვა და ყველა მის გარშემო შეგროვდა, მე კი თავი დამანებეს. ამან დრო მომცა, განათებულ ადგილს მოვშორებოდი და საერთოდ წავსულიყავი იქიდან.

დაახლოებით სამოც მეტრში, სიბნელეში ვიდექი ბუჩქებს შორის და ვცდილობდი გადამეწყვიტა, რა გამეკეთებინა. დაქანცული ვიყავი. ვგრძნობდი, რომ მანქანაში ჩახტომის და სახლში წასვლის დრო იყო. ბლასის სახლთან მივედი, სადაც ჩემი მანქანა იდგა. გავთვალე, რომ თუ ნელა ვივლიდი, ვერავინ შეამჩნევდა, რომ წავედი.

ჯგუფი, რომელიც დავტოვე, თითქოს ისევ ფირფიტას ეძებდა. ცოტა ხანში ტვისტის ხმა გაისმა. ხმამაღლა გამეცინა, რადგან ვფიქრობდი, რომ ისინი ალბათ იქით შებრუნდნენ, სადაც მე ვიდექი, და აღმოაჩინეს, რომ გავქრი.

ამ დროს დავინახე შავი სილუეტები ადამიანებისა, რომლებიც საწინააღმდეგო მიმართულებით, მაღაზიისკენ მოდიოდნენ. ერთმანეთს ჩავუარეთ, და მათ წაიბუტბუტეს; „ბუენას ნოჩეს“. ვიცანი ისინი და დაველაპარაკე. ვუთხარი, რომ საღამო მშვენიერი აღმოჩნდა. სანამ მთავარ გზაზე გავიდოდი, კიდევ ორი ადამიანი შემხვდა, რომლებსაც არ ვიცნობდი, მაგრამ მაინც მივესალმე. მუსიკის ხმები გზამდეც ისეთივე მაღალ ხმაზე მოდიოდა, როგორც მაღაზიის წინ. ღამე ბნელი და უვარსკვლავო იყო, მაგრამ მაღაზიიდან მომავალმა შუქმა საშუალება მომცა, საკმაოდ კარგად გამერჩია ადგილმდებარეობა. ბლასის სახლი ძალზე ახლოს იყო, და მე ნაბიჯს ავუჩქარე. შემდეგ შევამჩნიე ადამიანის ბნელი ფიგურა, რომელიც ჩემგან მარცხნივ, გზის მოსახვევთან ჩაცუცქულიყო. გავიფიქრე, რომ შესაძლოა ეს ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც საღამოზე ვნახე, სანამ იქიდან წამოვიდოდი. ეს ადამიანი თითქოს გზის კიდესთან იკმაყოფილებდა ბუნებრივ მოთხოვნილებას. ეს უცნაურად მომეჩვენა, რადგან ამ დასახლების ხალხი, როგორც წესი, ბუჩქებში გადიოდა ხოლმე ამისთვის. ვიფიქრე, რომ ვინც არ უნდა ყოფილიყო, მთვრალი იყო.

მოსახვევთან მივედი და ვუთხარი: „ბუენას ნოჩეს“. ადამიანმა უხეში, სულისშემძვრელი, არაადამიანური ყვირილით მიპასუხა. სხეულზე თმის ყოველი ღერი ყალყზე დამიდგა. წამით პარალიზებული ვიყავი. შემდეგ სწრაფად წავედი. მოკლე მზერა ვესროლე. დავინახე, რომ ბნელი სილუეტი ჩემკენ მოდიოდა. ეს ქალი იყო, ნახევრადმოხრილი და წინ გადახრილი. ამ მდგომარეობაში რამდენიმე მეტრი გამოიარა, შემდეგ კი გადმოხტა. მე გავიქეცი, მაშინ, როცა ქალი ფრინველივით მოხტოდა ჩემ გვერდით, ისე, რომ არ ჩამომრჩებოდა. იმ დროისთვის, როცა ბლასის სახლთან მივედი, მან გზა გადამიჭრა და თითქმის შევეჩეხეთ ერთმანეთს.

სახლის წინ არსებულ მცირე მშრალ კანაოს გადავახტი და კარებში შევვარდი. ბლასი უკვე სახლში იყო, და, როგორც ჩანს, არ აუღელვებია ჩემს ისტორიას.

— კარგი ხუმრობა მოუწყვიათ შენთვის, — თქვა მან. — ინდიელები დიდ სიმოვნებას ნახულობენ უცხოელების წვალებით.

განცდილმა იმდენად ამიშალა ნერვები, რომ მეორე დღეს დონ ხუანის სახლთან წავედი ნაცვლად იმისა, რომ სახლში წავსულიყავი, როგორც მანამდე ვაპირებდი.

დონ ხუანი სადილის შემდეგ დაბრუნდა. არ მივეცი საშუალება, რომ რამე ეთქვა, მაშინვე მოვუყევი მთელი ჩემი ისტორია, ბლასის კომენტარის ჩათვლით. დონ ხუანს სახე მოექუფრა. შესაძლოა ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვა იყო, მაგრამ მომეჩვენა, რომ იგი დადარდიანებული იყო.

— ნაკლებად დაუჯერე იმას, რაც ბლასმა გითხრა, — თქვა მან სერიოზული ტონით. — მან არაფერი იცის მტრებს შორის ბრძოლაზე.

შენ უნდა გცოდნოდა, რომ ეს რაღაც სერიოზული იყო უკვე იმ მომენტში, როცა შეამჩნიე, რომ ჩრდილი შენგან მარცხნივ იმყოფებოდა. სწორედ ასევე, შენ არ უნდა გაქცეულიყავი.

— რა უნდა გამეკეთებინა? იქ უნდა ვმდგარიყავი?

— სწორია. როცა მეომარი თავის მოწინააღმდეგეს ხვდება, და მოწინააღმდეგე არ წარმოადგენს ორდინალურ ადამიანს, მან თავისი დგომი უნდა გააკეთოს. ეს ერთადერთია, რაც მას შეუღწევადს ხდის.

— რაზე მეუბნები, დონ ხუან?

— მე გეუბნები, რომ შენ მესამე შეხვედრა გქონდა შენს ღირებულ მოწინააღმდეგესთან. იგი თან დაგყვება და სისუსტის მომენტებს ელოდება შენი მხრიდან. ამჯერად კინაღამ გაგსრისა.

მე შფოთვის შემოტევა ვიგრძენი და დავადანაშაულე იმაში, რომ მან თვითონ მიბიძგა უსარგებლო საფრთხისკენ. ვწუწუნებდი, რომ ის თამაში, რომელსაც მეთამაშებოდა, სასტიკი იყო.

— სასტიკი იქნებოდა, საშუალო ადამიანს რომ დამართოდა. მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანი მეომრის ცხოვრებას იწყებს, იგი უკვე აღარაა ორდინალური. ამასთან, მე არ მიძებნია შენთვის ღირებული მოწინააღმდეგე იმისთვის, რომ გეთამაშო ან გაწვალო, ან გაგაღიზიანო. ღირებულ მოწინააღმდეგეს შეუძლია გაგსრისოს. „ლა კატალინას“ მსგავსი მოწინააღმდეგის ზეგავლენით იძულებული იქნები გამოიყენო ყველაფერი, რაც გასწავლე. სხვა არანაირი არჩევანი არ გაქვს.

რაღაც პერიოდი ჩუმად ვიყავით. მისმა სიტყვებმა უზარმაზარი შფოთვა გამოიწვია ჩემში. შემდეგ მან მოინდომა, რომ რაც შეიძლება კარგად მომეხდინა იმ ყვირილის იმიტირება, რომელიც „ბუენოს ნოჩეს“ თქმის შემდეგ გავიგე.

ვეცადე გამემეორებინა ყვირილი და ისეთი უცნაური ხმა ამოვუშვი, რომ თვითონვე შემეშინდა. როგორც ჩანს დონ ხუანმა ჩემი მცდელობა სასაცილოდ ჩათვალა. თავს ვერ იკავებდა სიცილისგან.

ამის შემდეგ მთხოვა, რომ მოვლენათა საერთო თანმიმდევრობა აღმეწერა, მანძილი, რომელზეც მე ვირბინე, მანძილი, რომელზეც ქალი იმყოფებოდა, როდესაც მას შევხვდი, მანძილი, რომელზეც იმყოფებოდა, როცა სახლს მივაღწიე, და ადგილი, საიდანაც გადმოხტა.

— ვერცერთი ქონიანი ინდიელი ქალი ვერ შეძლებს ასე ხტომას, — თქვა მან. — ისინი ვერც კი გაირბენენ ამდენს.

მან მაიძულა, რომ ნახტომები გამეკეთებინა. ერთ ჯერზე ოთხი ფუტის მეტი მანძილი ვერ დავფარე, და თუ ჩემი აღქმა არ მატყუებდა, ქალი ერთ ჯერზე მინიმუმ ათ ფუტზე ხტებოდა.

— რა თქმა უნდა, შენ იცი, რომ დღეიდან უფრო ფრთხილად უნდა იყო, — თქვა მან უზარმაზარი სერიოზულობით. — იგი ეცდება, რომ მარცხენა მხარზე დაგიტყაპუნოს ხელი იმ მომენტში, როცა სუსტი იქნები ან მომზადებული არ იქნები.

— რა უნდა გავაკეთო? — ვკითხე მე.

— წუწუნს აზრი არ აქვს, — თქვა მან. — მთავარია, რომ ამ მომენტიდან ცხოვრების მყარი სტრატეგია გქონდეს.

მე საერთოდ არ შემეძლო მის სიტყვებზე კონცენტრირება. ავტომატურად ვიწერდი. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მან მკითხა, ვგრძნობდი თუ არა ტკივილს ყურებს უკან ან კეფასთან. ვუთხარი, რომ არა, და მან ამიხსნა, რომ თუკი მე ვიგრძნობდი უსიამოვნო შეგრძნებას რომელიმე ამ ადგილას, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ მოუხერხებელი ვარ და „ლა კატალინამ“ ზიანი მომაყენა.

— ყველაფერი, რაც წინა ღამით გააკეთე, მოუხერხებელი იყო, — თქვა მან. პირველ რიგში, შენ წახვედი საღამოზე, რათა დრო მოგეკლა, თითქოს არსებობდეს დრო, რომლის მოკვლაც შეიძლება. ამან დაგასუსტა.

— გინდა თქვა, რომ საღამოებზე არ უნდა ვიარო?

არა, მე ამის თქმა არ მინდა. შეგიძლია, სადაც გინდა, იქ წახვიდე, მაგრამ თუ მიდიხარ, ბოლომდე უნდა აიღო პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებაზე. მეომარი სტრატეგიულად ატარებს თავის ცხოვრებას. იგი დაესწრება საღამოს ან მსგავსი ტიპის შეკრებას მხოლოდ მაშინ, თუ ეს მის სტრატეგიაში შედის. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ იგი სრულ კონტროლში იქნება და ყველა იმ ქმედებას შეასრულებს, რომლებსაც აუცილებლად ჩათვლის.

მან დაჟინებით შემომხედა და გაიღიმა. შემდეგ სახეზე ხელი მიიფარა და რბილად დაახველა.

— შენ საშინელ კვანძში ხარ, — თქვა მან. — შენს ცხოვრებაში პირველად შენი მოწინააღმდეგე შენს კვალს მოჰყვება, და არ შეგიძლია დაუფიქრებლად მოიქცე. ამჯერად სრულიად სხვა კეთება უნდა ისწავლო, სტრატეგიის კეთება. ასე იფიქრე ამაზე: თუ ცოცხალი დარჩები „ლა კატალინას“ თავდასხმის შემდეგ, ოდესმე მოგიწევს მადლობის გადახდა მისთვის, რომ მან საკუთარი კეთების შეცვლა გაიძულა.

— რა საშინელი რამეა ამის წარმოდგენა! — წამოვიძახე მე. — და თუ ცოცხალი არ დავრჩები?

— მეომარი არასოდეს ინდულგირებს ასეთი ფიქრებით, — თქვა მან. — როცა მან უნდა იმოქმედოს, იგი კეთების სტრატეგიას მიჰყვება, და ამ კეთებაში არაა არც გამარჯვებები და არც დამარცხებები. ამ კეთებაში მხოლოდ მოქმედებაა.

ვკითხე, თუ რა შეადგენდა სტრატეგიის კეთებას.

— ეს ნიშნავს, რომ შენ არ ეყრდნობი ადამიანთა წყალობას, — მიპასუხა მან. — ამ საღამოზე მაგალითად, შენ კლოუნი იყავი არა იმიტომ, რომ ეს კლოუნდა ყოფნის შენს მიზანს შეესაბამებოდა, არამედ იმიტომ, რომ ამ ადამიანთა წყალობას მიეცი თავი. არავითარი კონტროლი არ გქონდა და ამიტომ იძულებული იყავი გაქცეულიყავი მათგან.

— რა უნდა გამეკეთებინა?

— არ წასულიყავი იქ საერთოდ, ან წასულიყავი იმისთვის, რომ განსაკუთრებული სახით გემოქმედა.

— მექსიკელებთან კარუსელის შემდეგ დასუსტდი, და „ლა კატალინამ“ ისარგებლა ამ შესაძლებლობით. ამიტომ მან გზაზე დაიკავა პოზიცია და გელოდებოდა.

შენ მაინც დაელაპარაკე მას, თუმცა შენმა სხეულმა იცოდა, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო. ეს საშინელება იყო. ერთი სიტყვაც კი არ უნდა უთხრა შენს ოპონენტს მსგავსი შეხვედრების დროს. შემდეგ ზურგი აქციე მას. ეს კიდევ უარესი იყო. შემდეგ გაექეცი მას, და ეს იყო ყველაზე უარესი, რის გაკეთებაც შეგეძლო. როგორც ჩანს ისიც მოუხერხებელია. მაგი, რომელსაც რაღაც ფასი აქვს, იმავ წამს გაგსრესდა, როგორც კი ზურგი აქციე და გაიქეცი.

ჯერ-ჯერობით შენი ერთადერთი დაცვაა, რომ ადგილზე დარჩე და შენი ცეკვა შეასრულო.

— რა ცეკვა? — ვკითხე მე.

მან თქვა, რომ „კურდღლის ფეხების ბაკუნი“, რომელიც მასწავლა, პირველი მოძრაობა იყო ცეკვისა, რომელსაც მეომარი ასრულებს და აფართოებს თავისი ცხოვრების მანძილზე და ბოლოს და ბოლოს ცეკვავს მას დედამიწაზე თავის უკანასკნელ სადგომზე.

უცნაური სიფხიზლის მომენტი შევიგრძენი, და აზრების მთელი სერია მომაწვა. ერთ დონეზე ცხადი იყო, რომ ის, რასაც ადგილი ჰქონდა ჩემსა და „ლა კატალინას“ შორის პირველ ჯერზე, როდესაც მას შევხვდი, რეალური იყო. „ლა კატალინა“ რეალური იყო, და მე არ შემეძლო იმ შესაძლებლობის უგულვებელყოფა, რომ იგი მართლაც კვალში მედგა. მეორე დონეზე, ვერ ვხვდებოდი, როგორ მეძებდა იგი, და ეს საფუძველს აძლევდა სუსტ ეჭვს, რომ შესაძლოა დონ ხუანი მეხუმრებოდა, და შესაძლოა რაღაც ხერხებით თვითონვე ახდენდა იმ მისტიკურ ეფექტებს, რომელთა მოწმეც ვიყავი.

უეცრად დონ ხუანმა ცას შეხედა და მითხრა, რომ ჯერ კიდევ იყო დრო იმისთვის, რომ წავსულიყავი და გრძნეული ქალი შემემოწმებინა. მან დამარწმუნა, რომ ძალიან მცირე საფრთხის ქვეშ ვიქნებოდით, რადგანაც უბრალოდ მისი სახლის გვერდით ვაპირებდით გავლას.

— შენ უნდა შეუსაბამო მისი ფორმები, — თქვა დონ ხუანმა. მაშინ არანაირი ეჭვი აღარ დაგრჩება.

ხელიგულები ისე გამიოფლიანდა, რომ იძულებული ვიყავი რამდენჯერმე ხელსახოცით შემემშრალებინა. ჩემს ავტომობილში ჩავჯექით, და დონ ხუანმა მთავარ გზატკეცილზე გამიყვანა, შემდეგ კი ფართო გრუნტის გზაზე. მე გზის შუა ნაწილში მივდიოდი. მძიმე სატვირთოებსა და ტრაქტორებს გზა ჩაეღრმავებინათ, ჩემი ავტომობილი კი ძალიან დაბალი იყო იმისთვის, რომ გზის მარჯვენა ან მარცხენა მხარეს ევლო. ნელა მივდიოდით მტვრის სქელ ღრუბელში.

დონ ხუანმა მითხრა, რომ სიჩქარე დამეგდო, როცა მცირე ხიდს მივუახლოვდით. იქ ოთხი ინდიელი იჯდა, და მათ ხელი დაგვიქნიეს. ხიდი გადავიარეთ, და გზა აქ მკვეთრად უხვევდა.

— აი, იმ ქალის სახლი, — მიჩურჩულა დონ ხუანმა და თვალებით მიმანიშნა მაღალი ბამბუკებით შემოღობილი თეთრი სახლისკენ.

მან მითხრა, რომ ავტომობილი შემომეტრიალებინა, გზის შუაში გავჩერებულიყავი, და დავლოდებოდი, ხომ არ იქნებოდა ეს ქალი იმდენად ეჭვიანი, რომ თავისი სახე ეჩვენებინა. ალბათ ათი წუთის განმავლობაში ვიდექით. დრო უსასრულოდ მეჩვენებოდა. დონ ხუანს სიტყვაც არ უთქვამს. იგი უძრავად იჯდა და სახლს უცქერდა.

— აი, ისიც, — თქვა მან და მისმა სხეულმა უეცარი ნახტომი გააკეთა.

მე დავინახე შავი სილუეტი ქალისა, რომელიც სახლის შიგნით იდგა და ღია კარიდან იყურებოდა. ოთახში სივიწროვე იყო, და ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ქალის სილუეტის სიშავეს.

რამდენიმე წუთში ქალი ოთახის სიბნელიდან გამოვიდა და კარებში გაჩერებული ჩვენ გვიყურებდა. წამით ვუცქერდით მას, შემდეგ კი დონ ხუანმა მიბრძანა, რომ მანქანა დამეძრა და წავსულიყავით. სიტყვები არ მქონდა. შემეძლო ფიცი დამედო, რომ სწორედ ის ქალი იყო, ვინც მხტომარე ვნახე სიბნელეში.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, როდესაც გზატკეცილზე დავბრუნდით, დონ ხუანი დამელაპარაკა.

— აბა, რას იტყვი? — მკითხა მან. — იცანი ეს ფორმა?

დიდხანს ვყოყმანობდი, სანამ პასუხს გავცემდი. მეშინოდა იმის შედეგების, რაც დასტურს მოჰყვებოდა. ყურადღებით შევარჩიე პასუხი და ვუთხარი, რომ, ჩემი აზრით, მაშინ ძალიან ბნელოდა და ამიტომ აბსოლუტურად დარწმუნებული ვერ ვიქნებოდი.

მას გაეცინა და თავზე ოდნავ წამითაქა.

— ეს ქალი ზუსტად ის იყო, ასე არაა? — მკითხა მან.

პასუხისთვის დრო არ მომცა, თითი ტუჩებთან მიიდო დუმილის ნიშნად და ყურში ჩამჩურჩულა, რომ რაიმეს თქმას აზრი არ ჰქონდა და იმისთვის, რომ „ლა კატალინას“ თავდასხმების დროს გადავრჩენილიყავი, უნდა გამომეყენებინა ყველაფერი, რაც კი მასწავლა.

თუ გსურთ, დააფასოთ მთარგმნელის შრომა და წვლილი შეიტანოთ ეზოთერული ლიტერატურის ქართულად თარგმნაში, გადმორიცხეთ თქვენთვის სასურველი თანხა ამ რეკვიზიტებზე:

მიმღების ბანკი: „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE04BG 0000 0006 2153 2700
მიმღების დასახელება: მამუკა გურული

მიმღები ბანკი: TBC ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE30 TB71 5424 5061 1000 05
მიმღების დასახელება: მამუკა გურული

მეორე ნაწილი:

მოგზაურობა იქსტლანში

18. მაგის ძალის ბეჭედი

1971 წლის 11 მაისს, ჩემი მოსწავლეობის განმავლობაში უკანასკნელად მოვინახულე დონ ხუანი. ამჯერად იმ განწყობით მივედი მასთან, როგორც მივდიოდი ჩვენი კავშირის ათწლიანი პერიოდის განმავლობაში. სხვა სიტყვებით, მე კვლავ ვეძებდი მის კეთილგანწყობილ კომპანიას.

მისი მეგობარი, დონ ხენარო, საკატეკას ტომის ინდიელი მაგი, მასთან ერთად იმყოფებოდა. ორივე მათგანი ექვსი თვის წინანდელი ვიზიტის დროს ვნახე. ვფიქრობდი, მეკითხა, ერთად ხომ არ იყვნენ მთელი ამ დროის მანძილზე, და ამ დროს დონ ხენარომ ამიხსნა, რომ იმდენად ძლიერ უყვარდა ჩრდილოეთის უდაბნო, რომ ზუსტად დროულად დაბრუნდა, რათა შემხვედროდა. მათ ორივემ გაიცინეს, თითქოს რაღაც საიდუმლო იცოდნენ.

— მე სპეციალურად შენთვის დავბრუნდი, — თქვა დონ ხენარომ.

— მართალია, — დაუდასტურა დონ ხუანმა.

მე შევახსენე დონ ხენაროს, რომ ჩემი აქ ყოფნის ბოლო ჯერზე მისი მცდელობები, რომ დამხმარებოდა „სამყაროს გაჩერებაში“, კატასტროფული აღმოჩნდა ჩემთვის. ამით მეგობრულად ვანიშნე, რომ მეშინოდა მისი. იგი გაუჩერებლად იცინოდა, მთელი სხეულით თრთოდა და ფეხებს ბავშვივით აბაკუნებდა. დონ ხუანი თავს არიდებდა ჩემკენ გამოხედვას და თვითონაც იცინოდა.

— აღარ ეცდები ჩემ დახმარებას, დონ ხენარო? — ვკითხე მე.

ჩემმა კითხვამ კიდევ ერთი სიცილის შეტევა გამოიწვია მათში. დონ ხენარო სიცილისგან მიწაზე ხოხავდა. შემდეგ მუცელზე დაწვა და იატაკზე გაცურა. როდესაც დავინახე, რას აკეთებდა, მივხვდი, რომ ჩემი საქმე ცუდად იყო. ამ მომენტში ჩემმა სხეულმა რაღაცნაირად გააცნობიერა, რომ დასასრულს მივუახლოვდი. არ ვიცოდი, რა დასასრული იყო ეს. დრამატიზაციისადმი ჩემი პირადი მიდრეკილება და წარსული გამოცდილება დონ ხენაროსთან მაიძულებდა მეფიქრა, რომ ეს შესაძლოა ჩემი ცხოვრების აღსასრული ყოფილიყო.

ჩემი ბოლო ვიზიტის დროს დონ ხენარო ეცადა, რომ „სამყაროს გაჩერების“ ზღვარზე მოვესროლე. მისი ძალისხმევები იმდენად თავბრუდამხვევი და სწორხაზოვანი იყო, რომ დონ ხუანმა თავად მიბრძანა, რომ წავსულიყავი. დონ ხენაროს მიერ ნაჩვენები „ძალის დემონსტრაცია“ იმდენად უჩვეულო და საოცარი იყო, რომ საკუთარი თავის სრული გადაფასება გამოიწვია ჩემში. სახლში წავედი, ჩემი მოსწავლეობის დასაწყისიდან გაკეთებულ ჩანაწერებს გადავხედე და სრულიად ახალი გრძნობა უჩვეულოდ მოვიდა ჩემთან, თუმცა ვერ ვაცნობიერებდი მას მანამ, სანამ იატაკზე მცურავი დონ ხენარო არ დავინახე.

იატაკზე ცურვის აქტი, იმ სხვა უცნაურ და განსაცვიფრებელ ქცევებს შეესაბამებოდა, რომლებსაც პირდაპირ ჩემ თვალწინ ასრულებდა. და ეს იმით დაიწყო, რომ იგი თითქოს სახით ქვემოთ იწვა. თავიდან იმდენად ძლიერ იცინოდა, რომ მისი სხეული კონვულსიებისგან ირხეოდა, შემდეგ ფეხების ფართხალი დაიწყო, და ბოლოს მისი ფეხების მოძრაობა კოორდინირებული გახდა ხელების ცურვით მოძრაობასთან, და დონ ხენარომ სრიალი დაიწყო მიწაზე, თითქოს გორგოლაჭებიან ფიცარზე ყოფილიყოს დაწოლილი. მან რამდენჯერმე შეიცვალა მიმართულება და მთელი მიდამო მოიარა დონ ხუანის სახლის წინ, ჩემი და დონ ხუანის გარშემო ცურვით.

დონ ხენარო თავის კლოუნადას ჩემ თვალწინ ადრეც აწყობდა ხოლმე, და ყოველ ჯერზე, როცა ამას აკეთებდა, დონ ხუანი ამბობდა, რომ მე „ხედვის“ ზღვარზე ვიყავი. ჩემი წარუმატებლობის მიზეზი „ხედვაში“ ის იყო, რომ მე გულდასმით ვცდილობდი ამეხსნა დონ ხენაროს ნებისმიერი ქმედება ჯანსაღი გონების თვალსაზრისით. ამჯერად მზადყოფნაში ვიყავი, და როდესაც იგი გაცურდა, არ მიცდია მოვლენების ახსნა ან გაგება. უბრალოდ თვალყურს ვადევნებდი მას. თუმცაღა არ შემეძლო გავქცეოდი გაოგნებულობის შეგრძნებას. იგი მართლაც სრიალებდა მუცლითა და მკერდით. თვალები დამიელმდა, როცა თვალყურს ვადევნებდი. შფოთვა მომაწვა. დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ არ ავუხსნიდი ამ მოვლენას საკუთარ თავს, „ხედვას“ შევძლებდი, და ამ აზრმა უჩვეულო მოუთმენლობით აღმავსო. ჩემი ნერვული დაძაბულობა იმდენად დიდი იყო, რომ როგორღაც კვლავ საწყის წერტილში ავღმოჩნდი, კვლავ გონივრულ მსჯელობებში ჩაკეტილი.

როგორც ჩანს, დონ ხუანი თვალს მადევნებდა. უეცრად მან ხელი შემომკრა. ავტომატურად სახით მისკენ შევბრუნდი და წამით თვალი მოვაცილე დონ ხენაროს. როცა კვლავ შევხედე, იგი ჩემ გვერდით იდგა ოდნავ დახრილი თავით ისე, რომ მისი ნიკაპი თითქმის ეხებოდა ჩემს მხარს. შიშის დაგვიანებული რეაქცია განვიცადე. წამით ვუცქერდი მას, შემდეგ კი უკან გადავხტი.

მისი არაყალბი განცვიფრების გამომეტყველება იმდენად კომიკური იყო, რომ ისტერიულად გამეცინა. თუმცაღა არ შემეძლო არ გამეცნობიერებინა, რომ ჩემი სიცილი

უჩვეულო იყო. ჩემი სხეული ნერვული სპაზმებისგან თრთოდა, რომლებიც მუცლის შუა ნაწილიდან გამოდიოდნენ. დონ ხენარომ ხელი მუცელზე დამადო და კრუნჩხვისმაგვარი სიცილი შეწყდა.

— ამ პატარა კარლოსს ყველაფერი ზედმეტი მოსდის! — წამოიძახა მან ძალზე თავდაჭერილი ადამიანის სახით.

შემდეგ დონ ხუანის ხმას და მანერას მიბაძა და დაამატა:

— ნუთუ შენ არ იცი, რომ მეომარი არ იცინის ასე?

დონ ხუანის მისი კარიკატურა იმდენად სრულყოფილი იყო, რომ კიდევ უფრო მეტად გამეცინა.

შემდეგ ორივე ერთად წავიდნენ და ორი საათი, თითქმის შუადღემდე არ გამოჩენილან. როდესაც დაბრუნდნენ, დონ ხუანის სახლის წინ ჩამოსხდნენ. კრინტი არ დაუძრავთ. ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ეძინებოდათ და დაღლილები იყვნენ. დიდი ხნის განმავლობაში უძრავად იყვნენ, თუმცა ისე ჩანდა, რომ ეს მათთვის ძალზე მოსახერხებელი და იოლი მდგომარეობა იყო. დონ ხუანის პირი ოდნავ გაიღო, თითქოს მართლაც სძინებოდეს, მაგრამ მისი ხელები მუხლებზე იყო გადაჯაჭვული და ცერა თითები რიტმულად მოძრაობდნენ. მე ვნერვიულობდი და ადგილი რამდენჯერმე შევიცვალე.

რაღაც დროის შემდეგ სასიამოვნო თვლემამ მომიარა. როგორც ჩანს ჩამეძინა. დონ ხუანის სიცილმა გამაღვიძა. თვალები გავახილე. ორივე იდგა და მიყურებდა.

— თუ არ ლაპარაკობ, მაშინ გძინავს, — თქვა დონ ხუანმა სიცილით.

— ვშიშობ, რომ ასეა, — ვუპასუხე მე.

დონ ხენარო ზურგზე წამოწვა და ფეხების ჰაერში ქნევა დაიწყო. წამით ვიფიქრე, რომ იგი კვლავ თავის მოუსვენარ კლოუნადას იწყებდა, მაგრამ იგი კვლავ დაუბრუნდა თავის ჩვეულ მჯდომარე მდგომარეობას გადაჯვარედინებული ფეხებით.

— არის კიდევ ერთი საკითხი, რაც ახლა უნდა გააცნობიერო, — თქვა დონ ხუანმა. — მე მას შანსის კუბურ სანტიმეტრს ვეძახი. ჩვენ ყველას, მიუხედავად იმისა, ვართ თუ არა მეომრები, გვაქვს შანსის კუბური სანტიმეტრი, რომელიც დროდადრო თვალწინ გამოგვიხტება ხოლმე. განსხვავება საშუალო ადამიანსა და მეომარს შორის იმაში მდგომარეობს, რომ მეომარი აცნობიერებს ამას, და მისი ერთ-ერთი ამოცანაა — ალერტული იყოს და განზრახ დაელოდოს ისე, რომ როდესაც მისი კუბური სანტიმეტრი გამოხტება, ფლობდეს აუცილებელ სისწრაფეს და მოქნილობას, რათა აიღოს იგი.

შანსი, იღბალი, პირადი ძალა ან რაც არ უნდა უწოდო, წარმოადგენს საქმეთა განსაკუთრებულ მდგომარეობას. ესაა როგორც ძალიან პატარა ჯოხი, რომელიც პირდაპირ ჩვენ წინ ჩნდება და გვეპატიჟება, რომ ჩავეჭიდოთ მას. ჩვეულებრივ, ჩვენ ძალზე დაკავებულნი ან ძალზე დატვირთულნი ვართ, ან ძალზე სულელნი და ზარმაცნი იმისთვის, რომ გავიგოთ, რომ ეს ჩვენი იღბლის კუბური სანტიმეტრია. მეორე მხრივ, მეომარი ყოველთვის ალერტულია, ყოველთვის შემართულია და გააჩნია ზამბარისებურობა და სისხარტე, რათა დაიჭიროს იგი.

— შენი ცხოვრება ძალიან კომპაქტურია? — მკითხა უეცრად დონ ხენარომ.

— ვფიქრობ, რომ დიახ, — ვუთხარი თავდაჯერებულობით.

— ფიქრობ, რომ შეგიძლია დაიჭირო შენი იღბლის კუბური სანტიმეტრი? — მკითხა დონ ხუანმა უნდობლობის ტონით.

— ვთვლი, რომ გამუდმებით ამას ვაკეთებ, — ვუთხარი მე.

— ვფიქრობ, რომ შენ მხოლოდ იმ საგნებთან მიმართებაში ხარ ალერტული, რომლებსაც იცნობ, — თქვა დონ ხუანმა.

— შესაძლოა, თავს ვისულელებ, მაგრამ ვთვლი, რომ ახლა უფრო ცნობიერი ვარ, ვიდრე ჩემი ცხოვრების ნებისმიერ სხვა დროს, — ვუთხარი მე, და მართლა ამას ვგულისხმობდი.

დონ ხენარომ დასტურის ნიშნად თავი დამიკრა.

— ჰო, — თქვა მან რბილად, თითქოს გულში ამბობდა, — პატარა კარლოსი მართლაც შემართული და აბსოლუტურად ალერტულია.

ვიგრძენი, რომ დამცინოდნენ. ჩემი შეხედულებით, განცხადებას, ჩემი შემართული მდგომარეობისა და ალერტულობის შესახებ, შესაძლოა გაეღიზიანებინა ისინი.

— მე არ ვაპირებ ტრაბახს, — ვუთხარი მე.

დონ ხენარომ წარბები წინ წამოსწია და ნესტოები გააფართოვა. მან ჩემს ბლოკნოტს შეხედა და თავი მომაჩვენა, რომ წერდა.

— ვფიქრობ, რომ კარლოსი უფრო შემართულია, ვიდრე ოდესმე, — უთხრა დონ ხუანმა დონ ხენაროს.

— იქნებ, ზედმეტადაა შემართული? — წამოისროლა დონ ხენარომ.

— სრულიად შესაძლებელია, — დაასკვნა დონ ხუანმა.

არ ვიცოდი, რა ჩამეკვეხებინა, ამიტომ ჩუმად ვიყავი.

— გახსოვს ის შემთხვევა, როცა შენი მანქანა გავყინე? მკითხა დონ ხუანმა სასხვათაშორისოდ.

მისი კითხვა მოულოდნელი იყო და ჩვენს საუბართან არ იყო დაკავშირებული. ის იმ დროს ეხებოდა, როცა არ შემეძლო დამექოქა ავტომობილის ძრავი მანამ, სანამ არ მითხრა, რომ შემიძლია დავქოქო.

— ეს არაფერი იყო, — თქვა დონ ხუანმა დარწმუნებულობის ელფერით. — სრულიად არაფერი. მართალია ხენარო?

— მართალია, — გულგრილად თქვა დონ ხენარომ.

— რას გულისხმობ? — ვუთხარი პროტესტით. — რაც იმ დღეს გააკეთე, მართლაც ჩემი გაგების ჩარჩოებს მიღმა იყო.

— ეს ბევრ რამეზე არ მეტყველებს, — თქვა დონ ხენარომ.

მათ ორივემ ხმამაღლა გაიცინეს, შემდეგ კი დონ ხუანმა ზურგზე ხელი დამიტყაპუნა.

— ხენაროს შეუძლია რაღაც გაცილებით უკეთესი გააკეთოს, ვიდრე შენი მანქანის გაყინვაა, — განაგრძო მან. მართალია, ხენარო?

— მართალია, — შენიშნა დონ ხენარომ და ბავშივით გადმოყარა კბილები.

— რის გაკეთება შეუძლია? — ვკითხე ისე, რომ აღელვება არ შევიმჩნიე.

— ხენაროს შეუძლია მთელი შენი მანქანა მოაშოროს! — წამოიძახა დონ ხუანმა მქუხარე ხმით. და შემდეგ იგივე ტონით დაამატა: — მართალია, ხენარო?

— მართალია! — უპასუხა დონ ხენარომ ყველაზე მაღალი ადამიანური ხმით, რაც კი ოდესმე მომისმენია.

უნებურად შევხტი. სხეულში სამმა-ოთხმა ნერვულმა სპაზმმა დამიარა.

— რისი თქმა გინდა იმით, რომ მას შეუძლია მოაშოროს ჩემი მანქანა? — ვკითხე მე.

— რისი თქმა მინდა, ხენარო? — ჰკითხა დონ ხუანმა.

— შენ გინდა თქვა, რომ მე შემიძლია ჩავჯდე მის მანქანაში და წავიდე, თქვა დონ ხენარომ არადამაჯერებელი სერიოზულობით.

— მოაშორე მანქანა, ხენარო, — უბიძგა მას დონ ხუანმა ხუმრობის ტონით.

— შესრულებულია! — თქვა ხენარომ გრიმასით და თან ცერად შემომხედა.

შევამჩნიე, რომ როცა გრიმასებს აკეთებდა, მისი წარბები თამაშობდნენ და მის მზერას გამცემსა და გამჭოლს ხდიდნენ.

— კარგი, — თქვა მშვიდად დონ ხუანმა. — წავიდეთ და შევამოწმოთ მანქანა.

— ჰო, — ექოდ გამოეხმაურა დონ ხენარო. — წავიდეთ და შევამოწმოთ მანქანა.

ისინი ძალიან ნელა წამოდგნენ. წამით არ ვიცოდი რა მექნა, მაგრამ დონ ხუანმა ჟესტით მანიშნა, რომ ავმდგარიყავი.

დონ ხუანის სახლის წინ პატარა გორაკისკენ გავემართეთ. დონ ხუანი ჩემგან მარჯვნივ მოდიოდა, დონ ხენარო კი — მარცხნივ. ისინი ჩემზე მეტრანახევრით წინ მიდიოდნენ და მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი ხედვის არეში იყვნენ.

— მოდი, შევამოწმოთ მანქანა, — თქვა კვლავ დონ ხენარომ.

დონ ხუანი ხელებს ისე ამოძრავებდა, თითქოს უჩინარ ძაფს ართავდა. დონ ხენარომაც იგივე გააკეთა და გაიმეორა: — მოდი, შევამოწმოთ მანქანა.

ისინი ოდნავ ჩამჯდრები მიდიოდნენ. მათი ნაბიჯები ჩვეულებრივზე დიდი იყო, და მათი ხელები ისე მოძრაობდნენ, თითქოს თავიანთ წინ რაღაც უჩინარ ნივთებს წმენდნენ ან

აპრიალებდნენ. არასოდეს მინახავს დონ ხუანის ასეთი მასხრობა, და მისი შემყურე თითქმის გაღიზიანებას ვგრძნობდი.

მწვერვალს მივაღწიეთ, და ქვემოთ გადავიხედე, გორაკის ძირისკენ, სადაც დაახლოებით ას მეტრში ჩემი მანქანა დავაყენე. მუცელი შემეკუმშა! მანქანა აღარ იდგა!

გორაკიდან სირბილით ჩამოვედი. მანქანა არსად არ ჩანდა. წამით უზარმაზარი განცვიფრება ვიგრძენი. დეზორიენტირებული ვიყავი.

ჩემი მანქანა აქ მას შემდეგ იდგა, რაც დილით ადრე მოვედი. დაახლოებით ნახევარი საათის წინ ვიყავი აქ მოსული, რათა საწერი ქაღალდის ახალი შეკვრა ამეღო. ისიც კი ვიფიქრე, რომ ფანჯრები ღია დამეტოვებინა, რადგანაც ძალიან ცხელოდა, მაგრამ კოღოებისა და სხვა მფრინავი მწერების რაოდენობამ გადაწყვეტილების შეცვლა მაიძულა, და მანქანა ჩაკეტილი დავტოვე, როგორც ყოველთვის.

მივიხედ-მოვიხედე. უარს ვამბობდი იმის დაჯერებაზე, რომ ჩემი მანქანა გაქრა. მოსუფთავებული მოედნის კიდესთან მივედი. დონ ხუანი და დონ ხენარო შემომიერთდნენ, ჩემ გვერდით იდგნენ და ზუსტად იმას აკეთებდნენ, რასაც მე. როცა შორს ვიხედებოდი, ხომ არ მოჩანდა სადმე შემთხვევით მანქანა, წამით ეიფორია განვიცადე, რომელიც დამაბნეველი გაღიზიანების გრძნობით შიეცვალა. მათ, როგორც ჩანს, შეამჩნიეს ეს და ჩემ გარშემო სიარული დაიწყეს. თან ხელებს ისე ამოძრავებდნენ, თითქოს ცომს ზელდნენ.

— როგორ ფიქრობ, რა მოუვიდა მანქანას, ხენარო? — ჰკითხა დონ ხუანმა მოკრძალებული ტონით.

— მე ის გავიტაცე, — თქვა დონ ხენარომ და გააკეთა გადამცემის გადართვისა და საჭის დატრიალების გასაოცარი მოძრაობა. მან ფეხები მოკეცა, თითქოს ზისო და ამ მდგომარეობაში რამდენიმე წამი გაჩერდა. როგორც ჩანს მდგომარეობას ფეხის კუნთების მეშვეობით ინარჩუნებდა. შემდეგ წონა მარჯვენა ფეხზე გადაიტანა და მარცხენა გაშალა — პედალზე ფეხის მიჭერის იმიტირებით. ტუჩებით ძრავის ხმა გამოსცა, და ბოლოს გაითამაშა, რომ ორმოში ჩავარდა და შეხტა, რითაც მომცა სრული შთაბეჭდილება გამოუცდელი მძღოლისა, რომელიც ორმოებში დახტის და საჭეს ხელს არ უშვებს.

დონ ხენაროს პანტომიმა განსაცვიფრებელი იყო. დონ ხუანი იცინოდა, სანამ სუნთქვა არ შეეკრა. მინდოდა შევერთებოდი მათ მხიარულებას, მაგრამ მოდუნება არ შემეძლო. თავს ცუდად, საფრთხის ქვეშ ვგრძნობდი. ჩემს ცხოვრებაში უპრეცენდენტო ფორიაქმა შემიპყრო. ვიგრძენი, რომ შიგნიდან ვიწვოდი და ფეხებით ქვებს აქეთ-იქეთ ვყრიდი, და იმით დავამთავრე, რომ გაუცნობიერებელი და წინასწარგანუსაზღვრელი რისხვით ვისროდი მათ. თითქოს რისხვა მართლაც ჩემ გარეთ იყო და უეცრად გარს შემომეხვია. შემდეგ გაღიზიანებამ ისევე მისტიურად დამტოვა, როგორც მიპოვა. ღრმად ჩავისუნთქე და თავი უკეთ ვიგრძენი.

ვერ ვბედავდი დონ ხუანზე შეხედვას. ჩემი ბრაზის ამოფრქვევა მაღიზიანებდა, მაგრამ ამავე დროს მინდოდა გამეცინა. დონ ხუანი ზურგიდან მომიახლოვდა და ზურგზე მომეფერა. ხენარომ ხელი მხარზე დამადო.

— სწორია, — თქვა დონ ხენარომ, — გაუკეთე საკუთარ თავს ინდულგირება. ცხვირში მიირტყი ხელი, რომ სისხლი წამოგივიდეს. შემდეგ შეგიძლია ქვა აიღო და კბილები

ჩაიმტვრიო. ეს ძალიან შველის! და თუ ესეც არ გიშველის, შეგიძლია შენი კვერცხები იგივე ქვით ამ დიდ ლოდზე გაიბრტყელო.

დონ ხუანმა გაიცინა. მე ვთქვი, რომ მრცხვენოდა იმის გამო, რომ ასე ცუდად ვიქცეოდი. არ ვიცოდი, რა დამემართა. დონ ხუანმა თქვა, რომ მე ზუსტად ვიცოდი, რაც ხდებოდა, და ვთვალთმაქცობდი, თითქოს არ ვიცოდი, და თავად თვალთმაქცობის აქტმა გამაბრაზა. დონ ხენარო უჩვეულოდ სასიამოვნო იყო. მან არაერთხელ დამისვა ხელი ზურგზე.

— ეს ჩვენ ყველას გვემართება, — თქვა დონ ხუანმა.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა დონ ხენარომ ჩემი ხმისა და კითხვების დასმის ჩემი ჩვევის იმიტირებით.

დონ ხუანმა რაღაც აბსურდული სიტყვები თქვა, რაღაც ამდაგვარი: „როცა სამყარო ფეხებით ზემოთაა, ჩვენ ფეხებით ქვემოთ ვართ, ხოლო როცა სამყარო ფეხებით ქვემოთაა, ჩვენ ფეხებით ზემოთ ვართ. ახლა, როცა სამყაროც და ჩვენც ფეხებით ქვემოთ ვართ, მაშინ ვფიქრობთ, რომ ფეხები გარეთ გვაქვს“. იგი აგრძელებდა და აგრძელებდა სისულელეების ლაპარაკს, ამ დროს კი დონ ხენარო ჩემ მიერ ჩანაწერების კეთების იმიტაციას ახდენდა. იგი უჩინარ ბლოკნოტში წერდა და ნესტოებს ხელის მოძრაობის ტაქტში ბერავდა, თვალები კი ფართოდ გახელილი და დონ ხუანზე მიჯაჭვული ჰქონდა. მისი მიბაძვა ჭეშმარიტად სასაცილო იყო.

მოულოდნელად თავი მსუბუქად და ბედნიერად ვიგრძენი. მათი სიცილი მამშვიდებდა. რაღაც მომენტში დავნებდი და მეც გადავიხარხარე. მაგრამ შემდეგ ჩემი ტვინი ფორიაქის, დაბნეულობისა და გაღიზიანების ახალ მდგომარეობაში შევიდა. ვიფიქრე, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო აქ, ეს შეუძლებელი იყო. და მართლაც ეს მიუღებელი იყო, თანახმად იმ ლოგიკური წესრიგისა, რომლის მიხედვით მსჯელობასაც მივეჩვიე გარესამყაროზე. და მაინც, გრძნობის ორგანოებით მე ვგრძნობდი, რომ ჩემი მანქანა აქ არ იყო. თავში მომივიდა აზრი, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა, როცა დონ ხუანი აუხსნელ მოვლენას მთავაზობდა ხოლმე, რომ ჩვეულებრივი საშუალებებით გამეხუმრნენ. სტრესის ქვეშ ჩემი გონება უნებურად და დაჟინებით ყოველთვის ერთი და იმავე კონსტრუქციას იმეორებდა. დავიწყე გამოთვლა, რამდენი ადამიანი დასჭირდებოდათ დონ ხუანს და დონ ხენაროს იმისთვის, რომ აეწიათ ჩემი მანქანა და გადაეტანათ იმ ადგილიდან, სადაც დავტოვე. აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ მანქანა ჩავკეტე. ხელის ტორმუზი ამოწეული მქონდა და მანქანაც სიჩქარეში იყო. საჭეც ჩაკეტილი იყო. მის გადასატანად ხელით აწევა იქნებოდა საჭირო. ეს ისეთ მშრომელ ძალას მოითხოვდა, რომ დარწმუნებული ვიყავი ვერცერთი მათგანი ერთად ვერ მოაგროვებდა. მეორე შესაძლებლობა ის იყო, რომ ვიღაცამ მათთან შეთანხმებით გახსნა მანქანა, დაქოქა და გაიტაცა. ამის გასაკეთებლად საჭირო იყო სპეციალური ცოდნა, რაც მათ არ გააჩნდათ. ერთადერთი სხვა ახსნა ის იყო, რომ შესაძლოა მაჰიპნოზებდნენ. მათი მოძრაობები იმდენად ახალი და იმდენად საეჭვო იყო ჩემთვის, რომ რაციონალური განსჯა დავიწყე. ვფიქრობდი, რომ თუ მაჰიპნოზებდნენ, მაშინ ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. დონ ხუანთან ურთიერთობის ჩემი გამოცდილების დროს შევამჩნიე, რომ ასეთ მდგომარეობებში შეუძლებელია მუდმივი გონებრივი დაკვირვება დროის სვლაზე. ამასთან არასოდეს არ იყო წესრიგი დროის დინების აღქმაში. და ჩემი დასკვნა იყო, რომ თუკი ალერტულად ვიქნებოდი, დადგებოდა მომენტი, როცა დროის თანმიმდევრულობის აღქმას დავკარგავდი. მაგალითად, როცა ერთ მომენტში მთას შევხედავდი, შემდეგ მომენტში კი აღმოჩნდებოდა, რომ ველს ვუყურებ

საწინააღმდეგო მიმართულებით და არ მახსოვს, როდის შემოვბრუნდი. ვთვლიდი, რომ თუ რაღაც ამდაგვარი დამემართებოდა, მაშინ შევძლებდი იმის ახსნას, თუ რა დაემართა ჩემს მანქანას. გადავწყვიტე, რომ ერთადერთი, რისი გაკეთებაც შემეძლო, ეს იყო რაც შეიძლება ყურადღებით დაკვირვება ყოველ დეტალზე.

— სად არის ჩემი მანქანა? — მივმართე ორივეს.

— სადაა მანქანა ხენარო? — ჰკითხა დონ ხუანმა განსაკუთრებული სერიოზულობის გამომეტყველებით.

დონ ხენარომ დაიწყო პატარა ქვების გადატრიალება და მათ ქვეშ შეხედვა. იგი გამალებით მუშაობდა მთელ იმ მიდამოში, სადაც მანქანა დავტოვე. ფაქტიურად ყველა ქვა გადაატრიალა. დროდადრო გაბრაზებულის როლს თამაშობდა და ქვას ბუჩქებში ისროდა ხოლმე.

დონ ხუანი, როგორც ჩანს ფრიად ტკბებოდა ამ სცენით. ხითხითებდა და იცინოდა ისე, რომ ჩემი იქ ყოფნაც კი დაავიწყდა. დონ ხენარო ქვების გადაბრუნებას მორჩა და გაშეშდა. სახეზე გათამაშებული გაოცება აესახა, როდესაც დიდ ლოდს შეეჩეხა. ერთადერთ დიდ და მძიმე ქვას იმ ადგილას. მისი გადაბრუნება სცადა, მაგრამ ქვა მეტისმეტად მძიმე იყო და ღრმად იყო მიწაში ჩამჯდარი. იგი ცდილობდა და ქშინავდა, სანამ სახე ოფლით არ დაეფარა. შემდეგ ქვაზე დაჯდა და დონ ხუანს საშველად უხმო.

დონ ხუანი ჩემკენ შემობრუნდა და გაცისკროვნებული ღიმილით მითხრა:

— წავიდეთ, დავეხმაროთ ხენაროს.

— რას აკეთებს?

— შენს მანქანას ეძებს, — თქვა დონ ხუანმა, თითქოს ეს ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს.

— კი, მაგრამ ღვთის გულისათვის! როგორ იპოვის ლოდის ქვეშ? — გავაპროტესტე მე.

— კი, მაგრამ ღვთის გულისათვის! რატომაც არა? — გამომძახა დონ ხენარომ და ორივე სიცილისგან გადაბჟირდა.

ლოდის აწევა ვერ შევძელით. დონ ხუანმა შემოგვთავაზა, რომ მისი სახლიდან ხის მორი გამოგვეტანა, რომ ბერკეტად გამოგვეყენებინა.

სახლისკენ მიმავალ გზაზე ვეუბნებოდი, რომ მათი ქცევები აბსურდულია, და ის, რასაც აკეთებენ, უსარგებლოა. დონ ხუანი მომაშტერდა.

— ხენარო ძალიან თანმიმდევრული ადამიანია, — თქვა დონ ხუანმა სერიოზული გამომეტყველებით. — იგი ისეთივე თანმიმდევრული და პუნქტუალურია, როგორც შენ. თავად თქვი, რომ არასოდეს ტოვებ არცერთ ქვას გადაუბრუნებლად. ისიც იგივეს აკეთებს.

დონ ხენარომ მხარზე ხელი დამიტყაპუნა და თქვა, რომ დონ ხუანი აბსოლუტურად მართალია, და მას მართლაც სურს, რომ მგავდეს. თვალებში გიჟური ბრწყინვალებით შემომხედა და ნესტოები დაბერა.

დონ ხუანმა ტაში შემოსცხო და თავისი ქუდი მიწაზე დააგდო.

სახლის გარშემო ხანგრძლივი ძიების შემდეგ დონ ხენარომ იპოვა გრძელი და საკმაოდ სქელი მორი, მხარზე შემოიგდო და კვლავ იმ ადგილას დავბრუნდით, სადაც ადრე ჩემი მანქანა იდგა.

როცა მცირე გორაზე ავდიოდით და უკვე თითქმის მივაღწიეთ ბილიკის მოსახვევს, საიდანაც შემეძლო დამენახა სადგომის ბრტყელი ადგილი, უეცრად თავში გამინათდა. ვიფიქრე, რომ ვიპოვნიდი მანქანას, თუ მათზე ადრე შევხედავდი, მაგრამ როცა ქვემოთ გადავიხედე, ჩემი მანქანა ისევ არ იყო.

როგორც ჩანს, დონ ხუანი და დონ ხენარო მიხვდნენ, რაც მქონდა აზრად და სიცილით მომდევდნენ უკან. როცა გორის ძირს მივადექით, მაშინვე მუშაობას შეუდგნენ. რამდენიმე წამით ვადევნებდი თვალყურს. მათი ქცევები სრულიად გაუგებარი იყო ჩემთვის. მოჩვენებითად არ მუშაობდნენ. მთელი მონდომებით ასრულებდნენ ლოდის გადაბრუნების ამოცანას, რათა ენახათ, იქ ხომ არ იყო ჩემი მანქანა. ჩემთვის ეს ნამეტანი იყო, ამიტომ მათ შევუერთდი. ისინი ქშინავდნენ და ყვიროდნენ, დონ ხენარო კი კოიოტივით ყმუოდა. ოფლში ცურავდნენ. აღვნიშნე, რა საოცრად ძლიერი სხეულები ჰქონდათ, განსაკუთრებით დონ ხუანს. მათ გვერდით მე ნაზი ყმაწვილი ვიყავი.

ძალიან მალე მეც ოფლით დავიფარე. ბოლოს და ბოლოს გადავაგორეთ ლოდი, და დონ ხენარომ ჭკუიდან გადამყვანი მოთმინებითა და გულდასმით დაიწყო მის ქვეშ არსებული მიწის გამოკვლევა.

— არა, ის აქ არაა, — განაცხადა მან.

ამ განცხადების შემდეგ ორივე ისევ სიცილისგან ხოხავდა.

მე ნერვიულად ვიცინოდი. როგორც ჩანს, დონ ხუანს ტკივილის ნამდვილი სპაზმები ჰქონდა, იგი მიწაზე იწვა და სახე ხელებით დაეფარა მაშინ, როცა მთელი მისი სხეული სიცილისგან თრთოდა.

— ახლა რა მიმართულებით წავიდეთ? — იკითხა დონ ხენარომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ.

დონ ხუანმა თავის მოძრაობით ანიშნა.

— სად მივდივართ? — ვკითხე მე.

— შენი მანქანის საძებნელად, — თქვა დონ ხუანმა ისე, რომ არც კი გაუღიმია.

ისინი კვლავ ორივე მხრიდან მომყვებოდნენ. ბუჩქებში შევედით. მხოლოდ რამდენიმე მეტრი გავიარეთ, როცა დონ ხენარომ გვანიშნა, რომ გავჩერებულიყავით. იგი ფეხის წვერებით მიეპარა მრგვალ ბუჩქს რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, რამდენიმე წამი იყურებოდა ტოტებში, შემდეგ კი თქვა, რომ მანქანა იქ არაა.

რამდენიმე ხანს ვიარეთ, შემდეგ კი დონ ხენარომ მანიშნა, რომ ჩუმად ვყოფილიყავი. ზურგი გამოზნიქა, ფეხის წვერებზე დადგა, ხელები თავს ზემოთ ასწია, თითები კი ბრჭყალებივით მოკაკვა. იმ ადგილიდან, სადაც მე ვიდექი, დონ ხენაროს სხეული ლათინურ S-ს ჰგავდა. წამით ამ პოზაში იყო, შემდეგ კი თავით გადაეშვა

გამხმარფოთლებიანი გრძელი ტოტისკენ. ფრთხილად აიღო იგი, დაათვალიერა, და აღნიშნა, რომ მანქანა იქ არ იყო.

სანამ ჩაპარალში მივდიოდით, იგი ბუჩქებში იხედებოდა, პატარა ხეებზე ადიოდა და აკვირდებოდა მათ ფოთლებს მხოლოდ იმისთვის, რომ დაესკვნა — მანქანა იქაც არ იყო.

ამასობაში მე გონებრივად აღვნუსხავდი ყველაფერს, რასაც ვხედავდი და რასაც ვეხებოდი. ჩემი თანმიმდევრული და მოწესრიგებული ხედვა ჩემ გარშემო სამყაროზე ისეთივე უწყვეტი იყო, როგორც ყოველთვის. ვეხებოდი ქვებს, ბუჩქებს, ხეებს, და მზერა ერთიდან მეორე საგანზე გადამქონდა, ხან ერთი თვალით ვიყურებოდი, ხან მორეთი. ჩემი ყველა გათვლით ჩაპარალში მივაბიჯებდი: ისევე, როგორც ესუამრავჯერ გამიკეთებია ჩვეულებრივ ცხოვრებაში.

შემდეგ დონ ხენარო მუცელზე დაწვა და ჩვენც იგივეს გაკეთება გვთხოვა. ნიკაპი შეერთებულ ხელებზე დაიდო. დონ ხუანმაც იგივე გააკეთა. ორივენი მიაშტერდნენ მიწის პატარა ამობურცულობების სერიას, რომლებიც მიკროსკოპული გორებივით გამოიყურებდოდნენ. უეცრად დონ ხენარომ მარჯვენა ხელით დამჭერი მოძრაობა გააკეთა და რაღაც დაიჭირა. იგი სწრაფად წამოდგა, და იგივე გააკეთა დონ ხუანმაც. ხელი მომუშტული ჰქონდა. გვანიშნა, რომ ახლოს მივსულიყავით და შეგვეხედა, შემდეგ კი ნელა გახსნა ხელისგული. როცა იგი ნახევრად გაიხსნა, იქიდან რაღაც დიდი შავი საგანი გამოფრინდა და გაფრინდა. მოძრაობა იმდენად უეცარი იყო, მფრინავი საგანი კი იმდენად დიდი, რომ მე უკან გადავიხარე და კინაღამ წონასწორობა დავკარგე. დონ ხუანმა შემაკავა.

— ეს არ იყო მანქანა, — დაიწუწუნა დონ ხენარომ. — ეს დაწყევლილი ბუზი იყო. მაპატიეთ.

ორივენი დაჟინებული მზერით მიყურებდნენ. ჩემ წინ იდგნენ და პირდაპირ არ მიცქერდნენ, არამედ მხოლოდ თვალების კუთხეებით. დაკვირვება ხანგრძლივი აღმოჩნდა.

— ეს ბუზი იყო, ასე არაა? — მკითხა დონ ხენარომ.

— ვფიქრობ, რომ ასეა, — ვუთხარი მე.

— არ იფიქრო, — მიბრძანა დონ ხუანმა. — რა დაინახე?

—დავინახე რაღაც ყვავის სიდიდის, რომელიც მისი ხელიდან გამოფრინდა, — განვაცხადე მე.

ჩემი განცხადება იმას შეესაბამებოდა, რაც ვიგრძენი, და არ იყო გათვლილი, როგორც ხუმრობა, მაგრამ მათ ეს აღიქვეს, როგორც ყველაზე სასაცილო განცხადება, რაც კი ვინმემ თქვა მთელი ამ დღის განმავლობაში. ორივე ზემოთ-ქვემოთ დახტოდა და ხარხარებდა, სანამ სუნთქვა არ შეეკრათ.

— ვფიქრობ, კარლოსს ეყოფა, — თქვა დონ ხუანმა. ხმა ხრინწიანი ჰქონდა ბევრი სიცილის გამო.

დონ ხენარომ თქვა, რომ იგი სადაცაა იპოვიდა ჩემს მანქანას, და სულ უფრო ცხელოდა და ცხელოდა. შემდეგ მან ქუდი მოიძრო და ძაფი მიამაგრა თავისი პონჩოდან. შემდეგ თავისი შალის ქამარი ქუდზე მიმაგრებულ ყვითელ ლენტას მიამაგრა.

— ჩემი ქუდისგან ფრანს ვაკეთებ, — მითხრა მან.

თვალყურს ვადევნებდი. ვიცოდი, რომ ხუმრობდა. თავს ყოველთვის ფრანების ექსპერტად ვთვლიდი. როცა ბავშვი ვიყავი, ურთულეს ფრანებს ვაკეთებდი და ვიცოდი, რომ ქუდის ფარფლები ძალიან თხელია იმისთვის, რომ ქარს გაუძლოს. ქუდის ზედა ნაწილი, მეორე მხრივ, ძალიან მაღალი იყო, ამიტომ ქარი შიგნით იმოძრავებდა და საშუალებას არ მისცემდა ქუდს, რომ მიწიდან აწეულიყო.

— ფიქრობ, რომ არ გაფრინდება, ასე არაა? — მკითხა დონ ხუანმა.

— ვიცი, რომ არ გაფრინდება, — ვუთხარი მე.

როგორც ჩანს, დონ ხენაროს ეს არ აღელვებდა, და ფრანის კეთება იმით დაასრულა, რომ გრძელი ძაფი მიაბა.

ქარიანი დღე იყო, და დონ ხენარო გორიდან ქვემოთ დაეშვა იმ დროს, როცა დონ ხუანს მისი ქუდი ეჭირა. შემდეგ დონ ხენარომ ძაფი მოქაჩა, და დაწყევლილი ქუდი მართლაც გაფრინდა.

— შეხედე, შეხედე ფრანს! — დაიყვირა დონ ხენარომ. ქუდი ერთი-ორჯერ ქვემოთ დაეშვა, მაგრამ ჰაერში დარჩა.

— თვალი არ მოაშორო ფრანს, — მითხრა მტკიცედ დონ ხუანმა.

წამით თავბრუსხვევა ვიგრძენი. როცა ფრანს ვუყურებდი, სრულიად სხვა შემთხვევა გამახსენდა. მეჩვენებოდა, რომ თავად გავუშვი ფრანი, როგორც ამას ვაკეთებდი ჩემს მშობლიურ ქალაქში, ქარიან დღეებში.

მოკლე დროით მოგონებამ შემიპყრო და დროის მსვლელობის შეგრძნება დავკარგე.

მომესმა, რომ დონ ხენარო რაღაცას ყვიროდა და დავინახე ქუდი, რომელიც ზემოთ-ქვემოთ დაცურავდა, შემდეგ კი მიწაზე დაეცა იმ ადგილას, სადაც ჩემი მანქანა იდგა. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მკაფიო წარმოდგენა არ მქონდა იმის შესახებ, თუ რა მოხდა. თავბრუსხვევას და დაბნეულობას ვგრძნობდი. დავინახე, რომ ან დონ ხენაროს ქუდი გადაიქცა მანქანად, ან ეს ქუდი ჩემი მანქანის სახურავზე დაეცა. მინდოდა ეს უკანასკნელი დამეჯერებინა, რომ დონ ხენაროს თავისი ქუდის გამოყენება უნდოდა, რათა ჩემი მანქანა ეჩვენებინა. არა ის, რომ ამას მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც პირველი ვარიანტიც ისეთივე შემაშინებელი იყო, როგორც მეორე, მაგრამ ჩემი გონება ამ საკამათო დეტალს ეჭიდებოდა, რათა მენტალური წონასწორობა შეენარჩუნებინა.

— ნუ ებრძვი ამას, — მომესმა დონ ხუანის ხმა.

ვგრძნობდი, რომ რაღაც ჩემში სადაცაა გარეთ გამოიჭრებოდა. აზრები და ხილვები შეუკავებელ ტალღებად მოდიოდა ისე, თითქოს ვიძინებდი. გაქვავებული ვუყურებდი მანქანას. იგი ქვიან ადგილზე იდგა, დაახლოებით ოცდაათ მეტრში. ისე გამოიყურებოდა, რომ ეს-ესაა ვიღაცამ დააყენა იქ. სწრაფად მივირბინე მასთან და თვალიერება დავუწყე.

— ჯანდაბა! — წამოიძახა დონ ხუანმა. — ნუ უყურებ მანქანას, სამყარო გააჩერე!

შემდეგ, როგორც სიზმარში, მისი ყვირილი მომესმა: „ხენაროს ქუდი! ხენაროს ქუდი!“

შევხედე მათ. ორივე დაჟინებით მიყურებდა გამჭოლი მზერით. მუცელში ტკივილი ვიგრძენი. უეცრად თავი ამტკივდა და ცუდად გავხდი.

დონ ხუანი და დონ ხენარო ცნობისმოყვარეობით მიცქერდნენ. რაღაც პერიოდი მანქანის გვერდით ვიჯექი, შემდეგ კი სრულიად ავტომატურად კარი გავაღე და დონ ხენარო უკანა სავარძელზე დავსვი. დონ ხუანიც გვერდით მიუჯდა. ეს უცნაურად მომეჩვენა, რადგანაც, როგორც წესი, იგი წინა სავარძელზე ჯდებოდა ხოლმე.

დონ ხუანის სახლიკენ მივდიოდი. თითქოს ბურუსში ვიყავი. საკუთარ თავს არ ვეკუთვნოდი. მუცელი წესრიგში არ მქონდა და გულისრევის შეგრძნებამ სიფხიზლე მომგვარა. მანქანას მექანიკურად ვატარებდი. მესმოდა, როგორ იცინოდნენ და ხითხითებდნენ დონ ხუანი და დონ ხენარო ბავშვებივით. მესმოდა, როგორ მკითხა დონ ხუანმა: „მივუახლოვდით?“

ამ დროს აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ ახლა მივაქციე გზას ყურადღება. ჩვენ მართლაც ძალიან ახლოს ვიყავით მის სახლთან.

— ახლა უკვე იქ ვიქნებით, — ჩავილუღლუღე მე.

ისინი სიცილისგან გადაბჟირდნენ. ხელებს მუხლებზე ირტყამდნენ.

როგორც კი სახლთან მივედით, ავტომატურად სწრაფად გადმოვედი მანქანიდან და ჩვენ წინ კარი გავაღე. დონ ხენარო პირველი გადმოვიდა და მომილოცა. თქვა, რომ ეს ყველაზე სასიამოვნო მგზავრობა იყო, რაც კი ცხოვრებაში ჰქონია. დონ ხუანმც იგივე გააკეთა. მე თითქმის არ მიმიქცევია მათთვის ყურადღება. მანქანა ჩავკეტე და ძლივს მივაღწიე სახლამდე. სანამ დავიძინებდი, მესმოდა, როგორ ხითხითებდნენ დონ ხუანი და დონ ხენარო.

19. სამყაროს გაჩერება

მეორე დღეს, გაღვიძებისთანავე კითხვები მივაყარე დონ ხუანს. იგი სახლის უკან შეშას ჩეხავდა, დონ ხენარო კი არსად არ ჩანდა. მან მითხრა, რომ სალაპარაკო არაფერია. მივანიშნე ჩემს წარმატებაზე, ანუ აზრების გაჩერებაზე მაშინ, როცა დონ ხენარო იატაკზე „ცურავდა“, და არ ვითხოვდი არანაირ ახსნას, მაგრამ ჩემი თავშეკავებულობა ვერ დამეხმარა იმის გარკვევაში, თუ რა მოხდა. მანქანის გაქრობის შემდეგ მე ავტომატურად ჩავიციკლე ლოგიკური ახსნის ძიებაზე, მაგრამ ესეც ვერ დამეხმარა. ვუთხარი დონ ხუანს, რომ ახსნის ძიებაზე ჩემი დაჟინებულობაარ იყო რაღაც ისეთი, რაც საკუთარი სურვილით მოვიგონე იმისთვის, რომ აუტანელი ვყოფილიყავი. არამედ ეს იყო რაღაც იმდენად ღრმად შეზრდილი ჩემში, რომ ყველა სხვა მოსაზრებას აღემატებოდა.

— ეს რაღაც ავადმყოფობისმაგვარია, — ვუთხარი მე.

— აქ არანაირი ავადმყოფობა არაა, — მიპასუხა მშვიდად დონ ხუანმა. — აქ მხოლოდ ინდულგირებაა. შენ ინდულგირებ საკუთარ თავთან და ცდილობ ყველაფერი ახსნა. შენს შემთხვევაში მეტი ახსნა არაა საჭირო.

დაჟინებით ვამტკიცებდი, რომ ფუნქციონირება მხოლოდ წესრიგისა და გაგების შემთხვევაში შემეძლო. შევახსენე, რომ ძირფესვიანად შევცვალე ჩემი პიროვნება ჩვენი ურთიერთობის მანძილზე. და პირობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ასეთი ცვლილება, ის იყო, რომ შესაძლებლობა მქონდა საკუთარი თავისთვის ამეხსნა ამ ცვლილებების მიზეზები.

დონ ხუანს რბილად გაეცინა. დიდი ხნის განმავლობაში არაფერი უთქვამს.

— შენ ძალიან ჭკვიანი ხარ, — თქვა მან ბოლოს, — იქ ბრუნდები, სადაც ყოველთვის იყავი. თუმცაღა ამჯერად მორჩა. უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი გაქვს. აღარ აგიხსნი ამ ყველაფერს. რაც არ უნდა გაეკეთებინა შენთვის გუშინ ხენაროს, იგი ამას შენი სხეულისთვის აკეთებდა, ამიტომ საშუალება მიეცი შენს სხეულს, რომ გადაწყვიტოს, რა რა არის.

დონ ხუანი მეგობრული, მაგრამ უჩვეულოდ განჯაჭვული იყო, და ამან მაიძულა, ყოვლისმომცველი მარტოობა მეგრძნო. ჩემი სევდის გრძნობები გამოვხატე. მან გაიღიმა. მისი თითები რბილად შემოეხვივნენ ჩემს მაჯას.

— ჩვენ ორივენი არსებები ვართ, რომლებიც მოკვდებიან, — თქვა მან რბილად. — არ არის მეტი დრო იმისთვის, რის კეთებასაც მივეჩვიეთ. შენ ახლა მთელი ის არკეთება უნდა გამოიყენო, რაც მე გასწავლე, და სამყარო გააჩერო.

მან კვლავ მომიჭირა ხელი. მისი შეხება მტკიცე და მეგობრული იყო. ეს იყო რაღაც დადასტურებასავით იმისა, რომ იგი ზრუნავს ჩემზე და მიჯაჭვულობა აქვს ჩემდამი. და, ამავდროულად, ურყევი მიზანმიმართულობის შთაბეჭდილება შემიქმნა.

— ეს ჩემი მოლაპარაკებაა შენთან, — თქვა მან. — ახლა უკვე დამოუკიდებლად უნდა წახვიდე ამ მეგობრულ მთებში.

ამ დროს ნიკაპით შორეული მთებისკენ მიმანიშნა სამხრეთ აღმოსავლეთისკენ. თქვა, რომ იქამდე უნდა დავრჩენილიყავი იქ, სანამ ჩემი სხეული არ იტყოდა, რომ საკმარისია, შემდეგ კი მასთან სახლში დავბრუნებულიყავი. ოდნავ მიბიძგა მანქანისკენ და ამით მიმანიშნა, რომ არ უნდოდა, რამე მეთქვა ან დამეყოვნებინა.

— რა უნდა გავაკეთო იქ? — ვკითხე მე.

არ მიპასუხა, და თავი გააქნია.

— საკმარისია, — თქვა მან, — ბოლოს და ბოლოს.

შემდეგ თითი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გაიშვირა.

— იქ წადი, — თქვა მოწყვეტით.

სამხრეთისკენ მივდიოდი, შემდეგ კი აღმოსავლეთისკენ იმ გზებით, რომლითაც დონ ხუანთან ერთად დავდიოდი ხოლმე. იმ ადგილისგან ცოტა მოშორებით, სადაც გრუნტის გზა მთავრდებოდა, მანქანა დავაყენე, შემდეგ კი ნაცნობი გზით მივდიოდი, სანამ მაღალ პლატოს არ მივაღწიე. არანაირი წარმოდგენა არ მქონდა იმაზე, თუ რა უნდა მეკეთებინა აქ. ხეტიალი დავიწყე. დასასვენებელ ადგილს ვეძებდი. უეცრად ჩემი ყურადღება შეჩერდა ადგილზე ჩემ მარცხნივ. მომეჩვენა, რომ ნიადაგის ქიმიური შემადგენლობა ამ ადგილზე

განსხვავებული იყო. თუმცაღა, როცა პირდაპირი მზერით დავაკვირდი, ვერაფერი შევამჩნიე ისეთი, რაც მას გამოარჩევდა. რამდენიმე ფუტის დაშორებით ვიდექი და ვცდილობდი „შემეგრძნო“, როგორც დონ ხუანი მირჩევდა ხოლმე.

დაახლოებით ერთი საათი უძრავად ვიდექი. აზრების რაოდენობა თანდათან მიმცირდებოდა, სანამ საერთოდ არ შევწყვიტე საკუთარ თავთან ლაპარაკი. შემდეგ გაღიზიანების შეგრძნება მოვიდა. თითქოს ეს შეგრძნება დაკავშირებული იყო ჩემს მუცელთან და უფრო მწვავე ხდებოდა, თუ საეჭვო ადგილს ვუმზერდი. იგი განმიზიდავდა, და თავი ვალდებულად ჩავთვალე, რომ იქაურობას გავცლოდი. თვალები მიმოვავლე ამ რაიონს და წასვლის აუცილებლობა ვიგრძენი. შემდეგ, მცირე მანძილის გავლის შემდეგ ფართე ბრტყელ კლდეს შევეჩეხე. მის წინ გავჩერდი. ამ ქვაში არაფერი იყო ისეთი განსაკუთრებული, რაც მიმიზიდავდა. არანაირი განსაკუთრებული ფერი არ შემინიშნავს, არანაირი ნათება, მაგრამ მაინც მომწონდა იგი. ჩემი სხეული თავს კარგად გრძნობდა. ფიზიკური კომფორტი ვიგრძენი და დასასვენებლად ჩამოვჯექი.

მაღალ პლატოებსა და მთებს შორის მთელი დღე დავხეტიალობდი ისე, რომ არ ვიცოდი რა მეკეთებინა და რისი მოლოდინი მქონოდა. მწუხრის ჟამს უკან, ბრტყელ კლდესთან დავბრუნდი. ვიცოდი, რომ თუ ღამეს აქ გავათევდი, უსაფრთხოდ ვიქნებოდი.

მეორე დღეს აღმოსავლეთის მაღალი მთებისკენ გავემართე. დღის მეორე ნახევარში სხვა, უფრო მაღალ პლატოს მივადექი. მომეჩვენა, რომ აქ ადრეც ვყოფილვარ. ორიენტირებისთვის მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ვერცერთი მთა ვერ ვიცანი ჩემ გარშემო. შესაფერისი ადგილის საგულდაგულო ძიების შემდეგ ქვიანი არეს კიდეზე ჩამოვჯექი. თავს ძალიან თბილად და მშვიდად ვგრძნობდი. მინდოდა მეჭამა რამე, მაგრამ ჩემი კასრი ცარიელი აღმოჩნდა. წყალი დავლიე. თბილი და მძაღე იყო. ვიფიქრე, რომ აქ მეტი არაფერი მესაქმებოდა, ამიტომ დონ ხუანთან უნდა დავბრუნებულიყავი და ვფიქრობდი, ახლავე ხომ არ შევდგომოდი უკან დასაბრუნებელ გზას. მუცელზე დავწექი და თავი ხელებზე დავდე. თავი ცუდად ვიგრძენი და მდგომარეობა რამდენჯერმე შევიცვალე, სანამ სახით დასავლეთისკენ არ აღმოვჩნდი. მზე უკვე დაბლა იყო გადახრილი. თვალები დამეღალა, ამიტომ მიწას შევხედე, და ჩემმა მზერამ მსხვილი შავი ხოჭო დაიჭირა. იგი პატარა ქვის ქვეშიდან გამოძვრა. თავის წინ ნაკელის თავისზე ორჯერ დიდ ბურთულას მიაგორებდა. რაღაც პერიოდი მის მოძრაობებს ვაკვირდებოდი. მწერი, როგორც ჩანს ვერ ამჩნევდა ჩემ იქ ყოფნას და განაგრძობდა თავისი ტვირთის თრევას ქვებზე, ფესვებზე, მიწის ჩაღრმავებებზე და ამობურცულობებზე. რამდენადაც მე ვიცოდი, მწერი ვერ აცნობიერებდა ჩემ იქ ყოფნას. თავში დამებადა აზრი, რომ სავარაუდოდ ვერ ვიქნებოდი დარწმუნებული იმაში, რომ მწერმა არაფერი იცოდა ჩემზე. ამ აზრმა გამოიწვია გონივრულ შეფასებათა რიგი მწერების სამყაროსთან დაკავშირებით, განსხვავებით ჩემი საკუთარი სამყაროსგან. მწერიც და მეც ერთი და იმავე სამყაროში ვიმყოფებოდით, და ცხადია, რომ ეს სამყარო არ იყო ორივესთვის ერთი და იგივე. ჩავუღმავდი მათზე დაკვირვებას და გამაოცა იმ გიგანტურმა ძალამ, რომელიც საჭირო იყო ამ ტვირთის სათრევად.

მწერს დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდი, და ბოლოს ჩვენ გარშემო არსებული სიჩუმე შევაჩნიე. მხოლოდ ქარი ზუზუნებდა ჩაპარალის ტოტებსა და ფოთლებს შორის. ზემოთ ავიხედე, სწრაფი და უნებური მოძრაობით მარცხნივ შევტრიალდი და სუსტი ჩრდილის გამოსახულება ან ქვაზე ჩრდილის გაკრთომა დავინახე რამდენიმე ფუთის მანძილზე. თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ეს კრთომა ჩემგან მარცხნივ იყო. კიდევ ერთხელ შევბრუნდი უეცრად და ნათლად დავინახე ჩრდილი

კლდეზე. გაურკვეველი შეგრძნება მქონდა, რომ ჩრდილი მოულოდნელად მიწაზე ჩამოცურდა, და ნიადაგმა შეისრუტა იგი. ზურგზე ჟრუანტელმა დამიარა, თავში აზრად მომივიდა, რომ სიკვდილი გვდარაჯობდა მეც და ხოჭოსაც.

კიდევ ერთხელ შევხედე მწერს, მაგრამ მისი პოვნა ვეღარ შევძელი. ვიფიქრე, რომ ალბათ თავის დანიშნულების პუნქტამდე მიაღწია და ტვირთი მიწის ხვრელში ჩააგდო. სახე გლუვ კლდეს მივადე.

ხოჭო ღრმა ხვრელიდან გამოძვრა და ჩემი სახიდან რამდენიმე დიუმში გაჩერდა. როგორც ჩანს, მიყურებდა, და წამით ვიგრძენი, რომ ჩემი თანდასწრება გააცნობიერა. ალბათ ისევე, როგორც მე გავაცნობიერე ჩემი სიკვდილის თანდასწრება. გამაჟრიალა. ბოლოს და ბოლოს მე და ხოჭო არც ისე დიდად განვსხვავდებოდით. სიკვდილი აჩრდილივით გვდარაჯობდა ქვის უკან. უჩვეულო აღმაფრენის მომენტი ვიგრძენი. ხოჭოც და მეც სასწორის ერთ თასზე ვიყავით, არცერთი არ იყო მეორეზე უკეთესი. ჩვენი სიკვდილი თანასწორს გვხდიდა.

ჩემი აღმაფრენა და სიხარული იმდენად საოცარი იყო, რომ ტირილი დავიწყე. დონ ხუანი მართალი იყო. იგი ყოველთვის მართალი იყო. მე ყველაზე მისტიურ სამყაროში ვცხოვრობდი, და ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა, მე ყველაზე მისტიური არსება ვიყავი. და მაინც, მე არ ვიყავი უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ხოჭო. თვალები მოვიწმინდე და როცა მათ ხელის უკანა მხარით ვიმშრალებდი, დავინახე ადამიანი, ან რაღაც ადამიანის ფორმისმაგვარი. იგი ჩემგან მარჯვნივ იმყოფებოდა, დაახლოებით ას მეტრში. გავიმართე და ვეცადე კარგად დამენახა. მზე თითქმის ჰორიზონტზე იყო, და მისი მოყვითალო ანარეკლი მკაფიოდ ხედვაში ხელს მიშლიდა. ამ მომენტში რაღაც განსაკუთრებული გრუხუნი გავიგე. იგი შორეული რეაქტიული თვითმფრინავის ხმას ჰგავდა. როცა მზერა მასზე შევაჩერე, ხმა ხანგრძლივ წუილამდე გაიზარდა, შემდეგ კი შესუსტდა, სანამ მაჰიპნოზებელ მელოდიურ ხმად არ იქცა. მელოდია ელექტრული დენის რხევებს ჰგავდა. ამასთან თავში აზრად მომივიდა, რომ ორი ელექტრული სფერო ერთმანეთს უერთდებოდა, ან დაელექტროებული მეტალის ორი კვადრატული ნაჭერი ერთმანეთს ეხახუნებოდნენ, შემდეგ კი წყნარდებოდნენ, როცა მათ სწრაფად აცილებდნენ ერთმანეთს. კვლავ ვეცადე დამენახა, შევძლებდი თუ არა იმ ადამიანის დანახვას, რომელიც როგორც მომეჩვენა მემალებოდა, მაგრამ მხოლოდ ბნელი სილუეტი გავარჩიე ბუჩქების წინ. თვალები მოვჭუტე და ხელით მოვიჩრდილე. ამ დროს მზის ანარეკლი შეიცვალა და მივხვდი, რომ რასაც ვხედავდი, მხოლოდ ოპტიკური ილუზია იყო — ჩრდილისა და ფოთლების თამაში. მზერა სხვა მხარეს გადავიტანე და დავინახე კოიოტი, რომელიც წყნარად მირბოდა ველზე. კოიოტი დაახლოებით იმ ადგილას იყო, სადაც ადამიანი დავინახე. მან დაახლოებით ასი მეტრი გაირბინა სამხრეთის მიმართულებით, შემდეგ კი შეჩერდა და ჩემი მიმართულებით გამოიქცა. რამდენჯერმე დავიყვირე, რომ შემეშინებინა, მაგრამ იგი კვლავ მორბოდა. ავღელდი. ვიფიქრე, რომ ალბათ ცოფიანია, და კარგი იქნებოდა ქვების მოგროვება თავის დასაცავად იმ შემთხვევაში, თუ თავს დამესხმოდა. როცა ცხოველი ჩემგან სამ-ოთხ მეტრში იყო, შევამჩნიე, რომ იგი სულაც არ ღელავდა. პირიქით, ძალიან მშვიდად გამოიყურებოდა. ნაბიჯი შეანელა და ჩემგან დაახლოებით ორ მეტრში გაჩერდა. ერთმანეთს შევხედეთ, შემდეგ კოიოტი უფრო მომიახლოვდა. მისი ყავისფერი თვალები მეგობრული და ნათელი იყო. ქვაზე ჩამოვჯექი. კოიოტი თითქმის მეხებოდა. გაოგნებული ვიყავი. არასოდეს მინახავს ველური კოიოტი ასე ახლოს, და ერთადერთი აზრი, რაც თავში იმ მომენტში მომივიდა, მასთან დალაპარაკება იყო. ისე დავიწყე, როგორც ადამიანი

დაელაპარაკებოდა მეგობარ ძაღლს. და შემდეგ ვიფიქრე, რომ კოიოტმა მიპასუხა. აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ მან რაღაც მითხრა. შეცბუნებული ვიყავი, მაგრამ დრო არ მქონდა ჩემს გრძნობებში გასარკვევად, რადგანაც კოიოტმა კვლავ „დაილაპარაკა“. არა ისე, რომ ცხოველს სიტყვები წარმოეთქვას ისე, როგორც მე ვიყავი მიჩვეული ადამიანებისგან. ეს უფრო იყო „შეგრძნება“, რომ ის ლაპარაკობდა. მაგრამ ეს არ იყო ის შეგრძნება, რომელიც გაგაჩნია, როცა შინაური ცხოველი, თითქოს თავის პატრონს მიმართავს. კოიოტმა ფაქტიურად რაღაც მითხრა. იგი აზრს გადმოცემდა და ეს კავშირი რაღაც წინადადების მსგავსში გადმოიღვარა. მე ვუთხარი: „როგორ ხარ, პატარა კოიოტო?“ და მომეჩვენა, რომ ცხოველის პასუხი გავიგე: „მე კარგად, შენ როგორ ხარ?“ შემდეგ კოიოტმა გაიმეორა წინადადება, და მე ფეხზე წამოვხტი. ცხოველს ერთი მოძრაობაც კი არ გაუკეთებია. იგი არ იყო შეშინებული ჩემი უეცარი შეხტომით. თვალები კვლავაც მეგობრული და სუფთა ჰქონდა. თავი დახარა, მუცელზე გაწვა და მკითხა: „რისი შეგეშინდა?“ მე დავჯექი, და მისმა შემყურემ ყველაზე ჯადოქრული საუბარი დავიწყე, რომელიც ოდესმე მქონია. ბოლოს მკითხა, თუ რას ვაკეთებდი იქ, და ვუპასუხე, რომ აქ „სამყაროს გასაჩერებლად“ მოვედი. კოიოტმა თქვა: „რა მაგარია!“ და აქ გავიაზრე, რომ ეს იყო კოიოტი, რომელიც ორ ენას ფლობდა. არსებითი სახელები და ზმნები მის წინადადებებში ინგლისურ ენაზე იყო, მაგრამ კავშირები და მიმართებითი ნაცვალსახელები — ესპანურად. თავში დამებადა აზრი, რომ ზღაპრულ /ჩიკანო/ კოიოტთან ვიმყოფებოდი. ამ ყველაფრის აბსურდულობაზე გამეცინა და იმდენად ძლიერად ვიცინოდი, რომ თითქმის ისტერიკაში ჩავვარდი. შემდეგ მთელი ტვირთი ამ ყველაფრის შეუძლებლობისა თავზე დამეყარა და ჩემი გონება შეყოყმანდა. კოიოტი ფეხებზე დადგა და ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. დაჟინებით ვუმზერდი. ვგრძნობდი, რომ მექაჩებოდნენ და უეცრად ცხოველმა ცისარტყელის ფერები მიიღო. იგი ანათებდა. მეჩვენებოდა, რომ ჩემი ტვინი სხვა მოგონებას ატრიალებდა, რომელსაც ათი წლის წინ ჰქონდა ადგილი, როცა პეიოტის ზემოქმედების ქვეშ მოწმე ვიყავი ჩვეულებრივი ძაღლის დაუვიწყარ ცისარტყელის ფერების მქონე არსებად გადაქცევისა. თითქოს, კოიოტმა მოგონება გამოიწვია და წარსული მოვლენა კოიოტს ზედ დაედო. იგი დინებადი, თხევადი, მანათობელი არსება გახდა. ამ ნათებისგან თავბრუ მეხვეოდა. მინდოდა თვალები ხელებით დამეფარა, რათა დამეცვა ისინი, მაგრამ განძრევა არ შემეძლო. მანათობელი არსება შემეხო ჩემს რაღაც განუსაზღვრელ ნაწილში, და ჩემმა სხეულმა ისეთი სრული აღუწერელი სითბო და ისეთი კარგი განწყობა განიცადა, რომ თითქოს ამ შეხებამ აფეთქება მაიძულაო. უგრძნობი გავხდი. ვეღარ ვგრძობდი საკუთარ ფეხებს, ან საკუთარ ტერფებს, ან სხეულის სხვა ნაწილებს, თუმცაღა რაღაც მაკავებდა გამართულ მდგომარეობაში.

წარმოდგენა არ მქონდა, რამდენ ხანს დავრჩი ასეთ მდგომარეობაში. ამასობაში მანათებელი კოიოტი და იმ გორაკის მწვერვალი, რომელზეც ვიდექი, გაქრნენ. არც აზრები მქონდა და არც გრძნობები. ყველაფერი გამორთული იყო, და თავისუფლად ვლივლივებდი.

უეცრად ვიგრძენი, რომ ჩემმა სხეულმა დარტყმა განიცადა, და შემდეგ რაღაც შემომეგარსა. მივხვდი, რომ მზე ჩაიღვარა ჩემში. ძლივს ვარჩევდი მთის მწვერვალებს დასავლეთით. მზე თითქმის ჰორიზონტს ეხებოდა. ვუმზერდი მას, და შემდეგ „სამყაროს ხაზები“ დავინახე. მართლაც განვიცადე უკიდურესად უჩვეულო ღრმა შეგრძნება ფლუორესცენტული თეთრი ხაზებისა, რომლებიც ჩემ გარშემო ყველაფერს აერთიანებდნენ. წამით ვიფიქრე, რომ შესაძლოა ჩემი წამწამებიდან არეკლილი მზის

სინათლე შევიგრძენი. თვალები დავახამხამე და კვლავ შევხედე. ხაზები მდგრადი იყო ყველაფერს განმსჭვალავდნენ გარშემო. დავტრიალდი და უჩვეულო ახალი სამყარო დავათვალიერე. ხაზები კარგად შესამჩნევი და მუდმივი იყო მაშინაც კი, თუკი მზისგან საპირისპირო მხარეს ვიყურებოდი.

მეჩვენებოდა, რომ გორის მწვერვალზე ექსტაზის მდგომარეობაში უსასრულო დროის განმავლობაში ვიდექი, თუმცაღა მთელი ეს მოვლენა შესაძლებელი იყო მხოლოდ რამდენიმე წუთით გაგრძელებულიყო, მანამ, სანამ მზე ჰორიზონტს მიაღწევდა, მაგრამ მე ეს უსასრულო დროდ მომეჩვენა. რაღაც თბილსა და დამამშვიდებელს ვგრძნობდი, სამყაროსგან და ჩემი საკუთარი სხეულისგან გამომავალს. ვიცოდი, რომ საიდუმლო ამოვხსენი. იგი ისეთი მარტივი იყო. გრძნობების აქამდე არგანცდილი ნაკადი განვიცადე. ცხოვრებაში არასოდეს მქონია ასეთი ღვთაებრივი ეიფორია, ასეთი სიმშვიდე და ასეთი ყოვლისმომცველი გრძნობა, და მაინც, მე არ შემეძლო ამოხსნილი საიდუმლოს სიტყვებით ან თუნდაც აზრებით გადმოცემა, მაგრამ ჩემმა სხეულმა ყველაფერი იცოდა.

შემდეგ ან ჩამეძინა, ან ცნობიერება დავკარგე. როცა გონზე მოვედი, ქვებზე ვიწექი. წამოვდექი. სამყარო ისეთი იყო, როგორსაც ყოველთვის ვიცნობდი. უკვე ბნელდებოდა, ამიტომ ავტომატურად ჩემი მანქანისკენ გავეშურე.

დონ ხუანი მარტო იყო სახლში, როცა შემდეგ დილას მასთან მივედი. დონ ხენაროზე ვკითხე, და მიპასუხა, რომ იგი სადღაც შორიახლოს თავისი საქმით იყო დაკავებული. დაუყოვნებლივ მოვუყევი ის უჩვეულო მოვლენები, რომელთა მოწმეც გავხდი. იგი აშკარა ინტერესით მისმენდა.

— შენ უბრალოდ „სამყარო გააჩერე“, — გააკეთა კომენტარი, როცა თხრობას მოვრჩი.

წამით ჩუმად ვიყავით, შემდეგ კი მითხრა, რომ დონ ხენაროსთვის მადლობა უნდა გადამეხადა დახმარებისთვის. მომეჩვენა, რომ უჩვეულოდ კმაყოფილი იყო ჩემით. რამდენჯერმე ზურგზე ხელი დამარტყა და გაიცინა.

— კი, მაგრამ დაუჯერებელია, რომ კოიოტი ლაპარაკობდეს, — ვთქვი მე.

— ეს არ იყო საუბარი, — თქვა დონ ხუანმა.

— აბა რა იყო?

— პირველად შენმა სხეულმა გაიგო, მაგრამ შენ ვერ შეძელი იმის გაგება, რომ ჯერ ერთი ეს არ იყო კოიოტი, და მეორეც, ეს არ იყო საუბარი იმ სახით, როგორც მე და შენ ვსაუბრობთ.

— კოიოტი მართლა ლაპარაკობდა, დონ ხუან!

— უყურე, ვინ ლაპარაკობს ახლა, როგორც იდიოტი. ამდენწლიანი სწავლის შემდეგ უკეთ უნდა იცოდე. გუშინ სამყარო გააჩერე, და შესაძლოა „დაინახე“ კიდეც. ჯადოსნურმა არსებამ რაღაც გითხრა, და შენმა სხეულმა შეძლო ამის გაგება, რადგანაც სამყარო დაიშალა.

— სამყარო ისეთივე იყო, როგორიც დღეს, დონ ხუან.

— არა, იგი არ იყო ისეთივე. დღეს კოიოტები არაფერს არ გელაპარაკებიან, და არც სამყაროს ხაზების დანახვა შეგიძლია. გუშინ ამას უბრალოდ იმიტომ აკეთებდი, რომ რაღაც გაჩერდა შენში. და ბუნებრივია, არ გვაქვს არჩევანი გარდა იმისა, რომ სამყარო ისეთი დავინახოთ, როგორსაც ადამიანები გვთავაზობენ.

ერთმანეთს შევხედეთ.

— გუშინ სამყარო ისეთი გახდა, როგორიც მაგებმა წარმოგიდგინეს, — განაგრძო მან. — ამ სამყაროში კოიოტები ლაპარაკობენ, და ზუსტად ასევე ლაპარაკობენ ირმებიც, როგორც ადრე მოგიყევი, და ასევე ჩხრიალა გველები და ხეები, და ყველა სხვა ცოცხალი არსება. მაგრამ ის, რაც მინდა გასწავლო — „ხედვაა“. შესაძლოა უკვე იცი, რომ „ხედვას“ მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა სამყაროებს შორის გააღწევ: ჩვეულებრივი ადამიანების სამყაროსა და მაგების სამყაროს შორის. შენ ახლა ზუსტად მათ შუაში მოექეცი. გუშინ თვლიდი, რომ კოიოტი გელაპარაკებოდა. ნებისმიერი მაგი, რომელიც ვერ „ხედავს“, ასევე ჩათვლიდა. მაგრამ ის, ვინც „ხედავს“, თვლის, რომ ამის დაჯერება მაგების სამყაროზე მილურსმნას ნიშნავს. ზუსტად ასევე არდაჯერება იმისა, რომ კოიოტები ლაპარაკობენ, ჩვეულებრივი ადამიანების სამყაროზე მილურსმნაა.

— გინდა მითხრა, დონ ხუან, რომ არც ჩვეულებრივი ადამიანების და არც მაგების სამყარო რეალური არაა?

— ეს რეალური სამყაროებია, მათ შეუძლიათ შენზე ზემოქმედება. მაგალითად, შეგეძლო ნებისმიერი კითხვა დაგესვა ამ კოიოტისთვის, რაც კი გაინტერესებდა, და იგი ვალდებული იქნებოდა, პასუხი გაეცა. ერთადერთი სევდიანი ფაქტი ისაა, რომ კოიოტს ვერ ენდობი. ისინი ხუმარები არიან. შენი ბედია არ გყავდეს ცხოველი მეგობარი, რომელსაც ენდობი.

დონ ხუანმა ამიხსნა, რომ კოიოტი მთელი ცხოვრება ჩემი მეგობარი იქნება, და მაგების სამყაროში კოიოტთან მეგობრობა — არასასურველი მდგომარეობაა. მითხრა, რომ ჩემთვის იდეალური იქნებოდა, თუკი ჩხრიალა გველს დაველაპარაკებოდი, რადგანაც ისინი საოცრად საიმედო მეგობრები არიან.

— მე რომ შენ ადგილას ვყოფილიყავი, — დაამატა მან, — არასოდეს ვენდობოდი კოიოტს. მაგრამ შენ სხვა ხარ. და შესაძლოა კოიოტური მაგი გახდე.

— რას ნიშნავს კოიოტური მაგი?

— ეს ისაა, ვინც უამრავ ინფორმაციას იღებს თავისი მოძმე კოიოტებისგან.

მინდოდა კიდევ დამესვა კითხვები, მაგრამ მანიშნა, რომ გავჩუმებულიყავი.

— შენ სამყაროს ხაზები ნახე, — თქვა მან. — შენ მანათობელი არსება ნახე. ახლა უკვე თითქმის მზად ხარ, რომ მოკავშირეს შეხვდე. რა თქმა უნდა ხვდები, რომ ის ადამიანი, რომელიც ბუჩქებში დაინახე, მოკავშირე იყო. გაიგე მისი გრუხუნი, რეაქტიული თვითმფრინავის მსგავსი. იგი ველის კიდეზე დაგელოდება, და იქამდე თვითონ მიგიყვან.

დიდი ხნის განმავლობაში ვდუმდით. დონ ხუანს გადაჭდობილი ხელები მუცელზე ელაგა. ცერა თითები თითქმის შეუმჩნევლად უმოძრავებდა.

— ხენაროც წამოვა ჩვენთან ერთად იმ ველზე, — თქვა მან მოულოდნელად. — სწორედ იგი დაგეხმარა სამყაროს გაჩერებაში.

დონ ხუანმა გამჭოლი მზერით შემომხედა.

— კიდევ ერთ რამეს გეტყვი, — თქვა და გაიცინა.

— ახლა ამას მართლაც აქვს მნიშვნელობა. ხენაროს არ გადაუნაცვლებია იმ დღეს შენი მანქანა ჩვეულებრივი ადამიანების სამყაროდან. უბრალოდ მან გაიძულა, სამყაროსთვის ისე შეგეხედა, როგორც მაგები უყურებენ, და ამ სამყაროში შენი მანქანა არ იყო. ხენაროს შენი თავდაჯერებულობის შესუსტება სურდა. მისმა ჯამბაზობამ მოუთხრო შენს სხეულს ყველაფრის ახსნის მცდელობათა აბსურდულობის შესახებ. და როდესაც თავისი საჰაერო გველი გაუშვა, შენ თითქმის „დაინახე“. შენი მანქანა იპოვე და ორივე სამყაროში ერთდროულად იყავი. მიზეზი, რის გამოც კინაღამ ქანცი გაგვძვრა, იმაში მდგომარეობდა, რომ შენ მართლა თვლიდი, რომ უკან წაგვიყვანე იმ ადგილიდან, სადაც, როგორც ფიქრობდი, შენი მანქანა იპოვნე.

— კი, მაგრამ როგორ მაიძულა, რომ სამყარო ისეთად დამენახა, როგორსაც მაგები ხედავენ?

— მე მასთან ერთად ვიყავი. ჩვენ ორივემ ვიცით ეს სამყარო. თუ ამ სამყაროს იცნობ, მის მოქმედებაში მოსაყვანად საჭიროა მხოლოდ იმ დამატებითი ძალის ბეჭედის გამოყენება, რომელსაც, როგორც გეუბნებოდი, მაგები ფლობენ. ხენაროს ამის გაკეთება ისევე იოლად შეუძლია, როგორც თითების გატკაცუნება. მან ქვების გადაბრუნებით დაგაკავა, რათა გაეფანტა შენი აზრები და „ხედვის“ საშუალება მიეცა შენი სხეულისთვის.

ვუთხარი, რომ ბოლო სამი დღის მოვლენებმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს სამყაროს შესახებ ჩემს იდეას. ვთქვი, რომ მასთან ურთიერთობის ათი წლის განმავლობაში, არასოდეს წავსულვარ წინ ამდენად, იმ დროსაც კი, როცა ფსიქოტროპულ მცენარეებს ვღებულობდი.

— ძალის მცენარეები მხოლოდ დამხმარენი არიან, — თქვა დონ ხუანმა. — რეალური კი ისაა, როცა სხეული გაიგებს, რომ მას „ხედვა“ შეუძლია. მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი იმის ცოდნა, რომ სამყარო, რომელსაც ყოველდღე ვუყურებთ, მხოლოდ აღწერილობაა. ჩემი განზრახვა მხოლოდ ის, იყო, რომ შენთვის ეს მეჩვენებინა. სამწუხაროდ მეტისმეტად ცოტა დრო დაგრჩა, სანამ მოკავშირე შეგეხება.

— ნუთუ მოკავშირე უნდა შემეხოს?

— ამას ვერანაირად ვერ გაექცევი. იმისთვის, რომ „დაინახო“, უნდა იცოდე ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც მაგები „ხედავენ“ სამყაროს. აქედან გამომდინარე მოკავშირე გამოძახებულ უნდა იქნეს. და როცა ეს კეთდება, იგი აუცილებლად მოდის.

— და არ შეგიძლია, რომ მოკავშირეს გამოძახების გარეშე მასწავლო „ხედვა“?

— არა, იმისთვის, რომ „დაინახო“, უნდა ისწავლო სამყაროს დანახვა რაღაც სხვა მეთოდით. და ერთადერთი სხვა მეთოდი, რომელიც მე ვიცი — მაგების მეთოდია.

20. მოგზაურობა იქსტლანში

დონ ხენარო შუადღისკენ დაბრუნდა, და დონ ხუანის წინადადებით სამივენი იმ მთებისკენ წავედით, სადაც წინა დღით ვიყავი. იგივე გზით ვიარეთ, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ჩემსავით პლატოზე გავჩერებულიყავით, აღმასვლა განვაგრძეთ მანამ, სანამ მთების ქვედა ქედის მწვერვალს არ მივაღწიეთ. შემდეგ ფართო და ბრტყელი ველისკენ დაშვება დავიწყეთ.

მაღალი გორის მწვერვალზე დასასვენებლად გავჩერდით. ადგილი დონ ხენარომ შეარჩია. მე ავტომატურად ჩამოვჯექი, როგორც ამას მათ კომპანიაში ვაკეთებდი ხოლმე, და სამკუთხედი შევქმენი. ჩემგან მარჯვნივ დონ ხუანი იყო, მარცხნივ კი - დონ ხენარო.

უდაბნოს ჩაპარალმა სველი ბზინვარება შეიძინა. იგი მწვანედ ბრწყინავდა მოკლე გაზაფხულის წვიმის შემდეგ.

— ხენარო რაღაცის მოყოლას აპირებს შენთვის, — მითხრა მოულოდნელად დონ ხუანმა. — იგი მოგიყვება თავის მოკავშირესთან პირველი შეხვედრის ისტორიას. ხომ ასეა, ხენარო?

დონ ხუანის ხმას თხოვნის ელფერი დაჰკრავდა. დონ ხენარომ შემომხედა და მანამდე კუმავდა ტუჩებს, სანამ მისი პირი მრგვალ ხვრელს არ დაემსგავსა. ენა სასას მიაბჯინა, შემდეგ კი ისე აღებდა და ხურავდა პირს, თითქოს კრუნჩხვები აქვსო.

დონ ხუანმა შეხედა და ხმამაღლა გაიცინა. არ ვიცოდი, როგორ გამეგო ეს.

—რას აკეთებს? — ვკითხე დონ ხუანს.

— ის ქათამია, — თქვა მან.

— ქათამი?

— უყურე, უყურე მის პირს. ეს ქათმის კურტუმოა, იგი ახლა კვერცხს დადებს.

დონ ხენაროს პირის სპაზმები უფრო გაძლიერდა. თვალებში გაუგებარი და გიჟური გამომეტყველება ჰქონდა. პირი გაიღო, თითქოს კრუნჩხვებმა მრგვალი ხვრელი წარმოქმნესო. ყელში გაბზარვის ხმა გაისმა. ხელები მკერდთან მიიტანა, ხელისგულებით ზემოთ, და უცერემონიოდ გადმოაფურთხა სისველე.

— ჯანდაბა, ეს კვერცხი არ იყო, — თქვა შეშფოთებული სახით. მისი სხეულის პოზა და სახის გამომეტყველება იმდენად უჩვეულო იყო, რომ არ შემეძლო არ გამცინებოდა.

— ახლა, როცა დონ ხენარომ თითქმის დადო კვერცხი, შესაძლოა მოგიყვეს თავის მოკავშირესთან პირველი შეხვედრის შესახებ, — დაიჟინა დონ ხუანმა.

— შესაძლოა, — თქვა დონ ხენარომ უინტერესოდ.

მე ვთხოვე, რომ მოეყოლა. დონ ხენარო წამოდგა და ხელებით ზურგს უკან გაიზმორა. შემდეგ კვლავ დაჯდა.

— როცა პირველად შევეხე ჩემს მოკავშირეს, ახალგაზრდა ვიყავი, — თქვა როგორც იქნა, — მახსოვს, რომ ეს ზუსტად შუადღის მერე იყო. დილიდან ყანაში ვმუშაობდი და სახლში ვბრუნდებოდი. უეცრად ბუჩქიდან მოკავშირე გამოვიდა და გზაზე გადამეღობა. მელოდა და ორთაბრძოლაში მიწვევდა. შებრუნება დავიწყე, რომ თავი ამერიდებინა მისთვის, მაგრამ თავში აზრი მომივიდა, რომ საკმარისად ძლიერი ვიყავი იმისთვის, რომ შევხებოდი. მიუხედავად ამისა, შეშინებული ვიყავი. ჟრჟოლამ მთელ სხეულში დამიარა, და კისერი ფიცარივით გამიშეშდა. სხვათა შორის, ეს ყოველთვის ნიშანია იმისა, რომ მზად ხარ. ანუ როცა შენი კისერი მაგარი ხდება.

მან პერანგი გაიხსნა და ზურგი მაჩვენა. კისრის, ზურგისა და ხელების კუნთები დაჭიმა. მისი მუსკულატურის შესანიშნავი ხარისხი აღვნიშნე. თითქოს იმ შეხვედრის გახსენებამ მისი სხეულის ყოველი კუნთის გააქტიურება გამოიწვია.

— მსგავს სიტუაციაში პირი ყოველთვის უნდა დახურო.

დონ ხუანს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ხომ ასეა?

— კი, — მშვიდად უპასუხა დონ ხუანმა. —როდესაც მოკავშირეს ეხები, ამისგან იმდენად შეძრული ხარ, რომ შეიძლება ენა მოიკვნიტო ან კბილები მოიმტრვიო. სხეული გამართული და კარგად გაწონასწორებული უნდა იყოს, ფეხები კი მყარად უნდა იდგას მიწაზე.

დონ ხენარო წამოდგა და სწორი მდგომარეობა მაჩვენა. მუხლები ოდნავ მოხრილი ჰქონდა, ხელები ოდნავ მოკაკვული თითებით გვერდებზე ჰქონდა დაშვებული. მოდუნებული ჩანდა, და მაინც მყარად იდგა მიწაზე. ცოტა ხნით ამ მდგომარეობაში გაჩერდა, და როცა ვფიქრობდი, რომ დაჯდომას აპირებდა, უეცრად წინ გაიჭრა ერთი საოცარი მოძრაობით, თითქოს ქუსლებქვეშ ზამბარები ჰქონოდეს. მისი მოძრაობა იმდენად უეცარი იყო, რომ ზურგზე დავეცი. მაგრამ სანამ ვეცემოდი, მკაფიო შეგრძნება მქონდა იმისა, რომ დონ ხენარომ ხელი სტაცა ადამიანს, ან რაღაც ადამიანისმაგვარს. კვლავ დავჯექი.

დონ ხენარო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა კოლოსალურ დაძაბულობას მთელ სხეულში. შემდეგ მკვეთრად მოადუნა ყველა კუნთი და იმ ადგილას დაბრუნდა, სადაც მანამდე იჯდა.

— კარლოსმა ზუსტად ახლა შენი მოკავშირე დაინახა, — მშვიდად შენიშნა დონ ხუანმა. — მაგრამ იგი ჯერ კიდევ სუსტია და დაეცა.

— შეამჩნიე? — იკითხა დონ ხენარომ მიამიტი ხმით და ნესტოები გააფართოვა.

დონ ხუანმა დაარწმუნა, რომ მე მოკავშირე „დავინახე“.

დონ ხენარო კვლავ წინ გადახტა ისეთი ძალით, რომ გვერდზე დავეცი. ისე სწრაფად შეასრულა თავისი ნახტომი, რომ მართლა არ შემეძლო თქმა, როგორ წამოხტა ფეხზე და როგორ გადახტა წინ მჯდომარე მდგომარეობიდან.

ორივეს ხმამაღლა გაეცინა, შემდეგ კი დონ ხენარომ სიცილი შეცვალა ყმუილით, რომელსაც კოიოტის ყმუილისგან ვერ გაარჩევდი.

— ნუ იფიქრებ, რომ შენც ხენაროსავით კარგად ხტომა გჭირდება, , რომ შენი მოკავშირე დაიჭირო, — თქვა დონ ხუანმა გამაფრთხილებელი ტონით. — ხენარო ასე კარგად იმიტომ დაფრინავს, რომ თავისი მოკავშირე ეხმარება. შენ მხოლოდ ის გჭირდება, რომ მაგრად იდგე მიწაზე და შეტაკებას გაუძლო. ისე უნდა იდგე, როგორც ხენარო იდგა, სანამ ნახტომს გააკეთებდა. შემდეგ უნდა გადახტე და მოკავშირე შეიპყრო.

— ჯერ თავის მედალიონს უნდა აკოცოს, — დაამატა დონ ხენარომ.

დონ ხუანმა მოჩვენებითი რისხვით თქვა, რომ მე არანაირი მედალიონი არ მაქვს.

— მისი ბლოკნოტები? — დაიჟინა დონ ხენარომ. — რაღაც უნდა მოუხერხოს თავის ბლოკნოტებს. ჩაიდოს, სანამ გადახტება, ან მოკავშირეს ჩასცხოს.

— წყეულიმც იყავ, — თქვა დონ ხუანმა, თითქოს გულწრფელი განცვიფრებით. — ეს სულ არ გამხსენებია. ვფიცავ, ეს პირველი იქნება, როცა მოკავშირეს ბლოკნოტების მეშვეობით ანარცხებენ მიწაზე.

როცა დონ ხუანის სიცილი და დონ ხენაროს კოიოტური ყმუილი ჩაცხრა, ყველანი ძალიან კარგ განწყობაზე ვიყავით.

— რა მოხდა, როცა შენი მოკავშირე შეიპყარი? — ვკითხე მე.

— ეს ცრუ აღფრთოვანება იყო, — თქვა დონ ხენარომ წამიერი ყოყმანის შემდეგ. თითქოს აზრები მწყობრში მოჰყავდა.

— არაოდეს წარმომიდგენია, რომ ეს ასე იქნებოდა, — განაგრძნობდა იგი. — ეს ისეთი რაღაც იყო, ისეთი, ისეთი... როგორც არაფერი, რისი თქმაც შემეძლება. მას შემდეგ, რაც შევიპყარი, ბზრიალი დავიწყეთ. მოკავშირე ტრიალს მაიძულებდა, მაგრამ მე უკან არ ვიხევდი. ისეთი ძალითა და სიჩქარით ვბზრიალებდით ჰაერში, რომ უკვე ვეღარაფერს ვხედავდი. ყველაფერი ბურუსით იყო მოცული. და ეს გრძელდებოდა და გრძელდებოდა. უცებ ვიგრძენი, რომ კვლავ მიწაზე ვიდექი. საკუთარ თავს შევხედე. მოკავშირეს არ მოვუკლივარ. მთელი ვიყავი, და საკუთარი თავი ვიყავი! მაშინ მივხვდი, რომ წარმატებას მივაღწიე. ხანგრძლივი მისწრაფებების შემდეგ მოკავშირეს ვფლობდი. სიხარულისგან ხტუნვა დავიწყე. რა გრძნობა იყო! საოცარი გრძნობა იყო!

შემდეგ მივიხედ-მოვიხედე, რომ დამედგინა, თუ სად ვიმყოფებოდი. გარემო ჩემთვის უცნობი აღმოჩნდა. ვიფიქრე, რომ მოკავშირემ ალბათ ჰაერში მატარა და ძალიან შორს დამსვა. ორიენტირებას ვცდილობდი. გადავწყვიტე, რომ ჩემი სახლი აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო, ამიტომ იმ მიმართულებით წავედი. ჯერ ადრე იყო. მოკავშირესთან შეხვედრას დიდი დრო არ წაუღია. ძალიან მალე ბილიკი ვიპოვე, შემდეგ კი დავინახე მამაკაცების და ქალების ჯგუფი, რომლებიც ჩემკენ მოდიოდნენ. ისინი მასატეკის ტომის ინდიელები იყვნენ. გარს შემომეხვივნენ და მკითხეს, თუ სად მივდიოდი.

— სახლში მივდივარ, იქსტლანში, — ვუთხარი მათ.

— შენ რა, გზა აგებნა? — მკითხარომელიღაცამ.

— გზა ამებნა? — ვკითე მე. — რატომ?

— იმიტომ, რომ იქსტლანი მაქეთ არაა, იქსტლანი საპირისპირო მიმართულებითაა.

— ჩვენ თვითონაც იქ მივდივართ, — თქვა ერთ-ერთმა.

— შემოგვიერთდი, — მითხრა ყველამ. — ჩვენ გვაქვს საჭმელი.

დონ ხენარომ ლაპარაკი შეწყვიტა და შემომხედა, თითქოს კითხვას ელოდებაო.

— და, რა მოხდა მერე? — ვკითხე მე. — შეუერთდი მათ?

— არა, არ შევუერთდი, — თქვა მან. — რადგანაც ისინი არ იყვნენ რეალურები. ამას იმ წუთშივე მივხვდი, როგორც კი მომიახლოვდნენ. იყო რაღაც მათ ხმებში, მათ მეგობრულობაში ისეთი, რამაც გასცა ისინი, განსაკუთრებით მაშინ, როცა თან გაყოლა შემომთავაზეს. ამიტომ გავიქეცი. ისინი მეძახდნენ და დაბრუნებას მთხოვდნენ. მათი ძახილი თან მომდევდა, მაგრამ მე მაინც გავურბოდი.

— ვინ იყვნენ ისინი? — ვკითხე მე.

— ადამიანები, — მიპასუხა დონ ხენარომ მოწყვეტით. — იმ განსხვავებით, რომ ისინი არ იყვნენ რეალურები.

— ისინი მოჩვენებებს ჰგავდნენ, — ამიხსნა დონ ხუანმა. — როგორც ფანტომები.

— რაღაც დროის შემდეგ, — განაგრძნობდა დონ ხენარო, — უფრო დარწმუნებული გავხდი საკუთარ თავში. ვიცოდი, რომ იქსტლანი იმ მიმართულებით იყო, საითაც მივდიოდი. და შემდეგ დავინახე ორი ადამიანი, რომლებიც ბილიკით ჩემკენ მოდიოდა. როგორც ჩანდა, ისინიც მასატეკის ტომის ინდილები იყვნენ. გვერდით შეშით დატვირთული ვირი მოჰყვებოდათ. გვერდზე ჩამიარეს და ჩაილუღლუღეს: „დღე მშვიდობისა“.

— დღე მშვიდობისა, — ვუთხარი მე და სიარული განვაგრძე. ყურადღება არ მომაქციეს და გზა განაგრძეს. სირბილი შევანელე და ფრთხილად შემოვბრუნდი, რომ დავკვირვებოდი. ისინი მიდიოდნენ და ყურადღებას არ მაქცევდნენ. როგორც ჩანდა, რეალურები იყვნენ. გავედევნე და დავუყვირე: „მოიცადეთ, მოიცადეთ!“ მათ გააჩერეს თავიანთი ვირი და ცხოველის ორივე მხრიდან დადგნენ, თითქოს ტვირთს იცავენო.

— დავიკარგე ამ მთებში, — ვუთხარი მათ. — რა მიმართულებითაა იქსტლანი?

მათ იმ მიმართულებისკენ მიმითითეს, საითაც თვითონ მიდიოდნენ.

— ღრმად წასულხარ, — თქვა ერთ-ერთმა მათგანმა. — იქსტლანი, აი, იმ მთების მეორე მხარესაა. იქამდე რომ მიაღწიო, ოთხი-ხუთი დღე დაგჭირდება.

შემდეგ შებრუნდნენ და სიარული განაგრძეს. ვიგრძენი, რომ ეს ინდიელები რეალურები იყვნენ და ვთხოვე, რომ თან გავეყოლებინე.

რაღაც პერიოდი ერთად მივდიოდით, შემდეგ კი ერთ-ერთმა მათგანმა ტომარა მოიხსნა და საჭმელი შემომთავაზა. ადგილზე გავშეშდი. იყო რაღაც ძალიან უცნაური იმაში, თუ როგორ მთავაზობდა თავის საჭმელს. ჩემმა სხეულმა შიში იგრძნო, ამიტომ უკან გადმოვხტი და გავიქეცი. ორივემ მითხრა, რომ მოვკვდებოდი მთებში, თუ მათ არ გავყვებოდი, და ცდილობდნენ დავერწმუნებინე ამაში. მათ მოწოდებებსაც დევნის ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ მათგანაც გავიქეცი.

სიარულს განვაგრძობდი. ახლა უკვე ვიცოდი, რომ სწორ გზაზე ვიდექი, და ეს ფანტომები ჩემი გზიდან გადაცდენას ცდილობდნენ. რვა შემხვდა ასეთი. ალბათ იცოდნენ, რომ ჩემი განზრახვა ურყევი იყო. გზაზე იდგნენ და მუდარის თვალებით მიმზერდნენ. უმეტესობა სიტყვასაც არ ამბობდა. თუმცაღა მათ შორის ქალები უფრო გამბედავები იყვნენ და ჩემ გადარწმუნებას ცდილობდნენ. ზოგიერთი მათგანი საჭმელს და სხვა ნივთებსაც კი ალაგებდა, თითქოს გზაზე მოვაჭრეები იყვნენ. მე არ ვჩერდებოდი და არც კი ვუყურებდი მათ.

დღის ბოლოს ველს მივადექი, რომელიც თითქოს მეცნობოდა. მომეჩვენა, რომ იქ ადრეც ვიყავი ნამყოფი, მაგრამ თუ ეს მართლა ასე იყო, მართლაც იქსტლანისგან სამხრეთით ვიმყოფებოდი. ორიენტირებისთვის ნაცნობი საგნების ძებნა დავიწყე. ამ დროს დავინახე ინდიელი ბიჭუნა, რომელიც თხებს მწყემსავდა. ალბათ შვიდი წლის იქნებოდა, და ისე იყო ჩაცმული, როგორც მე — მის ასაკში. ფაქტიურად საკუთარი თავი მომაგონა, როცა მამაჩემის ორ თხას ვმწყემსავდი ხოლმე.

რაღაც პერიოდი თვალყურს ვადევნებდი. ბიჭი საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. ზუსტად ჩემსავით. შემდეგ თავის თხებთან დაიწყო ლაპარაკი. რაც თხების მოვლაზე ვიცოდი, იქიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებდი, კარგად იცოდა თავისი საქმე. ყურადღებით და ფრთხილად აკეთებდა საქმეს. არ ათამამებდა თხებს, და ამავე დროს არც სასტიკი იყო მათთან.

გადავწყვიტე დამეძახა მისთვის. როცა ხმამაღლა დაველაპარაკე, იგი შეხტა, კლდისკენ გაიქცა და ქვების უკნიდან დამიწყო ყურება. როგორც ჩანდა, გასაქცევად იყო მზად, რათა სიცოცხლე გადაერჩინა. მომეწონა იგი. შეშინებული იყო, მაგრამ მაინც მონახა დრო, რომ თხები ჩემი მხედველობის ველიდან გაეყვანა.

დიდხანს ველაპარაკებოდი. ვუთხარი, რომ დავიკარგე და იქსტლანისკენ გზა არ ვიცოდი. ვკითხე, თუ რა ერქვა ადგილს, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, და მიპასუხა, რომ ეს ის ადგილი იყო, რომელსაც ვვარაუდობდი. ამან ძალიან გამახარა. მივხვდი, რომ აღარ ვიყავი დაკარგული და ვფიქრობდი, რა ძალა უნდა ჰქონოდა ჩემს მოკავშირეს, რომ მთელი ჩემი სხეული თვალის დახამხამებაში ასე შორს გადაესროლა.

ბიჭს მადლობა გადავუხადე და წასვლა დავიწყე. იგი ფრთხილად გამოვიდა თავისი თავშესაფრიდან და თხები თითქმის შეუმჩნეველი ბილიკით გარეკა. ბილიკი ველისკენ მიდიოდა. ბიჭს დავუძახე, და იგი არ გაქცეულა. მისკენ წავედი, და როდესაც ძალიან მივუახლოვდი, ბუჩქებში გადახტა. შევაქე იმისთვის, რომ ასეთი ფრთხილი იყო, და კითხვები დავუსვი.

— სად მიდის ეს ბილიკი? — ვკითხე მე.

— ქვემოთ, — თქვა მან.

— შენ სად ცხოვრობ?

— იქ, ქვემოთ.

— იქ, ქვემოთ, ბევრი სახლია?

— არა, მხოლოდ ერთია.

— სხვა სახლები სადაა?

— ბიჭმა ველის სხვა მხარისკენ მიმითითა ისეთი გულგრილობით, როგორც მისი ასაკის ბიჭებს ახასიათებთ. შემდეგ თავის თხებთან ერთად ბილიკით ქვემოთ დაეშვა.

— მოიცადე, — ვუთხარი მე. — ძალიან დავიღალე და მშიერი ვარ. წამიყვანე შენიანებთან.

— მე არ მყავს ჩემიანები, — თქვა ბიჭმა, და ამან შემძრა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მისმა ხმამ დამაეჭვა. ბიჭმა შეამჩნია ჩემი ეჭვი, შეჩერდა და ჩემკენ მობრუნდა.

— სახლში არავინ მყავს, — თქვა მან. — ბიძაჩემი წავიდა, მისი ცოლი კი — ყანაშია. იქ ბევრი საჭმელია. წამოდი ჩემთან.

თითქმის სევდას ვგრძნობდი. ბიჭიც ფანტომი იყო. მისი ხმის ტონმა და დაჟინებულობამ გასცა იგი. ფანტომები ყველგან იყვნენ გარშემო, რათა წავეყვანე, მაგრამ მე არ მეშინოდა. ჯერ კიდევ დამუნჯებული ვიყავი მოკავშირესთან შეხვედრის შემდეგ. მინდოდა გავბრაზებულიყავი მოკავშირეზე ან ფანტომებზე, მაგრამ არ შემეძლო განრისხება, როგორც ამას ჩვეულებრივ ვაკეთებდი ხოლმე, ამიტომ მცდელობა შევწყვიტე. შემდეგ დასევდიანება მომინდა, რადგანაც მომეწონა ეს პატარა ვიჭი, მაგრამ ვერ შევძელი. ამიტომ ისიც მივატოვე.

უეცრად მომაფიქრდა, რომ მოკავშირე მყავს, და ფანტომები ვერაფერს დამიშავებდნენ. ბიჭს მივყევი ბილიკზე. სხვა ფანტომები სწრაფად წამოხტნენ და ეცადნენ, უფსკრულისკენ გადამებიჯებინა, მაგრამ ჩემი ნება მათზე ძლიერი იყო. როგორც ჩანს, გრძნობდნენ ამას, ამიტომ დიდად აღარ მაწუხებდნენ. რაღაც დროის შემდეგ, უბრალოდ ჩემს გზაზე იდგნენ. დროდადრო რომელიმე მათგანი გადმოხტებოდა ხოლმე ჩემკენ, მაგრამ მე ჩემი ნებით ვაჩერებდი. და მაშინ საერთოდ შეწყვიტეს ჩემი შეწუხება.

დონ ხენარო დიდი ხნის განმავლობაში დუმდა. დონ ხუანმა შემომხედა.

— ამის შემდეგ რა მოხდა, დონ ხენარო? — ვკითხე მე.

— სიარულს განვაგრძობდი, — თქვა მან, თიოთქოს ისედაც იგულისხმებოდა.

მომეჩვენა, რომ დაასრულა თავისი ამბავი, და დასამატებელი აღარაფერი იყო.

ვკითხე მას, თუ რატომ იყო საჭმლის შეთავაზების ფაქტი იმის მინიშნება, რომ ისინი ფანტომები იყვნენ. მან არ მიპასუხა. კვლავ ვკითხე, იყო თუ არა მასატეკის ტომის ინდიელთა ჩვეულება იმის უარყოფა, რომ მათ აქვთ საჭმელი, ან ღელავენ თუ არა ყველაფერზე, რაც საჭმელს შეეხება.

მან მითხრა, რომ მათი ხმების ტონი, მიტყუების მათი სურვილი, და ის მანერა, რომლითაც ფანტომები საჭმელზე საუბრობდნენ, მინიშნებები იყო. და რომ ეს იმიტომ იცოდა, რომ თავისი მოკავშირე ეხმარებოდა. დამარწმუნა, რომ მარტო თვითონ ვერ შეამჩნევდა ამ დეტალებს.

— ეს ფანტომები მოკავშირეები იყვნენ, დონ ხენარო? — ვკითხე მე.

— არა, ისინი ადამიანები იყვნენ.

— ადამიანები? კი, მაგრამ შენ თქვი, რომ ფანტომები იყვნენ.

— მე ვთქვი, რომ ისინი უკვე აღარ იყვნენ რეალურები. მოკავშირესთან ჩემი შეხვედრის შემდეგ არაფერი აღარ იყო რეალური.

დიდი ხნის განმავლობაში ჩუმად ვისხედით.

— საბოლოოდ როგორ დამთავრდა ეს ყველაფერი, დონ ხენარო? — ვკითხე მე.

— საბოლოოდ?

— მაინტერესებს, როდის და როგორ მიაღწიე იქსტლანს.

ორივემ მაშნვე ხარხარი დაიწყო.

— ანუ ეს ნიშნავს შენთვის საბოლოო დასასრულს?

— შენიშნა დონ ხუანმა. — მოდი, მაშინ ასე ვთქვათ. ხენაროს მოგზაურობას არ ჰქონდა დასასრული. და არც ა რ ა ს ო დ ე ს იქნება რამენაირი დასასრული. ხენარო ჯერ კიდევ იქსტლანისკენ მიმავალ გზაზეა!

დონ ხენარომ გამჭოლი მზერით შემომხედა, შემდეგ კი სადღაც შორს, სამხრეთის მიმართულებით გაიხედა.

— მე ვერასოდეს მივაღწევ იქსტლანს, — თქვა მან. მისი ხმა მტკიცე იყო, მაგრამ ჩუმი.

— თუმცაღა ჩემს გრძნობებში... ჩემს გრძნობებში ზოგჯერ მგონია, რომ მხოლოდ ერთი ნაბიჯი დარჩა მის მიღწევამდე. და მაინც, ეს არასოდეს მოხდება. ჩემს მოგზაურობაში ნაცნობ ნიშნებსაც კი ვერ ვხვდები, რომლებიც ოდესღაც ვიცოდი. უკვე აღარაფერია იგივე.

დონ ხუანმა და დონ ხენარომ ერთმანეთს შეხედეს. იყო რაღაც ძალიან სევდიანი მათ მზერაში.

— ჩემს მოგზაურობაში იქსტლანისკენ მხოლოდ ფანტომი მგზავრები ვიპოვე, — თქვა მან ჩუმად.

დონ ხუანს შევხედე. ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა დონ ხენარო.

— ყველა, ვისაც დონ ხენარო იქსტლანისკენ გზაზე ხვდება, მხოლოდ ეფემერული არსებაა, — ამიხსნა დონ ხუანმა. —მაგალითად, შენ. შენ ფანტომი ხარ. შენი გრძნობები და დაჟინებულობა ისეთივეა, როგორიც სხვა ადამიანების. აი, რატომ ამბობს, რომ მხოლოდ ფანტომ მგზავრებს ხვდება იქსტლანისკენ მიმავალ გზაზე.

უეცრად მივხვდი, რომ დონ ხენაროს მოგზაურობა მხოლოდ მეტაფორა იყო.

— ამ შემთხვევაში გამოდის, რომ შენი მოგზაურობა იქსტლანში არარეალურია? — ვთქვი მე.

— ის რეალურია! — თქვა დონ ხენარომ. —მგზავრები არიან არარეალურები.

თავის დაქნევით მან დონ ხუანზე მიმითითა და მახვილით თქვა:

— იგი ერთადერთია, რომელიც რეალურია. სამყარო მხოლოდ მაშინაა რეალური, როცა მასთან ერთად ვარ.

დონ ხუანს გაეღიმა.

— ხენარომ თავისი ისტორია მოგიყვა, — თქვა დონ ხუანმა, — იმიტომ, რომ შენ გუშინ „სამყარო გააჩერე“. და ის ფიქრობდა, რომ „დაინახე“ კიდეც, მაგრამ შენ ისეთი სულელი ხარ, რომ თავადაც არ იცი ეს. მე სულ ვეუბნები მას, რომ ძალიან უცნაური ხარ, და ადრე თუ გვიან შეძლებ „ხედვას“. ყოველ შემთხვევაში, მოკავშირესთან შენი შემდეგი შეხვედრი დროს, თუკი გექნება ეს შემდეგი შეხვედრა, მოგიწევს, რომ ებრძოლო მას და მოათვინიერო. თუ გადაურჩი შოკს, რაშიც დარწმუნებული ვარ, რადგან ძლიერი ხარ და მეომარივით ცხოვრობ, მაშინ ცოცხალს აღმოაჩენ საკუთარ თავს უცნობ მიწაზე. შემდეგ, რაც ყოველი ჩვენგანისთვის ბუნებრივია, პირველი, რისი გაკეთებაც მოგინდება, — უკან, ლოს-ანჯელესში დაბრუნება იქნება, მაგრამ აღარ გექნება ლოს-ანჯელესში დასაბრუნებელი გზა. იქ რაც დატოვე, სამუდამოდ დაკარგულია. რა თქმა უნდა, ამ დროისთვის მაგი იქნები, მგრამ ეს ვერ დაგეხმარება. ყველაზე მნიშვნელოვანი ყოველი ჩვენგანისთვის ამ დროს ისაა, რომ ყველაფერი, რაც გვიყვარდა, გვძულდა ან გვსურდა, უკან რჩება. თუმცაღა გრძნობები ადამიანში არ კვდება და არ იცვლება. და მაგი სახლისკენ მიმავალ გზას მიუყვება, იცის რა, რომ სახლს ვერასოდეს მიაღწევს, იცის რა, რომ არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ძალა, რომელიც იმ ადგილამდე, იმ ნივთებამდე და ადამიანებამდე მიიყვანს, რომლებიც უყვარდა. საკუთარი სიკვდილიც კი ვერა. სწორედ ამაზე გიყვებოდა ხენარო.

დონ ხუანის ახსნა კატალიზატორის მსგავსი იყო. დონ ხენაროს ნაამბობის მთელი ტვირთი უეცრად დამაწვა, როცა ეს ამბავი ჩემს საკუთარ ცხოვრებას შევუსაბამე.

— რას იტყვი იმ ადამიანებზე, რომლებიც მიყვარს? — ვკითხე დონ ხუანს. — მათ რა მოუვათ?

— ისინი ყველანი უკან დარჩებიან, — თქვა მან.

— მაგრამ ნუთუ არ არსებობს არანაირი საშუალება, რომლითაც მათ დავიბრუნებდი? შემიძლია თან წავიყვანო ისინი?

— არა. შენი მოკავშირე მარტოს გატრიალებს უცნობ სამყაროებში.

— მაგრამ მე შემიძლია უკან, ლოს-ანჯელესში დავბრუნდე, ასე არაა? შემიძლია ავტობუსში ჩავჯდე ან თვითმფრინავში და წავიდე. ლოს-ანჯელესი ადგილზე დარჩება, ასე არაა?

— რა თქმა უნდა, — სიცილით თქვა დონ ხუანმა. — ასევე მონტეკაც, ტემიკულაც და ტუკსონიც.

— და ტეკატიც, — დაამატა დონ ხენარომ დიდი სერიოზულობით.

— და პიედრას ნეგრასიც, და ტრანკიტასიც, — თქვა დონ ხუანმ ღიმილით.

დონ ხენარომ კიდევ რამდენიმე დასახელება დაამატა, იგივე გააკეთა დონ ხუანმაც. და მათ დაიწყეს ქალაქებისა და დასახლებების ძალიან სასაცილო და უჩვეულო სახელწოდებების ჩამოთვლა.

— შენს მოკავშირესთან ერთად ბზრიალი სამყაროზე შენს იდეას შეცვლის, — თქვა დონ ხუანმა. — ეს იდეაა ყველაფერი, და როცა იგი იცვლება, თავად სამყაროც იცვლება.

მან გამახსენა, რომ ერთხელ ლექსი წავუკითხე და მოუნდა, რომ ახლაც მომეყოლა. რამდენიმე სიტყვით მიმანიშნა ამ ლექსზე, და გამახსენდა, რომ ხუან რამონ ხიმენესის ლექსიწავუკითხე. ლექსს ერქვა „საბოლოო მოგზაურობა“. წავიკითხე.

... და მე წავალ, მაგრამ ჩიტები დარჩებიან, იგალობებენ, და ჩემი ბაღიც დარჩება მისი მწვანე ხეებით, წყლის ჭით. მრავალი დღის განმავლობაში იქნება ცა ლურჯი და ნათელი, და ზარები მოშორებით ისე დარეკენ, როგორც დღევანდელ დღეს რეკენ. ადამიანები, რომლებსაც ვუყვარდი, გარდაიცვლებიან, და ქალაქი ყოველწელს თავიდან აყვავდება, მაგრამ ჩემი ნოსტალგიით შეპყრობილი სული, მარადიულად იხეტიალებს ჩემი მოყვავილე ბაღის იმავე მიკარგულ კუთხეში.

— ეს ის გრძნობაა, რომელზეც დონ ხენარო საუბრობს, — თქვა დონ ხუანმა. — იმისთვის, რომ მაგი იყოს, ადამიანი ვნებიანი უნდა იყოს. ვნებიან ადამიანს მისთვის ძვირფასი მიწიერი მიჯაჭვულობები გააჩნია. თუნდაც ის ბილიკი, რომელზეც მიაბიჯებს.

სწორედ ამას გიყვებოდა ხენარო თავისი ნაამბობით. ხენარომ თავისი ვნება იქსტლანში დატოვა. თავისი სახლი, თავისი ხალხი, ყველა, ვისთანაც საქმე ჰქონდა. და ახლა იგი ხეტიალობს თავისი გრძნობების გარშემო, და ზოგჯერ, როგორც თვითონ ამბობს, თითქმის აღწევს იქსტლანს. ჩვენ ეს ყველას ერთნაირად გვაქვს. ხენაროსთვის — ეს იქსტლანია, შენთვის — ლოს-ანჯელესი იქნება, ჩემთვის — ...

არ მინდოდა, რომ დონ ხუანს თავის შესახებ მოეყოლა ჩემთვის. იგი გაჩერდა, თითქოს ჩემი აზრები წაიკითხაო.

ხენარომ ჩაისუნთქა და ლექსის პირველი სტროფის პერიფრაზირება გააკეთა:

— მე წავედი. და ჩიტები დარჩნენ.მოგალობენი.

წამით აგონიის ის ტალღა და აღუწერელი მარტოობა ვიგრძენი, რომელმაც სამივე მოგვიცვა. დონ ხენაროს შევხედე და მივხვდი, რომ მას, როგორც ვნებიან ადამიანს, მრავალი გულისმიერი ჯაჭვი აკავშირებდა წარსულთან, მრავალი რამ, რასთანაც საქმე ჰქონდა და რაც უკან დარჩა. მკაფიოდ ვგრძნობდი, რომ ამ მომენტში მისი მოგონებების ძალა მთის მეწყერად ჩამოწვებოდა, და რომ დონ ხენარო ქვითინის ზღვარზე იყო.

ნაჩქარევად გავარიდე თვალები. დონ ხენაროს ვნებამ, მისმა უდიდესმა მარტოობამ ამატირა.

დონ ხუანს შევხედე. მე მიყურებდა.

მხოლოდ მეომარს შეუძლია გადარჩეს ცოდნის გზაზე, — თქვა მან. რადგანაც მეომრის ხელოვნება მდგომარეობს წონასწორობის პოვნაში ადამიანად ყოფნის საშინელებასა და ადამიანად ყოფნის აღტაცებას შორის.

ორივეს შევხედე, თითეულს რიგ-რიგობით. მათი თვალები მშვიდი და ნათელი იყო. მათ ნოსტალგიის უზარმაზარი ტალღა გამოიწვიეს, და როცა თითქოს ქვითინის ზღვარზე იყვნენ, შეატრიალეს ეს ტალღა. წამით მომეჩვენა, რომ „ვხედავდი“. „ვხედავდი“ ადამიანის

მარტოობას, როგორც ჩემ წინ გაშეშებულ გიგანტურ ტალღას,მეტაფორის უხილავი კედლის მიერ უკან დახეული.

ჩემი სევდა იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ ეიფორია ვიგრძენი და გადავეხვიე მათ.

დონ ხენაროს გაეღიმა და წამოდგა. დონ ხუანიც წამოდგა და ხელი რბილად დამადო მხარზე.

— ჩვენ ვაპირებთ, რომ აქ დაგტოვოთ, — თქვა მან. — გააკეთე ის, რასაც საჭიროდ ჩათვლი. მოკავშირე იმ ველის ბოლოში დაგელოდება.

მან შორს, ბნელი ველისკენ მიმითითა.

— თუ გრძნობ, რომ ჯერ არ მოსულა შენი დრო, უარი თქვი შეხვედრაზე, — თქვა მან. — დაძალადებით ვერაფერს მიაღწევ. თუ გადარჩენა გინდა, კრისტალურად სუფთა და საკუთარ თავში სრულიად დარწმუნებული უნდა იყო.

დონ ხუანი ისე წავიდა, რომ არ გამოუხედავს ჩემკენ. მაგრამ დონ ხენარო რამდენჯერმე შემობრუნდა და თვალის ჩაკვრით და თავის მოძრაობებით მიბიძგებდა, რომ წინ წავსულიყავი. ვუყურე მათ, სანამ ხედვის არედან არ გაქრნენ, შემდეგ კი ჩემს მანქანაში ჩავჯექი და წავედი. ვიცოდი, ჩემი დრო ჯერ არ იყო დამდგარი.